8 (05)
a - 80

გ(05)
მ 80

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

## № XI

ნოემბერი, 1897

P-31358
Ю.405
ც. ს. ბ.
Ц.Н.Б.

ტფილისი
სტამბა ქართ. წიგ. გამომც. ამხანაგობისა. ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т-ВА.
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 ноября 1897 г.

# შინაარსი


| | გვ. |
|---|---|
| I—ამირანის შვილნი.—ისტორიული რომანი, თარგმანი . | 1 |
| II—ედმონ ჰარაკურიდან.—ლექსი ს. იორდანეშვილისა | 52 |
| III—სასაფლაო.—თარგმანი კიტა აბაშიძისა . . | 55 |
| IV—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მეორე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. . . | 60 |
| V—ხალხური ლექსი.—ჩაწერილი მღ. გ. სონდულაშვილის-მიერ . . . . . . . | 115 |
| VI—დამარცხებული სიბნელე.—კატულ მენდესისა, თარგმანი . . . . . . . . | 118 |
| VII—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—XLIV, XLV, XLVI და XLVII.—ალ. ს—შვილისა . . | 1 |
| VIII—გურია-აჭარა.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი . . . . . . . . | 23 |
| IX—აფხაზები.—(ეტნოგრაფიული მასალები), ნიკო ჯანაშიასი . . . . . . . . | 46 |
| X—გენერალი ქრისტეფორე კონსტანტინეს-ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო—პოტტოსი . . . . . . . | 53 |
| XI—დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე.—ე. ვაშაკიძისა . . . . . | 65 |

XII—ცნობა ხალხის გამრავლების შესახებ კავთისხევის სამრევლოში.—მღ. დავით ბარნაბოვისა . 85

XIII—წერილი სტამბოლიდან.—საკომერციო სასწავლებელი.—ავქსენტი გვათუასი . . . . 87

XIV—განცხადებანი.

დამატება:

XV—საქართველოს სიძველენი 433—448

# ამირანის შვილნი

## (ისტორიული რომანი*)

### პირველი ნაწილი

### I

სოფელი სოუქსუ *) დამოუკიდებელ აფხაზეთის მთავრების საყვარელი სამყოფელი იყო. 1808 წლის 2 მაისს მშვენიერი მთვარიანი ღამე იდგა. ამ სოფლის გორაკის ფერდობზე გაფანტულ ფაცხებ შორის, დაკლაკნილ ბილიკით ორი მგზავრი მიდიოდა. ჩაცმულობაზე შეატყობდით, აფხაზები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ მდიდრული ბეშმეტები და იარაღი, ძვირფას ქვებით და ვერცხლით შემკული, მათს დიდ-კაცობას მოწმობდა. ერთს მათგანს გრძელ და ჭაღარა ულვაშებზე ეტყობოდა, მოხუცებული უნდა ყოფილიყო; მაგრამ მისის-საროს ტანის მოხდენით რხევა, ყმაწვილური მსუბუქი სიარული მოწმობდა, რომ ჭაღარა-შერთულს შვილს მთისა და სანეტარო სამხრეთისას მოხუცებულობის ნიშნები არ მიჰკარებია. მეორე მგზავრი ახალგაზდა კაცი იყო, მაღალი, განიერ მხარ-ბეჭიანი, ტან-წერწეტი. უკან კარგა მოშორებით ცხრი აჩრდილი მისდევდათ მათის ნუკერებისა.

*) მოზღოვცევი „Прометеево потомство“.

*) სოუქსუ დაბა გუდაუთიდან ლიხნის ვერსის მანძილზე მდებარეობს, ჩრდილოეთის მხრით. სოუქსუ ოსმალური სიტყვაა; ნიშნავს „ცივ წყალს“ (სოუქ—ცივი, სუ—წყალი). ამ სოფელში მშვენიერი წყაროებია და ეს სახელიც, ალბათ, იქიდან დაერქვა. დღეს სოუქსუს ლიხნის უძახიან. მთარგ.

ალაყაფის კარებში რომ შევიდნენ, ორივე მარჯვნივ მოტრიალდნენ ორ-სართულიან სახლისაკენ, რომელსაც გარშემო აივანი ჰქონდა — შემოვლებული, დაქანებულად გადახურული სახურავის სვეტებს გარეული ვაზი შემოჰხვეოდა, ხოლო ვაზის მუქ ფოთლებზე მთვარის სხივი დაჰკრთოდა. სარკმლებიდან სინათლე გამოდიოდა.

— არსლან სოხუმში რისთვის წავიდა, მამა? — ჰკითხა ბათალმა

— თავად ბექიანთან გავგზავნე.

— ბექიანი განა დაბრუნდა სამეგრელოდან?

— მაშინ დაბრუნდა, როცა შენ კოდორში იყავი.

— ფოთში ქუჩუკ-ბეისთან როდის გაგზავნი კაცს ან ვინ გინდა გაუგზავნო?

— არსლანი და ბექიანი ორივე ერთად. მაგრამ, ნეტა ვიცოდე, ცხენებისთვის უნაგირი რად არ მოუხსნიათ?

ამასობაში უკვე სახლთან მივიდნენ და აივანზე ავიდნენ.

— კარებთან ერთი ნუკერიც არა დგას! — წაიბურტყუნა მოხუცმა. — სად გადაკარგულან? ხომ არა სძინავთ?

წინა-ოთახის კარი გააღო, მაგრამ ამ დროს ოთახში თოფის გავარდა, და ბათალი, მამას უკან რომ მისდევდა, კვნესით იატაკზე გაიშხლართა.

— ვაჰ, ავაზაკებო! ვინა ხართ თქვენ? — შესძახა მოხუცმა, თან სატევარი იძრო და ოთახში შევარდა.

ოთახიდან თოფის ხელიზედ დაიცალა.

— მე ვარ! — და ამ თქმაზე დაღრეჯილის სახის, გამხდარი, მზე-მოკიდებული აფხაზი წინ შემოეგება, ამოწვდილის ხმლით.

— არსლან! შვილო! — შეჰკივლა მოხუცმა და გულზე ხელი იტაცა.

— დიახ, შენი შვილი, მარად მოძულებული გზა-დაკარგული შვილი! — ცეცხლიანის სიცილით უპასუხა მკვლელმა. — აჰა შენის შვილის ამბარეცაა.

ეს სთქვა და მამას შუაზე გაუპო თავისი ხმალი.

— ალლაჰ, ალლაჰ! — ბურდღუნებდა მოხუცი სიკვდილის წინა წამებში, ხოლო შვილი ხმლით კიდევ სჩეხავდა.

ყვირილისა და ტოტების ხმაზე შორეულ ოთახებიდან ორი ყმაწვილი მოიჭრა, ტანადი, ახალგაზრდა ალვის ხის მსგავსი. გაჩერდნენ ზღურბლზე დამშვენიერი სახე შიშისაგან დაელმანჭათ.

— მამავ... ძმაო..., ოჰ, ალაჰ! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბურტყუნებდნენ ყმაწვილები.

— აჰ, თქვე გველის წიწილებო, მამისა ნებიერებო! — გესლიანის ღიმილით შეხედა ორსავე მამის-მკვლელმა, — დაჰკა მათ, ბეჟან! ამ გველის წიწილებსაც მოვუღოთ ბოლო, თორემ მერე სამაგიეროს გადგვიხდიან...

— იქ, სტიქიოს, გადაგვიხადონ სამაგიერო, — წამოიძახა ბეჟანმა და ორსავე ყმაწვილს იქავე მოუსწრაფა სიცოცხლე.

— ახლა კი ჰაიდა! — სთქვა მამის-მკვლელმა, გასისხლიანებული ხმალი მამის ბეშმეთის კალთებით გაწმინდა და ქარქაშში ჩააგო.

მკვლელები ხუთნი იყვნენ. საჩქაროზედ ჩამოვიდნენ აივნიდან, მოასხდნენ ცხენებსა და ციხის კარებში არხეინად გაუარეს დარაჯებსა. ამათ არაფრის ეჭვი არ აუღიათ და ყველა ავაზაკებს სალამი მისცეს.

შორიდან კიდევ მოისმოდა მათის ცხენების ფეხის ხმა, რომ სახლში, სადაც ოთხი კაცი წუთი-სოფელს გამოესალმეს, ყველა ფეხზე დადგა და ერთი ჩოჩქოლი შეიქმნა: ახლად გამოღვიძებულნი მსახურნი, ნახევრად შიშველი ქალები იქით-აქეთ მირბოდნენ, სადაც კაცები მოჰკლეს.

— ალაჰ, ალაჰ! რა ამბავია, ჩვენს ბატონებს ვინ მოჰკლა?! სად არიან? — ჰკიოდნენ ქალები.

— არსლანმა... ძმამ... ბეჟან შარვაშიძემ... — ძლივს დაიკვნესა ბატალმა, რომელსაც კიდევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი.

## II

ამგვარად მოჰკლა თავისივე შვილმა, არსლან-ბეგმა, მოხუცებული ქელეშ-ბეგი, მთავარი დამოუკიდებელი აფხაზეთისა, მა-

მომავალი თავად შარვაშიძეთა უძველესისა და სახელოვანის გვაროვნობისა.

აფხაზეთი ნაწილია იმ საკვირველისა, მითიურისა და ისტორიულის კოლხეთისა, რომლის სახელი ყველგან იხსენიება კლასიკურ წარსულში. აქა სცხოვრობდა მითიური ღმერთა ეოსი, საიდანაც ყოველ დილას ცაზე ადიოდა ცეცხლის ეტლითა სხვადასხვაფროვანი გელიოსიც; ჰომეროსის მოწმობის თანახმად, იყო აქ ხუჭუჭ-თმიანი ქალი ცირცეია, ღმერთა, და მზაკვარის აეტისა; აქ ბელეროფონტი ებრძოდა „ღონით მამაკაცთ ტოლებს ამორძლებს“; აქ, როგორც გეზიოდი ამბობს თავისს „თეოგონიაში“ „თეთიდამ უკეანესათვის შვა მდინარე ფაზისი“ (რიონი), მდიდარი თავისს მორევებითა; აქ ინახებოდა ოქროს სრა-სასახლეებში ფეხ-მარდ გელიოსის სხივისაგან გაკეთებული ისრები“ და იქიდან „ღვთაებრივმა იაზონმა“ თავისს სწრაფელ-მავალ ნავზე „არგოზე“ მოიტაცა „ოქროს მატყლი“, თუმცა მედეამ მთელი თავისი გრძნეულობა და მზაკვრობა გამოიჩინა. აქ — ამბობს ესხილე თავისს „პრომეთეოსში“ — აქ, კავკასიის მთებზედ მიჯაჭვულის, ღმერთისა „სტიროდნენ მეომარი და უშიშარი ასულნი კოლხეთისა და უკეანეთისა, სანამ ჰერკულესმა თავისს ისარით არ განგმირა არწივი, ეს ზევსის ჯალათი, რომელიც ღვიძლსა სწიწკნიდა მომაკვდავთათვის ციურის ცეცხლის ნაწილაკის მომტაცებელ ღმერთისას. აქ, როგორც ჰეროდოტი მოწმობს, მოდიოდა ეგვიპტიდან თვით რამზეს-სეზისტრისი თავისის ჯარითა. ქვეყნიერობის ამ საკვირველ კუთხისათვის სისხლსა ჰღვრიდნენ ფინიკიელნი, ეგვიპტელნი, ბერძენნი, რომაელნი, მეფენი მითრიდატისა და დაქირავებულნი მეომარნი გენუელთა. იმ დროიდან, რა დროდანაც ჩვენი მოთხრობა იწყობა, კოლხეთის ამ ყოვლისფრით შემკულ კუთხის ბატონები იყვნენ შთამომავალნი პირველ-ყოფილთა, ნახევრად-ზღაპრულ კოლხებისა—თავადნი შარვაშიძენი; ესენი, შეიძლება, პირდაპირი შთამომავალნიც იყვნენ ღმერთებისა—„გრძნეულის აიეთისა“ და მის ხუჭუჭ-თმიან დისა, ქალწულის ცირცეასი. ასლან-ბეი მაინც, რომელმაც ასე მო-

ღალატურად მოჰკლა თავისი მამა ქელეშ-ბეი და სამი ღვიძლი ძმა, ასეთი შთამომავალი იყო მზაკვარ აიეთისა.

არსლან-ბეი ნამდვილი ისტორიული ტიპი იყო აფხაზისა. აფხაზეთი ამაყობდა, შეხეთ, რა კაცი გვყავსო! ისეთის თავგანწირული მოჩხუბრისა და სამაგალითო ცხენოსნის სახელი ჰქონდა გათქმული, რომ მისი სწორი და ბადალი თვით აფხაზეთში არ მოიძებნებოდა, არამც თუ სხვა მთიელებთა შორის. აფხაზის აზრით არსლან-ბეი გენიოსი იყო. ვინ იცის, რა ლეგენდები არ გამოსთქვეს აფხაზეთის მეზობელ მხარეებში მის შესახებ! ამბობდნენ, რომ მომაკვდავთა შორის პირველად არსლან-ბეიმ სძლია ბრძოლაში უძლეველი „სული მთებისა“. ეს სული თვალ-წარმტაცის სილამაზის ასულად ეჩვენება ადამიანებს, და, მის წინაშე ცვილისავით, თვისს ბადეში მამაკაცთ იტყუებს და აფუჭებს თვისის ალერსითა, სიყვარულითა; ვისაც თვისის სილამაზით ვერ მოხიბლავს ეს გაუმაძღარი მშვენიერი ქალი, ნაკუწ-ნაკუწად დაჰგლეჯთავსო. მხოლოდ არსლან-ბეის ვერაფერი დააკლოო. ამბობდნენ, არსლან-ბეი ერთხელ სანადიროდ ყოფილა [illegible] ულრანს ტყეზე უნდა გაევლო, ამ დროს თურმე ამ მშვენიერს, მაგრამ საშიშ ქმნილებას „მთების სულს“ შეეფეთა, მომჯადოებელი თურმე იყო ასული, ოქროსფერი ნაწნავებიანი; თვალები ფირუზისა ჰქონოდა. აბრეშუმის მსგავსი თმა-მთლიანად ტანს უფარავდა, თითქო ოქროს ნაბადი ასცვიაო. არსლან-ბეი რომ დაინახა, მშვენიერმა ქალმა ხელით თმა ზურგზე გადიყარა და მთელის თვისის თავბრუდამხვევის სილამაზით იმის წინ წარსდგა, შიშველი... მხოლოდ ხშირ-ფოთლიანი წიფელის ჩრდილი უფარავდა ტანს. ლამაზის ქალის ნახვაზე არსლან-ბეი გაშეშდა, ენა დაუდუმდა გაოცებისა და აღტაცებისაგან. ლამაზი ქალი ნელ-ნელა უახლოვდებოდა, მომჯადოებელის ღიმილით და სათნო ტანის რხევით, და უშიშარს აფხაზს ჰბნედავდა. არსლან-ბეი თითქო გაქვავდაო, ადგილიდან ვერ იძროდა და ამ მშვენიერს ქალს თვალს ვერ აშორებდა. თავის სიცოცხლეში არ ენახა ასეთი მშვენიერება, ვერც კი წარმოედგინა, თუ რამე ამის მსგავსი იქმნებოდა დედა-მიწის

ზურგზე. არსლან-ბეისთან რომ მივიდა, ახალგაზდა ცირცეიამ იმის სახეზე მიიტანა თავისი პაწაწუნა ხელები და ვარდის ფერი თითები გაშალა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს არსლან-ბეი. მიხვდა, ათივე თითი იმიტომ მაჩვენა, რომ მთხოვს ათი წელიწადი ვიცხოვრო მასთან ქმარსავითო. არსლან-ბეიმ უარის ნიშნად ხუჭუჭ-თმიანი თავი დაიქნია. მაშინ ლამაზმა ქალმა ერთი თითი მოკაკვა, ცხრა წელიწადი მაინც იცხოვრე ჩემთანაო. არსლან-ბეიმ ხელახლა ხმა არ გასცა. „მთის სულმა“ თითები ერთი-მეორეზე მოკაკვა და ნაკლებ ხანსაც სჯერდებოდა; რაც უფრო უარზე იდგა არსლან-ბეი, ქალის თვალ-წარმტაცი სახე უფრო და უფრო საშინელი ხდებოდა. არსლან-ბეი მიხვდა, გამგლეჯსო და თვითონ დაასწრო. თვალის დახამხამებაში ჩაიბღუჯა მისი აბრეშუმის თმა, ცხენს დეზები შემოჰკრა და ელვის სიმალეზე გაჰქრა და თან წარიტაცა „მთის სულის“ თმა, როგორც თავისის ცხოვრების თილისმა.

ბავშვობითვე ისწავლა არსლან-ბეიმ იარაღის ხმარება. ფეხი აიდგა თუ არა, თავისს მამა-მძუძეს სატევარი გამოართვა და მას შემდეგ მისი ერთად-ერთი საყვარელი სათამაშო ეს იარაღი იყო. ფეხებში ერთი ბეწო ძალა მოუვიდა თუ არა, ცხენოსნობა ისწავლა; მაგრად იჯდა უნაგირზე, გაზიით ჩააკვდებოდა ფაფარს და გაშმაგებული დააჭენებდა ცხენს სოფელში. სოფლელებს ყველას აკვირვებდა მისი ცხენოსნობა. აფხაზების თავადიშვილების ჩვეულებისამებრ, არსლან-ბეი მამის სასახლეში არ იზრდებოდა. სხვებსავით ისიც გაძიძავებული იყო. ერთს მთის სოფელში სცხოვრობდა მისი ძიძა. თავის მამა-მძუძესა და უფროს ძიძაშვილებთან ერთად ჯერ ისევ ბავშობაში მოიარა მთა და ბარი აფხაზეთისა, პატარაობითვე შეეჩვია თავისის სამშობლოის მფოთიან წყლებში—კოდორში, ბზიფში, ინგურში, რიონში—გასვლას, პატარაობითვე შეეჩვია შავის ზღვის გაშმაგებულ ტალღებთან ბრძოლასა. თუთშულმა, არსლანის მამა-მძუძემ, ახალგაზდა ბატონიშვილი ნამდვილ გმირად გაზარდა, ასწავლა ხელობა ავაზაკებისა და საუკეთესო ქურდისა. ახალგაზდა თავადიშვილმა თავისმა ძიძაშვილებმაო მასწავლეთ თავზე-

ხელისუფლებმა მალე თარეშობა დაიწყეს გურიასა და სამეგრელოში; დაირეკავდნენ იქიდან ცხენებისა და ძროხების ჯოგს; ზანდისხან გურული ქალები და ვაჟებიც მოჰყავდათ ტყვედ. მთელს ამნადავლს საჩუქრად უგზავნიდნენ სოფლის მეგობრებს. ესენიც დიდის მადლობით იღებდნენ საჩუქარს. ხოლო ლამაზ ქალებს ოსმალებზე ჰყიდდნენ ჰარამხანებისათვის ძვირფასად.

გასაკვირველი არაფერია, რომ აფხაზები აღმერთებდნენ ახალგაზრდა თავადიშვილს და თავს მოსწონდათ, ასეთი გამოჩენილი უმაწვილი გვყავსო! როცა ძიძის სახლში შეიძინა ყოველივე სწავლა აფხაზური, არსლან-ბეგი თავისის მამის სასახლეში უნდა დაბრუნებულიყო. სოფ. სოუქსუში სტიროდა და ვიშვიშებდა ძიძა, როცა თავისს ძვირფასს გაზრდილს ისტუმრებდა. მთელი სოფელი ქიჩი, სადაც გაიზარდა არსლან-ბეი, გაჰყვა ახალგაზრდა თავადიშვილს. ყველას ეგონათ — ჩვენი დიდება, ჩვენი სიამაყე, ჩვენი მზე და მთვარე სამუდამოდ გვტოვებსო. თოფების სროლას დასასრული არა ჰქონდა, თან საკრავიც დაუკრეს, მაგრამ კილო საკრავისა მოწყენილი იყო, გეგონებოდათ, სამგლოვიაროთ [illegible] ახალგაზრდა ლამაზს, ცამეტ-თოთხმეტის წლის ქალებს ყველას უყვარდათ ახალგაზრდა თავადიშვილი; როცა აცილებდნენ, ცრემლებს ჩუმად იწმენდავდნენ თვალთაგან. ყველაზე მეტად მშვენიერი დიდა სტიროდა, არსლან-ბეის ძიძიშვილი. ეს ქალი მისის კბილისა იყო და ერთად სწოვდნენ ძუძუს: არსლან-ბეგი — ძიძისას და დიდა დედისას. თვალები დაუსივდა, იმდენი იტირა. ეგონებოდა იმ სანეტარო ღამეებსა, როცა არსლან-ბეი [illegible], თუ გურიასა ან სამეგრელოში არ იქნებოდა წასული, მოდიოდა მთის გამოქვაბულში მის სანახავად. ახლა ის მარტო, მეტადრე ზოგჯერ შევიყრებით ერთად. თერთმეტის წლისამ უკვე იგრძნო, რომ არსლან-ბეი გაზრდილსავით კი არ უყვარდა, არამედ თვითონაც არ იცოდა, როგორ... ის ყველას ერჩივნა ქვეყანაზე, თვით სიცოცხლესაც. თავის ღვიძლის ძმების კოცნა მისთვის ისევე იყო, რაც დედისა და მოწაფე-ამხანაგ ქალების კოცნა; მაგრამ ხვევნა და ალერსი არსლან-ბეისა სწვავდა, სდაგავდა, იწვებოდა,

თითქო ტკბილი ცეცხლიაო, ჰკანკალებდა, თითქოს ციებსო. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის იყო, რომ სოფლის სხვა ქალებზე იჭვნეულობდა: ფერი ეცვლებოდა და უზომოდ იტანჯებოდა, როცა არსლან-ბეი რომელსამე მათგანს შეხვდებოდა ან დაელაპარაკებოდა. სამხრეთის აღგზნებულმა ბუნებამ ამ გოგოს ადრე გაუღვიძა დედა-კაცის სურვილები. თორმეტის წლისამ დედისაგან გაიგო, რომ მართლ-მორწმუნე მამა-კაცს მაჰმადის სამოთხეში მშვენიერი გურიები ემსახურებიან და ვნებათა-ღელვას დაუკმაყოფილებენო; ისა სტანჯავდა, დიდასაც, რომ ჩემს არსლან-ბეისაც სამოთხეში გარშემო გურიები შემოეხვევიან და ისიც ყველას ალერსს დაუწყებსო.

როცა გადაწყდა, არსლან-ბეი თავის მამასთან უნდა წავიდესო, დიდა მწუხარებისაგან კინაღამ არ გადაირია. წინა დღეს ღამით უკანასკნელად შეიყარნენ შეყვარებულნი მთის გამოქვაბულში. დიდა ვეფხსავით ეალერსებოდა თავის საყვარელს, იმედ-მიხდილი ისე ჟანგარიშოდ დაემონა თავის მწველს, შეუკავებელს ვნებათა-ღელვას, განშორებისწამს ისე აშფოთებდა, რომ არსლან-ბეის შეეშინდა, ჭკუიდან არ შეიშალესო. ვაჟმა უკანასკნელად აკოცა, დატანჯა ალერსით, გული მოუკლა საყვარელ ქალის ტანჯვა-მწუხარებამა, შეეცოდა. გამოქვაბულიდან რომ გამოდიოდა, დიდამ კისერზე თავისი ხელები შემოარკალა და ქვითინით, გონება-დაკარგულსავით ჩურჩულებდა: „ჩემი ხარ, ჩემი! წამოიყვანე, მიუნიე, მოსამსახურედ დამიყენე!“... არსლან-ბეიმ ხელშეუშვებლად ისე მიიყვანა სოფლამდე. როცა ძირს დასვა, ქალმა გადაწყვეტით ჩასჩურჩულა: — „შენთან სოფელში მოვიკლები, მელოდე, უშენოდ მოვკვდები“!...

გამომშვიდობების დროსაც დიდას მამაცურად ეჭირა თავი; მხოლოდ გასიებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ბევრი ეტირნა. ან გაუსწორებელი რა ექნებოდა: მიმავალი თავადიშვილი მისი გაზრდილი იყო და ამისთვის ვე მისი დედაც სტიროდა და მთელი სოფელიც. სოფლის ჭიშკრიდან არსლან-ბეის საუცხოვოდ გამოწყობილი ჭაბუკები და ცხენოსანი ნუკერები გაჰყვნენ. მათ მიემატნენ ყველანი, ვინც კი სოფელში თოფის ტარება შეეძლო.

ტრაპიზონში ქელიმ-ბეგმა თავისს შვილიშვილს ამბავი მიეგე-ბა და საუცხოვო ნადიმი გადაიხადა. ნადიმზე მოჰგროვდნენ ყველა ნათესავნი ბეგისა, თითქმის მთელი თავად-აზნაურობა აფხაზეთისა და ყველა ძმობილები ახალგაზრდა თავადიშვილისა, ქიქის სოფლელები, რომელნიც ჩქარა დაუნათესავდნენ აფხა-ზეთის მთავრის ოჯახსა, რადგან არსლან-ბეგი მათს სოფელში გაიზარდა. ლხინმა სამს დღეს გასტანა. უთვალავი ცხვარი და შინაური ფრინველები დახოცეს სტუმართათვის. დილიდან სა-ღამომდე ესმოდა ყველას ლხინის სიმღერა და ზურნის ხმა.

იმ სოფლურ ლხინის დროს, რომელიც ახალგაზრდა თა-ვადიშვილმა მთაში მიიღო, საჭირო იყო მთავრის შემკვიდრეს სამოქალაქო, ანუ სასულიერო განათლებაც მიეღო. არსლან-ბეგის ოსმალურ-არაბული ანბანი დააწყებინეს. მოსაწყენი იყო მის-თვის ეს დრო, ახალი მეცნიერება ისე არ ეადვილებოდა ახალ-გაზრდა ჯიგითს, როგორც მეცნიერება დარბევისა, ცარცვა-გლე-ჯისა, ქურდობისა და ტყვეთ-სყიდვისა. ოსმალურ-არაბულის ანბანის ასოები რაღაც ქაჯებად ეჩვენებოდა; თითქო მის თვალ-წინ ჰხტიან და დასცინიანო; იმასაც ბრაზი მოსდიოდა და თავის სატევრით „სულ ყველას თვალები დასთხარა“. უყვარდნენ ახალს ანბანს; და იმასაც ისე ულმობელად ეპყრობოდა არსლან-ბეგი, როგორც წინანდელს: უწყალოდ სტანჯავდა, ხმლით ჰკვე-თავდა, დამბაჩას ესროდა.

მამამ პირველში რამდენჯერმე აპატივა შვილს ასეთი წაქცევა-ლი, ხამიათ მეორე გული მოუვიდა, ჯარალი წვერთვალა ბოლოს დასაჯა კიდეც: ყოველსავე ამას მოჰყვნენ ებიდანე ბავშვებს მო-უთმენავი ახალგაზრდა, თავადი მეტად უკმეხად ექცეოდა თავისს მასწავლებელს, მოლლა მოლასა, მაგრამ მოლამ ყველაფერი უთ-მენდა, ბოლოს ფიცით მოითმინებდა წვერსაც მოლასაც. უნდა შეეტყო, არაბულ ანბანის ასოებზე ცხვირს ტუჩს თუ არა. გა-დუშვალა თავის ქურქი შაგირდს ყურანი დაუფუთხნა და წაიკითხო. არსლან-ბეგის ანბანებზე ეჯდა, ის ვერ უჩვენა, რასაც მასწავ-ლებელი ჰკითხავდა. ბოლოს, თავისმა მოუხვედრელობამ თვი-თონვე გააშმაგა და ყურანს დააფურთხა, მოლას, ცოტას გაწყდა,

არ გაგიჟდა და ქელეშ-ბეის შესჩივლა არსლან-ბეის საქციელი. მამაც გაბრაზდა და თავხედი შვილი ციხის კოშკში დაამწყვდე-ვინა.

მეორე დილას კოშკში არც არსლან-ბეი დაუხვდათ და არც მის სადარაჯოდ დაყენებული ჩაფარი. თავლიდან ორი საუკეთესო ცხენიც დაიკარგა. ახალგაზრდა ჯავადიშვილმა თავის ძიძის სახლში ამოჰყო თავი, დიდი სიხარულისაგან კინაღამ ჭკუაზე არ შეცდა. გაშმაგებულმა ქელეშ-ბეგმა აფხაზეთში ყველგან აფრინა კაცები ურჩის შვილის დასაჭერად; მაგრამ არსლან-ბეის თითქო დედა-მიწამ პირი უყო. არსლან-ბეი მისის ცხენოსნობისათვის ყველგან ძალიან უყვარდათ; თვალ-ში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ, ალმერთებდნენ, ფავი მოჰქონდათ, ასეთი კაცი გვყავსო, ამიტომ, რა თქმა უნდა, ასეთ მოყვარულ ხალხში თავის დამალვა არ გაუჭირდებოდა. ოღონდ კი მისულიყო ვისთანმე, და თავზე სამთელ-საკმეველად ევლებოდნენ. ყველა აფხაზი დიდ ბედნიერებად სთვლიდა, თუ ასეთი სახელოვანი სტუმარი, როგორიც იყო არსლან-ბეი, მისს ოჯახში თავისს ხელის ნაბან წყალს დაჰქცევდა; ასეთს სტუ-მარს ვინ გასცემდა, ვინ უღალატებდა! ამ დანაშაულს ხომ არავინ აპატიებდა მოღალატეს: ეს ღვთის გმობა და ღალატი იქმნებოდა.

რამდენსამე წელიწადს იყო ასე დაკარგული არსლან-ბეი. შემოიკრიბა გარშემო თავდადებული ერთგულნი აფხაზი თავადები და აზნაურები, ალვირ-აშვებულად დაიწყო რბევა და ნაცარ-მტუტება მეზობელ გურიისა, სამეგრელოსი და იმე-რეთისა. ოსმალეთის სამფლობელოშიც გადადიოდა, რიონსა და ფოთს იქით; მიდიოდა ყუბანის მთიულებისაკენაც და ანა-ფასაც დახედავდა ხოლმე. ხანდისხან არა-ერთხელ შეუდგენია გუნდი გულადთ ჩერქეზებისაგან სწორედ შალბუზის ძირას; ალალ-სავით დაჰქროდა ყუბანს იქით მოსახლე ყაზახ-რუსების სოფლებს; არა-ერთხელ შეჭრილა კისლოვოდსკში, პიატიგორსკ-შიც და ყოველთვის მდიდარის ნადავლით ბრუნდებოდა. რასაც იშოვიდა და მოიტანდა, ყველაფერს თავის ამხანაგებს დაუშმო-

კავშირეთი უჭირებდა. ხშირად, ამ ლაშქრობის დროს, თან წაჰყვებოდა ახალგაზრდა ცოლიც, საუკეთესო ცხენოსანი. დიდას მამის თუთმშულის და მის ძმებს გარდა არავინ იცოდა, რომ ლამაზად გამოწყობილი ძვირფას იარაღში ჩამჯდარი ახალგაზრდა ჯიგიტი — ნაზი და მშვენიერი ქალი იყო.

1806 წლის გაზაფხულზე არსლან-ბეი კისლოვოდსკს შეაფარა თავს, თანამყოლებთან ერთად ხშირად დია, ცოლსაც ეხმარებოდა, არ მოიტაცა იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის მშვენიერი ასული დარეჯანი, რომელიც კისლოვოდსკის მიდამოში დროს ატარებდა თავისს მეგობარ ქალთან, გეოგრაფიასთან, ყარაბაღის მთავრის იბრაგიმხანის ასულთან. მხოლოდ ფეხ-მარდმა ცხენებმა იხსნეს ორივე ქალი დაუწყნარებელ აფხაზის ხელისაგან.

1808 წლის დასაწყისამდე ასე უშიშრად დათარეშობდა არსლან-ბეი. ქელეშ-ბეგმა გამოაცხადა, ჩემს მემკვიდრედ და აფხაზეთის მთავრად ჩემს შემდეგ არსლან-ბეის მაგივრად ჩემი მეორე შვილი სეფერ-ალი-ბეგი გამომიცხადებიაო. ეს რომ გაიგო არსლან-ბეიმ, გადასწყვიტა, მამაც მოეკლა და ის ძმაცა, რომელიც გზაზე გადაეღობა. ამ აზრით, ვითომ შემორჩილდა მამას და გამოუცხადა სოუქსუში, გთხოვ, მაპატიო შეცდომაო, და, მთიულების ჩვეულებისამებრ ახმალ, კისერზე ხმალ-დაკიდებული შევიდა მამის სახლში; ეს იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავე ვარ, აჰა ხმალი და დამნაშავე კისერი მომჭერიო.

ქელეშ-ბეგმა შვილს დანაშაული აპატია... უკვე ღამე იყო; რა მოჰყვა ამას?

## III

ქელეშ-ბეგის დასადამის ოროსი უმცროსის შვილების ამბავი ელვის სიმალეზე მოედო მთელს აფხაზეთს. ის წარმოადგენდა თავმოყვარეობისა, რომელსაც მოსწონდა. მოხუც ბეგს აზრი რუსეთთან შეერთების შესახებ, ძალიან დალოცვილი იყო მისის სიკვდილის ამბით დაჰკიცხავდა მამისა და ძმების მკვლელს. მაგრამ ყველამ როდი იყო ერთი აზრისა, უფრო ახალგაზრდა თა-

ვად-აზნაურები აფხაზეთისა — თავზე-ხელ-აღებული ჯიგითები და ცხენოსნები, რომელთათვის მტრების აკლება და ძარცვა-გლეჯა ჰაერსავით საჭირო იყო, არსლან-ბეის თანაუგრძნობდნენ, ისე ჰყავდათ ყოველთვის უფროსად, როცა რამე ავაზაკობა უნდა ჩაედინათ, და ავაზაკობა, როგორც ვაჟკაცურ შემდგომს და საქებარ საქმედ მიაჩნდათ!

ყველამ, ვისაც ჭკუა და შორს-გამჭვრეტელობა მოეთხოვებოდა, გაიგო თუ არა ქელეშ-ბეგის სიკვდილი, სოუქსუსკენ შეაშურა, რომ უკანასკნელი პატივი ეცა აფხაზეთის მთავრის მცხედრისათვის, აგრეთვე სამძიმარი ეთქვა მისის ოჯახისათვის და გაეკიცხა ბოროტ-მოქმედი, რომელიც მამა-ძმების მოკვლის შემდეგ თავის მომხრეებითურთ სოხუმში გაიქცა და თავი ჩაიკეტა იქაურს ციხეში, თანაც ბედს ემდუროდა, საწადელს მაინც ვერ ვეწიეო.

ახლა უნდა მოვგახსენოთ, რისთვის ემდუროდა ბედსა. გაიგო თუ არა, მამამ ტახტის მემკვიდრედ სეფერ-ალი-ბეი გამოაცხადაო, მოინდომა ერთად მოეკლა მამაცა და მემკვიდრე ძმაცა, რომ თითონ დარჩენოდა აფხაზეთის სამთავროს ტახტი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ, როცა არსლან-ბეი და მისი მომხრეები სოუქსუში მოვიდნენ ქელეშ-ბეისა და მისის შვილის მოსაკლავად, სეფერ-ალი-ბეი აქ არა ყოფილა. იმავ საღამოს, არსლან-ბეის მოსვლამდე რამდენისამე საათით წინ, სეფერ-ბეი და მისი ცოლი სამეგრელოში გამგზავრებულან.

სეფერ-ალი-ბეის ცოლად ჰყავდა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და. ამ რომანის ამბავი, რომელიც ჯვარისწერით გათავდა, აფხაზეთში არავისა ჰქონდა გაგებული, თვით არსლან-ბეისაც. ეს საიდუმლო მხოლოდ ორმა იცოდა: გრიგოლ დადიანმა და მისმა მეუღლემ, დედოფალმა ნინომ, აი თვით საიდუმლოცა: სეფერ-ალი-ბეი ხშირად დადიოდა სამეგრელოში დადიანებთან. ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, რომ გრიგოლ დადიანის და შეუყვარდა, დიდ-თვალა ცელქი თამარი. ქალი სამხრეთის ქალების იმ უმრავლესობასა ჰგვანდა, რომელთაც მწვავე მზე სამხრეთის მწვავე ხასიათსაც უნერგავს ხოლმე. თავის

მხრივ იმანაც მხურვალედ შეიყვარა ლამაზი აფხაზი და იმის მეტი სხვა არავინ უნდოდა საქმროდ. პირველად არავინ იცოდა; რადგან ეუბნებოდნენ უარს თავადის ასული სხვა საქმროებს, მაგრამ მისმა ძიძამ, რომელსაც სიცოცხლეც კი არა შურდა თავის გაზრდილისათვის, შეიტყო საიდუმლო: მიუხვდა, რომ სეფერ-ალი-ბეი უყვარდა. თავადმა გრიგოლმაც შეიტყო ეს და დედოფალმა ნინომაც. მაგრამ რა უნდა ექნათ? ჯვარი როგორ უნდა დაეწერათ სეფერ-ალი-ბეისათვის თამარზე? — თამარ ქრისტიანი იყო, სეფერ-ბეი კი მუსლიმანი. მაგრამ მძლეთამძლე სიყვარულმა სარწმუნოების ბრძანებას არ მიხედა: სეფერ-ალი-ბეი იდუმალად მოინათლა, აფხაზეთის მთავრების ისტორიულ გვარის ჩამომავალს სახელად გიორგი უწოდეს.

ქელეშ-ბეგის სიკვდილის წინა საღამოს სეფერ-ალი-ბეი და თამარი სოუქსუდან სამეგრელოს დედოფალთან ნინოსთან წავიდნენ, მის დაბადების დღეობის გადასახდელად. იმავ ღამეს მდევრები დაადევნეს და შეატყობინეს, რაც უბედურება მოხდა სოუქსუში. სეფერ-ბეი და თამარიც მაშინვე გზიდან დაბრუნდნენ. როცა სოუქსუში მოვიდნენ, მთელი სოფელი ბღაოდა, ჰკიოდა, მოსთქვამდა, ასე გეგონებოდათ, მეორედ მოსვლა უნდა დადგესო, მაგრამ მარტო თვისს მწუხარებას აცხადებდნენ, ჩვეულებრივად: ქალები თმას იგლეჯდნენ, ფრჩხილებით ისე იხოკდნენ ცხვირ-პირს, სანამ სისხლი არ დაედინებოდათ; მამაკაცნი თავპირში იცემდნენ, გულში ქვებს იშენდნენ. ის ხალხი, რომლისათვისაც კაცის მოკვლა უბრალო „მიხვრა-მოხვრაა სხეულისა“, რომელიც მხოლოდ იმიტომ იტყვის, კაცი მოკვდაო, რომ მკვდარს სატევრის ხმარება აღარ შეეძლება, ეს ხალხი დიდის ამბითა სტირის მკვდარსა. სამხრეთის ცხარმა ბუნებამ ზომიერება არაფერში იცის და აქაც თავი იჩინა სრულიად ბუნებრივად ამ თვისებამა.

ამ წივილ-კივილით და საზოგადო ტირილით მიეგებნენ სეფერ-ბეისა და თამარს სასახლეში. მოკლულთა გვამები ცალკე ოთახში იყო დასვენებული, მაღლად, ტახტზედ და ზევიდან ყვითელი მაუდი ჰქონდათ გადაფარებული, — დიდის გლო-

ვის ნიშნათ. ქელეშ-ბეგის მკვდარი წინ ესვენა. შუბლი თეთრის ჩადრითა ჰქონდა შეხვეული, რომელზედაც ოქროს ასოებით ამოქარგული იყო ყურანის სიტყვები. ჩადრი ჩალმასავითა ჰქონდა შემოხვეული და სანახევროდ უფარავდა არსლან-ბეგის ხმლით გაჭრილ თავის ქალასა და შუბლს. უფრო დაბლა მარჯვნივ და მარცხნივ, თითქო მამას ეკვრიანო, ესვენნენ ორი ცანდომიანის სახის ბავშვები — უმცროსი შვილები ქელეშ-ბეგისა.

თამარი და სეფერ-ბეგი იმ ოთახში რომ შევიდნენ, სადაც მიცვალებულები ესვენა, ტირილით და კვნესით მიეგებნენ. აქ უფრო მეტად გულის ამაღელებელი სურათის მოწამე გახდნენ. ქელეშ-ბეგის ახალგაზდა ქალები, აგრეთვე რძლები, ცოლები საფერ-ბეგის უმცროს ძმებისა: ჰასან-ბეგისა, შაჰალ-ბეგისა და თაირ-ბეგისა, ყვირილით სამოსელში სამგლოვიაროდ მორთულნი, თმა-გაშლილნი, ვიშითა და ტირილით მშვენიერს თმას ბღუჯა-ბღუჯად იჭრიდნენ და თითქო მათი ყვავილებს დააყარესო, მამის, ძმების, რძლების და მაზლების ცხედრებსა ჰფარავდნენ ამ თმითა.

ამასობაში ეზოდგან უაროსის ტირილისა და ყვირილის ხმა შემოვიდა: სოფლებიდან არსლან-ბეგის მსხვერპლების ძიძები ჩამოსულიან. ძიძას აფხაზეთში დიდი პატივი აქვს, წმინდა პირად ითვლება. თავისის ძიძების საშუალებით აფხაზეთის თავადები არამც თუ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხთან, არამედ იმათისავე საშუალებით იძენდნენ უფლებასა და ძალას თავისს ქვეყანაში. თავადიშვილს შვილი დაებადება თუ არა, — ქალი იქნება, გინა ვაჟი — მაშინვე ძიძას მიაბარებენ რომელსამე სოფელში. მაშინ არამც თუ ძიძის ოჯახი, თვით მთელი ის სოფელი, სადაც ძიძა სცხოვრობს, ნათესავად ითვლება გასაზრდელად აყვანილი ბავშვის დედ-მამისა, და მათს ერთგულ ყმებად და მოსამსახურედ ხდებიან: მათთან ერთად ომში მიდიან, ეხმარებიან სხვა თავადიშვილთან ბრძოლაში და, საჭიროების დროს, მზად არიან მათთვის თავი დასდონ. ამაზე მეტსაც ვიტყვით: ქელეშ-ბეგ შარვაშიძის გვარი არა მარტო აფხაზებს აძლევდა შვილებს გასაზრდელად, არამედ ჩერქეზებს, ჯიქებს, უბი-

ჯებსთიდაც სხვა მთისწვერებს. გაჭირვების დროს ყველანი დარჩეულ ბიჭებს უგზავნიდნენ, რომელნიც მარჯვენა მხრით დროშის ქვეშ თავგანწირვით იბრძოდნენ და სისხლს ჰღვრიდნენ. ახლა, როცა ქელეშ-ბეგისა და მისი უმცროსის შვილების სიკვდილის ამბავი შეიტყეს მთელს აფხაზეთში, ძმები მოკლულ თავადებისა სატირლად წამოვიდნენ, იმათ თან წამოჰყვნენ მთელი ნათესაობა და სოფელი. აი ესენი იყვნენ, რომ სწყევლიდნენ მკვლელს და სტიროდნენ დაღუპულთა.

პირველად მიცვალებულთან შემოიყვანეს სიბერისაგან დაღეული დედა-კაცი, შესაზარის სახისა, რომელიც გაშმაგებით იგლეჯდა ჯერ ისევ სქელს და გათეთრებულს თმას და ფრჩხილებით სახეს იკაწრავდა. მოთქმით ტირილი აღარ შეეძლო, რადგან წყევლისა და კივილისაგან ხმა წართმეოდა, მხოლოდ დაუძლურებულ გულიდან ხრინწიანი ხმა-ღა ამოხდებოდა. ეს იყო ასის წლის მოხუცი, ძიძა თვითონ ქელეშ-ბეგისა. ყველამ გზა უტია და მიცვალებულთან მიუშვეს. მიცვალებულის შუბლზე ჭრილობა რომ დაინახა, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო, საშინლად დასწყევლა მკვლელი და თავის გაზრდილის უსულო გვამს ზედ დააკვდა. მასთან ერთად ჰკიოდნენ სხვა ძიძები და ტირილით ქელეშ-ბეგის შვილების სხეულებზე ემხობოდნენ.

ხელახლა გაისმა არა-ჩვეულებრივი კივილი ეზოში. ტირილსა და კივილში ამას-ღა გაარჩევდა ადამიანი: — „ბათალ-ბეი! ბათალ-ბეი!“ თვისის ნათესავებითა და მთელის სოფლით მოსულიყო ბათალ-ბეის ძიძა; იმას გაეგო, ჩემი გაზრდილიც მომიკლესო. მაგრამ ბათალ-ბეი არ მომკვდარა; მხოლოდ დაჭრილი იყო მძიმედ და ახლა ცალკე ოთახში იწვა, სადაც ახალგაზრდა ცოლი და რამდენიმე მოახლენი თავს ადგნენ და უვლიდნენ.

— ბეგის სხვა შვილები რა იქმნენ? ხასან-ბეი, თაიარ-ბეი სად არიან? — იკითხეს აივანზე დამდგარ მომტირალთ; ნუ თუ ისინიც მკვლელთან ერთად გაიქცნენ?

— არა, — უპასუხა ერთმა ბეგის ნუკერმა, — ხასან-ბეი და თაიარ-ბეი მამის ერთგული შვილები არიან; ახლა სოუქსუში



P-31958 10.405

არ იმყოფებიან; ამ დღეებში მანუჩარ შარვაშიძესთან წავიდნენ, მისს ძველ კოშკში, სანადიროდ.

— აი ისინიც მოსულან! —წამოიძახა მეორე ნუკერმა და უჩვენა სამი ცხენოსანი, რომლებიც ეზოში შემოვიდნენ. თან ახლდნენ რამდენიმე ჯიგითები.

ესენი იყვნენ თავადი მანუჩარ შარვაშიძე და ორი შვილი ქელეშ-ბეგისა, ხასან-ბეი და თაიარ-ბეი, რომლებიც მოკლულ მამასა და ძმებთან მოეშურებოდნენ. თავადმა მანუჩარმა მაშინათვე დაინახა, რომ ყველანი, ბეგის სასახლეში მყოფნი, მტრულად მიყურებენო. და ამ მტრობის მიზეზი უეჭველად უნდა სცოდნოდა: მისი ღვიძლი ძმა, თავადი ბეჟან შარვაშიძე, მონაწილეობას იღებდა ქელეშ-ბეგისა და მისის ორის შვილის მოკვლაში. ამიტომ ისე გრძნობდა თავს, თითქო მეც მიდევს წილი ამ ავაზაკობაშიო. გზაშივე ჰფიქრობდა: რა ვქნა და როგორ მოვიქცე აფხაზეთის ამ გაჭირებულ დროსაო, ან სეფერ-ბეის რითი და როგორ მოვეხმაროვო? სეფერ-ბეის დიდი მეგობარი და ნათესავიც იყო, რადგან ცოლადა ჰყავდა სამეგრელოს დედოფლის ნინოს ასული. ამიტომ, მიცვალებულთან შევიდა თუ არა, საჯაროდ გამოაცხადა, თუ რა უბედურება დაატყდა თავს მისს სამშობლოს ქელეშბეგის სიკვდილით, თან დასწყევლა და შეაჩვენა სულმდაბალი მკვლელი და მიზეზი საზოგადო უბედურებისა. შემდეგ გაიხმო სეფერ-ბეი ცალკე ოთახში, რომ დაუყოვნებლივ მოჰლაპარაკებოდა, რა ვქნათ და რა ვიღონოთო.

— შენ რას აპირობ, საცოდავო სეფერ?—ჰკითხა მანუჩარმა, როცა მარტო დარჩნენ.

— მე თვითონ არ ვიცი, ჩემო მანუჩარ, თავტაში დავკარგე,—უპასუხა მწუხარებისაგან გატეხილმა სეფერ-ბეიმ, რომელსაც ჯერ კიდევ ანგარიშში ვერ მიეცა თავის-თავისთვის, რა ამბავი ხდება ჩემს თავსაო.

— ნუ დაივიწყებ, მკვლელი არც შენ დაგინდობს,—უთხრა მანუჩარმა,—შენც იგივე მოგელის, რაც მამა-შენსა და შენს ძმებს დაემართათ.

— ვიცი... მაგრამ რა ვქნა?

— მე გავიგე, რომ მამა-შენს,—ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!—არსლან-ბეის სურვილის წინააღმდეგ შენ დაუნიშნიხარ აფხაზეთის ტახტის მემკვიდრედ.

— მართალია, მე დამნიშნა.

— ანდერძი სადაა?

— აი აქ, ამ მაგიდაშია,—უთხრა სეფერ-ბეიმ და დიდის მაგიდის უჯრა აჩვენა, რომელშიაც საიდუმლო ქაღალდები ინახებოდა.

— ძალიან კარგი... ახლავე უნდა საჯაროდ წავუკითხოთ აქ შეკრებილ თავადებს ანდერძი და ყველას ვუჩვენოთ. აივანზე გადმოვდგები და ჯერ მე თვითონვე წავიკითხავ, მერე მოლამ მეჩეთში წაიკითხოს. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. საიდუმლოდ შევიტყე, არსლან-ბეი ჩუმად მოჰლაპარაკებია ფოთის პატრონს, ქუჩუკ-ბეის. შველა უთხოვნია ქუჩუქ-ბეისა და ოსმალებისათვის,—მაშინ ჩვენა და ჩვენი საწყალი აფხაზეთი დავიღუპებით.

— რა ვქნათ? გასაჭირს როგორ დავაღწიოთ თავი?—უნუგეშოდ წამოიძახა სეფერ-ბეიმ.

— ერთად-ერთი ხსნა—რუსეთია.

— ამას მამაც მელაპარაკებოდა...

მაგრამ მათი გადაწყვეტილება არ ასრულდა: აფხაზეთის მთავრის უანაწერო სახლს ახალი უბედურება დაატყდა თავზე

## IV

იმ ოთახში, სადაც ქეფერ-ალი-ბეი და თავადი მანუჩარ შარვაშიძე თათბირობდნენ, კვნესით დედაბერი ქინა შემოვიდა, ქინა—საპატიო გამდელი და სახლის ყურის-მგდებელი იყო ქელეშ-ბეგისა, დედოფლის სიკვდილის შემდეგ მას ებარა ოჯახი, მოხუცი ქინა ზედმიწევნით ასრულებდა თავისის ქვეყნის ჩვეულებებს, და მისს განკარგულებებს ამ შემთხვევაში თვით განსვენებული ქელეშ-ბეგიც ემორჩილებოდა. დედაბერი ოხვრით,

კვნესით და ხელების მტვრევით შემოვიდა ოთახში. კისერზე ხმალი ჰქონდა დაკიდებული.

— ბატონო! — კრუსუნებდა დედაბერი: — აიღე ხმალი და თავი მომჭერი... ვაი ჩემს თავს!..

— რა დაგემართა, ქინა. — გაუკვირდა და თან შეეშინდა სეფერ-ბეის.

— ვჰ, აჰ! მომჭერი თავი, ღირსი არა ვარ, ქვეყანას ვუყურო ჩემის დასავსების თვალებით! — ჰკვნესოდა დედაბერი.

— რა იყო, რა მოხდა? ერთი კარგად გამაგებინე! — ჰკითხა მანუჩარმა.

— რა და ჩემი სიკვდილი.. რაი და როცა ჩემი ბატონი და მისი ორი შვილი მომიკლეს, — ალაჰ, შენ დაუმკვიდრე მაჰმადის სამოთხე, — ჰო, როცა მომიკლეს, და ჩემი სამიწე თავტანი დავკარგე... ღმერთო, მომკალი და გამათავე!

— მერე რა იყო? არ მეტყვი? — მოუთმენლად დაეკითხა კიდევ სეფერ-ბეი.

— ბატონო, დამავიწყდა, სახლისათვის სარტყელი შემომერტყა... ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს შავს დღეს!...

— რა სარტყელი? რისთვის? — გაუკვირდა მანუჩარს.

— ბატონო! — შენ ალბად უცხო მხარეში ხარ გაზრდილი... ალბად არ იცი, რომ სახლისთვის სარტყელი უნდა შემომერტყა...

— რა უნდა შემოგერტყა? რისთვის?

— აბრეშუმის ზონარი, ბატონო, — ყოველთვის უნდა ვქნათ ასე, რომ სიკვდილის ანგელოზმა კიდევ არავინ წაიყვანოს ქვეშქნეთის სამეფოში.

ეს ცრუმორწმუნება მართლა იყო და დღესაც არის აფხაზეთში. როცა ვინმე კვდება აფხაზის ოჯახში, სახლს გარშემო აბრეშუმის ზონარს შემოახვევენ, რა არის, სახლში შემოსულმა ანგელოზმა კიდევ სხვა ვინმე არ წაიყვანოს ოჯახიდანაო.

— რა იყო? — ჰკითხა შეშინებულმა სეფერ-ბეიმ. — სხვა ხომ არავინ მომკვდარა?

— სიკვდილზე უარესი ამბავი მოხდა, ბატონო. ვაიმე! — ისევ დაიწყო ღრიალი დედაბერმა.

— ვინმე მოჰკლეს? — დაეკითხა სეფერ-ბეი.

— უარესი, ბატონო! ვაიმე, ვაიმე... შენი საყვარელი დაი როსტახანუმი, ჩვენი საუნჯე, აფხაზეთის ვარდი, აღმოსავლეთის თვალი, — ჩვენი როსტა-ხანუმი წყალში დაიხრჩო.

— დაიხრჩო! — ერთად წამოიძახეს სეფერ-ბეიმ და მანუჩარმა. — სად? როგორ?

— მამის სიკვდილი ილორში შეუტყვია, ქეთა-ხანუმის სახლში, და გიჟსავით გამოუჭენებია ცხენი აქეთკენ, თან ორი ნუკერი წამოუყვანია. ალაჰ, ალაჰ!.. ცხენი დაღლილა... მთებში საშინელი წვიმა მოსულა; სოუქსუში წყალი ადიდებულა და შმაგივით ღრიალებდაო. ხანუმას მდინარეში შეუგდია ცხენი... ვაიმე! ვაიმე!.. ცხენი წაფორხილებულა და წყალს როსტა-ხანუმი მოუტაცნია... ვაიმე... მე ვარ დამნაშავე!.. მომჭერით თავი — აი ხმალი. ჩემის ბატონის სახლს სარტყელი არ შემოვარტყი.

— როსტა-ხანუმი ხომ სახლს გარედ იყო! — ჩაერია ლაპარაკში მანუჩარი.

— სულ ერთია... სიკვდილის ანგელოზმა ვერ დაინახა სახლის სარტყელი და იმიტომ მოგვტაცა ჩვენი საუნჯე, ჩვენი თეთრი სოსანი... ღმერთო, მომკალი, მომკალი!..

სეფერ-ბეის ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. საშინლად უყვარდა თავისი დაი, თავისი „თეთრი სოსანი".

— მერე? იპოვეს დამხრჩვალი? — ჩუმად და როგორღაც მოკრძალებით ჰკითხა მანუჩარმა.

— იპოვეს, გენაცვალე, ეს არის, ახლა მოიტანეს... მამასთან.

— მალე იპოვეს გვამი?

— მალე... მაგრამ სული კი ვერ იპოვეს, სული წამხრჩვალა. ახლა სული უნდა ამოვიყვანოთ წყლიდან. წავალ და როგორმე ამოვიყვან, მერე კი მომჭერით თავი.

სეფერ-ბეი ცოტა გონს მოვიდა და მძიმედ ამოიოხრა, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი გადაუგორდაო.

— წავალ, დავხედავ... ოჰ, ჩემო სოსანო!..—მწარედ იქნევდა თავს,—ისიც მამასა და ძმებს გაჰყვა და ჩვენ კი დაგვტოვა...

შევიდნენ მიცვალებულთა ოთახში, სადაც ჯერ ისევა სტიროდნენ და ხმა-მაღლა გაჰკიოდნენ. ქალების თმით დაფარულ ქელეშ-ბეგის მცხედრის გვერდით ესვენა ახალგაზდა, თვალწარმტაცის სილამაზის ქალის გვამი. გაფითრებულ სახეზე დაფიქრება ეტყობოდა: სიკვდილს აღებეჭდა მისს თითქმის ბავშვურ სახეზე ყველასათვის გამოუცნობელი ფიქრი. ქელეშ-ბეგის მარცხენა მხარეზედ ესვენა, თითქო ბავშვურად მამას ეხუტებაო. მისი საუცხოვო შავი თმა, აგრეთვე ტანისამოსი სველი იყო. მარჯვენა საფეთქელთან პატარა ჭრილობა ეტყობოდა. როცა მდინარეში ჩავარდნილა, საფეთქელი გაფხავებულ ქვისათვის დაურტყავს და სულიც განუტევებია.

— საწყალო, უმანკო ბალანავ!—ჩურჩულებდა სეფერ-ბეითან დაიხარა და დიდს, ცივს, მარმარილოს მსგავსს შუბლს აკოცა, რომელიც, ასე იტყოდით, გენიოს მოქანდაკეს გაუთლიაო.—წმინდა ანგელოზო!—ჩურჩულებდა სეფერ-ბეის გამშრალი ტუჩები:—ევედრე მოწყალე ღმერთს, შენს უმანკო ლოცვას შეგისმენს, თუმცა ქრისტიანი კი არა ხარ... ევედრე მამისა და ძმებისთვის... ჩემო სოსანო, ჩემო ღუღუნა მტრედო!...

ამასობაში მოხუცი ქინა, კისერზე ხმალ-დაკიდებული, ტირილით გავიდა ეზოში მდინარეზე წასასვლელად, რომ იქიდან დამხრჩვალ თავადის ასულის სული „ამოებრძანებინა“. სხვა აფხაზებსავით ქინაც დარწმუნებული იყო, რომ დამხრჩვალ ადამიანის სული მანამდის წყალშია, სანამ იქიდან არ გამოუძახებენ და გუდაში არ ჩააბრძანებენო. ხოლო უსულოდ ტანის დამარხვა არ შეიძლებაო. მათისავე აზრით, საიქიოს სულ ივლის უგზო-უკვლოდ, სულ თავის ტანის ძებნაში იქნება, დასტიროდეს იქმნება დაკარგულს ტანს, საუკუნო სამყოფელს, თვით მიწის ქვეშეთშიაც დაუწყებს ძებნას, იქნება აქ ვიპოვნოვო.

როცა ეზოში მოხუცმა ქინამ სთქვა, დამხრჩვალ როსტახანუმის სული უნდა ვეძებო მდინარეშიო, ქელეშ-ბეგის სასახ-

ლის ეზოში რაც ხალხი იყო, სულ დედაბერს გაედევნა მდინარისკენ. ქინას ხელში პატარა უხმარებელი თხიერი ჰქონდა, ციკნისა, და გრძელი, რამდენისამე მხარის სიგრძე, აბრეშუმის ძაფის ზონარი. უკან მისდევდნენ მესაკრავენი, თან წაიღეს „აფჭიარცა“ (ჭიანური) „აჩანგურ“ (ჩონგური) და სხვა საკრავნი. ყველაზე ბევრი ქალები და ბავშვები იყვნენ,—ამათ ხომ სეირსავით არაფერი უყვარსთ! ხალხი მალე მივიდა მდინარესთან. მდინარე ისევ ღრიალებდა, თუმცა ისე კი არა, როგორც ამ ერთის საათის წინ. გაზაფხულის ნიაღვარს, მთიდან ჩამოხეთქილს, წყალი საზარლად აეზვირთებინა.

— რომელ ადგილას იპოვეთ როსტაჩანუმის გვამი?—ჰკითხა ქინამ ნუკერებს, რომლებიც ქალს ილორიდან ახლდნენ და რომელთაც მისი უსულო გვამი წყლიდან ამოიღეს.

— აი, სწორედ იმ ადგილას, ბებია ქინა,—უპასუხა ერთმა ნუკერმა:—აი, იმ ქვის პირდაპირ.

— მაშ აქ უნდა გავსჭიმოთ ზონარი,—სთქვა დედაბერმა.—ჩემო მზეო, ჩემო ვარდო, ჯერ ისევ გაუფურჩქვნელად დამჭკნარო!—დაიწყო ტირილი ქინამ.

დედაბერმა ზონრის შუაზე მოაბა თხიერი, ქვეითკენ თავი მოხსნილი დაუტოვა,—დამხრჩვალის სული თავისუფლად „შებრძანდესო“.

— ახლა გადაჭიმეთ მდინარეზე,—უთხრა დედაბერმა ნუკერებს და ზონარი და თხიერი გადასცა.

ერთმა თავში მოჰკიდა ხელი ზონარს, მეორემ თხიერი და ზონრის ბოლო ხელში დაიჭირა და წყალში შევიდა. წყალი ისე იყო აღტყინებული, ისე სწრაფად მიჰქროდა, რომ ნუკერი ფეხზე ძლივასღა დგებოდა. წყალმა გულამდე შეასხა.

— თხიერი არ გაგვარდეს ხელიდან!—გააფრთხილა ქინამ.—ალაჰ, ალაჰ!

ზონარი, როგორც იქნა, გადაჭიმეს მდინარეზე, მაგრამ ისე ცოტათი იყო აცილებული, რომ თხიერის ღია პირს წყალი თითქმის ეკარებოდა.

— დაიწყეთ!—უთხრა ქინამ მესაკრავეთ და მთელს ხალხს.—ალაჰ აჰბერ! ალაჰ ქერიმ!..

დაუკრეს საკრავებს აფხიარცას ხმასთან ერთად ისეთნაირად გაჰკიოდნენ, თითქოს ვინმე ახრჩობსთო. ამასთან, ყველას შიშითა და კრძალვით მიეჩერებინა თვალები თხიერისათვის, რომელსაც წყალს ზემოთ ქარი ნელა აქანავებდა. თხიერი ისევ გაბრტყელებული იყო — დამხრჩვალის სული, ეტყობოდა, არ შედიოდა. მესაკრავეთ უმატეს დაკვრას.

— ლია-ილლაჰ ილ-ალაჰ, მუჰამედ რასულ ალაჰ! — ლოცულობდა მოხუცი ქანა და გულზედ ხელს იჰერდა. — „წამობრძანდი, როსტაჯანუმის ტკბილო სულო! წამობრძანდი შენს სახლში“.

— შეიძლება შისი სული წყალმა ქვეით წაიღო? — შენიშნა ერთმა დედაბერმა.

— იქნება, ზღვაშიაც ჩაიტანა წყალმა? — სთქვა მეორემ.

— არა უშავს, ზღვიდანაც მოსცურდება, თუ ჩვენი ხმა გაიგონა, — უპასუხა კოქლმა „აფხიარცა-არჰვავჟმა“ (მექიანურემ), რომელსაც ფეხი ერთის ჯირითობის დროს მოსტეხოდა.

მაგრამ თხიერი ისევ გაბრტყელებული იყო, არ გაივსო.

— ლია-ილლაჰ ილ ალაჰ, მუჰამედ რასულ ალაჰ! — იძახოდა მოხუცი ქანა და თან თავსა და ტანს აქანტურებდა. — ხომ იცი, გენაცვალე, როგორ გიყვარდი, როგორ თვალისჩინივით გიფრთხილდებოდი?.. მაგრამ, ღმერთი გამიწყრა, და ვერ გიპატრონე, ხელი დაგიკელი... გასკდი, მიწავ, და თან ჩამიტანე!..

— უყურეთ, უყურეთ! — წამოიკივლა შეშინებით ერთმა ქალმა. — სული შედის, შედის!

— შედის, შედის! თხიერი იბერება... გაიგონა ჩვენი ხმა.

— ალაჰ ალაჰ! — სიხარულით ამოიკვნესა ქანამ.

ქარმა წყალზე დაკიდული თხიერი მალე გაჰტიკნა ჰაერით.

— შებრძანდა, შებრძანდა! — გიჟსავით დაიკივლა მოხუცმა გამდელმა და წყალში შევარდა, დახრჩობის არც კი შეშინებია.

მაგრამ ბებერმა თავისის სუსტის ფეხებით ვეღარ გაუძლო და მთის ჩქარ წყლის ტალღებმა წააქცია.

— დაიხვრჩება, დაიხვრჩება! — შეშინებით დაიწყეს ძახილი, — არიქა, უშველეთ!

რამდენიმე კაცი წყალში გადაეშვა და დედაბერი დაიჭირეს.

— გამიშვით, მასთან უნდა წავიდე! — იძახდა ქანა და ხელიდან უნდოდა გასხლტომოდა კაცებს. — მარტო ჩემი მორჩილი იყო... მე უნდა წავიყვანო მისი სულიკო, თილისმის ზონრით შევკრავ, თორემ ისევ გამექცევა.

სულ თხიერისაკენ იწევდა. კაცებს იქით-აქეთ ეჭირათ მისი ტანი და ძლივს მიიყვანეს შუა წყლამდე.

— ოჰ, ჩემო ხანუმა, ჩემო ოქრო, ჩემის სულის მარგალიტო! — ჩიფჩიფებდა ქანა, თანმთხვევრის მაგრამდ უკრავდა თავს, რომ იქიდან ჰაერი — თავისის საყვარელის როსტა-ხანუმის სული — არ გამოეშვა. მერე ზონრიდან ჩამოხსნა ფრთხილად.

დედაბერმა გულზედ მიიკრა თხიერი და ასე ნაზირად გაიყვანეს. დამხრჩვალის სული დაიჭირეს და წყლიდან „ამოაბრძანეს“.

V

შესაფერის დიდებით და ადგილობრივის ზნე-ჩვეულებების თანახმად მიაბარეს მიწას ქელეშ-ბეგი, მისი ვაჟები და ქალი. თხიერიდან ჰაერი, ანუ როსტა-ხანუმის სული, მდინარიდან „ამობრძანებული“, სამარეში ჩაუშვეს. ამის შემდეგ სეფერ-ალი-ბეიმ მაშინათვე წერილი მისწერა იმპერატორს ალექსანდრე პავლეს ძეს და გრაფს გუდოვიჩს, კავკასიის იმდროინდელ მთავარმართებელს: მთელის ჩემის ქვეყნით რუსეთის ქვეშევრდომად ჩაგვრიცხეთო. თანაც ჰპირდებოდა, მთელის აფხაზეთის ერს და თავადაზნაურობას მართლ-მადიდებელს სარწმუნოებას მივაღებინებო. მე ცოდვილი ხანია, მონათლული ვარ, მხოლოდ ვმალავდი, არ მინდოდა ჩემს მოხუცებულს მამას, ჭეშმარიტ მუსულმანს, შევეტყოვო.

არც არსლან-ბეი იჯდა გულხელდაკრეფილი. თავისის ერთგულ მეგობრებით სოხუმის ციხეში გამაგრდა, თან ჰქონდა ძლიე-

რი არტილერიაცა. რაც სოუქსუში ხდებოდა, მომხრეები ყველაფერს ატყობინებდნენ. შეიტყო, სეფერ-ბეიმ შიკრიკები აფრინა ტფილისში და რაღაც ქაღალდები გაატანაო. მაშინადვე მიხვდა ამ ქაღალდების შინარსსაც.

— არსლანს თვალები უჭრის და ყურებიც ძალზე მახვილი აქვს; ესმის, ტფილისში როგორა სჭედავენ აფხაზეთისათვის რკინებსა ან სეფერ-ბაბის ბაღში, სოუქსუს, როგორ ამოდის ბალახი, — ეუბნებოდა თავის-თავზე არსლან-ბეი თავისს მეგობარს ბეჟან შარვაშიძეს, — სეფერ-ბაბა ფრინველს ეძახის, მთვარე დაჰკენკეო.

— რა ფრინველს? — ჰკითხა ბეჟანმა.

— აი, ორთავა არწივს.

— მესმის, მესმის! — გაიცინა ბეჟანმა, — ალბად, რუსის არწივს ეძახის, ფადიშაჰის ნახევარ-მთვარე დაჰკენკეო... მაგრამ მთვარემდე ჯერ ვერცერთს ფრინველს ვერ მიუღწევია, და ორთავა კი არა, ათ-თავა ფრინველიც რომ იყვეს, მაინც ვერ აატანს.

— სეფერ-ბეის მაინც ჩაყლაპავს, ისე როგორც იმერეთის მეფე სოლომონი ჩაჰყლაპა; იგივე არწივი იყო, რომ საქართველოში ყველა მეფეები დაჰკენკა და თავის ბუდეში გაათრია, — პირქუშად შენიშნა არსლან-ბეიმ.

— მხოლოდ ჩვენს აფხაზეთს ვერას დააკლებს! — უთხრა ბეჟანმა, — არა?

— ვერას დააკლებს, — დაეთანხმა არსლან-ბეი: — მთვარის უკან ამოვაფარებთ.

არსლან-ბეისა და ბეჟან შარვაშიძის ლაპარაკის შემდეგ, ბომბორის ნავთსადგურში ნავი გამოაწყვეს, შიგ ჩასხდნენ ბეჟანი და არსლან-ბეის რამდენიმე მომხრე და ფოთში წავიდნენ. ბეჟანს კავშირი უნდა შეეკრა ფოთის მპყრობელ ქუჩუქ-ბეისთან იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი დახმარებოდა არსლან-ბეის, თუ ვინიცობაა, სეფერ-ბეი თავისს მომხრე აფხაზებს წამოიყვანდა, რუსის ჯარსაც მოიშველიებდა და სოხუმის დაპყრობას მოინდომებდა. არსლან-ბეი ასე ჰფიქრობდა, თუ ვინიცობაა, ჩემის მე-

ზეზით რუსები არ მიეშველნენ სეფერ-ბეის ან დროზე ვერ მოასწრეს მოხმარება, ყოველსავე შემთხვევაში მეგრელები აღმოუჩენენ შემწეობას, იმიტომ რომ სამეგრელოს დედოფალი ნინო სეფერ-ბეის ნათესავიაო. ერთის სიტყვით, არსლანბეის ოსმალეთის იმედი ჰქონდა. თუ დამიხსნის, ისევ ოსმალეთი დამიხსნის როგორც სამეგრელოსა, ისე ორთავა არწივისაგანაო.

ორთავიანი არწივი, მართლაც, ფრთებსა შლიდა, ისე კი, რომ ნახევარი მთვარე ვერაფერსა ჰხედავდა. სეფერ-ბეის წერილისა და გუდოვიჩის წარდგინების შემდეგ ალექსანდრე იმპერატორმა პირობა მისცა, აფხაზეთს ჩემის მფარველობის ქვეშ შევივრდომებო, მაგრამ, თანაცა სწერდა სეფერ-ბეის, სანამ საქმე კარგად არ წავა, ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახეო. მიზეზი ასეთის სიფრთხილისა ის იყო, რომ რუსეთი მაშინ დაუცხრომელ ნაპოლეონთან გამართულ ომში იყო გართული. უხერხულად მიაჩნდა ასეთს დროს ოსმალეთის გადაკიდება და მასთან მოლაპარაკება ჰქონდა შერიგების შესახებ. იმპერატორმა მაინც მოსწერა გუდოვიჩს, სეფერ-ბეის დაეხმარე და აფხაზეთიდან ავაზაკი არსლან-ბეი გააძევებინეო.

პეტერბურგიდან ეს ბრძანება რომ მიიღო, გრაფ გუდოვიჩმა მოიხმო მარჯვენა ხელი კავკასიის ყველა მთავარმართებლებისა, თავისი საქმის მწარმოებელი მოგილევსკი.

— ბევრი დავიდარაბა დაგვჭირდება ამ აფხაზეთის გადამკიდესთ, — უთხრა გუდოვიჩმა მოგილევსკის. — აბა, იმერლები ხომ, შედარებით, ჩუმი ხალხია, მაგრამ იმერეთმაც ბევრი სისხლი დაგვიშრო, აფხაზეთი ხომ უარესია! გინდ იღლიაში ჭინჭარი ამოგიჩრია და გინდ აფხაზეთის საქმეში გარეულხარ.

— თუ გვინდა აფხაზურმა ჭინჭარმა არც ხელი დაგვისუსხოს და არც ფეხი, სეფერ-ბეის მისი შვილები ამხანაგად გამოვართვათ...

— საუცხოვო აზრია, მე თანახმა ვარ, — უთხრა გუდოვიჩმა.

— ამასთანავე, სეფერ-ბეის „თხოვნის მუხლებიც“ გამოვართვათ, რომლითაც ის მოვალე იქმნება თავისი ქვეყანა და ხალხი საუკუნო ქვეშევრდომად გახადოს რუსეთისა.

— ჩინებულია, ჩინებულია! ასე მოვიქცეთ,—მოიწონა გრაფ გუდოვიჩმა მოგილევსკის აზრი.—და სანამ არსლან-ბეი რამე მარცხს იზამდეს, თქვენ ახლავე მისწერეთ გენერალ-მაიორს რიკჰოფს, ჯარი წაიყვანოს და აფხაზეთში შევიდეს სეფერ-ბეის მოსახმარებლად. ამასთანავე, წინადადება მიეცით სამეგრელოს დედოფალს ნინოს, ახლავე გაგზავნოს თავისი მილიცია სოხუმიდამ არსლან-ბეის გასაძევებლად. სულ უკეთესი იქმნება, ამ ავაზაკის დაჭერას რომ მოახერხებდეს.

— მისი დაჭერა, თქვენო ბრწყინვალებავ, ძნელი იქნება,— შენიშნა მოგილევსკიმ.—კიდეც რომ აფხაზეთში ყველგან გზა მოვუჭრათ, სოხუმიდან რომ გავაძევოთ და არც ჩრდილოეთისაკენ გავუშვათ, არც დასავლეთისკენ, არც რიონზე გავატაროთ ოსმალეთში გასაქცევად, არც მდ. ბზიფზე—ანაპით ოსმალეთშივე გასაქცევად, იმას კიდევ დარჩება ერთი კარი ღია და ამ კარის დაკეტვა ჩვენ არ ძალგვიძს. ეს კარი—შავი ზღვაა, რომლის კავკასიის ნაპირი—ჩვენთვის ახილესის ფეხის ტერფია. სულ სხვა საქმე გახლავსთ, ჩვენ რომ გავმაგრებულიყავით ამ ნაპირზე. მაგრამ საქმე ის არის, როგორ? და სანამ ჩვენ ხელში არ ჩავიგდებთ ამ ზღვის გასაღებს, ჩვენს მტრიელ სომეხ ქალებს ვერავინ დაიხსნის ფაშებისა და თვით ფადიშაჰის ჰარემებში გაყიდვისაგან. ეს გასაღები როგორმე უნდა ვიშოვოთ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ჩინებულია! მივხვდი, რა გასაღებსაც ამბობთ.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, ვიცი, მაგრამ ჩურჩულით უნდა ვილაპარაკოთ ამ გასაღების შესახებ.

— ძალიან კარგი. ჩვენც ჩუმად მოველაპარაკებით იმას, ვისაც ახლა ის გასაღები ჯიბეში აქვს.

— ქუჩუქ-ბეისა?

— მაშ... ამაზე, დიდი ხანია, ვფიქრობ. სანამ ფოთი და რიონის შესართავი ოსმალების ხელშია, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ბატონობა დავამყაროთ არამც თუ აფხაზეთში, თვით სამეგრელოში, და იმერეთშიაც კი. ოსმალების შიში ყოველთვის ექმნებათ ამ მხარეებს. სანამ რიონის შესართავი ქუჩუკ-ბეის გა-

სალებიც ქმნება და კეტილი, ყურიმდის მინდორში არც სურსათის მოწოდება შეგვიძლია, ვერც ჯარს მივაშველებთ, ვერც ტყვია-წამალს გადავზიდავთ: — ყოველივე ეს ქედის გადაღმიდან უნდა მოვიტანოთ. ქედზე უშიშრად გადაფრენაც კი მარტო არწივებს შეუძლიათ, ხოლო ჩვენს ურმებს და ჯარს როგორც ბეღურებს, ისე აფრინდებიან ხოლმე ძერები ხან ყუბანიდან, ხან კიდევ საჩაჩნეთიდან. მე ყოველთვის მაწუხებდა და მაღონებდა საცოდავ მთიელ ქალების ყოფა; აულებში ჯერ ისევ ბავშვებსა და ზრდა-გაუთავებელებს იტაცებენ ადამიანის ხორცით და ქალის სილამაზით მოვაჭრენი, — და საცოდავი ქალები, თითქო ფითრის კრავებიაო, ტიტველა დგანან იმ ბაზრებში, სადაც ტყვეებსა ჰყიდიან. იმათ შეხვდებით ბათომსა, ტრაპიზონსა, სინოპსა და სტამბოლში.

— ამისათვის, თქვენო ბრწყინვალებავ, საჭიროა იმ ენით მოველაპარაკოთ, რომელიც ყველას ესმის.

— რომელ ენას ამბობთ?

— „ოქროს“ ენას მოგახსენებთ.

— ჩინებულია! მე თვითონ ვფიქრობდი ამის შესახებ.

— ახლა კი კარგი იქნება მოველაპარაკებოდეთ.

— ჩინებულია! მე „ოქროს ლექსიკონიცა“ მაქვს დამზადებული, აი, შეხედეთ: — ეს რომ სთქვა, გრაფმა კედელთან მდგარ დიდს მაგიდას მწვანე საფარი გადააძრო.

— რა მშვენიერებაა! — წამოიძახა მოგილევსკიმ.

მაგიდაზე ბრჭყვიალებდა ოქროთი და ძვირფას თვლებით შემკული საუცხოვო ხმლები, სატევრები, დამბაჩები. აქვე იდვა ოქროს და ვერცხლის მედლები.

— აი, ამ ხმლის ფასი 1,500 მანეთია, — სთქვა გრაფმა, — ეს ორი კი თითო ათ-ათი თუმანი ღირს; მარტო ამ ერთ სატევარში, თვლებით შემკულში, 750 მანეთია მიცემული.

— ველურს თვალები აუჭრელდება, ამ საუნჯეს რომ დაინახავს, — შენიშნა მოგილევსკიმ. — ასეთის იარაღისათვის ქუჩუკბეი ღვიძლ მამასაც გაჰყიდის. ეს მედლები ვიღასი გახლავსთ?

— ქუჩუკ-ბეისა და მის დაახლოვებულთათვის გამოვიწერე.

— ეს კარგი, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ვინ უნდა გავგზავნოთ ქუჩუკ-ბეისთან მოსალაპარაკებლად?

— ჯერ სახეში მყავს მისნი ნათესავნი,—რუსეთის ერთგული კაცები. მე მგონია, რომ ამ საქმეში სამსახურს გაგვიწევს ვახტანგ გურიელი, ქუჩუკ-ბეის ბიძაშვილი, აგრეთვე პოდპოლკოვნიკი თავადი ერისთავი და თავადი მანუჩარ შარვაშიძე.

— მანუჩარ შარვაშიძე, როგორც გავიგე, სეფერ-ბეის დიდი მეგობარი არისო, — მოახსენა გრაფს მოგილევსკიმ.

— ამათში ვინ გაარჩევს, ვინ ვისი მეგობარია! მანუჩარის ძმა ბეჟანი არ იყო, რომ ქელეშ-ბეგისა და მისის შვილების მოკვლაში მონაწილეობას იღებდა! ყველაფერი მათი იმაზეა დამოკიდებული, იმ წუთას რა გუნებაზედ არიან: ამ წუთას ერთმანერთს ეხვევიან, ჰკოცნიან,—ერთს წუთს უკან სულ უბრალო რისთვისმე სატევარიც დატრიალდება.

— აფხაზების ქალებიც ასეთი თავზე ხელ-აღებულნი არიანო,—დაუმატა მოგილევსკიმ. —ამ არსლან-ბეის ერთი ბიძაშვილი ქალი ჰყავს, დიდა ჰქვიან სახელად. აი ეს ქალიც დაჰყვებოდა არსლან-ბეის და სოფლებს იკლებდნენ ყუბანის მხარეს, კისლოვოდსკში,—როგორც მითხრეს, ახლაც სოხუმში ამოუყვია თავი და არსლან-ბეის ახლავსო.

— გამიგონია მისი ამბავი; ამბობენ, ლამაზიც არის ეს ქინკაო.

ამ დროს კი ვიზედაც ესენი ლაპარაკობდნენ, მათს წინააღმდეგ მოჰქმედობდა, მაგრამ მარტო გუდოვიჩისა და მოგილევსკის წინააღმდეგ არა, არამედ რუსებისა საზოგადოდ. ქუჩუკ-ბეის საყვარელი ასული ესმა, რომლისათვის მამას არაფერი შურდა, სოფელ ჰიჰში იზრდებოდა, სწორედ იმ სოფელში, სადაც არსლან-ბეიც იზრდებოდა. აქ პატარაობითვე დაუმეგობრდა არსლან-ბეის ძუძუდას დიდას და ამასავით არავინ უყვარდა. ხშირად ესმოდა, დიდა არსლან-ბეის დაჰყვება საყაჩაღოდო. ამიტომ დიდა ნამდვილ მთიელ ქალად მიაჩნდათ, აი, ქალი ისეთი უნდაო.

არსლან-ბეიმ იცოდა, დიდა ესმას ძალიან უყვარსო და გადასწყვიტა ესარგებლნა იმ ორის ქალის სიყვარულითა. რო-

ცა ფოთში ბეჟან შარვაშიძე გაგზავნა ნავით ქუჩუკ-ბეისთან მოსალაპარაკებლად. თავისს მეგობარს ეშმაკი თუთშული და მისი ლამაზი ქალი დიდაც გააყოლა.

— ერთი ქალი თავისის თვალებით მთელს სოფელს დასწვავს, თუ მეორე ქალიც მიემატა—სტამბოლსაც აიღებენ,— ამბობდა ცბიერი აფხაზი, როცა არსლან-ბეის ემშვიდობებოდა და თანაც დიდა უჩვენა, თითქო ამის თქმა უნდოდა, ვინ იქმნება ისეთი, ამან თავის ჭკუაზე არ მოიყვანოსო?

— რა საჭიროა, ესმას თავის ლამაზ წამწამებზე ორი ცრემლი რომ ჩამოუგორდეს, ქუჩუკ-ბეი ეშმაკის რქებზე წამოეგებაო,—გაიცინა ბეჟანმა.

— მართალია, მართალი,— გაიცინა თუთშულმა,—აი თუ გინდ, ჩემი თავი აიღეთ: დათვს ვეძგერები ხოლმე სატევრით, მარტოდ-მარტო, ჩემის ცოლისათვის კი ბუზიც ვერ ამიფრენია... დათვზე საშინელია.

— დიდაც საშინელია?—ღიმილით ჰკითხა არსლან-ბეიმ.

— იმაზეა დამოკიდებული, ვის ექმნება ამასთან საქმე; ქუჩუკ-ბეი კი, დარწმუნებული ვარ, ორთა-მეფანდურე რომ დაუკრავს, უეჭველად ათამაშდება.

ყოველივე ისე მოხდა, როგორც ამათ ჰქონდათ იმედი. ფოთში მივიდა თუ არა, ბეჟანი მაშინათვე მოელაპარაკა ქუჩუკ-ბეის. მაგრამ ფოთის მბრძანებელს ჯერ გაგონებაც კი არ უნდოდა არსლან-ბეის თხოვნისა, არამც თუ შესრულება; ეშინოდა, რუსები გასწყრებიანო. დიდა და ესმა კი თავისს საქმეს აკეთებდნენ. ესმა სულ მოაჯადოვა დიდას ნაამბობმა. უკვირდა აგრედვე ის ამბავი, კისლოვოდსკს რომ დაეცნენ და კინაღამ არ მოიტაცეს სოლომონ მეფის ასული დარეჯანი და ლამაზი გელუხერი, ყარაბაღის ბატონის იბრაჰიმ-ხანის ქალი. ამის შემდეგ ნებიერი ესმა შეუჩნდა მამას, დაუწყო ალერსი, კატასავით, დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ... მერე... რამდენისამე კვირის შემდეგ ფოთის ნავთსადგურიდან ესკადრა გავიდა; შიგ იჯდა ჯარი, არსლან-ბეის მისაშველებლად გაგზავნილი; კაპიტნის გემზე ქუჩუკ-ბეი იდგა; ხოლო ნაპირიდან თვალთმაქცი ესმა და დიდა ხელით კოცნას უგზავნიდნენ.

## VI

გრაფი გუდოვიჩი ამის შემდეგ დიდს ხანს არ დარჩენილა უფროსად. გრძნობდა, რომ მოხუცებულობამ ძალ-ღონე წაართვა, ძველებურად მუშაობა არ შეეძლო. მთელი გეგმა ქუჩუკ-ბეისა და მისის „გასაღების“ — შავის ზღვის გასაღების — შესახებ ორის ქალის კოცნამ ჩაუფუშა. ჭკუა-გონება ძველებურად არ მიჰქრის, დამეღლილაო. თხოვნაც შეიტანა სამსახურიდან გამოსვლისა, მაგრამ უმაღლესი რესკრიპტი მოუვიდა, მანამდე მოითმინეთ, სანამ ტორმასოვი აქაურობას გაიცნობსო.

გენერალი ტორმასოვიც ამასობაში მოქმედობდა: გაიცნო საზოგადოდ საქმის ვითარება და კერძოდ გრაფ გუდოვიჩის პლანები. ისიც იმ აზრისა გახდა, რომ ყოველთ უწინარეს შავის ზღვის „გასაღები“ უნდა ჩავიგდოთ ხელში, მერე კი არსლან-ბეის ადვილად მოიყვანს თავისს ჭკუაზე კაციო. სეფერ-ბეის კი, მისის აზრით, მაღლა ფრენა არ უნდა შეეძლოსო, და თვითონვე მიართმევს რუსეთს თავისს ქვეყანას, აფხაზეთს, ერბოკვერცხსავით ტაფაზე შემწვარსო.

— ჯერ ეს კრაზანის ბუდე მოვსპოთ როგორმეო, — უთხრა მან გუდოვიჩს: — თუ ფოთი ჯიბეში ჩავიგდეთ, მაშინ შავი ზღვაც ჩვენი იქმნებაო.

ტორმასოვმა ქუჩუკ-ბეის გენერალ-მაიორი ორბელიანი გაუგზავნა და თან საჩუქრებიც გაატანა. ქუჩუკ-ბეიმ ხელი შეუშალა მეგრელებისა ჯარს და სოხუმი არ აღებინა. აქ თავისი მეგობარი არსლან-ბეი დასტოვა, თვითონ კი ფოთში დაბრუნდა. დარწმუნებული იყო, სეფერ-ბეის თუ რუსები არ მოეხმარნენ, ის ვერაფერს გააწყობს არსლან-ბეისთანაო. ქუჩუკ-ბეი ძალიან ალერსიანად დაუხვდა თავადს ორბელიანს, უფრორე სიხარულით მიიღო მის-მიერ საჩუქრად მოტანილი ძვირფასი ნივთები, ჩვენ რომ უკვე გუდოვიჩთან დავინახეთ. არწმუნებდა თავადს ორბელიანს, რუსეთს ძალიან პატივსა ვსცემ და ძალიან მიყვარსო.

გუდოვიჩმაც და ტორმასოვმაც ორმავე იცოდნენ, რა ძლიერად უყვარდა ქუჩუკ-ბეის თავისი ქალი ესმა. ისიც იცოდნენ, ამ ლამაზ ქალს რა გავლენა ჰქონდა თავისს მამაზედ; ამიტომ, რუსეთის სასარგებლოდ ამ ახალგაზდა დიპლომატის გული რომ მოეგოთ, ორბელიანს იმასთანაც გაატანეს საჩუქრად მშვენიერი საყელო და ძვირფასი პატარა სამეფო გვირაგვინი. მამის რჩევით ესმამ თვითონვე გადაუხადა მადლობა საჩუქრისათვის და, მამისავე შთაგონებით, თვითონვე მოიპატიჟა სადილზე თავადი ორბელიანი.

სუფრა ევროპიულად იყო გაშლილი. რადგან სადილზე, შეიძლებოდა, საჩოთირო კითხვებს შეჰხებოდნენ პოლიტიკისას, ამიტომ ეშმაკმა ქუჩუკ-ბეიმ სადილად არავინ დაჰპატიჟა არც თავისის ამალიდან, არც ფოთის დიდებულთაგან. სუფრა ოთხის კაცისათვის იყო გაშლილი, თუმცა სადილად სამნი-ღა დასხდნენ: სტუმარი, მასპინძელი და მისი ქალი. საქმე ის გახლავსთ, რომ ქუჩუკ-ბეი ქვრივი იყო, ხოლო ადგილობრივის ჩვეულების თანახმად, იქ, სადაც სიცოცხლის დროს დიასახლისი იჯდა სუფრაზე, ახლა, მის მოსაგონებლად, თეფშებსა სდგამდნენ, კერძს ჯერ ამ თეფშთან მიიტანდნენ; ესმა მიცვალებულის დედის თეფშზე საჭმელს გადაიღებდა და მის ჭიქაში ღვინოს ასხამდა. ორბელიანი სტკბებოდა ქალის სილამაზით. მისი პატარა პირისახე თეთრად იყო გადაპენტილი, მიუხედავად სამხრეთის მზის სხივების ზედ-მოქმედებისა; წვრილი და მრგვალი წარბები ჰქონდა, სწორი ცხვირი, დიდრონი შავი თვალები, ფუნთუშა წამწამები; მისი წერწეტი ტანი, როგორც აქ ამბობდნენ, „ოქროს ბეჭედში გაეტევოდა“. ყოველსავე მისს სილამაზეს რაღაც უცნაურობის ბეჭედი ესვა, განსაკუთრებით მისს ცეცხლის ფერ თმას.

ორბელიანმა ჰკითხა, ფოთში ხომ მხიარულათა ბძანდებითო, ტოლ-მეგობრები ხომ გყავსთო და მოწყენით ხომ არა ბრძანდებით ასეთს პატარა ქალაქშიო?

ქალის მაგივრად პასუხს მამა აძლევდა.

— ახლა ცოტა მოწყენით გახლავსთ, რადგან მეგობარი ქალი სოხუმში წაუვიდაო,—უთხრა ქუჩუკ-ბეიმ.

— ტფილისში თავისდღეში არ მოგეწყინებოდათ,—განაგრძო თავადმა ორბელიანმა,—საზოგადოება დიდია, ათასნაირი გასართობებია.

— მე აქაც მხიარულად გახლავართ,—ჩუმად უპასუხა ესმამ;—მთებში დავდივარ ცხენით, მამას სანადიროდ დავყვები, ზღვაზე ვსეირნობ, ხანდისხან ბათომსა და ტრაპიზონშიაც წავალ ხოლმე.

— სად ფოთი და სად ტფილისი!—გაიღიმა ორბელიანმა.—პეტერბურგში კიდევ უკეთესია: თქვენ იმპერატორის სასახლეში იქმნებოდით მიღებული; დაესწრობოდით მეჯლისებს, წაბრძანდებოდით ოპერაში, თეატრში, კონცერტებზე; ერმიტაჟებსა და სამხატვრო აკადემიაში ბევრს რასმე ნახავდით ხელოვნების ნაწარმოებს.

ქალი გულსმოდგინეთ უსმენდა თავადს. მამა კი იღიმებოდა, უხაროდა თავის ქალის ცქერა, თითქო ამბობსო, ვენაცვალე ქალს, რა კარგი რამა მყავსო!

— თქვენ იმდენი რამ მითხარით, რომ არც კი მომაგონდება,—უთხრა ქალმა გულუბრყვილოდ.

— თქვენ ყველაფერს მალე გაიგებდით,—უპასუხა თავადმა, რომელსაც საშინლად მოეწონა ქალი.

— ამბობენ, იქ ზაფხულობით არა ღამდებაო.

— არა, როგორ არა ღამდება, მხოლოდ ღამითაც ნათელა.

— მე კი მითხრეს, იქ ერთი ყინულის ზღვა არისო, ზაფხულობით მზე ცდილობს, მაგრამ ზღვაში ჩასვლა მაინც არ შეუძლიან თურმე, ერთავად გარშემო უვლის, გზადაკარგულსავით,—ხალხიც იმიტომ გიჟდება იქაურიო.

ორბელიანს მხიარულად გაეცინა.

— თქვენ, ალბად, ყინვიან უკიანეზე უთხრეს, რომელიც შორს არის, პოლიუსებისკენ; იქ, მართალია, ზაფხულობით მზე რამდენისამე თთვის განმავლობაში ვერ ჩადის ხოლმე; მაგრამ ის ხომ ძალიან შორს არის პეტერბურგზე!

— მაინც საშინელებაა,—გულუბრყვილოდ უპასუხა ესმამ.

პირველში მორცხვობდა ქალი, მაგრამ მერე, რომ დაინახა, სტუმარი გულკეთილიაო, რომელიც სიყვარულით უყურებდა მას, როგორც ბავშვს, ქალი გათამამდა და ენა ამოიდგა.

— აი, მერე პეტერბურგში წაგიყვან, სადაც მზე თავ-ტან დაკარგულსავით დადის,—ხუმრობდა ქუჩუკ-ბეი. თანაც უხაროდა, რომ მისმა ნეტარება-ქალმა ასე მოხიბლა სტუმარი.

— არა, მამილო, ისა სჯობია, სტამბოლში წამიყვანო,— აკი დაგვპირდი მეცა და დიდასაც, წაგიყვანთო,—ჯიუტურად უთხრა ქალმა მამას.

— კარგი, დამაცადე და წაგიყვან,—ღიმილით უპასუხა ქუჩუკ-ბეიმ.

— იქ საუცხოვო მეჩითები არისო, სასახლეები, ქარვასლები, ბოსფორი, თვით ფადიშაჰიც იქა სცხოვრობსო.

— განა პეტერბურგში კი არ არის ესენი? აბა იქ უნდა ნახო სასახლეები, ტაძრები, მდინარე ნევა, კუნძულები, ბალეთები, პეტერგოფი! თქვენი სტამბოლი რა სახსენებელია პეტერბურგთან!—უთხრა თავადმა და თან ცდილობდა დაემარცხებინა ქალი.

— სამაგიეროდ, იქაურის თოვლისა, ყინვისა და ზამთრისას რას ბრძანებთ?

— განა აქ კი არ არის სულმუდამ ზამთარი მთებზე? ყინვა და თოვლი აქაც გამოულეველია.

— ეს მარტო მთებზედ გახლავსთ, ფოთსა და კოხუმში კი სუმუდამ გაზაფხულია.

— თქვენ არ იცით, ხანუმ, პეტერბურღში რა მხიარულად ატარებენ დროს ზამთრობით! თამაშობა გიყვარსთ?—ჰკითხა ერთბაშად ორბელიანმა.

— ძალიან მიყვარს! მე და დიდა სოფ. ჭიჭში ყოველთვის ვჯობნიდით ხოლმე თამაშობაში სხვებს,—აღტაცებით უთხრა ესმამ.—უჰ, რომ იცოდეთ, რარიგ მიყვარს ცეკვა!

— სტამბოლში კი არ თამაშობენ. პეტერბურგში კი მთელი ზამთარი თამაშობენ,—ხან სათავად-აზნაურო საკრებულოში, ხან დიდკაცების ოჯახებში, ხან სასახლეში, სადაც თვითონ იმპე-

რატორიც თამაშობს ხოლმე... აი, იქ უნდა იყვეთ, რომ ყველა გააკვირვოთ თქვენის ცეკვა-თამაშით!

— რასა ბრძანებთ? განა თვითონ თეთრი მეფე თამაშობს თავისს ქვეშევრდომებთან, თავისს მონებთან?—გაოცებით ჰკითხა ქალმა, თითქო არა სჯერა გაგონილიო.

— დიაღ, მთელს ევროპაში ყველა მეფეები ასე იქცევიან; ჩვეულებრივ, ნადიმის დროს პირველად მეფე-დედოფალი ითამაშებენ ხოლმე, მერე სხვები მიჰყვებიან!—უთხრა ორბელიანმა, რომელიც სცდილობდა დაერწმუნებინა ესმა, განათლებული ცხოვრება ყველასა სჯობიაო. ქალის გადმობირება იმიტომ უნდოდა, რომ იცოდა, ქალი მამას ძალიან უყვარს და ყველაფერს უჯერებსო.—ამ ზამთარს,—განაგრძო ორბელიანმა,—ჩვენმა დიდებულმა მბრძანებელმა, იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ, ჩემი დაი გააბედნიერა და იმასთან ითამაშა. თქვენც გერგებათ ასეთი ბედნიერება, როცა მამა-თქვენი და თქვენ პეტერბურგში წაბრძანდებით და სასახლეში მიგიღებენ.

გამოცდილი და მოხერხებული კაცი იყო თავადი ორბელიანი. მაშინათვე შეატყო, როგორ გაუბრწყინდა ქუჩუკ-ბეის თვალები ამ ლაპარაკზე. წარმოიდგინა, ვითომ თეთრის მეფის სასახლეში ვარო და ჩემს გვერდით ჩემი ძვირფასი ესმა-ხანუმი თამაშობსო. დიაღ, ორბელიანი მიუხვდა ქუჩუკ-ბეის და ამიტომ უფრო შეეცადა ერთის მხრივ პატივმოყვარეობის საღერღელი აეშალნა მამისთვის და მეორეს მხრით—ახალგაზდა ქალის ცნობისმოყვარეობა აღეძრა.

— ფადიშაჰი ხომ თამაშობს?—ჰკითხა ესმამ მამას.

— არა, შვილო, ფადიშაჰი არა თამაშობს.

— ისიც უნდა იცოდეთ, რომ ოსმალეთის ქალები სატუსაღოში ჩაკეტილებსავით სცხოვრობენ: იმათი ნახვა არავის შეუძლია,—განაგრძო მაცდურის კილოთი ლაპარაკი ტორმასოვის ელჩმა.—ზოგი თეატრები იკითხეთ?

— ჰო, თეატრის შესახებ რაღაებიც მითხრეს: ეშმაკურად იმას არდგენენ თურმე, რაც არც კი ყოფილა, განგებ დაიობენ, ჩხუბობენ, ვითომც კაცსაც კი ჰკლავენ, გაიხედავ და,

მკვდარი გაცოცხლდება, თითქო ბუზიც კი არ აფრენოდეს თავის სიცოცხლეში...

ორბელიანს გაეცინა ესმას გულუბრყვილობაზე.

— ცოტა სხვანაირად არის, ხანუმ,—უთხრა ორბელიანმა მხიარულად,—თეატრში რომ ხართ, არც კი გეგონებათ, რომ, რასაც ხედავთ, ტყუილი და მოგონილი იყვეს.., ისე კარგად არდგენენ, რომ ატირდებით კიდეცა.

— თუ კი კარგად არდგენენ, ტირილი რაღა საჭიროა?—გაიოცა ესმამ.

ორბელიანს გაუჭირდა ამის ახსნა, მაგრამ მერე მაინც ასე უთხრა:

— როცა კარგად არდგენენ თეატრში, კარგად წარმოდგენისაგან ტკბილის ცრემლებით ატირდება ადამიანი, გესმისთ?

— მესმის... რაც სოფ. ჭიჭიდან წამოვედი, დიდი ხანი არ მენახა დიდი. მერე, როცა თავადი ბექან შარვაშიძე და ის სოხუმიდან მოვიდნენ აქ, რომ მამისთვის ეთხოვნათ, არსლან-ბეის მოეხმარეო, მაშინ დიდა რომ ვნახე, სიხარულისაგან ვიტირე,—აუხსნა ესმამ.

არსლან-ბეის ხსენებაზე ქუჩუკ-ბეიმ და ორბელიანმა უნებურად ერთმანერთს გადახედეს.

— არსლან-ბეის იცნობთ, ხანუმ?—ჰკითხა ორბელიანმა.

— როგორ არ ვიცნობ! მე და ის ერთად ვიზრდებოდით სოფელ ჭიჭში. აჰ, ჯერ ისევ ყმაწვილობაში რა კარგი რამ იყო!

ორბელიანი ჩუმად იყო. უნდოდა ისევ ჩაეთრია ესმა პეტერბურგის შესახებ ლაპარაკში. ისევ წინანდებურად შეჰყვა.

— მაშ გინდათ, პეტერბურგში წახვიდეთ, ხანუმ?—ჰკითხა ელჩმა.

— მინდა... კარგი იქნებოდა...—ქალმა ყოყმანი დაიწყო და დაჩუმდა.

— თეთრ მეფესთან ცეკვა?—გაიღიმა ქუჩუკ-ბეიმ.

— ჰო, მამა,—მორცხვად უთხრა ესმა-ხანუმმა.

## VII

ქუჩუკ-ბეის ახალგაზრდა ქალს ოცნება ვერ განუხორციელდა. პეტერბურგში წასვლა და თეთრ მეფესთან თამაშობა ვერ მოუხდა. ისევ სტამბოლისაკენ დაიწყო ცქერა, მანდეთკენ მიისწრაფვოდა სულითა და გულით.

ამ შემთხვევაში დიდი გავლენა იქონია ესმაზე დიდამ, არსლან-ბეის ძუძუდამ. ეს ქალის შალვარში გამოწყობილი, გრძელ კავიანი დელიბაში (გიჟთავა), ეს ჭეშმარიტი შვილის-შვილის-შვილი კოლხეთის მედიასი თავისის ძუძუმის გავლენის ქვეშ ჰყოდაოცნებობდა ოსმალეთის კავშირზე. ოსმალეთის მეგობრობა ყველას ემჯობინებოდა. ქუჩუკ-ბეისთვისაც, რა თქმა უნდა, ეს უფრო ხელსაყრელი იქმნებოდა. თუ რუსეთს ვუთხარი, — ჰფიქრობდა ქუჩუკ-ბეი, — ჩემი მფარველი იყავი-მეთქი, მაშინ უნდა ხელი ავიღო კოლხეთის საუკეთესო კუნჭულის ბატონობაზე. დიამც იყოს, რუსის ღენერლობა მომცენ და ტორმასოვი და სხვა მოხელეები უფროსებად დამიყენონ. ოსმალეთთან დაკავშირება კი სულ სხვა საქმეა; ოსმალები ფართოდ გამიღებენ კარს: შემეძლება გურია და სამეგრელო, თუ მომინდა — იმერეთიც კი ვარბიო და ვძარცვო. ასე შვრებოდნენ მისი მამები, პაპები და პაპის პაპები. სხვა იდეალი ქუჩუკ-ბეის არა ჰქონდა.

ორბელიანი ფოთიდან წავიდა. დარწმუნებული იყო, ქუჩუკ-ბეის ლამაზი ქალი შეუჩნდება: პეტერბურგში ცხოვრება კარგია, რუსეთის ქვეშევრდომი გახდიო. ის რომ წავიდა, ფოთში არსლან-ბეიც მოვიდა, თან მოჰყვა თავისი მამამძუძუ თუთუშული და მისი დელიბაში-ქალი დიდა. გაიგო, ორბელიანი მოციქულად იყო ქუჩუკ-ბეისთანო და გადასწყვიტა შეეტყო, რა სთხოვა ქუჩუკ-ბეისათ. თუმცა ეჭვი კი ჰქონდა მისის მოციქულობის საგნისა. არსლან-ბეის შრომა სრულებით არ დასჭირებია ამის შესატყობად: ესმა-ხანუმმა ყველაფერი ჩაუკენჭა.

— იცი, დიდა, — უთხრა ესმამ თავისს მეგობარს, — ჩვენ პეტერბურგში წავალთ.

— პეტერბურგში!—გაიკვირვა დიდამ:—რისთვის? ხომ არ გაგიჟებულხარ?

— არა, დიდა, ამბობენ, ძსჯთი კარგი-რამ არისო იქ ყოფნა... თეატრია თურმე... თეთრი მეფეც...

რაც ირბელიანისაგან გაიგო, ყველაფერი უამბო დიდას, ხოლო დიდამ არსლან-ბეის გაუზიარა დიდას ნაამბობი. რა თქმა უნდა, არსლან-ბეი ძალზე დაღონდა:—თუ ქუჩუკ-ბეი არ მოგვეხმარა და ოსმალეთის იმედი არ მექმნა, მე დავიღუპებიო.

ამიტომ, პირდაპირ შეუდგა საქმეს.

— ფაშა!—უთხრა არსლან-ბეიმ ფოთის მმართველს:—შენს თავსაც იღუპავ და აფხაზეთიც გინდა კლდეში გადასჩეხო! ერთი, რატომ არ შეხედავ, იმერეთს რა მოუვიდა? მისი მეფე სოლომონი, თავის სასახლიდან და სატახტო ქალაქიდან გაძევებული, ახლა თავის სამეფოს მთებსა და ჭაობებში დაეხეტება, ტახებსა და მშვლებს ბინას ართმევს. ჭერი არსად აქვს, რომ თვითონ შეეფაროს და ცოლ-შვილსაც თავი შეაფარებინოს; მისი სასახლე ყაზარმებად და რუსების ცხენების თავლებად არის გადაქცეული. ახლა გურია და სამეგრელო იკითხე! ამ ქვეყნების მთავრები ვინ არიან? მათი ქალები ვის ეკუთვნის? ვინ არიან ამ ქალაქებში ბატონნი და მბრძანებელნი? ვინა და გარნიზონის უფროსები. რაღა საჭირო იყო ეს გარნიზონები?—იმისთვის, რომ უშიშარ ჰყონ მთავრებიო. ეს—საპატიო სატუსაღოები გახლავსთ. დამიჯერე, ფაშა, **ისინი** შენც ჩაგიყენებენ ფოთში „საპატიო ყარაულს“!—რისთვის?—„რომ დაიფარონ ქუჩუკ-ბეის საპატიო გვამი“.—აი, ჩემს ძმა-ბატონს, სეფერ-ბეისაც დაუყენეს საპატიო ყარაული, ხოლო მისი უფროსი შვილი, ბატონიშვილი დიმიტრი, ამანათად მიჰყავსთ რუსეთში. ფადიშაჰს აბა როდის მოუთხოვნია ამანათები? დამიჯერე, ფაშა, **ისინი** შენს საუნჯეს, შენის თვალის სინათლესაც წაგართმევენ...

— ვისა?—წამოხტა შეშინებული ქუჩუკ-ბეი.

— შენს მარგალიტს, კოლხეთის ბაღების ვარდს, აღმოსავლეთის ვარსკვლავს—შენს ესმა-ხანუმს!

— როგორ? რისთვის?—წამოიძახა ფაშამ, სახე-გაფითრებულმა.

— რომ თეატრები და სასახლეები აჩვენონ, მერე საპატიმროში ჩასვამენ, რომელსაც ისინი სმოლნის ინსტიტუტს ეძახიან... ეს სანდო კაცებმა მითხრეს... არა-ერთს ქართველ ქალს მოჰლებია ბოლო ამ ინსტიტუტში... ის-ღა აკლია, რომ იქაც აფხაზეთის ყველა ვარდზე უკეთესი ვარდი დაჭკნეს. ეს ცუნცრუკა ორბელიანი ტყუილად კი არ უხვევდა თვალს ესმახანუმს! ეს ქოფაკი, ესა, ცხვირ წინ უკეთესი ლუკმა უდევს, რმას თავი დაანება და სხვის ლუკმას კი წასწვდა!

— ეს არ მოხდება, ვფიცავ მაჰმადის წვერს!—დაიყვირა ქუჩუკ-ბეიმ და სატევრის ტარს ხელი იტაცა.

— შეხედე ზღვას,—განაგრძო არსლან-ბეიმ და ხელი გაიშვირა იალქნებისაკენ, შორიდან რომ თეთრად მოსჩანდა. ორივე სასახლის აივანზე ისხდნენ, რომელიც ზღვას გადასცქეროდა.—ახლა ეს ზღვა ჩვენია... ხომ გესმის ტიფების ხმა, თავისუფლად რომ დაფრინავენ წყალს ზევით და საკვებს ეძებენ? ჩვენ, მთის შვილებიც, ასეთივე თავისუფლები ვართ, როგორც ფრინველნი ცისანი... ეს ჰაერი, ეს ზღვა, ეს მთები, ეს ლაჟვარდი ცა—ყველაფერი ჩვენია!... ისინი ქურდებსავით გვეპარებიან; მათი გემები, ტურებსავით, ღამით მოიპარებიან ყირიმიდან ჩვენს ნაპირებზე... რა უნდათ ჩვენგან?... ჩვენ პეტერბურგში არ მივდივართ და არაფერს ვეცილებით, ისინი კი აქედ მოძვრებიან,—რადა?—ჩვენ ალაჰმა მოგვცა ეს მიწა, ეს ზღვა,—და იმათ კი სწადიათ, წაგვართვან, ხელიდან გამოგვაცალონ...

— თავის დღეში!—ყრუდ ჩაილაპარაკა ქუჩუკ-ბეიმ.—თუ ჩვენ ცოტანი ვართ და ისინი კი ბევრნი არიან, სამაგიეროდ, ჩვენ თვით ფადიშაჰი მოგვეხმარება, ალაჰის ჩრდილიც... ეს ჩრდილი დაიფარავს კოლხეთსაც და აფხაზეთსაც.

— ჩვენ მაინც უნდა ვიმეცადინოთ: სანამ ცხვრებს მწყემსები მოეშველებოდნენ, მგლებს შეუძლიათ მთელი ჯოგი გააწყონ,—უთხრა არსლან-ბეიმ.

— ალლაჰ ქერიმ! ვიმეცადინებთ, მაშ! მადლობა ღმერთს, ტრაპიზონი შორს არ არის.

— იქ ვინა გყავს? — ჰკითხა არსლან-ბეიმ.

— თვით სერასკირი, შერიფ-ფაშა: ეს ისეთი კაცია, რომ მექაში ჩავა, თუ უთხრეს, შეგიძლია ცალი თვალი მაინც მოაჰკრა კოლხეთის მარგალიტსაო, — თავმომწონედ უთხრა ქუჩუკ-ბეიმ.

— მშვენიერ ესმა-ხანუმზე ბრძანებთ?

— დიახ, ესმა-ხანუმზე, ჩემის სულის შვილზე, ჩემის გულის საუკეთესო სისხლზე.

— განა ნანახი ჰყავს შერიფ-ფაშას ესმა?

— როგორ არა. ჯერ ისევ პატარა იყო ესმა და ჩადრს არ ატარებდა.

— მერე, დაუთმობ სერასკირსა?

— არ ვიცი... არ ვიცი, შეიძლება თუ არა, კაცმა გულიდან ერთი ნაჭერი ხორცი ამოიჭრას და ცოცხალი დარჩეს!

— დაჰპირდი — ლომი კრავით მოიტყუე.

— ვნახოთ.

არსლან-ბეი დაფიქრდა. უნდა გადაწყვეტილიყო მისის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე. მისს თავს არა მარტო რუსები, მეგრელებიც კი ეძებდნენ, რომელთაც დავიწყებული არა ჰქონდათ მისი ყაჩაღობა და სამეგრელოს სოფლების რბევა-წიოკება, საქონლის მოტაცება; იცოდნენ, თუ ცოცხალი დარჩა, არც შემდეგში მოგვასვენებსო. აფხაზეთშიაც ბევრი ჰყავდა მტერი, სამეგრელოს დედოფალი ნინო და მისი შვილი ლევანიც ყოველთვის სეფერ-ბეის დაუჭერენ მხარს, როგორც თავისს ნათესავსაო. მაშასადამე, არსლან-ბეის მარტო ქუჩუკ-ბეის იმედი-და უნდა ჰქონოდა. მაგრამ მარტო ჩვენ ორნი რა პასუხს გავსცემთ რუსებსა, მეგრელებსა და აფხაზებსაო? გურულებიც კი, განსაკუთრებით მათი მთავარი მამია, რომელმაც, დიდი ხანია, ქრისტეს სარწმუნოება მიიღო, რუსებს მიემხრობიანო. გასაჭირი წამი იყო. ერთად-ერთი ხსნა — ოსმალებია, ისევ შერიფ-ფაშის იმედით უნდა ვიყოვო, — ამბობდა არსლან-ბეი.

მაგრამ ტრაპიზონის ძლიერის სერასქირის სახელის გაგონება ახლა არსლან ბეის ბრაზსა ჰკვრიდა. სულ კი სამი წუთი იყო, რაც შესძულდა როგორ! შერიფ-ფაშა, ეს ბეხრუკა მოხუცი, რომელსაც ისეთი მდიდარი ჰარამი ჰყავნდა, რომლისთვისაც არსლან-ბეის, ვინ იცის, რამდენი ლამაზი ჩერქეზის ქალი მოუტაცნია, ჰო და, ეს მათუსალა ჰფიქრობს ესმა-ხანუმის ცოლად შერთვას!.... ისემც უკვნესია!.... როგორ? ესმა-ხანუმი ვისმე უნდა დავანებო? თავის დღეში!—უმალ აფხაზეთს დავთმობ და ამ ოქროს ქოჩრიან გურიას ცოცხალის თავით არავის დავანებებო! ჯერ ისევ პატარა უნახავს არსლან-ბეის ეს ოქროს ქოჩრიანი ქალი სოფ. ჰიჭში. სამოთხის სარკმელების მსგავსი დიდი თვალები დიდას პატარა მეგობრისა არსლან-ბეის მაშინათვე მოეწონა. მართალია, — ამბობდა არსლან-ბეი,—დიდას გაგიჟებით ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ, როგორც კი სამხრეთის ბუნების მკვიდრს შეუძლია სიყვარული, ვუყვარვარ ათთერთმეტ წლიდანაო; რაც უფრო იზრდებოდა, ჩემდამი გაშმაგებული გრძნობაც ეზრდებოდა. ერთს წუთსაც არა მშორდებოდა, ჭირსა და ლხინში სულ ჩემთან იყო, თავს არ მანებებდა. ახლაც აჩრდილსავით სულ თან დამდევს. ესმა-ხანუმის შემწეობით იმან გამიკაფა გზა ქუჩუკ-ბეისთან... ყოველივე სიკეთე იმან მიყო... მაგრამ ესმა-ხანუმის თვალები, ეს სარკმელები სამოთხისა, ეს ოქროს ქოჩრიანი თავი... არა! დეე დაიღუპოს დიდა, დეე აფხაზეთიც დაიღუპოს, ქვეყანაც თან მიჰყვეს, — ესმას ოქროს ქოჩრიან თავს მაინც არავის დავანებებ, ნებას არავის მივცემ ამ სარკმელიდან შეიხედოს სამოთხეში!...

„დეე, ქუჩუკ-ბეიმ შველა სთხოვოს შერიფ-ფაშას, დეე დაჰპირდეს ამ გაუმაძღარს სვავს უმანკო კრავის ლამაზ თავს, ოქროს მატყლით დაფარულს!—ამბობდა თავის გულში არსლანბეი, მე კი ჩემსას ვიზამ და ჩემი განზრახვა ჩემს მეტმა არავინ იცის“....

— ნუ ვიგვიანებთ, ფაშა,—სთქვა არსლან-ბეიმ, თითქო ახლა გამოერკვაო.—ჩემმა ყონაღებმა შემატყობინეს ყულევიდან, რომ ამ ქოფაკს, რომელიც ბულბულის ხმით გალობდა და მით უნდოდა ესმა-ხანუმისათვის პეტერბურღისა და იქაურის თეატრებით

თვალი აეჭრელებინა, ფოთის ალებმა განუზრახავსო. ის ძვირ ფასი ხმლები და სატევრები, რომლებიც საჩუქრად გამოგიგზავნეს, უნდა წაგართვასო,—დაუმატა ბოროტად არსლან-ბეიმ.

— ესეც ყონაღებმა შეგატყობინეს?—ცოტა არ იყოს, მედიდურად ჰკითხა ქუჩუკ-ბეიმ.

— დიაღ, ყონაღებმა... კი, მაგრამ, ფაშა, მე და თქვენ ჩხუბი ხელს არ მოგვცემს,—უთხრა გულდამშვიდებით არსლან-ბეიმ.

— მართალია, ბატონიშვილო... არწივებიც კი აიშლებიან ხოლმე საკვებისათვის; მაგრამ როცა მონადირეს უნდა მათის ბუდიდან ბარტყები გამოასხას, მაშინ კინკლაობას თავს ანებებენ და ერთად მიცვივდებიან საზოგადო მტერს კლანჭებითა და ნისკარტით.

— თვით სიბრძნე ლაღადებს შენის პირითა,—დაეთანხმა არსლან-ბეი,—როდისღა გინდა შერიფ-ფაშა შენის კრავით მოიტყუო?

— შიკრიკები დაუყოვნებლივ უნდა გავგზავნო.

— მეც ვაფრენ ჩემს შიკრიკებს, თუმცა მისატყუებელი კრავი კი არა მყავს,—ორ-აზროვნად გაიღიმა არსლან-ბეიმ. „გაგზავნე,—სთქვა გულში არსლან-ბეიმ:—მე კი ვიცი, რასაც ვიზამ... არავის შევახედვინებ **იმ ფანჯრებით** სამოთხეში!...

ამ დროს ის, ვიზედაც არსლან-ბეი ასეთის ალგზნებით ჰფიქრობდა, დიდასთან ერთად ზღვის-პირას იჯდა და თავისის მეგობრის ლაპარაკს ყურს უგდებდა. დაფიქრებულის თვალებით უყურებდა ტიფებს, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ ზღვის გაშალაშინებულს ზედაპირს. ამ თვალებში ხან იელავდა და ხანაც ჩაჰქრებოდა რაღაც იდუმალი ცეცხლი. დიდა მხოლოდ იმას ელაპარაკებოდა, არსლან-ბეის და მე თუ რა დამოკიდებულება გვაქვს ერთმანერთთანაო. მეგობრის სიტყვები ესმას ხანდისხან გულს უსერავდა, დიდასადმი სიავის გრძნობა ებადებოდა ამ გულში, დიაღ, ბრაზობდა იმ ადამიანზე, რომელიც ასე ძლიერად უყვარდა. ესმა-ხანუმს, დიდი ხანი იყო, არსლან-ბეი არ ენახა. იგონებდა იმ ყმაწვილს, რომელთანაც სოფ. ჭიჭში იზრდებოდა, მაშინ მოსწონდა აფხაზის თავადიშვილი; მაგრამ მოსწონდა ისე, როგორც შეიძლება მოიწონოს

ახალგაზდა ქალმა მარჯვე, გამბედავი და ყველას საყვარელი ყმაწვილი კაცი. დიდას ნაამბობი არსლან-ბეიზე ესმას არ აკვირვებდა, მას ეს ყმაწვილი მხოლოდ შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირის ავთანდილის მსგავსადა ჰყავდა წარმოდგენილი; ამასთან, რაც სოფ. ჭიჭიდან წამოვიდა, დიდა და ის ერთად არც კი უნახავს. ეგონა, არსლან-ბეი რაღაც მითიური, ზღაპრული არსება უნდა იყოს, რომელიც ნამდვილს ცხოვრებაში არც კი უნდა არსებობდესო. და ისეთი არსება ერთბაშად კი დაინახა, დიდასთან ერთად!... როცა შეხვდა, ქალმა შენიშნა, რომ არ თუ გაოცებით, არ თუ შიშით, არ თუ აღტაცებით შემომხედა ჩემს დიდს და აგრეთვე გაოცებულს თვალებშიო. სწორედ ის ზღაპრული არსლან-ბეი არისო, ანუ იგივე ავთანდილიო... ესმამ შეშინებული თვალები ვერ მოაშორა არსლან-ბეის. ეს უკანასკნელიც სულ უცქეროდა, თვალს არ აშორებდა... როგორ! ეს გმირი, ეს ზღაპრული არსება ნუ თუ დიდას ეკუთვნისო?... ჰო ისიც გმირია, ისიც იმასთან ერთად დადის სავაჭკაცოდაო. მე, ესმა-ხანუმ, რაღა ვარ? არაფერი, მამისგან განებივრებული გოგო! არსლან-ბეი მე ზედაც არ შემომხედავსო. ერთბაშად იგრძნო, რომ თვალებზე რაღაც გადამეფარაო, გული მეთანაღრებაო... ველარ არჩევდა ტიფებს, რომლებიც წყალს დასტრიალებდნენ და სალოდავად ჰყიონდნენ. ვერც ზღვის გაშალაშინებულს ზედაპირსა ხედავდა, ველარც ფირუზის ცას.

— ესმა, სტირი?—გაუკვირდა და თანაც შეეშინდა დიდას:— რა იყო, რა გატირებს, გენაცვა?

ესმამ სახეზე ხელები მიიფარა და უარესად ამოუშვა ქვითინი. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამორეცხდა გრძელ და წვრილ თითებ-შუა.

## VIII

ამის მეორე დღეს, რაც არსლან-ბეიმა და ქუჩუკ-ბეიმ ტრაპიზონის სერაქსირის მომხრობის შესახებ მოილაპარაკეს, რო-

მელიც ახალგაზდა ესმა-ხანუმის შემწეობით უნდა გადმოებირებინათ, 1809 წლის მარიამობისთვის დამდეგს ორი ყაზახ-რუსი მახლობელ სათიბიდან ყულევში ჰბრუნდებოდა. გზაში ერთი ცხენოსანი აფხაზი შეხვდათ, როგორც ეტყობოდა, ისიც ყულევში მიდიოდა.

— ეი, ყონაღო!—დაუძახა ერთმა ყაზახ-რუსმა:—სად მიდიხარ?

— თავად ორბელიანთან,—უპასუხა აფხაზმა.

— ბიჭოს! საიდან მოდიხარ?

— ფოთიდან, ძმობილო.

— ვისიმე გამოგზავნილი ხარ, თუ შენთავად მოდიხარ?

— არსლან-ბეიმ ქაღალდი გამომატანა და სიტყვიერადაც დამაბარა რამე.

— ვერ უყურებ! აბა წერილი მაჩვენე.

— წერილი თითონ თავადს უნდა ვუჩვენო, პირადად, ჩემის ხელით უნდა გადავსცე.

ყაზახრუსებმა ერთმანერთს გადახედეს. ცოტა განზე გადაუხვიეს და ჩურჩული დაიწყეს.—„იქნება, ჯაშუშია... და ამბის გასაგებად არის გამოგზავნილი“.—„მოდი, თვალები ავუხვიოთ, რომ ვერაფერი დაინახოს აქაური“.—„ძალიან კარგი, —დაეთანხმა მეორე,—ხომ ხედავ, თავადთან მივდივარო. დაჭერა არ შეიძლება“.

თათბირის შემდეგ მიუბრუნდნენ აფხაზს, რომელიც არხეინად უცდიდა მათს მობრუნებას.

— აი რა გითხრა, ყონაღო,—უთხრა ერთმა,—ციხე ახლოს არის, თვალები უნდა აგიხვიოთ, რომ ვერც ციხის ახლო და ვერც თვით ციხეში ვერაფერი დაინახო.

— შემიხვიეთ,—დაემორჩილა აფხაზი.

— მაშ მოიტა ყაბალახი.

აფხაზმა ყაბალახი მოიხსნა და რუსს გადასცა. რუსმაც თავზე მოახვია ყაბალახი, კარგად აუხვია თვალები, მხოლოდ პირთან თავისუფალი ალაგი დაუტოვა სასუნთქავად.

სამივე ციხის გზას გაუდგნენ. ალაყაფის კარებთან ჯარის-კაცები მიწას ეზიდებოდნენ ჯებირისათვის.

წინ შემოხვდათ აფიცერი.

— ეს ვინ მოგიყვანიათ? — ჰკითხა ყაზახ-რუსებს.

— არ ამბობს, თქვენო კეთილშობილებავ: — თვითონ თავადი უნდა ვნახოვო, ფოთიდან არსლან-ბეიმ წერილი გამომატანაო.

აფიცერი წავიდა, თავადს მოახსენა და მაშინათვე დაბრუნდა.

აფხაზი თავადს ორბელიანთან შეიყვანეს. მისის ოთახის სარკმელები ზღვას გადაჰყურებდა. გენერალი ქაღალდებით დაჯორგილ სამწერლო მაგიდას დაყრდნობოდა ხელით.

— სად დაიჭირეთ? — ჰკითხა ყაზახ-რუსებს ორბელიანმა.

— ტყის პირას, თქვენო ბრწყინვალებავ, აქვე, ციხის მახლობლად, — უპასუხეს ყაზახრუსებმა.

— გმადლობთ სიფრთხილისთვის... შემოხსენით ყაბალახი და თქვენ კი შეგიძლიათ წახვიდეთ.

ყაზახ-რუსები გავიდნენ. აფხაზი გაქვავებულსავით იდგა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა ორბელიანმა.

— მე თუთშული ვარ, სოფელ ჭიჭის მცხოვრები, არსლან-ბეის გამზრდელი, — თამამად უპასუხა აფხაზმა.

— არსლან-ბეის აღმზრდელი? — ჰკითხა თავადმა.

— დიაღ, აღმზრდელი: ჩემი ცოლი აწოვებდა ძუძუს... არსლან-ბეი ჩვენი გაზრდილია.

ორბელიანმა იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთში იმ ოჯახს და მთელს გვაროვნობას, სადაც ბატონიშვილები და თავადიშვილები იზრდებოდნენ. სამაგიეროდ, გაზრდილი მთელის გვაროვნობის მფარველად ითვლებოდა, გვაროვნობაც მზად იყო მისთვის თავი დაედო. იმაზე დიდი ფიცი აფხაზებში არ არის: „გაზდილი ნუ მომიკვდებაო“.

— ახლა სად არის არსლან-ბეი? — ჰკითხა ორბელიანმა.

— ფოთში, სტუმრად არის ქუჩუკ-ბეისთან.

— შენ რისთვის გამოგგზავნა ჩემთან?

— წერილი გამომატანა და სიტყვიერადაც დამაბარა რამე.

— წერილი რა უყავი?

ეს აფხაზი თუთშული იყო, დიდას მამა. სატევრის წვერით ბეშმეთის სარჩული გაირღვია და იქიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდის ნაჭერი ამოიღო.

— აი წერილიც,—უთხრა თუთშულმა და ეპისტოლე გადასცა.

ორბელიანმა გაშალა ქაღალდი.

„არსლან-ბეი აფხაზეთისა გენერალს თავად ორბელიანს მშვიდობას უცხადებს. ყოველს სიტყვას, რასაც ჩემი მამამძუძე თუთშული მოგახსენებს, ენდე“,—წაიკითხა თავისთვის ორბელიანმა.

მხოლოდ საქმე ის იყო, რომ არსლან-ბეის ხელს არ იცნობდა.

— ეს მისის ხელით არის ნაწერი?—ჰკითხა თავადმა

— თვითონ, თავის მარჯვენით დასწერა.

ორბელიანმა ტაშს დაჰკრა. ტაშის ხმაზე ქართველი მილიციონერი შემოვიდა.

— ახლავე სეფერ-ალი-ბეი მომიხმე,—უბრძანა თავადმა.

ერთს წუთს შემდეგ აფხაზეთის მთავარი შემოვიდა. თუთშული რომ დაინახა, საშინლად გაოცდა. აფხაზმა უმდაბლესი სალამი მისცა და ხელი ჯერ გულზე და მერე პირზე დაიდო.

— ბატონიშვილო, ამ კაცს იცნობ?—ჰკითხა ორბელიანმა.

— მამისა და ძმის მკვლელის გამზრდელსაც თუ არ ვიცნობ, მაშ ვის უნდა ვიცნობდე!—ზიზღით წამოიძახა სეფერ-ბეიმ.—მარტო ტურას შეეძლო ტურას გაზრდა.

— შენს ძმას მოციქულად გამოუგზავნია ჩემთან,—უთხრა ორბელიანმა.

— მამისმკვლელი ჩემი ძმა არ არის!—აღელვებით უთხრა აფხაზეთის მთავარმა.—რა უნდა ჩემგან ამ არა-წმინდას, ღვთისა და კაცის პირისაგან შეჩვენებულს?

— აი წერილსა მწერს,—უთხრა ორბელიანმა და სეფერ-ბეის თუთშულის მოტანილი ქაღალდი გადასცა.—ეს იმის ხელია, თავადო?

სეფერ-ბეიმ ზიზღით გადახედა ქაღალდს.

— ჰო, იმ ავაზაკისაა... ჩემის მამისა და ძმების სისხლით არის დაწერილი,—უთხრა ორბელიანს, როცა ქაღალდი უკანვე დაუბრუნა.—ნუ თუ უნდა დაუჯეროთ ერთის ტურის დაბარებულს ამბავს და მეორე ტურისაგან გაგონილს?

— ჯერ არ ვიცი, რას მეტყვის,—უპასუხა ორბელიანმა.— ყოველსავე შემთხვევაში, თქვენო ბრწყინვალებავ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რასაც არსლან-ბეის მოციქული მეტყვის, დაუყონებლივ თქვენ მოგახსენებთ ყველაფერს. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ და არსლან-ბეის ნაწერის შესამოწმებლად მოგიწვიეთ.

ორბელიანმა თავი დაუკრა, ახლა შეგიძლიათ წაბრძანდეთო. სეფერ-ბეიმაც თავი დაუკრა და ისე გავიდა, თუთშულისათვის ზედაც არ შეუხედნია.

— რაო, რა დაგაბარა არსლან-ბეიმ?—ჰკითხა ორბელიანმა.

— მისმა ბრწყინვალებამ, ჩემმა გაზრდილმა და მბრძანებელმა, არსლან-ბეი აფხაზეთისამ, მიბრძანა პირადად მოგახსენოთ მისი სიტყვები:—არსლან-ბეის ჰსურს რუსეთმა დანაშაული აპატიოს. სამაგიეროდ ფოთის აღებაში გიშველითო.

— ფოთი!—გაუკვირდა ორბელიანს.—როგორ?

— არსლან-ბეი ახლა ფოთში ბრძანდება, ქუჩუკ-ბეის სტუმარი გახლავსთ,—განაგრძო თუთშულმა.—ნებითა ალაჰისათა მას მომადლებული აქვს სიბრძნე სოლომიან მეფისა...

— იმერეთის მეფის სიბრძნე თუ?—გაიღიმა ორბელიანმა.

— არა, ებრაელთა მეფის სოლომონისა. ბრძენმა და ვეფხივით ძლიერმა არსლან-ბეიმ ქუჩუკ-ბეის მზაკვრობა შეატყო, და ამიტომ, გადასწყვიტა, სამაგიერო მიაგოს. არსლან-ბეიმ შეატყო, რომ ქუჩუკ-ბეი, ეს მოსისხლე მტერი რუსეთისა, ტრაპიზონის სერასკირს შერიფ-ფაშას ჯარსა სთხოვს, ფოთში მომაშველეო. აქ უნდა შეუერთდეს ოსმალეთის ჯარსა და იმერეთის მეფეს სოლომონს, რომ მერე რუსები გარეკოს როგორც ყულევიდან, ისე გურიიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან...

— აფხაზეთი არსლან-ბეის უნდა მისცეს, განა?—უნდოდ ღიმილითა ჰკითხა ორბელიანმა.

— არამედ ქვენი მეწყინეველებავ, — უპასუხა თუთუშელმა. — არსლან-ბეგი ქვეყანას დაწიოკებს, თეთრებს მეფის მოწყალებასა გთხოვსთ.

— რატომ თავისთავად არ მოვიდა და არა გვთხოვა შენდობაზე? — ჰკითხა ორბელიანმა.

— ჯერ სიცოცხლე არ მობეზრებია.

— რაკი თავპატივმცემ სიცოცხლეს შერჩება.

— არსლან-ბეგის ციმბირისა ეშინიან, — სამშობლოც უყვარს თავისი სამშობლოს მზე და მთებიც.

— მართლა ამაღებინებს ფოთს? — ცოტახნის ფიქრის შემდეგ ჰკითხა ორბელიანმა.

— უეჭველად. შენდობის სამაგიეროდ სვანებს გიჩვენებთ, სადაა სურსათი დაგროვილი ქურუკ-ბეგის ციხეში.

— ჯარი რამდენი ჰყავს შიგ?

— სულ ორმოცდაათი.

— ციხეში ზარბაზნები?

— ოცდათუთხმეტი.

თავადს ორბელიანს ძრახ სჯეროდა არსლანბეგის გულწრფელობა. ტიტი მიზეზი რამ უნდა ჰქონდეს, რომ ამ პატივისმოყვარე შეუპოვრობილმა ადამიანმა ხელი აიღოს მთელ თავისს წარსულზე და ცოცხლივ დაიმარხოს თავი. ამდენ რომ დიდი კაცი მთელი აღმოსავლეთის დესპოტიზმი მასში იყო განხორციელებული, ამდენი სისხლი დაღვარა, მამისა და ძმების შურისძიების გამო ფეხით გადათელა მრავალი რაიმესთვის, რომ ასწავლა მაღლა დამჯდარიყო ნეტავ ისე როგორღაც, სიყვარულის მეტი ხსნება — ყველაფერი სასტიკი წვეთებდა ჰქონდა დაკიდული მაცხოვრებლის, უსაზღვრო მორჩილება ვისმე, ურცხვად და აშკარად ცხოვრობა — ეს დესპოტისთვის გაუკაცრებად მიაჩნია, ასე ერთ დღეს არსლან-ბეგიც მამა და ძმები აქ მხოლოდ მაშინ ისმენს თავის მოჰკლა? ნუ თუ იმისთვის, რომ მერე ამ ნაწილის შემდეგ ჩადებინება შემცდარი ეყავით?

ამ სრულიად შემთხვევაში მზაკვრობაა, — ჰფიქრობდა ორბელიანი, — მხოლოდ საქმე ის არის, რა მიზნისათვის ჰფიქრობს?

— არა, არც შენი მჯერა, და არც არსლან-ბეისა, — უთხრა ბოლოს ორბელიანმა და თუთაშხიას ჩაციებით დაუწყო ყურება.

აფხაზი ყოყმობდა. თუ ნამდვილად მიზეზი არ გავამჟღავნე არსლან-ბეის ასეთის დაუჯერებელის სურვილისა, არავინ მერწმუნებაო. მაგრამ როგორ-ღა გავამჟღავნოვო? როცა სუხუმში გზავნიდა თუთაშხიას, არსლან-ბეიმ უთხრა, თუ ძალიან არ გაგიჭირდეს, ჩემი საიდუმლო არავის უთხრაო. მაგრამ დადგა კია ეს გაჭირების წამი? ბეშმეთის სარჩული უნდა ვაჩვენო, თუ არაო?

— თქვენი არაფერი მჯერა, — განიმეორა ორბელიანმა.

აფხაზმა თვალები გააბრიალა. მეტი გზა არ არის, „ბეშმეთის სარჩული“ უნდა ვუჩვენოვო. ხოლო როცა ორბელიანთან გზავნიდა, არსლან-ბეიმ უთხრა:

— „თუ ურუსი ისე დაარწმუნე, რომ ბეშმეთის სარჩულის ჩვენება არ დაგჭირდა, — ჩემთვის მამაზე მეტი იქნებიო; თუ მანამდე ვერ დააჯერე, სანამ ბეშმეთის სარჩულს არ აჩვენებ, — მხოლოდ უმცროსი ძმა-ღა იქნები ჩემიო“...

მეტი რა გზა იყო, თავის მბრძანებლის უმცროს ძმობას უნდა დასჯერებოდა... თუთაშხიამ გადასწყვიტა, რაც იქნება, იქნებაო...

— მაშ იცოდეთ, თავადო, — უთხრა ბოლოს თუთაშხიამ: მე არ გიჩვენე ის, რაც არსლან-ბეის ღრმად აქვს დამალული... მე არ გადმოგიბრუნე მისის გულის სარჩული, — შენც იმიტომ არ გვიჯერებ არც მე და არც იმას... არსლან-ბეის მძიმედ აქვს დაკოდილი გული. ამ ჭრილობის მორჩენა მხოლოდ ქუჩუკ-ბეის ქალს, მშვენიერს ესმა-ხანუმს შეუძლიან. ხოლო ქუჩუკ-ბეის გადაწყვეტილი აქვს თავისი ქალი ტრაპიზონის სერასკირს, შერიფ-ფაშას, უნდა მისცეს ცოლად. მხოლოდ მაშინ მოვა შერიფ-ფაშა თავისის ჯარით ფოთში რუსებთან საომრად და თავისის მშვენიერის ესმა-ხანუმის წასაყვანად. ჩემი ბატონი არსლან-ბეი კი ამბობს: — „ესმა-ხანუმისთვის რუსებს სოხუმსაც მივსცემ, აფხაზეთსაც, — ესმა-ხანუმისთვის ჩემს სულს

შივსცემ და მაჰმადის სამოთხესაცაო“.—აი, თავადო, ჩემის ბატონის გული გადახიშალეთ: მისი ბედი ბეწვზედა ჰკიდია. უშველე რამე ჩემს ბატონს. თავისს ესმა ხანუმს მთებში წაიყვანს; „იქ,—მითხრა არსლან-ბეიმ,—სადმე ღარიბულს ქოხში ვიცხოვრებთ და ეს ქოხი ჩვენთვის მაჰმადის სამოთხე იქნებაო“.

თავადი ორბელიანი ახლა კი დარწმუნდა, რომ რომ არსლან-ბეი არ თვალთმაქცობდა. იცოდა, აღმოსავლეთის კაცს რა მღგზნებარე ვნებათა-ღელვა აქვს. როცა უნდა თავისის გრძნობის საგანს დაეპატრონოს, აღმოსავლეთის შვილი დასთმობს ტახტსაც, სიცოცხლესაც. სიცოცხლე რად უნდა?—ერთი სატევრის მოქნევა—და სიცოცხლეც მშვიდობით! აკი მოჰკლა მამა და ძმები პატივ-მოყვარეობისთვის, ხოლო ეს ვნებათა-ღელვა არსლან-ბეისა—პატივ-მოყვარეობაზე ძლიერიაო.

(გაგრძელება იქნება)

## ႡႼႫႤႬ ႩႠႰႠႩႳႰႨႻႤႬ

ერთხელ წმიდა მამა მარტენ
ცხენით სადღაც მიდიოდა;
დილა იყო შემოდგომის,
სუსხავდა და ქარი ჰქროდა.

—

თვალი მოჰკრა შიშველ გლახას
ქვაზე მჯდომსა გზისა სწორად;
მსწრაფად მოიხსნა თვის ნაბადი
და გაჰკვეთა იგი ორად:

—

ნახევარი გლახაკს მისცა,
ნაჭერი თვით მოიფარა;
არ შეუდრკა ქარ-სიცივეს,
გზას გაუდგა ისევ წყნარა.

—

სატანამ რომ დაინახა,
გაცასწყრა და იღრიალა:
«თუ ეს წმიდანს არ ვანანო,
შერცხვეს ჩემი გრძნების ძალა!»

—

ქარი უფრო გაასტყლა,
ყველა არსს დღე გაუმწარა;
ას-წლოვანი ბრგე მუხები
ძირიანად ამოყარა.

—

მარტენს კი ისევ ლოცვით
გზასა ჭკეცავს ულეველსა,
ვით გასტეხავს ქარის შვროთვა
წმინდანის გულს ულეველსა?

—

მაშინ მოხუცს მჴვნე სულმა
ქართან სეტყვაც მოუვლინა
და ნახევრად შიშველ-ტიტველს
შიგ თავ-პირში დაუშინა.

—

მარტენი კი მხოლოდ სწუხდა:
«გაგვირისხდა რაზე ცაო,
ნეტავი ეს ჩემი ქუდიც
იმ საწყლისთვის მიმეცაო!»

—

«დახე რეგვენს,—სთქვა სატანამ,—
არად უჩანს ჩემი წყენა,
დავანანებ თავის ნაბადს!.....»
და ქარ-ბუქი აავენა.

—

წმიდანი კი კვლავ წინ მიდის
ლოცვითა და ვედრებითა;
«რად არ მივეც მთლად ნაბადი!»—
გულს იწყალებს ვედრებითა.

—

«ცხენს მოვუკლავ,—სთქვა სატანამ,—
დავუყენებ თვალს და ყურსო;
ძალს მოვკვრი და აღარც მაშინ
დაინანებს მოსახურსო?!»

—

გაყინული ფრინველებით
არე-მარე მოიფინა;

ცხენი მოკვდა და მოხუცსაც
თოვლ-ყინულზე მიეძინა;

—

სიზმრად ნახა... მის ნაბადში
ეხვეოდა კაცთა-მხსნელი;
და გაათბო მისმა მადლმა
მოყვასისთვის მადლის მქმნელი.

ს. იორდანიშვილი

# სასაფლაო

(თარგმანი)

(ქ-ნ ნინო ზურაბიშვილისას)

გარშემო დუმილია. მხოლოდ ჭრიჭინა ჭრიჭინობს მაღალ ბალახში და ამით არღვევს დიადი საიდუმლოებით მოცულს მდუმარებას.

იქ კი, შორს, შორს ქალაქი მოსჩანს, ქალაქი მშფოთვარე მღელვარე, მაგრამ შორს არის და არავითარი ხმაურობა არ მოდის. ცოცხლებს ჩვეუდი უყვართ თავიანთ ახლო სასაფლაო: არა სურთ დაარღვიონ მათი მყუდროება, რომელთაც ცხოვრების გზა გალიეს... ანა და შეიძლება არა სურთ თვალწინ ჰქონდეთ მუდმივი გამახსენებელი memento mori-სა!

დიაღ, გახსოვდეს, მომაკვდავო, დასასრული შენი სიცოცხლისა. სიცოცხლე ხომ სწრაფლ-წარმავალია, მეტად ხან-მოკლე. აქ კი საუკუნო წავანსადგურია, ვიწრო და კლდოვანი, სამარადისო მდუმარებითა და მჭმუნვარებით მოცული ნავთსადგური. ჰო, დიაღ, სძინავთ დუმილით მოცულს ამ ადგილში მათ, რომელნიც წუთისოფელს განშორდნენ. მხოლოდ ხანდახან დაარღვევს ტყეშ ჩიტალოლოლოდთ ქვეშ მდებარეთა შორის დამკვიდრებულ მყუდროებას, რომელიმე ახალი მდგმური, რომელიც საუკუნო საბინადროსკენ წამოსულა. ხშირ-ფოთლებიანსა და მრავალ-ტოტებიანს კაცხვს რაღაცნაირი მკრთალი ჩრდილი გაუშლია აქ.

გრილა ამ ჩრდილში. მაგრამ აქ ვის რად სჭირია სიგრილე. ნოტიოსა და სველ მიწაში უფრო არა გრილა, უფრო არა ცივა მძიმე, წვიმისაგან ხავს მოკიდებულ ლოდთა ქვეშ?

ნოტიოა და სიცივე, სიცივეა და სივიწროე, მაგრამ არ ისმის არც არავის ჩივილი, არც არავის საყვედური.

მაგრამ, ეჰ, რამდენი საფლავს, რამდენი იმედია აქ დაფლული, რამდენი ლტოლვაა დამარხული აქა, თუმცა შესაძლოა, რომ ეს ლტოლვა გიჟური იყო, სიხარულის მომფენი კი ყოველთვის იყო, რამდენი [illegible] აღსავსე ოცნებაა დამიწებული აქა.

ყოველივე ეს გამქრალა, გაფანტულა ერთად იმ ადამიანთა სულის ამოთქმასთან, რომელთა აზრში აღმოცენდა, რომელთა გაქრობას და მოსპობას ეხლა აღარავინ დარდობს.

[illegible] მარმარილოს დაფაზე [illegible] ჩემთვის [illegible] რა-[illegible] [illegible], [illegible] [illegible] დიდი არის. აქ განისვენებს ყრმა. უწყალო სიკვდილის ცელმა მოუსწრო [illegible] მომავალი რწმენითა და იმედებით აღსავსე [illegible]. მშვენიერი ფერადებით დახატული [illegible] [illegible] ეჩვენებოდა მისი [illegible] წყვდიადი [illegible] მო-მავალი [illegible] მომავალი [illegible] ოცნებას [illegible] [illegible] მიაჩნდა [illegible] სასა-გებლო მოქმედებით, [illegible] [illegible] არ [illegible] არავითარ [illegible] გარემოებათ. დამარცხებული [illegible] შეხვდება, მაგრამ სძლევს მათ, [illegible] ყრმას [illegible] მისი სული [illegible] წინამძღვრად [illegible] [illegible]

[illegible] ყრმა, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] გვერდით [illegible] მარმარილოს წარწერა [illegible] ზედა. აქ [illegible] [illegible] ყრმის [illegible]. [illegible] დიდი [illegible] გასძლო, მაგრამ [illegible] სიყმაწვილეშიაც კი არ გაუტარებია თავში ყრმის ფიქრები [illegible]

წყევა-კრულვით ეგებებოდნენ ყველგან, წყევა-კრულვით აცილებდნენ, წყევა-კრულვით ჩაუშვეს სამარეშიც. მისი შეჩვენებული მრავალი ცრემლითა და ღვარძლით მისი მიზეზით [illegible] მწუხარების მისთვის და ტანჯვის მიზეზი იყო. მრავალთა [illegible] მაგრამ სიკვდილით [illegible] ერთი ქალი [illegible] არ შეუწუხებია. [illegible] დადიოდა მისივე ხელით [illegible] სასაფლაოზე [illegible] სიცოცხლეს კარგავდა [illegible] სიცოცხლე და [illegible] აქ, ყრმის გვერდით, იგივე [illegible], არც მეტი და არც ნაკლები.

[illegible] ერთად ასვენია [illegible], რომელნიც [illegible] აძლევდნენ ერთმანეთს შეუფერხებლად შეენახათ [illegible]. [illegible] სხვა-და-სხვა დროს ჩამოსახლებულან აქა, [illegible] მოხუცი საუკუნოდ [illegible] გვერდით [illegible] ისევ ისე უყვარდათ, როგორც მათი შეხვედრის პირველ დღეს. მიწიერი კავშირი ეხლა საუკუნო კავშირად გარდაიქმნა [illegible] დროს ხომ მაინც ეფიცებოდნენ ერთმანეთს მარადის უკუნისამდე გვეყვარებაო ერთმანეთიო. ეხლა [illegible] ძალიც ვერ შეშუსრავს ამ [illegible] სიყვარულსაც. თითქო აქ შეუფარებიათ თავი [illegible] საუკუნო განსვენებულთა გვერდით.

[illegible] მერე რა მყუდროება და მშვიდობა [illegible] ამ [illegible] ქვეშ. [illegible] თავის [illegible] უგზავნის [illegible] და მუდმივად [illegible] სიყვარულისა [illegible], მტრობაზედ [illegible] შეხიზნულა [illegible] თავის [illegible] იგი [illegible] საუცხოვო ხმა [illegible], რომელიც [illegible] ბუჩქებიდან [illegible] და სიყვარულსა [illegible].

მაგრამ — ოჰ, მოწყალეო ღმერთო [illegible], ყველგან ამათ შესახებ, როგორც სხვების [illegible] [illegible] გვერდით [illegible] რომელნიც [illegible] არ [illegible] გვამცნებს, რომ მის ქვეშ [illegible] მოთავსებულა [illegible]

ქმარს ემახლნენ, ერთად სცხოვრებდნენ და ერთად ჩავიდნენ საუკუნო საცხოვრებელში. აწ აღარ დაშორდებიან ერთმანერთს, თითქო მათი კავშირიც ისეთივე მჭიდრო ყოფილიყოს, როგორც მათ გვერდით მდებარეთა... სოფელი კი ამბობდა... ამბობდა, რომ ცოლს სხვა უყვარდა, რომ აღკრძალული ალერსი უფრო ტკბილად და სანეტაროდ მიაჩნდა — ამბობდნენ, რომ ქმარს ღალატობდა... ქმარი კი... საფლავამდის ერთგული იყო, საფლავშიაც კი მის ერთგულებას ელტვოდა.

იქით... ცოტა მოშორებით განისვენებს იგი, ვინც თავს აბეზრებდა სტუმრობით ამ ოჯახს, ვინც სხვისი ბედნიერება დაამხო, თვით კი ვერ მოიპოვა ეს ბედნიერება, ვინც დაწანწალებდა მარტოკა, უსახლკარო და უცოლშვილო. მარტოდ ჩავიდა იგი იმ საფლავის ცივი ლოდის ქვეშ.

ეს სულ ახალი საფლავი ვიღასია. ჯერ კიდევ ქვით არ შეუმკიათ იგი. მხოლოდ სველი მიწა გვაჩვენებს, რომ აქაც განისვენებს ვიღაც.

ვინ არის ასე განმარტოვებულად რომ ასაფლავია? იქნება ასე მარტო იყო იგი წუთის-სოფლის ცხოვრებაშიაც. ანა და შეიძლება მხიარულისა და მოქეიფის მრავალ-რიცხვიანის ოჯახის წევრი იყო და შეიძლება მის დაკარგვას მწარედ დასტიროდნენ. არა! არავისთვის დაუძახნია არც „დედა“, არც „მამა“, არ გამოუცდია ტკბილი ცხოვრება, მშობლიური კერა. ადრე დაობლდა და ობლობის ბეჭედი ღრმად დაჩნეოდა ფართო შუბლზედ. მოწიფული ვაჟ-კაცი იყო, როცა სიკვდილის მსახვრალი ხელი შეეხო. ჰფიქრობდა გონიერების შემწეობით ადამიანთა ხსოვნაში უკვდავებას მოიპოვებდა. დიდებასა და სახელს ელტვოდა მისი ძლიერი და საღი გონება... ხოლო კანონი ბუნებისა ულმობელია. ეს კანონი თხოულობდა მოსპობას სიცოცხლისას, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა... განქრა, მოისპო კაცი... დღეს მიწაში ჩამარხული. მასთან ერთად დამიწდა მხნეობით აღსავსე მისი სურვილი და ყოველივე, რასაც შეეძლო მოეხვეჭა მისთვის სახელი... გრილს მიწაში და-

ფლული ყოველივე, ვეღარავითარს სამსახურს ვერ გაუწევს აწი-
მას ვერაფერი.

მრავალი საფლავია აქა, მრავალი... ბევრი ხალხი გადმო-
სახლდა აქა... ყოველგვარი ადამიანია აქა... შეხეთ, აი, აგერ,
პაწია საფლავი... ვინ არის ნეტა შიგა?... საცოდავო, შენ არ
გამოგიცდია არც ერთი გრძნობა კაცის გულის აღმაშფოთებე-
ლი; საშინელი ტანჯვა მიაყენე შენი დედის გულს. მძიმედ დას-
ჭერი... ამ ჭრილობას ვერ განჰკურნებს ვეღარც საუკეთესო
მკურნალი გულისა—დრო...

ყოველ დღე მოდიოდა აქ ეს უბედური ძვირფასის ყრმის
სანახავად, რომელიც უდროოდ მოჰგლიჯა ძუძუდან ულმო-
ბელმა სიკვდილმა. და ევედრებოდა ზეცის ძალს, მოაშოროს ამ
წუთისოფელს, სამეუფოს ტირილისა და მწუხარებისას.

მრავალი საფლავია აქა, მრავალი... მრავალი ხალხი გად-
მოსახლდა აქა. ყოველ მათგანს უგალობეს: „საუკუნოდ იყავნ
ხსენება და კურთხევა მისიო.“ ყოველ მათგანს დასცემია ცრემ-
ლი. მათი ხსენება კი აღარავის დარჩენია, ცრემლებიც ხომ კა-
ხანია შეაშრათ ისე, როგორც დილის ნამი...

მაგრამ ეჰ, რავდენი სურვილი, რავდენი ლტოლვა, რავ-
დენი სიტკბოებით აღსავსე ოცნება ჩამარხულა ამ გრილს მი-
წაში... ერთს მოყვასისა და კეთილის სიყვარულის ცეცხლი
სწვავდა, მეორე მზად იყო მთელი ქვეყანა მტვრად ექცია,
ოღონდ კი თავისი ქვენა გრძნობები დაეკმაყოფილებინა. ყო-
ველ გრძნობას ადამიანისას, რომელიც აღელვებს და აშფოთებს
წუთისოფელს, მოუპოებია აქ თავშესაფარი. ყოველნაირი გრძნო-
ბა მოთავსებულა აქ, ამ ვიწრო ადგილში...

გარეშემო კი დუმილია... არაფერი არ უშლის ხელს საფ-
ლავთა მყუდროებას... მხოლოდ ჭრიჭინა ჭრიჭინებს მაღალ
ბალახში და ამით არღვევს დიადის საიდუმლოებით მოცულს
მდუმარებას.

კოტე აბაშიძე

## ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

# სამშობლოს განსაცდელი

1792

ნაწილი მეორე

ერკმან-შატრიანისა *)

---

უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან ბევრნი ჩაეწერნენ მოხალისედ) სურვილით ჯარში და პირდაპირ სამძღვრისაკენ გაემგზავრნენ; სულ ნაწვრთნელი, სამსახურში მყოფნი ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, სხვათა შორის როშბრუნი, ლეფევრი, დიუპლესი და სხვა. უმეტესი ნაწილი კი ჩვენი ბრძოლის ველზედ და ვინც გადარჩა, წარჩინებულ მხედართ-მთავრად ირიცხებოდნენ შემდეგში და ძალიანაც ასახელეს სამშობლო. ვინც ჯარში წასვლა უნდოდა, სამამასახლისოში უნდა გამოეცხადებინა; სამგზავროდ და ტანისამოსისთვის ცოტა რამ ფულს მიიღებდა და ერთ-ერთ ჯარისაკენ გაემგზავრებოდა. თუ გახსოვთ, რომ მაშინ ჯარი შრაბეგში იდგა, ლაფაიეტისა მეცში და ლიუკნერისა იქვე ჩვენს ახლო ბიშისა და ბელფორის შუა. სიმღერით და სიცილით გავაცილებდით ხოლმე მიმავალთ და გულში კი გვეშინოდა:

— თავისუფლების ბურჯნი ესენი არიან და ესენიც რომ ავსტრიელებმა ამოგვიწყვიტონ, ვიღას შემოვიყვანთ ამათ სამაგიეროდ?

წარმოიდგინეთ, როგორ გვეწყინებოდა, როდესაც ხმა გავარდა 29 აპრილს,—თავის ნებით გასულნი ავსტრიელებს ისე

---

*) „მოამბე", № X, 1897 წ.

გამოჰქცევიან ჯარს ოფიცრები მათი ოჯახებიანად და იმათ კიდევ თან დასდევენ რამდენიმე დაბნეულნი ჯარის-კაცებით. იმისთანა უცნაური დაუჯერებელი იყო ეს ამბავი, რომ ყველანი იძახდნენ, ეს კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ბერების მოგონილიაო!

ჩვენდა საუბედუროდ, იმ საღამოს პარიზიდან მოსულმა ფოსტამ ყოველი იმედი გაგვიტრუვა: ფლანდრიიდან სამ რაზმად წასულიყვნენ ჩვენი ჯარები, რომ ერთი ფლერუსში ჩასულიყო და იქაურ პატრიოტებს შეერთებოდა, მეორე ტურნეიში და მესამე მონსში. მაგრამ გენერალ როშამბოს, რომელსაც ის იყო მეფემ მარშლობა უბოძა, ავსტრიელი გენერალისთვის ჩუმად წერილი გაეგზავნა, შენზედ მოვდივარ, მზად იყავიო; ჩვენი ჯარები დაიმედებულები მიდიოდნენ, მტერს მოულოდნელად მივუცვივდებით და დავიმორჩილებთო და მტერს კი ლამაზად გაემაგრებინა გზები, ზარბაზნები დაელაგებინა, რიცხვითაც ერთი-სამად უმრავლესი ყოფილიყო, ვიდრე ჩვენი ჯარები და დიდი ძალი ცხენოსანი ჯარი ჰყოლოდა.

ამას თვით როშამბოც სწერს თავის დღიურში, 20 აპრილს. რესპუბლიკის სასახელო გენერლებს — ბონაპარტს, ჰოშს, მასკენას, კლებერს და სხვ. რომ წინადვე შეეტყობინებინათ მტრისთვის, მოვდივართო, არა მგონი გამარჯვებული ყოფილიყვნენ როდისმე.

იმავე გაზეთებში ეწერა, რაკი ნახეს ჩვენმა ჯარებმა, რომ ავსტრიელები ასე მომზადებულნი და ჩასაფრებულნი დახვდნენ, უკან გამობრუნდნენ და ყვიროდნენ:

— გვიღალატეს! გვიღალატეს!

და მართლა ჯარის-კაცებს კი არა, მთელ ერს იმას გაიძახოდა: გვიღალატეს. მართლაც და ჯარში იმდენი დიდებული გვარიშვილნი იყვნენ ისევ უმთავრესებად და წინამძღოლებად, რომ საკვირველიც იქნებოდა, რომ არ ეღალატნათ. კლუბებში ღალატზედ-ღა ლაპარაკობდნენ. 1792 წ. 3 მაისის „მოამბეში“ ეწერა:

„კორდელიერების კლუბისაგან წარმოგზავნილნი შევიდნენ დარბაზში და კანონმდებელ კრებას მოახსენეს; საფრანგეთს სამასი კაცი უკვე მოაკლდა; სამასმავე თავი შესწირა სამშობლოს, როგორც თერმოპილეში სამასმა სპარტელმა. საზოგადოებრივი აზრი მათს სიკვდილს ღალატს აბრალებს.

სიტყვა გააწყვეტინეს. ასი კაცი ერთად უყვიროდა:

— გარეკეთ! გარეკეთ ეგ უსინიდისონი!

ისეთი ღრიალი ასტეხეს, რომ კორდელიერების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ ხმა ამოუღებლივ უკან გაბრუნებულიყვნენ. რამდენმამე „მთიულმაც“ ითხოვა სიტყვა, მაგრამ კრებამ არც იმათ მოუსმინა და მორიგი საქმეების განხილვას შეუდგა“.

კანონმდებელი საერო კრების უმეტესი ნაწილი ხმოსანთაგან, ესე იგი შეძლებულთაგან იყო ამორჩეული და თანასწორობას უარს ჰყოფდა; ამ უმეტესობას ღმერთივით სწამდა ბატონი მარკიზი დე-ლაფაიეტი და ლაფაიეტს კი ინგლისის მიხედვით საფრანგეთის გამგედ ორი კრებული ნებავდა: ერთში დიდებულნი და ეპისკოპოზნი უნდა ბრძანებულიყვნენ და მეორეში ხალხის წარმომადგენლნი. ხალხის წარმომადგენელთ რომ დიდებულთათვის საზარალო ან უსიამოვნო დაედგინათ რამე, დიდებულთა კრებას უფლება უნდა ჰქონოდა თავის უთანხმოება გამოეცხადებინა და დადგენილების აღსრულება შეეყენებინა. ეს ხომ საერო კრებისგან უკვე გაუქმებული სამივ წოდების აღდგენა იქნებოდა! ჩვენდა საბედნიეროდ, მეფე ლუი XVI და დედოფალი მარიამ-ანტუანეტა იქვის თვალით უყურებდნენ ლაფაიეტს.

საცა გაიხედავდით, ყველგან ღალატმა იჩინა თავი: ვანდეში, ბრეტანში, სამძღვრებზედ, და თვით საერო კრებაშიაც კი. ყველა მაწანწალა კონსტიტუციის გაუქმებას გაიძახოდა, მეფის მომხრე მღვდლები ხალხს ღვთის რისხვით და სულიერი წაწყმედით ემუქრებოდნენ, გახიზნულნი ჩვენს მილიციას „მეჯლანეების ჯარს“ ეძახდნენ და სწორედ ამ დროს, — ორი კვირა არ გასულა მას შემდეგ, რაც გენერალი როშამბო ისე სამარცხვინოდ

დამარცხდა,—სწორედ ამ დროს 10 მაისს, მოვიდა ამბავი, რომ წუხელ ღამის 11 საათზედ საქსის რაზმი მტერს მიუდგაო. ეს ის ცხენოსანი რაზმი იყო, რომელმაც ფალსბურგში გავლის დროს რამოდენი უიარაღო ჯარის კაცები ამოხოცა მარტო იმიტომ, რომ იმათ ერთი ცხენოსანი შეაყენეს და უთხრეს: დაიყვირე, თავისუფალს ერს გაუმარჯოსო! დიდად დაუმადლა მაშინ მეფემ ამ ცხენოსანთ ერის ერთგულთა ხოცვა. დღეს კი მთელი ეს რაზმი მტერს მისდგომოდა და ამ ღალატის ჯილდოდ ყოველ მათგანს ექვსი მანეთი ფული მიეღო. იმავე დღეს ხენტავოლში მდგომი რაზმიც აბარგებულიყო და, ვითომ სასეიროდ მივდივართო, სამძლვარს გადასულიყო თავისი ბარგით და ცხენებით და მტერს მისდგომოდა. ჩემი ძმა ნიკოლოოზი ამ რაზმში იყო.

აი რით გვებრძოდნენ ჩვენი პატიოსანი მოწინააღმდეგენი: ჩრდილოეთში გენერალი გვღალატობდა, დასავლეთისკენ ჯარები და ჩვენს უკან კიდევ—ვანდეში და ბრეტონში—ხალხი.

დიდი ხანია მე ამეებს მოველოდი. დიახ, მას აქეთ, რაც ჩემს ძმას ნიკოლოოზს შევხვდი, მას აქეთ, რაც ნანსში ხალხის ელეტა ვნახე, დავრწმუნდი, რომ გაუნათლებელ მხეც ჯარის-კაცს, რომელსაც თავისი უმფროსის ღიმილი მთელს ქვეყანას ურჩევნია და ერთი უბრალო ჯვარი სულის ცხონებას, სასახელოდაც ექნება სწორედ იმ ხალხზედ იხმაროს იარაღი, რომელმაც იგი გამოზარდა და ახლაც პურს აჭმევს. მამა-ჩემს არას ვეუბნებოდი ჩემი ფიქრებისას და ძალიან ცუდსაც ვშვრებოდი, რადგან წინადვე რომ აზრადაც არის მოსვლოდა თავისი ნიკოს გაპარვა, ეხლა ისე ძალიან აღარ შესწუხდებოდა. სოფელში ეს-ღა ჰქონდათ სალაპარაკოდ; ისე აღელვებული ხშირად არ მინახავს მე ხალხი. შეიძლებოდა ჩვენსაც შემოსულიყო ვინმე მეზობელი და მეზობლური ჯიბრით ისიც წამოეყვედრებინა მამი-ჩემისთვის, რომ შენი შვილი სამშობლოს მოღალატეაო.

მაშინვე მივანებე საქმეს თავი და თითქმის ჩაუცმელი გავეშურე შინისკენ, რომ რაც შეიძლებოდა ფთხილად შემეტყობინებინა ჩვენებისთვის ეს უბედურება. მამა-ჩემი გარედა

მუშაობდა ჩვენს კარებთან და დამინახავდა თუ შორს, ტკბილად მუ-მომცინოდა. იმის დანახვა და ჩემი აღელვება ერთი იყო; ასე ავი-რიე, რომ აღარ ვიცოდი, რას ჩავდიოდი. სიფითრილექვე დამეუფ-წყდა, წინადვე მოფიქრებული სიტყვები და რაც მამა-ჩემს დავუახლოვდი, შევტირე:

— რა ცუდი ამბავი მომივიდა, ერთი იცოდე, მამა-ჩემო! ჩვენი ნიკოლოზი მტერს მისდგომია!

ნეტავი ღმერთი გამწყრომოდა და ამა არ მომესმინა! ერთი კი შემხედა საწყალმა მოხუცებულმა, საწყლად შემხედა, თითქოს მადლიანი კი არა, სხვა რაღაცა დანაშაულებს, და ჩემკენ დაემხო გულწასული. დღეს კარგა ხნის ქალი ვარ, მაგრამ ეხ-ლაც ყურში მიდგას ის ყვირილი; საშინელი რამ იყო, საში-ნელი და ეხლაც ბევრი მეცვლება ხოლმე, როდესაც რომ მო-ვიგონებ.

მეც კი ველარ ვიდექი ფეხზედ, იქვე კედელს მივეყუდებო-დი, მუხლები რომ არ მომშველებოდნენ მეც იქვე შევიქცე-ვოდი.

— მიშველეთ, ხალხო, მამა-ჩემი გულშეწუხდა! რა ამბავია? რა მოხდა?

როცა კი აწიეს მამა-ჩემი და მაინც ვერ მიხვდნენ, ჯერ ისევ გულწასული. ჰკითხეს რომ მიზეზი:

— რა მოხდა, რას ლაპარაკობს შემოხვეული მამა-ჩემი, ჩვენი ნიკოლოზ! გაპარულა და მტერს მისდგომია.

მამა-ჩემი ასწლის ლოგინზედ დავასვენეთ. მერე შეფიცვრით მი-ვუჯექი და იმისთანა კაეშანმა ამიტანა, რომ დაცვებულისაც არ მიმაგდავდა ხოლმე, ისე მწარედ შევწუხდი.

მაგრამ ყოველთვის გაჭირვების დროს თავისი სანუგეში აქვს. მანამ ჩვე-ლებრივ ნუ ვწვევს, ანგელოზი უბედურებათა სიტკბოს კაცმა — მე-გობრები მყავსო. უბედურებაში ნუგეში თავისთავად გამიჩნდება ხოლმე. იმისთანა სანუგეშო არა არის-რა, პატიოსანი კაცისთვის როგორადაც გრძნობა, რომ უბედურებაში მყოფს, ყველანი თანა-ნაგრძნობენ ნაცნობები და უცნობები, ნათესავები და უცხონი. მთე-ლი სოფელი შეიძრა, ქალი და კაცი, თვალ-ცრემლიანნი მი-

დიოდნენ მამი-ჩემის სანახავად; ჩვენი პატარა ქოხი სავსე იყო ხალხით; მაგრამ ისე იყვნენ ყველანი გაჩუმებულნი, ისე იყვნენ სულ განაბულნი, თითქო სახლში ცხედარიაო. მარტო მოხუცებულნი გაბედავდნენ ხოლმე და თავის ქნევით იტყოდნენ:

— ეჰ, საწყალი ბასტიენი! მოდი შენა და დღეის შემდეგ შვილი ინატრე! აჰა, შვილისაგან არ არის მკვდარი ეს უბედური!

მე კი ვიჯექი და ვუსაყვედურებდი ჩემს თავს; კარგად ვხედავდი, რომ სხვა, ვინც უნდა ყოფილიყო, უფრო ფრთხილად და დარიდებით ეტყოდა მამა-ჩემს ამ ამბავს, ვიდრე მე.

ცოტა ხანს უკან ნათლია-ჩემიც შემოვიდა. გარედანვე შემომესმა იმისი ხმა: — „ეჰ, ჩემო საბრალო ბასტიენ, ჩემო ძველო მეგობარო!... და მეც თავში წავიშინე და ქვითინი დავიწყე, მამა-ჩემი მე მოვკალ-მეთქი.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სასახელოდ მიმაჩნია მამი-ჩემის პატიოსნება. ის რომ მართლა პატიოსანი კაცი არა ყოფილიყო, არც ისე დანანდებოდა ყველას. ხომ ისეთი ღარიბ-ღატაკი იყო და იმ დღეს ცხადად გამოჩნდა, რომ ის უფრო უყვარდა ჩვენს სოფელს, ვიდრე ბევრი სხვა უფრო შეძლებლები. ბევრს სიმდიდრის გამო სცემენ პატივს; ჩვენგან კი რის იმედი უნდა ჰქონოდათ? უმეტესი ნაწილი იმ ხალხისა, რომელნიც მამი-ჩემის სანახავად მოდიოდნენ, ერთი ასად უფრო მდიდრები იყვნენ, ვიდრე ჩვენ. აი ეს იყო სანუგეშო და, კიდევ მოგახსენებთ, მე თავი მომწონს, რომ ასეთი ყველასაგან პატივცემული და საყვარელი მამა მყავდა.

როგორც იყო, მოვასულიერეთ საწყალი მამა-ჩემი. მარგალიტას გაეგო თუ არა ჩვენი უბედურება, მაშინვე გამოეგზავნა ექიმი შტეინბრენერი და ისე კარგად უწამლა, რომ სიკვდილს გადაარჩინა. მოსულიერდა, მაგრამ სულ იმასა ჩიოდა, გვერდი მტკივაო; სუნთქვა უძნელდებოდა. მის სანახავად მოსულებს უცინოდა და იმედიანად ეუბნებოდა:

— არა მიშავს-რა, გმადლობთ!

დედა-ჩემი კი იჯდა გაჯავრებული და ეტყობოდა, ძალიან ეჯავრებოდა იმოდენი ხალხის თანაგრძნობა. რომ შესძლებო-

და, სახლიდან გარეკავდა ყველას; ხალხის თანაგრძნობა ნიკოლოოზის დაწყევლა იყო და დედა-ჩემი კი ნიკოლოოზისკენ იყო და იმის მხესა ჰფიცავდა.

დედა-ჩემი ჯერ ისე იყო, თითქო საიმისო არა მომხდარარაო; მაგრამ როდესაც ერთმა ჩვენმა მეზობელმა მირალმა უთხრა, თქვენს ნიკოლოოზს თავის დღეში აღარ შეეძლება საფრანგეთში დაბრუნება, რადგან, თუ დაბრუნდა, დაიჭერენ, სამხედრო სასჯელში მისცემენ და დახვრეტამენო, მაშინ კი შეიგნო, რა უბედურება გვწვევოდა და ფერი ეცვალა. მირალი ძველი ჯარისკაცი იყო და სამხედრო კანონები კარგად იცოდა. იქნება სცდებოდესო, დედამ ნათლია-ჩემსა ჰკითხა, განა ეს მართალიაო? და რაკი იმისგანაც იგივე პასუხი მიიღო,—საფრანგეთი მოღალატეებს ტყვიით უხვდება და დაუსჯელი არავინ გადარჩებაო,—თავი ვეღარ შეიმაგრა, ცრემლი წასკდა და გარედ გავარდა სატირლად.

რამდენიმე დღის შემდეგ მამამ მუშაობაც შესძლო, მაგრამ ხელი სულ მარცხენა გვერდზე ეჭირა, თითქო გული მისდისო. ერთხელ მარტონი ვიყავით და ვკითხე:

— ხომ არა გტკივა-რა, მამა, რომ ავრე ძნელადა სუნთქავ?

აქეთ-იქით მიიხედა, ხომ არავინ არისო, და მითხრა:

— ჰო, შვილო, ისე მაწუხებს მარცხენა ძუძუს თავი, თითქო ხანჯალი დამცესო.

მოიგონა ნიკოლოოზის წერილი; ჯერ ძალა დაატანა თავის თავს და სიცილი დაიწყო, მაგრამ უცბად ცრემლი წასკდა, ხელები ცისკენ აღაპყრო და სთქვა:

— ღმერთო, შეუნდე უბედურს შეცოდებანი თვისნი! არ იცის უბედურმა, რას სჩადის, თორემ მაგას როგორ იზამდა.

თავის სატკივარის შესახებ ამის მეტი არა უთქვამს-რა, თუმცა მას შემდეგ კარგად თავის დღეში აღარსადა ყოფილა. მალავდა საწყალი, არავის რას ეუბნეოდა და მარტო ღამე, როდესაც ყველანი ღრმა ძილში ეგულებოდა, დაემორჩილებოდა ხოლმე ტკივილს და მწარედ ამოიკვნესებდა.

მეც, რაც შემეძლო, ვცდილობდი გამერთო რითიმე. საღამოზედ, შინ მოვიდოდი თუ არა, გვერდთ მივუჯდებოდი და პატარა სტეფანეს ვუქებდი—კარგადა სწავლობს, მამა ქრისტეფორე ძალიან კმაყოფილი არის-მეთქი. ყოველ კვირა ჩამომყავდა სტეფანე ხოლმე და შინ მყავდა მთელი დღე. მამა-ჩემიც გამხიარულდებოდა, მოილხენდა, თავისი სევდა გადაავიწყდებოდა და წამოიძახებდა ხოლმე:

— გმადლობ, შენ ღმერთო! ოღონდ ამ ბედნიერებას ნუ მომიშლი და მეტს აღარასა გთხოვ.

ეგ მარტო კვირაობით იყო ხოლმე, და ისე დღე კი, მთელი ექვსი დღე თავდაღუნული უნდა ყოფილიყო თავის კალათზედ და სრული თავისუფლება მიეცა მწარე ფიქრებისთვის. ვინ იცის რას არა ფიქრობდა დილის ხუთი საათიდან საღამოს ცხრა საათამდე? მარტო ჩემს მისვლაზედ გამოერკვევოდა ხოლმე, როდესაც შორიდან ჩემს სტვენას გაიგებდა. ეს ჩვეულებაც დარდმა შემძინა: მინდოდა დამემალა ჩემი გულის წუხილი და ვუსტვენდი—ნახეთ რა მხიარულადა ვარ-მეთქი. გაიგებდა ჩემს ხმას, მომეგებებოდა და შორიდანვე შემომძახებდა:

— შენა ხარ, მიხო! რასა იქ? ბევრი საქმე გქონდათ დღეს?

— არა უშავდა-რა, მამა!

— მით უკეთესი! დაჯე, შვილო, დაისვენე, მანამ მე ამ კალათს გავათავებ.

დედა-ჩემიც ძალიან შეწუხებული იყო, საწყალი. იჯდა თავისთვის ჩრდილში, კუნჭულში, გულხელდაკრეფილი, პირმოკუმულ და თავის ნიკოზედ ფიქრობდა.

ქალაქიდან ყოველთვის ამომქონდა გაზეთები, რომელსაც მარგალიტა მაძლევდა და საღამოობით მამა-ჩემს წავუკითხავდი ხოლმე. ძალიან მოსწონდა ვერნიოსი და ერთობ ჟირონდელების სიტყვები. უკვირდა, ასეთი გაბედვით რომ არიან, განა თავი განწირული აქვთო? და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ხალხის ბედ-იღბალი ხალხისავე ხელში უნდა იყოს და ხალხის ბატონი თვით ხალხი უნდა იყოს და არა სხვა. ძალიან ძნელად კი ითვისებდა ამ ახალ აზრს. რადგან ძველ დროში იყო აღზრდი-

ლი და დაბერებული, იმ დროში, როდესაც უბატონობა[1], სიზმრადაც ვერავინ წარმოიდგენდა. მოაგონდებოდა ხოლმე თავისი დრო და ვერ წარმოედგინა, რომ დღეს ყველანი სრულიად თანასწორნი არიან და ადამიანთა შორის დღეს არავითარი განსხვავება აღარ არსებობს, გარდა პირადი ჭკუის და ნიჭისა. ძველი, შეჩვეული აზრების ამოგდება ძალიან ძნელი რამ არის და მამა-ჩემი რომ დაბადებითვე გულკეთილი და სიმართლის მოყვარე არა ყოფილიყო, ახალი ცხოვრებისას ვერას გაიგებდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინსაო.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ორორი რაზმის გაპარვის შემდეგ, მარშალი როშამბო თავის ალაგას ვეღარ დარჩებოდა და თითონვე ითხოვა, სამსახურში ყოფნა აღარ შემიძლიანო. მაშინ სამძღვარზედ მდგომი მთელი ჯარი ორად-და გაჰყვეს: ერთი ჩრდილოეთისა, ლაფაიეტის წინამძღოლობით და მეორე აღმოსავლეთისა, რომლის წინამძღოლად ლიუკნერი იყო, ძველად გერმანელ ცხენოსანთა ჯარის-კაცად ნამყოფი, რომელიც ფრანგულს ძლივს ამტვრევდა.

ავსტრიელები იმის მაგივრად, რომ წინ წამოსულიყვნენ, პრუსიის მეფეს გილიომს ელოდებოდნენ; იმანაც მიუხედავად გახიზნულთა ხვეწნა-მუდარისა დიდი ხანი ალოდინა სამძღვართან მდგარი, შემოსასევად დამზადებული ჯარები. იმათი ლოდინით დიდად ისარგებლა ჩვენმა ერმა, რადგან განსაცდელი, ყველანი ვხედავდით, კარზედ გვადგა და მომზადება გვინდოდა; თოფი საკმარი არა გვქონდა და მტერს რომ გაებედნა და დაუყოვნებლივ შემოსულიყო, უიარაღო ჯარებს დავახვედრებდით. რა ვუყოთ, რომ ქუდზე კაცი იწვევდა საომრად? არსენალი კი ცარიელი იყო და? რაც ძველის-ძველი, მეფე ლუი XV-ის დროის თოფები გვქონდა, მილიციას დავუთმეთ, თუმცა ამ თოფებს ჩახმახი ერთობ წამხდარი ჰქონდათ. ზარბაზნებს იტყვით, და ისე იყვნენ ჟანგისაგან შეჭმული, რომ სასროლად სრულიად აღარ ვარგოდნენ და გარდა ამისა ყუმბარაც თუმცა ბევრი გვქონდა, გამოსადეგი არა იყო-რა, რადგან ზოგი სულ არ შედიო-

და ლულაში და ზოგი ისე დაგორავდა შიგ, თითქო პატარა კენჭი შეუგორებიათო. მარტო თოფის წამალი გვქონდა საკმარი და კარგად შენახული, რადგან თოფის წამალს ფალსბურგში სიპ კლდეში გამოქვაბულ სახლში ინახავდნენ და ამიტომ საუკეთესო თოფის წამალი ყოველთვის ფალსბურგელებსა ჰქონიათ.

ასე იყო ჩვენი საქმე. ამას ყველა ხედავდა და, რასაკვირველია, რომ მთიულებმა შუბს მიმართეს, რაკი თოფი არა ჰქონდათ. რაც ჩვენ 1792 წ. მაისში საქმე გვქონდა, იმოდენი ჩემს დღეში აღარსად მიმუშავნია: მთელი ერთი თვე სულ შუბები ვაკეთეთ. ნიმუშად ერთი პარიზში გაკეთებული მოგვიტანეს და სულ იმისთანებს გვაკეთებინებდნენ.

რამდენი შუბი გამოვჭედი მე იმ დროს! ვაკეთებდი და თან სულ იმასა ვნატრობდი, ნეტავი იმ დღეს შევესწრა, რომ ვინც მამა-ჩემს უკანასკნელი დღეები გაუმწარა, საკმარისად დასჯილი ვნახო-მეთქი. გამიტაცებდა ხოლმე ეს ფიქრი და ადიოდა და ჩადიოდა ჩაქუჩი გაცეცხლებულ რკინაზე! ცოფიანივით გავხდებოდი ხოლმე ამ ფიქრებისაგან. მერე ვის სიკვდილს ვნატრობდი? ჩემი ძმისას, ჩემი ღვიძლი ძმისას. აი რა საშინელი რამ არის მოქალაქებრივი ომი, რომელიც ერთმანეთის მოსისხლე მტრადა ჰქმნის არა მარტო ერთის ქვეყნის შვილებს, არამედ ერთის დედის შვილებსაც.

ორი თვის განმავლობაში ათას ხუთასამდე შუბი გავაკეთეთ; საქმე იმდენი გვქონდა რომ ორი ქარგალი კიდევ სხვა დავიჭირე და თვით ოსტატიც, რაკი ხედავდა რომ საქმე ძალიან ბევრი იყო, კვირაში ერთხელ-ღა გადადიოდა თავის პიკჰოლცის მამულში.

რომ გახურდებოდა მუშაობა და დაგვცხებოდა, საკინძეს შევიხსნიდით და დამკლავებულნი მივვარდებოდით ცეცხლივით გაჩაღებულ რკინას, მგზავრებიც კი შესდგებოდნენ ხოლმე ჩვენს სანახავად. სამჭედლოში რომ ვეღარ ვეტევოდით, გარეთა ვმუშაობდით: რკინას შიგნით ვახურებდით და მუშაობით კი გარეთ ვიყავით. ერთი ქარგალი რკინის გახურებას და

გამოტანას უნდებოდა. გაჩერდებოდნენ ხოლმე მგზავრები და გვიყურებდნენ! ნათლია-ჩემი ძალიან კარგ გუნებაზე იყო, ჩვენთან ერთად მუშაობდა და როდესაც ნახავდა, რომ დავიღალენით და ჩაქუჩს ისე მაგრა ველარა ვცემდით, საშინელი ხმით შემოგვძახებდა:

„დაკათ!... წავა! წავა!

და ჩვენც უფრო მხიარულად შევიქნევდით ჩაქუჩს.

დიდი ძალი საქმე გავაკეთეთ იმ ცოტა ხანში. გაზაფხული და, ამწვანდა ბუნება, მშვენიერი დარები იდგა, მაგრამ საღამო ხანზედ იმოდენი მუშაობით ისე მოქანცულებს ვიყავით ყველანი, რომ აღარც სეირნობა გვაგონდებოდა, აღარც კლუბში ჩასვლა. მკვდარივით მივეგდებოდით ხოლმე, როგორც კი ვახშამს ავალაგებდით. კლუბში მარტო შაბათობით-ღა დავიარებოდით, რადგან ვიცოდით, რომ ხვალინდელი დღე ჩვენი იყო და ძილს არავინ დაგვიშლიდა.

ორჯერ თუ სამჯერ შემხვდა მთაში ჩემი გაკეთებული შუბი და ისიც რა მთაში? მივარდნილ, მიყრუებულ ტყეში, საათის ან ბუხრის გვერდით აყუდებული. ავიღებდი დაჟანგებულ შუბს, დავუწყებდი სინჯვას, ხან თავს ვუსინჯავდი, ხან ბოლოს... მომაგონდებოდა ძველი პატრიოტული აღტაცება და ვიტყოდი ხოლმე ჩემს გულში:

— ქვეყანა მოგივლია, ჩემო ძველო მეგობარო, ალზასი, ლორენი, შამპანი! რამდენი გერმანელის ხმალი აგიცდენია, რამდენი გამარჯვების მოწამე ყოფილხარ და თვით ბრაუნშვეიგის ზარბაზნებსაც კი ვერ შეუშინებიათ შენით გამხნევებული შენი პატრონი!

თვალ-წინ წამომიდგებოდა სიყმაწვილე და გაჭირებული სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლა; მომაგონდებოდა ხალხის ძახილი: „თავისუფალ ერს გაუმარჯოს!... ან გავწყდეთ ან გავიმარჯოთო!...“ და მწარედ დავღონდებოდი, როდესაც შევადარებდი ეხლანდელ ქონდრის კაცებს და ჩემი დროის გმირებს.

ჩვენში რომ ეს ამბები იყო, პარიზში უფრო და უფრო მატულობდა უთანხმოება. „ჰარუელები“ პატრიოტებს აბრალებდნენ

საფრანგეთის აწეწას; ჟირონდელები იძახდნენ „მთიულები“ ანარქისტები არიანო; მთიულები ჟირონდელებს ამტყუნებდნენ, არც ომი უნდა გამოგვეცხადებინათ და არც აგრე დამარცხებით უნდა დაგვეწყოო... ლამის ღმერთად გაიხადოთ ლაფაიეტი! ის ლაფაიეტი, რომელმაც მარსის მოედანზე ხალხს ჟლიტა და საერო კრებას სთხოვდა, ქება შეასხით გენერალ ბუილეს, რომელმაც ნანსში იმოდენი ხალხი ამოხოცაო! მთიულები ლაფაიეტის უვარგისობას აბრალებდნენ ყველაფერს და ჟირონდელებს ეუბნებოდნენ: მინისტრები ხომ სულ თქვენი მომხრენი არიან, ლაფაიეტი გადააყენებინეთ! ლაფაიეტს არ უნდა მიეღო ეს თანამდებობა, რადგან კონსტიტუციის ძალით საერო კრების წევრს აკრძალული აქვს მეფისაგან რაიმე თანამდებობა მიიღოს. გადააყენებინეთ ლაფაიეტი, ეს თქვენი პირდაპირი ვალდებულება არის!“

მარატი ჯარის-კაცთ უყვიროდა: დახვრიტეთ თქვენი მოღალატე გენერლებიო! რუაიუ სულ იმას გაიძახოდა თავის გაზეთში, რომ რევოლიუციის აღსასრული უკვე დადგაო! ვანდეში ერთი თავადიშვილი მეფის სახელით აგროვებდა ხარჯს და სურსათის მზადებაში იყო; დიდებულნი, რომელთაც გაპარვა და მტერთან შეერთება უნდოდათ, მოგონილი გვარით და სახელით ეწერებოდნენ მილიციაში და რაკი შვეიცარიას ან ბელგიას მიატანდნენ, გაიპარებოდნენ და მტრის ჯარს უერთდებოდნენ. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების ქადაგება იყო, რომელნიც ყველგან პატრიოტების ლანძღვაში იყვნენ და სულ იმას გაიძახოდნენ, რომ კონსტიტუციის მომხრენი ღვთისა და ქვეყნის მტრები არიან და მეფე უნდა აწამონო; თანაც, სადაც კი მორწმუნე ყმაწვილ კაცს ნახავდნენ, ურჩევდნენ კათოლიკეთა ჯარში ჩაეწერე, რათა ჭეშმარიტი სარწმუნოება და ღვთისაგან კურთხეული მეფე დაიცვა შეგინებისაგანაო; საწყალ ხალხს სულ ბრწყინვალე თავადიშვილების ცოლების და ქალების ნაზი თითებით ნაკერ ლენტებს ურიგებდნენ სხვა-და-სხვა ზედ წარწერით და ჯვარცმულის სახით, რომ ქუდებზედ გაეკეთებინათ.

ერთი სიტყვით, უბრძოლველად არაფერს გვითმობდნენ და იმისთანად გაშმაგებულნი იყვნენ, რომ სასიკვდილოდ განწირულს შეუძლიან მარტო ისეთი თავის თავისა და მტრის დაუნდობლობა. მეტადრე ბზობის შემდეგ გამძვინვარდნენ. რევოლიუციამდე მთელი ჩვენი მხარე ბზობა დღეს ქალაქისკენ მიეშურებოდა; დიდი და პატარა სულ იქ იყო და ყველას ბზის ტოტი ეჭირა ხელში; აკურთხებინებდნენ და მერე ნაკურთხი ბზით და ანთებული წმინდა სანთლით შემოივლიდნენ ხოლმე ყველა ქუჩებს; სადაც კი ისინი გაივლიდნენ, დაკეტილი უნდა ყოფილიყო ყველა დუქნები, თუნდა ეს დუქნები პროტესტანტისა ან ებრაელისა ყოფილიყო; ყველა სახლი ხალებით და ყვავილებით უნდა ყოფილიყო მორთული, თუნდა ეს სახლები ებრაელებისა ყოფილიყო. 1792 წ. კი ბევრმა პატრიოტმა და თვით შოველმაც მოახსენეს ქალაქის მამასახლისს, ეს ჩვეულება ჩვენი სარწმუნოებრივი თავისუფლების შელახვა არისო; სამამასახლისომ დაადგინა: „რადგან კონსტიტუციამ ყველა სარწმუნოებას სრული თავისუფლება მიანიჭა, დღეის შემდეგ აღარავინ იქნება იძულებული ბზობას თავისი სახლი ხალებით და ყვავილებით მორთოს; აღარავის ექნება ნება თავის სარწმუნოებრივ დღესასწაულს მილიცია დაისწროს; აღარავის შეეძლება სხვა სარწმუნოების მიმდევართ ძალით დუქნები დააკეტინოს“.

ამ ბრძანებამ უფრო არია საქმე. ბზობა დღეს მთელი მილიცია შეიარაღებული გავიდა და რაც ჩვენს მხარეში ვალენტინები და ბერი ბენედიქტები იყვნენ, ისინიც სულ იქ შეკრბნენ, რომ ახალი კანონის წინაალმდეგ აეშალათ ხალხი. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მილიციაც იქვე დაუხვდათ და რომ დაინახეს აღარა ხუმრობენ და თოფებს სტენენო, ვეღარა გაბედეს-რა და ბზით და სანთლებით მარტო გალავანი-ღა შემოიარეს.

საუბედუროდ სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე სამხრეთში. გაზეთებში ეწერა, რომ თვით პარიზშიც კი საშინელი შეურაცყოფა მიეყენებინათ იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც ქუდი არ მოეხადნათ ანთებული სანთლით მოსიარულე ბერებისთვის, საწყლები ტალახში ჩაეყარათ და ზედ ევლოთ.

ბზობის შემდეგ აირია ყველაფერი. დღე არ გავიდოდა, რომ კონსტიტუციის მომხრე მღვდლისთვის ან სახლი არ გადაეწვათ, ან ვენახი არ გადაეჩეხათ და ან თითონაც არ მოეკლათ. მეტადრე ზემო რეინისკენ გათამამებულიყვნენ ბერები!

მაისის გასულს, ერთს დილას, როდესაც გაჩქარებულნი ვმუშაობდით ჩვენი სამჭედლოს კარებზედ, მამა ქრისტეფორე დავინახეთ ჩვენკენ მომავალი; წინ ორი მთხოვარივით დაბრანძული ბიჭი მოუდიოდა; თავშიშველნი იყვნენ ორივენი და ხელები უკანა ჰქონდათ გახლართული. ერთი-ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულნი და ისე მოდიოდნენ თავდაღუნულნი; უკან მამა ქრისტეფორე მოსდევდა თავისი ყავარჯენით და სამი კიდევ იმისი ერთგული სოფლელი. სამჭედლოსთან კარგად ხალხი იდგა, მთიულები და გვიყურებდნენ—აბა შუბებს როგორ აკეთებენო. მამა ქრისტეფორე რომ დაინახეს, ყველანი იმისკენ მიბრუნდნენ და განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ. ნათლია-ჩემმა დაუყვირა:

— რა ამბავია, მამაო! ეგ ტყვეები სად გიშოვნია?!

— შენ ხუმრობ და მართლა ტყვეები კი არიან. წარმოიდგინე, წუხელის სპატსბროდის და ლუტცელბურგის შუა ჩემი ძმის იერემიას სანახავად გახლდი, გზის პირას ჩამსაფრებოდნენ ესენი და სამი კიდევ ამათსავით ავაზაკი, უცბად მომვარდნენ ცულებით და დანებით:

— მოვკლათ ეს მოღალატეო!

ღვთის წყალობა გაქვთ, მეც კარგად დავუხვდი ჩემი ყავარჯნით! სამი გამექცა და ეს ორი კი წავაქციე; მე თითონ წამოვაყენე, ჩვენს სოფელში ავიყვანე და ჩვენებურებს ჩავაბარე. წუხელის იქ ბრძანდებოდნენ და ახლა ქალაქს მიმყავს, რომ ერთი კარგად გამაგებინონ, რას მემართლებიან, რას მერჩიან, რომ მოსაკლავად აღარ მინდობენ?! პირველი რომ ყოფილიყოს ეს შემთხვევა, მე თითონაც დავსჯიდი ჩემი ყავარჯენით და ვაკმარებდი. მაგრამ პირველი კი არა, ეს მესამედ მისაფრდებიან ასე. პირველად კომბლებით დამეცნენ, ამათ კი ცუ-

ლებიც წამოუღიათ, უყურე, ივანე, რამდენ ალაგას დამჭრეს ამ წუწკებმა.

ანაფორა გადაიხადა და სისხლით მოსვრილი გული დაგვანახვა. ჭრილობა შეხვეული ჰქონდა.

— ეს ხომ ასე და მხარიც დაშავებული მაქვს... ფერდებიც.

ეს რომ დავინახეთ, გავბრაზდით და თვით მამა ქრისტეფორეს რომ არ დავეჭირეთ, დავხოცდით ავაზაკებს. მაგრამ მამა ქრისტეფორემ არ მიგვიშვა, წინ გაირეკა და ჩვენ კი ამ სიტყვებით გვამშვიდებდა:

— მე რომ ამათი მოკვლა მდომოდა, აქ კი არ ჩამოგირეკდით. ამათი დასჯა კანონის საქმეა და არა ჩვენი. გამოირკვევა მაინც, ვინ არის ამათი წამქეზებელი.

ჩვენც შევდექით, რადგან ვგრძნობდით, რომ მართალს გვეუბნებოდა, თუმცა ძალიან ვლანძღეთ ავაზაკები. მამა ქრისტეფორე კი გვამშვიდებდა:

— ამ საღამომდე, ხალხო! საღამოზედ ამოვივლი და ყველაფერს გიამბობთ.

მთელი დღე ამაზედ ვლაპარაკობდით. გაივლ-გამოივლიდა ნათლია-ჩემი და იტყოდა:

— ბედნიერია, ვისთვისაც ღმერთს ძალ-ღონე მიუცია. მამა ქრისტეფორეს ალაგას რომ სხვა ყოფილიყო, ცოცხალი ველარ გადარჩებოდა! მაგრამ იმას და იმის ძმა იერემიას ხუთი კაცი კი არა, ოცდა ხუთიც ვერას დააკლებდა; თუ ერთი დაეჭიდნენ რასმე, გუთნეული რომ მოჰკიდოთ, ძვრას ვერ უზამთ. მთის ჯიშისაა, მთისა ის დალოცვილი, ძველებური კირკიტი ჯიშისა.

და უცბად სიცილი წასკდა, ისეთი სიცილი, რომ სულს ძლივსღა იბრუნებდა.

— მწარედ არ მოძურწავდნენ ის სამნი, ყავარჯენი რომ მოხვდებოდათ თავში! შენი გამჩენი! ჭირიმე შენი, მამაო ქრისტეფორე!

და იმისთანა გულიანად ხარხარებდა, რომ ჩვენც მოგვერია სიცილი. ვიცინოდით და თან გაკვირვებულნი ვეკითხე-

ბოლით ერთმანერთს, ისე როგორ წახდნენ უბედურები, რომ ხუთი კაცი ერთ მღვდელს შეუშინდათ!

მაგრამ მოგვაგონდა, რომ საბრალო მამა ქრისტეფორეს რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა და კვლავ ბრაზი მოგვერია: აბა სწორედ მაგგვარ ავაზაკებზედ უნდა ვცადოთ ახალი მანქანა, რომელიც ყველა გაზეთებში იყო მაშინ აწერილი და რომელიც საშინელი სისწრაფით თურმე აგდებინებდა თავს სიკვდილით დასასჯელს; აგერ ორი კვირაა პარიზში გამოსცადეს ეს მანქანა და ძალიან კარგიც გამოდგა. საშინელი, შემაძრწუნებელი რამ უნდა ყოფილიყო ეს ახალი გამოგონილი იარაღი კაცის საკვლელად და გაზეთებში კი დიდი ქებით იყო აწერილი, ეს „ახალი საბუთი კაცობრიობის წინმსვლელობის და განვითარებისაო“... მართალია, ეს გამოგონებაც ადამიანის გონებრივ განვითარებას ამტკიცებს, მაგრამ ამგვარი გამოგონება ყოველთვის ავის მომასწავებელია და სრულიად მართალნი იყვნენ ბერები, რომ გაიძახოდნენ, ცუდი დრო დაგვიდგაო! შემდეგში აღმოჩნდა, რომ იმათი წინასწარმეტყველება უფრო მართალი გამოდგა, ვიდრე თითონ ეგონათ.

საღამოზედ მამა ქრისტეფორემ, შინ რომ მიდიოდა, დაპირებისამებრ ჩვენკენ ამოიარა: ორივე ტუსაღი ციხეში ჩაამწყვდიეს; ბ. მსაჯულმა დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველი გარემოება, განაჩენი შეუდგინა და ახლა ნანსში უნდა გაგზავნოსო.

აი როგორი გესლი მოედო ჩვენს ქვეყანას ბერების წყალობით; ამის მიზეზი იმ ბერების ქადაგება იყო, რომელნიც იმავ თავითვე ეურჩნენ კონსტიტუციას და ცხადლივ თუ ფარულად თავიანთ მტრობას არ აკლებდნენ. ჩვენში რომ ასე იყო, აბა ვანდეში რა იქნებოდა? კონსტიტუციის მომხრე მღვდლების ხოცვა და აოხრება ალბად ძალიან ხშირი იყო და საერო კრებასაც ხშირად მისდიოდა ეს ამბავი, რომ ორი დღის შემდეგ, რაც მამა ქრისტეფორემ გვნახა, შემდეგი დადგენლება გააკრეს ყველგან სკოლებზედ, სამამასახლისოებზედ და ეკკლესიებზედ:

„საერო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების და ბერების მოქმედებაზედ, რომელნიც ხალხში არეულობის და შფოთის ჩამოგდებას ცდილობენ, დაადგინა: საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადასწყდეს, რათა ბოლო მოეღოს მათს საქციელს.

„საერო კრებამ, რა დარწმუნდა, რომ დაუფიცავი მღვდლეში იმისთანა საზიზღარ საშუალებას ხმარობენ კონსტიტუციის გასაუქმებლად, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ მათ საზოგადო საქმეც და სამშობლოს კეთილდღეობაც სრულიად არაფრად მიაჩნიათ; რა დარწმუნდა, რომ საზოგადოებრივი წეს-წყობილების და თავისუფლების მოსისხლე მტრები თავის დღეში არ შეურიგდებიან კონსტიტუციას და, მაშასადამე, მტრის მეგობრად მიჩნევა თავისუფლების ღალატი იქნება; რა დარწმუნდა, რომ სამართალი და კანონმდებლობა ვერას გახდება იქ, სადაც მავნე პირნი ხალხის წარყვნას და გაბრიყვებას ცდილობენ და, მაშასადამე, ყოველთვის მალულად მოქმედებენ, რომ დაუსჯელად დარჩნენ, საერო კრებამ დაადგინა:

„მუხლი პირველი: საზოგადოებრივი მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დასაცველად, ყოველი სასულიერო პირი, რომელიც ქვემოდ მოყვანილ დანაშაულთაგან ჩაიდენს რასმე, გაგზავნილ იქნება მთა-მადნებში სამუშაოდ."

შემდეგ ამისა აღრიცხული იყო ათამდე დანაშაული, რომელთაგან უმთავრესი შემდეგი იყო: „როდესაც ოცი ხმოსანი მამულიშვილი ითხოვენ რომელიმე დაუფიცავი სასულიერო პირის მთა-მადნებში გაგზავნას, თემის უმფროსმა თავის კრებულითურთ უნდა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს მათი თხოვნა, თუ თითონაც თანახმაა ამ განაჩენისა."

საშინელება იყო ეს კანონი, მაგრამ სხვა გზა აღარა გვქონდა: ან უნდა დავღუპულიყავით, ან უნდა დაგვეღუპა! რაში ვტყუოდით, განა? განა არ ვეხვეწეთ, მაგას ნუ გვიშვრებითო! განა წინადვე არ შევატყობინეთ, მაგ საქციელს სასჯელიც თან დაჰყვებაო! განა ასჯერ და ათასჯერ არ მივმართეთ ხვეწნით და მუდარით, მოდით, ძმურად, მშვიდობიანად ვიცხოვროთო!

რა პასუხი გაგვცეს ამ მუდარაზედ? რამდენსაც ვეხვეწებოდით, იმდენი უფრო მტრულად გვეპყრობოდნენ, მოქალაქებრივი ომი აგვიტეხეს და უცხოელი ჯარები მოიწვიეს თავიანთ სამშობლოს საწინააღმდეგოდ. ჩვენც ადამიანები ვართ! გიჟები ვიქნებით, სულმდაბალი ლაჩრები ვიქნებით, რომ მტერს მტრულად არ მოვექცეთ და ასე თუ ისე თავიდან არ მოვიშოროთ. არც მაშინ დარწმუნდებიან, რომ ძალა ჩვენს ხელთ არის? ჩვენ ისინი ადამიანადა და ჩვენი ქვეყნის შვილებად კი არა, ქვეყნის მოღალატედ უნდა მივიღოთ და ისე დავსაჯოთ. აბა იმათ გაემარჯვათ? აბა ხალხი დამარცხებულიყო? იცით, როგორ აწამებდნენ პატრიოტებს? ამის პასუხს ამ ცოტა ხანში დიდებულთა და დაუფიცავ მღვდელთა მფარველი ბრაუნშვეიგი გვტყვით თავის პროკლამაციით.

მაშასადამე, აუცილებლად საჭირო იყო ამ კანონის დადგენა. ჰო-და მეფე ლუი XVI-ემ აქაც არ დაიშალა თავისი: **წინააღმდეგი ვარო,** მოაწერა.

ხმა დადიოდა, გახიზნულები დაბრუნებულან და ათასობით შედიან პარიზშიო. საიდუმლოდ კრებები და სჯა აქვთ და დიდი უბედურება დატრიალდება ამ ცოტა ხანშიო.

საერო კრებამ კარგად იცოდა პარიზში დიდებულთა ყოფნა და ოცი ათასი კაცი დააბანაკა იქვე პარიზის მიდამოში, რომ დიდებულთ არა გაებედნათ-რა. მაგრამ ლუი XVI-ემ ამაზედაც **წინააღმდეგი ვარო** ბრძანა. იმავე დროს პრუსიელებს მალე დიუპანის პირით შეუთვალა: „**აჩქარდით** და, საფრანგეთში რომ შემოხვიდეთ, პროკლამაციით გამოუცხადეთ ხალხს, რომ ერს არას ერჩით, არამედ იმათ წინააღმდეგა ხართ ამხედრებული, რომელთაც ღვთისაგან დაწესებული წეს-წყობილება გადააგდეს. გამოუცხადეთ, რომ თქვენი წადილი ომი კი არა, ანარქისტებისაგან გადაგდებული მეფის და ჭეშმარიტი სარწმუნოების აღდგენა არის“.

აი პატიოსნებაც ამასა ჰქვიან! პატიოსნება მეფისა, რომელიც თავის ხალხის წინააღმდეგ უცხოელებს ეხვეწება, აჩქარდითო! მოდით და შეიბრალეთ ამის შემდეგ! იმას უნდოდა

კისერზედ ისევ უღელი დაედგა ჩვენთვის, და თავისი რომ აესრულებინა, დღეს მონასტრის და ბატონის ყურ-მოჭრილი ყმანი ვიქნებოდით მეცა და თქვენც, ჩემო მკითხველო! მთელი ქვეყნის ხარჯი ჩვენ გვედებოდა; ჩვენს შვილებს არც სამხედრო და არც სახელმწიფო სამსახურში გზა არსად ექნებოდათ და ბევრი-ბევრი მზარეულად და ლაქიად ეყოლებოდათ დიდებულ ბატონებს! ერთი სიტყვით, ისეთივე ყოვლისფრით უბედურნი ვიქნებოდით, როგორც რევოლიუციამდე ვიყავით და მუქთა-ხორა ბატონები და ეპისკოპოსები, ფლიდი, ქლესა შინა-ყმანი მეფის და დედოფლისა ძველებურად განცხრომაში და ფუფუნებაში იქნებოდნენ! მაგრამ ვერა, ვერ აუსრულდა წადილი საწყალ მეფეს! პატრიოტებმა აჯობეს მთელი ევროპის მეფეებს და მართლმსაჯულება დაამყარეს ბატონყმობის მაგივრად. საწყალი მეფე! საწყალი დედოფალი! გულკეთილი და ხალხის მოსიყვარულე დედოფალი მარიამ ანტუანეტა, რომელიც სულ იმას იძახდა ყოველ დღე, რომ პრუსიელები და იმისი ძმის-წული—ავსტრიის მეფე და გერმანელების იმპერატორი—უნდა მოვიდნენ, საფრანგეთის ჯარი, ორასი ათასი კაცი, ამოხოცონ და ისე გამანთავისუფლონ ამ ტყვეობიდანაო!

მაშინ კი იგრძნეს ჟირონდელებმა, რომ სასახლემ თვალი აუბა უბედურთ და გადასწყვიტეს, მეფეს ძალა დავატანოთ, რომ თავისი საქციელი აგვიხსნასო. მინისტრმა როლანმა წიგნი მისწერა მეფეს და სთხოვდა, იმდენი გამბედაობა როგორ არ უნდა გქონდეთ, რომ პირდაპირ გამოაცხადოთ—ერისკენა ბრძანდებით, თუ ერის წინააღმდეგაო? თუ ერისკენა ბრძანდებით, ორივე დადგენილება საერო კრებისა კანონად უნდა აქციოთ თქვენი თანხმობით; და თუ წინააღმდეგი ბრძანდებით, არსად უნდა უმტყუვნოთ თქვენს ჩვეულს „წინააღმდეგობას" და მაშინ ხალხს ეცოდინება, რომ ლუი XVI საფრანგეთის მტრებს მისდგომიაო.

პატიოსანი კაცი ყოველთვის პატიოსნად მოიქცევა! როლანი დაურიდებლივ სწერდა:

„თქვენს დიდებულებას დიდი უფლებანი ჰქონდა, რომელნიც მეფის ღირსების კუთვნილებად მიგაჩნდათ. ბავშობიდანვე ის რწმენა შეუთვისებიათ თქვენთვის თქვენს აღმზრდელებს, რომ წმინდად და ხელშეუხებლად უნდა დაგეფარათ ის უფლებანი და, რასაკვირველია, სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო თქვენთვის მათი დაკარგვა; სრულიად სამართლიანად უნდა აგძროდათ სურვილი დაკარგულ უფლებათა ხელახლავ მოპოვებისა და, მაშასადამე, რევოლიუციის გაუქმებისა. ესევე სურვილი უნდა აღძროდათ ყველა თქვენს მომხრეებს, რომელნიც თქვენგან წყალობას მოელიან რასმე ან აწმყოში ან ახლო მომავალში. თქვენი და თქვენი მომხრეების სურვილი არც ერს უნდა გამოჰპარვოდა და, რასაკვირველია, სიფრთხილით და უნდობლად უნდა ყოფილიყო თქვენდამი. ამგვარად თქვენი დიდებულება ორ ცეცხლ შუა იმყოფებოდა მთელი ეს ხანი: ან თქვენს კერძო სურვილს უნდა მიჰყოლოდით, ან არა და გარემოებათ დამორჩილებოდით. მაშასადამე, ან ერის მოწინააღმდეგეთ უნდა მისდგომოდით და ქვეყნის არევა გერჩივნათ, ან ერს მისდგომოდით და მშვიდობიანობა დაგემყარებინათ... უსამძღვრო არა არის-რა და ჩვენს მოთმინებასაც სამძღვარი უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის თქვენი წადილი.

„ადამიანის უფლებათა აღიარება პოლიტიკურ სახარებად იქცა, და საფრანგეთის კონსტიტუცია სარწმუნოებად, რომლისთვის ხალხი სიცოცხლეს არ დაინდობს... ყოველი გრძნობა მღელვარებად ქცეულა. ხალხი ძრწის და დღეს იქნება თუ ხვალ საშინელი ძალით იფეთქებს იგი, თუ თქვენმა დიდებულებამ არ მიმართა ერს და პირადი ნდობით ჟრ დაამშვიდა იგი. თქვენდამი ნდობა ხალხისა დამყარებული უნდა იყოს საქმეზედ და არა სიტყვაზედ. სიტყვამ თავისი დრო მოჭამა, ახლა თქვენგანაც კი საქმეს თხოულობს ხალხი... უკან დაწევა შეუძლებელია! აგრეთვე დაყოვნება ხანისა, რადგან რევოლიუცია უკვე დაწყებულია ყოველი თქვენი ქვეშევრდომის გონებაში და საშინელი სისხლის ღვრით დამთავრდება იგი, თუ ჩვენ თქვენც არ დაგვეხმარეთ და არ აგვაცდინეთ ის უბედურებანი, რომელთა აცი-

ლება დღეს კიდევ შესაძლებელია... დაყოვნება შეუძლებელი-ღაა, რადგან ცოტა ხანი კიდევ და ხალხი დარწმუნდება—საფრანგეთის მეფე საფრანგეთის მტრების მეგობარი ყოფილაო“!

ამის პასუხად მეფემ გადააყენა ჟირონდელი მინისტრები. მაგრამ საერო კრებამ დაადგინა: სამშობლო დიდი მწუხარებით ეთხოვებოდა ამ მინისტრებს და გარდა ამისა როლანის წერილი დაიბეჭდება და 83 თემში გაიგზავნებაო.

შემდეგ ამისა მეფემ დიუმურიე დანიშნა სამხედრო მინისტრად. ძალიან ფლიდი კაცი იყო ეს გენერალი და რაკი ნახა, რომ მიუხედავად იმის რჩევისა, მეფემ არ ინება საერო კრების ორი დადგენილება მიეღო, მინისტრობაზედ უარი განაცხადა და ისევ ჯარში წავიდა. მეფე ძალიან შეწუხებული იყო, რადგან კაცი ველარ ეპოვნა, რომ გაებედნა ერის მოსამსახურეც ყოფილიყო და ერის მოწინააღმდეგე მეფისაც. დედოფალი კი ამხნევებდა:

— პრუსიელები მალე მოვლენ! ცოტა ხანი კიდევ გავუძლოთ! განა აგრე ადვილად უნდა დაჰკარგო იმედი? სასულიერო წოდება ჩვენკენ არის და კარგადაც ირჯებაო. ვანდეშიც კარგად არის საქმე.

ეს ამბები გამოაქვეყნა მარიამ-ანტუანეტის ერთმა მოახლემ და მგონი მართალი უნდა იყოს. სწორედ ისეთივე იყო ეს ცოლისაგან ქმრის გამხნევება, როგორც ჩვენს ქოხში, დედა-ჩემი რომ ეტყოდა ხოლმე სასოწარკვეთილ მამა-ჩემს:

— ღმერთი მოწყალეა, კაცო! აი წამოგვეზრდებიან ბიჭები და ჯარში გავგზავნოთ სხვის მაგივრად. ნიკო, კლოდი, მიხო... სამში ერთი როგორ არ გადარჩება, რომ სხვის მაგივრად წავიდეს? კაი ფულს ავიღებთ მაშინ, ვალს გადავიხდით, ერთ ძროხას, ან ორ თხას ვიყიდით და ცოტათი მაინც მოვისვენებთ.

იგივე და ისივეა, ოღონდ ნიკოს, კლოდის ან მიხოს გაყიდვის მაგივრად, დედოფალი ალზასს დაუთმობდა პრუსიელებს. დიაღ, მთელს საფრანგეთს ეშინოდა ამისი, ყველას გულზე ლოდივით გვაწვა ეს ფიქრი, რადგან ყველა ჩვენგანს, სულ უკანასკნელ მაწანწალასაც კი უფრო მეტად უყვარდა სამშობ-

ლოს, ვიდრე მეფე-დედოფლის. ნამდვილი პატრიოტიზმი, ჭეშმარიტი სიყვარული სამშობლო ქვეყნისა ხალხშია; ხალხს უყვარს მიწა, რომელსაც იგი ყოველ-წლივ ჰამუშავებს და რომლითაც იგი სცოცხლობს. სხვებს კი შემოსავლიანი ადგილები უყვართ, რომ საქმე არაფერი ჰქონდეთ, წარჩინებულნი მოხელენი შეიქნენ და დიდი პენსია დაიმსახურონ. ჩვენს დროს კი ეს ასე იყო და!

ჩვენს კლუბში, დაიწყობოდა თუ არა სხდომა, მაშინვე იმას დაიძახებდნენ: სიკვდილი მოღალატეებსაო! მაგრამ შოველი იქ იყო და ის გვამშვიდებდა:

— დამშვიდდით, მამულიშვილნო, დამშვიდდით! გაბრაზებით საქმე არ გარიგდება. პირიქით, კიდევაც წახდება! იქნება დამეთანხმოთ, რომ მეფის წინააღმდეგობა საერო კრების დადგენილებაზედ ჩვენთვის სასარგებლოც არის, რადგან პირისპირ მაინც ვხედავთ ეხლა მტერს; აქამდე მარტო იჭვები გვქონდა; ეხლა კი იჭვი აღარავისა აქვს და ყველანი ნათლად ვხედავთ, რომ თვით მეფეც ცდილობს ხალხს ართვას და ერთმანეთს შეახალოს. ეგრევე სურვილი, რაც ყოველ ჩვენს მტერსა აქვს. ხედავთ, რა თანხმობით მოქმედებენ დიდი და პატარა, მეფიდან დაწყებული სულ უკანასკნელ მღვდლამდე? ჩვენც სწორედ იმათ მაგალითით უნდა ვისარგებლოთ და ყოველთვის თანხმად და შეუჩქარებლად ვუძღოდეთ ჩვენს საქმეებს. ყველა ჩვენგანი მზად იყოს ჯარში წასასვლელად, და ვინც შინ დარჩება, ეცადოს გადასდოს რამე ჯარის სახარჯოდ. შეძლებისდა კვალად ყველამ დაეხმაროს საზოგადო საქმეს. სიფრთხილე და ერთობა, მამულიშვილნო, — აი გამარჯვება ჩვენი!

შოველის სიტყვის შემდეგ იაკობელების კლუბში წარმოთქმულ სიტყვებს ვკითხულობდით, ბაზირისას, შაბოსას, რობესპიერისას, დანტონისას, და ვმშვიდდებოდით, რადგან ვხედავდით, რომ იმ კაცებს მამულიშვილობისა ჰქონდათ და წინ სვლა ენატრებოდათ. ჟირონდელების მინისტრების დათხოვნა ამიტომაც საზოგადო უბედურებად გვაჩნდათ, რადგან ის მაინც ცხადი იყო, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, მტერს არ მიუდგებოდნენ! მაგრ-

თალია, ისინი ომის მომხრენი იყვნენ, მაგრამ რატომ მოინდომეს, რომ რევოლიუცია დაემთავრებინათ და არა იმიტომ, რომ სამშობლო გადაერჩინათ.

ჩვენს მხარეში საუკეთესოდ ჩვენი კლუბი ითვლებოდა შოველის წყალობით, რადგან ჭკვიანი, ფრთხილი კაცი იყო და ამასთან უანგარო მუშაკი სამშობლოს კეთილდღეობისა. ჩვენს გარდაწყვეტილებას პარიზელ იაკობელების კლუბში ვაცნობებდით და როდესაც კრებას ჩვენი დადგენილებაც მოეხსენებოდა, ამას გაზეთებიც მოიხსენებდნენ ხოლმე.

მაგრამ იმ დროს ლაფაიეტმა ნიღაბი ჩამოიხსნა და ყველანი დარწმუნდნენ, რომ ლაფაიეტი, რომელსაც მთელი ქვეყანა ნამდვილ პატრიოტად იცნობდა და ნათლია-ჩემი და ჟირონდელები მიუხედავად „მთიულების" აზრისა, უსაზღვრო პატივსა სცემდნენ, მეფისკენ იყო და ხალხს მასხრად იგდებდა. რაც დღემდე კარგი ჩაედინა რამე, ამაოებით ჩაედინა და ახლა უძღები შვილი თავის მამას ურიგდებოდა: ხომ მოგეხსენებათ, ლაფაიეტი დიდებული მარკიზი და სწორედ მარკიზიც ბრძანდებოდა, რადგან მთელი ჯარი მას ებარა და თუ გაუჭირდებოდა, ეცდებოდა თავისი ჯარი საერო კრების წინააღმდეგ წაეყვანა.

მაშინ პირველად იყო ამისთანა განსაცდელში ჩვენი საქმე. მას შემდეგ ხმლიანმა გენერალმა მოინდომა ჩვენი [illegible], რომ აღარც კი მახსოვს; საქმე პირველი ყოფილა, ჩვენდა საბედნიეროდ ლაფაიეტს დიდად არსად გაუმარჯვნია მტერზედ. მართალია, მობეჟის ახლოს რომ ავსტრიელების მცირე რაზმი დაამარცხა, სთქვა: ჩემი ჯარი მე მომყვებაო! მაგრამ ეს დარწმუნებით არ იცოდა და საერო კრებას თავხედური წერილი მისწერა, რომლითაც უცხადებდა: ქვეყნის უწესოების მიზეზი იაკობელებიაო, ჟირონდელები კორიკანობის მეტს არას აკეთებენო... დასასრულ ამ წერილისა ის იყო, რომ რჩევას აძლევდა საერო კრებას ყველა კლუბები დაეშალეთ და თქვენი დადგენილებები შესახებ დაუფიცავი მღვდლების მთა-მადნებში გაგზავნისა და პარიზთან 20 ათასი კაცის დაბანაკებისა, გააუქმეთო.

წადი შენი ჭკუით ენდე ბატონ მარკიზს, დიდი ვაშინგტონის მეგობარს! მეტი თავხედობა-ღა იქნება, ჯარის კაცი, რომელსაც ჯერ გამარჯვებაც კი არ უნახავს, საერო კრებას ბრძანებას აძლევდეს! ამის შემდეგ ყველამ შეიცნო, რომ მარკიზ ლაფაიეტი—ხან ვაშინგტონის მეგობარი, ხან მეფე-დედოფლის უმფროსი ქომაგი! ლაფაიეტისა აღარც მეფეს სწამდა რამე, აღარც პატრიოტებს; მეფისთვის ძალიან რესპუბლიკელი იყო და ჩვენთვის ძალიან მარკიზი.

ასე მოუვა ყველას, ვინც ღმერთსაც ემსახურება, სატანასაც და სული იმ ფიქრში იქნება, რომ ორივეზედ ჭკვიანი მე ვარ და ჩემს ფლიდობას ვერც ერთი ხედავს, ვერც მეორე. პარიზელი მილიცია, რაკი ლაფაიეტი პარიზიდან გავიდა, ხალხს მიუდგა;—მოქალაქენი და მუშა-ხალხი ერთად იყვნენ, როგორადაც 1789; პარიზის მამასახლისმა პეტიონმა მოარიგა და შეაერთა ისინი. პარიზელმა ხალხმა ლაფაიეტის თავხედური წერილი რომ სცნა, დაადგინა: ბურთაო დარბაზში კრების წლის თავი ვიდღესასწაულოთო. ეს დღესასწაული 20 თიბათვეს უნდა ყოფილიყო. შოველმა ერთი კვირის წინ აგვიხსნა ამ დღის მნიშვნელობა.

— ამაზე დიდი დღესასწაული ჩვენს ერს არც ერთი აქვს,— იძახდა თავის პატარა ოთახში ბუხრის თავზედ დაყრდნობილი შოველი.—ბურთაო დარბაზში რომ ერის წარმომადგენელნი შეიფიცნენ, იმ დღიდგან და ბასტილის ციხის ძლევიდან მომდინარეობს რევოლიუცია და ჩვენს კალენდარშიაც სწორედ ეს ორი დღესასწაული უნდა იყოს პირველ ალაგას მოხსენებული, როგორადაც ებრაელთა კალენდარში წითელ ზღვაზედ გავლა და სინაის მთასთან მისვლა სწერიათ.

თან ბურნუთს სწევდა და ღიმილით გვემოგვყურებდა. 19 თიბათვეს, როცა ლაფაიეტის წერილისა არა ვიცოდით-რა, რადგანაც ჩვენში 24-ს მოიტანეს იგი გაზეთებმა, შოველმა გვითხრა:

— ხვალინდელ დღესასწაულს ჩვენ ფალსბურგში ვერ მოვახერხებთ, რადგან ქალაქი ადგილობრივ და მინისტრის ნებართვა

დავჭირდება. მე არ მითხოვნია, და არც მინდოდა თხოვნა. ეგ არაფერი: ხვალ სადილ შემდეგ თითო ჭიქა ღვინით მოვიგონებთ ეს დიდებული დღე და ეგეც საკმარისი იქნება. მარტო ჩვენ კი არა, მთელი საფრანგეთი მოიგონებს ხვალ თავისუფლების დასაწყისს!

ისეთი კილოთი ამბობდა, რომ დავრწმუნდით, ხვალ რაღაცა მოხდებოდა. ვხედავდით, რომ იცოდა, მაგრამ სიფრთხილისა გამო ვერ გვეუბნებოდა.

დღეს ყველამ იცის, რომ 20 თიბათვეს 1792 წ. პარიზელი ხალხი ძალიან ადრე ადგა და მეღუდე სანტერის, ყასაბი ლეჟანდრის და ოქრო-მჭედელი როსსინიოლის და სხვა პატრიოტთა წინამძღოლობით საერო კრებისკენ გაემართა. ქალი, კაცი, ბავშვი, თოფებით და შუბებით, სამფერი ბაირაღებით და ორთითზედ ჩამოკიდული შალვრებით მიდიოდა იმოდენა ხალხი და თან საშინელი ხმითა ყვიროდა; აღარ გვინდა ერის წინაალმდეგი მეფე! გაუმარჯოს ჟირონდელ მინისტრებს!.. თან „წავა, წავა"-სა მღეროდნენ.

საერო კრებამ დარბაზის კარი გაუღო. სამი საათის განმავლობაში საერო კრების წინ 25—30 ათასმა კაცმა გაიარა. იქიდან მეფის სანახავად მივიდნენ. მერე დედოფლისა და მინისტრის სანახავად.

მილიციას ლაფაიეტი აღარა ჰყავდა უმფროსად და იმის მაგიერ რომ ხალხისთვის დაეშალა ეს მანიფესტაცია, მილიციელებიც ხალხში ჩაერივნენ და სასახლეში ერთად ავიდნენ.

საწყალ ხალხს თავის დღეში სიღარიბის მეტი არა ენახარა და ახლა სასახლეში რომ შევიდნენ ესე უცბად იმოდენი თვალმარგალიტი და საგანძურები ხალებში დაინახეს და თანაც ძვირფასი მხატვრობა, სარკეები და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, განცვიფრებულნი დარჩნენ. ბოლოს თვით მეფეც ნახეს: ერთ ფანჯარაში ატუზულიყო და გარშემო მოსამსახურეები ეხვეოდნენ. ყასაბმა ლეჟანდრმა მოახსენა, კმარა რაც გვეწინაალმდეგეთ, საერო კრების ყველა დადგენილებას ხელი უნდა მოაწეროთ. თქვენ ჩვენ პირუტყვ საქონელსავით გვექცევით

და მოგვწყინდა ამოდენი პირვუტყვობა! ხალხი ძალიან კარგად ხედავს თქვენს წადილს და აზრს, აღარ მოტყუვდებაო!

ყასაბისაგან ესეც კარგი სიტყვაა, თუ დამეთანხმებით.

მეფემ ამის პასუხად აღუთქვა, კონსტიტუციას არაფერში ვუმტყუნებო. მერე სტოლზედ ავიდა, წითელი ქუდი დაიხურა და ერთი ჭიქა წითელი ღვინო მიირთვა ერის სადღეგრძელოდ.

საშინელი ხმაურობა იყო. მაგრამ სწორედ დროზედ მივიდა პარიზის მამასახლისი პეტიონი და იმოდენი ხალხი რომ დაინახა, რომელნიც სასახლეს სინჯავდნენ, უთხრა: ბევრს ხანს ნუ შესდგებით აქ, მამულისშვილნო, რადგან თქვენი აქ ყოფნით შეიძლება ისარგებლონ სამშობლოს მტრებმა და იმათი საზიზღარი საქციელი თქვენ დაგბრალდეთ! თქვენ სწორედ ისე მოქცეულხართ, როგორც შეშვენის თავისუფალი მამულიშვილის ღირსებას და ბატონი მეფე, როდესაც დამშვიდდება, უფრო კარგად ჩაუკვირდება თქვენს თხოვნას.

მამასახლისი მართალს ეუბნებოდა და დაუჯერეს კიდეც. საღამომდის იდინა ხალხმა სასახლეზედ და თან მოწიწებით სალამს აძლევდა დედოფალს და სხვა ქალებს ბატონიშვილითურთ. შემდეგში მომაკვდინებელ შეცოდებად ჩაუთვალეს სასახლეში შესვლა და მეფე დედოფლის ნახვაც-კი, მაგრამ რაც მეტსა ვფიქრობ იმ დღეზედ, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ამაზედ უბრალო და უცოდველი მგონი არა იყოს-რა: რა საძრახისია, მართლაც, ხალხს გაჭირება ადგეს, რომ მეფესთან მივიდეს და შველა სთხოვოს? მართალია, ბევრი არაფერი სასიამოვნოა იმოდენი ხალხის შევარდნა სახლში, მაგრამ მეფე ხომ მამა უნდა იყოს თავისი ხალხისა. ლუი XVI-ეს სულ იმას გაიძახოდა:

— მე მამა ვარ ჩემი ქვეშევრდომებისაო!

ჰო-და, თუ ეს მართალი იყო, თუ ამას მართლა გრძნობდა, არც სასახლეში ხალხის შესვლა უნდა სწყენოდა: მამა და შვილი?! ვინ დაუშლის შვილს მამის სანახავად მისვლას? უნდა წინ გამოჰგებებოდა, დაეკითხა, რისთვის გასჭირვებიხართ, შვილებო, ხომ არა გაგჭირებიათ-რაო? მაგრამ სიმართლეს-კი რა სჯობიან-რა

და მე მგონია, რომ იმ სიტყვებს [illegible] რაღა, სიტყვის მასალად, და ამიტომ ძალიანაც ეჯავრა იმოდენი ურიცხვი შვილების მისვლა, მით უფრო, რომ ძალიან დაუდევრად იქცეოდნენ იმისი შვილები. და რადგან ვალენტიანები მაშინაც ბევრნი იყვნენ, ერთი ვაივაგლახი ასტეხეს: ხედავთ რა შეურაცხყოფა მიაყენეს მეფესაო!

პატრიოტები კი იმედოვნებდნენ, მეფე ლუი XVI ამოდენა ხალხს რომ დაინახავსო, დაფიქრდება და საერო კრებას დადგენილებას ხელს მოაწერსო. შოველსაც ჰქონდა ეს იმედი. მაგრამ მეფე თავისას გაიძახოდა, წინააღმდეგი ვარო, და ამგვარად იმედი გაგვიცრუვდა და ხალხის სასახლეში მისვლით ჩვენ კი არა ჩვენმა, მტრებმა ისარგებლეს.

ასეც უნდა ყოფილიყო. „ჭრელების“ მთელი პარტია და მათთან ერთად ეგრედ წოდებული კონსტიტუციის მფარველნი— ბარნავი, მანიე, ლალი ტოლენდალი, ორი ძმა ლამეტი და სხვ., რომელნიც ხალხს ყოველთვის ამას ქუბნებოდნენ, კონსტიტუციის მორჩილნი უნდა იყვნეთო და მეფეს კი ჩუმად გზას ასწავლიდნენ—კონსტიტუცია ამ გზით დაარღვიეო; ყველა ესენი, მილიციის ნახევარი და 26 [illegible] ისე აყაყანდნენ, თითქო ქვეყანა დაღუპულიყოს მით, რომ პარიზელმა ხალხმა გაბედა და სასახლეში ნახა თავისი მეფე. ამაზედ მეტი რაღა გინდათ, თვით მეფესაც აღარ ინდობდნენ! სანტერი, როსინიოლი და ლეჟანდრი სასჯელში უნდა იქმნენ მიცემულნი და მათთან ერთად ხალხის ბელადნი და თვით პეტიონიც, რადგან ხალხს ზარბაზანი არ დაუშინა და სასახლემდე მიუშვა... არა ჰგვანებია ბაილის, მარსის მინდორზედ რომ ხალხი ახოცინაო! ამათ ყაყანს ზედ დაემატა ლაფაიეტის დაბრუნება პარიზში. იმის მაგივრად, რომ თავის ჯართან ყოფილიყო და პრუსიელების და ავსტრიელების ჯარებისთვის ეგდო ყური, რომელნიც კობლენცში მოგროვილიყვნენ და დღეს-ხვალ ჩვენს სამძღვარს გადმოივლიდნენო, ლაფაიეტმა თავის ჯარებში ქველაფერს და პარიზში მივიდა— მთელი ჩემი ჯარის სახელით უნდა ვითხოვო, რომ 20 [illegible]ბათვეს აჯანყებულნი სამაგალითოდ იქმნენ დასჯილნიო!

საერო კრებამ დიდი პატივის-ცემით მიიღო იგი. მაგრამ ერთმა ჟირონდელმა, გადემ, ამით მაინც თავისი არ დაიშალა და სთქვა:

„რომ მითხრეს, ბ. ლაფაიეტი პარიზშია-მეთქი, გამეხარდა, ღვთის წინაშე, ალბად მტერი აღარავინა გვყავს, ალბად ავსტრიელები დაგვიმარცხებია, რომ ლაფაიეტი დაბრუნებულა-მეთქი. მაგრამ დიდი ხანი არ გასტანა ამ ნეტარმა ოცნებამ: ჩვენი მტრები ისევ საზღვარზედ დგანან! ჩვენი გარეგანი მდგომარეობა არაფრით არ შეცვლილა და ბ. ლაფაიეტი კი პარიზში ბრძანდება?! რა საბუთი უნდა ჰქონოდა, რომ თავის ჯარს თავი დაანება? ჩვენი შინაური არეულობა? იქნება ფიქრობს, საერო კრება საკმარისად ძლიერი არ არის, რომ შინაგან საქმეებს გაუძლვეს? თავის თავს მთელი ჯარის და პატიოსან მამულისშვილთა წარმომადგენელად ხდის... ვინ ბრძანდებიან და სად არიან ეს პატიოსანი მამულისშვილნი? ან როგორ მოახერხა ჯარმა ამ საგნის განსჯა და თავის განაჩენის დადგენა? მგონი არ შევცდე, რომ მოგახსენოთ, ბ. ლაფაიეტს თავის მახლობელთა აზრი მთელი ჯარის სურვილად სჩვენებია და... ბ. ლაფაიეტმა მინისტრის დაუკითხავად თავი დაანება თავის სამსახურს, ამით კონსტიტუცია დაარღვია და“...

დასკვნა ცხადი იყო!

ლაფაიეტის მაგალითს მერე სხვა გენერლებიც მიჰყვნენ: თავიანთ ჯარს უპატრონოდა სტოვებდნენ და თითონ პარიზისკენ მიეშურებოდნენ, ვითომ ქვეყნის დასახსნელადაო, მაგრამ ნამდვილად კი მარტო იმ განძრახვით, რომ მართებლობა ხელთ ეგდოთ როგორმე.

რასაკვირველია, უნდა დაეჭირათ და სამხედრო კანონისამებრ დაესაჯათ. იმისთვის რომ ერთი ათი წლით ციხე გადაეწყვიტათ, როგორც უბრალო ჯარის-კაცისთვის, სხვებიც ველარ გაბედავდნენ და ქვეყნის სამსახურს არ უღალატებდნენ.

საერო კრების წინაშე იაკობელები დააბეზღა; მერე წავიდა და მეფე-დედოფალსა სთხოვა, ოღონდ მომენდეთ და კომპიენში გაგიყვანთ! იქიდან ბრძანება გაეცით, რომ კონსტიტუ-

ცრა ხელახლად იქმნას გაძლიერებული, მეფის ყოველი უფლებანი და დიდებულთა ყოველი უპირატესობანი ხელახლად იქმნენ აღდგენილნი! თქვენის დიდებულების ყოველი ბრძანების აღსრულებაში მოყვანნეს მე, ლაფაიეტი, ვიკისრებ და თუ პარიზმა წინააღმდეგობა გაბედა, ისე მოვეპყრობი, როგორც აჯანყებულს ქალაქსაო. ეს ყველაფერი შემდეგში გავიგეთ, კიბლენცის წერილებიდან. მეფე-დედოფალმა არ მიიღეს ლაფაიეტის რჩევა.

დედოფალს უნდოდა, რომ პრუსიელებისაგან ყოფილიყო განთავისუფლებული, და არა იმ ლაფაიეტისაგან, რომელმაც ვერსალიდან პარიზს გადაიყვანა მთელი სასახლე და ხალხს მეფის და დედოფლის დაცინვის ნება მისცა: აგერ მეპურე თავის ჯალაბითაო! დედოფალს ჯერაც არ დავიწყებოდა ის დღე და სრულიადაც არ უნდოდა, რომ თავის მხსნელად ლაფაიეტი ჰყოლოდა. დედოფალს არავითარი კონსტიტუცია არა ნებავდა, საფრანგეთში სრულ-მპყრობელი მეფე უნდა ბრძანებულიყო, როგორადაც პრუსიაში და ავსტრიაში.

მაშინ კი დარწმუნდა ლაფაიეტი, რომ თავისი თეთრი რაშით ის ველარავის გაიტაცებდა და მაინც არ დაიმალა და მილიციელები შეჰკრიბა, რომ იაკობინლების კლუბი აეკლო; მაგრამ მამასახლისმა პეტიონმა ბძანება გასცა: მილიციელების მბრძანებელი ლაფაიეტი კი არა, თავიანთი კომანდირი უფროსები არიანო, და რაკი ნახა ლაფაიეტმა, რომ ერთი კაციც არ გამოცხადდა მის ძახილზედ, ადგა გულდაწყვეტილი და გაეშურა თავის ჯარისკენ, რომელიც სედანთან იდგა.

ქვეყანა ხედავდა ლაფაეტის ღალატს. საერო კრებას ყოველი მხრიდან თხოვნა მისდიოდა, დასაჯეთ ქვეყნის მოღალატენი და მეტადრე ლაფაიეტიო.

სწორედ მაშინ 1782 წელს მკათათვის დამდეგს [illegible] ყმაწვილ-კაცობამ და, მიუხედავად იმისა, რომ მეფე წინააღმდეგი ბრძანდებოდა, საერო კრების დადგენილებისამებრ პარიზს მიდიოდნენ და ჯარისკაცად ეწერებოდნენ, რომ პარიზის ახლო საერო კრების დადგენილებისამებრ 20 ათასი კაცი მდგარიყო

ყოველი შემთხვევისთვის გამზადებული; შეიყრებოდნენ ხუთი-ექვსი ბიჭი, ერთ ხელ სარეცხს გამოიკრავდნენ ხელსახოცში და დაიძახებდნენ:

— წავიდეთ პარიზს! ვინ მოდის პარიზს?

რომ გვკითხათ, სად მიდიხართო, გეტყოდნენ:

— პარიზს მივდივართ თავისუფლების დასაცველად და მტარვალთა და მოღალატეთა დასასჯელად!

შევაყენებდით ხოლმე, თითო ჯამ ღვინოს გავუტანდით. ყელს გაისველებდნენ და ისევ გზას გაუდგებოდნენ.

— გმადლობთ! ნახვამდის! ჩვენს ამბავს მალე გაიგებთ!

ნეტავი მეც შემძლებოდა, თან გავყოლოდი! ნეტავი! მაგრამ მამა-ჩემი? პატარა მატურინი და სტეფანე? უჩემოდ შიმშილით ამოიხრჩობოდნენ! ახ, ნეტავი მეც შემძლებოდა იმათთან წასვლა!

მაშინ მინისტრმა ტერიემ მისწერა ყველა მამასახლისებს — პოლიციელნი და ჟანდარმები წაიყვანეთ, წინ დაუხვდით და ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ პარიზისკენ მომავალნი განფანტოთ; გარდა ამისა სასტიკად აკრძალეთ, რომ პარიზისკენ წამოსვლა არავინ გაბედოსო. მაგრამ ამ წერილს ყურადღებაც არავინ მიაქცია. პარიზის ყველა კლუბებმა ხმა-მაღლივ გაკიცხეს მეფის მინისტრის ამგვარი განკარგულება და მოველმა ხომ პირდაპირ გამოაცხადა — ნამდვილი ღალატი ეს არისო: პრუსიელებს და ავსტრიელებს ჩვენს ასაოხრებლად ეპატიჟებიან და გზას უჩვენებენ, და ჩვენ კი საშინელი სასჯელით გვემუქრებიან, — არ იგაბედოთ და სამშობლოს დახმარება არ იფიქროთ, რადგან მეფე წინააღმდეგია მაგისო!

მეფის მოსამსახურენი მილიციელებზედ ირთვებოდნენ, გადიოდნენ ხოლმე ქალაქს ყველგან „დაფიცულთა“ ლანძღვა-გინებას გაიძახოდნენ — ეგრეთწოდებული [illegible] იმათ დაარქვეს, რომელნიც ფიცით [illegible] გავიდნენ სამეფო კრებიდან დადგენილებისამებრ. პარიზის მიდამოში შეგროვილნი შესანდლებელნი დადიოდნენ. ეს ვითომ მილიციელნი დაიარებოდნენ გაფიცულთ „უწიფსოებს“ [illegible] ქალაქის [illegible] იყვნენ და [illegible] იმას

არ ამტკიცებდეს, რომ კაცს სინიდისი და კეთილი გული ჰქონ- ნია და ღარიბადაც იმიტომ დარჩენილა! თუ არა და დიდი რამე შრომა კი არ უნდა მოსამსახურედ წასვლას! თქვენ ადამიანის დამცრობი და პირადი ღირსების უქონლობა სთქვით, თორემ, ათასიც რომა სთქვან „უნიფხონიო", მე ერთი ღარიბ-ღატაკი ხელოსნის გამხმარი ლუკმა მირჩევნია, იმათ დამამცირებელ სიმ- დიდრეს.

რომ ბოლო მოეღო ამოდენ ფლიდობისთვის, საერო კრე- ბამ დაადგინა: მამულის შვილნი, რომელნიც სამშობლოს სამსა- ხურს იკისრებენ და თავიანთ ნებით გავლენ მილიციაში, სამ- ძღვარზედ ჯარში ჩასაწერად, ან პარიზის ახლო დაბანაკებულ- თა შესავსებლად, სამამასახლისოში გამოაცხადებენ თავიანთ სურვილს და იქვე ჩარიცხულ იქნებიან სიაში; 12 მკათათვეს სამ- შობლოს ერთობის დღესასწაულს დაესწრებიან; სამი დღის საგ- ზალი და ბინა ექნებათ და მას შემდეგ სამამასახლისოდან მიიღე- ბენ ბრძანებას, სად უნდა გამგზავრდნენ, რომ თავიანთ რაზმებს შეუერთდნენ და კანონიერი ჯამაგირი მიიღონ.

ამ ბრძანებამ დაიხსნა ჩვენი ქვეყანა განსაჭირიდან. ათი კრი- კებით გაგზავნეს იგი ყოველი თემისკენ და მაშინ დარწმუნ- დნენ მეფე-დედოფალი და კარის კაცნი თავიანთი მინისტრები- თურთ, რომ საკმარისი არ იყო მეფეს რაიმე დადგენილებაზედ „წინააღმდეგი ვარო",—მოეწერა. მაშინ დარწმუნდნენ, რომ თუმცა მეფის ბრძანებისამებრ გენერალი ლუკნერი გამოექცა ავსტრიელებს; თუმცა კობლენცთან 35 ათასი პრუსიელი და ავსტრიელი იდგა და იმათთან ერთად ოცი ათასი გახიზნული დიდებულთაგანი სრულიად გამზადებულნი საფრანგეთში შემო- სასვლელად; თუმცა გენერალი ბულიე ისევ გვემუქრებო- და, მტრის ჯარს მე შემოვუძღვებიო და გზებსაც მე ვასწავლიო; თუმცა ამ მუქარის ასასრულებლად ის ვილჰელმის, ფრანსუა II-ის და ბრაუნშვეიგის უპირველეს მრჩეველად გამხდარიყო და მტრებს ჰპირდებოდა ჯერ ლონგვის ციხესა, მერე სედანისას, ვერდენისას, მერე რეტელზედ და რეიმსზედ პურითა და ღვი- ნით სავსე შამპანზედ გავლას და პარიზის აოხრებას; თუმცა

დუპუფისავი მღვდლებზე თავისას არ ზოგლიდნენ და ვანდეა და ბრეტანი სრულიად ჩამოსცალეს კონსტიტუციას და ქვემო-ლანგედოკშიც ხალხი აამხედრეს თავადი საიანის წინამძღოლობით; თუმცა სასახლემ და დიდებულთა არაფერი დაზოგეს და იუდასავით ღალატობდნენ, რომ ძველებურად მეფის სურვილზე დაემყარებინათ ქვეყნის ბედ-იღბალი,—მაინც ვერას გახდნენ და სამშობლოს იმათი არა ინდომა-რა. დიაღ, ცოტაც არის ტვინი რომ ჰქონოდათ თავში, უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ „მეჯლანეებს“, როგორც ისინი გვიხსენიებდნენ, სრულიად არ ეშინოდათ არც პრუსიელი გრენადერებისა, არც ავსტრიელი ულანებისა და არც ძლევა-მოსილ წინაპართა დიდებულ შთამომავლებისა.

თუ არა და განა ერთი და იგივე კაცი თავისთვის იბრძვის, თუ დიდებული მეფისთვის? რომელიც, რაკი ომი გათავდება, ზედაც აღარ შეხედავს იმისთვის თავგანწირულ მეომარს. ალბად ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ლუი XVI-საც, რადგან შემდეგში იმის რკინის ყუთში წერილები იპოვეს, რომლებშიც გულახდილად ჩაეწერა ყოველი თავისი სევდა და მწუხარება და სხვათა შორის იმასაც ჩიოდა, რომ მეჯლანეები და ხარაზები ერთად არიან და მეკი ის მერჩივნა, რომ ერთმანეთს შებრძოლებოდნენო.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება, რა სიხარულით მივეგებებოდით და ვაცილებდით ხოლმე პარიზისკენ მიმავალ გაფიცულთ. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის აღტაცება, რომლითაც მკათათვის დამდეგს მთელმა საფრანგეთმა ჟირონდელი ვერნიოს სიტყვა მიიღო. ეს სიტყვა მრავლად იყო დაბეჭდილი და მთელს საფრანგეთში მოჰფინეს და ღირსიც იყო ამისი, რადგან ქვეყნის გულის ძგერა და წუხილი იყო გამოთქმული. ამ სიტყვამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი შიში, მეფე გვღალატობსო, საერო კრებასაც ჰქონოდა. ვერნიოს სიტყვა თვით შოველმა წაგვიკითხა კლუბში.

„მეფის სახელით მოემართება ჩვენს წინააღმდეგ მთელი ევროპა, მეფის საშველად, მეფის დასახსნელად! მეფის სახელით შე-

იქმნენ ჩვენი დიდებულნი და ევროპიელი მეფენი! მეფის სახელით დაკავშირდნენ პილნიცში და ავსტრიამ და პრუსიამ ჯარებიც გამოგზავნეს. წამებას გვემუქრებიან, დიდით პატარამდე ამოჟლეტას, ჩვენი ქვეყნის მიწის პირიდან აღგვას და სულ იმავე მეფისა გამო და იმავე მეფის დასახმარებლად!"

მერე მოხსენებული იყო ის გარემოება, რომ კონსტიტუციამ მარტო მეფეს მიანდო მტერთაგან სამშობლოს დაცვა. როგორ აასრულა მეფემ თავისი ვალდებულება:

„მეფე ბრძანებდა, კანონების ერთგული მოსამსახურე და მფარველი ვიქნებიო, რომ ძალი ხელთ ეგდო და მით უფრო ადვილად დაერღვია ეს კანონები. მეფე ბრძანებდა, მე კონსტიტუციას არ ვუღალატებო, რომ სამეფო ტახტი არ წაერთმიათ და მით უფრო ადვილად დაერღვია კონსტიტუცია. მეფე ბრძანებდა, ერი მიყვარს და მეყვარებაო, რომ უფრო თავისუფლად გაება ღალატის ქსელი და ერი დაეღუპა. იქნება ჰგონია, ჩემს ფარისევლობას ერი ვერა ხედავსო? იქნება ჰგონია, ვერა ვხედავდეთ, რომ მტრის ჯარის გამარჯვება უფრო უნდა, ვიდრე ჩვენი ჯარისა? ეგრე რომ არ იყოს, განა ათასის წინააღმდეგ ათს გაგზავნიდა? ამით ნებავს სამშობლოს დაცვა?! იქნება ჰგონია, ერი ვერა ხედავს, რომ მეფე ყოველთვის წინააღმდეგი იყო სიმძლავრების გამაგრებისა და ყოველგვარი საომარი საჭურველისა! ამით ნებავს სამშობლოს დაცვა? იქნება ჰგონია, ერი ვერა ხედავს, რომ მეფე წყალობას უძღვნის კონსტიტუციის დამრღვევ გენერალს და ბლოკილს ადებს ყველას, ვინც კონსტიტუციის ერთგულებას იჩენს? არა, მეფემ არ აასრულა ერისადმი თავისი მოვალეობა! მეფემ უღალატა კონსტიტუციას! მაგრამ კიდეც რომ შეარყიოს მან კონსტიტუცია, კიდეც რომ გადააგდოს იგი, მით თითონ ვერას ისარგებლებს... რას არ სჩადიან მეფის სახელით თავისუფლების და სამშობლოს წინააღმდეგ? ერთხელაც არის ებრძანებინა მეფეს: ჩემი სახელით ჩემს უბედურად სარგებლობენო. მაგრამ არა, როგორ ბრძანებდა ამას, როდესაც მისი ნებაყოფლობით მოქმედებდნენ ჩვენი მტრები? გამარჯვება ხომ ხალხს უნდა დარჩეს, მაგრამ კიდეც რომ გაი-

მარჯვოს მეფემ, მაინც ამ გამარჯვებით თითონ ვერას ისარგებლებს. მეფე აღარაფერია კონსტიტუციისთვის, რომელსაც იგი ასე სამარცხვინოდ ღალატობს! მეფე აღარაფერია ერისთვის, რომელსაც იგი სამარეს უთხრის!

იმისთანა ყვირილი ატყდა კლუბში და გარეთ მოედანზედ, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ყველანი ვეთანხმებოდით ამ დასკვნას, რადგან ვერნიოს ჩვენს გულში ამოეკითხა თავისი სიტყვა და ისე დაეწერა. როდესაც მეფის კეთილდღეობისთვის ერის დაღუპვა ხდება აუცილებელ საჭიროებად, მაშინ მეფის განწირვა აუცილებელია. და ხალხიც ამას გაიძახდა:

— პანღური და პანჩური მაგისთანა მეფეს! კმარა, რაც მეფეებისაგან ჭირი გვჭირს! ხალხი უმეფოდაც კარგად მოუვლის თავის თავს!

მეორე დღეს მეფე ლუი XVI-ის ყველა მინისტრებმა საკუთარი პირით გამოაცხადეს საერო კრებაზე, ჩვენი ხაზინა, ჩვენი ჯარი და ჩვენი სამხედრო ხომალდები იმისთანა უკიდურეს მდგომარეობაში არიან, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ სამსახურს თავი დავანებოთო. მგონი ესეცა კმარა დასარწმუნებლად იმისა, რომ მეფე ერს უსინიდისოდა ჰღალატობდა. ესა სთქვეს მინისტრებმა და მოჰკურცხლეს! ისე გავარდნენ დარბაზიდან, რომ აღარც კი მოითმინეს გაეგონათ, რას ეუბნებოდნენ პასუხად; სწორედ ისე როგორც გაკოტრებული სოვდაგრები მოიქცევიან ხოლმე, როდესაც ვალის გადახდის მაგივრად ინგლისში ან ამერიკაში ამოჰყოფენ თავს და ბევრ პატიოსან კაცს და იმათ ოჯახს ულუკმაპუროდ სტოვებენ. აი რას ნიშნავდა მინისტრებისაგან თანამდებობის თავის დანებება! „ჩვენ თქვენის ნდობით ვისარგებლეთ და იმის მაგივრად რომ საფრანგეთი გაგვემაგრებინა და მტერთან საბრძოლველად შეგვემზადებინა, რაც შეგვეძლება მტერს შემოსევა გავუადვილეთ. ეხლა ჩვენი ქომაგი — პრუსიელები და ავსტრიელები მზად არიან, აგერ კიდეც მოდიან და.... ვნახოთ როგორ გადარჩებით ამ განსაცდელს«?..

## XI

მაგრამ ამ განსაცდელსაც გადავრჩით!

მეორე დღეს 11 კათათვეს საერო კრებამ დაადგინა სამ-შობლო განსაცდელშია არისო და მთელი საფრანგეთი, წამოაყენა.

აი რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები „სამშობლო განსაცდელში არისო“:

„განსაცდელში არის თქვენი ყანა, თქვენი ვენახი, თქვენი სახლ-კარი, თქვენი დედ-მამა, თქვენი სოფელი, ყოველი თქვენი უფლებანი და თავისუფლებაა, რომელიც სისხლის ღვრით შეიძინეთ დიდებულთა და ეპისკოპოსთაგან. გახიზნულნი მოუძლვიან პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებს, რომ აგიკლონ და წარგტყვევნონ, დაგხოცონ და თქვენი ხატიც-კი აღარ დაინდონ! გახიზნულნი მოუძღვიან პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებს, რომ კვლავ ბატონ-ყმობა შემოიღონ, ძველებური უღელი დაგვადგან ქედზე და თქვენცა და თქვენს შვილთა და შვილიშვილთაც მონობის დაღი დაასვან.. აღსდექით და ულმობლად დაუხვდით მტერს, ან არა და ქედი მოიხარეთ და პირუტყვივით ოფლი იწურეთ თქვენი ბატონისა და მონასტრისათვის“!

აი რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები! ამიტომ იყო, რომ დიდით პატარამდე ყველამ იარაღი შევისხით; ამიტომ იყო, რომ საშინელი ძალით შევებრძოლეთ მტერს: ჩვენს კერას ვიცავდით, ჩვენს უფლებებს და თავისუფლებას, რომელნიც რევოლიუციამ მოგვანიჭა.

საერო კრების დადგენილება ყველა სოფლებს აცნობეს. მთელს საფრანგეთში ზარბაზნის სროლა ასტეხეს, სამრეკლოებზედ შეუწყვეტლივ ზარსა რეკდნენ და მინდვრად გასულს გამტერებულ ხალხს რომ ეუბნებოდნენ — მტერი კარს გვადგია და ოხრებას გვემუქრებაო, ნამგალს იქვე ბუჩქში მალავდნენ და შინისკენ გარბოდნენ თოფ-იარაღის მოსაძებნად; ამიტომ

-რომ მინდორი მერმისეც მოგვცემს მოსავალს, ათის წლის შემდეგაც, ასის წლის შემდეგაც! საქმე ის არის თვით მინდორი არავინ წაგვართვას; ყანას შეიძლება ცეცხლი მისცენ, ან პირუტყვების ცხენებს მოაძოვონ; ეგ არაფერი! ოღონდ თვით მიწა არავინ წაგვართვას და პურსაც ბევრს მოვიყვანთ და სიმინდსაც მოვიწევთ შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის.

ჩვენს სოფელში, როდესაც აწოწილი ელოფ კოლენი სტოლზედ ავიდა და საერო კრების დადგენილება წაგვიკითხა, ისე იყო გაჩუმებული ხალხი, გეგონებოდათ აღარა სუნთქავენო. მაგრამ როდესაც წამოიძახა: „მამულის შვილნო, სამშობლო განსაცდელშია! სამშობლო თქვენგან მოელის ხსნასაო" ყველაზედ წინ იმ კაცების შვილები წადგნენ, რომელთაც საეკკლესიო მამულები ჰყოლდათ და გამოაცხადეს, — ჩაგვწერეთ, ჯარში წავალთ ჩვენი ნებითაო. ალბად იცოდნენ, რომ თუ გაიმარჯვებდა მტერი და გახიზნულები დაბრუნდებოდნენ, მათ მამებს ყველას ჩამოართმევდნენ. ხუთ-ხუთი მიდიოდნენ თავმჯდომარის სტოლთან და ეწერებოდნენ.

მე ჯერ არაფერი მებადა, მაგრამ შეძენის იმედი მქონდა; სულ ხომ ისე სხვების მუშად არ ვივლიდი ჩემს დღეში! გარდა ამისა მე ჩემი და ჩემი ქვეყნის თავისუფლება სიცოცხლეზედ მეტად მიმაჩნდა დაო. აი ეხლაც, ხომ მოხუცებული, ღრმად მოხუცებული ვარ, და ამ მოგონებაზედ ისე მიდუღს სისხლი, თითქო აგერ, მტერი კარს მადგას და ჩემს საკუთრებას, თავისუფლებას შელახვას უპირობსო.

ბევრი ყუყუმანი რა საჭირო იყო, ჩემს თავს ხომ არ ვუმტყუნებდი? გაათავეს თუ არა დადგენილების კითხვა, მეც წინ წავდექი და ვთხოვე ჩამწერეთ-მეთქი. ჩვენს სიაში მე მესამე ვიყავი: პირველი ქსენტრაილი ჩაეწერა, მეორე ლატურ-ლუსსავი და მესამე მიხეილ ბასტიენი ს. ბარაკილანვ.

რომ მოგახსენოთ, სიამოვნებით ჩავეწერე, მტკნარი სიცრუე იქნება. რა სიამოვნება უნდა მეგრძნო, როდესაც კარგად ვიცოდი, რომ მოხუცებული მამა-ჩემი და მთელი ჩემი ოჯახი ისევ ძველებურად მულუკმა-პუროდ რჩებოდა და ნა-

თლია-ჩემიც ძალიან შესწუხდებოდა, რომ აღარ ვეყოლებო-
დი სამჭედლოში. მაგრამ რა მექნა? ვგრძნობდი, რომ მტერს
მოგერება უნდოდა და მის მოსაგერებლად, თუ ჩვენც არ გავი-
ღოდით, მაშ დიდებულებს ხომ არ მივანდობდით ჩვენს ბედ-
იღბალს. რა მექნა, ვგრძნობდი, რომ იარაღით უნდა მომეგე-
რებინა მტერი, ან ჩვენი სახლიც იმისთვის დამეთმო, ცხარიც,
მამულ-დედულიც და სუყველაფერიც.

ჩამწერეს, ბილეთი მომცეს. ბილეთი ქუდში ჩავირჭე და
გამოვედი. იქვე კიბეზედ მამა-ჩემი დამხვდა, გადმომეხვია, გულ-
ში ჩამიკრა და ცხარე კოცნა დამიწყო, ხრინწიანი, უკანკალებდა,
ცრემლი სდიოდა და ქვითქვითებდა:

— აგრე, შვილო, აგრე! მე ვიცოდი, რომ შენ თქმა არ
გინდოდა!... ნიკოსაგან დაჭრილი გული შენ გამიმთელე, შვი-
ლო! მე ეხლა აღარა მტკივა-რა.

საწყალი მამა-ჩემი! პატიოსანი მამულიშვილი იყო და ისე
არა სწყლავდა-რა მის სამშობლოს სიყვარულით სავსე გულს,
როგორც ნიკოს საქციელი: ვერ აიტანა, რომ მისი სისხლი და
ხორცი, მისი შვილი სამშობლოს უღალატებდა.

ნათლია-ჩემიც ძალიან კმაყოფილი დამხვდა და იმანაც
გადამკოცნა; ალბად უხაროდა, რომ იმის მამულებს, მეტადრე
ბიკვოლცის მამულებს, მფარველი უჩნდებოდა. არც სტყუვდე-
ბოდა: ღმერთსა ვფიცავ, დედას ავუტირებდი ყველას, ვინც გა-
ბედავდა და ნათლია-ჩემს ხელს ახლებდა.

ერთი სიტყვით, აბა რაღა თავი შევაწყინოთ, ადამიანება
მაშინ არის ხანგრძლივი, როდესაც სიმართლეზედ არის დამ-
ყარებული, უფლებაზედ და გონებაზედ.

როგორც აგიწერეთ, ჩვენ ნაქებმა მუღლმა ბრძოლა ხალხში რო
ხვევნა-კოცნა და ფიცი, — გავწყდებით, დატყვევებით ნუ დაგვიჯაბნებით-
თო! — ამას თქვენც კარგად წარმოიდგენთ. უბრალო საქმეებს
გასარჩევლადაც ბევრჯერ ფელიეტონებით გაიძვერებს შესყი-
დული გაზეთებით ხალხი დიდ ომში მონაწილეობა მიუღებინე-
ბიათ, როდესაც სამეფო იმისგან ზარალის მეტი არა-
ფერი სიმედი ჰქონია. მაგრამ მაშინ ფეხით ნავლები ხედავდა თავის

გაჭირებას და ახვევს ჩქმა ალაგა უწყოდა. ხალხი ხედავდა, რომ სახლკარის და თავისუფლების წართმევას ემუქრებოდნენ და საბრძოლველად ემზადებოდა. მგონი, კაცი თავის თავისუფლებისთვის მოკვდეს, ისა სჯობიან, ვიდრე უცხოეთის ხან იმპერატორის დიდებისთვის.

განა დამავიწყდება ოდესმე ის უანგარო სიყვარული სამშობლოისა, რომელიც მაშინ ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა! ქალი და კაცი, ყმაწვილი და წელში მოხრილი მოხუცებული, მისდევდნენ ხოლმე თავისნებით ჯარში წამსვლელ ბიჭებს, თან ცრემლი სდიოდათ და თან „თავისუფალ ერს გაუმარჯოსო“ შეჰყვიროდნენ. უმეტესი ნაწილი ამ ბიჭების მონაგებით და ნამუშევარით ცხოვრობდა და სხვა, ცარიელი ქოხის და კონკების მეტი, არა ებადათ-რა საწყალ მთიულ გლეხ-კაცებს. მაგრამ წარსულის სიმწარე ჯერ ისევ ღრმად ჰქონდათ გულში, აწმყოს სიტკბოებას გრძნობდნენ და სიცოცხლეზედ უმეტეს განძად სთვლიდნენ თავისუფლების და მართლ-მსაჯულების დამცველ სამშობლოს. შეძლებულებიც არას ზოგავდნენ და გულუხვად სწირავდნენ ჯარში წასულთა ღარიბ მშობლებისთვის ცხოვრების წყაროს ასაჩენად, დაჭრილთა მოსავლელად, იარაღის სასყიდლად და სხვა—ვისაც კი რა ებადა, მოჰქონდა და სამშობლოს ტრაპეზზედ სტოვებდა! ბავშვები ტიროდნენ, რატომ დიდრონი არა ვართ, რომ ჩვენც ჯარში წავიდეთო! დიაღ, აღარავინ რას ზოგავდა, ოღონდ სამშობლოს შველოდა რამე. ყველა მტკიცედ ასრულებდა თავის ეროვნულ მოვალეობას.

იმ დღეს სადილად შოველიდან ჩავედით ნათლია-ჩემი, ლეტუმიერი-ძმა-ჩემი და მე. რაც კარგად მახსოვს ყველაფერი; მახსოვს კი არა, ახლაც თვალ-წინ მიდგანან ყველანი, თითქო გააცოცხლა ჩემმა ხსოვნამ და თვალ-წინ დამიყენაო. ცხელოდა. მარგალიტა იწმენდა ჭურჭელს მაღაზიაში, გადმოდგა მუშტრის დასახვედრად. გავიდოდა და გაისტუმრებდა თუ არა, უკანვე მოეჩქარებოდა..., თვალს მარიდებდა ჩემი მარგალიტა. კარგი სუფრა გვეშალა, კარგ ღვინოს გიახლებოდით, მაგრამ ვერა სხვებივით გამხიარულება და სიცილით ვერ მომეხერხებინა. სული იმის ფი-

ქარში ვიყავ, რომ მე ვისურვებდი წავსულიყავ ჩვენს ჯარ-
ში ჩასაწერად და მარტოდ-მარტო ვიყავ. ამ დროს შემოვიდნენ ერთ მეჯა-
ლის-შვილი ბოთლს ახსნა თავი და დაიძახა:

— აბა, ჩემო მეგობრებო, ჩვენი მიხო ამ ღვინით უნდა და-
ვადღეგრძელოთ. ჯერ ეგ ჭიქები დაცალეთ!

ბოთლი სუფრაზედ დასდგა, დამაცქერდა და მითხრა:

— ვიცი რას გიმბობ, ჩემო მიხო! შენც კარგად იცი, დიდი
ხანია შვილივით მიყვარხარ, მაგრამ დღევანდელმა შენმა გარე-
მოწყვეტილებამ დამარწმუნა, რომ არ ვცდებოდი შენში და
მართლა სიყვარულის ღირსი ყოფილხარ. დღე-
ვანდელმა შენმა გარეწყვეტილებამ დამარწმუნა, რომ შენ
ვაჟკაცი ყოფილხარ. შენისთანა ბევრი დამძიმე დამაბრკოლე-
ბელი მიზეზი იქნება, ბევრს არავის ჰქონდეს, მაგრამ მიუხედა-
ვად ამისა შენ მაინც არ დაივიწყე შენი სამშობლოს ღირსეული მო-
ვალეობა. ყოჩაღ, ბიჭო! წადი და ძვირფასად დაუსვი მტერს თა-
ვისი თავხედური წადილი! ჩვენ, რომ სხვა მოვალეობა არ გვქო-
ნდეს, ჩვენც შენთან ვიქნებოდით ბრძოლის ველზედ! მაგრამ
ჩვენ აქაც ბევრი საქმე გვექნება. დღეს-ხვალ წასვლა მოგიხდე-
ბა... მოდი, მართალი სთქვი, ნუ თუ აქ არავინ დაგრჩენია?
ნუ თუ გულ-მხიარული წახვალ? ნუ თუ საიდუმლო არ გაქვს-
რა ჩვენთან? იქნება გვითხრა რამე ჩვენს თავზე, რასაც მარტო
ღირსეულ ვაჟკაცს და მამულისშვილს ეკადრება, რომელიც სა-
ყვარელი და პატივსაცემია?

გულის გულში ჩამწვდარა ფრიალი და ძალიან გავწითლდი, ისე
ვითომც გასათხოვარი ქალი. ჩემდა უნებურად მარგალიტას გა-
დავხედე, ისიც ძლივ-მოსვლილი იყო, თვალებდახრილი და სის-
ხლ ამოდგება ვერ გამეზრდნა. ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ. ბო-
ლოს მოხუცებული მამა-ჩემს მიუბრუნდა და უთხრა:

— რას იტყვი, პეტრე? ამ ყმაწვილებს მგონი ერთმანეთი
უყვართ!

— ჰაი, ჰაი, რომ უყვართ, — მიუგო მამაჩემმა, — დიდი
ხანიც არის ამას ვხედავთ.

— რას იტყვი, პეტრე? მოდი, ნიშნობა გავაჩაღოთ!

— ნეტავი აგრე და საუკუნოდ ბედნიერებას მოგანიჭებ, ჩემო შვილო.

ისინი რომ ამას ლაპარაკობდნენ, მე და მარგალიტა წამოვხტით და ისე დავრჩით გაშეშებულნი, ერთმანეთთან მისვლასაც ვერ მოვახერხეთ. შოველი კი იცინოდა:

— აბა, მიხო, შენს დანიშნულს აკოცე! ღმერთმა გაგაბედნიეროთ, შვილო!

ჯერ არც კი გაეთავებინა სიტყვა, რომ ერთმანეთს მოვეხვიენით. მარგალიტა მორცხვად თავს მალავდა ჩემს გულზედ, ახლა კი ჩემი იყო, შიში აღარაფრისა მქონდა. იცით, რა ნეტარებაა, კაცმა თავისუფლად გადაჰკოცნოს თავისი სატრფო და — რიდი აღარავისი ჰქონდეს, აღარც ნაცნობებისა და აღარც ნათესავებისა. თქვენ სიცოცხლისა არა იცით-რა, თუ ეს ნეტარება არ იცით. კაცი მარტო მაშინ ხდება კაცად, გულითაც და სულითაც მართლა მაშინ არის ძლიერი და უძლეველი.

ნათლია-ჩემი იცინოდა. შოველმა სკამი ჩვენკენ მოიბრუნა და გვითხრა:

— დღეის შემდეგ დანიშნულები ხართ. სამი წლის შემდეგ დაბრუნდები მიხო, და ჯვარს დაიწერთ. ხომ დაუცდი, მარგალიტა?

— უკუნითი უკუნისამდე!

და ხელი მომიჭირა ხელზედ. ცრემლმა წამსკდა, ავტირდი და ისე ვამბობდი:

— მე შენს მეტი არავინ მყვარებია... და არც შემიყვარდება... მე თქვენთვის მივდივარ ჯარში, იმიტომ რომ მიყვარხართ და...

მარგალიტა მაშინვე გარედ გავარდა.

შოველმა კი ჭიქები აავსო და დაიძახა:

— აბა, ბედნიერი დღე ამისა ჰქვიან! ღმერთმა აცოცხლოს ჩემი შვილი მიხეილი!

მამა-ჩემმა უპასუხა:

— ღმერთმა აცოცხლოს და აღდეგრძელოს ჩემი ქალი მარგალიტა! მერე სხვა სთქვას: გაუმარჯოს სამშობლოსაო! გაუმარჯოს თავისუფლებასაო!

იმ დღეს ფალსბურგში 1813 კაცი ჩაეწერა თავის ნებით ჯარში წასასვლელად. ვინც შინ რჩებოდნენ, უკანჩამორჩომა არც იმათ უნდოდათ და ყველანი იარაღის მზადებაში იყვნენ. მინდვრად აღარავინ იყო. გარეთ ქუჩებში და მოედანზედ ერთი-ღა ისმოდა: თავისუფალი ერის გაუმარჯოს! „წავა, წავა“-ს მღეროდნენ. ამ ხმაურობას ზედ ერთოდა ზარის რეკვა ყველა ეკლესიებში და ყოველ საათს ზარბაზნის სროლა. ჩვენ კი ისევ სუფრას უსხედით და ვლაპარაკობდით. ხანდახან ნაცნობი ვინმე შეჩერდებოდა და ფანჯრიდან შემოგვძახებდა:

— ამდენი კაცი კიდევ ჩაეწერაო.

შინ შემოვიყვანდით და სამშობლოს სადღეგრძელოდ ერთ ჭიქა ღვინოს დავაცლევინებდით. მოსული სიამოვნების ნიშნად ბეჭებს აიწევდა და თვალ-მოჭუტული გაიძახოდა:

— წავა! ძალიან კარგად წავა საქმე!

იმასაც ამბობდა, პარიზში დიდ მზადებაში არიანო, დიდი ამბები მოხდებაო, მაგრამ გამოცხადებით კი არას გვეუბნებოდა.

ნათლია-ჩემს პიკჰოლცში თავის მამულის მოურავად ჩემი ძმა კლოდი ჰყავდა; ერთი გულუბრყვილო, უეშმაკო და ამასთან დაუღალავი მუშა კაცი იყო კლოდი და ხმის ამოუღებლივ აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ; თავისთავად კი საქმის გაძღოლა ვერ მოეხერხებინა. ნათლია-ჩემსაც სწორედ ეს ერჩივნა, მით უფრო რომ ძალიან უყვარდა ბრძანებებისა და განკარგულების გაცემა. სადილზედ ვიყავით ჯერ ისევ, რომ მამა-ჩემს უთხრა, შენი მატურინიც კლოდთან უნდა გავგზავნო პიკჰოლცში, რადგან იქ ბიჭებს ერთი კარგი გულშემატკივარი და ყაირათიანი დიასახლისი ძალიან გამოადგებათო. მე კი ისევ შინ დავრჩები და სამჭედლოში დავტრიალდები, ვიდრე მისი დაბრუნებამდეო.

მამა-ჩემს ჯერ კიდევ შეეძლო მუშაობა და ცოტა რასმე შოულობდა, ვალი აღარა გვქონდა-რა, შინ ორი კარგი თხა გვყავდა. ახლა კლოდი და მატურინიც დამოუკიდებლად ირჯებოდნენ და იცხოვრებდნენ, როგორც იქნებოდა; მით უფრო რომ შოველი გვპირდებოდა პატარა სტეფანეს ქალაქში სწავლას ვუშოვნი რასმეო.

ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ქალაქის მცველმა ფრო-ილიგმა გამოიარა და გვითხრა: ჯარში ჩაწერილნი ხვალ დილის რვა საათზედ წავლენ ვეისენბურგისკენ; ჩვენის მაზრის ბიჭები ყველანი გრაუფტალში შეიკრიბებიან და იქიდან ერთად გაემგზავრებიანო. ამ ამბავმა ცოტა არ იყოს დაგვაღონა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით: ისევ მალე გავმხიარულდით, რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ გადავკარით და რაკი დაღამდა, შინისკენ გავწიეთ. შოველმა დუქანი დაკეტა. მარგალიტამ ხელი მომცა და გავედით ქუჩაში. ქალაქში პირველი იყო ჩვენი ერთად სიარული და რომ დაგვინახეს, ყველამ სიყვარულით მოგვილოცა. ბოლომდე გამოგვაცილეს. აქ კი ერთხელ კიდევ გადავკოცნე ჩემი მარგალიტა და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მხიარულად გავუდექით გზას, სიცილით და სიმღერით, რადგან ბედნიერნი ვიყავით და... ღმერთო ჩემო, რა არის აქ სამრახისი? ცოტაოდნად შექეიფიანებულიც... მეტად კარგი ღვინო იყო, ის დალოცვილი! და განა მარტო ჩვენა? ვისაც შევხვდით, ყველა ჩვენსავით იყო; ცოტა რამ გადაეკრათ სამშობლოს სადღეგრძელოდ: მიდიოდნენ ხელი-ხელს გადახვეული და ყვიროდნენ: თავისუფლებას გაუმარჯოს! სიკვდილი მოღალატეებს!

ცხრა საათი იყო, როდესაც ნათლია-ჩემის დუქანთან მოვედით და ნათლია-ჩემს და ლეტუმეს გამოვეთხოვეთ. შინ შევედით და ვაი იმ მესხვლას! ისე ჩაგვშხამდა იმ დღის სიამოვნება მე და მამა-ჩემს, რომ შემდეგ იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემი ისტორიის ბოლოც იცოდეთ, რას იზამთ, ყველგან ქვეყანაზე კარგი და ავი გაურეულნი არიან. ამას ეს დაგიმტკიცებთ, რომ მათიუმცა პატრიოტებმა გაიმარჯვეს, ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება, რადგან ყველა ჩვენგანს შინ ელოდა, საკუთარ ოჯახში შინაურები წინააღმდეგ აჯანყებული ვინმე მახლობელნი.

ამას მოგახსენებთ ნათლიასთან ნასვამი ავიყარეთ მე და მამა-ჩემმა შევიტყვეთ და ... გული ვიმაგრებდით, რადგან ვიცოდით, რომ დილას ადრიანად იმერებოდა ჩემი ჯარში წასვლა, და მეტადრე ჩემი დედისთვის, ისიც ვიცოდით, რომ ... ფიქრში გართული მივუახლოვდით ჩვენს ქოხს და შორიდანვე დავ

ვიწვნიდით დედა-ჩემს; იქვე კარებში იჯდა, თმაგაწეწილი და ისე აბლავრიალებდა თვალებს, რომ ეტყობოდა, ყველაფერი ჯავრობდა.

იმისთანა ჩემს ცხოვრებში არა მიგრძვნია-რა, ერთი წამს შევკრთი კიდეც, მინდოდა უკანვე დავბრუნებულიყავი, მაგრამ მამა-ჩემმა არ გამიშვა.

— შინ მივიდეთ, შვილო!

მამა-ჩემი სრულიად უშიშრად მიიწევდა შინისკენ.

ის ერთი მაგრელით და წამოხტა კიდეც დედა-ჩემი. წამოხტა, საშინელი ხმით შეჰყვირა... ღმერთო, შენ შეგვიწყალე და ისე ადამიანს კი არა, მგონი მხეცსაც შეეძლოთ დაიყვირონ... შეჰყვირა და ჩემკენ წამოვიდა. ორივე ხელით ყელში მომწვდა და დამახრჩობდა, ხელი რომ არ დამეშვირა. რაკი ხელებით ველარა გააწყო-რა, ჭკვიანდ მკერდში და დამიყვირა:

— წადი, შენი მამამკვლელი! წადი, ნიკო, მოკვლეს, შე ურჯულო, შენა!

თანაც ზედ მივარდა ყვიროდა, ფეხებით თელავდა იმისთანადა ყვიროდა, რომ მთელი სოფელი თავს დაგვესხმოდა.

მამა-ჩემი უკან ეწეოდა, ჩქნება გავა შეებრძოლა ორნი,

ეს რომ ნახა, დედამ უცბად თავი დამანება და იმას მივარდა; გიჟივით მივარდა, — ჰაი, შე იაკობელო, შენა! — მერე ახლა ჰანკვარი და რამდენიმე სხვა მეზობელი, რომ უკან გამოკიდებოდნენ, დააბრახიბდა საწყალს კაცს, ისე თავლუქან ზმოსხოხრიდა.

ბოლოს, როგორც იყო, მოეშორნენ და ჩვენი ქოხისკენ წაიყვანეს. მაგრამ თავისას არ იშლიდა და იწყევლებოდა და ილანძღებოდა:

— ყვერგ შვილს დაიწყევლებს, მშობლების მოსისხლეს! ერთი ურჯულო კაცის გულისთვის დედა შვილს დაიწყევლის, მამა! ღმერთი მოუმართავს რჯულით! მაგრამ არაფერს ვერ მეტყოდა! ხანოს წინაშე ჩემი ცოდვას შეგნებით დავსწყევლი, ჩემო ნიკო! საწირავს მივცემ მღვდელს, რომ ჩემი ნიკოშენმობრძანებულზე დაწყევლილი, შენ დაწყევლილი იქნები ოთხ უკუნისამდე!

შინ შეიყვანეს, კარი გამოუკეტეს და იმისი შეძახილი კი მაინც მთელს სოფელში ისმოდა.

მე და მამა-ჩემი კი ცრემლებით შუა ქუჩაში გაყვითლებულები.

— გიჟია, შვილო, გიჟი! — უთხრა საწყალმა მოხუცმა. — წავიდეთ სადმე, შინ ნუ შევალთ, თორემ უბედურებას აგვიტეხს რასმე! რა უბედური ვარ, ღმერთო! ნეტა რა დავაშავე, რომ ასე მსჯი, შე დალოცვილო, შენა!?

ისევ ნათლია-ჩემისაკენ გავწიეთ. დუქანში ჯერ ისევ სინათლე იყო. ნათლია-ჩემი თავის სავარძელში ბრძანდებოდა გამოჭიმული და ნათლი-ჯალაბს და ნიკოლს იმ დღის ამბავს უამბობდა. ჩვენ რომ შევედით, — მე თურმე სისხლი მდიოდა და მამა-ჩემს სულ დაგლეჯილი ჰქონდა ტანისამოსი — სახტად დარჩა კაცი, და როდესაც ვუამბეთ ჩვენი უბედურება, შეჰყვირა:

— ღმერთმანი, პეტრე, შენი დიდი პატივისცემა, თორემ ეხლავე ციხეში ვუკრამდი თავს! ღმერთო! განა აგრე გამძლავრება შეიძლება დედაკაცისა! სულ დაუფიცავი მდევლების ბრალია! თუ ჩვენ იმათ ბოლო არ მოვუღეთ, ცუდ დღეს დაგვმართებენ!

მერე დაუმატა:

— თუ კი აგრეა, თავს ნუ იწუხებთ, ცოლი მარტო [illegible]ბოდეს სახლში. მამა-ჩემს უთხრა, — მუშაობით ჩემს სამჭედლოში იმუშავე, ღამღამობით დუქანში გეძინოსო. მაგრამ ესეც არ ივარგებდა, რადგან მამა-ჩემს თავის ქოხში ურჩევნოდა ცხოვრება, თავის მეუღლესთან ერთად. ჩვეულება ცალკე მოქმედებდა, სირცხვილი კიდევ ცალკე: რას იტყვიან, ამ სიბერის დროს რომ ცალკ-ცალკე ვიყვნეთო! [illegible] უბედურება ჰქონდეთ ცოლ-ქმართ ერთად ცხოვრებაში, გაყრას მაინც ერთად [illegible] სჯობიან! გაყრილ ცოლ-ქმართ ქვეყანაც დასცინის ხოლმე და შვილებსაც საუკუნოდ გააუბედურებენ.

იმ ღამეს დუქანში გვეძინა. მეორე დილას დილა ადრიანად შინ წავიდა მამა-ჩემი ჩემი ბარგის შემოსატანად. ცოტა ხანს უკან ჩამოვიდა, ბარგიც ჩამომიტანა: ტყავი და სამხედრო გუდაც, მაგრამ დედა-ჩემის კურთხევა კი არა. — შენი ნახვა არ უნდაო, — მითხრა თვალცრემლიანმა.

დიად; დედა-ჩემის უნახავად წაველი, მისგან დაწყევლილი, ღმერთმა ხომ იცის, მე არაფრით გამომიწვევია ეს წყევლა, მაგრამ გული მაინც მიწუხდა და მიკვდებოდა.

შემდეგში ნათლია-ჩემმა მითხრა, დედა-შენს არ უყვარდი, რადგან იმის დედამთილს ურსულსა ჰგევხარო, დედამთილი თურმე ჭირივითა სძულდა. ქალს რომ დედამთილი სძულდეს, ეგ არაფერი; მაგრამ დედას რომ შვილი სძულდეს — ჩემს დედამთილს რადა ჰგევხარო, ეგ კი მეტის-მეტი უბედურებაა!

XII.

— მშვიდობით, ჩემო აღმზრდელო სოფელო! მშვიდობით დიდი ხნის მეზობლებო და მეგობრებო! იქნება აღარც კი მეღირსოს თქვენი ნახვა!..

მეორე დღეს ჯერ ათი საათი არც კი იყო, რომ გრაფენტალში მივედით. ჩვენი მაზრიდან ყველანი აქ უნდა შეკრებილიყვნენ, ვინც ჯარში მიდიოდა, იქიდან ვისემბურგში უნდა წავსულიყავით და იქიდან კიდევ ვინ იცის საით გვიკრავდა თავს მუხთალი წუთი-სოფელი!

რაკი სიცხისა გვეშინოდა, დილით ვიარეთ, სიგრილოზედ. მარგალიტა, შოველი, ნათლია-ჩემი, მამა-ჩემი და ბევრნი კიდევ სხვანი წამოვიდნენ ჩვენს გასაცილებლად. ჩავედით და რადგან სხვებისთვის უნდა გველოდნა, იქვე გზის-პირას ავაყუდეთ ფოფები და მუხის ჩრდილს შევეფარენით. ჩვენს ქვემოდ თვალ-გადაუწვდენელი მინდორი იყო დაცემული, დაკლაკნილი მდინარით და ზედ გაფანტული სოფლებით.

რამდენჯერმე გავჩერებულვარ ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში იმ მუხის ქვეშ, წარსული მომგონებია, ისე ცხადად წარმომიდგენია, თითქო ხელახლად იწყება ჯარისკაცობა და გონებაზედ რომ მოვსულვარ, წამომიძახნია:

— უკანასკნელად აქ ვაკოცე ჩემს მარგალიტას და გამოვ ვეთხოვეთ ერთმანეთს... საწყალი იცრემლებოდა, მდუღარე ცრემლით

სდიოდა იმის მამას და ის კი ანუგეშებდა: ნუ სტირი მამა-ჩემო, მერმის აქ ვართ! ველარ ეღირსა უბედურს შინ დაბრუნება!

ამ ბილიკზედ ჩამოიარეს ბრანდენბურგელებმა და აგრეთვე ამაზედ ვიურტემბერგელებმა... ისე მოდიოდა შორიდან იმათი ნაღარის ხმა, თითქო ტყეს მთელი ჯარი დარევიაო. თან და თან გვიახლოვდებოდა ნაღარა, უცბად გამოვიდნენ ტყიდან, და მხიარულად შემოგვძახეს: თავისუფალ ერს გაუმარჯოსო!

მიდის დრო და სიყმაწვილეც თან მიაქვს! ისევ ის არის ეს ქვეყანა, ის არის ჩვენი მთა, ჩვენი მინდორი და ჩვენ კი ის აღარა ვართ, ან-არა და სულაც აღარა ვართ! სადღა არიან ის სიყმაწვილით და ტკბილი იმედებით აღვსილი ბიჭები? აქ რომ გაიძახოდნენ, თავისუფლებას გაუმარჯოსო, სადღა არიან აქ რომ ეთხოვებოდნენ თავიანთ მახლობელთ და ჰპირდებოდნენ, მერმის აქა ვართო? რომ მომაგონდება ჩემი ამხანაგები, რომელნიც მოზელის და რეინის პირას დარჩნენ და არგონის ჭალებში, მიკვირს, მე როგორ-ღა გადავრჩი ცოცხალი და ღმერთს მადლობას ვწირავ.

მარგალიტას და სხვა ქალებს პატარა კალათებით ცოტა რამ საჭმელ-სასმელი მოეტანათ, რადგან გრაუფტალში დუქანი არსად იყო. მაგრამ ვის აგონდებოდა საჭმელი? მე და მარგალიტა იქვე ბუჩქს ამოვეფარეთ და დაბალი ხმით ვლაპარაკობდით. შოველი, მამა-ჩემი, ნათლიმამა-ჩემი და კიდევ სხვები კი მოშორებით იდგნენ, გზის ქვევით, მუხების ჩრდილში და, ალბად გრძნობდნენ, რომ ჩვენ ორთავეს გვქონდა ერთმანეთისთვის სათქმელი, ვითომც ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. მარგალიტა მთხოვდა, ხშირად მოიწერე წერილებიო... სიყვარულით შემომყურებდა, თუმცა სხვებივით არ სტიროდა. გულ-მაგარი იყო და კარგად იცოდა, რომ ამისთანა დროში გულის გამხნევება უნდა.

— მე სულ შენს ფიქრში ვიქნები, სულ შენთან ვიქნები... მამა-შენის ოჯახს შევხედავ, მამა-შენი მამა-ჩემია, შენ წადი... ყველაზე მეტად მიყვარხარ... შენს ქვეყანას ვუკოცნი, ვუქირებ.

მე კი გამტკიცებული შევიქენი და იმის მიხედვით გული მიმაგრდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ უვნებელი დავბრუნდებოდი და ერთ წამს არ დამიკარგავს ეს რწმენა, გაცხარებულ ბრძოლაშიაც კი. სხვები ჩემს გვერდით უიმედობით დაუძლურებულნი, ზოგი სიცივით კვდებოდა, ზოგი შიმშილით, ზოგი უბრალოთ ჯავრმყოფობით და მე კი ისე მწყუროდა ჩემი მარგალიტას ნახვა, ისე მაგრა ჩავებღაუჭე სიცოცხლეს, რომ სიკვდილმა ვერ დამძლია.

ჩვენთან ერთად მოხუცებული გუენი იყო თავის ცოლით და ქალებით და ყველანი ცხარი ცრემლით ტიროდნენ. უნდა დამკითხებოდნენ,— იძახდა გუენი...— ორივე ერთად როგორ გავიმეტო?! ჩემი ხნის კაცს მოსვენება უნდა, ქალმა შემძლიან ოჯახის გაძღოლა?! გუენის შვილები არა ტიროდნენ, მაგრამ ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი უტრიალებდათ საწყლებს გულში.

სხვა მოხუცებულები უფრო გულმაგრად იყვნენ და იმისთანა იმედიანად და ვაჟკაცურად ლაპარაკობდნენ — სამშობლო თავისას თხოულობს და შერცხვენილი უნდა იყოს კაცი, რომ სიკვდილს შეუშინდეს,— რომ მხდალსაც კი ამაგრებდნენ.

მამა ქრისტეფორეს მოსვლაზედ იმისთანა ყვირილი გაისმა ყოველი მხრიდან—თავისუფალ ერს გაუმარჯოს!—რომ იტყოდით მთა შეინძრა და ერთმანეთს სტყორცნა დაბერებული ბრგე მუხებიო.

მამა ქრისტეფორემ ლუტცელბურგელები ჩამოიყვანა და თითონ იმიტომ ჩამოვიდა, რომ პარაკლისი გადაეხადნა და ჩვენი დროშები ეკურთხებინა. ჯერ ისევ შორს მომავალს მოვკარ თვალი. როდესაც ბიშელბერგის დაღმართს ჩამოდიოდა, ჩემი ძმა სტეფანეც თანა ჰყავდა. მე დრო არა მქონდა, რომ ავსულიყავი, გამოვთხოვებოდი და მამა ქრისტეფორეს თან წამოეყვანა.

საშინელი სიცხე იყო, თერთმეტი საათი იქნებოდა. ზინზელის ხიდზედ მივეგებე ჩემს ძმას და ცხარედ გადავკოცნე. მამა ქრისტეფორეს წურ-წურით სდიოდა ოფლი, მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— ძალიან კმაყოფილი ვარ შენი, მისთვის გადაეცი შენი ბე-დნიერება და ჩემიც შენი რომ ღირსი იყოს მისი ბედნიერებისა.
პატარა სტეფანემ მადლობელი ტახტთან ჩაიქცა კანქლობით. მთა-ველი და ნათლია-ჩემი მამა ქრისტეფორეს მიეგებნენ.

ექვსსამდე ბოძი ძირქვებოლით შეკრებილი და ზემომთიელ-ნი ლია ზვავებოდნენ. ის იყო მეფეთ-არენით, რიგზედ დავშლებოდით დღით ერთმათი წარმართული გაისმა ტყეში.

ზემომთიელნი თავიანთ წინამძღოლად კლიძის ფილენს ჰყავ-დათ, რომელმაც 1814 წ. თავი ისახელა თავისი მამაცობით. იმათ შორის ერთი მეწისქვილემ მარკის ბიძამ; ფეხშიშველა იყო, მთელი თავისი ცოლ-შვილი ფრთხილსახლში ჰქონდა გამოკრუ-ლი. ყველა სხვებიც იყვნენ იმაზედ უკეთ გამოწყობილნი, მაგრამ იმისთანა მხიარული სიმღერით მოდიოდნენ, იმისთანა ხუმრობით და სიცილით, თითქო გაჭირება სრულიად არსად უნახავთო, რომ უფრო მოკლედ მოეჭრათ, წყალში გამოტყუებს და ერთი ყიყილ-ხივილი აუდგათ, რადგან წელამდე სწვდებოდათ წყალი.

რაკი ზემო-მთიელნიც შემოვიდნენ და მოლოდინი აღა-რავისა გვქონდა, ჩვენმა ივანემ ტიბო ორ ძმობილებს ნაღმრად და-ჰკრეს და ყველანი ფეხზედ წამოგვაყენეს. ახლა კი უნდა გაე-შორებოდით ქვეყანათს!

ვინც ფალსბურგიდან პეტიბიერისკენ წასულა, უთუოდ ნახავდა, მაღლა გზაზედ, უკეზედ, შიგ შუა მინდორში ერთ უზარ-მაზარ კლდის ნატეხს. ჯერაც არავინ იცის, ვის უნდა შეს-ძლებოდა იმოდენა მთისოდენი კლდის დამტვრა და ზარად ჩა-მოტანა? ცხადია, მთიდამ ჩამოგორებული არის, მაგრამ როდის, ვინ იცის? იქნება მაშინ იყო ეს ამბავი, როდესაც ჯერ ადამიანი არსად კი არსებობდა. სწორედ ამ კლდეზედ ავიდა მამა ქრისტე-ფორე. გარს ჯარის-კაცები შემოვეხვიენით, მერე ჩვენი ნათე-სავები და ნაცნობები დანარჩენ ქვეყნიდან სხვაგან სიყვარულით მო-სული ხალხი. ყველამ გაჩუმდნენ, მამა ქრისტეფორემ პარა-კლისი გადაგვიხადა, მერე დროშები გვიკურთხა და დასასრულ მოკლე სიტყვით მოგვმართა და მოგვაგონა, რა არის ქრისტია-ნი-მხედარი.

მას შემდეგ შოველი ავიდა კლდეზე, როგორც მოხელე და თავმჯდომარე ჩვენი კლუბისა, სთხოვა, წინ წამოიღეთ რაზმის სამ-ფერი ბაირაღი, რომლის ტარზედ გლეხი-კაცის უბრალო ნაბდის ქუდი დაეხურათ და დალოცა:

„გლეხი-კაცის ძველო ქუდო, ნაწვავ-ნაცეცხლულო და მრავალ-ტანჯულო! ქუდო, ჩვენ წინაპართა ოფლით გაჟღენთილო! ქუდო მონისავ, ყურ-მოჭრილი ყმისავ, რომელსაც ფეხქვეშ სთელავდნენ ათასის წლის განმავლობაში ჩვენი ბატონები! აბა ამაღლდი და წინ გაუძეღ შენთვის მებრძოლთ! ამაღლდი, ყველგან თვალ-წინ უდექ მეომართ და მოწნები გაანთავისუფლებინე! ამაღლდი, გამაგრდი და მზე დაუბნელე იმათ, ვისაც გლეხი-კაცი ადამიანადაც კი არ მიაჩნია! გამაგრდი, რომ შენს დანახვაზედ თრთოდნენ შენი მტრები! გამაგრდი და გაძლიერდი, რომ შენ შვილთა სიმამაცით და ქველობით დიდებული შეიქმნე!

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და აფრთოლებული ხმით გვითხრა:

— ხალხის-შვილნო, დაიფიცეთ, რომ სიცოცხლეს არ დაინდობთ ამ ბაირაღისთვის. თქვენი სამშობლო და თქვენი თავისუფლება არის ეს ბაირაღი. ეს ბაირაღი მოგაგონებთ თქვენს წარსულ ტანჯვას და მომავალ შვებას. დაიფიცეთ, რომ სიცოცხლეს არ დაიშურებთ!

და ერთხმივ შესძახეს იმოდენა ხალხმა: ვფიცავთ! ვფიცავთ!

— ნუ დაივიწყებთ, — სთქვა შოველმა: — თქვენ სამშობლოს შეჰფიცეთ და ეგ ფიცი გაიხსენეთ წინ, როდესაც ბრძოლაში იყვნეთ.

ისე ამბობდა ყოველ სიტყვას, რომ შიგ გულში გვიჭდევდა.

შოველი ჩამოვიდა კლდიდან. ვინც საყურებლად მოსული იყვნენ, მაშინვე შინისაკენ წავიდნენ. რაზმმა პეტიბიერის მხრივ შავი ღრუბელი წამოვიდა და მზეს მოეფარა. ამისთანა სიცხე იყო, ისე იწვებოდა მზე, რომ ცხადათ იყო, ძალიან გაავდრდებოდა.

ჯვარის-ეკლესიიდან მოკვლისიდან სხვა მონასტრებისა გზას შემო-ვიდექით. შოველმა გამოგვიცხადა, თქვენი უფროსების არ-ჩევა კანონისამებრ თქვენი საქმეა და, რომელსაც ბრძანებთ მი-ხვალთ, ვისაც გინდათ, აირჩევთო; მაგრამ ერთი კი გირჩევნიათ წინამძღოლად, რომ გზაში წესიერება დაიცვას, თქვენი ბინა და სამყოფი იზრუნოს და აგრეთვე დასვენების დრო მოგცესო.

ამის გაგონებაზედ იგრიალეს ხმამაღლა მომლოცველებმა და ერთ-ხმად უფროსი დაასახელეს.

იმის წინამძღოლობით ჩვენც ერთი გვქონდა ლაღად და ამ გვარად რამდენიმე დღე სულები ტყუილად ყოფილიყო ჩვენი წინამძღოლი. იმის საქმე ის იყო, რომ გზაში ავეჩქარებინეთ და სოფლებში მამასახლისებისთვის საჭირო საჭმელ-სასმელი და ბინა ეთხოვნა ჩვენთვის.

მაგრამ ახლა რომ ჩვენი გამოთხოვება გაიხსენეთ, ის ემკერ-ბინებს შუალდაზე უფრო და უფრო მოშორებული ვართ. ტყე ხმაურობდა. ხომ იცით რა საიდუმლოდ ხმაურობს ტყე ავდრის წინ? როგორ კანკალებს ფოთოლი, როგორ ირხევა ტოტი, თუმცა ქარი არსად არის. ტყე წინადვე იგრძნობს ხოლმე ავ-დრისა და ქარიშხლის მოახლოვებას და ულენიც ტყის შვილი იყო. წინ გავიწია, წყნარად დააკვირდებოდა, და დაიძრა კიდევ ჩვე-ნი რაზმი: მამასახლისები, მოწყალენი, მამა ქრისტეფორე, მამა-ჩემი და სხვანი გზიდან წამოვედით. მე კი ერთხელ კიდევ გადავხედე მარგალიტას, თითქო მინდოდა გულში ჩამებეჭდა მისი სახე დიდხანს სამი წლის განმავლობაში ვანა მყოლოდა. იმა-ნაც ისე ჩამხედა ტკბილი, თითქო ჩამეშვება ვეღარ შემეძლოსო.

— მშვიდობით, მარგალიტა!

გულში ჩავიკარი, მაგრამ რა? მკერდზე ბევრი იყო ფერი მე-სდიოდა. წამოვიკიდე ჩემი გუდა, შოველს და მამა-ჩემს მოვე-ხვიე, რაც ფული მქონდა მამას მივეცი, რომ სტეფანეს სწავ-ლის გაგრძელება შესძლებოდა.

მერე ნასიდა-ჩემთან მივედი და მოვეხვიე ერთმანეთს და შევნიშნე, რომ უბის ჯიბეში ოქრო ჩამიდო. ღმერ-მა უშველოს, დიდი სიკეთე დამართო შემდეგში ამ ფულმა.

უნდა წავსულიყავით, თორემ მეც ცრემლები წამსკდებოდა. ავიღე ჩემი ფუთფი და შევძახე:

მშვიდობით! მშვიდობით!

მაგრამ მარგალიტამ იმისთანა ხმით დამიძახა: „მეხილ“, რომ გული მომიკლა. მარგალიტა ტიროდა. მივედი, ვთხოვე და იმედი მივეცი რამე:

— კმარა, მარგალიტა, რა გატირებს? იმედი მქონდა შენგან?! გული მიმდიოდა. ჩვენს გარეშემო ყველგან ტირილი ისმოდა: ყველა კაცისთვის საშინელი ხმა არის გამოთხოვება!

ძალ-ღონე მოიკრიბა მარგალიტამ, ერთხელ კიდევ მოგვხვია და მითხრა:

— ნახვამდის, ძმაო, ნახვამდის!

ყველანი მზად ვიყავით. გადავიწერეთ პირჯვარი, ვახსენეთ ღმერთი და გზას გავუდექით.

უკვე წვიმდა, გახურებულ დედა-მიწას ორთქლი ასდიოდა; თუ ქარი ეტინიერისკენ შევუხვიეთ და დაუშვებლად კიდეც, კოკის პირულად ასხამდა, არ გაგვაგრილა, არც ფეხი-რა წვიმას და უფრო ქარბუქსაც ვუძლებდით, რადგან მტვერი აღარ გვაწუხებდა.

იმ დღეს სამ საათზე ეტინიერში გავიარეთ, მაგრამ არ გავჩერებულვართ: იმის იქით ერთი საათის სავალი კიდევ ვიარეთ და მაშინ კი შევდექით ერთ ტყის-პირას, მინდვრის ნაპირად.

მთელი გზა ფიქრებში ვიყავი გართული; ისე მიდიოდი, რომ ჩემს ამხანაგებს ცხენს ვერ ვამჩნევდი. ტყის-პირას კი, როცა დღესაც ცეცხლი გავაჩინეთ და ექვს მოსახლეებმა ზოგმა პური შემოგვთავაზა, ზოგმა ლუდი, მარგალიტის ძმა დამადგა გვერდზე და მითხრა:

— რას მოგიწყენია, მიხო?

გადავხედე და მიამა, ღვთის წინაშე ვიცნობდი ამ კაცს, რომ ერთხელ მასთან ერთად ვყოფილვართ. გულით ვუპასუხე ცოტა ხანს... მოვიყოლიეთ საიდუმლო პურის ლუკმაც, და სადილის დროს ქვეშ გულები მოგვიბრუნდა და გავმხიარულდით.

ძნელი სიყმაწვილეც, რომ ასე ადვილად ივიწყება და შემოსავალი სიყმაწვილეც ძალიან ჩქარობდა. მეტი სიკეთე-ბედნიერება იქნება, კაცმა ერთი წამის მაინც სიამოვნება სევდა ჯავრიანში დაივიწყოს და მოსვენება მისცეს თავის სწორედ ისე წამიერი მოსვენება აკლია სიბერეს.

ის იყო იწყო თენდება და უცებ ყვირილი მორთო:

— აბა, ბიჭებო! ჩქარათ!

საჩქაროდ წამოვცვივდით და მოვემზადეთ. წინწკლავდა. ვინც უფრო გამოცდილი იყო, ჩოხმახს წელსაკრავს აწევდა, წვიმამ არ დაგვისველოსო.

ის იყო უნდა დავძრულიყავით, რომ მარჯვნივ ქვემო ქრეინელი ცხენოსანი, ჩვენსავით თავის ნებით გამოსული ჯარი გამოჩნდა. ამ ცხენოსანთ იმ დროის დრაგონებს უწოდებდნენ. ერთობ გაკეთებული ოჯახის შვილები იყვნენ. სამის თუ ოთხის ძველი ჯარის-კაცის გარდა, რომელთაც თავიანთი სამხედრო ტანისამოსი ეცვათ, დანარჩენები თავთავის ჩვეულებრივ ტანისამოსით იყვნენ და ერთი შეხედვით იცნობდით, ვინ იყო იმათგანი გლეხი-კაცი, ვინ ყასაბი და ვინ ხაბაზი. დრაგონობას დეზებზედ და ტლანქ გრძელ ხმალზე შეატყობდით, რომელიც ყველას გაეკეთებინა. სულ რჩეული, წარმოსადეგი ბიჭები იყვნენ და იმისთანა მხიარულად მიდიოდნენ, რომ საგანგებო სანახავი იყვნენ.

ჩვენ რომ დაგვინახეს, წინამძღოლის ბრძანებით — ხმალი ამოიღეს და ერთი სიმღერა დაიძახეს, რომელიც ჯერ ჩვენგანს არავის გაეგონა. შემდეგში, ლეკების წყალობით გავიგეთ, ჩვენ ის გავიზეპირეთ:

აღსდექით, მამულისშვილნო,
დრო დადგა გამარჯვებისა!..

იმისთანა ხმით მღეროდნენ, რომ ერთიანად დაგვაწყებინეს: გაუმარჯოს დრაგონებს! გაუმარჯოს თავისუფალ ერს გაუმარჯოს! ახლა მთლიანი ჩვენი ჯარი მინდვრის ქარხნიდან ჰყავდა-ნი გამოვიდა თავის ცოლ-შვილით და სურხულით. თუ შეიძლება

ცოტა ხანს შეჩერდით, ჩვენც გვერდს შემოვეხვიეთ; ცხენებს ალვირი დავუჭირეთ და ვეხვეწებოდით მოითმინეთ:

— უნდა გაჩერდეთ, ალაზნელნო! ხომ იცით მსურველებს, რომ ერთობას არ შევცვლით ქართველთან ჩამოხტით!

მაგრამ იმათმა წინამძღოლმა,—ვეშაპის ოდენი იჯდა ის კურთხეულიშვილი ცხენზედ—დაგვარწმუნა: ბრძანება მაქვს, დანიშნულ ვადაზედ, ამ საღამოს, უთუოდ სარებრუბში უნდა შევიდეო, და ჩვენც ძალა აღარ დავატანეთ.

დრაგუნები ისევ იმ სიმღერით გაუდგნენ გზას და ჩვენ კი... შეუძლებელია აგიწეროთ რა შთაბეჭდილება იქონია ჩვენზე იმ სიმღერამ. სიმღერა კია არა, გაჭირვებული სამშობლოს ძახილი იყო, თავის შვილების მოწოდება, მიდით, დამიფარეთო! იმისთანა იმედით აგვივსო გული, რომ მდევები გვეგონა ჩვენი თავი და ჩვენი უძლეველი ამ ქვეყნად არა გვეგულებოდა-რა.

— ღმერთი მოწყალეა,—ვიძახდი ჩემს გულში, ამ სიმღერით თუნდა ჯოჯოხეთში ჩავალ. რა მალე აუსრულდა მოქლის ნატვრა, კარმანიოლის მაგიერად, სხვა სიმღერა გვინდა, რომ ხალხისავით ძლიერი იყოს და იმედიანიო.

საცა კი გავიარეთ, ყველგან ზარსა რეკდნენ, ყველგან ჩვენსავით თავის ნებით გასული რაზმები მიდიოდნენ სამძლვრისკენ. მიდიოდნენ და თან იმედიანად გაიძახოდნენ:

— ამოვწყდეთ და კი ნუ დავიჯაბნებით!

ზოგან ვიწრო ხეობაში იმდენი რაზმები მოგროვდებოდა ხოლმე, ისე გაიბმოდა ლარივით, რომ აღარც თავი უჩანდა, აღარც ბოლო. მთელი ქვეყანა ფეხზედ იყო! რომ გვცოდნოდა, საჭირო ვართო, ქუდზე კაცი გამოვიდოდა. ასეა და! უძლეველია ხალხი, როდესაც იგი თავის თავს იცავს.

ქ. ბიჩში იმოდენა ჯარები შეგროვილიყო, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა შიგ ორიოდ ფეხის შევედით, ქალაქ გარედ დავდექით, მინდორში ჩვენთან ერთად ბევრი სხვა რაზმებიც იყვნენ. ქალაქში ჩვენგანი მარტო უფროსი შევიდა, რომ მამასახლისს ენახა და საქმელი მოეთხოვნა.

ბიში ერთი პატარა ძველებური ქალაქია, ნახევრად ფრანგული, ნახევრად გერმანული; საჯერნს ძალიანა ჰგავს. კარგი მაგარი ციხეები აქვს და ცოტა რამ ჯარიცა დგას შიგ. აქ მდგომი ჯარი შეიფიცა, დავიხოცნეთ და მტერს კი ნუ დავნებდებითო! და სწორედ ასეც ქნა: ყველანი დაიხოცნენ და ქალაქში კი მტერი არ შეუშვეს, ის მტერი, რომელსაც გენერალი ბუილიე მოუძლოდა.

მეორე დღეს ისევ გზას გავუდექით. ვისსემბურგამდე რამდენიმე დღე ვიარეთ დაუსვენებლივ და სულ ცხარი მზის ქვეშ, რადგან ტყე აღარსად იყო და ჩრდილი ძნელი საპოვარი. ჩვენს წინ, ჩვენს უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, ყველა გზაზედ ჯარები მიდიოდნენ.

ჯარებს ურმები მისდევდნენ სურსათით, ღვინით, იარაღით, და იმისთანა მტვერი იდგა, იმისთანა საშინელი მტვერი იდგა, რომ ღმერთს ერთსლა ვევედრებოდით, ერთი კარგი წვიმა კიდევ და მერმე აღარას გთხოვთო!

საღამოს ცხრა საათი იყო, რიქსჰეიმში რომ მივედით. ქალაქ გარეთ დაბანაკებული ჯარები ძალიან მხიარულად დაგვიხვდნენ: იმ დილას ჩვენს ცხენოსან ჯარს შეტაკება ჰქონოდა მტერთან და გაექცია კიდეც: ჩვენს დრაგონებს მტრის ჰუსარები და დრაგონები დაემარცხებინათ, რომელთაც თურმე გახიზნული ფრანგები მოუძღოდნენ. კარგი ცხარი ბრძოლა იყო, რადგან ძალიან ცდილობდნენ ლანდაუს გზა შეეკრათ ჩვენთვის და მით სურსათის ზიდვა შეეწყვიტათო. ჩვენს ჯარს კუსტინი წინამძღოლობდა.

შიგ რიქსჰეიმში კი დიდი და პატარა ერთ უბედურ და თავგანწირულ ბავშვსა ტიროდა: ამ პატარას დაენახა მომავალი მტერი და ნაღარა დაეკრა. სწორედ ის ნიშანი, რომლითაც მთელი ჯარი იარაღით ხელში საბრძოლველად უნდა გაეიდეს. წამოსწევოდა ერთი გერმანელი ჰუსარი და მარჯვენა ხელი მოეჭრა: მაგრამ პატარას მაინც არ დაეშალა და ცალი ხელით თურმე უკრავდა ნაღარას, ვიდრე მტრის ჯარი ზედ არ შედგა და ცხენებს არ გაასრესინა.

აი რა ნობათით შემოვიდა ჩვენში ომი!

მაგრამ მგონი დროა, ცოტათი შევისვენო. გარდა ამისა მინდა წავიდე, ორი ძველი მეგობარი ვნახო, რომელნიც მაღლა მთაში დგანან და ბევრ რასმე მომაგონებენ. მაშ დღეს ამაზედ შევდგეთ; ცოტა რამ კი არ გეგონოთ პირველი ომი რესპუბლიკისა? ამის აწერას კარგი დაფიქრება უნდა. მარტო ომი ყოფილიყოს, კიდევ ჰო, მაგრამ იმდენი რამ მოხდა იმავე დროს, რომ მანამ ძველ ქაღალდებს არ გადავსინჯავ და რიგზედ არ მოვიყვან, მანამ არ დავრწმუნდები, რომ ჩემი ამბავი მარტოდ-მარტო ჭეშმარიტებაა, მანამ კალამს ხელს არ მოვკიდებ.

თუ ღმერთმა დამაცალა და ჯანი მთელი შემარჩინა და გული მხიარული, ეგეც ადვილია.

დასასრული მეორე ნაწილისა.

# ხალხური ლექსი

ს. ხორხში გაგონილი გლეხი ანდრია ქიქიაშვილისაგან
და ჩაწერილი მღ. იოანე სანდულაშვილის-მიერ.

. . . . . . . . .

—შენ იცი, ჩემო გაბრიელ, *)
იმედი მაქვის შენია,
ჩემი ხაზინა დახარჯე,
ჯარი შეჰყარე ბევრია;
გადუშვი მთიულეთშია,
მაგათ გაუსვან ხელია.
ეს რომ მთიულთა გაიგეს,
წამალი ნახეს ბევრია,
დაყარეს ცოლი და შვილი,
ცხორზედ აიღეს ხელია;
ყველა ლაშქარში წავიდა
ვაჟი კაცი და ბერია.
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს
შანშე ქსნის ერისთავია.
ლომისის წვერზედ ავიდა,
იქ შეგვიშინა თემია.
ისინიც მალე გავტეხეთ,
გადავავლინეთ მთანია;
ჩავედით გოდორეთშია,
იქაც ომი ვქენით ბევრია.

*) გაბრიელ ყაზიბეგი.

ქალაქით მიდის წიგნები,
კაცი გავგზავნეთ ორია.
შაჰხედა ბატონიშვილმა, *)
ეს ჩემი კაცი არია.
—რა ამბავია, გოგია, **)
გულში რა გაქვის ჯავრია,
ჩემი პატარა არაგვი
როგორ მშვიდობით არის?
—მშვიდობით გახლავს, ბატონო,
კაცი არა ჰყავს თავია.
წამოდგა ბატონიშვილი,
წელს შემოირტყა ხმალია;
მოჰხედა თავის საყმოსა,
ღმერთო, დასწერე ჯვარია.
—შენმა მზემ, ჩვენო ბატონო,
შენცა გაქვს ჩვენი ბრალია,
ფშავსა და ქსანსა არჩობდა
მთიულთ ზარბაზნის ბოლია,
მძიმე ხევსურის ლაშქარი
სუ ჯამაგირით ყოლია.
ოქრო და ვერცხლი აჩუქა,
თოფი და ხმალი მჭრელია.
მოდი დასჯერდი მთიულეთს,
სხვა ნუღარ გინდა ბევრია.
ეგრე დამხდარან მთიულნი,
როგორც მშიერი მგელია.
ჩაუშვით ანანურშია,
მაგათ გაუსვან ხელია,
. . . . . . . . . ,
სომხის ბიჭები ბევრია.
დუშეთს აჭამე სადილი,

*) ბატონიშვილი ფარნაოზი.
**) ობგაიძე მთიული.

იქ მიეცემათ ფერია.
ახლა ქალაქში ჩაუშვი,
იქ აადინონ მტვერია.
ემაგ შაირისა მთქმელი
სუართ ამინა არია. *)
თოფი არა მაქვს ბეჩავსა,
რით შევაშინო მტერია?
შენ ერთი თოფი მიბოძე,
ლეკის მაყარი მწრელდა,
მაშინ წავიდე ლეკებში,
იქ ვასახელო თემისა
ფარნაოზ ბატონიშვილსა
მივართვა ლეკის თავია.

---

*) ეს ამბავი გალექსილია ამინა სუარასშვილისაგან, ამინა—გოგინაურელი მთიული იყო. მონაწილეობას იღებდა მთიულების აჯანყებაში. ამინას ეს ლექსი თვით ბატონიშვილისათვის უთქვამს და ბატონიშვილს სამი ოქრო უჩუქებია ამისთვის. ამინა სუარისშვილის თქმით, მთიულთ აჯანყების დროს არაფერი სანოვაგე არ იშოვებოდა თურმე და მას ერთ ცხენის თავში მანეთი მიუცია და იმითი დანაყრებულა. ზემოხსენებული ლექსი ამინასგან შეუსწავლია ყიყიაშვილს, რომელიც დღესაც ცოცხალია.

# დამარცხებული სიძნელე

## კატულ მენდესისა

(ფრანგულიდ)

I

ყველამ იცოდა, ამ დარბაზში, ამ ერთად-ერთს დარბაზში, რომელსაც კედლები ისევა შერჩა და ძველის-ძველის კოშკის ჭერი ჯერ არ ჩამოჰნგრეოდა, დიდი სიმდიდრეა დამალულიო; ყველა იმას გაიძახოდა, ძვირფასი ქვები და თვალ-მარგალიტები უეჭველად ან რომელსამე ქვას ქვეშ ან კიდევ თაღს უკან უნდა იყოს დატანებულიო. ვინც ამ განძს დაეპატრონება, ყველა მეფეებსა და მთავრებზე შეძლებული გახდებაო, იმისავით დიდებული და ბედნიერი დედამიწის ზურგზე არავინ იქმნებაო, რადგან ყველა ქვას თილისმის ძალა აქვსო. თქვენც დამეთანხმებით, რომ ამ განძის შეძენისათვის არა ერთსა და ორს უკრთებოდა ძილი.

მახლობელ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებთ თავისი საქმე და სამუშაო დავიწყებული ჰქონდათ. ვიღას აგონდებოდა დუქნებისათვის ყური ეგდოთ ან ყანები შეემუშავებინათ! მათი ერთად-ერთი ფიქრი და ზრუნვა ის იყო, დარბაზში დამალულს განძს დაჰპატრონებოდნენ როგორმე. ხალხი დედამიწის ყველა კუთხიდან აწყდებოდა კოშკის ნანგრევსა. ზოგი ფეხით მიდიოდა, ზოგი ეტლით და ზოგიც ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარ ცხენით; მოდიოდა ღარიბი და მდიდარი, გლეხი, თუ აზნაური, მათხოვარა და მდიდარი თავადის ქალები. ყველას იმედი ჰქონდა, ამ ძვირფას ქონებას ეგების როგორმე დაეპატრონოვო.

მაგრამ აქამდე ვერავის აუსრულდა გულის წადილი. რატომ? მე თქვენ მოგახსენებთ-და, დარბაზს მაგრად ჩაკეტილი და მკვიდრი

კარები ჰქონდა, რომ შიგ შესვლა ვისმე გასჭირვებოდა? თქვენც არ მომიკვდეთ! კარის ხსენებაც კი არ იყო; შესასვლელი მეფის პარ-მაღის ოდენა იყო. იქნება, შესავალთან ცეცხლის მფრქვეველი გვე-ლები და ვეშაპები სდარაჯობდნენ ხაზინასა?—არც ეგა. არც სუ-ლიერი და არც უსულო-რამ კაცს წინ არ ეღობებოდა,—ვისაც უნდოდა, ყველას შეეძლო შესულიყო. მაშ რადა უშლიდა და სიმ-დიდრეს რატომ ვერავინ დაეპატრონა? რა და ისა, რომ წელიწადი თორმეტი თვე, დღე, ღამე, ყოველ წამს, დარბაზში გამუდმებულად ისეთი სქელი და უკუმი სიბნელე იდგა, რომ შიგმდგომი თვალ-თან თითს ვერ მიიტანდა.

კაცი ვერ წარმოიდგენდა ისეთს უკუმეთს, როგორიც იქ იდგა. ყველაზე უარესი წყვდიადი მასთან შედარებით განთიადად მოსჩანდა. დარბაზის განიერს შესავალში მზე ამაოდ შეგზავნიდა ხოლმე თა-ვისს მანათობელს სხივებს,—უკუმეთი მაინც უკუმეთად რჩებოდა, იოტის ოდენად არ განათლდებოდა, ასე ბრძანებდით, შავის ალმა-სის კარი აქვსო, კარი უჩინარი, მაგრამ სინათლის არშემშვებიო. ვინც კი გაჰბედა ფოფხვით ამ ბნელს ადგილში შესვლა, ამბობდა, თვალის კაკალზე რაღაც შავის ფისის მსგავსი გადამეფარაო, მაგ-რამ, ვინ იცის, რამდენი არ გამობრუნებულა უკან, რამდენი შიმში-ლით დაიღუპა, სანამ გამოსასვლელს ადგილს მოაღწევდა!...

მეტად გასჭირდა საქმე. სუმრობა ხომ არ იყო ასეთს სიბნე-ლეში დამალულის ხაზინის აღმოჩენა! რა არა სცადეს, რომ დარ-ბაზი გაენათებინათ! ქალაქელებს ლამფები და ლითლითები მოჰ-ქონდათ,—ეგების ამით რასმე გავხდეთო. სოფლელები კიდევ მალ-ზე მშრალ, ჩქარა მოსაკიდებელ ჩალით აღჭურვილნი მოდიოდნენ,—იქნება, ჩვენ მოგვხედოს ღმერთმაო! მეშეშენი ამბობდნენ, ფიჭვის კვარით გავიტანთ ლელოსაო. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ახლოს მიიტანდნენ თუ არა, თითქო ქარიშხალმა დაჰბერაო, ყველაფერი ჰქრე-ბოდა, თუმცა ქარის ხსენებაც არ იყო. ზარბაზნები დასცალეს, ნაღ-მები და სხვა ჩქარა-ასაფეთქებელი წამლები სცადეს,—აფეთქებით ყვე-ლა აფეთქდა, მაგრამ სინათლეს ერთს ბეწოსაც არ იძლეოდა.

მეფეებსა და თავადებს ბნელში დამალულ სიმდიდრის შეძენის საღერღელი აეშალათ. აიღეს, დაიღეს, ბოლოს სწავლულები მოიწვიეს და უთხრეს: «ამ სიმდიდრის ერთი ნაწილი თქვენი იქნება, თუ ამ

დარბაზში სინათლეს გააჩენთო. მსწავლულები ძალიან შეეცადნენ, გამოიგონეს რაღაც ზეთი, შეუქრთეს გაზს, რომლითაც ზღვის ფსკერის განათებაც კი შეიძლებოდა; ბერძნულის (ცეცხლის*) საიდუმლოებაც გამოაშკარავეს; გააკეთეს მანქანა და მის მილში აუარცხელი მინები მოათავსეს: ამათის შემწეობით მთელის სამხრეთის სინათლე ერთს რასმე წერტილს აშუქებდა. მაგრამ ვერც ამით გასდნენ რასმე: ერთი ბეწო სინათლე რა არის, ამ უძლეველის სიბნელეში ვერაფერმა ჩამოაგდო.

## II

ამ ხანებში ორი პატარა ღარიბი ქალ-ვაჟი სცხოვრობდა. ვაჟი 16 წლისა იყო, ქალი—15-სა. ორივე ძონძებში იყვნენ გახვეულნი, ნახევრად შიშველნი და ლამაზნი. ვინმე რომ შეხვდებოდათ, ხელებს გაუწვდენდნენ,—მოწყალება მოიღეთო. თუ მარტო დარჩებოდნენ, ყვავილებსა ჰკრეფდნენ. ასკილის ყვავილის ნახვა, თუნდა დამჭკნარის, უფრო გაახარებდათ, ვიდრე ახალის ფულის შოვნა. ყველა მერცხლებისათვის, საცურავის ნაპირას ბუდეს რომ იკეთებენ ხოლმე, რომ გკითხნათ, სად იყო ამ ბავშვების სახლი, პასუხს ვერ მოგცემდნენ. ამას კი გეტყოდნენ: არც შესულები სადმე გვინახავს და არც ის, რომ საიდანმე გამოსულიყვნენ, როცა ჩვენს ბუდეში თავ-გადაშვერილები ვჭიკჭიკებდითო. ამ მაწანწალებს არც სახლი გააჩნდათ, არც დედ-მამა იყო მათს სინაბარას. მაგრამ ეს კი კარგად გვახსოვსო,—ამბობდნენ მერცხლები,—ხშირად გვინახავს, სადმე თივაში ან ჩალაში იძინებდნენ, დილით-საღამომდე ჭალაში დაიარებოდნენ, ნაკადულების პირას ისხდნენო. ერთის სიტყვით, ყველგან გვინახავს, სადაც კი ამწვანებული ტყე-ველია, სადაც ცვარი ციური ათასფერადა ბრჭყვიალებს, სადაც ჭრიჭინა თავის ჭრიჭინით არ ისვენებს, სადაც იადონი თავის გალობით ადამიანის სმენას ატკბობსო.

ეს ორი მაწანწალა ამნაირის ცხოვრებითა სტკბებოდნენ. მზის სხივებით მოსილი მარტოობა და წოწიალი სიამოვნებად მიაჩნდათ: რაც უფრო მარტო ვართ სასურველ არსებასთან, უფრო ერთადა

*) ბერძნებმა საშუალო საუკუნოებში გამოიგონეს ეგრედ წოდებული „ბერძნული ცეცხლი“,—იმის შემწეობით წყლის ფსკერის განათება შეიძლებოდა. მთარ.

გეგონია თავი. დარდი არაფრისა ჰქონდათ, მხოლოდ პურის ჭამა თუ მოაგონდებოდათ. იმისთვისაც ბევრს თავს არ იცხელებდნენ. შეჭიდოდნენ სოფელში, ითხოვდნენ ერის ნატეხს პურს და მარაგზის მოშორებით მწვანეზე მოიკალათებდნენ. ერთი ნატეხი პური ორივესე ერთად ედოთ პირში და მანამდის ღეჭავდნენ, სანამ მათი კბილები ერთად არ შეიყრებოდა; ის საჭმელი, რომელსაც ადამიანი კოცნით იმტკბარუნებს, მეფის სადილსაცა სჯობია! როცა პურის სასყიდელი ფული შემოაკლდებოდათ, მარწყვსაც მადიანად შეექცეოდნენ; არც მაშვებს ინდობდნენ და ტყის მწოროს ართმევდნენ. არც იმისთვის იცხელებდნენ თავს,—ჭირქვეშ მაინც დავიძინოთო; რომელი სასახლე შეედრება დახავერდებულს ტყეს, რომელი ბუმბულის ლოგინში წოლას სჯობია მწვანეზე განსვენებას, სადაც ვარსკვლავნი ოქროს ფერად თავს დაგცქერიან?!.

მართალია, სულ მუდამ გაზაფხული ან ზაფხული არ არის, შემოდგომის პირქუში დღეც დადგება ხოლმე, ამას კიდევ ზამთრის ყინვებიც მოჰყვება; მეტადრე ქრისტეშობისთვეა ხოლმე ბნელი და აუტანელი; თოვლის სუდარის ქვეშ ძნელია, უეჭველად სურდო შეხვდება ადამიანს. შიმშილსაც ყოველთვის მარწყვითა და მწოროთი ვერ მოიკლავდნენ; მეტად გასაჭირია დაძინება, როცა შიმშილით კუჭი უხმება კაცსა, გამხმარს მიწაზე, ფოთლებ-ჩამოცვივნულ ხის ტოტების ქვეშ. მაგრამ ორ საყვარელისათვის ეს უხერხულობა განა ანგარიშში ჩასაგდებია, ხსენებადა ღირს? განა შესაძლებელია, კაცმა სთქვას—მცივაო, როცა სიყვარულის ალით გული სავსე აქვს; შესაძლებელია, კაცმა ინატროს, ნეტავ ერთი კბილი რამედმე დამაჭერევინაო, როცა ტუჩებზე დაწებებული აქვს სანეტარო ტუჩები საყვარელის არსებისა?..

შუადღეა. პაპანაქებაა. შეყვარებულნი გზად მიდიან. საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა და კოკისპირული წვიმაც დაუშვა. ხის ქვეშ ამოფარებაზედ ფიქრიც არა ღირდა, იმიტომ რომ წვიმა ფოთლებში ჩქარა გაატანდა. რაც მოგვივა, მოგვივა, დეე, დავსველდეთო. ჩიტებსავით, რომლებიც ბუმბულს იცვლიან, იმათაც თავისი ძონძები უნდა გადაეყარათ,—ამ დროს, იქვე, ახლოს ორს ჩამონგრეულს კედლებსა და ქვების ყორესთან განიერი შესასვლელი დაინახეს. ორმავე დარბაზში ამოჰყვეს თავი, უკუნ სიბნელეში. პირველად ძალიან გაუკვირდათ, ე რა სიბნელეში მოვექეცითო. გაუკვირდათ იმიტომ, რომ მხოლოდ ამათ არ იცოდნენ აქ დამალულის სიმდიდრის ამბავი, რადგან ყვავილების კრეფვას უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე გამვლელ-გამომვლელთან ლაპარაკს. მაგრამ არცერთს არ შეჰშინებია.

ან რისა უნდა შეჰშინებოდათ, ორნივე იქ იყვნენ, ხელი-ხელს ჩაკიდებულნი! იქავე, ერთმანეთის პირდაპირ, ფილაქანზე ჩამოსხდნენ. ბედნიერებით სავსენი, გრძნობით, თავდავიწყებით ერთმანერთს გულში წაეკვრნენ. «მიყვარხარ»!—უთხრა ქალმა. «მეც მიყვარხარ»!—უპასუხა ვაჟმა. მაშინ, იმიტომ რომ ეს სიტყვა ორსავე უფრო მოსწონდათ, ეს წმინდა სიტყვა, ეს მიწისა და ცის სიტყვა, ეს ღვთაებრივი სიტყვა,—მთელი ეს ვეება დარბაზი მკათათვის მზით გაკაშკაშებულს ყანას დაემსგავსა.

III

ქალვაჟის ხმაზე აყვარებელი ხალხი მოაწყდა დარბაზსა. ისეთი დღე არ გამოერევოდა, რომ გარშემო აყვარებელი ხალხი არა მდგარიყო, რა არის, იქნება ბრმა იღბალმა მოგვხედოს და სიმდიდრეს დაგვეპატრონოთო. ადვილი წარმოსადგენია, რა ყრიამული ასტეხა ამ თვალხარბმა ხალხის გროვამ, როცა ერთს კედელზე გამოხვრეტილში დიდრონი ნაჭრები დაინახა თვალ-მარგალიტისა, ბრჭყვიალა, თვალის მომჭრელი. ამოდენა ხალხმა გაბრიალებულის თვალებით, კბილთა ღრჭენით იშუვლა და ამ ადგილს მიაწყდა! კედელში შენახული სიმდიდრე და განძი ყველასა ხვდა; ამ ქვეყნის ხალხი ყველა მდიდარ მეფეთა და მოგვებზე მდიდარი და ბედნიერი გახდა.

მხოლოდ პატარა ლატაკნი, ის ლატაკნი, რომელთაც სიტყვა «მიყვარხარ» წარმოსთქვეს და ამ სიტყვებით განაბნიეს უძლეველი სიბნელე, არა თხოულობდნენ სიმდიდრეში წილის დადებას. სხვა სიმდიდრე ჰქონდათ მათ, უფრო ტკბილი, და ამ სიმდიდრით უფრო კმაყოფილნი იყვნენ.

ქუხილი შესწყდა და შეყვარებულთაც თავისი გზა განაგრძეს. ერთმა კაცმა გაიარა; ქალ-ვაჟმა ორი გროში სთხოვეს. «არა მაქვს»,—უპასუხა მგზავრმა. «არა გაქვს და, ღმერთმა მოგცეს»,—მიაძახეს საყვარლებმა. ორსავე ძლიერ მოეწონათ დასველებულს ტყეში სიარული და მზის გამოსვლა. სიხარულით შესცქეროდნენ, როგორ მარგალიტივით ყვანავდა წვიმის წვეთები ფოთლებიდან და როგორ ეცემოდა მდელოზე ჩამოსკუპებულს ალმასებს...

## „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები

### XLIV *)

ბეჭრის მზნის შემდეგ ჭკუანაღრეკილ ტარიელს ასმათ მოუძებნის სწავლულისაგან, მისგან დასოცილის ლომის და ვეფხის შუა მდგომის. გმირი რომ ცნობა-მიხდილის მეგობარის გრძნობს მოიყვანს, აუხსნება (გვ. 194):

868 ...„რა შეგვხვდა, შენ წაქმესა რად იქმ ავსა!
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი ხვრა სწვავსა,
ვის უქმნია შენი მსგავსი, სხვათა კაცთა ნათესავსა!
რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ხმლით თავსა?

869. თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ჟამსა მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად სტირსა,
პირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითკირსა,—
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

870. ბრძენი ხარ და გამორჩევა არა, იცი ბრძენთა თქმულებ,
[illegible] სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა შეიძულებ;
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?

871. ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან,
ვის არ უნახავს პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ჰქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან,—
არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?

872. ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად,
მიკვირს რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ძვირად?"
მან სთქვა: „ტკბილსა მწარითა ჰპოვებ, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად;
ერთ ტურფა გაიფლევ, ალაღ ლირს [illegible] ჩირად"... [illegible]

*) იხ. „მოამბე", X, 189[illegible] წ.

ავთანდილის გონიერი დარიგება, ამ ეპიზოდში მოყვანილი, თანდათან ვრცელდება, რათა ბოლოს დაესკვნას თხოვნა: «ასმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა» (ს. 874). ავთანდილ თავისს მეგობარს ამხნევებს, უნდა დაიყოლიოს და წაიყვანოს, იმ იმედით რომ გარეგანის მდგომარეობის ცვლილება ტარიელს სევდას გაუქარვებს და მისს სასიკვდილო idée fixe-ს მოაშორებს. თუ გმირის სიტყვას გავყვეთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ მისი მსჯელობა ლოღიკურად და დაუბრკოლებლივ სწარმოებს, სანამ მე-871 ხანას შემთხვევა, აქ კი აზრი ერთბაშად ბოდვასავით ირევა, მერმე ამ ხანას რომ გასცილდება, კვლავ წესიერად მიმდინარეობს. — ეს პირველი ნიშანია ხანის სიყალბისა, და ჩვენც ახლოს დავამტკიცებთ.

მე-871 ხანის პირველი ლექსი — «ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან» — თითქმის სიტყვით სიტყვამდე იმეორებს მე-868 ლექსს: «ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავს.» ასეთს თხზვას მიბაძვაც ვერ დაერქმის, ეს მხოლოდ სხვის ლექსის გადმოწერაა, დამახინჯებით და შერყვნით. მაგრამ პოეტისაგან მოპარულს ლექსს ყალბის-მქნელი კიდევ ორჯერ იმეორებს: «ვის არ უნახავს პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან». ამ ორს ფრაზაში იგივე აზრია, რაც ხსენებულს რუსთაველის ლექსში, რადგან «პატიჟის ნახვა» და «ვისთვისმე ბნედაც» იმასვე ნიშნავს, რაც «სახმილის წვა», ესე იგი მიჯნურობისაგან ტანჯვასა. აქ მხოლოდ მეტაფორის გამრავლებაა, თუმცა ამით სურათს მაინც არას ემატება-რა, იმიტომ რომ პირველი მეტაფორა (სახმილის წვა) უფრო ძლიერია და მხატვრობითი, ვინემც შემდეგნი (პატიჟის ნახვა და ბნედა).

მესამე ლექსში — «მითხარ, უსახო რა ჰქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან» — უგუნურობაა, რადგან ამ ორს ფრაზას, ერთად შეტყუპულს, მიზეზობითი კავშირი არა აქვსთ. ყალბის-მქნელის მსჯელობას რომ ავყვეთ, კაცის სიცოცხლე ქვეყნის «უსახობაზეა» დამოკიდებული: ქვეყანაზე რომ «უსახო», ე. ი. უმსგავსიობა არა იყოსრა, კაცმაც თავი არ უნდა მოიკლას, და თუ მოხდა რამ უსახო, მაშინ კი სული უნდა ამოხდეს. ცხადია, რომ აქ შედეგი მიზეზს არ შეესაბამება. ლექსის უგუნურობის მიზეზს ადვილად მივხვდებით,

თუ რამდენსამე ლექსს წავიკითხავთ: მე-873 ხანაში ავთანდილ ტარიელს ეუბნება: «რად ემდურვი საწუთროსა, რა ჰქნას უარაო!» რა თქმა უნდა, რომ ყალბის-მქნელმა თავისი ლექსი ამ ყალიბზე ჩამოასხა, მხოლოდ, ჩვეულებისამებრ, შემოსახვაში გადააჭარბა,—«რად ემდურვი საწუთროსა» მაგიერ «სულნი არ ამოგხდებიან» დასვა,—რასაკვირველია, იმ იმედით, ვითომც ესრედ ძალიერებული გამოსახვა მსმენელთა გულის უფრო გასაგმირალი იქნებაო.

უკანასკნელს ლექსში ყალბის-მქნელმა გასაოცარი და მეტისმეტი გონების გამჭვრეტელობა გამოიჩინა: მე-872 ხანის აზრს მიხვდა და აფორიზმად გადასთქვა,—«არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?.....» დასტურ, ამისთანა მოსწრებული ლექსი ვერ არც ერთს «ვეფხის-ტყაოსნის» შემრყვნელს არ წამოსცდომია. მაგრამ მელექსე პოეზიის სიტყვაზე უგრძნობელი და მოთხრობის ეფექტის უცოდინარი უნდა იყოს, რომ ამისთანა აფორიზმით დაასწროს იმ მშვენიერს ვარდის არაკს, რუსთაველმა რომ მე-872 ხანაში მოიყვანა. როდესაც ავთანდილი ამბობს: «ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად და სხვ., ეს მოულოდნელი კითხვა, რასაკვირველია, მსმენელის გულის-ყურს იზიდავს და, სანამ ვარდის პასუხს არ შევიტყობთ, არაკის აზრსაც ვერ მივხვდებით. ხოლო როდესაც არაკს ყალბის-მქნელის ლექსი მოუძღვის, მაშინ ვარდის პასუხი წინათვე ცნობილია და ამის გამო არაკსაც ინტერესი ეკარგება. აფორიზმი მაგალითს კი არ უნდა მიუძღოდეს,—უნდა მოსდევდეს. პოეტიც სწორედ ესრე მოიქცა, როდესაც ავთანდილისაგან მოყვანილს არაკს დასძინა აფორიზმი: «ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად.» თქმა არ უნდა, რომ ყალბის-მქნელის აფორიზმი, რუსთაველისასთან შედარებით უფერულია და მდაბიო, მაგრამ უარესი მოუხერხებლობა ის არის, რომ უდროოდ არის წარმოთქმული.

ერთის სიტყვით, მე-871 ხანას არც ერთი სიყალბის ჩვეულებრივი ნიშანი არ აკლია: ტყუილი გამეორება ნათქვამისა, გადაჭარბება აზრის გამოსახვაში, პლეონაზმი და მოთხრობის მოუხერხებლობა—ყველა აქ მოთავსებულა. ხანს არც ერთს ახალს აზრს

ან სურათს არ წარმოგვიდგენს, რომ მოთხრობისათვის საჭირო იყოს და ამიტომ ტექსტისთვის სრულებით [illegible].

## XLV

### ავთანდილის ხვეწნაზე ტარიელ უპასუხებს (ვეფხ. გვ. 195—196):

875. . . . ა ჩ. „ძმაო, რა გითხრა, მკვდარსა ვერ მოესმის ენისა,
ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა,
რად ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?
აწ მივწურილვარ სიკვდილსა, დრო მომეწყვლა ლხენისა.

876. ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ არ ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნ ამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანეთი კვლავ ვნახნეთ, კვლავ რამე გავიხარენით;
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი ნუ მაყარენით.

877. საყვარელმან საყვარელი ვით არ ჰნახოს, ვით გასწიროს?
მისკენ მივალ მხიარული, მერმე იგი ჩემ-კერძ იროს;
მივეგებო, მომეგებოს, ამიტირდეს, ამტიროს,—
ჰკითხე ასთქ, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს;

878. მართ გარდაწყვეტით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა:
სიკვდილი მაზრავს, დამეხსენ, ზანსა-ღა დავყოფ მცირასა;
არ ცოცხალ-ვიყო რას მაქნევ, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა!
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეჰრთვიხნ სულთა სირასა.

879. რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მისა
სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წყმისად; [გისად;
აწ გამიარმდა სოფელი მეტად ყოვლისა ჟამისად,
მუნ მეცა მივალ ცრემლისა მიწად, სად ბნელის ღამისად.

880. ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენის ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!
ეგ საუბარი მაშინ ჰხამს, თუმცა ვეაყ ცნობასა;
ვარდი ვერ არის უმზეოდ, იყოს, დაიწყებს ჭკნობასა;
მაწყენ, დამეხსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა.“

ტარიელის პასუხის დასაბამი და კილოს-მიმცემი მე-875 ხანის ლექსია: „აწ მივწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომესწრა ლხენისა,“ ამ ლექსში სავსებით გამოიხატება მისი აწინდელი მდგო-

მარჯობა ეშვენება, რომ სწორედ შეკავშირებთ მისი აზრები, მისი ყოფაში უნდა ჩავდგეთ და წარმოვიდგინოთ, რა გუნებაზე უნდა ყოფილიყო კაცი, ვისაც,—პოეტის თქმისამებრ, „სულის-მყოფსა საყვარელისადმი,—სოფლით გადმოცვალება და „სხვით ყოფით“ „ლხინის ცხოვრება“ მიაჩნდა. ტარიელისთვის თავ-განწირული და სულ-წარწყმედილი მიჯნური სულ სხვა გვარად სჯის, სიცოცხლისა და მშვენიერების საქმე მას სულ სხვაგვარად წარმოუდგება, ვინემც ჩვეულებრივს ყოფაში; ამ ქვეყნის მოწყვეტილს, გუნება სხვანაირი აქვს და მისი ფიქრის წარმოება აწმყოის ვითარებისაგან განსხვავებულია. ამიტომ ტარიელის ანდერძის დასაფასებლად საქმეში უნდა გვქონდეს შესანიშნებელი მისი მდგომარეობა და რიგის მიხედვით უნდა გავსინჯავდეთ ყოველი მისი სიტყვა. ოღონდაც, სიტყვის მკითხველი, ჩვეულებისა და ბუნებისამებრ, კაცის სიტყვა მისი გუნებაზე ჰკიდია და გუნება კაცის მდგომარეობას შეეფერება. ეს მხოლოდ ამ მიზეზით მოგახსენებთ მკითხველისათვის, რათა ეს უბრალო შემორჩეულების მოკლებული გამოკვლევის ყალბობისა და ნამდვილის სარჩევის გამორჩევა.

მართალია და, როგორც ... რომელი ხანაა რუსთაველის დაწერილი: მე-876 თუ მე-877, რადგან ორივეში სწორეს საგანი ერთია, ორივე მიჯნურთა საქციელზე მსჯელობას გვეუბნებიან, და მაშასადამე ერთი მათგანი მეტი უნდა იყოს. თუ შემოყვანილს ჩემს აზრს დავადგებით, გიჩვენებ, როგორ გამოცნობა ყალბი ხანები.

მე-876 ხანაში ტარიელი ამბობს: „ამას მოკვდავსა ... , რადგან ... ვერ ... აქ გამოიღო მიჯნური მიენდოს შეგიყვარებით, ამ სიტყვებს უწინ მე-877 ხანის ორივ ლექსი: „სიყვარულმან საქციელი ... ... , ... გამწირავ! მისკენ ... მხიარული, ... რომ იგი ... ... . ... ლექსებში ტარიელ გამოთხოვის მოსწავლავად, რომელიც ღმერთის სთხოვს და ნატრულობს თავისს სატრფოს ... შეერთებას ამ ლექსების აზრით, ტარიელს ... და სატრფოც შეყრაც მის ... არის ... და ერთი მეორეს ... ... , ამიტომაც ღმერთი ... სატრფოს შეერთებას. მე-877 ხანაში გამოყვანილს ტარიელს სატრფოს ... ... , რადგან

მის სანაცვლოდ ერთი-და სიკვდილის გზა დარჩა, დაუყოვნებლივ მას გაუდგა. — აქ ტარიელმა თავის ნება-მყოფლობით და ცნობიერად ირჩია სიკვდილი და, გულ-დაჯერებული რომ სატრფოს შეეყრება, მისკენ მხიარული მიდის. მისი შეყრა მხოლოდ საწადელი როდია ტარიელისთვის, — აუცილებლად მოხდება, რადგან სატრფო რომ მოკვდება, იგიც მისკენ მოვა. პირველს შემთხვევაში ტარიელ თუმცა მომაკვდავია, მაგრამ აქაურობას არ გასცილებია, მხოლოდ მუნებურს ნეტარებას ნატრულობს; მეორეს შემთხვევაში კი მიჯნურმა უკვე «სოფლით გაღმა გაბიჯა», «ლხინის დროს» მიუახლოვდა და მისკენ მომავალი სატრფო თვალში ელანდება. ეს სრული ილუზია, თითქმის განსხორციელებული ოცნებაა სულით-მებრძოლისა, რომელიც თვალ-გაშტერებული საიქიო ნეტარებას უღიმის.

მომავალი ნეტარება ტარიელს ესრე წარმოუდგება: მე 876 ხანაში — «მუნ ერთმანერთსა კვლავ ვნახნეთ, კვლავ რამე გვაქვს სარე-ნდონი»; მე-877 ხანაში კი — «მიგეგები, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს». პირველს ლექსში ტარიელს ვერ გამოურკვევია რა უნდა იყოს სატრფოს შეყრის ნეტარება საიქიოს; იმის ნახვას კი ნატრულობს, ხოლო რაოდენი სიხარული მოსდევს ამ ნახვას, — ვერ განუსაზღვრავს; ესეც იმიტომ რომ გონებით აქ სოფელს ჯერ არ მოშორებია და საიქიოსთვის თვალი ვერ მიუწვდენია. მეორე ლექსში კი საყვარლის შეყრა ტარიელს ისე ცხადივ თვალ-წინ უდგას, თითქო საქმეს მოხდებოდეს, აი ესლავე დიდი ხნის უნახავნი მიჯნურნი ერთმანეთს მიეგებიან სიხარულის ცრემლით.

მე-876 და 877 ხანებს შუა განსხვავება თვალსაჩინოდ სჩანს უკანასკნელის ლექსში. პირველი ხანის დასასრული — «მო, მოყვარენო, დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!» — ცხადად გვიმტკიცებს, რომ ტარიელის გონება და გული აქაურს ცხოვრებას არ გასცილებია, სოფლით გაღმა ჯერ არ გაუბიჯებია: სატრფოსა და მისს შორის ზღვარი დევს, რომლის გარდასვლა მისს ნებაზე არა ჰკიდია, და ამიტომ ითხოვს სიკვდილსა, რომელმაც საყვარლისკენ გზა უნდა გაუხსნას. სულ სხვაფრივ წარმოგვიდგენს ტარიელის მდგომარეობას მე-877 ხანის უკანასკნელი ლექსი — «ვკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რაც გინდა, ვინ გაზიარებს». აქ მიჯნური თავისს გულის

ჭდომას მისდევს; არამც თუ დამარცხებს არ ელის,—პირიქით, მისი ილუზია იმდენად სრულია, რომ თავისი თავი «სოფლის გაღმა» ჰგონია; დაუბრკოლებლივ მიდის სატრფოსაკენ და თავისს გზას არ ასცდება, «რა გინდა ვინ უკაზმიროს», რა ჰგავს კაცს ამ ყოფაში, მოკლეენ მისნი მოყვარენი და მიაყრიან მისს გვამს მიწასა, თუ არა?

ამ შედარებიდან, ვგონებ, საკმაოდ სჩანს, რომ ნამდვილი, რუსთაველის თქმული სახე მე-877 არის, რადგან ეს უფრო შეესაბამება ტარიელის მდგომარეობასა და გუნებას, აქ ნამდვილ ასახვის მიჯნურის მწვავე წყურვილი სატრფოს ნახვისა, მისი გონების შეპყრობა გულის-თქმისაგან, რომელმაც ქვეყნიერების ვითარება სრულებით დაავიწყა. რუსთაველმა ამ სახეში უზენაესი მხატვრობითი ნიჭი გამოიჩინა,—სულთ-მებრძოლის ოცნება გამოგვისახა. მე-876 სახეში კი მხოლოდ უნაყოფო ნატვრასა ვხედავთ.

მე-876 სახის აზრის მკვდრობას დაერთვის სტილის უგვარობაც, საცდაური ქართულია: «აროდეს ვიოსოდ არ ვნით»? ან რისთვისა არის დამტკბული? უკუთქმითი მარცვლებიც რომ მოვაშოროთ და ფრაზა წართქმით გამოვიყვანოთ, მაინც მეტი გამოვა, რადგან მხოლოდ იმისი გამეორება იქნება, რაც იმავე ლექსში ითქვა: «ამას მოკვდავი ვიგლოცავ». საიქიო ნეტარებას, სატრფოსთან სამუდამოდ შეერთებას ყალბის-მქნელი ამ ლექსით ჰსახავს: «ვეღარ რამე გავისარჯნიდეთ»! თითქო ერთი წამის ნახვა ეყოსო. «მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!»—თითქო ტარიელ ავთანდილს კი არ ელაპარაკება,—დამკვდარა თავისთვის და შიქასტასა მღერის!... ჯერ ერთი, რომ მიწის მოყრა იგივე დამარხვაა, და მაშასადამე ორი ვესი თქმა უშნო პლეონაზმია; მერმე, რომელს «მოყვარეთა» იხმობს ტარიელ მისს დასამარხავად,—ავთანდილსა და ასმათს? სხვა ვინ ეგულება იმ უდაბნოში?

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მე-877 სახეს ცხადი და უსაშუალო კავშირი აქვს მე-875 სახის უგანასკნელს სიტყვასთან—«დრო მომეასლა ლხენისა»,—რომელსაც ბუნებითად უნდა მოსდევდეს აღწერა ლხენისა, ე. ი. მომავალი სიხარული სატრფოს ნახვისა, და არა ტარიელის ლოცვა და ნატვრა საიქიო ნეტარებისა. შინაარსის გარდა მე-877 სახის კილო, უცხო და მწვავე სიხარული-

სა, უფრო შეჰფერის ამ «ლექსის სიახლოვეს», ვინემც გლოვისა და მოთქმის კილო მე-876 ხანისა.

*

იგივე ნიშნები სიტყვაობისა, მე-876 ხანაში რომ ვნახეთ, მე 878 და 879 ხანებშიაც არის. მოთქმის ყველა რიგა ლექსიკა ამ ხანების რუსთაველის ნათქვამის გამეორება არის, მხოლოდ პოეტის აზრის შერყევით და განსხვავებით.

მე-878 ხანაში ტარიელ ავთანდილს ვითომც არწმუნებს: «მართ გარდაწყვეტით იცოდი, გეტყვი მართალსა პირსა: სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსა-ღა დავყოფ მცირესა».—საცილო არ არის რომ ავთანდილ თავის მეგობარს სულ იმას ეხვეწება, ნუ ჰკვდებიო, ეს კი არწმუნებს: ხუმრობა ნუ გგონია, მართლა ვკვდებიო?!... ავთანდილს რომ ეთქვა: სიკვდილი ჯერ არა გხლებიაო, ჯერ ჩქარა არ მოკვდებიო,—მაშინ ზემოყვანილი ორი ლექსი მართებული პასუხი იქნებოდა, თვარა ესლა რა ავთანდილის სიტყვის პასუხია? განა ავთანდილ ეცილება, სიკვდილი არ გახლავსო? მაგრამ ყველაზე უარესი აქ ლექსის კილოა. ტარიელ, თითქო, ავთანდილს ევაჭრება: რაც აქამდის გითხარ, სულ ავრად ნაგდებო; ესლა კი მართალს პირობას გეუბნებიო,—«მაინც ხომ მალე მოვკვდები და ამ ცოტა ხანს თავს ნუ მომაბეზრებო». ასეთი მიმართულება ვაჟბის-მქნელის აზრისა მესამე ლექსში უფრო მტკიცდება: «არ ცოცხალ ვიყო რას მაქნევ, რა დაგრჩე, ხელის მხდი რასა»! ეს იგი ცოცხალი კარ თუ მკვდარი, რაში უნდა გამოვადგეო?!... ვითომც ტარიელ ასეხის გულგრილობით თავხედის იმორჩება მოყვარესა, მისს მეგობრობასა და ერთგულობას უარჰყოფს! ან რა მდაბიო და უხამსო აზრია დაბეჭდილებული მწიგნობრებისა, მჩხვარ-მეტყველობით ამ სამს ლექსში. დასასრულ, ტარიელის უგემური რომეხას დაქირავის ვითომც ფილოსოფიური შეგონებას: «ამომშლოს ჩემნი აქ შორნი, შეჭირთვიან სულთა [illegible], ეს ამაო სიცოცხლე ძმასა წამწყვს, ვითომც სიკვდილამდის ჩემი [illegible] [illegible] სულთა მწვრივს შეკუმრთდებიო!

ტარიელის მეგობრობას ავთანდილმა, რა [illegible], [illegible] [illegible] და «[illegible]» [illegible] (ხანა 862, გვ. 192), [illegible] [illegible]

არცა რა ჩვეულებად უნდა, რომ მისი მეგობარი ავთანდილს შეიტყოს სიკვდილისადმი, ამას ავთანდილის სვეწნაც გვიმოწმებს და გვირწმუნებს იმასაც ცხადყოფს, რომ ტარიელ სიკვდილის კლდანშუებიდან გამოჰკვლივდოთა. ამიტომ მე-878 სანა, სადაც ტარიელ ავთანდილს არწმუნებს, უკანასკნელს სიტყვას გეუბნები, რომ მკვდები,—სრულებით მეტია და უდროო. ამის წინ ტარიელ რომ ავთანდილს ეუბნებოდა, აწ მიწყურვილ კარ სიკვდილისა (სანა 875), რომლისთვის კი არცა რომ თავისის მეგობრისთვის შეეტყობინებინა, მაგრამ მოუგვეკდებოდა,—მაგრამ ავთანდილიც ცხადად უხდოდა,—არამედ, რათა ეჩვენებინა, რომ სიკვდილი ერთად-ერთი ღონეა არის მისი ჭირისაგან და მხოლოდ ამ გზით მიაღწევს თავის მიზანს, სატრფოსთან შეერთებას. მე-878 სანის თქმით კი, ტარიელ რომ მოკვდება, ღმერთმან მისნი გავშირონ, შეკრთვიან სულთა სირასა... და სხვა არაფერი საქმე ამით გათავდება. ქსრულ, პოეტის გამოსახვით ტარიელის სიკვდილი ღონის-ძიება არის, რომლითაც მიიჩნიერი ჩვენი თავისს დაკარგულს სატრფოს შეუერთდეს; ყალბის-მქნელის თქმით კი ტარიელის სიკვდილი თვით მიზნად გამოდის. რა საჭიროებელია ავთანდილისთვის, რომ სიკვდილის შემდეგ მის მოყვრის გვამს გასინჯვნება,—ამ იცის თუ? ან რა ჩვენს ტარიელს შეერთვისა თუ არა, საიქიოს «სულთა სირასა», თუ თავისს სატრფოს იქ ვერ შეეყრება?

სტილიც მიროსი მე-878 სანა მეტისმეტად დამახინჯებულის სიტყვებით რითმის გულისთვის: «პირასა» —პირის მაგიერ და მცირეს ნაცვლად—«მცირასა», რას ნიშნავს «სულთა სირასა»? მხოლოდ წარმოსადგენია, რომ უნდა ჩვენს ქვას-ყმუველში სულნი სულნი სრულიად მწყრივად დარაზმულნი? ასეთის უცნაურის ვანცვის გარდა ერთი ერთი მიზეზი სხვები ვერ მოვპოვება, იმის გარდა რომ სიტყვა «სირასა» მხოლოდ ლექსის კიდურობისთვის არის ნახმარი.

მე-879 სანის პირველი ლექსი—«რას სიტყვა, რასა ბრუყვა, ან მისმის, არცა მისხლის ისმენდა მეგობრისდა უსაყვარლესით» მე-880 სანის ლექსის ჭკვამდე! «ბრძენნი, ვინ ბრძენნი, რა ბრძენნი, და სხვა, მიანა არსით, ვინ ემასახმეორებს რა ამავე სანის უკანასკნელს ლექსშიაც მიწყეს, [illegible]

თუ მე-875 ხანაში მეორე ლექსში: «ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა», ამ ორი ლექსის შემდეგ ყალბის-მქნელის ლექსი ხომ მეტია და მეტი, მაგრამ ჩაქმა ის არის, რომ მისი მიბაძვა პოეტის აზრს ადუსტირებს და სულელურ ლაყლაყად გამოდის.

რუსთაველის თქმით, ტარიელმა მოყვრის შეწუხებისათვის მეის მისა ხელობისა და მოუთმენლობის გამო: ძალი არა აქვს მის სიტყვათა სმენისა და არცაღა ჰხლავს ფიქრობასა; ასე რომ ტარიელ თუ ეურჩება ავთანდილის დარიგებას, ამ ურჩობის მიზეზს მაინც ეუბნება. ყალბის-მქნელის ლექსში კი ტარიელის გაუგებლობას მიზეზი არა აქვს, ტარიელი ყინიანობსა. მართალია, შეიძლება ამ ლექსის მეორე ლექსი მივაბათ და მიზეზად გავხადოთ, მხოლოდ მაშინ გამოვა, რომ ტარიელის ავთანდილის შეგონებას არ ესმის, იმიტომ რომ «სიკვდილი ახლავს ხელ-ქმნილისა სიცოცხლე არის წამისად». როდესაც ავთანდილ თავისს მეგობარს ეხვეწება, თავს ნუ იკლავ ნებითაო, რა მაგის პასუხი იქნება, ტარიელმა რომ მიუგოს: არ მესმის რასა მეუბნები, რადგან სიკვდილი მახლავსო?.. ავთანდილიც ხომ იმას ეხვეწება სიკვდილს თავს მოაშორეო!

«აწ გამიარმდა სოფელი მეტად უოჯლისა ყამისად, მენ მეცა მივაქ ცრემლისა მიწად, ყვად გამდის ღამისად», იძახის დასასრულ ყალბის-მქნელი. აქ ტარიელის მდგომარეობის იმავე გაუგებლობას ვხედავთ, რაც მე-878 ხანაში ვნახეთ. ავთანდილ რომ ტარიელს სიკვდილს უშლიდა, სხვათა შორის, ეს საბუთიც მოიყვანა: «ვისთვის ჰკვდები, არ მიჰხვდები, თუ სოფლისა შეიძულებო» (ხანა 870), ესე იგი თავის-მკვლელობით შენს საყტროფოს ვერ იპოვიდ; და ტარიელ ამაზე უპასუხებს: «აწ მოწყურვილვარ სიკვდილისა, დრო მომეახლა ლხენისა... მისკენ (საყვარელისკენ) მივალ მხიარული, მჭირდა იგი ჩემ-გვერდით იყოსო!» ამით ტარიელს უნდა ეთქვა,— რომ თუ ვკვდები ჩემს დაკარგულს საყვარელს, მხოლოდ საიქიოს ვპოვებ და ამიტომაც ვებმები მხიარული სიკვდილსაო. ყალბის-მქნელი ვერ მიმხვდარა ამ სიტყვა-პასუხის აზრს, და ხან ისე გაისასმის, თითქო ტარიელ იმიტომ ჰკვდება, რომ — მკვდარია თუ ცოცხალი — ავთანდილს არაფრად

გამოაღვიძება, და სან თითქო სიკვდილი ნესტან-დარეჯანის მიჯნურს იმიტომ ეახლა სანატრელი, რომ სიცოცხლე მოსძულდათ. როგორც ტარიელის სიკვდილის მიზეზი, ისე მისი შედეგი, ყალბის-მქნელისაგან ნასახი, არც ქმრის მდგომარეობას ეთანხმება, არც მოყვარეთა სასურველს; რუსთაველის გამოსახვით, ტარიელის სიკვდილს უსათუოდ უნდა მოსდევდეს მიჯნურთა შეერთება საიქიოს; ყალბის-მქნელის აზრით კი ტარიელ სან იმისთვის ჰკვდება, რომ სულთა სიმრავლე შეუერთდეს, და სან იმისთვის, რომ მიწის ამგვარად გახდეს.

მე-879 ხანის სტილიც მისივე სიყალბის საბუთია. საეჭვო არ არის, რომ ტარიელმა თავისის მეგობარის პასუხი უმეტეს მიუგო და ბოლოს კი ჰკითხავს: «რაჲ სთქვი, რას იტყვი, არ მესმისო?!»... თითქო გამოჩერჩეტებული რაღასაც ბოდავსო, ან თითქო ავთანდილმა წამოროშა რაღაცა და ტარიელ გაშტერებულა: ეს კაცი რაებს მიჭქარავსო!? მეორე ლექსი—«სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილისა, სიცოცხლე არის წამისად»—მე-878 ხანის ლექსის გამეორებაა: «სიკვდილი მახლავს, დამესხენ, ხანსა-ღა დავყოვ მცირასა». მსგავსება ამ ლექსთა შორის ისეთი სრულია, რომ პლეონაზმიც ერთგვარი აქვს: ოღონდაც, კაცს თუ სიკვდილი ახლავს, სიცოცხლე წამისა ექნება და «ხანსა-ღა დაჰყოფს მცირასა!» მაგრამ რა ჭკუის პატრონი უნდა იყოს მელექსე, რომელსაც ასეთი ჭეშმარიტების თქმა საჭიროდ მიაჩნია?... «აწ გამიარმდა სოფელი მეტად უგულისა ყამისად»—რადა «აწ»? რა მოხდა აწ ისეთი, რომ ტარიელმა მეტადრე შეიძულა სოფელი? ამას არსაიდან ვცნობთ.

ლექსი—«მეუღ მეცა მივალ ცრემლისა მიწად, სად ვემდემს ღამისად»—უწინდელს პოემის გამოცემებში იწერებოდა სიტყვით «ღამისად», «ლამისად»-ის მაგიერ. მაგრამ გინდ «ღამისად» იყოს, გინდ «ლამისად», ლექსი მაინც გრამატიკის წესისამებრ არ არის აგებული, და ამის გამო გაუგებარია. თეიმურაზ ბატონიშვილი ამ ლექსს ქვემოდ განმარტებს: «აქ მეც უნდა მივიდე (სადმე?), ჩემი ცრემლი მიდის, გინა ილტვება, მიწას მიაქვს რომ ცრემლსა, ვდევნი მეც მასთან მივდივარ, რომ ამან შემიწყნაროს და მოვკვდეო». გამოდის—ეს ხოს შნავს პირველად იმას, რომ ცრემლი გამომედინება ფრქვლოდ...

მეორეთ, ასეთ ცრემლის — ნიშნავს ჯამეყვლინებს ეს საწყალული ანუ საყვარელი ჩემი მიწასთან, სადაც ჩემი ცრემლები იღვრებიან, მეც მუნ მივალთ და საყვარლის მკერდის მაგიერად ლამეს მევეყრები (რთოდენად მსგავსია ეს აზრი მე-877 სტროფის აზრისა: «მისა ქებნო მესხლე მსაჯულები, მეც მე იგი ჩემ-კერძ სწორას!» და სხვ.), კანადიან სასოს-მოქმედი წლოდენობით, ლამე სიკვდილის ნიშნავს, ხოლო დღე — სიცოცხლეს.» დ. ჩუბინაშვილის აზრით კი ლექსი ვიწრომდე ესრე განიხსნება: «ჩემს უბედურებაში (ლამისად) რომ ცრემლის ღვარი მიწაზედა, მეც იმ მიწის ამარად გავხდები.» ასე რომ ერთის აზრით, ტარიელისთვის ლამეს საქმეა, მეორეს აზრით კი, საიქიო. მაგრამ კომენტატორებმა რაც უნდა სიბრძნე შეალიონ ლექსის ახსნას, «ცრემლთა გამდისა»-ს მაინც ვერ გაასამართლებენ.

## XLVI

ავთანდილმა ტარიელ ხვეწნით რომ ვერ შეიყოლია და ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა ვერაფერითა» (გვ. 196—197),

882. მერმე უთხრა: „აჰა, რადგან არ მომისმენ არას არსა,
არას გაწყენ, ენა ჩემი აქამდისცა ცუდად მღდარა;
თუ სიკვდილი გიჯობს, მომკვდე, ვარდნი დაჭკნეს, დაცამცვნარა;
ერთსა რასმე გიაჯები, მიყავ, ცრემლნი ამად მღვარა:

883. სადა ინდონი ბროლ-ვარდსა ჰხარვენ გიშრისა სარითა,
მას მოვეშორე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითა,
ვერ დამიჭირა მეფემან მშობლიურად საუბარითა;
შენ არ შემიყრდი, შამიყრი, აწ ჩემი ლხინნი ვთქვა ჭირითა.

884. ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწყალობელი,
ერთხელ მესმა, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა-მხდელი,
ნუ თუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი,
მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი.“

თუ მე-882 სხნის უკანასკნელ ლექსში მე-884-ის მნიშვნელობის მეტყველებს, მათი ლოგიკური კავშირი მაშინვე წარმოცხადდება. — ავთანდილი სთხოვს ტარიელს: «ერთსა რასმე გიაჯები, — ცრემლი ამად მღვარა», — «ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწყალობელი»,

და სხვ. თხოვნის დაჟინებისა და თვით თხოვნის გამოთქმის შეუწინასიტყვაობა აქ რა საჭიროა? მართალია, ზოგჯერ თხოვნას წინასიტყვაობა უსათუოდ უნდა მიუძღოდეს, რომ მთხოვნელმა თავისს მწყალობელს თავისი გარემოება აცნობოს და საბუთები მოუყვანოს, ამ შემთხვევაში კი რა მნიშვნელობა აქვს ავთანდილის გარემოებას და საბუთებს? ავთანდილი რომ თავის საყვარელს მოშორდა და მეფეს ვერ დაიჭირა, განა ტარიელს ამის გულისათვის ცხენზედ უნდა შეჯდეს?! რა დამოკიდებულება აქვს ამ გარემოებასა ან საბუთს თხოვნის ასრულებასთან? მე შენთვის საყვარელს გავეყარე და მეფეს გავეპარე, და რადგან ასეთი ღვაწლი მიმიძღვის, შენც საზოგადოდ თხოვნა უნდა ამისრულოო,—განა მომაკვდავს მოყვარეს ესრე უკაჭრებიან?.. კაცი თუ თავისს მეგობარს თხოვნას აუსრულებს, ვალის გადასახდელად კი არა,—მის ხათრისა და სიყვარულისათვის, მის საამებლად და გულსაკლებლად. ავთანდილიც ამ ღონესა ხმარობს, როდესაც ტარიელს ეუბნება: «ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა» — აი ნამდვილი საბაბი მოყვრის საწადელის შეწყნარებისათვის, თვარა თვისისა ამგვარ ყვედრებით ხვეწნასა მეგობარს ვინ შეასმენს?

ამას წინად ვნახეთ (ხანა 850, გვ. 190), რომ ავთანდილ თავისს ღვაწლს, ტარიელისათვის რომ თავს იდო, ასმათს უამბობდა, მაგრამ იქაც გმირი თავისის ამაგითა არც იქადოდა და არც მოყვარეს აყვედრებდა, არამედ თავს იმართლებდა, გამოვლილმა ჭირმა მეგობრის გაჭირება დამავიწყაო და ამიტომ სიტყვის გაუტანლობისათვის უსამართლოდ ვემდურებოდიო. მეორეთ ავთანდილ ასხენებს თავისს წამოსვლას, როდესაც თითონ მეგობარი სთხოვს, შინ დაბრუნდიო, რადგან ვეღარას მიშველიო (გვ. 205):

921. „მე რომე ცეცხლი მედების, ნაკვერჩხალი კვესითა,—
ვერ დამშრეტ, შენცა დაიწვე სოფლისა ქმნისა წესითა;
წადი, დაბრუნდი, შეიქეც შენთვე, შენი მზე სადა“

ამაზედ ავთანდილ, სხვათა შორის, უპასუხებს:

926. „თუ რაც გესმის, გაიგონე, ესე კმაა სწავლა სწავლად:
რომს მზესა დავეთხოვე თქვენსა წინაშე წამოსავლად,

მოვახსენე, „რადგან ჩემი მოუქმნია გულსა ცეცხლად,
ქარსა ვარგებ, არ დავდგები, სხვა ვიუბნო რაღა ცრემლად“.

927. მან მიბრძანა: „მადლიერ-ვარ, კარგა ხარ და მამაცურად,
შემწევან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად“.
მისის კითხვით წამოვსულვარ, არ მთვრალ-ვარ და არ მახმურად,
აწ შევიქცე, რა ვუამბო?—„რად მოხვალთო ჯაბინ-ხდლურად?“

რა სიფრთხილით და თავ-დაჭერით ეპყრობა ავთანდილ ტარიელს თავისს მოსვლაზე! თითქო არც კი უღვწვია და მხოლოდ ვალს იხდის. თითონ მოინდომა მოყვრის საშველად წამოსვლა, სატრფომაც ეს «გავლენა» თავისს სამსახურად მიიჩნია, ასე რომ ტარიელს მაგისათვის არა მართებს-რა. ნამდვილი მოყვრის «გავლენა და მოხმარებაც» ასეთი უნდა, და პატიოსანი გმირი თავისს მეგობარს მისთვის გამოვლილს ჭირს ვაჭრულად ანგარიშში როდი დაუსვამს და სამაგიეროს როდი მოსთხოვს. ამიტომაც, მკითხველი, ვგონებ, დამეთანხმება, რომ თავის ღვაწლის ასეთ მხსენებელი ავთანდილ ვერ ეტყოდა ტარიელს იმ უსამსო სიტყვას, ყალბის-მქნელმა რომ მე-883 ხანაში წარმოსთქმევინა. ამას გარდა მე-926 და 927 ხანების კილოდანა სჩანს, რომ თავის წამოსვლის გარემოებაზე ავთანდილ აქ პირველად უამბობს ტარიელს, თორემ მოაგონებდა, რომ ეს წინადაც მოგახსენეო.

ყალბის-მქნელს ყველა ეს გარემოება, საგონებელია, მისთვის არა ჰქონდა; იქნება არც კი ესმოდა ნამდვილი მეგობრობის პატიოსანი და ტკბილი სულთა ურთიერთობა; და ჰგონა, თუ ავთანდილ თავისს მეგობრისათვის გამოვლილს ჭირს მოაგონებდა, ამით თავისს ხვეწნას უფრო გაამძლიერებდა, და ტარიელიც მაგისთვის უფრო პატივს დასდებდა მისს თხოვნას. ეს იყო მიზეზი, ყალბის-მქნელმა რომ ავთანდილს დაწყებული თხოვნა შეაწყვეტინა და თავისი ხანა, გმირის ღვაწლის შესახებ, ჩაურთო. ხოლო რადგან ავთანდილის ღვაწლის გამოსახვას თითონ ვერ მოახერხებდა, ყალბის-მქნელმა მე-850 ხანა (გვ. 190) მაგალითად აიღო და თავისებურად გადათქვა.

პირველი ლექსი—«სადა ინდოსი ბროლ-ვარდის ჰსარავენ გიშრისა სარითა»—ცხადად ჰბაძავს მე-850 ხანის ლექსს: «ბროლ-სა-

დავენი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენ და ბუჭვენ». რუსთაველის ლექსში «ბროლ-სადაფნი» პირისახის სითეთრე და ელვარება არის, რომელიც ვით სალარო იცავს და ჰფარავს «მარგალიტსა ლალის ფერსა» ე. ი. კბილებს. ეს ნაწვალებითი მეტაფორა, მკრთალია, ახლან-დელის პოეტურ გემოვნებას ქალს აღტაცებაში ვერ მოიყვანს, მაგრამ, რაც უნდა იყოს გასაგები მაინც არის, რაიმე სხვაგვარი ნაქვთის ხომ გვისახავს. ვნახოთ ახლა ყალბის-მქნელის მეტაფორაც: «ინდონი» შავი თმა არისო, გვეუბნებიან კომენტატორები; «ბროლ-ვარდი» — პირისახის სითეთრე და ლაწვთა სიწითლე გახლავსო; და «გიშრის სარი» — შავი წამწამი. ასე რომ შავი თმა პირისახის სითეთრ-სიწითლეს შავის წამწამით ჰფარავსო... რაც გინდა ვთქვათ, უგუნურობისა და უგვარობის მეტს ლექსიდან ვერას გამოვწურავთ.

«მას მოვეშორე, წამოვე სიმქარითა, არ სიწყნარითა» იმეორებს მე-850 ხანის ლექსს: «მას მოვშორდი, ვერ ვნახე, ვერ ვისურვენ, ვერ გასურვენ», და აგრეთვე მე-852 ხანის ყალბს ლექსსა: «არ ვუტყუებ და მოვსულვარ მგზავრი ღამით და დღისითა». განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ პირველი ლექსი თავისის პლეონაზმით — «სიმქარით, არ სიწყნარით» — უფრო უშნოა ვინემც მესამე ლექსი მისის «მოსიარულე მგზავრით».

«ვერ დამიჭირა მეფემან მშობლურად საუბარითა» — ცხადი სიცრუეა. მკითხველს ეხსომება, რომ ავთანდილს მეფისათვის წასვლის დასტური პირად არ უთხოვნია, მაშასადამე ვერც მოისმენდა როსტევანისაგან ამაზედ «მშობლურად საუბარს». დასათხოვნელად გმირმა სოგრატ ვეზირი მიუგზავნა მეფეს, მაგრამ როსტევანმა თავისს ვეზირს არც კი მოუსმინა, სკამი სტყორცა და გამოაგდო.... ამას თუ უძახის ყალბის-მქნელი «მშობლურად საუბარსა», თვარა მეფესა და მის სპასპეტს შუა სხვა ლაპარაკი წასვლაზედ არა ყოფილა.

უკანასკნელს ლექსს — «შენ არ შემიჯერი, გამიყარი, აწ ჩემი ლხინი ვთქვა რითა!» — იგივე აზრი აქვს, რაც ძოწეტის ლექსს მე-884 ხანაში: «ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა», მხოლოდ გაწყალებული სტილითა და ბეჩავის კალმით თქმული.

## XLVII.

რომელსაც ავთანდილმა დამორჩილებული და დამშვიდებული, ტარიელ ქვაბისკენ წამოიყვანა, ამირბარმა, რაც წაუკიდა, თავისას მეგობარს უამბო (გვ. 200—201);

901. „ამა ქედსა გარდავადეგ, შამბნი ისი მომშეარნეს;
ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს;
ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს;
მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს.

902. ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხნი მოვიდეს ერთგან რებულნი,
სახედ ვამზგავსენ მიჯნურთა, ცეცხლნი ჰამესენ დებულნი;
შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი;
ლომი სდევს, ვეფხი მიურბის, იყვნენ არ ჩემგან ქებულნი.

903. პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
ფვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდნეს;
გამოჰრიდნა ვეფხმან გული, დედათამცა გამოჰრიდნეს;
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს.

904. ლომსა დავუგმე საქმარი, ვუთხარ: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ, ფუ მაგა მამაცობასა!“
ხმალ-გამოწვდილი გავუხე, მივეც ლახვართა სრბოსა,
თავსა გარდავკარ, მოვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა.

905. ხმალი გავტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა,
ქმრის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლის მღვრელითა;
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულიდა ხელითა.

906. რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
გავგულისდი, მოვკლივე, ვკარ მიწასა, დავაწყვიდე;
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე,
სული სრულად არ ამომხდეს, რასა მიკვირს, თუ ცრემლსა ვღვრიდე!

907. აჰა, ძმაო, მოთხრობილა პირი ჩემი, ძალაცა მჭირდა;
სულთქმა-გულგმაცა არა მმართებს, ასრე გასვლა რად მიკვირდა!
სიცოცხლესა გავეყარე, სიკვდილიცა დამიძვირდა.
ესე სიტყვა დაასრულა, ყმამან სულ-ჰთქმნა, აცასტირდა.

ეს „ვეფხისოდი“ „ვეფხის-ტყაოსნის“ მიბაძვათა შორის ერთ-ერთ [illegible] სურველად ითვლება. მართლადაც, [illegible] ამ პატარა ამბავში ფსი-ხოლოგიური [illegible] ტარიელის [illegible] დაბრმავებას [illegible] რუსთველისეული [illegible] და მხატვრობითი [illegible] და დრამატიზმით წარმოგვიდგინა [illegible] სტილის [illegible]; მისი ამბავი ტრაგი-კულ და ცრემლის-წვეთები მით, რომ ავტორმა [illegible] და [illegible] რული, [illegible] ამ ამბავს რომ აცხოველებს რეალური [illegible] [illegible]. ამიტომ [illegible] არ არის, რომ ლომ-ვეფხის დასაწყისი ამბავი [illegible] დაწყებულა. მისი [illegible] მაგრამ [illegible] შინ [illegible] რამ არის გასაკვირველი: [illegible] უქმებს ამ [illegible] მართალთა და [illegible] შეუმჩნევია, [illegible] მეამბო-ნია და ვერ გამომტყდარა, რომ პოეტის ანკარა [illegible] [illegible] წაბილწულია.

[illegible] გარეშე [illegible] რომ ტარიელისაგან ნაამბობი [illegible] შეიტანა შემდეგ ლის მე-902 და 906 ხანების მიმატებით. ამ ხანებში [illegible] [illegible] შესძენს [illegible], [illegible] [illegible] ნათქვამისა, მაგრამ მიბაძვა [illegible] და [illegible] [illegible] მიბაძვას [illegible] შეკვეთილი [illegible] მიბაძვით, [illegible] და [illegible].

[illegible] მიბაძვამ [illegible] [illegible] პოეტის [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] გაწყობილი [illegible] მე-902-ხანაში [illegible] [illegible] იწყება, [illegible] მე-903 ხანაში [illegible] და [illegible] და [illegible], მე-904 ხანაში [illegible] მე-901 ხანის [illegible] მე-903-ში [illegible], და [illegible] [illegible] [illegible], რომ ტარიელ [illegible] [illegible] [illegible], — [illegible]

თუთოდ და აუცილებლად უნდა მისდევდეს იმისი მზობა, თუ რა უყვეს ერთმანეთისა ლომმა და ვეფხმა. ისეთი, რომ ტარიელს გაუკვირდა და შეეზარა, ესე იგი «პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს», და სხვ.,—თვარა ამბის სულასლად დაწყება—«ქედსა გარდავდეგო»,—ავთანდილის დიდ გააკვირებდა და ზარსაც დასცემდა, ეს ჩემი მეგობარი ჭკუაზე ხომ არ შეიშალა, რომ ასე უთავბოლოდ ბოდავსო!?... ცხადია, რომ მე-901 ხანის მეორისე ლექსისა და მე-903 ხანის პირველს შუა გაწყვეტილი კავშირი დაურღვეველია, და პირიქით ყოველის გონებისა და ბუნების წინაალმდეგი იქნება, მე-902 ხანის უჯანასჯვნელი ლექსი რომ მე-903 ხანის პირველს ლექსს შეაუერთოთ, რადგან ყოვლად შეუძლებელია, რომ ლომმა და ქვეყსმა გამწარებულის ბრძოლის შემდეგ, როდესაც ერთი სდევს და მეორე მიურბის, ველად ამოდ ილაღობონ და მერმე მედგრად წაიკიდნონ.

მე-902 ხანის ლექსების ცალცალკე გარჩევით დავინახავთ, რომ, ლექსად ტლანქი და მოუხერხებელია ყალბის-მქნელის მიბაძვა: პირველი ლექსი—«ქედსა გარდავჰხედე, ლომ-ვეფხი მოვიდეს ერთგან რებულნი»—იმეორებს მე-901 ხანის პირველის და მეორის ლექსის ნათქვამს, მაგრამ რა განსხვავებაა რუსთაველის ნამდვილის მიმბაძველის გამოსახვაში! «ამა ქედსა გარდავჰხედე, შამბი ისი მომეჯარნეს», იწყებს ამბავს პოეტი და მაშინვე წარმოგვიდგენს «ეს» ქედი «ის» შამბი, რომელიც ტარიელს თვალ-წინ უდგას და ავთანდილს თითით უჩვენებს,—ამ ლექსით მოქმედების სცენა-ვსახლისახა. ყალბის-მქნელის «ქედსა გარდავდეგ» რაღას წარმოუდგენს ჩვენს გონებას თვალს? რომელს ქედს წაადგა ტარიელ ან იქ საიდან გაჩნდა? არა სჩანს. თითქო ტარიელის თავგადასავალი ესლა და ამ არე-მარეში წინ არ მომხდა, სადაც გმირნი-მოყვარენი უზიან, არამედ სადღაც სხვაგან-მე იყო. «ერთი ლომი ერთი ვეფხსი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს» — მოგვითხრობს რუსთაველი, ისევე ნათლად და მარტივად, როგორც ყველა კაცი ჩვეულებრივ და ბუნებითად ამბობს ხოლმე: ის და ის მოვიდნენ და შეიყარნენო. ყალბის-მქნელმა კი ეს უბრალო გამოთქმაც უთუოდ დასალამაზი და პრანჭვით უნდა სთქვას: «ლომ-ვეფხსი მოვიდეს ერთგან რებულნიო» პლეონაზმი—«მოვიდეს რებულნი»—

იქით იყოს, და ეს «ერთგან რებულნი» რას ნიშნავს: ერთად ნაქისარულევთა, თუ საიდანღაც მოსულთა?— რადგან სიტყვა «ერთგან» ორ-აზროვანია: ერთადსაც ნიშნავს, ერთს რომელსამე ადგილსაც. დიმიტრიზ ბატონიშვილი ისე განმარტებს, ვითომც «ერთგან რებულნი ერთად მოსულნი» არისო, ხოლო რა წარმოსდგება აქეთის ახსნისაგან ამას ქვემოდ ვნახავთ.

შემდეგი ლექსი — «სახედ ვამსგავსენ მიჯნურთა, ცეცხლი დაშეასწენ დებულნი» — სხვა არა არის-რა, თუ არ გადათქმა მე-901 ხანის მესამე ლექსისა: «ჭკვიანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს.» მხოლოდ პოეტის ლექსი წმინდა ქართულია და ნათელი აზრისა, ყალბის-მქნელისა კი მწიგნობრულის ენისაა და შემცდარის აზრისა. «რათმე მოყვარულთა» და «მიჯნურთა» შორის დიდი მზღვარი დევს: ლომი და ვეფხი არც «სახით» და არც გულით მიჯნურთ არა გვანან, — ეს ცხადათ სჩანს ტარიელის მოთხრობიდან.

მესამე ლექსი — «შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი» — ჰბაძავს რუსთაველის ნათქვამს: «მერმე მედგრად წაიკიდნეს: თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდნეს.» განსხვავება დედანსა და მის პირსა შორის აქაც თვალ-საჩინოა: ლომისა და ვეფხის ბრძოლა პოეტმა მაის მხეცთა მოქმედებით გამოხატა, გვითხრა მათის ვნებების სიფიცხე, ბრძოლის გარემოება და მებრძოლთა განძვინება; ყალბის-მქმნელმა კი მხოლოდ მათი განრისხება ბრძოლის დროს ახსენა. ამ ლექსშივე გამოცხადდა, სხვათა შორის, ყალბის-მქნელის მოუხერხებლობა ამბის თხრობისა. თუ «ერთგან რებულნი» საიდანღაც მოსულთა ნიშნავს, და პირველს ლექსში, ლომი და ვეფხი ჯერ არ შეყრილან და მხოლოდ ესლა (მესამე ლექსში) შეიყარნენ, მაშ რა საბუთი ჰქონდა ტარიელს ეთქვა (მეორე ლექსში): «სახედ ვამზგავსენ მიჯნურთაო». რაში ჰგვანდნენ მიჯნურთა საიდანღაც მოსულნი მხეცნი, ჯერ რა აჩნდათ სამიჯნურო?

უკანასკნელმა ლექსმა — «ლომი სდევს, ვეფხი მიურბის, იყვნენ არ ჩემგან ქებულნი» — ვითამც იგივე უნდა სთქვას, რაც მე-963 და 904 ხანებშია: «ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს. ლომსა დაუგმე საქმარია» და სხვა. მაგრამ რამდენად უგუნურია ყალბის-მქნელის ლექსი და როგორ შეერყვნა მის მიბაძვაში პოეტის

აზრი! რუსთაველის ტარიელ ჰგმობს ლომსა, იმიტომ რომ მამაც-მა თავისი საყვარელი,—მეტადრე რომელმაც «გული გამოჰკრიდნა»— არ უნდა აწყინოსო. ყალბი ტარიელს კი არც ლომის აქებს, არც ვეფხვისა, ასე რომ მჩაგვრელი და დაჩაგრულიც—ორნივე «იყვნენ არ მისგან ქებულნი»!...

როგორც ლომ-ვეფხის დახოცვაზე ამბის დასაწყისი მე-902 ხანით არის შერყვნილი, ისე მისი დასასრული მე-906 ხანის მიმატებით დამახინჯებულია. ამ ხანის პირველი ორი ლექსი იმეორებს მე-905 ხანის მესამე და მეოთხე ლექსს, და ამის გამო მოთხრობა იმდენად დაუშნოვდა, რომ ტარიელ კითომც მკვდარ ვეფხვს ამშვიდებს და მერმე ხელმეორედ ჰკლავს. სტილისტიურის მხრით ეს ლექსები მწიგნობრის ჩვეულებისამებრ ტავტოლოგიით და პლეონაზმით არის შეკაზმული: «ვამშვიდებდი, ვერ დავამშვიდე» და «ვკარ მიწასა, დავაწყვიდე». და ეს მხეცური მიწაზე დახლა ჰლამის დაედაროს პოეტის გრძნობიერს გამოსახვას—«მოვკალ გულითა ხელითა!»

პირველს ორს ლექსში რუსთაველის ნათქვამს, რომ გაიმეორებს და სათქმელი არცა რა დარჩება, ყალბის-მქნელმა თავისებური ტყუილი დასძინა: «მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდეო». მერმე რაღა ჰგავს მხეცის ბრძოლა საყვარლის წაკიდებას, რომ მოაგონდა? როდის და რა მოხდა ისეთი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის შორის, რომ ეხლანდელმა გმირის და ვეფხის ბრძოლამ ეს შემთხვევა მოაგონა? ან როდის მოინდომა ტარიელმა ნესტან-დარეჯანის კოცნა, საყვარელი არ დანებდა და ამაზედ ჩხუბი მოუვიდათ? თუ საყვარელთა შორის უთანხმოებას წაკიდება ჰქვიან, ტარიელ და ნესტან ორჯელ წაიკიდნენ! ერთხელ, როდესაც სატრფომ გმირის ფიცის-გამტეხობასა და ღალატს სწამებდა, იმიტომ რომ მეფეს და დედოფალს არ დაუმალა ხვარაზმშას სასიძოდ ჩამოსვლა (ხანები 517—541, გვ. 114—119); მეორედ, ხვარაზმშის მო-[illegible]ლისას; როდესაც [illegible] თავისის საყვარლის სიმხდალეს აბრალებდა, რომ მისის [illegible] [illegible] (ხანები 550 და 551, გვ. 120—121). ვეხსომებით, რომ ორსავე შემთხვევაში ტარიელ დაჩაგრულის მდგომარეობაში იყო: პირველად სატრფოს წინ თავს იმართლებდა, ევედრებოდა დაუჯერებლობას უფიცებდა; მე-

თორემ კი, ქალისაგან ნაწყენი და შეურაცხყოფილი მოყმე იძულებული გახდა მეგობრობა, ნაქებინა და სასიამო უსისხლოდ მოეკლა. ამ «წინა-კიდებათაგანი», რომელი ერთი აჰგავს ვეფხის ტყაოსნის ტექსტს, მის-თან შეზმას დუმილის მოკვლასა?

რაიცა შეეხება სატრფოს კოცნის წადილს, ამას ტარიელ მხო-ლოდ ერთხელ ახსენებს, როდესაც ნესტან-დარეჯანის ყვედრების შემდეგ ტარიელმა თავისი ერთგულება დაუმტკიცა და მისი გული კვლავ მოიგო, მაშინ, განშორებისას, მიჯნურს უნდოდა თავის სატრფოსთვის ეკოცნა, მაგრამ ვერ გაუბედა, რომ «მწადდა, მაგრა ვერ შევმართე შემოჭდომა, შემოხვევა» (სტრ. 541, გვერ. 119). განა ეს მორცხვი წადილი რითიმე ჰგავს ქსლანდელს თავქანწყვეტილს სურვი-ლის-თქმას, რომელსაც ტარიელ ჰგრძნობს ვეფხის სიახლოვის გამო?

ყალბის-მქნელი «არ არის ცნობასა», ვერ მიმხვდარა რა დამო-კიდებულება აქვს ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავს ქსლანდელს ტარიე-ლის მდგომარეობასთან. ნესტან-დარეჯანის მიჯნურს «ვეფხი შვე-ნიერი სახედ მისა დაუსახავს» (სტნა 651, გვ. 144), მისს გუნე-ბაში სატრფოსი და ვეფხის ნაქთი განუშორებლივ შეერთებულა, ამიტომაც, რა ტარიელმა ვეფხი შეიპყრა, «მის გამო კოცნა მოუნ-და, ვინ სწვავს ცეცხლითა ცხელითა» (905 სტნა). მაგრამ ვეფხმა არ შეიწყნარა დაზრმავებულის მიჯნურის ალერსი და კაცი იძულებული იყო მხეცი მოეკლა «გულითა ხელითა». ოცნების აუსრულებლობამ ტარიელ გამოაფხიზლა და კვლავ ცხადივ წარმოუდგა სატრფოს და-კარგვა და მისი მოუძებნელობა, ბედნიერების მიუწვდომელობა. ეს უიმედობა უკლავდა გულს ტარიელსა, როდესაც ავთანდილმა დახო-ცილს ლომსა და ვეფხსა შუა მჯდომი ჰპოვა, და ამიტომაც «მია-ხლებოდა სიკვდილსა», ერთად-ერთს ღონისძიებას სატრფოს შე-საყრელად. ყალბის-მქნელს კი ლომ-ვეფხის დახოცვის ამბიდან ის აზრი გამოჰყავს, ვითომც საყვარელთან ხხების მოგონებამ ტა-რიელს დარდები აუშალა და, ალბად სინანულისაგან, ჰლამის თავი მოიკლას.

უკანასკნელი ლექსი—«სული სრულად არ ამომხდეს, რას გი-კვირს თუ ცრემლსა ვღვრიდე»—ჰბაძავს მე-907 სტნის მეორე ლექსს:

«სულთა დგმაცა არა მმჭირთებს; ასრე გასვლა რას გიკვირდა!» მაგრამ საქმეც ის არის, რომ ავთანდილს სრულებით არ უკვირს ტარიელის ცრემლის ღვრა. ან რა გასაოცარია, თუ მიჯნური, რომელსაც სატრფო დაუკარგავს და პოვნის იმედი გადაუწყდა, ტირის? ავთანდილი იმან გააკვირვა და ჯავრი დასცა, რომ მისი მოყვარე «ასრე გასულიყო» და «სრულიად გამხმა გაებიუა»; რომ ჭირთა მოუთმენლობამ ისეთს სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა, რომ ნამდვილი და ოცნება ერთმანერთში ვეღარ გაურჩევია. სასაცილო არ იქნებოდა, ავთანდილს ტარიელის ცრემლის ღვრა გაეკვირვებოდა, როდესაც მისი მეგობარი სატანას წაულია და ნებით თავს იკლავს (სტრ. 868, გვ. 194)!?...

ალ. ს—შვილი

# გურია-აჭარა

## მგზავრის წერილები

### I

წინასწარმეტყველობის მაგიერი. — მარშრუტი. — ნასადილევს. — ოზურგეთის გზა. — თანამგზავრის გაცნობა. — „წყეულიმც იყავ, ბათუმის ქალაქო!“ — ბური თუ ლომი? — დუაბზუელი მღვდლის თავგადასავალი. — „ჯვარი“ ძველად. — „ჯვარის“ ადგილი წიგნში დაიჭირა. — დუაბზუელის „პატრიოტობა“. — გურიისა და სამეგრელოს მთავრების სიძლიერე.

ზაფხულში, როცა ჩვენის სამშობლოს დედა-ქალაქი ერთს მთლიანს გაქვავებულს ღუმელს წარმოადგენს, როცა ადამიანი აქ საშინელ ჰაერს ამაოდ დაეძებს და ენერგიას ჰკარგავს, ამ დროს აქედან გასვლას, ნეტავ თუ რამე სჯობდეს. მით უფრო-ბედნიერად მიაჩნია ადამიანს თავის თავი, თუ წინ გზაც უდევს სოფლისაკენ, მთელის უნახავის ადგილების ჭვრეტა, პირისპირ ყოფნა უმანკო ბუნებასთან.

ამგვარ ბედნიერთა გუნდს ეკუთვნოდა წარსულ ზაფხულს ამ სტრიქონების დამწერიც. დიდად ბედნიერი გუნდს! მოსალოდა ნახვა გურიისა, გურულებისა, რომლებიც საფუძვლიანად ნათლისმცემლობენ ოჩხის კრიტას გურიაში სწავლა-განათლებით დაწინაურებულ გურულთ. მოველოდი ნახვას გურიისა, სადაც თვით შემეცნებას ჩვენის სამშობლოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ყველაზე მეტად გავრცელებული, რომელზედაც ჩვენს გაზეთებში თითქმის ყოველ დღე ვკითხულობდი რამე სანუგეშოს, წინსვლისმომასწავებელს. მოველოდი ნახვა გურულების-

სა, რომელთაც სილამაზით, სიცქვიტით და სხვა სანაქებო თვი-
სებით თითქოს განსაკუთრებული და თან საპატიო ადგილი
უჭირავსთ ქართველებშიო. ბევრი რამ გამიგონია, მათის უპირა-
ტესობის აღმნიშვნელი, მაგრამ, თქვენც დამეთანხმებით, გაგო-
ნება, სხვისის პირიდან მოსმენა სულ სხვაა, და საკუთარის თვა-
ლით, პირის-პირ ნახვა — სულ სხვა გახლავსთ. ამიტომ, ჩემს
სიხარულს უფრორე ემატებოდა საფუძველი.

ასე და ამგვარად, ეს ჩემი საზაფხულო მაშრუტი შემდეგი
გახლდათ. ჯერ უნდა მენახა გურიის ჩქნური მკვიდრნი, „გუ-
რიაობით“ ნაქებნი, ბუნება, უფრო ტიპიური სოფლები. აქედან
უნდა ავსულვიყავ გურიის ახლად აღმოჩენილ სააგარო ადგილ-
ზე — „ბახმაროს“ მთაზე, ხოლო ბახმაროდან გზა განმეგრძო
აჭარისაკენ, რომელსაც თავიდან უნდა დავყოლოდი და ბო-
ლომდე გამეთვალიერებინა. პირველად გურიის დედაქალაქ ოზურ-
გეთისათვის უნდა დამეკრა თავი.

ოზურგეთში მიმავალი მგზავრი რკინის გზის სადგურ ნა-
ტანებში უნდა შემოხვდეს [illegible] მოგზაურს [illegible] ორ-ორი
დილიჟანსი: ერთი [illegible], რომელთაც იჯარით აქვსთ აღებ-
ული ოზურგეთსა და ნატანებს შუა ფოსტის ტარება, და მეო-
რე — „გურულ მეეტლეთა ამხანაგობისა“ [illegible]
[illegible]
[illegible] ზოგი ზემოაღნიშნ-
ულ „კამპანიისა“ და ზოგიც კერძო მესაკუთრეებისა. ხანდის-
ხან იმდენი მგზავრი მოგროვდება ხოლმე ნატანებში, რომ
ვერც დილიჟანები და ვერც ფაეტონები ეტლებში ჩასაჯდომ ადგილს
ვერ აწოდებენ. ამიტომ, [illegible] მატარებ-
ლის, ყველა ფაცა-ფუცით გამალებული მირბის სადგურის
დამოსავლეთის მხარისკენ, სადაც ეტლები მგზავრებს უცდიან
წასაყვანად. თანამგზავრები ხან მგზავრებს შორის [illegible]
[illegible] ერთი
[illegible] ფრაზ
[illegible] ვერ გავარჩიეთ, [illegible], რომ

ყველა ბარგს ჩავჰფრენით და შურდულივით შირფის ტოტებისა-კენ, ვაგრ ჟუჟუნი ბრალეულია, თუ მეზობელს სიმარდეში ჩამოჰრჩით!

მერე თავისუფლადაც ამოვისუნთქეთ, არხეინადაც ზისართ ეტლში. რადა ღირს ეს ბრწყინვალება, რომ ამ შუაღამისას აქ არ დარჩებოდეს, არ გამოსცდიდა იმ ყოვლისამთვენებას, რომელიც უეჭველად თანდა სდევს ისეთს ადგილებს, სადაც ამგზავრმა დიდი დაქვეითებულობისათვის დუქნებში და ათას ნაირ მოდგმისა და ნაჯისათების მწერთა საზოგადოებაში უნდა გაათიოს მაწყევარმა თავის ბედისა! აბა რა თქმა უნდა, ვინ იქმნება ახლათ, აგრეთვე პერსპექტივას დასჭხანებდეს!

ეტლში ოთხნი ვისხედით: ორი უკან და ორიც წინ, სკამზე, უკან თავისუფლად ჯდომისათვის მეეტლე, ერთხელვე შემთვლებულის ნახრის თანახმად, მგზავრთ ათ-ათ შაურს ახდევინებს, ვიდრე წინა სკამზე, მჯდომთ — ორმოცდაათს. 17 ვერსის მანძილზე ტფილისიდან იმდენი ურმები, ჩემოდნები, ბოხჩები და სხვა რაგვარი მოეჰგროვდა, რომ ადგილიც აღარ დარჩა. მეეტლეს ფეხებში ჩაედგა, თუ კარგად ისიც მოეწყო, მაგრამ გადაუტვირთავის ზურგზედ, გათქვირებულის ცხენების დაუწრუწუნა, ურთი უცხოს ენაზედა შემოსძახა წასაქეზებელი სიტყვები (ალბად გურულად ემძიმებოდა გაჯავრების სიტყვების წარმოთქმა) და ჰერი გილდი გასწია მშვენიერს გზატკეცილზე. გავიარეთ ხესალუნები, იქვე ორ-რიგად ჩამწკრივებულნი ლიფების ხნარული ფრთხილად მოვშორდით და შევყავდით ხამურულის ტყეში, რომელზედაც ფერად ხშირად მოიცვა ჩვენი გზა.

გზაში სიცხისაგან დაწყნარებული ტყის სიგრილემ ჩვენზე მოგვცა, ... წვიმას ეპირებოდა, მაგრამ თან-და-თან ღრუბლებმა გადაიყარა და მთვარემ ნელ-ნელა შემოგვაშუქა და ვერცხლისფრად ხეები შეამკო. სრულიად სიჩუმე იყო გამეფებული, ამ საშინელ მყუდროებას ჩვენის ეტლის ხმა-ღა არღვევდა. დროგამოშვებით ქარავანი შემოგვხვდებოდა, სიმინდით დატვირთული ურმებისა, რომლებიც შეკვეთილში მიდიოდნენ, ურმებ-

აქპატარები იციან, რომ თვალწინ გორაკზე ურმისათვის, სქელით ფრუტუნ-საკან გაკეთებული. ურემში უეჭველად ხარები უნდა ება და მარდად მიჰქონდეს ტვირთი. კამეჩი, ურემში შებმული, აქ იშვიათად შემხვედრია. ისიც, თუ შეაბამენ, ქართლურ ურემს უნდა შეაბან. კამეჩი, როგორც დარბაისელი პირუტყვი, აჩქარებას ერიდება. გულჩვილის ხასიათს უფრო ხარი შეეფერება, მის გემოზე ბარი-ღა თუ იყოს. მთის, რომელზედაც ჩვენ მივდივართ, მეტად ვიწროა, ორი ურემი თავისუფლად გზას ვერ უქცევს ერთმანეთს, ერთი მათგანი უეჭველად გვერდზე უნდა გადაიდეს, ტრიალისაკენ. ასეთს დროს ურმის გადმობრუნება ტვირთიანად ან მთლად მისი დამტვრევა ხშირად მოხდება ხოლმე.

სოფლები არა სჩანს, მთელის 10—12 ვერსის მანძილზე ისე გაივლის კაცი, ორ-სამგან თუ შეხვდება გზის პირად მდგომარე სახლებს. უმეტესი ნაწილი გზის იქით-აქეთ მდებარე ადგილებისა ან დაბურულს ტყეს უჭირავს, სადაც წიფელი ყველა სხვა ხეებსა სჭარბობს, ან-და, სადაც ტყე გაკაფულია, მთელი ზღვაა სიმინდის ყანებისა. წყლით ძველთგან უხვადაა, ამიტომ უკედ, ჭარბადაცაა. გვალვა ამ ადგილის მოსახლეს წარმოსაც ვერ შეაშინებს, ის კი არა, უფრო რიგზე კიდეც, მოქრებულს სინესტეს აშორებს.

ჩვენ შემოგამეფებულ მყუდროებას დარღვევას ვერაფერს ვხედავდით. წინ გვიჯდა ერთი თავმოშვებულ ურემში ჩამჯდარი თეთრ-წვერა, ასე 60 წლის მოხუცი. ზედ ესხა: ხმალი, ვერცხლით მოჭედილი, მუშახელა, სატევარი, რევოლვერი, — ზამბულაკი და ზარბაზანი-ღა აკლდა! ერთს მკერდს ხან-და-ხან ჯვრები უფარავდა: აქ ნაწველეთის წმ. გიორგის ჯვარი, ვერცხლის მედლები, — ზოგს „მამაცობისთვის“ იმპერატორის ნიკოლოზ პირველის დროს მიღებული, ზოგს „ერთგულობისათვის“ დაჯილდოებული, კიდევ ქრისტეს ვერ მოვითვლი. ამდენს ხანს ჩუმად ჯდომამ და პირველად ამან ლაპარაკით ჩვენი დუმილი მართალია, უცნობიერად, მაგრამ გზაში გაცნობა თანამგზავრისა ხომ ადვილი საქმე გახლავს. საერთოდ ინტერესი მეტია ...

მე მოგზაური ვარო! ჯერ ყველას მასპინძლად, ჩვეულებრივ, სადილმავლობზე გვკითხა. ამ წინასიტყვაობით ცოტა გამხნევდა, ენა აამოძრავა. სანამ ჩვენ რასმე ვკითხავდით, თვითონ დაიწყო თავისი თავგადასავალი. პირველად, რაც შეიძლებოდა, ზრდილობიანად შეუკურთხა ბათომსა, სადაც, მისის აზრით, ჩამოხულობით ქრისტიან კაცს არ ედგომილება და ისიც ჭკვადმყოფსა, იქაურს საავადმყოფოში. ეტყობოდა, ძალიან ჯავრი უნდა სჭირებოდა ამ ქალაქისა.

— „ეს თვე-ნახევარია, იმ დასაწვავ ქალაქის საავადმყოფოში ვიყავ, — განაგრძო მოხუცმა, — მართალია, იმის უფლება მაქვს, მუქთად მარჩინონ, საჭმელ-სასმელიც სახელმწიფო მეძლევა, მაგრამ, რათ გინდა, შურმა და იმათმა სუფთამ მომკლა, ბატონო! რამდენჯერ ვინატრე, სად არის ჩემი დუაბზუ (სამშობლო სოფელი), კაკლის ძირას მწვანე, ზედ გაშლილი სუფრა, ჩხავერის ღვინო, საწებლიანი ქათამი და ღომი-მეთქი! მარა ვინ-და მიგდო ყური! გინდა თუ არა, ჭამე პური და სუფი ამ სიცხეში!... ხშირს არ ჩამდიოდა პირში... ოჯახო, ერთი არ მკითხეს: რა გეხალისება, ღნვით, რა საჭმელი უფრო გიყვარსო? დედავ! გავკუჭდი, მარა რა გავკუჭდი!... ვაი ჩემს დღეს-თქვა! როცა ახალგაზდა ვიყავი, ჯან-ღონით სავსე, როცა მკლავში ღონე მერჩოდა და „მტრის მოკვლა შემეძლო, ქე მეფერებოდნენ, „მალადეცს“, დავითიო, მაჯილდოვებდნენ, უფროსი თავის ხელით ჩამომკიდებდა გულზე ჯვარს თუ მედალს, — ახლა? ნუ მკითხავთ, ნუ! მოხუცდი, დაბერდიო, უსხმარი ხარ, შენი თავვის რაღა უნდაო! გეგიგე ჩემი სიბერე, მარა რაღა დროს! ჰო-და ვერ მოვუძელი ძმაო, ვერა ახლა, ეს არის, გამუშვეს და ბათომს ფეხი და გულიდა მივაყარე. არ ვემართლებოდი თუ?! აწი მიწერია სიკვდილი, ისე ისევ ჩემ დუაბზუში მოვკვდე, და ჩემმა შვილიშვილებმა დამმარხონ-მეთქი.

მკითხველი ახლა მიხვედრილი იქნება დავითის საავადმყოფობის მიზეზს. რამდენჯერმე დაიკრუსუნა: „ჭრილობებისაგან, რა ვიცი, რა გამიჭირდა! ძვალი მტეხს და მაშველიც კი ვერვინ მოვუძებნე. ჩემს მტერს ასეთი მოხუცებულებს ნუ მისცეს ღმერთ-

მა! მირჩენია აფერი მებადლის: არც სახლი, არც ფარდა, არც მამული, ფლორნდ აფერი მტკიოდის, ყოლიფერს იმოვით ძმისხებს, იყიდის კაცი, სიმთელეს კი ვერა. 15 წლისა ვიყავი, ჯერ ისევ უწვერ-ულვაშო ბალანა, სხვებმა მეც წამიტანეს საომრად, ჩერქეზები უნდა გავწყვიტოთო! ხუთმეტი წლის ბალღანა კაცის კვლას დამაჩვიეს, ყანას, სახ-კარს, სოფლის მყუდრო ცხოვრებას შეჩვეულს მიძნელდებოდა ომში წასვლა, არ მივდიოდი; მარა ხმა გავარდა, ვისაც ბიჭობის გამოჩენა, ვისაც ჯვარის მიღება უნდა, ჩერქეზეთში წავიდეთო. ქოვყევი სხვის ფეხის ხმას, დიდებმ მეც წავხედედი ამ წახედულობამ მეც წამწყმიდა.

ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ, ისეთ ადგილებზე გვავლიდნეთ. ახლა რომ მოვაგონდება, გზაში რა წვალება ჩვენ გამოვიარეთ, რავა ვუხიროვდით!.. შინ რომ დავბრუნდებოდით, ყოლიფერი გვავიწყდებოდა. ბევრჯელ გვინატრია გამხმარი მჭადის ყუა, ბევრჯელ წყურვილით ვიღუპებოდით, წვიმაზედ დავდიოდით და საცოდავად გვაწუწავდა, ხიცივე ლურსმანსავით გვატანდა ტანში. მარა რას მიქვიან გაჭირვება ქალგაზდობაში!.. ის აზრი, რომ, შეიძლება, წმ. გიორგის ჯვრის კავალერი გავმხდარვიყავით, გვამხნევებდა, გვავიწყებდა ყოველსავე გაჭირვებასა. პირველი თოფის წამლის კვამლის სუნი მომხვდა!.. მწარე იყო..., პირველად არ მინდოდა კაცის მოკვლა, მაგრამ როცა ჩემს გვერდით ჩემი მეზობლები, დარჩეული ბიჭები ჩაიკეცნენ, ვსთქვი: ახლა ჩემი რიგია-მეთქი, და გულმა სხვანაირად დამიწყო ცემა. მეც გავიმეტე სასიკვდილოდ მტერი!.. ხოლო, როცა ერთის თავი ტანს მოვაშორე და სისხლით, თბილი სისხლით, ხელი შევიღებე, მერე წავიდა და წავიდა: სუმფელი!.. რა ტლამიანი მოვკალი, და რა — წვრილი, — ჩემთვის სულ ერთი იყო. როგორც წიწილის მოკვლის დროს არ ამიკანკალდებოდა ხელი, ისე ტლამიანის მოკვლის დროსაც. საქმე დაწყება იყო, შეჩვევა, პირველი ამ შიშისგან თავის განთავისუფლება.

გარდავიხადე ერთი ომი. ცოტა თუ დამკოდეს და ჯვარიც მომცეს: ფერდისმა ტყვის ხელით დამკრეს გულზე პირველი ერთ-

თუ კვირა რომის ცქერის მეტი არაფერი გვემოკეთებია: ვატრიალებ-დი ათას ფიქრს ხელში, ხან რას ვუშინჯავდი და ხან რას! ჯერ ჩვისაც არ მიქონიათ შურდათ! ქურქილობა მალე მომირჩა. საშინლად მეჩქარებოდა გურიაში წამოსვლა. რისთვის? ჩვენს ჩემისთვის რომ ჩემიანები მენახა, — ჯვარს ვაჩვენებ ყველას, თავს მოვიწონებ-მეთქი: გულად მეომარის სახელი გავითქვი მთელ გურიაში. ყველგან შეკრებილხალხი ჩემზე ლაპარაკობდნენ ტიფილში, ქობულეთში-თუ სხვაგან! ჭირში თუ პირს უკან ყველა მე მაქებდნენ ურიგს მწერალიდა ჩემი „ღვაწლიანობას" და სულითა და გულით მილოცავდნენ, „ეს ერთი და სხვა მრავალი!" — მეუბნებოდნენ. მაგრამ ტოლებს კი თვალები ევსებოდათ შურით. უჯვროდ მეზობლისას არ გავდიოდი. ჭამა-სმის დროს სულ ზედ მეკიდა. ლოგინში არ შეიძლებოდა, თორემ ძილის დროსაც დავიკიდებდი. ახლანდელს ყმაწვილს ეცინებოდა ის ყოფნის ჯვარი, მაშინ სხვა დრო იყო. ნამეტური ქალებს მოსწონდათ. ეკლესიაში რომ შევიწურებოდი, პირველად ჯვარს დავხედავდი, ხომ კარგად მკიდია-მეთქი, გადმობრუნებული ხომ არ არის-მეთქი. ქალებს რომ გავიცნობდი, ყველგან ... ლოცვაში გვერდით ... და სოფლის ლამაზ ქალიშვილს რომ ... ალერსიანად!... ყველა მკითხავდა: როდის, რაფერ მოგეცესო? მეც თავიდან მოვუყვებოდი ყოლიფერს: ჩერქეზს რომ თავი მოვჭერი და სომეხისს მხვალთვის, ჯერე თავის ხმლით რომ დამკიდა გულზე ვერცხლისფერ გამზირებული ჯვარი და რომ მითხრა: ... ჩაღ დავითაო!... ჩემზეამეტს სოფელში ... ერთს ჰქონდა ჯვარი, მაშურდა, არ მეშვეტებოდა სხვისთვის. მორიდებითვე შევამჩნევდი ჯვარიანს კაცს; ხან წვა-და-სხვა სოფლებში ... წვეულოდი, რომ ... ვის და ვის უშოვია ჯვარი-მეთქი... მაგრამ ვა, რომ ... სხვადასხვ გიხსმბოდი...

შემდეგში, როგორც კი ხმა გავარდებოდა, „ვარნიკები მოდის", ყველაზე წინ მე მივდიოდი. თითქმის არც კი ვიცოდი; ყოველთვის მარჯვნივ ვიყავი. შეკაზმული ცხენს გამოვიყვანდი, შევათამაშებდი კოინდრიან ეზოში, ერთს ნელ-ნელა მივაჩვევდი ... თვალს ... შეიქმნება უკანასკნელად გხედავ-მეთქი, „მშვი-

დობითს“ ვეტყოდი ჩემიანებს, ლაფშას ფაფრახს შემოვკრავდი და მისის წალების ხმა-ღა გაისმოდა შორიდან. ერთ „ვაიწობაზე“ ზარბაზნის ყუმბარამ კაკალ ყურთან გამიზრივლა, მერე ისე ლონივრად, რომ იქვე დავეცი და კარგა ხანს გონზე არ მოვსულვარ. სიცოცხლე შემრჩა, მარა ყურები კი დამეფსო. თუ ძალიან არ მიყვირეთ, ვეფერს ვერ გევიგონებ. გაბოროტებულმა ბევრი ვხოცე ქობულეთლები, ბევრს აჭარელს ოვუტირე დედა. ოსმალების რაზმში მოწინავე ყოველთვის ესინი იყვნენ, როგორც იმათ მოწინაალმდეგე რაზმში ჩვენ ვიყავით. ბევრი ვაჟკაცი დეიხოცა, ბევრ სოფელს დააკლდა სოფლის თვალი ყმაწვილები, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, რიღას ომია, თუ კაცი არ მოკტება! ტყვია ბრმაა, არ არჩევს კარგს ცუდისაგან. რომელსაც მოხვდება, უნდა გაიტანოს. მარა ეს კია, უფრო კარგები იხოცებიან. ცუდი სიკვდილსაც მოსძულებია. აჭარლებისა და ქობულეთლების ხოცვა ბარემ არ მინდოდა, ვიცოდი, ჩვენიანები იყვნენ, მარა რა მექნა, ისინი მესროდნენ და ჩვენც ვესროდით; სულო ტკბილია: რო არ გვესროლა, დაგვხოცავდნენ. ბოლოს, კიდო დამჭრეს, მომცეს, რა თქმა უნდა, ჯვარი, მენდალი, „ჩინი“, პენციაც კი დამინიშნეს. ავადრო გავხდები, სახელმწიფოდ მარჩენენ, საჭმელი, სასმელი, სანამ არ მოვრჩები, სულ სახელმწიფო მეძლევა, გროშ-კაპიკს არ მახთიებენ. მარა რაიზა, წინდა ან ერთი და ან მეორე! სულ იმას ვიძახი: რა ყაზილარი ვყოფილვარ! რა დამიშავეს სხვებმა, რო ვხოცავდი, ან მე ჩემს სიცოცხლეს ბეწვზედ რად ვკიდებდი?! მარა სად იყო, ბატონო, ჭკუა! სხვებიც მე მგვანდნენ, ჩემსავით ჰფიქრავდნენ. ჯვარისგამეტი აფერი ახსოვდათ, ერთ ჯვარიზა ხუთს კაცს წაჭრიდნენ კისერს! დრო იყო მისთანა. თუ არ ომით, არ გვეგონა თავის სახელება თუ შეიძლებოდა. შინ დარჩომა ქალთა წესიაო, ვამბობდით. მამულის მოვლა, ღვინის დაყენება მშიშარებისა და ძაბუნების საქმეაო, გაიძახოდით ყველანი.

ახლა, ბატონო, როცა ორივე ყური დამეგბსო და ქარებმა სული ამომართვა, ამ სიცხე-პაპანაქებაში იძულებული ვარ „ბოლნიცაში“ ვეწვე და პური და სუფი ვჭამო. იმტელი სი-

კეთე, თქვენ არ დაგწყევლით და, მე მომცეს ღმერთმა, რამ-ტელს ეხლა მე ვნახულობდე და ჩემს სიბერეზე კუთხე მომცემოდეს, მარა, რაფერც მოგეხსენებათ, რაღა დროს! დაკარგულ სიმრთელეს ეს ჯავრი ვერ დამიბრუნებს, პენსიამაც ვეფერი ვერ მიშველა, ახლა უნდა ვიკვნესო ჩემს სიცოცხლეში, საფლავის კარამდე, სხვაც ვაწუხოთ და მეც ორის დღის სიცოცხლე გაუხარელად უნდა მოვკვდე, ერთი კაცმა მკითხოს, რა მჭირს? არ მერჩია, შინ ვყოფილიყავ?! მამული მაქვს და დედული, ღვთის ბოძებული, რაც ჩემს სახლს პურ და ღვინოს მოვიწევთ, ერთს ოჯახს კი არა, სამ და ოთხ ოჯახს არჩენს. დიახ, ასეთები ვართ ყველით ყველა ჯავრიანები, ვისაც დღეს გურიაში დაინახავთ. ბევრი დაიხოცა მათში, მაგრამ 300 მეტი დღესაც ცოცხალია. იმ ხანში, როცა ადამიანებს ვხოცავდი, ახლანდელები სკოლაში დადიან, სატევრის მაგივრად ხელში კალამი უჭირავსთ, წიგნსა სწავლობენ, ქვეყნის ამბავს იგებენ. კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ ჩემით გათავდა ეს დრო, რომ ჩვენს შვილებს მაინც სხვა უკეთესი დრო მოესწროთ, დრო მშვიდობიანი და ადამიანურად ცხოვრებისა".

დამაფიქრებელი იყო, ძველის, ათას ქარცეცხლში გატარებულის, გურულ მეომარის ნაამბობი. გარნა საყიამოვნო და, თუ გნებავთ, სანუგეშოც ის გახლავსთ, რომ, მოხუცის თქმისა არ იყოს, ის დრო იყო და აწ აღარ იქნება, დრო შეცდომისა და თვალხუჭულად ცხოვრებისა. მართალია, დრო იყო გმირობისა იმ აზრით, რა აზრით გმირობა მაშინ ესმოდათ გურიაში, და გურულიცა ცდილობდა თავისს საუკუნეს, როგორც საუკუნის შვილი, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას უკანვე არ ჩამორჩენოდა, რეტროგრადობა მისთვის არავის დაეწამებინა. ამიტომ, ისიც გმირობდა. გმირობდა უზომოდ; თოფ-სული მუდამ გატენილი დაჰქონდა, ხმალ-სატევარიც გალესილი; ხოცავდა სხვას და თვით თავის თავს, მტრად დასახულს, აკლებდა. „ჯავრი" მეფობდა მაშინ, „ჯავრს" იქით ხსნა არ იყო მისის აზრით, და ისიც ჯავრს შოულობდა, სწორედ იმ ჯავრს, რომელიც დღეს სასაცილოდ გამხდარა უფროს-ერთ მაშინდელ მეომართათვის.

აწ დრო დიდგვაროვნობისა, [illegible] ბრძოლისა [illegible] სა-ჭირო. მაჭახელა და სატევარი უხმარია, სუსტია, მნიშვნელობას მოკლებულია. გურულმა სწრაფად შეიგნო შეცვლა ცხოვრების პირობებისა, წამსვე აჰყვა სხვის ფეხის ხმას, ისიცა სწავლობს, ეწაფება კულტურულს ცხოვრებას, გაეღვიძა თვითშემცნება. დღეს გურული იმის ფიქრშია: რითი წასწიოს თავისი დაქვეითებული ყოფა; მეზობლებმა არ დამცინონ, არ დამზრახონო. გურული თან-და-თან იგრძნობს, რომ მეც დავეტევი ღვთის გაჩენილ ქვეყანაზედ, ამისათვის საჭირო არ არის ჩემსავე მზგავსს ადამიანს სიცოცხლე მოვუსწრაფოვო.

ერთი-ორმა თვისება განსაკუთრებით ეტყობოდა ჩვენს თანამგზავრს: ძალიან ჰკერძავდა გურულებს; ცათამდე აჰყავდა გურულის მამაცობა, „ბრძოლასა შინა შემმართებლობა" (ვახუშტი), გამბედაობა, ჭირში მხნეობა და უკანდაუხევლობა. ვკითხე, მეგრელებშიაც ხომ ბევრნი იბრძოდნენ თქვენთან ერთად? მეთქი?

— რაებს ბრძანებთ მაგას! ისინი რა გასახსენებელნი არიან? მათი მამაცობა ვის გაუგონია?

შევეცადეთ წინააღმდეგი აზრი დაგვემტკიცებინა ჩემის მოსაუბრისათვის.

— ღმერთმა, ბატონო! — თითქმის გაბრაზებით [illegible] სამოცის წლის გურულმა. — კაცი დავბერდი და ეგ არ გამიგონია. მეგრელი გინდ მოჭკარი და გინდ ომში გურულები! გურული გინდ ლაშქარს წასულა და გინდ ქორწილში, მისთვის სულ ერთია. ერთს მაგალითს მოგახსენებთ. ერთმა მეგრელმა [illegible] თავის ცოლიზა, ხუმრობით გამოუცხადა... — რეიზა გინდა? — ჰკითხავს ცოლის. „რეიზა და, წოუღენქ გურულს ამარე და ჯარიშე [illegible] მანგიეროთ ([illegible] გურულს და ჯარში [illegible] მაგიერადაო)... თქვენ, ბატონო, [illegible] გვარები უთხარით! ასეთი კარგი გვარები [illegible] დაუმსახურებლად, თუ არ ყოჩაღობისათვის არ დაერქმეოდათო. ერთი მეგრელი ქალი დაუწუნა თავისი მთავრის დადიანისა [illegible], გამოჩენილებს გვარის ხალხი ჰყავსო.

ძმობა რა გვარისა?—ჰკითხა გურულმა.

— კვარანცხელია, გვაძაბია, ხუბულია...

— გეყოფა, გეყოფა!—არ დააცალა გურულმა.—ახლა მე მკითხე, გურიელს რავარი ხალხი ჰყავს: ლომთათიძე, ვაჟთალომიძე, ლომჯარია, მარგალიტაძე, ვაშაყმაძე!—ჩამოუთვალა ჩვეულებრივის სხაპა-სხუპით გურულმა.

— ქე ყოფილა ძლიერი თქვენი მეფეო!—უპასუხა, ცოტა არ იყოს, დარცხვენით მეგრელმა.

## II

გურიანთის ციება.—გურია ფირალების დროს.—ფირალობის მაგიერი—ქურდობა.—ძველი ქალაქი პეტრა ანუ „უჩინარი“—სად არის პეტრას ქალაქი?—ოზურგეთს ჩასვლა.—ლიტერატურა გურიის შესახებ.—ძველი და ახალი გურია: საზღვრები, რიცხვი მცხოვრებთა.—საიდან დაერქვა ოზურგეთის მაზრას „გურია“?—ძველი მწერლები.—ბატონიშვილი ვახუშტი.—საბა-სულხან ორბელიანი.—მეგრული „გური“.—დიუბუა დე მონპერო.—მარი ბროსე.—კვალი ურიებისა გურიაში.—ქობულეთური ლეგენდა „გურიებზე“.—გურია—გული საქართველოსი.

მერეს მივატანეთ,—მე-7 თუ 8 ვერსტია ნატანებიდან. გზის პირას გურულს დუქანი გაუღია (უნდა აღვნიშნოთ, რომ აქეთკენ დუქნები, გარდა გურულებისა, სხვა ერისას არავისა აქვს). შიგ ზეზია თავიჩითიდან და ადგილობრივად მოქსოვილი შალის წინდებიდან მოყოლებული ყოველგვარი საწვრილმანო სავაჭრო ცოტ-ცოტა. მეეტლემ ცხენები ხუთის წუთით შეასვენა. აქვე წამოგვეწივნენ უკან ჩამორჩენილი ეტლები და დილიჟნები. ჰაერი მეტად ნოტიოდ გვეჩვენა. გვითხრეს კიდეცა, ციება ხშირია აქეთკენო. სადგ. ნატანებიდან მოყოლებული აქამდინ და ამას იქითაც მდ. ნატანების ჭალებია, თავისის ჭაობებით. ბუნება განსაკუთრებით მდიდარი და უხვია, ნიადაგი ნაყოფიერი. მხოლოდ ეგ არის, რომ ადამიანს ბევრის ღონისა და ენერგიის დახარჯვა სჭირდება აქაურს ციებ-ცხელებასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით ამ ადგილებში ჰბუდობს ცნობილი გურიანთის ციება. ამ ციებით მოშხამული სისხლი იშვია-

თად იკურნება. თუ ერთი გაუჯდა ტანში ადამიანს, მისი იქიდან გამოდევნას არა-ჩვეულებრივი საშუალება სჭირდება. ყველაზედ საშინელი ის გახლავსთ, რომ ყოველგვარს სატკივარს აქ საფუძვლად ციება აქვს. აქაურ აფთიაქიდან ქინაქინის ოდენა არც ერთი წამალი არ გააქვსთ გურულის ოჯახისთვის. უკანასკნელს ხანებში ავადმყოფები, განსაკუთრებით ციებიანები გურიის ახალმოდის აგარაკზე, ბახმაროს მთაზე, მიდიან, სადაც მთის ჰაერი ყოველგვარ წამალზე უკეთესად და უფრო ჩქარა ჰკურნავს ხოლმე, ვისაც კი ამოსვლა შეუძლია.

დაიძრა ეტლი. გზა ისევ ლამაზ ტყეზედ მიდის. ტყეს სიმინდის ყანები მისდევს, ყანებს—ისევ ტყე და ასე მიდის მთელი გზა. ცამ თითქმის სულ გადიყარა ღრუბლები. მთვარისაგან შევერცხლა მიდამო და საოცნებო სახე გადაეკრა; ფანტაზიას სულს უდგამს, ხორც-შესხმულ ჰყოფს. ერთ-ორგან უდაბურ ადგილას, გზის პირას, ფარღალალა კარვები შეგვხვდა, შიგ შეიარაღებული გლეხები ისხდნენ ცეცხლის გარშემო. ესენი იყვნენ მცველნი მგზავრთა, მათი უზრუნველ-მყოფელნი. ახლა თითქოს არც კი არიან საჭიროვო. ამიტომ რომ ნატანებსა და ოზურგეთს შუა მიმოსვლა სრულიად უშიშარია. სულ სხვა იყო ამ ოთხის წლის წინად, როცა დარჩიას, ნიკოლაიშვილის, მიქელაიშვილის და სხვა ცნობილ ფირალებთა მარტოოდენ სახელის გაგონება შიშის ზარსა სცემდა ამ გზით მოსიარულეთ, განსაკუთრებით ვაჭრებს. მეტის-მეტი გაჭირვება იყო, თუ გაიბედავდა წინედ მგზავრი ამ გზით სიარულს. ისიც, ზარბაზნის გარდა ყოველგვარი იარაღი ზედ უნდა ასხათ, უეჭველად. ახლა, უბრალო ჯაყვა რა არის, ხშირად ჯაყვას არ უდევსთ ხოლმე ჯიბეში მგზავრთ, ისე გადაივლიან მთას ღამის დროს.

გურიას ერთს ხანს მეტად ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. ზოგნი, ვინც არ იცნობდნენ აქაურობას, ამბობდნენ: ბუნებით ისეთი, ყოჩაღობა აქაურების დაბადებითვე თანდაყოლილი თვისებაა. გურული თუ არა სძარცვავს, თუ ვისმე ყელში არ უჭერს და არ ალრჩობს, ისე გულს ვერ მოუსვენებსო. ყოვე-

ლივე ამ ერთი ფანდამენტური თვისებით უნდა ავხსნათ, კერძო ფაქტი უეჭველად უნდა გავზოგადოებინათ; ერთი ვინმე რამე სოფლელკე ჩაედინა, უეჭველად ბუკითა და ნაღარით დუ-ნიასთვის უნდა შეეტყობინებინათ, შეხეთ გურულებს, ჩვენე-ნის ძალს უფრთხობენ, მათზე ახი იქნება, სულ ავყრიდეთ ჯვე-დენათ კმაროდა, გურულს მარცხალ, სრულიბით უნებლიეთ, რომე კანონის წინააღმდეგი დამართნოდა, მაშინათვე ფეხ-ზე დადგებოდნენ ყველანი: არიქათ, შეიკრიბეთ, გაწკეპლეთ, ჩააგდეთ ბნელეთში, მზის სინათლეს დაანატრეთ, ეგზეკუ-ცია ჩაუყენეთ ოჯახში, არც კი დასცილდნენ, ბოლოში მოე-ხადა დამნაშავეს. ისე გაბოროტებულნი ლანძღვით, ისე თვა-ლის დახამხამებაში შეჰლახავდნენ მისს თავმოყვარეობას, მისს წმიდათა-წმიდას, რომ კაცი აღშფოთებული ცდილობდა ფირალად გავარდნილიყო, ე. ი. ისეთ კაცად იქცეოდა, რომლისათვისაც არ არსებობდა, როგორც ფრანგები ამბობენ, ni foi, ni loi. გურული ფირალი უკანასკნელის სისტემისა თოფს იყიდდა, პა-ტრონებით დაიტვირთებოდა და გავარდებოდა. საგანი გავარდ-ნისა ორი ჰქონდა: ერთი—შური ეძია შეურაცხმყოფელზე და მეორეც—თავი დაეფარა მდევნელთაგან. ფირალი დათარე-შობდა, რასაკვირველია, მანამდე, სანამ არ მოჰკლავდნენ სადმე. საკვირველი ის იყო, რომ მოკლულის გაცივებას არც კი აც-ლიდნენ, მაშინათვე მისს ადგილში მეორე ჩადგებოდა, გაიჩენ-და ამხანაგებს და ძილს უფრთხობდა ყველას, როგორც ადმი-ნისტრაციას, ისე მშვიდობის მოყვარე მცხოვრებლებს.

ცხელი წელში სწყდებოდა, რომ ღონეს არა ჰლონობდა ფი-რალობის ამოსაკვეთად, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც ბოლო არ ელებოდა. იტყოდით, ერთის ხანს თითქოს დასცხრნენო, ესე არის, თავისუფლად ამოვისუნთქავთო და გაიხედავდით, ერთ-ბაშად თოფის წამალსავით იფეთქავდნენ ისევ. არავინ ჰფიქ-რობდა, გურულის ბუნება გაეცნოს, მისი თვისება გამოეკვლია. აქაც იმავე ზომასა ხმარობდნენ, რასაც სხვაგან, სრულებით წი-ნააღმდეგის ტემპერამენტის ხალხთანა ხმარობდნენ. ეს აუწონ-დაუწონლობა იყო მიზეზი, რომ ცდა ყოველთვის უნაყოფო-

და რჩებოდა გურიას ფირალობა დამოკლესის ხმალსავით და-ჰკიდებოდა.

ზევითა ვსთქვით, ეს სამი-ოთხი წელიწადია, გურიამ ფი-რალებისაგან შეისვენაო. დიახ, ფირალობა დღეს აღარ არის, მაგრამ მეორე სენმა იჩინა თავი—ქურდობამ. დღეს ყველანი მთელს გურიაში ქურდობის გახშირებას უჩივიან. განსაკუთრე-ბით ემდურიან მწყემსებს, რომლებიც ზუგდიდის მაზრიდან გად-მოდიან აქ თავისის ჯოგით და ზამთარში ბარადა რჩებიან გუ-რიელების მამულში და ზაფხულობით მთებზე ადიან. თუ რამე დაიკარგება, ბრალი ამ მეჯოგეებსა და მათთან სტუმრად მი-სულ ნათესავ-ნაცნობებს ედებათ. მართალია, ადმინისტრაცია მონდომებულია, გურულების საკუთრება დაიცვას, მაგრამ ჯერ-ჯერობით სენი მაინც არა მცირდება.

ერთხელ კიდევ შეასვენა აქაფებული ცხენები მეეტლემ მეორე დუქნის წინ და გასწია ოზურგეთისაკენ. აჰა გავიარეთ „ვაშნარი", სადაც მდ. სკურდუმისა და ნატანების შესართავთან, ფრანგების ცნობილ მოგზაურის Dubois de Montpereux-ს თქმით, უნდა იყოს ძველად სახელ-განთქმული და უდიდესი ქალაქი რომაელებისა Petra, ანუ, გურულების „უჩინარი". აი რას ამ-ბობს ცნობილი მოგზაური ამ ადგილის შესახებ: „... გავჩერ-დით ამ მეთოთხმეტე ვერსტზე (ზღვიდან ოზურგეთის გზაზედ), სადაც მდ. სკურბედი (აშკარაა, პატივცემული მოგზაური ამ სა-ხელს შეცდომითა ხმარობს, გურიაში ამ სახელის მდინარე არ არის, სკურდუმი კი არის. Dubois-ს „სკურბედი" და აწინდელი „სკურდუმი", უეჭველია, ერთი და იგივეა) მდ. ნატანებს ერ-თვის, დიდის ხნის წიფლების ქვეშ. ხავს-მოკიდებული ნანგრე-ვები ხეების უშველებელ ფესვებზედ ცნობის-მოყვარეობას მეტად ძრავს. თანახმად ამ ქვეყანაში (გურიაში) დარჩენილ ზეპირ-გად-მოცემისა, მე ვიფიქრე იქ, სადაც დიდის ხნის წინედ, შეიძლება 1,000 წელიწადიც იყოს ამას აქედ, არსებობდა გურიის ერთი უდიდესი ქალაქთაგანი". აქ ყველგან სიმდიდრე იყო ჩაფლუ-ლი, მაგრამ ვერავინ მიაგნო ვერც წინედ და ვერც შემდეგ

ამიტომ, ემავე ხეპირ-გადმოცემის თანახმად, „ჭუჩნარი“ დაერქვა“ *).

ქალაქი ჭუჩნარი, Dubois-ს თქმით, რომელიც ემყარება ბერძენთა მწერალს პროკოპიუსს, ძველადვე ცნობილი პეტრა იყოვო. ბიზანტიის იმპერატორ იუსტიანიანე I-ის დროს რომაელებს მოუკიდნიათ აქ ფეხი და დაუარსებიათ სიმაგრე. სპარსთა მეფის ხოსროს დროს ეს ქალაქი სპარსელთ დაიპყრეს. მერე 532 წ. ქრისტეს შემდეგ სპარსელთა და რომაელთა შორის ზავი ჩამოვარდა და ისევ რომაელნი დაჰპატრონებიან. პეტრას ციხე-ქალაქს იმავ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონია მიქცეული ყველასაგან. 550 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ პეტრა დანგრეულ იქმნა.

მხოლოდ საქმე ის გახლავსთ, რომ ბ-ნის დიუბუას ნათქვამი ქალაქ პეტრას ადგილ-მდებარეობის შესახებ ბერძნების ისტორიკოსთა ნათქვამს არ ეთანხმება. აი რასა ვკითხულობთ ამ ქალაქის შესახებ: „კოლხიდა'ში“ საზღვისნაპირო ქალაქია პეტრა, შავის ზღვის (Pontum Euxinum) ნაპირად. პირველად ეს ქალაქი უბრალო დაბა იყო და ბევრი არავინ იცნობდა, მაგრამ იმპერატორმა იუსტინიანემ მაგარი კედელი შემოავლო და უხვად შეამკო, **) მეორე ალაგას აი როგორ აგვიწერენ ამ ქალაქს: „...პეტრა ზღვიდან მიუვალი იყო, რადგან დაკიდული კლდეები ერტყა ყოველ მხრივ, მხოლოდ ერთის მხრით მიუდგებოდა კაცი, ვაკიდან, მაგრამ ეს ვაკეც განიერი არ იყო, უზარმაზარ და დაკიდულ კლდეებ შუა მოქცეული ***).

აშკარაა, პატივცემული მოგზაური ანგარიშში უნდა სცდებოდეს, როცა ბრძანებს, რომ ძველი პეტრა ახლანდელს ვაშნარში ჭრისო. ამიტომ რომ, ძველთა ისტორიკოსთა აღწერით, პეტრა გაშენებული ყოფილა ჯერ ერთი შავის ზღვის პირას და

*) Dubois de Montpereux: „Voyage autour du Caucase“. tome III, page 87.

**) იხ. რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი: „ცნობანი ბერძენთა და რომაელთა ძველ მწერლებისა კავკასიის შესახებ“, შტრიტერის „Memoriae populorum“-დან ნათარგმნი კ. განის-მიერ. ნაწილი II, გვ. 79.

***) ibidem გვ. 80.

მეორე ცოკლოდიან ქედზე, ხოლო „ვაშნარი“, სადაც სკურ-დები მდ. ნატანებს ერთვის, ვაკე ადგილია, კლდის ნასახიც არ არის, და აქ აშენებულ ციხეს ყველა მხრიდან მიუდგება კაცი.

ოზურგეთს ვუახლოვდებით. მოხუცი თანამგზავრი დასცხ-რა ლაპარაკით მოღლილი, იმახლოდ იძახდა, ნეტავ, თქვენის სი-ცოცხლით, ჩქარა მივიდე ჩემს დუაბზუში და ლოთმის გემოს ვნა-ხავო. რამოდენიმე მსუბუქი აღმართები ავიარეთ. გავედით ნა-ტანების ხიდზე და ოზურგეთის სახლებიც გამოჩნდა. ორი საათის და ნახევრის მოვუნდით გზასა, უკვე ოზურგეთის ქუჩაზე დაადგეს ცხენებმა ფეხები. ოზურგეთი ტყეში ჩადგმულ ქალაქს წარმოადგენს. მაგრამ სანამ ამ პატარა გურიის დედა-ქალაქზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროდ ვსთვლით საზოგადოდ გუ-რიის შესახებ ვსთქვათ რამე.

ლიტერატურა გურიის შესახებ, განსაკუთრებით ძველი, ძალიან ღარიბია. მგზავრებსაც ეს კუთხე საქართველოსი როგორ-ღაც ყოველთვის განზე რჩებოდათ. ის ცნობები, რომლებ-საც ძველი მწერლები გვაძლევენ გურიის შესახებ, მეტად მწი-რის ხასიათისაა.

გურია აქვს აწერილი ბატონიშვილს ვახუშტის თვისს „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა“-ში, რომელიც ქარ-თულ-ფრანგულად გამოცემულია ჩვენის ქვეყნის წარსულის დაუღალავის მკვლევარის, აკადემიკოსის მარი ბროსსე მიერ; გურიაში უმოგზაურნია და ოზურგეთს გარდა, რამდენიმე გუ-რიის სოფელი უნახავს 1831 წელს ფრანგების ცნობილს მო-გზაურს Dubois de Montpereux-ს; დასასრულ, გურია გამოკვლე-ული აქვს არქეოლოგიურად ჩვენს ისტორიკოსს დიმ. ბაქრა-ძეს, და მისი მოგზაურობა აღწერილია ამ 20 წლის წინეთ გა-მოცემულ წიგნში.

თანახმად ბატონიშვილის ვახუშტის აღწერისა, ძველს გუ-რიას დიდი ადგილი სჭერია, გაცილებით დიდი, ვიდრე ახლა უჭირავს.

„მზღვარის ამ გურიისა: აღმოსავლით მთა ფერსათი, სა-მცხე-გურიის შორისი და საჯავახოს შორისც; სამხრით—ჭო-

როჩხის მდინარე და მისი მცირე ფერდობებიდან ჩამოსული; დასავლეთ—აჭარა-გურიის შორისი; ჩრდილოეთ—რიონი, გურია-ოდიშს შორისი და დასავლეთ—შავი-ზღვა“ *).

დღეს, როდესაც ქობულეთი ჩამოცილებული აქვს გურიას, წინანდელი სივრცე შესამჩნევად დაპატარავებულია, სახელდობრ, მთელი გურიის სივრცე, რომელიც შეადგენს ერთს ოზურგეთის მაზრას, შეიცავს 1980,16 კვადრატულს ვერსტს ანუ 206,264 დესიატინას. ზედ დასახლებულია 88,760 მკვიდრი, ანუ 43,8 კაცი ოთხკუთხ ვერსტზედ. ახლანდელი სამზღვრები შემდეგია: სამხრეთით—მდ. ჩოლოქი და აჭარა-გურიის მთა; დასავლეთით—შავი ზღვა; ჩრდილოეთით—რიონი, რომელიც სამეგრელოდანა ჰყოფს გურიას და აღმოსავლეთით—ნიგოითის მთა, აჭარა-გურიის მთიდან გამოშვებული, რომელიც გურიას იმერეთისაგანა ჰყოფს.

1831 წელს, როცა რუსეთმა გურია დაიპყრო, გურიის მკვიდრნი აღუწერიათ, როგორც დიუბუა ამბობს. მაშინ გურია ორს სამოურავოდ განიყოფებოდა: ერთი იყო ოზურგეთისა და მეორე—ნაგომარისა. ოზურგეთის სამოურავოში სცხოვრობდა 18,430 სული ორისავ სქესისა და ნაგომრისაში—18,270; ორშივე ერთად—36,700 სული ანუ 4,300 კომლი, ე. ი. კომლზე $8\frac{2}{5}$ სული. ამ ანგარიშით ყოველ კვადრატულ ვერსტზე (დიუბუას მთელი სივრცე მაშინდელის გურიისა 1,800 ვერსტადა აქვს აღნიშნული) $20\frac{7}{18}$ სული მოდის. როგორც ამ ციფრებიდანა სჩანს, 65 წლის განმავლობაში გურიაში მცხოვრებთა რიცხვს ორჯერ მეტად უმატნია.

ზემოხსენებული მცხოვრებნი გურულები არიან, მართლმადიდებელნი, გარდა რამდენისამე ქართველ-კათოლიკეთა (თუმანიშვილის გვარისა), ოზურგეთში დასახლებულთა და სოფ. აჭის მცხოვრებთა, რომელნიც ეროვნებით ჩვენნი მოძმენი არიან, გარნა სარწმუნოებით—მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელნი.

*) ბატონიშვილი ვახუშტი „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა“, გვ. 414.

საინტერესოდ მიგვაჩნია თვითონ სახელის „გურიის" ახსნა. სამწუხაროდ, ადგილობრივმა გამოკითხვამ ბევრი ისეთი, მართლა ხელ-ჩასაჭიდი, საბუთი ვერ მოგვცა ამ სახელის ასახსნელად.

ძველი მწერლები გურიას გორგურის ეძახდნენ: „აქ (იბერიაში) არის თემები: **გორგური** *), კორია, კახეთია" და სხვ. სიტყვა „გურია" იმავე მწერლებს რამდენსამე ალაგას აქვსთ მოხსენებული, მაგრამ არა თემად და ნაწილად იბერიისა, არამედ ქალაქად**).

ბატონიშვილი ვახუშტი აი რას მოგვითხრობს ამის თაობაზე: „ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ (გურულებმა) არღა-რა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვისა, რომელნი იყუნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი***), ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთვნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს გურიაობით განდგომილნი და ენა მათი, რომელსა უბნობენ მესხური, და იმერთაებრ.****).

ჰკუაში მოსასვლელია ეს ახსნა. გურული ფიცხია, „გულწყრალია", ვახუშტისა არ იყოს; თუ ჰგონია, რომ, ოდნავაც არის, შეურაცხყავით, არ დაგინდობსთ, თავი ცოცხალი არ უნდა, თუ სამაგიერო არ გადაგიხადათ.

ახლა ყური დავუგდოთ ქართულ-ქართულ ლექსიკონის ავტორს. საბა ორბელიანის ლექსიკონში (გვ. 64) **გურიაობა** ახსნილია შემდეგის სიტყვებით: „მიდევნება არევით". მართალია, ეს სიტყვები, თითქოს განდგომას არ ნიშნავდეს, მაგრამ დაახლოვებით ამ ახსნით მაინც ის აზრია გამოთქმული, რომ გურია, რომლის მკვიდრთა თვისებას, სხვათა შორის, შეადგენს გურიაობა, ნიშნავს დაუცხრომელთა, უწესრიგობის მოყვარულთა სამყოფელს.

მეგრულად **გური** გულსა ნიშნავს, **გურამი** — ებრძვიანს, გულიანს; მცნება **გულადიც** ამ სიტყვით აღინიშნება. სქემატის

*) „ცნობანი ბერძენთა და რომაელთა მწერალთა" ტ. II, გვ. 56.

**) Ibid. გ.გ. 3 და 56.

***) ეს სტეფანოზ საქართველოში მეფობდა უბრალო მთავრის სახელით 600—619 წლებში. შენიშვნა ბროსესი.

****) ვახუშტის „ღეოღრაფია", გვ. 64.

გახლავსთ, რომ გურული ცნობილია ბრწყინვალებით, ან, როგორც თვითონ ამბობენ, კუჭიანობით, და ამასთან—გულადობითაც საქართველოს პროვინციებში სწორ-უპოვარია. ვექვთ, ვინმე წინააღმდეგის აზრის დამტკიცება დაგვიწყოს. გურული და გულ-ფიცხი მეგრელს სინონიმებად მიაჩნია.

მივმართოთ ახლა ფრანგების მოგზაურს ბ-ნს დიუბუა დე მონპეროს. ეს მოგზაური ბრძანებს: „აქ (ქალაქ პეტრაში, რომელიც, მისის აზრით, ახლანდელს ვაშნარში უნდა ყოფილიყო, თ. ნ. ნაკაშიძის მამულზე) მცხოვრები ურიები ყველაზედ მეტნი იყვნენ. ამათ თავის სახელი დაარქვეს გურიას ანუ ჰურიას" *)

„ზეპირგადმოცემა „უჩინარის" (იგივე პეტრა, რომელზედაც ჩვეითა გვქონდა ლაპარაკი) შესახებ,—ამბობს დიუბუა,—ამტკიცებს, რომ ურიებს, რა სახელსაც ქართველები ებრაელებს ეძახიან, ძლიერი ახალშენი ჰქონიათ გურიაში და მისს აწ დაქცეულს ქალაქებში. იქნება, სპარსელებმა, როცა იუსტინიანეს დროს აქ (პეტრაში) მოიკიდეს ფეხი, თან მოიყვანეს ურიები და აქ დაასახლეს, ან შეიძლება, ქართველებმა სპარსთა და ურიათა სახელები ერთმანეთში აურიეს. შეიძლება, ერთიც იყოს და მეორეცა. ეს სახელი უფრო სპარსელთ შეჰფერის და მათს კულტს ცეცხლის-მსახურებისას, ვიდრე ურიებს. ყველამ იცის, რომ თავი და თავი აზრი ხოსროს (სპარსთა მეფის) ბატონობისა—ცეცხლ-მსახურების გავრცელება იყო. ჰური განა ცეცხლის-მსახურთა არა ჰქვიანთ? ურ ებრაულის ენის ძირიაა და ნიშნავს ცეცხლს, სინათლეს" **).

ჩვენის ისტორიის დაუღალავი მკვლევარი მარი ბროსე არ ეთანხმება ბატონიშვილს ვახუშტს: სახელი გურია აწინდელს ოზურგეთის მაზრას მისთა მკვიდრთა თვისებების „გურიაობისა"-გან (ღრევა-აჯანყება) არ უნდა დარქმევოდესო. მით უფრო, რომ ამ ახსნას ისტორიულად საფუძველი არა აქვსო. გურიელის სახელი XIV საუკუნიდგან გვხვდება ტრაპიზონულ გუჯ-

*) Dubois de Montpereux, t. II, page 87.

**) ibid. გ. გ. 91—95.

ჯარში, ე. ი. 100 წლის წინად გურიის გაცალკევებამდე, ბროსე ჰფიქრობს, რომ ეს სახელი, შეიძლება, ზოროასტრის სარწმუნოების აღმსარებელთაგან გებრებისაგან (ქებრ სპარსული სიტყვაა, ნიშნავს ცეცხლის თაყვანის-მცემელს) წარმომდგარი, რომელთაც გუარიც (guare) ერქვათ; ამათ მე-VI საუკუნეში რამდენიმე ხანს ეპყრათ გურია, როცა მეფე იუსტინიანესა და ხოსროს შორის ომი იყო ლაზისტანის გამო, რომლის ნაწილსაც მაშინ გურია შეადგენდა. „ამ აზრის დასამტკიცებლად, დიუბუამ, რომელიც ამ ქვეყანაში (გურიაში) 1833 წელს მოგზაურობდა, მიხვდა, რომ შემოქმედში (ოზურგეთიდან 6 ვერსზეა) ათეშგაჰის ნაშთი ვიპოვეო. ან, შეიძლება, ეს სახელი ურიებისაგან იყოს წარმომდგარი, რომლებიც, მოსე ხორენის ნათქვამის თანახმად, ტყვედ მოჰყვა ნაბუქოდონოსორმაო. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი Bulletin scientifique-ში გვარწმუნებს, რომ გურია ნიშნავს ურიების სჯულის მიმდევარს, Judaisant, რადგან ამ მხარეში ძალიან ბევრი ურიებიაო". *)

თუ ამ აზრს დავემყარებით, რომ გურიამ თავისი სახელი ურიებისაგან დაირქვა, მაშინ ამის დასამტკიცებლად, სხვათა შორის, შეგვიძლია დავასახელოთ ის გარემოება, რომ აქ, გურიაში, თუმცა დღეს არ არიან ურიები, გარნა კვალი მათი კი არის დარჩენილი. ჯერ ერთი, გურიაში ისეთი სახე შეგხვდებათ აქაურ მკვიდრთა, რომ ურიის სახისაგან ვერ გაარჩევთ; მეორეც, დღეს ოზურგეთში მთელი გვაროვნობაა ურუშაძეებისა. ამ გვარის ურიული ჩამომავლობა ყოველსავე ეჭვს გარეშეა. თითქმის ყველანი ამ გვარისანი ვაჭრობას მისდევენ, ისინი შეადგენენ უდიდეს ელემენტს ოზურგეთის ვაჭრებისას.

ხოლო ერთი პოეტური ლეგენდა, რომელიც დარჩენილა ქობულეთში და რომელიც „მეჯერიაშიაც" იყო აღნიშნული, რადიკალურად ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ აზრს გურიის სახელწოდების შესახებ. იმ დროს, როცა [illegible] ურიებსა და [illegible] მიაწერენ გურულების სახელი, ეს ლეგენდა სცდილობს პოეზიით გავიდეს

*) ვახუშტის ღეოღრაფია, სხოლიო ბროსსესი, გვ. 414—415.

ფონს. არა გვგონია, მეტი იყოს, მკითხველს ეს ლეგენდაც გავაცნოთ.

იყო ინდოეთს მეფე შედათი, კაცი იმდენად გულზვიადი და კადნიერი, რომ ედემი გააშენებინა, ერი ღმერთად მიმჩინევსო. ედემი, მართლა, საუცხოვო სანახავი იყო და სწორედ სამოთხესა ჰგვანდა, მაგრამ ერთი წუნი ჰქონდა: „რა სამოთხეაო,—კრძალვითა და მოწიწებით მოახსენეს შედათს,—როცა შიგ ანგელოზნი არ არიანო“!

მეფემ მაშინვე მიუწოდა თავისს მხლებელთ და უბრძანა, დაიარეთ მთელი ქვეყანა და, საცა კი ნახოთ „გურიები“ (ლამაზები), მე მომგვარეთო; მეფეს უნდოდა ეს გურიები სამოთხეში დაესახლებინა.

მხლებლებმა შეასრულეს ბრძანება მეფისა, შეჰკრიბეს „გურიები“ მთელის ქვეყნის პირზედ და გაემართნენ ინდოეთს. კავკასიაში რომ მოვიდნენ, აქ შეიტყეს უცებ, რომ ღმერთმა უწყალოდ დასაჯა შედათი კადნიერებისათვის; დაახვია უმრავლესი კოღო და ჭინჭლა, რომელთაც ისე დაჰკბინეს უბედური მეფე, რომ რუმბივით დასივდა და მალე სულიც განუტევა.

„გურიებმა“ მოისმინეს ეს ამბავი და გადასწყვიტეს, ნუღარ დავბრუნდებით ჩვენ-ჩვენს ქვეყანაში, დავრჩეთ აქ, ამ ტურფა მხარეშიო, რომლის მშვენებამ ისე მოჰხიბლა გურიები, რომ მართლა სამუდამოდ დასახლდნენ კავკასიაში.

დასასრულ, ერთს ამბავსაც აღვნიშნავთ, გურულებიდანვე გაგონილს გურიის სახელის გამოსარკვევლად: გურიის რომელიღაც მთავრის დროს სასახლეში ლაპარაკი ჩამოვარდნილა, რათ დაერქვა ჩვენს მხარეს „გურიაო“? ერთს იქ დამსწრე თავადთაგანს ასე უხსნია ეს კითხვა: საქართველოს სამეფოს ძლიერების დროს, როცა მისი საზღვრები აღმოსავლეთით თეთრ-ზღვასა სწვდებოდა და დასავლეთით ტრაპიზონამდე მიდიოდა, გურია გულად (მეგრულად გური—გულია), შუალაგად ითვლებოდა ჩვენის ტურფა მამულისა.

თ. სახოკია

(გაგრძელება იქნება).

# ა ფ ხ ა ზ ე თ ი

(ეტნოგრაფიული მასალები).

## VI*)

### ზოგი რამ ჩვეულება ბავშვების დაბადების და აღზრდის დროს.

ახალგაზდა აფხაზის ქალი შეიტყობს თუ არა, ორსული გა-რო*), ამ ამბავს არავის უმხელს, მით უფრო უფროსებს: დედამთილ მამამთილს, დედ-მამას, უფრო რძალ-მულს. სიკვდილს არჩევს და შე-რადაც არ გაუბედავს გაუმხილოს ამათ თავისი ახალი მდგომარეობა. რომ უთხრას, მისის აზრით, ხომ შეარცხვინა როგორც ოჯახი, აგრეთვე თავის თავი! სირცხვილია ეს, და ხომ სირცხვილის ნახვას სიკვდილი ურჩევნია აფხაზს! მამა კაცს, ვინც უნდა იყოს ის, გარდა ქმრისა, ახალგაზდა ფეხ-მძიმე ქალი არ ეტყვის თავის ორსულობას. ქმარსაც კი სააუგოდ მიაჩნია ეს გარემოება ვისმე უთხრას, ნამეტნავად ხნით მაზე უფროსს. აქაც მოციქულია საჭიროო: ახალგაზდა ორსული ქალი ვინმე უმცროს ქალიშვილის პირით შეატყობინებს დედამთილს, თუ დედას თავისს გარემოებას. ამით მაინც არ შეიცვლება მისი, ორსულ ქალის მდგომარეობა: ის თავისთავ-

*) უმნიშვნელოდ არ მიმაჩნია შემდეგი ანეკდოტი მოვიყვანო აქ: ერთი ორსული ქალი მაკე ცხენზე იჯდა თურმე და აღმართზე მიდიოდა; ქალს შეეცოდა ჰაკი, ჩამოხტა და აღმართი ფეხით ავიდა. მაშინ ჰაკმა უთხრა ქალს: „რადგან დღეს ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობას შეჰხედე შენ და შემიბრალე, ამიტომ ვსთხოვ ზენას, რომ ჩემ მაგიერ შენ ცხრა თვეს გატარებინოს შვილი მუცელში, მე კი შენი ვადა თორმეტი თვე მომცესო“. ღმერთმა უსმინა ჰაკს ვედრება და შეუსრულა: მას შემდეგ ქალი ცხრა თვეს ატარებს შვილს მუცელში, და ჰაკი—12 თვეს. უწინ კი—ჰაკი 9 თვეს, ხოლო ქალი—12 თვეს ატარებდა შვილს მუცელშიო.

ტიქტურს მოთხოვნილებას აქვემდებარება; მისთვის ჩვეულებრივი ცხოვრება არ შეიცვლება: არცა სასმელ-საჭმელში, არც ტანისამოსში, არც არაფერში, რაც მავნებელია ორსულ ქალთათვის, გარჩევა არა აქვს. მუშაობასაც კი არ იშლის ხოლმე. მის სიცოცხლის ერთფეროვნებას ორსულობით გამოწვეული «მორცხვობა» თუ შესცვლის, თორემ სხვა არაფერი.

ფეხ-მძიმობით გამოწვეულ ჟინიანობას არავინ უშლის აფხაზ ქალს. ამ შემთხვევაში თუ დედა, ან სიდედრი რაიმე დარიგებას აძლევს ორსულ ქალს, ამას აძლევს ნართაულად, გაკვრით, ან და სხვა ვისიმე პირით; პირდაპირ არ მისცემს დარიგებას, რომ ამით «სირცხვილში არ ჩააგდოს» ფეხ-მძიმე ქალი.

მიუწვდომელობით და ტანჯვით მოსილ შვილოსნობა-მშობიარობამ აფხაზს გამოაგონებინა სხვა-და-სხვა საშუალება-მსხვერპლნი, რომლითაც ის ცდილობს ამ მოვლენით გამოწვეულნი ტანჯვა-ვაებანი შეიმსუბუქოს და შვილოსნობა წინდაწინ კურთხეულ ჰყოს. აფხაზი ყოველ უბედურობაში თავის თავს ხომ დამნაშავედ სთვლის: ალბად, ვერ ემსახურა რიგისამებრ ვინმე უზენაესთაგანს, რომ მან სანაცვლოდ მოუვლინა მწუხარება. აი, ამიტომ, დაუდგება თუ არა მშობიარობის დრო ფეხ-მძიმე დედაკაცს, მისნი ნათესავნი იღონებენ ყოველსავე ღონეს, რომ მისით ავი შეავედრონ სხვა-და-სხვა უზენაეს არსებათა, რათა მათ შეუმსუბუქონ შვილოსნობა-მშობიარობა. როგორც მშობიარე ქალი დაიწყებს ტანჯვას, მაშინვე ბებიად ქალად ამორჩეული დროული ქალი შეავედრებს მისს თავს «უფროსთ». ეს «უფროსნი» არიან «აძვნა—იუოუ» (გარეშე, კარში მყოფნი,— მგონია, წინაპართა სულნი), «აყაჭარა» (აყ—სორცა, აჭარა მთავრობა, ესე იგი, გვარის, ოჯახის მფარველი), «აძგილ-ჭვა» (აძგილ— დედა-მიწა, ჭვა—სთვის, «მიწისთვის») და სხვა.

საწინდრებით ცდილობენ ხოლმე შეისყიდონ თვითეულის ამათგანის გული. «აძვნა-იუოუ»-სთვის ბებია ქალი საწინდრად სდებს რაიმე სპილენძის ნივთს, მაგ., სპილენძის ქვაბსა, ტაფას, ან სხვა რასმე. ამ საწინდარს მშობიარე ქალის თავს შემოავლებს და ეხვეწება «აძვნა-იუოუ»-თ, რათა მათ შეუმსუბუქონ საწყალ ქალს ტანჯვანი, რისთვისაც ჰპირდება მათ «კარგ» მსხვერპლის შეწირვას, და ამის

შემდეგ ამ ნივთს შეინახავს მიუვალ და წმინდა ადგილას; ქალმა შეინახოს. «აყაჭაა»-სთვის საწინდრად ხმარობენ ჩხირს, ან ბოთლს (სხვა არ შეიძლება). ამასაც იმავე დოცვით შემოახვევენ თავზე და ინახავენ. «ადგილ-ჭვაა» საწინდარს ასე ხდებენ: იმ ჭალაკზე, სადაც იბადება ბაღანა, ბებია ქალი გააგორ-გამოაგორებს ხუთს ქათმის კვერცხს და დედა-მიწას ესვეწება შეუმსუბუქოს მშობიარე ქალს ტანჯვა-ვაება. ამათგან ოთხს კვერცხს სასთუმლის თავთან ჯვარედინად ღრმად მიწაში დამარხავს, მეხუთეს კი—დროებით ინახავს მიუვალ ადგილზე. ზოგადი სახელი ამ საწინდრებისა არის «ასინაჭეტყა» (შემოსავლები თავზედ), ან კიდევ «ამშხა» (საწინდარი).

მშობიარობის დროს აკვალმეოდს რომ ვინმე მამა-კაცთაგანი, გინდ ქმარი, ან მამა იყოს, დაესწროს, ეს, აფხაზის აზრით, დიდად სამარცხვინოა, და ეს «მორცხვობა» ხომ აფხაზის ცხოვრების დედა-ბურჯია! საწყალი მომავალ ბაღანის მამა ამ დროს სადმე მეზობლებშია მიმალული და არ ეჩვენება უფროსებს, რომ ამ «ჩვენებით» «ამისთანა» დროს არ შეურაცხყოს მოხუც აფხაზის გრძნობა ზრდილობისა თავისის უზრდელობით. მშობიარე ქალისთვის, როგორც ზოგან იციან ეს (მაგ. სვანეთში), ცალკე სახლი არ არსებობს: ის იმავე სახლში შობს შვილს, რომელშიაც სცხოვრებს ჩვეულებრივად «ამჭარაში».

რაც უნდა გაჭირვება დაადგეს საცოდავ ქალს, მაინც არ მოაწევენ ექიმს.

მშვიდობით გადარჩა ქალი და დაიბადა ბაღანა. მაშინვე ახლო ნათესავნი მამაკაცნი დაიწყებენ სროლას და ამით იტყობინებენ თავის სიხარულს. თუ ვაჟია ბაღანა, მას თავ ქვეშ უდებენ ტყვიას, რათა ის კარგი მსროლელი გამოვიდეს და, საჭიროების დროს, მტრის გულის გამგმირავი. ვაჟის დაბადება საზოგადოდ აფხაზეთში უფრო სასიხარულოა, ვიდრე ქალიშვილისა. ახალგაზრდა დედას სირცხვილად მიაჩნია უფროსებთან ალერსი დაუწყოს თავის შვილს; მამა ხომ დიდ ხანს უფროსებთან არ იკარებს თავისას წვილს, ვითომ სირცხვილიაო.

მშობიარე ქალი ცოტა რომ მოღონიერდება, მაშინ შეუდგება საწინდრების «დახსნას» («ახსნას») და განაპირების შესრულებას, [illegible]

სხვა რამე ავადმყოფობა არ წაემატა, ის დგება ლოგინიდან 14—15 დღის შემდეგ. აი ამ «ადგომის» დღეს აქვთ ახლო-მახლო მეზობლის ქალებს დიდი მეჯლისი, განსაკუთრებით ქალებისთვის განმზადებული. მამა-კაცს, თვინც უნდა იყოს, არ შეუძლიან ამ მეჯლისს დაესწროს და პური ჭამოს. ამ მეჯლისს ჰქვიან «აგლაჰასხაჲა» (ასადგომელისთვის, ადგომის წილი; ქართულად ამას ეძახიან—«ლოგინის აღებასა»). დანიშნულ დღის ორი-სამი დღით წინად მშობიარე ქალის დედამთილი, ანუ დედა ჩამოივლის თავის უბანს და სთხოვს ყველა ქალებს მობრძანდნენ და «აგლაჰასხაჲა»-ს დაესწრონ. დანიშნულ დღეს მეზობლის ქალები აძღვანად მოდიან და მოაქვთ ზოგს ქათმები, ზოგს ჭყლინტი ყველი და სხვ. თუ ოჯახში შეძლებულნი არიან, ამ დღეს ჰკლავენ ცხვარს, ან თხას; თუ არა და ქათამზე გადადიან.

ამ «აგლაჰასხაიაა»-ს დროს შეიხსნიან თავის საწინდრებსაც. ამ დღეს ორს ქათამს—დედალ-მამალს სწირავენ «მიწას» (ადგილ-ჭვამიწისთვის). ესენი იკვლება იმ ადგილას, სადაც ბავშვი დაიბადა. როცა მოიხარშება ქათმები, მლოცველი ქალი აიღებს მათ და ხუთი ეჭვს ნაჭერს ყველიან მჭადისას (აჩუ-მგიალ), საწინდრად უწინ დადებულ ნივთს ჩამოიღებს და ლოცულობს: «ადგილ დედოფალ! (დედოფალო დედამიწავ) დღეს გისრულებს ეს და ეს ქალი თავის დანაპირებს და უმოწყალესად გთხოვს, შენ იყო ამათი (დედა-შვილისა) მფარველი და მწყალობელი: ნუ აუტკენ მათ ნურც კბილსა, ნურც მუცელს, ნურც სხვა რასმე» და სხვა. ამ დედლის ხორცის ჭამა შეუძლიანთ მარტო დროსულ, შვილოსნობა-შეწყვეტილ ქალებს; მამლისა კი მხოლოდ ბავშვის დედ-მამას. ამის შემდეგ საწინდარი თავისუფალია.

ამ «აგლაჰასხაჲა»-ს დღესვე «ადვნა-იყოუ»-სთვისაც დადებულს საწინდარს შეიხსნიან ამ რიგად: განსაკუთრებით ამისთვის მოხარშულ ყველიან-დედლით და რამოდენიმე ისევ მოხარშულ კვერცხებით ლოცულობს ისევ ის მლოცველი ქალი და ამბობს: «ვინც კარში ხართ (ადვნა-იყოუ), ყველას გევედრებათ ეს ქალი, რათა მფარველი იყოთ ყოველ მავნებლისაგან მისი და მისის ოჯახისა.» საწინდარიც ახსნება. ეს ლოცვაში მეოთქმის არამც როგორც ამიხსნეს, სულდი წინაპართა.

«აყაჭარასაც» უნდა მსხვერპლი, რომ ოჯახს და ახალ დაბადებულ ბალანას არაფერი ავნოს-რა, პირიქით თავისი წყალობა გარდმოავლინოს მათზედა. რამოდენიმე პურის ყველიან კვერებით ეკვედრება ბებერი ქალი «აყაჭარასა», «რომ მან კურთხეულ ჰყოს ის კერი, რომლის ქვეშაც დაიბადა ბალანა და, რომლის მფარველიც ის ბრძანდება.» როგორც შევნიშნეთ, «აყაჭარა» ოჯახის მწყალობელი და მფარველი არსებაა.

ამ დღესვე აცხობენ ხუთ კვერს, ყველით გატენილს. ოთხი მათგანი ჩვეულებრივი მრგვალი კვერია, მეხუთე კი ახალ მთვარის მაგვარი. ამ ოთხს კვერს მლოცველი ქალი ბალანას დედის სალოკ თითის და ცერების გრგოლში (ორივ ხელის სალოკ თითებს და ცერებს ერთმანეთს მიადებს) და ამბობს: «დღეის შემდეგ ამისხნისხარო» («ბისშთიტ»—გამიშვიხარ) ნიშნად ამისა, რომ ამ ქალს ასე თავისუფლად დღეის შემდეგ ეშობებოდეს შვილები, როგორც კვერცხები თავისუფლად გაატარა თითებ შუა». მეხუთე ახალ მთვარის მაგვარი მომზადებულია «ჭიპისთვის» («აჭაპან-ჭვა»). დაადებენ რა ამ კვერს ბალანას ჭიპზე, ლოცულობენ, რათა დღეის შემდეგ მას ჭიპი არ ასტკივდეს. *)

შემდეგი სალოცავი და სამსხვერპლო არის «წყალი» (ამძა—წყალი, ამძაჭვა—წყალისთვის). მოხარშულ «წმინდა თეთრ» დედალმამლით და გამომცხვარ კვერებით ისევ ის ბებერი ქალი დედა-შვილით მომდინარე წყლის პირას ლოცულობს ასე: «ძიძლან-ძაჭვაყა» (ღლო, წყალის დედოფალო); შენ იყავი ამათი მწყალობელი და მფარველი დღეის შემდეგ. დღეს აღგისრულეს, რასაც ჩვეულება მოითხოვდა: გემსახურნენ, შეძლებისამებრ, გულწრფელად». და ამით «ძიძლან-ძაჭვაყს» იმადლიერებენ და მფარველად ისდიან.

**აშხვა-ფყარა** (აშხვა—ქუსლი, ფყარა—გაჭრა). თუ ბალანამ დიდხანს არ აიდგა ფეხი, მაშინ მიმართავენ ამ «აშხვა-ფყარას»: გამოაცხობენ ყველით გატენილს მჭადს, ამაზე ნაბდისგ წვრილ ზოლრით შებორკილს ბალანას დასვამენ, და ისევ ის ბებერი ქალი

*) აქ ერთნაირი მუცლის ტკივილს უძახიან „აჭაპან-კაშვარა"-ს (ჭიპის ჩავარდნა-ს). ამ ავადმყოფობის დროს მუცელს უზელავენ, ზურგზე და მუცელზე ადებენ კოტოშს და ამით არჩენენ.

სიტყვებით «უმსუა-ფისუქიტა» (ქუსლი მოგვეცით), «უსიშოიიტა»-ო მასვილ-დანით გაჭრეთო ზონარს, ბაღნის ფეხების შემბოჭველს. ამის შემდეგ მჭადის ნატეხებს ურიგებენ ბავშვებს. ამ უკანასკნელთ თავიანთი ნაჭრები უნდა შეჭამონ სირბილსა და თამაშობაში, რათა მათს მსგავსად «ბაღანამაც» დაიწყოს სირბილი და თამაშობა. თუ, მიუხედავად ამ ჩვეულების ასრულებისა, ბაღანა კიდევ ვერ ადგამს ფეხს, მაშინ მსხვერპლით მიმართავენ «აჭაფა»-ს («აჭაფ — კერას დამცველი, მფარველი; სიმაღლით კერას არ გასცილდება)*). ამ შემთხვევაში მშობლები მეზობლებს მიმართავენ ხოლმე, რომლებიც სწორად შემდეგს საშუალებას ურჩევენ: უნდა მოიტანოს შვიდის მდინარე წყლის წყალი, შვიდის მდინარის კენჭი და შვიდი სხვა-და-სხვა ოჯახის ნივთი (საგუწი რამ), აგრეთვე უნდა მოუყაროს თავი სამს ზებერ დედა-კაცს (სამს თუ გასცილდა, შვიდს), აანთოს შვიდი წმინდა სანთელი, ამასთანავე ფეტვისა და ღომის ფქვილის ქველით მალიან გატენილ მჭადით თავისი კერა დაჭყვაროს (გასუფთავებულ-გაწმენდილ კერას დააკრავს ცომ-მჭადს), და კერას წინ მლოცველი ქალი დგას, ხელში ბაღანა უჭირავს და ამბობს, დახლოვებით შემდეგს: «დიდებულო, აჭაფ, შენ დაგენაცვალე! თუ ეს ბაღანა წყალთან დაიჭირე, გაუშვი, თუ ქვასთან დაიჭირე, გაუშვი, თუ მეზობლისას დაიჭირე, გაუშვი, კერასთან თუ დაიჭირე, გაუშვი! შენ გევედრებით, სადაც დაიჭირე, გაუშვი და აუხსენი ფეხი! შენდა შესავედრებლად შვიდს ზებერს (თუ სამს) თავი მოვუყარე, შვიდის მდინარის წყალი შევაერთე (ერთს ჭურჭელში ასხამს), შვიდი მდინარის ქვა და შვიდი მეზობლის «ნიშანი» (ნივთი რამ) მოვიტანე და გევედრები, ამ ბაღანას ფეხი აუხსნა».

თუ მეზობლობაში ორს თუ მეტ ქალს ერთ დღეს, თუ ერთი კვირის განმავლობაში ბავშვები დაებადათ, ამბობენ, ერთ-ერთი მათგანი დაგლახაკდება, თუ შემდეგი ჩვეულება არ შეასრულეს: ბაღნების დედებმა ერთმანეთის უცოდინარად ერთი-მეორის ბაღნებს თავისი ძუძუ უნდა აწოვონ, ამის შემდეგ ბაღნები ჩვეულებრივ გაიზრდებიანო. ვინიცობაა, ეს ვერ შეასრულეს, მაშინ ერთ-ერთი ბაღანა დაგლახაკდება. ამ შემთხვევაში დაგლახაკებულ ბაღანას «დასასხმელად»

*) „აჭაფ“ — ცეცხლის ღმერთია, მგონი.

მომართავენ «ჭკრიჭინა»-ს: შეჰკრეჭენ სამს ქისას, თითონ მოასწყობენ ოცდაოთხ-ოცდაოთხ თხილს და ამ ქისებს ჩადამის ყამს ბალანსას ხაჭაპურში ამოუდებენ, რის შემდეგაც ერთი კვირის განმავლობაში ბავშვის მამა ქისებს, ერთს—სამშაბათს, მეორეს—ხუთშაბათს, მესამეს—შაბათს, წაიღებს და დაგდებს იქ, სადაც სამი გზა ერთად შეიყრება. ამასთანავე, სთხოვს უზენაესს, შეაკლახავებულ ბალანსას მისცეს ჯან-ღონე.

ბავშვის ცხოვრებაში ციებ-ცხელებაც არ არის დავიწყებული; თუ ჩვილ ბალანსას ხშირად აციებს, მაშინ მიჰმართავენ შემდეგს საშუალებას: ავადმყოფი მიჰყავთ მდინარესთან, იქან წაიღებენ თუნგსაც, ჩოლქსაც, მდინარის დაშვების შემდეგ, ავსებენ წყლით, შიგ ჩააგდებენ რამდენსამე კენჭს (ხშირად სამს). შინ რომ დაბრუნდებიან, ამ თუნგის წყლით ბალანსას ჰბანენ, კენჭებს კი ფრთხილად ინახავენ. ორ-სამ დღის შემდეგ თავისის კენჭებით, ქათმით და ბალანსით მიდიან მდინარესთან. ამ ქათმის სისხლს ჩააწვეთებენ წყალში, იქვე ჩააგდებენ კენჭებსაც და ეხვეწებიან «წყალს», რათა მან ციებისაგან გაანთავისუფლოს ეს ბალანსა. აგრეთვე ციებ-ცხელებიან ბალანსას საცერში გაცრილ წყალს დაასხამენ თავზე; ამბობენ, მალიან უხდებაო.

ჩვენ, რასაკვირველია, ამ წერილში არ ვეხებით იმ ჩვეულებებს და შელოცვა-მისხვრებს, რომელიც ბავშვებთან ერთად დიდებისათვისაც ასრულებენ; ჩვენ მარტო მას ვწერთ აქ, რაც განსაკუთრებით ბავშვს შეეხება(*).

ბალანსისთვის ჩვეულებრივი აღმოსავლეთური აკვანია აქ ხმარებაში. ერთს წლამდის ბალანსას დილა-საღამობით ჰბანენ დღეში ორჯერ. საზოგადოდ, ერთ წლამდის ძალიან სუფთად ინახვენ ბალანსას; ამასვე არ შეიძლება ითქვას მოზრდილ ბალანებზე: აქ სიქაჩლე ძალიან არის გავრცელებული, რაც, უეჭველია, სიბინძურის შედეგია. თითქმის მთელი დღე ბალანს აკვანში ჩაკრული, ბალანა კარში გადის შიგ აკვანშივე: მისი ბაწაწკინა ლეიბი საჯდომთან გამოჭრილია მრგვლად. ამ გრგოლში გაყოფილია მილაკი, ამ მილაქით ბალანსა შარდზე გადის. ამისთანა მოწყობილობა ძალიან სუფთად ინახავს ბალანსას.

საჭმელად, დედის რძის გარდა, ხმარობენ ძროხისა და კამეჩის რძეს და ფაფას (აფშთვრი). ბალღსა ხშირად ორ-სამ წლობით სწოვს დედის ძუძუს, თუ ეს უკანასკნელი არ დაორსულდა. აკვანს ისე აწვენენ, როგორც სხვაგან საქართველოშიც და ამიტომ საჭიროდ არ ვსცნობ, ვრცლად აღვწერო.

სადგომი ბალღისა მჭვარტლიანი ფაცხაა, ავეჯზე მეტი ხომ არაა აბანდის! საცმელიც ღარიბულია და ვიწრო.

აქ ხშირად ხდება, რომ ორი ფეხმძიმე ქალი ერთმანეთის პირობას აძლევს, შვილები ერთმანეთს შევრთოთო, თუ ერთი მათგანი ვაჟი იქნება და მეორე ქალიო. ამ შემთხვევაში ვაჟის დედა მიდის დიდის ცერემონიით და ხშირად საჩუქრით აკვანზედ დაჰკიდებს ხამასის დაუთქმელში უდებს ტყვიას იმის ნიშნად, რომ პატარა საქმრო თავისი საცოლოსი ტყვიით მფარველი იქნება და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ტყვიითვე გულის გამგმირავი მოცილე-მეტოქესი. ამის შემდეგ ქალი დანიშნულია და სიკვდილის მეტს, სხვას არავითარ ძალას არ შეუძლია ამ პატარა არსებების გაშორება. ამასთანა თავისებურ დანიშვნას ჰქვიან აფხაზურად «აგარა-ჩაყვარა» (აკვანზე ნიშნის დაკიდება).

დედის მუცლიდან გამოსაყოლი თმა ბავშვისა დიდად საპატიოა. ის, ვინც ამ თმას გაუკრეჭს ბალღსას, ენათესავება როგორც ბალღსას, აგრეთვე მისს სახლობას. აფხაზის ქალები ბავშვის (ქალიშვილის) პირველ ფრჩხილებს ჩასდებენ ჩონგურში; ამბობენ, ბალღსა, რა გაიზრდება, მალე ისწავლის ჩონგურსაო.

აქ ძალიან გავრცელებულია ბავშვების გაძიძავება. კეთილშობილ ქალისთვის სიკვდილია, რომ მან შინ თავისი შვილი თავისის ძუძუთი გაზარდოს. რაც უნდა ღარიბი იყოს, მაინც უნდა ბალღსა გააძიძაოს. შეძლებულ და გავლენიან კეთილშობილის შვილს აქ იტაცებენ ხოლმე გასაზრდელად. ძიძაობას რამე მატერიალურ სარგებლობისათვის არა ჰკისრულობენ აქაურნი მკვიდრნი. პირიქით, მამამძუძე წაგებაშია. აქ მხოლოდ იმიტომ ზრდიან სხვის შვილებს, რომ თავისი ოჯახი დაუნათესაონ იმ ოჯახს, ვის შვილსაც ზრდიან; არამც თუ ოჯახი, მთელი გვარი ენათესავებათ. სასყიდლისათვის, რაც უნდა ღარიბი იყოს აფხაზის ქალი, მაინც არ გაგიზრდის

ბაღანას: ეს მოჯამაგირობად მიაჩნიათ და, საზოგადოდ, მოჯამაგირობა აფხაზისთვის სამარცხვინოა. როცა ბაღანა მიჰყავს ძიძას, მაშინ იციან ცოტა რამ საჩუქრები ძიძისთვის. ბაღანა რომ წამოიზრდება, დიდის ამბით და საჩუქრებით მიჰყავთ მამისას. ამ ბაღანას წაყვანას აქ ჰქვიან «ცაღრა-გარა». და მაშინ ვალდებულია ბაღანას პატრონი დასაჩუქროს მამამძუძე (აბამძეი) და დედამძუძე (ანამძეი) და აგრეთვე მათი მხლებელნი: მთელი გამზრდელების გვარი ჰფიცულობს გაზრდილის სახელს: ეს მათი წმიდათა წმიდაა.

უფრო წვრილ მხარეებს და ჩვეულებებს აქ არ ვაქცევ მკითხველის ყურადღებას და ამიტომ ვათავებ ამ წერილს. დაბოლოს, არ შემიძლიან მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ერთს გარემოებას: რამოდენი ძალა აქვსთ ახლაც ბავშვის აღზრდის დროს სამს სტიქიონს: მიწას, წყალს და ცეცხლს!

ნიკო ჯანაშია.

## გენერალი ქრისტეფორე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო

(პორტრეტი)

წელს, 6 სექტემბერს, სწორედ სამოცი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კავკასიის ჯარის ერთმა გამოჩენილმა მეომარმა გენერალ-ლეიტენანტმა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილმა პირველად აფიცრის ხარისხი მიიღო.

ჩვენ აქ იმის ბიოგრაფიის წერას არ შევუდგებით. გავიხსენებთ მხოლოდ ზოგიერთ შესანიშნავ ამბებს იმის დიდის ხნის სამხედრო მოღვაწეობიდან, ამბებს, რომელნიც თავისის შინაარსით მეტად საყურადღებო და საგულისხმონი არიან და რომელთაც მოწმეც თვით ის იყო.

კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე დაიბადა 1818 წელს. მან ყმაწვილობა კავკასიაში გაატარა, რომელსაც იმ დროს ერმოლოვი განაგებდა. შემდეგ იგი პავლეს კადეტთა კორპუსში მიაბარეს, საიდანაც პირდაპირ აფიცრის ხარისხით იქმნა გამოშვებული 1837 წელს, იმ წელს, რა წელსაც იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ გააბედნიერა კავკასია თავის აქ ყოფნით. ახალგაზდა მამაცაშვილმა სამსახური პირველად კავკასიის გრენადერის ცხენოსან რაზმთა სწორედ იმ ბრიგადის ბატარეებში დაიწყო, რომელთაც ხელმწიფემ ალლუმის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

კადეტთა კორპუსის გათავების შემდეგ, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე, სამსახურის გასაწყობად, სამაგალითო ბატარეაში იქმნა განწესებული და ტფილისში მხოლოდ 20 დე-

კემბერს ჩამოვიდა, სწორედ ორის თვის შემდეგ რაც ხელმწიფე საქართველოდან წაბრძანდა. თუმცა ხელმწიფე უკვე ორის თვის წასული იყო, მაგრამ ქართველებს ჯერ ისევ ნათლად ახსოვდათ ის ამბები, რაც იმისმა საქართველოში ყოფნამ გამოიწვია და ხალხში ჯერ კიდევ ცხარე მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ. ამ დროის არა ერთი დიდი შესანიშნავი ამბავი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძესაც ახსოვს. იმის სიტყვით, ქართველი თავადები ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ ტფილისს, თან ახალგაზდა შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფესთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა მიეღოთ დიდს სახალხო დღესასწაულში. გაგონილი ჰქონდა დამსწრეთაგან, 9 ოქტომბერს მადათოვის მოედანზე (ან ალექსანდრეს ბაღის ქვემოთა ნაწილი) მომხდარი შემთხვევა, სწორედ განსამართლებული იქმნა დადიანი, აგრეთვე ქართველ თავად-აზნაურთა მიერ გამართული ბრწყინვალე ბალი, რომელზედაც იმპერატორი მეტად მხიარული იყო და რომელზედაც მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოღაშვილის ქალთან, (შემდეგ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეზედ გათხოვილი), ხოლო მეორე — ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან *).

ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა იყო აგრეთვე იმ ამბის შესახებაც, რომელიც ხელმწიფეს ვერის დაღმართზედ შეემთხვა. შეშინებული ხალხი იკრიბებოდა იმ ადგილას და პარაკლისებს იხდიდნენ! და მგონი ამ უკანასკნელი გარემოების გამო იქმნა აღმართული იმ ადგილას ჯვრის მაგვარი ძეგლი ლოცვის სიტყვების ზედ წარწერით.

პირველი ორი წელიწადი თავის სამსახურისა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ ჯელალ-ოღლში გაატარა, სადაც იმ დროს კავკასიის გრენადერთა ბრიგადები იდგა. ის შორს სცხოვრობდა იმ ადგილებზედ, სადაც ომი იყო გამართული და ამიტომ არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო არც ახულგოს თავს-დასხმაში, არც ყუბის პროვინციების დაწყნარების საქმეში და არც

*) ზოლომონოვის [illegible]

გოლოვინის ექსპედიციებში სამურის ნაპირებსა და სამხრეთ დაღესტანში. მხოლოდ 1840 წელს ახალგაზრდა მამაცაშვილი, უკვე პოდპორუჩიკი, გაგზავნილ იქმნა კაპიტანის ვარაპაევის სამთო ბატარეასთან ერთად გენერალ გალაფეევის ჩეჩნის ჯარში, რომელიც ის იყო გროზნაში წასასვლელად ემზადებოდა. ეს დრო ჩვენთვის მეტად სამწუხარო და სავალალო დრო იყო, შავი ზღვის ნაპირებზედ მდებარე სიმაგრეები მთლად ჩეჩნებმა დაიქციეს და გაანადგურეს და ეხლა ხელ-ახლა უნდა შესდგომოდნენ იმის აღდგენა-აგებას. ყუბანზედ ლაზის გამო გაცხარებული ბრძოლა იყო ატეხილი. საჩეჩნეთი გაგვიდგა და მთელი მხარე, სუნჯიდან დაწყებული შავ მთებსა და ანდიის ყოისუმდე, დაემორჩილა შამილის რკინის მარჯვენას, რომელმაც ამ დროს პირველად დაირქვა ჩეჩნისა და დაღესტნის იმამის სახელი. თერგის ნაპირები, რომელიც ჩეჩენის გაქცევის შემდეგ ღვთის ანაბარა იქმნა დატოვებული, ყუმისის და შამხალის ვაკეები—ყველა ეს ადგილები განსაცდელში იყვნენ ჩავარდნილნი. აქ, ამ ადგილებში, მისვლა-მოსვლა მხოლოდ შეიარაღებულ კაცების შემწეობით შეიძლებოდა. გალაფეევის ჯარს აზრად კავკასიის აღმოსავლეთ ნახევარში მშვიდობიანობის დამყარება ჰქონდა.

ეს დრო კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს დაახსოვდა სხვათა შორის იმითიც, რომ მან მაშინ გაიცნო და დაუახლოვდა შესანიშნავს პოეტს მ. ი. ლერმონტოვს, რომელიც თუმცა ტენგინის ჯარში ითვლებოდა, მაგრამ თავგადადებულ ყაზახთა და თათართა თავისუფალ მეომართაგან შემდგარ რაზმს უფროსობდა. ლერმონტოვი, რომელიც ძვირად უახლოვდებოდა ვისმეს, მალე დაუმეგობრდა ახალგაზრდა მამაცაშვილს და მას გულითა და სულით შეუყვარდა საერთოდ არტილერიის ყველა აფიცრები.

მე კარგად მახსოვს ლერმონტოვი,—ამბობს ხოლმე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე—ხშირად წარმომიდგება ხოლმე თვალ-წინ, ხან თავის წითელ ხალათში, ხან კიდევ საყელო გადაწეული და გვერდზედ ჩერქეზულ ხმალ გადაგდებულ აფიცრის უეპოლეტო სერთუკში, სწორედ ისეთი, როგორსაც სუ-

რათებში ხატავენ ხოლმე. ლერმონტოვი დაბალი ტანის კაცი იყო, ფერმკრთალი და დიდი შავი თვალები ჰქონდა. იმისი ბუნება მაღალი და ძნელი მისაწვდენი იყო. თავის ამხანაგებში, გვარდიის აფიცრებთან, რომელნიც იმასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ექსპედიციაში, ის მეტად მხიარული და გულ-გახსნილი იყო. უყვარდა ოხუნჯობა, მაგრამ ხშირად იმის ოხუნჯობა წრეს გადადიოდა ხოლმე და იმისი მოხერხებული და მახვილი ენა ბევრისთვის სასიამოვნო არ იყო. როდესაც მარტო ან გულის მეგობრებთან რჩებოდა, ის ფიქრს ეძლეოდა და მაშინ იმის სახე მეტად გამომეტყველი ხდებოდა. მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე გვარდიელს ფეხი შემოედგა, რომ ის ისევ გამხიარულებულიყო და უწინდელებრ ყველანი სიცილით დაეხოცნა. ამ წუთებში ძნელი გასაგები იყო, რა ხდებოდა იმის სულის სიღრმეში. იმას მუსიკაც უყვარდა, მხატვრობაც, მაგრამ ხატვით მხოლოდ კარიკატურებსა ჰხატავდა. ყველაზედ ძალიან კი მას ჭანდრაკი იზიდავდა, რომელსაც ხშირად თავდავიწყებამდის მიეცემოდა ხოლმე. ლერმონტოვი მუდამ კარგს მოთამაშეებს ეძებდა და ძალიან ხშირად კარავში იმისა და ახალგაზდა არტილერიის პარუჩიკის მოსკალევის შორის მთელი ბრძოლა იმართებოდა. მასკალევი მართლაც კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ ლერმონტოვს მაინც ძვირად უგებდა.*) როგორც შესანიშნავი პოეტი, ლერმონტოვი დიდი ხანია ღირსეულად დააფასეს, ხოლო როგორი აფიცერი იყო—ნამდვილი ჯერ არავის წარმოუთქვამს და დღემდის კამათი ამ საგნის შესახებ არ მოისპობილა. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის აზრით, სამხედრო სამსახურში ლერმონტოვი ძალიან წინ ვერ წავიდოდა,—ამისთვის საჭირო მასალას—მოთმინებას და გამოჯეკას ის მოკლებული იყო. ლერმონტოვის სიმამაცეს საზღვარი არა ჰქონდა, თავის ვაჟკაცობით კავკასიის [illegible] მეჯირითეებსაც კი აკვირვებდა, მაგრამ მაინც [illegible] სამხედრო სამსახურისთვის [illegible] იყო გაჩენილი [illegible] მუნდირის მხო[illegible]

*) 1855 წელს მოსკალევი პოლკოვნიკის ხარისხში კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადას უფროსობდა და ყარსის აღების დროს მოკლულ[illegible].

ლოდ იმიტომ ატარებდა, რომ მაშინდელ სტუკეთესო გვარის ახალგაზდობა გვარდიაში მსახურებდა და ისიც სხვების კვალს უნდა გაჰყოლოდა. ამ ომშიაც კი ის არავითარ წეს-რიგს არ ემორჩილებოდა თავის რაზმით, გზა-კვალ დაბნეული ვარსკვლავივით, ხან აქ ამოჰყოფდა თავს, ხან იქ. ბრძოლაში ისეთ ადგილებს ეტანებოდა, სადაც უფრო საშიში იყო და, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ასეთს ადგილს ძალიან ხშირად მამაცაშვილის ზარბაზნებთან ჰპოვებდა ხოლმე.

ჩეჩენთა წინააღმდეგ ბრძოლა პირველ მაისიდან დაიწყო. ჯარი ჯერ აუხსა და სალატავიაში შევიდა. შემდეგ ყუმისის გადასავლით სუნჯის მარჯვენა ნაპირზედ გაიარა და ბოლოს მცირე საჩეჩნეთს შეესია, სადაც მტერი უფრო მალმალ ხვდებოდა და სადაც ბრძოლა ერთი-ორად უფრო ძნელდებოდა.

პირველი ცხარე ბრძოლა, რომელშიაც მამაცაშვილმაც მიიღო მონაწილეობა და რომელმაც მას ყოჩაღის და მოხერხებულის არტილერიის აფიცერის სახელი გაუთქვა, მოხდა 11 ივლისს, როდესაც ჯარი გოიტინის დაბურულ ტყეში მიდიოდა. მამაცაშვილი ოთხი იარაღით ჯარის ბოლოში იქმნა დატოვებული და ის ყუმბარების შემწეობით მარტოდ-მარტო იგერიებდა თავზედ ხელ-აღებულს და გალომებულ ჩეჩნებს. მათს ვაჟკაცობას და მამაცობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მამაცაშვილთან მაინც ვერაფერი გააწყეს, თავის მოხერხებულის მოქმედებით და უანგარო ვაჟკაცობით, მან მტერი შეაჩერა და შეძლება მისცა მთელ ჯარს ტყიდან პატარა მინდორზედ გამოსულიყო, სადაც, ვალერიკის ნაპირებზედ, გაიმართა მთელი ჯარის ცხარე და სისხლის-მღვრელი ბრძოლა. ამ ბრძოლას თავის სიდიადით კავკასიის ომებში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი მშვენივრად აქვს აწერილი ლერმონტოვს ერთს ლექსში, რომელსაც სახელად „ვალერიკი" ეწოდება და ვისაც წაუკითხავს, აშკარად მიხვდება, რა ხოცვა-ჟლეტა და განსაცდელი გამოიარა ჩვენმა ჯარმა.

ტყიდან გამოსვლისათანავე, მამაცაშვილმა, დაინახა რა ვეებერთელა ხრამი, ხელად თავის ზარბაზნებით უკანიდან მო-

უარა მას და მტერს სეტყვასავით დაუშინა ყუმბარები. მის გარე-შემო, ამ დროს არც ერთი ჯარის-კაცი არ იყო. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ლერმონტოვი გამოჩნდა, რომელმაც შეამჩნია რა არტილერიის გაჭირვება, თავის რაზმით იმისაკენ გაეშურა, მაგრამ მალე მან ზარბაზნებს ისევ თავი მიანება და თვალთაგან მიიმალა; იგი შიგ შუაგულ მტერს შეესია. ეს ამბავი ერთილად ნათლად ახსოვს კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძეს*) ორის საათის საშინელის სასიკვდილო ბრძოლის შემდეგ, მტერი გაიქცა. მამაცაშვილი ფეხდა-ფეხ მისდევდა მას და ისე გაერთო მათ ხოცვა-ჟლეტაში, რომ ძლივს შეამჩნია სამხრეთ რომელიც მტერს სიმინდის ყანაში გაემართა. ერთი წუთიც და არტილერისტებისაგან ცოცხალი არავინ გადარჩებოდა; მაგრამ მამაცაშვილი დროზედ მიხვდა რაშიაც იყო საქმე და თავის გამჭრიახობით და აუღელვებლობით ყველანი სიკვდილს გადაარჩინა: მან ხელად უბრძანა ოთხივე ზარბაზანი ტყვიით გაეტენათ და რამდენიმე წუთის შემდეგ მტერს ისეთი ცეცხლი დაუშინა, რომ ნახევარზედ მეტი იქვე დააწვინა, ხოლო დანარჩენნი უგზო-უკვლოდ გაჰფანტა. ამის შემდეგ მამაცაშვილს ჯარში დიდი სახელი დაუვარდა.

შემოდგომამდე ჯარი საჩეჩნეთში დარჩა; თუმცა მას ყოველ დღე უხდებოდა მტერთან შეტაკება, მაგრამ ისეთი ცხარე ბრძოლა, როგორიც 27 ოქტომბერს ვალერიკის ტყეებში მოუხდა, როდესაც ჯარი პატარა ბილიკზედ მიდიოდა, არც ერთხელ არა ჰქონია. მტერმა ტყის ყველა მხრიდან დაუშინა, ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ რამდენიმე კაცი ეცემოდა ძირს ტყვიით განგმირული. ასეთს გარემოებებში ჯარი ნებაუნებურად ჰკარგავდა წეს-რიგს და ირეოდა. ბოლო ბატალიონი, რომელთანაც მამაცაშვილი იყო თავის ზარბაზნებით, ძლიერ საჩქაროდ გამოვიდა ტყიდან და არტილერია მარტოდ-მარტო დასტოვა. ჩვენი ხელად გაარღვიეს ჯაჭვი და ზარბაზნებს მივე-

*) ლერმონტოვს ამ დროს არც ერთი ორდენი არა ჰქონდა მიღებული; ამის და მიუხედავად იგი პირდაპირ მე-4 ხარისხის ვლადიმერზედ წარადგინეს, მაგრამ მაინც პეტერბურგში ჯილდოზედ უარი განუცხადეს.

სივნენ. ამ დროს მამაცაშვილმა თავის გვერდით ლერმონტოვი დაინახა, რომელიც თავის რაზმით თითქმის ცმიწიდან ამოძვრა. რა მშვენიერი იყო ამ დროს წითელ აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი ხელით ხანჯალამოღებული. დამალული, იგი მთიელებს ზარბაზნებთან მეხლოვნებს უყურებდა, რომ როგორც ვეფხი ისე ეძგერებოდა მათ. მაგრამ ეს არ მომხდარა. მამაცაშვილმა ცხენები მიუშვა მტერს ახლოს და მერე ყველა ზარბაზნებით ერთბაშად დასცალა. შეშინებულმა ჩეჩნებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე მოიკრიბეს გონება და ხმლის ძალით მიესივნენ ზარბაზნებს. ისეთი სასტიკი და საშინელი ბრძოლა გაიმართა, რომ იმის კალმით აღწერა ყოვლად შეუძლებელია. ჩეჩნები დახოცილთა ლეშზე გადადიოდნენ და ზარბაზნებისკენ მიიწევდნენ, ხოლო ზარბაზნები, მამაცაშვილის ბრძანებით, ყუმბარას ყუმბარაზედ ჰგზავნიდნენ და კაცს კაცზედ აწვენდნენ. ამ დღეს არტილერისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო. ისინი იარაღს აღარ სწმენდავდნენ, ამისთვის მათ დრო აღარა ჰქონდათ და მხოლოდ ყუმბარით ჰაერს აპობდნენ და უმოწყალოდ მტერსა ელეტავდნენ. ბოლოს ამ საშინელი ბრძოლის ხმა უმთავრეს ჯარში გაიგონეს, საშველად კაცები გამოგზავნეს და მათი დახმარებით მამაცაშვილმა თავისი ზარბაზნები ტყიდან გამოიტანა. ამ თავგამოდებული ბრძოლის გამო ახალგაზდა მამაცაშვილი უმაღლეს ჯილდოზე—წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენზე—წარადგინეს, მაგრამ საბჭომ არ მიუსაჯა მას ეს ჯილდო მხოლოდ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს არტილერია არა ჰყავდათ. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ გიორგის ჯვარი მხოლოდ 14 წლის შემდეგ ჩოლოქის ბრძოლაში მიიღო.

არა ნაკლები შეტაკება მოხდა 4 ოქტომბერს ალდინის ტყეში, სადაც ლაბინთა რაზმი მთელი რვა საათ-ნახევარი ტყის ვიწრო ბილიკზე მტერს ებრძოდა. მხოლოდ ტყიდან გამოსვლის შემდეგ დაინახეს პატარა მოედანი. მამაცაშვილმა ამ მოედანზე გააწყო თავისი ზარბაზნები და დაუშინა გზას, რომ უკანა ჯარისთვის შეძლება მიეცა სამშვიდობოს გასულიყო.

მთელი ბრძოლა ამ დღეს არტილერიამ დაიწყო. კისერზედმეტად ბედნიეროდ მალე მეორე რაზმი გამოჩნდა, რომელიც სუნჯის მარცხენა ნაპირიდან მამაცაშვილის საშველად მოდიოდა. ყველაზე ადრე ზარბაზნებთან ლერმონტოვი დაიბადა თავისი მეომრებით, მაგრამ გვიან-ღა იყო: მამაცაშვილმა უკვე განდევნა ჩეჩნები *).

„აქ, 4 ოქტომბერს,—ამბობს მამაცაშვილი,—უკანასკნელად მომიხდა პოეტის ნახვა. ექსპედიციის შემდეგ იმ დროებით პეტერბურგში წავიდა და მხოლოდ მეორე წელიწადს გავიგეთ იმის ტრაგიკული სიკვდილის გულსაკლავი ამბავი".

ასე ბრწყინვალედ დაიწყო თავისი სამხედრო მოღვაწეობა ახალგაზდა მამაცაშვილმა. იმისი ოთხი ზარბაზნის კანონირები, ვინც კი დღეს მათგანი ცოცხალია, ყველანი გიორგის ჯვრებით იქმნენ დაჯილდოვებულნი. ხოლო თვითონ, მიუხედავად იმისა, რომ სულ ახალგაზდა იყო (ის მხოლოდ ოც და რვა წლისა იყო), ორი ხარისხი მიიღო ერთად—პორუჩიკობა და შტაბს-კაპიტნობა, რაიცა, განსაკუთრებით არტილერისტთა შორის, ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე.

მამაცაშვილის შემდეგს სამსახურიდან ყველაზედ უფრო თვალსაჩინო და ღირს-შესანიშნავია ორი შემთხვევა: ერთი—ყველასთვის ცნობილი გრაბბეს ექსპედიცია იჩკერის ტყეში, 42 წელს, ხოლო მეორე—გენერალ შვარცის ჯარის-მიერ 45 წელს ანკრატლის განადგურება. ამ უკანასკნელს ექსპედიციაში ყველაზედ საყურადღებოა ერთი ყავს დასხმა, რომელიც დღემდის დარჩენილია მთიულთა ზღაპრებსა და სიმღერებში. ეს ამბავი მოხდა 31 ივლისს 1845 წელს ანცუხის საზღვარზე. ჩვენი ჯარის წინ აყუდებულიყო უზარმაზარი მთა, რომლის აქა-იქ გამოშვერილი საფეხურების მსგავსი ქლდეები ცამდის ასულ კიბეს მოაგონებდა კაცს. სახელიც ისეთი ჰქონდა—გეჯ ნარდივანი, ანუ ციის კიბე. ხშირი ლოდები ისე შემოხვეოდა

*) ამ ბრძოლაში დაჭრილ იქმნა ყუმბარით შამილის ერთი საუკეთესო ნაიბთაგანი ახვერდი-მაგომა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სწორედ მამაცაშვილის ერთი ზარბაზნიდან დაჭრილი.

დნენ მთასე, რომ კაცს ძლივს შეეძლო დაენახა იმის მწვერვალი, მაგრამ მიუხედავად ამისა აქა-იქ კლდეებში მაინც მოჩანდა ღრმა ხევები და შიგ ჩასაფრებული აუარებელი ხალხი. ბილიკი, რომელიც ამ კლდეზე და საფეხურებზე მიდიოდა, იმდენად გადმოყუდებული იყო, რომ კაცს თავბრუ ესხმოდა და ნება-უნებურად გული უღონდებოდა. დასაცემად დანიშნეს თავად სპირიდონ ჭავჭავაძის ქართველთა ქვეითა რაზმი (ის, რომელსაც წინად ქართველთა „დრუჟინა“ ეწოდებოდა) და დრაგუნთა ორი ესკადრონი. მამაცაშვილმა, რომელიც არტილერიის ნაწილს უფროსობდა, სამთო 12 ზარბაზანი მთის ძირში დააყენა და საშინელი ცეცხლი დაუშინა მტერს. ამ ზარბაზნების დახმარებით ჭავჭავაძის ჯარი საქმეს შეუდგა. მაშინ, როდესაც ჯარი თანდათან იმარჯვებდა და ერთი კლდიდან მეორეზე გადადიოდა, მამაცაშვილის სამთო არტილერია დიდი გაჭირვებით პიტალო კლდეებზე მიცოცავდა და მტერს იქიდან უმიზნებდა. ყუმბარა ჩვენი ჯარის თავზედ გადიოდა და მტრის შუაგულ ეცემოდა. ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა მოწინააღმდეგეს დავთრები დაუბნია და როდესაც უკანასკნელად „ურას“ ძახილი გაისმა, გექ-ნარდივანის თავზე აღარც ერთი ლეკი აღარ მოჩანდა. მხოლოდ არტილერისტთა ბუნებასთან და მტერთან ასეთი თავგამოდებული ბრძოლის წყალობით ჭავჭავაძემ შესძლო მტრის დამარცხება და ამ საარაკო მტრის შეტაკების მოგება. მამაცაშვილი ღირსებისამებრ იქმნა დაჯილდოვებული. მან, როგორც წინად, ორი ჯილდო მიიღო — კაპიტნის ხარისხი და მე-4 ხარისხის წმ. ვლადიმერის ორდენი ბანტით. გავიდა წელიწადი და 28 წლის მამაცაშვილი კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის პირველი მსუბუქის ბატარეის უფროსად იქმნა დანიშნული. ეს დრო დასვენების და ბუკ-ნაღარის ხმისაგან განთავისუფლების დრო იყო იმისთვის. მაგრამ დიდი ხანი არ გაგრძელებულა იგი. 1851 წლის გასულს გაისმა [illegible], რომ საჩეჩნეთში ომი დაიწყო, მამაცაშვილს უბრძანეს თავისი ბატარეა სხვისთვის გადაეცა და თვით მე-20 ბრიგადის მე-5 მსუბუქი ბატარეა ჩაებარებინა. ეს ბატარეა კი ვოზდვიჟენსკში იდგა ყველაზედ სა-

შიშს და საფრთხე ჰქონდა. აქ მთიულებთან ყოველ დღიურ შეტაკების გარდა, მან ბრწყინვალე ექსპედიციაშიც მიიღო მონაწილეობა. მამაცაშვილმა ერთხელ კიდევ ისახელა თავი, რისთვისაც დაჯილდოვებულ იქმნა წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით და პოლკოვნიკის ხარისხით.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ ყირიმის ომიც დაიწყო. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მაშინვე გაგზავნეს იქ. იგი თავ. ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის გურიის ჯარის არტილერიის უფროსად იქმნა დანიშნული.

მამაცაშვილის ამ ომებში მონაწილეობის ამბავს რთილისმე შემდეგ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს, ახლა ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 4 ივლისის 1854 წლის ჩოლოქის გამარჯვებისთვის, სადაც ჩვენმა 9,000 ჯარმა მიწასთან გაასწორა მუშირა სელიმფაშის 35-ათასიანი ჯარი, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ მიიღო ძვირფასი ხმალი წარწერით «სიმამაცისათვის» — წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი. და ჩოლოქის ბრძოლა, თავ. ანდრონიკაშვილის სიტყვით, უმთავრესად მამაცაშვილის წყალობით იქმნა მოგებული.

ზავის შეკვრის შემდეგ, მამაცაშვილი დანიშნეს კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის უფროსად, რასაც უფრო ეხებოდა იმ არტილერიასაც, რომელიც ლეკების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი. იქ მამაცაშვილი დაესწრო კავკასიის ომების უკანასკნელს ხანას. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა განუწყვეტელ ბრძოლებში, ჯარში ანკრატლის ველების დაპყრობა და დაასრულა თავისი სამხედრო მოღვაწეობა გუნიბის აღებით. კავკასიის ომებში მონაწილეობისათვის უკანასკნელად დაჯილდოვებული იქმნა ოქროს ხმლით, წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით საიმპერატორო გვირგვინით და ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით.

22 ნოემბერს 1860 წელს, შამილის ტყვეობაში ჩავარდნისათვის, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს მიეცა გენერალ-მაიორობა ხოლო სწორედ ათის წლის შემდეგ — გენერალ-ლეიტენანტობა. ამავე დროს მამაცაშვილი კავკასიის ჯარის არტილერიის უფროსის თანაშემწედ დანიშნეს და კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მე-1 ბატარეის საშეფო სარდლად, რაც მამაცობის

ძეგლადაც, რომელიც ამ ტატარეიში მამაცაშვილის მეთაურობით გამოიჩინა; იმისა პატივად მუნდირის ტარების ნება მიეცათ.

1877 წელს ოსმალეთის ომი რომ დაიწყო, ოსმალეთის ჯაშუშეთა მიერ აღელვებული დაღესტანი მთლად შეიძრა. სამურის ოლქის საშუალო ადგილს ახტას შეამბოხეთა ჯარი შემოერტყა. აი სწორედ ამ დამწყვდეულის ციხის გასანთავისუფლებლად გაგზავნეს განჯიდან თავისი ჯარით თავადი ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე, ხოლო განჯის გუბერნიის მმართველად და ცოტაოდენის იქ დარჩენილის ჯარის უფროსად კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი დანიშნეს. მაგრამ აქ ისეთი რამ მოხდა, რომელსაც არავინ მოელოდა. გაიგეს თუ არა, რომ ჭავჭავაძე მოდის, შეამბოხეთ ახტში მხოლოდ რამდენიმე კაცი დასტოვეს და უმთავრესის ჯარით სალავათის ქედს გადავიდნენ და განჯის გუბერნიას შეესივნენ. მალე მათ იქაური თათრებიც შეუერთდნენ და ოთხი ათასი კაცი მამაცის ნაიბის შაგოს წინამძღოლობით ნუხისაკენ გაემართა იმის დასაპყრობად. ნუხელები შიშის ზარმა მოიცვა, ყველანი სიკვდილის მოლოდინში იყვნენ. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, ამ დროს მას ყველამ უღალატა და უმტყუვნა—ის—დარწმუნებული იყო, რომ თუ ლეკები ცოტაოდნად მაინც გაიმარჯვებდნენ, მთლად მაჰმადიანნი იმათ მხარს დაიჭერდნენ. ქვეითა ჯარისა ოთხასი კაცის, ოთხასი ყაზახისა და ორ ზარბაზნის მეტი არაფერი გაჩნდა. მიუხედავად ამისა მამაცი გენერალი მაინც არ შედრკა, მოუყარა თავი მცირე რაზმს და პირველი გაუდგა გზას. 2 ნოემბერს ნუხის მახლობლად მოწინაალმდეგენი ერთმანერთს შეხვდნენ. ბრძოლა დიდი ხანი არ გაგრძელებულა. მამაცაშვილმა ისე მოხერხებულად მიიყვანა ჯარი და თვით ჯარმა ისე ვაჟკაცურად შეუტია მტერს, რომ მან პირველსავე წუთს დაიხია და ზურგი უჩვენა. შაგო დამარცხებულ იქმნა, ხოლო გამარჯვებული მამაცაშვილი ნუხაში შევიდა და თან ასი ტყვე მიიყვანა. მამაცაშვილის გამარჯვებამ შეამბოხეთ ახტზედაც ხელი აალებინა, ასე რომ ჭავჭავაძეს იქ აღარც ერთი კაცი აღარ

დახვედრია, მთავრობამ მამაცაშვილს ამ საქმის გამო წმ. ვლადიმერის მე-2 ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო ნუხის მცხოვრებელთ მას ცალკე ადრესთან ერთად მშვენიერი ვერცხლის თასი მიართვეს შემდეგი ზედ წარწერით: „გენერალ-ლეიტანტ კ. ხ. მამაცაშვილს მადლობელი მოქალაქეთაგან 1877 წელს ნუხის გადარჩენისათვის“.

ეს სახალხო მადლობა იმისი უკანასკნელი ჯილდო იყო. 1884 წელს მძიმე ავადმყოფობამ სამსახურზედ ხელი აალებინა და მას შემდეგ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე საომარ იარაღს აღარ მიჰკარებია. წყნარად და მშვიდად სცხოვრობს ეხლა ტფილისში ეს კავკასიის ძველი გამოჩენილი მეომარი. იგი ყველას მიერ პატივცემული და ყველასათვის საყვარელი კაცია.

# ღვდათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე

I

ერთი თვალსაჩინო ნაკლი თანამედროვე სწავლა-განათლებისა სასწავლებელ საგანთა სიმრავლეა. საგნების სიმრავლეს კიდევ გაუძლებდა ახალგაზრდობის გონება, მაგრამ სამეცნიერო საგნები, საგნების სიმრავლესთან ერთად, სავსენი არიან გამოურკვევლობით, რის გამო შესათვისებელი მეცნიერება სიბნელით გარემოცულია. ეს სიბნელე და გამოურკვევლობა საგნებისა იმდენად მეტია, რამდენადაც რომელიმე მეცნიერება უფრო უახლოვდება ადამიანის ყოველგვარ თვისებების შესწავლას. ამგვარ არა-ნამდვილ, გამოურკვეველ საგნებს შეადგენენ, მაგალითად, საქმიო მეცნიერებანი.

კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ბუზებივით იბადებიან ყოველ დღე მრავალი საქმიო თხზულებანი, მაგრამ ძლიერ ხშირად მათი სიცოცხლე და მნიშვნელობა არის წუთიერი. ისინი მხოლოდ გზაკვალს უკარგავენ ნამდვილ მკვლევარს; ამგვარი თხზულებების განხრეკა და გარჩევაართმევს მხოლოდ დროს მკვლევარს და სარგებლობა კი არა გამოდის-რა. ამნაირი მდგომარეობა საქმისა გაგრძელდება მანამდის, სანამდის საქმიო მეცნიერება არ დაუახლოვდება ცოტათი მაინც სინამდვილით იმ მეცნიერებებს, რომელნიც უფრო ნამდვილნი არიან, როგორც, მაგალითად, სამათემატიკო და საფიზიკო საგნება. ეს დრო თუმცა შორს არის, მაგრამ მოსალოდნელია, რადგან ყოველგვარი სწავლის (მეცნიერების) ბოლო მიზანი არის რთული მდგომარეობიდან მარტივს მდგომარეობაში ჩადგომა, ანუ გამარტივება *).

*) ამ მხრით ორგანული ცხოვრების განვითარება (ევოლიუცია) და თვით სამეცნიერო თეორიები (პრინციპები) ამ ცხოვრებისა სხვაგვარ მოპირდაპირე მოვლენას წარმოადგენენ. პირველში პროგრესი იმყოფება ინდივიდების გართულებაში, მეორეში კი პრინციპების გამარტივებაში.

ანთროპოლოგიური საგნების რთულობა უნდა აიძულებდეს მკვლევარს ფრთხილად იყოს ის ყოველ დასკვნაში. ერთი ამ რთულ კითხვათაგანს შეადგენს დედათა კითხვა: არის თანასწორი თუ არა დედა-კაცი მამა-კაცთან ნიჭის მხრით; თუ დედა-კაცი თანასწორია მამა-კაცთან ნიჭის მხრით, რად არ არიან მაშ ისინი თანასწორნი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებით?

## II

ამ ბოლო დროს ამ კითხვამ დიდი ყურადღება მიიპყრო, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. ამ კითხვის გადასაწყვეტად ალაპარაკდნენ მეცნიერნი, ქალებიც და კაცებიც, ისინი, ვინც არიან საუკეთესო წარმომადგენელნი ქალებისა, ან მათი მოკამათენი, ისინი, ვისაც ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებანი ქალისა გაუთანასწორებიათ და ეს თვისებანი არიან საფუძველნი მათი ამა თუ იმ დასკვნისა. ამ კითხვამ ჩვენშიაც ამოყო თავი. ცხადია, რაც ევროპისათვის საინტერესოა, ჩვენც უნდა გვაინტერესებდეს და რიგიანად საკითხავის გადაწყვეტა ჩვენთვისაც საგულისხმოა. მაგრამ საუბედუროდ, ამ კითხვამ ჩვენში მხოლოდ თავი ამოყო. დედათა კითხვის გადაწყვეტისათვის საჭირო მასალა არამც თუ ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში არ მოიპოვება, არამედ თვით ევროპიელების სამეცნიერო ლიტერატურაშიაც კი ეს მასალა ძლიერ ცოტაა და გამოურკვეველი. მაგალითად, ამ კითხვის ერთი მხარის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ცოტათი მაინც შესანიშნავ ქალთა ნაყოფიერება.

უკანასკნელი კითხვის გადაწყვეტა, საკმარისი ფაქტების შეგროვებით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი შეხედვით ეჩვენება ის მკითხველს და ბევრიც რომ ეძებოთ, ამ საჭირო მასალას ვერ იპოვნით. ამის გამო ზოგნი ხელმძღვანელობენ ჰუმანობით და თეორიულ მოსაზრებებით, ზოგნი კი ანატომიური და ფიზიოლოგიური ქალის განწყობილობით. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ზოგნი მეცნიერნი თითქმის ივიწყებენ საზოგადო კანონებს და ამ ნაირად უკიდურობაში ვარდებიან. ბიოლოგიაში ერთხმივ არის მი-

ლებული, რომ ვარჯიშობა თვალსაჩინო ფაქტორია. ვარჯიშობის მნიშვნელობა ორგანულ ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ «Philosophie Zoologique»-ის ავტორმა ლამარკმა მეტი მნიშვნელობაც კი მისცა მას, რომელსაც კისრის მომეტებულად გაგრძელება ჟირაფისა მხოლოდ ვარჯიშობით ახსნა. დიდებულმა მეცნიერმა უყურადღებოდ დასტოვა ის გარემოება, რომ ვარჯიშობასთან ერთად მემკვიდრეობითი გადაცემასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გრძელი კისრის შექმნაში.*) ვარჯიშობა გამოიწვევს მომეტებულ სისხლის მოდენას რომელიმე ორგანოსათვის, რისგამო ეს ორგანო ძლიერ იზრდება. ვარჯიშობა ზრდის მუსკულებს, ძვალს; წვრილი ორგანოებიდგან, როდესაც ერთი გაიფუჭდება, ვარჯიშობა ზრდის ნაცვლად დარჩენილს და ამნაირად დაკარგული ორგანოს ფუნქციას დარჩენილში ორგანოდება. ამნაირად მარტოდ (ერთი) დარჩენილი თირკმელის ფუნქცია (მუშაობა) დიდდება, ერთად-ერთი თვალში მხედველობის ძალა მატულობს, ერთად-ერთ ყურში—სმენა. მაგრამ ამ საზოგადო კანონს ზოგიერთნი გატაცებულნი მეცნიერნი ივიწყებენ. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ტვინის სიდიდეს და სიმძიმეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის გონიერების დაფასებაში. ეს გარემოება ისე შეურყეველი აზრი შეიქმნა, როგორც ტვინის მოხვეულობების (ИЗВИЛИНЫ) მნიშვნელობა. მართალია, ორიოდე შემთხვევა არის, რომ უსწავლელ კაცის ტვინს მიუღწევია 1700 გრამამდის, რაც იშვიათი მოვლენაა შესანიშნავ კაცების ტვინებშიაც კი.**) მართალია, ტვინის სიდიდე ხშირად ცოტას ნიშნავს, რადგან არიან ავადმყოფობანი, რომელნიც შექმნიან დიდ ტვინს. არც იმ ერთის ან ორის შემთხვევას, რომელსაც წერს კრიტიკის უგონდიანი კაცის ტვინი მეტი აწონილა, აქვს რაიმე მნიშვნელობა. რომ შესაძლოა იქმნას რომელიმე დასკვნის შექმნა, არ არის საკმარისი რამოდენიმე ფაქტი. ყოველი დასკვნა მტკიცედ უნდა იყოს დამ-

*) სადაც ჟირაფები იმყოფებიან, იქ ნიადაგი მიწისა ძლიერ უნაყოფოა, რის გამო ცხოველნი იძულებულნი არიან გამოიკვებონ ფოთლებით. დარვინის ახსნით, მხოლოდ იმისთანა ჟირაფნი გადურჩებოდნენ შიმშილს გვალვის დროს, რომლებსაც მომეტებული, გრძელი კისერი ჰქონდათ. გადარჩენილნი შთამომავალს უფრო შესამჩნევად გადასცემდნენ ამ სასარგებლო თვისებას, გრძელ კისერს. ნამდვილი ახსნა ჟირაფების გრძელი კისრისა ლამარკის და დარვინის ახსნის შეერთებაში მოიპოვება.

**) ქიმიკოსის ლიბიხის ტვინი 1352 გრამს იწონიდა, გამბეტასი—1246 გ.

ყარებული მრავალ ფაქტებზე. რაც მეტ ფაქტებზეა დამყარებული რომელიმე დასკვნა, იმდენად ეს დასკვნა უფრო უახლოვდება სინამდვილეს. ეს არის კანონი სტატისტიკური ცნობების სინამდვილისა და აი მიზეზი. ბიოლოგიური კანონები ისე რთული არიან, რომ ხანდისხან თითქმის საკვირველებანი ხდებიან ცხოვრებაში. ეგრედ წოდებული თანდათანობა (постепенство) ბუნებაში ირღვევა მით, რომ ხშირად იბადება რომელიმე თვისებით მეტად მდიდარი ადამიანი. ამგვარ ადამიანის გაჩენაში ბუნება თითქოს იკრებს ყოველ ძალას მისთვის, რომ იმავე ადამიანის მომავალში ის გაკოტრდეს. ამის გამო შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ, შეიძლება, არა ერთი იბადება შესანიშნავი პოტენციალური გონებრივი ძალით, მაგრამ ულმობელი პირობები უსწავლელადაც კი სტოვებენ ამგვარ ადამიანებს, თუმცა, ვინ იცის, როგორი გონებრივი ძალაა მათ თავში. ამნაირად, თუ ტვინის სიმძიმის მნიშვნელობას უარ-ვყოფთ, მაინც შორს უნდა ვიყოთ ტვინისათვის ვარჯიშობის მნიშვნელობის უარყოფისაგან; მით უფრო, რომ ორგანულ ცხოვრებაში ის არის აღნიშნული, როგორც თვალსაჩინო ფაქტორი. ადვილი წარმოსადგენია, რომ ვარჯიშობა ახდენს ტვინში იმ ცვლილებას, გარდა მიხვეულობების შექმნისა, რომელიც უხილავი და აუწონელია. ეს ცვლილება ქიმიური ან მოლეკულიარული. როგორც რომელიმე სენი ან სხვა რამე თვისება დედისა ან მამისა შეუმჩნევლად გადადის თესლით შთამომავლობაში, ისე, უნდა ვფიქრობდეთ, გონების ვარჯიშობა ახდენს ტვინში მოლეკულიარულ ცვლილებას, რომელიც მემკვიდრეობითი გადაცემით მტკიცდება შთამომავლობაში. ამნაირად ტვინის სიმძიმის და სიდიდის მიღებით ან უარ-ყოფით არა ბოლოვდება კითხვა ქალის და კაცის გონების ვითარებისა. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ქალისა და კაცის შუა მხოლოდ ერთი თვალსაჩინო გარჩევა არის და ეს გარჩევა სქესობრივია. ჩვენა გვგონია, რომ სქესობრივმა გარჩევამ შექმნა ქალის სულიერი თვისებების გარჩევაც. ფიზიოლოგიურმა ფსიხოლოგიამ ჯერჯერობით ძლივს დაადგინა ზოგადი საფუძველნი ადამიანის სულიერი ცხოვრებისა. საზოგადო ფსიხოლოგიას ჯერჯერობით ეწინააღმდეგება ინდივიდუალური ფსიხოლოგია, რომელიც ჯერ მოთავსდა სავსებით პირველის ფარგალში.

ზოგიერთნი იწვევენ ქალის ფსიხოლოგიას, რომელსაც ჩვენ უნდა ვუახლოვებდეთ ინდივიდუალურ ფსიხოლოგიას. შეუძლებელია ქალის ფსიხოლოგიის შექმნა, როგორც შეუძლებელია შექმნა ინდივიდუალური ფსიხოლოგიისა. ფსიხიკური პროცესი ქალისა თუ კაცისა სულ ერთია, თუ არის გარჩევა, რაოდენობითი (количественное) გარჩევაა, თვისებითი კი ქალი და კაცი სულ ერთია. და ეს რაოდენობითი გარჩევა ქალისა და კაცისა, უნდა ვიგულისხმოთ, შედეგია სქესობრივი გარჩევისა. სქესობრივი გარჩევა არის ის ქარგა, რომელზედაც ისატებიან სხვა-და-სხვა ელფერის ფსიხიკური თვისებანი.

აქ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა გრძნობიერებაზედ (sensibilité), რომელიც არის პირველი აქტი ფსიხიკური ცხოვრებისა. ზოგიერთნი მკვლევარნი ფიქრობენ, რომ გრძნობიერება ქალში მეტობს, რაც ვითომ და დიდ მნიშვნელოვანია ქალის ინტელექტის დაფასებაში. გრძნობიერების (გრძნობა ყნოსვისა, გრძნობა ტემპერატურისა, გრძნობა შეხებისა—la sensibilité tactile—და სხვა) გამოკვლევამაც ვერ მიიყვანა მკვლევარნი რომელსამე გამორკვეულ დასკვნამდის. გრძნობიერებას დიდი კავშირი აქვს რეფლექსიურ მოქმედებასთან, რომელიც პირველი დასაწყისია ნერვული ცხოვრებისა. ეს თვისება ადამიანს უჩნდება დაბადებისათანავე. ვინც კი ცოტათი მაინც დაჰკვირვებია ბავშვების ზრდას, მას კარგად ეცოდინება თუ როგორ ადრე მოქმედებს მათზე გარეშე ქვეყნიერება. ახლად დაბადებული ბავშვის ყურადღებას ძლიერ იზიდავს რომელიმე ბრჭყვიალა საგანი. მომეტებული სინათლე იზიდავს თავისკენ ბავშვის თვალს, მაგრამ მეტმე ბავშვი ერიდება მას; ზომიერი კი ძლიერ იპყრობს მის ყურადღებას. ამნაირადვე მოქმედებს ხმაც ბავშვის სმენაზე. ტანის გამამყლავნებელი რაც უნდა იყვეს, ხედავს თუ არა ახლად დაბადებული, ცდილობს მოიცილოს. ამნაირად გრძნობიერებასთან ერთად განვითარებულ რეფლექსიურ მოძრაობასაც ვხედავთ ჩვენ მაშინაც კი, როდესაც ინტელექტი ძლიერ ცოტად შესამჩნევია. საფუძველი ყოველი ფსიხიკური განვითარებისა იმყოფება გონების მოძრაობაში, მოქმედებაში. აზრი, რომელიც არის შედეგი ფსიხიკური ცხოვრებისა, შესდგება ოთხი ელემენტისაგან. პირველი ელემენტი იმყოფება ნერვების ღელვებაში, რომელსაც მოსდევს გრძნო-

ბა (sensation), როდესაც გრძნობა გამოირკვევა დროში და სივრცე-ში, მაშინ სჩნდება პერცეპცია (Perception) *); უკანასკნელს მოსდევს მიზეზის შეგნება და მერმე იბადება აზრი, იდეა. ამ ნაირად პირვე-ლი ელემენტის გაძლიერება ინტელლექტის დაფასებაში ცოტას ნიშ-ნავს. არსიმედი რაღაც მათემატიკურ ანგარიშებში იყო გართული, როდესაც რომაელნი მას შემოესივნენ და მათი მოახლოვება მხო-ლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც მტარვალებმა არსიმედს ფიგურე-ბი შეუშალეს; ნიუტონს ძაღლმა მელნის დაღვრით გაუფუჭა რამო-დენიმე წლის ნაშრომი, მაგრამ არ აღშფოთდა. და ამგვარი მაგა-ლითები იმის მაჩვენებელნი არიან, რომ ღრმა აზროვნება მეცნიე-რის გრძნობიერებას სწევს კიდევაც დაბლა. ამნაირად თუ მართ-ლა ნამდვილად ის დასკვნა, რომ ქალი უფრო მგრძნობიერია, ვინემ კაცი, ეს გარემოება ბევრს არას ამბობს ქალის ინტელლექტის სა-მძლავრეზე. **)

ფსიხიატრიიდან ვიცით, რომ მრავალი ავადმყოფობა მით იჩენს თავს, რომ ინტელლექტის არევასთან ერთად ნება დასუსტებულია, გრძნობიერება კი მაღალ ხარისხამდის არის მიღწეული. ნების და-სუსტება გამოიწვევს მას, რომ ადამიანი ადვილად აჰყვება რომელ-სამე გრძნობას, ემოციას. ამნაირად მარტო გრძნობიერება ვერ შე-ქმნის ადამიანის მაღალი ინტელლექტის მაჩვენებელი, რადგან მას-თან ერთად სხვა მხარენიც ფსიხიკური ცხოვრებისა უნდა იყვნენ განმტკიცებულნი. ქალის ისტერია, მამა-კაცის ნევრასტენია—ნერ-ვების ადვილად გამქანცება, ნერვების სისუსტე, თუმცა არიან შე-დეგნი მომეტებული ნერვების გრძნობიერებისა, მაგრამ მომხსენე-ბული ნერვებით ავადმყოფნი, კაცია თუ ქალი, თუმცა შეიძლება ჭკვიან-ნი არიან, მაგრამ მათში ვერ მოიპოვებთ მაღალ ჭკუას. ეს მის-თვის ხდება, რომ მათ თან დაჭყოლიათ ნების სისუსტე და ნებას-თან ფსიქიკა მტკიცედ არის შეკავშირებული, ამ მხრით შესანიშნავს.

*) პერცეპცია—perception—ჯერ კიდევ გამოურკვეველ წარმოდგენათა შე-მოსვლა ცნობიერებაში (сознаніе).

**) შენიშნულია, რომ ქალი და ბავშვი ძრიელ შიშობენ რომელსამე ოპერა-ციის, რომელსაც ტკივილი მოსდევს. თვით ოპერაციას შედარებით მამა-კაცთან მშვიდადაც იტანენ. საზოგადოთ თქმით, ქალს შეუძლიან დაჰკარგოს მეტი სისხლი, ვინემ კაცს, ეტანოს უფრო ხანგრძლივი ტკივილები.

მოვლენას წარმოადგენს ფილოსოფოსი კოლრიჯი (Coleridge). მას-ში მოიპოვება მაღალი ფილოსოფიური ნიჭი, მაგრამ ნების სისუსტის წყალობით მას არ დაუტოვებია რომელიმე ცოტათი მაინც შესანიშნავი ფილოსოფიური სისტემა.

წინად გვქონდა ნათქვამი, რომ სქესობრივი გარჩევა კაცისა და ქალისა შექმნის რაოდენობითი განსხვავებას ფსიხიკურ თვისებება. ფსიხიკური თვისებანი კი ყველანი მოიპოვებიან ქალში. სქესობრივი გარჩევა ისე თვალსაჩინოა, რომ მას უნდა დაჰყოლოდა თავისებური ფსიხიკური ცხოვრება, ის უნდა შექმნილიყო უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად ქალის გონების განვითარებისა. სქესობრივი გარჩევა, თუმცა პატარაობიდანვე ადვილი შესამჩნევია, მაგრამ უფრო თვალსაჩინო არის, როდესაც ქალი მიაღწევს 12—14 წლის, ესე იგი, ქალობაში ჩადგება. რაკი ქალი ქალობაში დგება, შესამჩნევად ხდება მისი სწავლაში დაქვეითება. ეს გარემოება, რომელიც უფრო რიგიანად იყო შემჩნეული ამერიკაში, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ, უმნიშვნელო არ არის ქალის პოტენციალური ძალის დაფასებისათვის. 12—14 წლებში, ჭკვაზე და რასაზე არის დამოკიდებული, თვით ბუნება ადებს ქალის აგებულებას «veto»-ს. ამ დროიდან იწყება ქალობა—ეს სქესობრივი გარჩევა; ამ დროიდან ქალი სამი დღიდან ექვს დღემდის ყოველ თვეში, ავად თუ არა, კარგადაც არ არის. თუ საშუალო რიცხვი ადამიანის ავადმყოფობისა წელიწადში გამოიხატება ორმოცი დღით, ქალისთვის ამ რიცხვს უნდა დავუმატოთ ორმოც დღემდის კიდევ. ეს ძლიერ საგრძნობელი ციფრია. ვსთქვათ, ზემოხსენებული დღეები თვეში ნამდვილ წვალებას არ წარმოადგენენ ქალისთვის, მაგრამ მაინც ამ დროს ნერვები ძლიერ აშლილი აქვთ მათ. ამ დროს ქალის ტვინი მოკლებული არის საკმარის სისხლის მოდენას თავში. და კარგად ვიცით, რომ ყოველი ინტელექტური შრომა მოითხოვს საკმარისს სისხლის რაოდენობას ტვინში... ქალს, განკერძოებული აგებულობის წყალობით, მრავალნი სნეულებანი უჩნდებიან. ამასთან ერთად სქესობრივი მხრით ყოველი დარღვევა ზომიერებისა, როგორც ცნობილია ქალების ავადმყოფობა ავას, ქალზე უფრო ცუდად მოქმედებს, რად-

გან ზომიერების დარღვევა იწვევს სხვა-და-სხვაგვარ ავადმყოფობას ქალის სქესობრივი ორგანოებისას.

ქორწინება და მისი შედეგი —ბავშვების ყოლა აუცილებელ ბუნების კანონს შეადგენს უმრავლესობისათვის მაინც. აგდებს თუ არა ქალს მშობიარობა განსაკუთრებულ მდგომარეობაში? რასა თქმა უნდა, რომ აგდებს. ეს მდგომარეობა, თუმც ნორმალურია, რადგან არის შედეგი ბუნების ზრუნვისა გვარზე, მაგრამ აქ ყოველი ტვირთი და ჯაფა ქალს აწევს. მშობიარობა, უფრო უკანასკნელი მისი აქტი, ისე მძიმეა, რომ ჰუმანობის მოტრფიალე რუსის ექიმებმა საექიმო სხდომაზე საბაასო საგნად აქციეს; მათ მოინდომეს მშობიარობის გასაადვილებლად ტკივილების დამამშვიდებელი ზომების ხმარება. ასე თუ ისე მშობიარობა მთელი 9 თვის განმავლობაში ქალისთვის მძიმე ტვირთია, რომელიც უშლის მას სხვა რამე მძიმე ტვირთის კისრებას. მართლაც, ფიზიოლოგიური სურათი ამ მდგომარეობისა რომ მივიღოთ სახეში, ცხადი იქნება, რომ ყოველი მომეტებული შრომა ქალისთვის მავნებელი იქნება. ადამიანის ცხოვრება ორ გვარი თვისების წარმომადგენელია. ერთი არის საზრდოებითი (растительное), მეორე ცხოველური (животное). პირველი ორგანოების ზრდა-კვებაში მიმდინარეობს, მეორე შეიცავს უფრო მაღალ მხარეს ადამიანის ცხოვრებისას, გონებრივ ცხოვრებას. პირველი ეკუთვნის მცენარეობას და იმ ცხოველებს, რომლებშიაც გონებრივი მოძრაობა არ მოიპოვება. მეორე კი მოიპოვება ზოგიერთ ცხოველებში, მაგრამ ადამიანში უაღრეს განვითარებამდის მიუღწევია მას. საზრდოებითი ცხოვრებისათვის საჭირო ორგანოები და ფუნქციები უცვლელნი არიან, ცხოველური ცხოვრებისათვის საჭირო ორგანოები და ფუნქციები კი ცვალებადნი არიან. ცხოველური ცხოვრებისთვის საჭირო ორგანოების და ფუნქციების ცვალებადობა გვაძლევს ნებას გავყოთ გონება ორად. ერთი უფრო დაბალის ხარისხის არის, მეორე კი მაღალი. პირველი მახსოვრობას, საზოგადოდ გონიერებას შეიცავს, მეორე განიხილავს ყოველ ჩვენს ცოდნას და აკავშირებს ერთს მეორესთან. უკეთ რომ ვსთქვათ, მაღალი ხარისხის გონება მიზეზის და შედეგის დაკავშირებაში მოიპოვება. პირველი, ძაღლიდან, სპილოდან, თუთიყუშიდან და სხვ.

დაწყებული, ადამიანშიაც მოიპოვება და კიდევაც ამის გამო უახლოვდება საზრდოებითი მხარეს ადამიანის ცხოვრებისას, ანუ უკეთ ვიტყვით, თუ შევადარებთ გადადებულ ხალხს საზრდოებითის და ცხოველურის ადამიანის ცხოვრების შესაერთებლად. მაღალ გონების განსახორციელებლად უფრო საჭიროა ადამიანის ტვინის ზომიერი საზრდოება. საზრდოების პირობები უფრო მოშლილია მძიმედ-მყოფ ქალის მდგომარეობაში. აი რისთვის: ჩაესახება ბავში ქალს თუ არა, მაშინვე ირღვევიან ადამიანის საზრდოებითი ცხოვრების პირობები. ეს დარღვევა მაშინვე იხატება უფრო ცუდ გუნებაზე ყოფნით, გულის რევით, რაღაც ახირებული ხასიათის გაჩენით. მერმე თუმც ამ მდგომარეობას ეჩვევა ქალი, მაგრამ ზრდა ჩასახულისა დღითი-დღე შესამჩნევია. ჩასახული მომეტებულ ნაწილს სისხლისას, ამ საუკეთესო და ერთად-ერთ ბავშვის საზრდოს, იზიდავს თავისკენ, რითაც ქალის სხვა ნაწილებს აკლდება. ამნაირად დედა-შვილში ორივენი მოითხოვენ საზრდოებითი მხარეს დაკმაყოფილებას. ეს გაორკეცებული საზრდოებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებლად ხდის ტვინის ზომიერს მუშაობასაც კი. ამ შემთხვევაში ტვინის მომეტებული ვარჯიშობა დაუსჯელადაც არ ჩაუვლის მძიმედ-მყოფ ქალს. როგორც მახსოვს, ამერიკელმა ფიზიოლოგმა დრეპერმა პირველად გამოსთქვა ის აზრი, რომ შთასახულის საზრდოებლად მეტად არის საჭირო ერთი ნაწილი ტვინისა—ცერებრინი. ამ კითხვას დრეპერის შემდეგ ნაბიჯიც არ გადაუდგავს წინ, მაგრამ მაინც ცხადია, რომ გარდა პირდაპირ ფიზიკური თანასწორობის დარღვევისა, მშობიარეს გვამში მყოფ შთასახულის ზრდისათვის საჭირო არიან სისხლის საუკეთესო ნაწილნი, რომლის ხარჯვაც შეუმჩნევლად არა რჩება ტვინის მდგომარეობისთვის. ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ ფიზიკური მუშაობის დროს, როდესაც მუსკულები მოძრაობაში არიან, რის გამოც მეტი სისხლი მიიზიდვის მათკენ, ტვინი თუმცა დაღალული არ არის, მაგრამ მისთვის გონებრივი მუშაობა ძნელია ამ დროს, რადგან საკმარისი საზრდო მოაკლდა მას. ამ გარემოებით კიდევაც სარგებლობენ ისინი, რომლების გონება მუდამ შრომაშია. ბევრმა იცის გლადსტონის ხასიათი, რომელიც რომელიმე გრძელი და მგრძნობიარე სიტყვის შემდეგ ტყის-

კენ გაუდიდებს და ჰჭრის შემსს, რომ ამნაირად გადამეტებული თავისკენ სისხლის დენა მუსკულებისკენ მიმართოს, ან ედისსონი, რომელიც ორი ან სამი დღე და ღამის შრომის შემდეგ რამოდენიმე დღე ძილად აგდია. უსიზმრო ძილშიაც იმნაირადვე ისვენებს ადამიანი, რადგან აქტიური მოქმედება ტვინისა მოსპობილია და თუ ხდება გადაბრუნებული ჩვეული წარმოდგენათა ტრიალი, ყოველივე ეს ხდება ინერციის ძალით, ყოველ მხრივ ძალ-დაუტანებლად, პასსიურად. ძილში ტვინი მოსვენებულია, რადგან, სხვათა შორის, ჩვეულებრივზედ ბევრად ნაკლები სისხლი მომდინარეობს თავში. ეს ფიზიოლოგიაში კარგად დამტკიცებულია. ამნაირად ტვინის მუშაობისთვის საჭიროა მომეტებული სისხლის მოდენა თავისკენ, თუმცა ეს ძლიერ ხანგრძლივი არ უნდა იყოს, რადგანაც ტვინიც საჭიროებს დასვენებას და დასვენება ხდება მაშინ, როდესაც სისხლის მომეტებული დენა თავისკენ შემცირებულია. სისხლის ტრიალის პირობები შესამჩნევად არიან შეცვლილნი მშობიარე ქალის აგებულებაში. ქალი, რაკი დედად შეიქმნება, უნდა აწოვებდეს თავის ძუძუთი შვილს, რადგან ვერავითარი ბავშვის გამოკვება ვერ ედრება დედის რძეს. დამტკიცებულია, რომ, სადაც ბავშვები ხელოვნურად (искусственно) იკვებებიან, იქ სიკვდილის ასეული პროცენტი გადამეტებულია. და ბავშვის საზრდოება დიდი დაკარგვა არის ეკონომიის მხრით დედისთვის. არა-ნაკლებ დამაბრკოლებელ მიზეზს შეჰქმნის ქალისთვის კლიმაქტერიული პერიოდი, რომელიც ხშირად ფიზიკური თანასწორობის დამრღვეველ მიზეზად ხდება. ზემოხსენებული გარემოებანი საკმარის მიზეზად უნდა ჩაითვალოს იმისა, რომ ქალი ვერა სძლებს მამა-კაცთან გამკლავებას. ზემოხსენებული გარემოებანი ჰქმნიან ქალს უფრო ნაზს და მშიშარა ქმნილებად და, შიში ხომ ნამდვილ უბედურებას შეადგენს კაცობრიობისთვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ჰქონდა მას მნიშვნელობა ადამიანისთვის თავის შენახვის გრძნობაში*).

ტყუილად იძახიან ზოგნი წარმომადგენელნი ქალის ემანსიპაციისა, რომ ფიზიკურ ძალას მნიშვნელობა არ აქვს. არც პატარა ლილიპუტებს, თავით დიდებს ექმნება რამე მნიშვნელობა, თუმცა

(*) Les expressions des émotions. დარვინი.

ქსლასნდელმა სწავლა-განათლებამ, ცხოვრებამ გამოიწვია ფიზიკური მხარის დამცირება, მაგრამ ეს დამცირება როდი უნდა იყვეს აღზრდის მიზანი. ჩვენ ვიცით, რომ საბერძნეთის ბრწყინვალე დროის დიდებულნი ფილოსოფოსნი სოკრატი, პლატონი შესანიშნავი მეომარნი იყვნენ და ეხლა გვყავთ მათი შესადარისი ფილოსოფოსნი, რომელნიც თუმცა ფაქტებით მდიდარნი არიან, მაგრამ არ არის მათში სოკრატული სიმტკიცე სასიათისა, სიღრმე აზროვნობისა და ამასთან ერთად ფიზიკური ძალა. ფიზიკურ მხარის დამცირებას მომავალ გამწვავებულ დროში უფრო ცუდი შედეგი მოჰყვება, ვინემ წინედ.

ქალის ფიზიკური განუვითარებლობა უფრო დასწევს მასში სულიერს ძალას. ყველა ზემოხსენებული მოსაზრების ძალით უნდა ვიფიქროთ,—თუმც ეს ფიქრი ძლიერ სასიამოვნო კი არ არის,—რომ საზოგადოდ ქალის ტვინის განვითარებას მუდამ შუა ადგილი ეკავება ბავშების და მამა-კაცების შუა. კერძო პირის გონებრივი განვითარება, ქალი იქნება თუ კაცი, ცოტას ნიშნავს. საქმეში უნდა გვქონდეს ჩვენ საშუალო ტიპი ქალის და კაცის განვითარების მდგომარეობისა. ეს საშუალო ტიპი ქალის განვითარებისა უფრო დაბალი იყო კაცის განვითარების საშუალო ტიპზე და იქნება კიდევაც. ეს საშუალო ტიპი არის ზომა ქალის და კაცის ჭკუიანობის რაოდენობისა. კერძო გვამის ჭკუიანობა, სარა ბერნარის, სოფიო კოვალევსკაიასი და სხვების, ცოტას ნიშნავს. არის ადამიანი, რომელიც განვითარებით მაიმუნს ჩამოუვარდება, მაგრამ აქედან შორს უნდა ვიყვნეთ იმ დასკვნამდის, რომ მაიმუნი ადამიანს უდრის ჭკუა-გონებით.

გავარჩიოთ, ისტორიული მიზეზი აქვს საზოგადოდ მამაკაცის უფრო ჭკუიანობას და ქალების დაქვეითებას თუ არა? რასა თქმა უნდა—აქვს. წარსულში არ ყოფილა ერი, რომელშიაც ქალები გაბატონებულიყვნენ მამა-კაცებზე. ისტორიაში ცნობილი გაბატონება, გამეფება დროებით ქალებისა ცოტას ან სრულიადაც არას ამბობს, რომ ქალებს რომელიმე ერისას, რომელიმე-ხანაში ჰქონოდეთ მეტი უფლებანი, ვინემ მამა-კაცებს. როგორც ცხოველებში მამალი მეტი ყოფილა ტანით და ღონით, მამაცობდა და მამაცობს ესლაც დედალზე, ისე წარსულში მამა-კაცი სარგებლობდა ფიზიკურ ძალით, იმორჩილებდა

ქალს, რაც ქალს უშლიდა თავისუფლად განვითარებისა თვისი ბუნება. ახალი გამოკვლევა ხომ ეჭვს ჰფენს იმ უწინდელს მოსაზრებას, რომ ზოგიერთ ხანაში ზოგიერთ ერში მატრიარხატი არსებულიყოს. რაკი ქალი ყოველთვის უფლებასა და გონების ვარჯიშობას მოკლებული ყოფილა, ეს გარემოება კიდეკაც უნდა დასტყობოდა მას. გონების განვითარება ან ევოლიუცია მასში უნდა შეჩერებულიყო. მაგრამ ეს ცოტა გადამეტებულია. ქალის გონების ზრდას, ევოლიუციის შეჩერებას ხელს უშლიდა მემკვიდრეობითი გადაცემა. სულიერნი თვისებანი, როგორც დედის მხრით, ისე მამის მხრით, გადაეცემიან მემკვიდრეობით, როგორც ვაჟს, ისე ქალს. ამ მხრით, ვფიქრობ, ქალის გონებით დაქვეითება საზოგადოდ გონების განვითარების (ევოლიუციის) შემაჩერებელია კაცობრიობისათვის *). მემკვიდრეობითი გადაცემა ამნაირად ცოტათი მაინც ასწორებს ბუნებისგან მომხდარ უსამართლობას, ის აკლებს ვაჟს იმდენს, რამდენსაც უმატებს ქალს. ამისათვის ყოველ ერში ყოველ დროს ქალის გონებასაც უჩენია თავი მწერლობაში, მხატვრობაში, მჭერმეტყველობაში. მაგრამ ერთიანად მიღებული ქალების ჭკუა და გონება არ უდრიდა და არც შეედრება მამა-კაცის ჭკუასა და გონებას. ქალი მაშინ ეუმკლავდება მამა-კაცს, როდესაც უარ-ყოფილი იქმნება მისი სქესებრივი ბუნება. როდესაც ქალი უარ-ჰყოფს, ნებით თუ უნებლიეთ, თვის ბუნებას, მაშინ იცვლება ერთიანად მისი სულიერი და ფიზიკური აგებულობა. პირველად ჰკარგავს ქალი თავის კლასიკურ ფორმას, რომელიც იმყოფება მკერდის და თეძოების (ТАЗЪ) გამობერვაში, რაიცა, არჩევს რა მამა-კაცს ქალისაგან, აძლევს უკანასკნელს მომხიბლავ გამოსატულებას. კლასიკურ ფორმასთან ერთად ქალის ხმა უფრო ჰარმონიული და ნაზია. კლასიკური ფორმა და ნაზობა ფიზიოლოგიურად და ანატომიურად ძლიერ შეეფერება ქალის ბუნებითს დანიშნულებას, ბავშვის დაბადებას და აღზრდას. ამასთანავე, როგორც კონტრასტი ფორმისა და ამ ფორმის მიხედვით თვით შინაარსისაც უფრო მიმზიდველია ქალი მამა-კაცისთვის, რაც საზოგადო მოვლენა არის ორგანულ ცხოვრებაში და უმნიშვნელოც არ არის ბუნების

*) ამას ჩვენ ვხედავთ ძლიერ ცხადად იმ ერებში, სადაც ქალი მონად გამხდარა და სადაც არსებობს ბევრ-ცოლიობა, — პოლიგამია.

ეკონომიაში. ქალი, ფიზიოლოგიურად და ანატომიურად მახინჯი, სულ სხვას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ქალი არც კაცსა ჰგავს, არც ქალს. ამგვარ ქალს უსქესო ქმნილება უნდა ვუწოდოთ. ქალის გონებას თუ დავავალებთ იმდენი გონებრივი ენერგიის დახარჯვას, რაც შეუძლიან მამა-კაცს, უნდა მოველოდეთ, ფიზიოლოგიური და ანატომიური პირობების სახეში მიღებით, მის დამახინჯებას, უსქესო ქმნილებად გარდაქმნას. ერთ სტატიაში ცნობილმა რუსის ბიოლოგმა მეჩნიკოვმა*) კიდევაც გამოსთქვა ეს აზრი. ამ წერილში ის ცხადად ამბობს, რომ ქალის მეტს გონებრივს შრომას, მის გამკლავებას მამა-კაცთან შეუძლიან შექმნას მესამე დარგი ადამიანისა—უსქესო ქალი. ეს არც საუცხოვოა,—ამბობს ბ. მეჩნიკოვი,—ბუნებაში. ფუტკრების და სხვა მწერების ცხოვრებიდან ხომ კარგად არის ცნობილი, რომ არიან მამლები, დედლები და მუშაკნი უნაყოფონი (დედლები). ადვილი მოსალოდნელია ქალის ცხოვრების პირობების გამოცვლამ შექმნას უნაყოფო, მაგრამ გონებითი მდიდარი ქალი. ეს უნაყოფობა ეხლავე იჩენს ცოტ-ცოტად თავს. ჯერჯერობით ფაქტები ცოტა გვაქვს, რომ დიდი ყურადღება მივაქციოთ ამ სამეცნიერო წინასწარმეტყველებას. საქმის ნამდვილი გათვალისწინება კი გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ამ წინასწარმეტყველებაში მოიპოვება რამდენიმე ნაწილი სიმართლისა. ამით ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ ქალის სწავლა-განათლებას, მხოლოდ ვიტყვით, ქრისტესი არ იყვეს «რომელ შემძლებელ არს დატევნად დაიტიესა»**). ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ მეცნიერებაში ქალს არც გამოუჩენია შესამჩნევად თავი და ვერც გამოიჩენს და თუ გამოიჩინა თავი, ვფიქრობთ, რომ ეს დაუჯდება მას ბუნების გადაცვლის ფასად. მეცნიერების შესასწავლად და მასში სამოღვაწეოდ ადამიანს დიდ ჭკუასთან ერთად დიდი შრომის და ენერგიის დახარჯვა უნდა. სულ სხვა არის მუსიკალური ნიჭი, ლიტერატურული; თუ აქ ადამიანს ნიჭი თან არ დაჰყვა, ყოველი ცდა და ენერგია უმნიშვნელოა. ცნობილი რუსის მწერალი სალტიკოვი თავის მოღვაწეობაში თითქმის უარჰყოფდა თავის ტალანტს და თავის ლიტერატურულ მნიშვნელობას ერთიანად აწერდა დიდს ენერგიას და

*) Мечниковъ. Законы жизни, „Вѣстникъ Европы“. 1891 г. № 10.
**) სახარება მათესი თავი 19, მუხლი 12.

შრომას. მართლაც, სალტიკოვის (შჩედრინის) სატირებში შეურყევ სიმართლეა. მის სტრიქონებში გარდა მკვიდარი ფსიხოლოგიური და მხატვრობითი მხარისა ჩვენ ვპოულობთ მეტის რიგიანად გადაწყვეტილ სამეცნიერო კრიტიკებსაც, რომლების ავტორს და გარეშე სალტიკოვს არ შეეძლო თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ღრმად შეუსწავლელად. მუსიკალური, მხატვრობითი, ჩვეულებრივი ბელეტრისტული განვითარება ერთმხრივია და ვინაც ნიჭი დაჰყოლია, ის ამ საგნებში ყოველთვის იჩენს თავს; ამის გამო მუსიკალურ საგნებში ქალმა თუმცა ძლიერ ვერ გამოიჩინა ორიგინალობა, თავი მაინც ისახელა*). ამ ნაირად ძლიერ საეჭველიანია ის დასკვნა, რომ საშუალო ტიპი ქალისა მუდამ დაბლა იქნება კაცის საშუალო ტიპიზე გონიერების მხრით, თუ თვით ნორმალური ფიზიოლოგიური პირობები არ შეიცვალენ. ამ დასკვნის წინააღმდეგნი არ იქნებიან ის შემთხვევები, სადაც ცალკე ქალი რომელიმე ხელოვნებაში ან სწავლაში მამა-კაცს გაასწრებს. ამ გარემოებაში ჩვენ თვით ბუნების სიმტკიცე და მართლიერება უნდა ვიპოვოთ, რადგან ის ქალსაც და კაცსაც განურჩევლად სქესისა ერთნაირად აჯილდოვებს მემკვიდრეობითი გადაცემით პოტენციალური ძალისა. გადაიქმნება თუ არა ეს ძალა მოძრავ ძალად, ეს კიდევ სხვა პირობებზე არის დამოკიდებული, რომლებითაც მამა-კაცები უფრო დაჯილდოვებულნი არიან თვით ბუნების უსასწორობისა შესაფერისად და განსახორციელებლად.

* *

თანამედროვე სწავლა-განათლება ისეთ ნიადაგზე არის დაფუძნებული, რომ დიდი ჭკუა არ არის საჭირო, რომ დიპლომი მიიღოს მოსწავლემ. სწავლის შემდეგ, ფორმალურად, უადვილდებათ ერთნაირად თითქმის ქალებსაც და კაცებსაც, რადგან მეტი მეცნიერებისათვის საჭიროა მხოლოდ მახსოვრობა.

სწავლა-განათლება ჩვენ დროში საუბედუროდ კომერციულ მოსაზრებაზე არის დამყარებული. როგორც ხელოვნების პირველი მიზანი თვით ხელოვნება არის, ისე მეცნიერების მიზანი თვით მეცნიერება არის: ბუნების კანონების შესწავლა და ადამიანის მასთან დაკავში-

*) აქაც, საზოგადოდ თქმით, ქალს არ ეტყობა ორიგინალობა; თუმც ქალები მეტი ენერგიით ეკიდებიან მუსიკის შესწავლას.

რება. მეცნიერულ გამოკვლევას პრაქტიკული შედეგი მოსდევს, რომელიც, შეიძლება, პირველყოვლისა მკვლევარის სურვილებითაც არ ჰქონდა სახეში. მეცნიერების შესწავლის დროს მოსწავლეც უნდა ჩადგეს მკვლევარის კვალში; მას საუკეთესოდ მეცნიერების შესწავლის სურვილი უნდა ჰქონდეს და არ ელტვოდეს მარტო პრაქტიკულ შედეგს სწავლისას. ამგვარი სურვილით აღჭურვილი მოსწავლე იპოვის მეცნიერებაში სწავლის დროს მიმზიდავ მხარეს, თვით პოეზიას, რომელიც სულგრძელობას და უანგარო ძიებარულს სწავლისადმი ჩაუნერგავს მას გულში. საუბედუროდ, ახალგაზრდობას, განუვითარებელი მშობლების და მასწავლებლების წყალობით, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—დიპლომის მიღება. ეს გარემოება არის მიზეზი, რომ მომქტებული ნაწილი ახალგაზრდობისა მაღალ სასწავლებლებშიაც სწავლობს უგულოდ, ფორმალურად. ამის გამო ნამდვილ სწავლას, რომელსაც დიდი ზნეობრივი გავლენა აქვს, ახალგაზრდობა გაურბის. მართალი რომ სთქვას კაცმა, ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ შესასწავლ საგნების რიცხვი მრავალია, საპედაგოგიო პრინციპები ჯერჯერობით ბორძიკობენ. საგნები და შესასწავლი ფაქტები მრავალია, მაგრამ ისინი როდი არიან ერთი-მეორესთან ლოგიკურად დაკავშირებულნი. თვით მეცნიერებანი, სინამდვილეს მოკლებულნი, ერთი-მეორეს არ უკავშირებიან, რაც თვით ბუნების წინააღმდეგია. ბუნება ერთ მთელს წარმოადგენს, რომლის მოვლენანი შორეული თუ ახლობელი კავშირით დაკავშირებულნი არიან და საზოგადო კანონებს ემორჩილებიან.

თვით მეცნიერებაშიაც, რომლის მიზანი ბუნების მრავალგვარი კანონის შესწავლა არის, უნდა იყოს საზოგადო კავშირი ნათლად ნაჩვენები. აქამდის ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია მეცნიერებას და ეს გარემოება უფრო უშლის მოსწავლეთ ხელს, რომელნიც ამის გამო სწავლობენ მეცნიერებას ფორმალურად. საფრანგეთის ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტმა ამ საუკუნის პირველ ნახევარში კიდევაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. მან წარმოსთქვა ის აზრი და საფუძვლიანადაც დაამტკიცა «Cours philosophie positive»-ში, რომ სავალდებულო მნიშვნელობა აქვს პედაგოგიაში მოკლედ გატარებულ მეცნიერებათა კავშირს, თუმცა უნივერსიტეტი გარეგნად ძლიერ შე-

ქიმერება მეცნიერების სხვა-და-სხვა ნაწილთა დაკავშირებას, რადგან წარმოადგენს ერთისა და იმავე დაწესებულებაში სხვა-და-სხვაგვარ ცოდნის შეერთებას, ერთად მოთავსებას (ფაკულტეტები), მაგრამ აქაც ეს პედაგოგიური იდეალი ძლიერ ცოტად არის შესრულებული, მაგალითად, მრავალია საექიმო და საიურიდიულო საგნების დამაკავშირებელი საბუთი, მაგრამ საქმე ისე მიმდინარეობს, რომ თითქო მათ შორის არ არის რაიმე კავშირი. ამ გარემოებას ამ ბოლო დროს კიდევაც მიაქციეს ყურადღება. ეხლა რუსულ ლიტერატურაშიაც მოიპოვება რამოდენიმე წიგნი, რომლებსაც აქვს მიზნად შეავსოს ის, რაც ვერ მოუსერხებია მაღალ სასწავლებლებს. ამ გარემოებას აღვნიშნავ მისთვის, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ და უფრო ქალების განვითარებაში, რადგან ისინი მოკლებულნი არიან მეცნიერების შესწავლას მაღალ სასწავლებლებში. მაგრამ მაინც არ სჩანს, რომ ქალები სარგებლობდნენ რიგიანად ამ გარემოებით. მართლაც, ქალებს უანგარო მხურვალე სწავლის სურვილი რომ ჰქონდესთ, ეს გარემოება მათთვის საოცარი წყარო იქნებოდა. საზოგადოდ რომ შევადაროთ ჩვენში ქალების და ვაჟების მდგომარეობა საშუალო სასწავლებლებში, მაინც და მაინც ვაჟები როდი არიან მოგებულნი. ვაჟების საშუალო სასწავლებლებში საგნები მრავალია და სწავლებაც ხომ ცუდად არის დაყენებული. ბევრი საგნების ურიგოდ სწავლა, არამც თუ არ ავარჯიშებს ვაჟების გონებას, პირიქით, ანლუნგებს კიდევაც. მოსწავლე ქალები უფრო აცილებულნი არიან ამ ურიგო სწავლას, რადგან მათი პროგრამმა უფრო მცირეა და სწავლასაც ნაკლებად აქვს მბრძანებლობითი ხასიათი. ამის გამო მათი გონება არ ილუნგება, რადგან პრაქტიკული მხარე სწავლისა მათთვის ისე სავალდებულო არ არის, როგორც ვაჟისათვის, ქალს უფრო შეუძლია ის ცოდნა შეიძინოს, რომელიც უფრო მარგებელია გონებისთვის. ამნაირ მარგებელ და გამართობელ საგნებად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო ისტორია და ლიტერატურა, მაგრამ ქალები არ ეკიდებიან მაინცა და მაინც მუყაითად ამ საგნებს. ჩვენის ღრმა რწმენით, ქალს, რაკი მას ცხოვრებაში დღემდის დიპლომს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო უნდა ეძია ის ცოდნა, რომელიც უფრო ნაყოფიერი

საინტერესოა, მაგრამ შეუძლებელია ამისი შესრულება [illegible] სხვის მასწავ-
ლო მხოლოდ [illegible] საშუალო სასწავლებლებში ქალები ძლიერ ჩა-
მორჩენილნი არიან ვაჟებთან შედარებით [illegible]
თანდათან ფეხს იდგამს ქალების სწავლა-განათლების საქმე-
[illegible] წლიდან [illegible] პეტერბურგში ქალების [illegible] ინსტი-
ტუტი გიმნაზიაში [illegible] მეტს უნდა მოველოდეთ, თუ ქალი არ იქ-
ნა ჩამორჩენილი იმავე მოსაზრებით, რომლითაც ჩამორჩენილა. დღეს
[illegible], ქალისაგან [illegible] მაღალი სწავ-
ლის მიღებაზე დიდი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ როდესაც ქალსაც
მხოლოდ [illegible] მიღების სურვილი აქვს, მის სწავლას არ
შეუძლიან ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს არც თავისს და არც
საზოგადოებას. ქალის ზნეობრივი მნიშვნელობა ოჯახში და საზო-
გადოებაში ძლიერ დიდია, რომ [illegible]
სახელმწიფოში [illegible] საზოგადოდ ზნეობა. [illegible]
[illegible] გამწვავებულია, რომ [illegible] საშუალებას
[illegible], რათა [illegible]. [illegible]
[illegible] უნდა [illegible]
მართლა წმინდა დაწესებულებას. [illegible] ქალს უნ-
და [illegible] და ამ გალის შესრულება [illegible] დიდი ღვა-
წლით ოჯახის და სახელმწიფოს წინაშე. ამის გამო ქალის სწავლა-
განათლება [illegible] უნდა [illegible] ქალის ზნეო-
ბრივი [illegible] ოჯახზე და საზოგადოებაზე [illegible]
[illegible] უნდა [illegible] საზოგადოების [illegible], რომელიც
[illegible] გამწვავებულია [illegible]
[illegible] სწავლის [illegible]
[illegible]. [illegible] საზოგადოებაში ქალებმა [illegible]
ქალებზე [illegible]
საზოგადოების [illegible] რთულდება. [illegible]
[illegible] საზოგადო [illegible] უნდა [illegible]
[illegible] ქალები არ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

სამწუხაროდ წინადან დაწყებული მაღალ წრეებში ქართველმა ქა-
ლებმა უსაქმობის გარდა არ იციან რა ქნან. კიდევ გავიმეორებ იმას,
რომ სხვა-და-სხვა გარემოების გამო მათ სწავლას უფრო ნაკლე-
ბად უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი. ეს მისთვის, რომ ჩვენ,
მამა-პაპების უნიჭობის გამო მლიქვნელობით ვებმით ბიუროკრა-
ტიულ უღელში, რომელიც ჯერ-ჯერობით რუსეთში ერთად-ერთ
ეკონომიურად ადამიანის დამაკმაყოფილებელ საქმეა. ამაზედ ფიქრი
ჩვენი ქალისთვის გონების შემძლელი ოცნებაა; უნდა მოვითვალოს.
ამისათვის ჩვენმა ქალებმა სულ სხვა საქმეს უნდა მიაპყრონ თავისი
ყურადღება. მიიღო ჩვენმა ქალმა საშუალო სწავლა თუ არა, მან
დრო და ჯანმრთელობა უწყობს ხელს საზოგადო სწავლით შეავსოს
ერთმხრივი სწავლა. ამის შემდეგ მან სასიქადულო ასპარეზზედ უნ-
და გასწიოს ჩვენი ოჯახი, რომელიც, უნდა გამოვტყდეთ, სხვა-და-
სხვა პირობების წყალობით ძლიერ დაქვეითებული და შერყვნილია.
ოჯახი ყოველგან უფრო წინამორბედი საზოგადოებისა და სახელ-
მწიფოსი. უპირველესად ოჯახში იბადებიან მორალური და სოცია-
ლური თვისებანი, რომელნიც ბოლოს ხდებიან თვით საზოგადოე-
ბის და სახელმწიფოს საფუძვლად.

ოჯახის შერყევა საზოგადოდ ძირის მორალურ და სოციალურ
გრძნობათა, რომელნიც ქვაკუთხედს შეადგენენ საზოგადოებისას და სა-
ხელმწიფოსას; ამისათვის ის ერი, რომელიც ოჯახის მხრით შერყეუ-
ლია, პროგრესის მაგივრად მიექანება დაღმართისაკენ, უფსკრულში შთა-
სანთქმელად. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ოჯახი პროგრესის გზაზე იდგა:
დროთა ვითარებამ ჩვენი ცხოვრება უფრო გაამწვავა. ამ გამწვავებულ
ბრძოლაში ჩვენი მამაკაცნი იღებენ უფრო მონაწილეობას და მხნეობას
არამც თუ დაღლილებულან ისინი, პირიქით უფრო დაცემულან; ამ ბრძო-
ლაში ერთად-ერთი ჩვენი სიმდიდრე, ენა დავიწყებული იქმნა და ლამის
გაირყვნას. გარყვნასთან ერთად მას ფესვი მოაკვეთეს ყოველგვარ
დაწესებულებაში. მაღალფარდოვნად ენა ოჯახს უნდა შეენახა,
მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი მასწავლებლობა გაუწიეს იმას ჩვენმა
საშუალო და მაღალ ხარისხის ოჯახებმა. დედა-ენა მივატოვეთ, ნებით
თუ უნებლიეთ, მაგრამ მის შეუგნებლობამ შეგვიწყო ხელი რუსულ
ენის შესწავლაში, კიდევაც უფრო დაგვაბრკოლა ამ გარემოებამ.

ენის მხრით შეწუხებული, ეკონომიურად დაქვეითებული ჩვენი ოჯახი შეუძლია მხოლოდ დღეს ქართველმა ქალმა ააყვაოს, მაგრამ უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო უწყობს ხელს ენის შელახვას და ოჯახის ეკონომიურად დაცემას. ამ მხრით რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ჩვენმა ქალმა, რომელსაც ახლანდელი ცრუ განათლება ვერ ასწავლის ვერც ზნეობით, ვერც ცოდნებით. რა გააკეთეს დღეს ჩვენმა ქალებმა, რომლების რიცხვი დიდად გადამეტებულია საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულ ვაჟებზე. სრულებით არაფერი. უთავბოლოდ ბევრის ცოდნას, ბევრად სჯობია ისევ ცოტას ცოდნა, მაგრამ მტკიცედ კი. ამ მხრით ჩვენი ძველი დედები უფრო ყურადღების ღირსნი არიან; მათში უფრო მეტია ქალობაც და ოჯახის და საზოგადო საქმის შეგნებულებაც. ამნაირად ჩვენი ქალების სარბიელი მაღლიანია, ე. ი. ამ სარბიელზე მოუწოდებენ ისინი მოღვაწეობას. ეს სარბიელი ჩვენი ოჯახია, ოჯახის განსპეტაკება ენისა და ზნეობის მხრით; რიგიანი ზნე-ჩვეულების განმტკიცება, უზომო ფლანგვის შეზღუდვა და ამ ნაირად ოჯახის ეკონომიურად აყვავება, ბავშვების რიგიანად აღზრდა,—აი მართლაც სამჯვილი ღვაწლი ჩვენი ქალებისა, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი უკუღმართობის სახეში ძიებით, შთამომავლობაში მძიმედ დაედგმით მათ. მაგრამ გასწევენ კი ღვაწლს ჩვენი ქალები?... ეს ჩვენ მათ გადასაწყვეტად ვანდავდით...

ნ. გზმაკიძე

# ცნობა

## ხალხის გამრავლების შესახებ კავთისხევის სამრევლოში *)

| რიცხვი | წელიწადი | № 1 რიცხვი სულთა: მამრ. | მდედრ. | ორივე. | № 2 რიცხვი დაბადებულთა: მამრ. | მდედრ. | ორივე. | № 3 რიცხვი გარდაცვლილთა: მამრ. | მდედრ. | ორივე. | № 4 ქორწინება | № 5 რამდენი წლისანი გარდაიცვალნენ | მამრ. | მდედრ. | ორივე. | № 6 მიზეზი უმეტესისა სიკვდილისა. ეს ცნობა შეეხება მე-3 №-ს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1874 | 430 | 422 | 852 | 12 | 13 | 25 | 9 | 11 | 20 | 16 | დაბად. 5-მდინ | 119 | 112 | 231 | |
| 2 | 1875 | 450 | 430 | 880 | 24 | 21 | 45 | 13 | 16 | 29 | 7 | 5—10 | 30 | 32 | 62 | ყვავილი |
| 3 | 1876 | 459 | 431 | 890 | 15 | 25 | 30 | 8 | 13 | 21 | 11 | 10—15 | 16 | 11 | 27 | |
| 4 | 1877 | 460 | 424 | 884 | 17 | 17 | 34 | 15 | 17 | 32 | 13 | 15—20 | 10 | 13 | 23 | |
| 5 | 1878 | 429 | 413 | 842 | 26 | 20 | 46 | 14 | 10 | 24 | 17 | 20—25 | 14 | 15 | 29 | ქუნთრუშა |
| 6 | 1879 | 445 | 407 | 862 | 30 | 23 | 53 | 16 | 11 | 27 | 10 | 25—30 | 9 | 11 | 20 | ყვავილი |
| 7 | 1880 | 427 | 438 | 825 | 26 | 21 | 47 | 7 | 8 | 15 | 7 | 30—35 | 11 | 10 | 21 | |
| 8 | 1881 | 483 | 448 | 931 | 14 | 22 | 36 | 5 | 8 | 13 | 12 | 35—40 | 5 | 10 | 15 | |
| 9 | 1882 | 499 | 458 | 957 | 21 | 23 | 44 | 6 | 5 | 11 | 10 | 40—45 | 7 | 10 | 17 | |
| 10 | 1883 | 499 | 455 | 954 | 27 | 32 | 59 | 11 | 18 | 29 | 10 | 45—50 | 14 | 14 | 28 | ქუნთრუშა |
| 11 | 1884 | 496 | 454 | 950 | 24 | 24 | 48 | 21 | 15 | 35 | 11 | 50—55 | 11 | 6 | 17 | ყვავილი |
| 12 | 1885 | 515 | 468 | 982 | 24 | 25 | 49 | 18 | 14 | 32 | 10 | 55—60 | 13 | 17 | 30 | წითელა |
| 13 | 1886 | 524 | 469 | 993 | 24 | 34 | 58 | 8 | 11 | 19 | 10 | 60—65 | 10 | 7 | 17 | |
| 14 | 1887 | 538 | 508 | 1046 | 17 | 33 | 50 | 10 | 13 | 23 | 10 | 65—70 | 9 | 11 | 20 | |
| 15 | 1888 | 540 | 535 | 1075 | 23 | 22 | 45 | 13 | 15 | 28 | 15 | 70—75 | 8 | 10 | 18 | |
| 16 | 1889 | 561 | 520 | 1081 | 31 | 21 | 52 | 19 | 14 | 33 | 5 | 75—80 | 4 | 6 | 10 | |
| 17 | 1890 | 576 | 524 | 1100 | 23 | 26 | 49 | 18 | 30 | 48 | 16 | 80—85 | 3 | 5 | 8 | ყვავილი |
| 18 | 1891 | 587 | 556 | 1142 | 37 | 26 | 63 | 17 | 11 | 28 | 8 | 85—90 | 1 | 3 | 4 | ყვავილი და ყივანა ხველა. |
| 19 | 1892 | 605 | 529 | 1034 | 28 | 25 | 53 | 25 | 29 | 54 | 8 | 90—95 | | | | ქუნთრუშა და ხორველა. |
| 20 | 1893 | 597 | 533 | 1130 | 33 | 17 | 50 | 12 | 12 | 24 | 11 | 95-100 | | 1 | 1 | |
| 21 | 1894 | 591 | 531 | 1122 | 27 | 34 | 55 | 29 | 22 | 51 | 9 | | | | | წითელა |
| ჯამი . . . | | | | | 497 | 504 | 1001 | 294 | 303 | 597 | 226 | ჯამი. | 294 | 303 | 597 | |

*) შენიშვნა: 1) ეს ანგარიში არის შემდგარი გორის მაზრის კავთისხევის წმ. გიორგის ეკკლესიის სამრევლოთა ზედა; 2) კავთისხევის საზოგადოებაში არის 4 მართ-მადიდებელთ ეკკლესია თაი-თავისი საკუთარის კრებულითა და ერთიც სომეხთ სარწმუნოებისა, ეს ანგარიში არის ერთის ამ ოთხის ეკკლესიათაგანისა; 3) ცხრილში ნაჩვენები 1-ლი №-რი არის ამოკრებილი აღსარების მთქმელთა სიიდან. აღსარების სიები თუმცა შეადგენენ ოჯახთა და მათ წევრთა აღწერილობათა, მაგრამ მაინც მისი უცვალებელი ჭეშმარიტება ირღვევა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, როგორც იხილავთ „ანგარიშის" განხილვაში; 4) დანარჩენი ცნობანი არიან აღმოწერილნი მეტრიკის წიგნებიდან და შეადგენენ უცვალებელს ჭეშმარიტებასა, მისთვის, რომ ის ბედნიერი ანუ უბედური შემთხვევა, რომლებიც მეტრიკაში არიან აღნიშნულნი, იწერებიან იმავე დღეს, რა დროსაც წესი სრულდება მღვდლისაგან. ავტ.

ანგარიში დაწყებულია 1874 წლის დასაწყისიდან და თავდება 1894 წლის დასასრულს და შეადგენს 21 წლის ანგარიშს. რაც შეეხება მე-2-სა და 4-სა ნუმრების ცნობათა—ესე იგი დაბადებულეთა და დაქორწინებულთა, იმაზე არა ითქმის-რა, ხოლო რაც შეეხება ცხრილში ნაჩვენებ ცნობათა მე-3 და მე-5 ნუმრებისასა, იმათზე ვილაპარაკებ შემდეგსა: მკითხველი თვალ-წინ აქვს ცხრილი, ამ ცხრილის მესამე ნუმერში ჩაიხედავს თუ არა, მაშინათვე შენიშნავს, რომ სიკვდილობა ზოგ წლებში მაკლებია და ზოგში მეტად დიდი, მაგალითად ამის მაჩვენებელი ჩვენებისაც ასწორებს. მაგალითად:

1881 წელში იყო გარდაცვალებული მამრ. 5, მდედრ. 8 სულ ერთიანად 13
1882 — — — — 6 — 5 — 11
1889 — — — — — 8 — 15

მაშინ როდესაც სიკვდილიანობის შემცირება შეინიშნება:

1890 წელში დაიხოცნენ მამრ. 18, მდედრ. 30 და ერთად 48
1892 — — — 25 — 29 — 54
1894 — — — 29 — 22 — 51

და სხვებიც ასეთ მომავალ ნუმრის ცნობა ცხადად უჩვენებს სიკვდილიანობის უმეტესს მიზეზს. ასე, 1890 წელში მიზეზი უმეტესის სიკვდილისა ყოფილა ყვავილი, 1892 წელში ყვავილი და ზოგიერთ ხორველა, 1894 წელში წითელა. ახლა გადავხედოთ მე-5 ნუმრის ცნობას, იქ ცხადად დავინახავთ, რომ ყველაზე მეტად ყველა წლოვანობაზე მეტად სიკვდილს ექვემდებარება ბავშვები დაბადებიდან 5 წლამდის. ასე მაგ. 597 გარდაცვალებულში არის გარდაცვალებული 231, აქედან მამრ. 119 და მდედრ. 112, მერმე ათ წლამდის ამავე 597-დან მომკვდარა 62,—მამრ. 30 მდედრ. 32, მერმე 15-დის ასაკ. სიკვდილს უმსხვერპლია 27,—მამრ. 16 მდედრ. 11. აქედან ცხადად ვგულისხმობ, რომ ყვავილს, ქუნთრუშას, წითელას და ყივანახველას ვერ უძლებს ჯერ კიდევ სუსტი აგებულება ბავშვისა და ხალხს ნაკლებად უსარგებლნია ექიმებისაგან გამოგონილის ყვავილის წინააღმდეგ მშვენიერის საშუალებით—«აცრით». ხოლო ქუნთრუშისა, წითელისა და ყივანახველის წინააღმდეგი საშუალებისა კი ჯერედ სრულიად არა იციან-რა.

იმავე ცხრილიდან მკითხველი დაინახავს, რომ 597 სულში 90 წლამდის უცოცხლია 4 სულსა, ერთს კაცსა და სამს ქალსა; ხოლო ასამდის მხოლოდ ერთს დედაკაცს. აქვე იხილავთ, რომ 20 წლიდან 30-მდის არ არის შემცირებული სიკვდილი. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ჭაბუკები, რომლებსაც მალა და ღონე უფრო სხვებზე მეტი აქვთ, მიდიან სამუშაოდ ქვემო ქვეყნებში, რკინის გზაზე ფულის ასაღებად. იქ ავად ხდებიან, მოდიან დაცლილები და იხოცებიან—აქაური კაცი ვერ იტანს ქვემო ქვეყნების ჰავას, ხოლო ზემოთ ქვეყნებში კი—ესე იგი ცივ ქვეყნებში, რასაკვირველია, აქ ვამბობ ჩვენ ქვეყანაზე, კარგად იტანენ და როდესაც ჰკითხავ გლეხს, თუ რად მიდიან ქვემოდ, სადაც ჩვენი კაცი ჰავას ვერ იტანს, მაშინვე ასე გიპასუხებენ: რა ვქნათ, ჩვენ გლეხნი ვართ ხარჯის მძლეველნი, ფული გვიჭირს ხარჯისთვის და რკინის გზაზედ უფრო ნაღდად იძლევიან და მეტსაც, სანამ სხვაგან.

ბოლოს, მაინც, დაბადებულების რიცხვი შეადგენს 1001, აქედან მამრი 497, მდედრი 504. დახოცილები რომ გამოვრიცხოთ 597—მდის რჩება 404: 203 მამრი და 201 მდედრი. ეს 404 რომ დავუმატოთ ხალხის სიმრავლეს, რომელიც, როგორც აღსარების მთქმელთა სიის ცხრილი გვიჩვენებს, 1874 წელში 852-ს შეადგენს და გვექნება და უნდა იყოს 1894 წელში მრევლი 1256, მაგრამ ნამდვილად კი ეგრე არ არის. აღსარების სია 1894 წელში გვიჩვენებს მრევლს 1122, ას ოც და თოთხმეტით ნაკლებს (134). ამის მიზეზი ის არის, რომ მრევლის მდგომარეობა იცვლება წლითი-წლად—ხან მოდის სახლობა და ხან მიდის. პირველ შემთხვევაში ემატება ნამდვილს, ხოლო მეორეში აკლდება. სთქვეს აღსარება და ჩაიწერნენ უცხონი, შემოსულნი და სტუმარნი ჩაიწერებიან აღსარების მთქმელთა სიაში, ხოლო წავიდნენ—გამოირიცხებიან, რადგან მთავარი დანიშნულობა ამ წიგნსა ის არის, რომ შეიტყონ ქრისტიანის სულის მოძრაობა მისავე სარწმუნოებისა. ამ რიგად 21 წლის განმავლობაში მრევლს შეემატა 404 სული: 203 მამრი და 201 მდედრი.

მღ. დავით ბასხაძე

# წერილი სტამბოლიდან

## საკომერციო სასწავლებელი.

ამ თვის ოთხმეტს, ქალაქ კონსტანტინოპოლში გაიხსნა ახალი საკომერციო აკადემია სულთნის იმპერატორის დირექტორობით. ეს საკომერციო სასწავლებელი ამას გარდა კიდევ ორი არის — ჩალქის და სტამბოლში, მაგრამ ახლად გახსნილი თავი-სის პროგრამით უპირატესია ყველასთაგანისა. განიყოფება ეს აკადემია ორ ნაწილად. პირველ ნაწილს უწოდებენ მოსამზადებელს (secion préparatoire), მეორეს კი აკადემიას (secion académique). პირველს მოსამზადებელში ასწავლიან 13 საგანს. მათ შორის ოთხი უცხო ენებია: ბერძნული, ოსმალური, ფრანგული და ინგლისური. მოსამზადებელ განყოფილებაში იღებენ რვიდან თოთხმეტ წლის მოსწავლეთ, მხოლოდ აკადემიაში იღებენ, რომელნიც ხნისანი უნდა იყვნენ. აკადემიაში ასწავლიან ოცდა ოთხს საგანს. ეს საგნები შემდეგნი არიან: საკომერციო მეცნიერება, მათემატიკა, საკომერციო გეოგრაფია, საკომერციო ვაჭრობა, პოლიტიკური ეკონომია — კანონმდებლობა, ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკა, ქიმია, მეხანიკა, ტელეგრაფია, დეპეშების წიგნ-მანქანით წერის შესწავლა, ტუშით წერა, მხატვრობა, სტენოგრაფია, გიმნასტიკა, მუსიკა, ბერძნული, ფრანგული, ოსმალური, ინგლისური, გერმანული და რუსული ენები.

მთელი კურსი ამ საგნებისა მოსწავლემ უნდა გაიაროს ოთხის წლის განმავლობაში; წინა საკომერციო საგნებს შეი-

სწავლის, მას ეძლევა მარსელის უმაღლეს სასწავლებლის დიპლომი. მოსწავლეს შეუძლია აგრეთვე, სურვილისამებრ, აირჩიოს საგნები და ისწავლოს. სასწავლებელში არის პანსიონიც, სადაც მოსწავლეთ შეუძლიანთ დაბინავება, თუ კი გადიხდიან წელიწადში ოც და თხუთმეტს ლირას, რომელიც უდრის 300 მანეთს. თვითეულს [illegible] ჭირია-რა გარდა წიგნების ყიდვისა. შეუძლიანთ აგრეთვე მოსწავლეთ იარონ დღისით სკოლაში და ბინა სხვაგან იქონიონ. ასეთი მომსვლელი შეგირდები იხდიან წელიწადში 10 ოქროს, ე. ი. 85 მანეთს. ნახევარი ნაწილი ამ ფულისა უნდა მიეცეს სკოლის დირექტორს წინდაწინვე. ამ ფულის მიღებისთანავე აძლევს ორს კვიტანციას [illegible] შეგირდს, რომ ფული მიიღო წინდაწინვე, ხოლო მეორეს იმისას, რომ მოსწავლეს ნება აქვს ყოველ დღე სკოლაში სიარულისა. შეიძლება, ღარიბ მოსწავლეთათვის შესატანი ფული გაიყოს სამ ნაწილად, ე. ი. ყოველ ოთხ თვეში $3^1/_3$ ლირა აძლიონ. მოსიარულე შეგირდები ვალდებულნი არიან უჩვენონ კვიტანცია სკოლის უფროსს ყოველ დღე, რაც [illegible] არიან სკოლაში, ესეთმა შეგირდებმა, რომელთაც ფული არ შეუტანიათ. სწავლა ამ სკოლაში გრძელდება ერთ მეტის თვის განმავლობაში. წელიწადში [illegible] ერთის [illegible] მოწაფეთ შეგირდებს [illegible] [illegible] შეგირდები [illegible], რადგანაც უმეტეს ნაწილთაგანმა [illegible] ამ სკოლის თარსებობაში [illegible] ვილი [illegible] ასეთი [illegible] სასწავლებლის [illegible] გაუქმდეს მოსწავლეებისთვის, რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] გაზრდას, რომელიც აქვსთ სწავლის სურვილი [illegible] [illegible] უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა და რომელთაც [illegible] [illegible] ამ სასწავლებელში [illegible] [illegible] ქარხნებში სპეციალი კომერსანტები და მეტადრე ასეთის უმაღლეს სასწავლებლის დიპლომის მქონენი [illegible], რომელიც ნაკლებად არიან ქართველებს [illegible] [illegible] სწავლით კომერსანტებს მაშინ

როდესაც ყოველივე ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მრეწველობასა და ალებ-მიცემობაზე. ეს სწორედ არ გვეპატიება ჩვენ. დღეს ჩვენს გაზეთებში უმთავრესი ადგილი უჭირავს მარტო ხალხის უკიდურეს მდგომარეობის, მის გონებრივად თუ ზნეობრივად დაცემის, მის გაღატაკებისა და უწიგნურობას, რით შეუძლია ხალხს სული მოიდგას, გამოვიდეს თავის უკიდურეს მდგომარეობიდან და მოჰკიდოს ხელი სწავლა-განათლებას, და სხვა რამ უფრო რიგიან ალებ-მიცემობას, როდესაც მას არა ჰყავს გზის მაჩვენებელი?! ჩვენის ხალხის სიღარიბის მიზეზი ის არის, რომ იგი ვერ ასაღებს თავის საქონელს. მყიდველი არ არის და თუ აღმოჩნდა ორიოდე ვინმე, ისინიც მეოთხედ ფასად იგდებენ ხელში. ჩვენის ხალხის ავლა-დიდება ან ხარჩებს მიაქვთ და ან გაუსაღებლად ფუჭდება და ლპება. აი სად არის საჭირო პატიოსანი და ხალხის გულ-შემატკივარი კომერსანტი. აი რად ეჭიროვება ხალხს დახმარება, რომ შემდეგში მასაც გონება გაეხსნას და დაადგეს რიგიან გზას?! მართალია, ჯერ-ჯერობით ჩვენმა გლეხობამ არ იცის სწავლის მნიშვნელობა და გაიძახის, რად მინდა სწავლაო, მაგრამ, რაკი დაინახავს ჩვენს მაგალითებს, რაკი შეიგნებს თავისივე თანამოძმისაგან, რომ სწავლა ყოველისფერში გამოსადეგი ყოფილა, მაშინ ის აუცილებლად მისცემს თავის შვილს სასწავლებელში და გამოზრდის. ნუ თუ ჩვენს ქართველებში არ არიან ისეთი ახალგაზდები, რომ ენერგიულად მოჰკიდონ ამ სწავლას ხელი, მრავალ ჩვენს მდიდარ ლარიბებს მისცენ საშუალება თავიანთის საქმეების გაუმჯობესებისა, დააყენონ წინმსვლელობის გზაზე და აგვირგვინონ თავიანთი სახელი პატიოსან მუშაკობით.

აქსენტი გვათუა

## რედაქციაში მოსული ახალი წიგნები.

1. ამბავი ცხოველთა სამეფოსი,—შედგენილი ნ. რუბაკინის-მიერ—სურათებით, თარგმანი გრ. ყიფშიძისა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა, № 30. ტფილისი 1897 წ. ფასი ათი შაური.

2. СУПРУГИ.—Комедія въ пяти дѣйствіяхъ Габріэля Сундукіанца переводъ съ армянскаго (изданіе автора). Тифлисъ. 1897 г. Цѣна 75 коп.

3. МАСКАРАДЪ.—Комедія въ 1 дѣйствіи. Сочиненіе Дав. Христофорыча. Тифлисъ 1897 г. Цѣна 25 коп.

4. МЫСЛИ и АФОРИЗМЫ.—Сочиненіе Дав. Христофорыча. Часть I. Тифлисъ 1897 г. Цѣна 25 коп.

---

მე-10 №-ში წერილში „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები“, მე-104 გვერდზედ შეცდომით არის დაბეჭდილი:

„...წმინდა მოგება დარჩა ამხანაგობას სამი ათას ოთხასი მანეთი (3428 მან.)“.

უნდა იყოს: „...ოთხი ათას სამას ოთხმოცდა ჩვიდმეტი მანეთი (4397 მან.)“.

იქვე სქოლიოში „...შეადგენს ყველა 16-დან 29 ათას მანეთამდის მოგებას...“

უნდა იყოს: „...შეადგენს ყველა 16-დან 20 ათას მანეთამდის მოგებას...“

---

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი.

# „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

ფასი გაზეთისა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — | კ. | 6 თვით | 6 მ. | — | კ. |
| 11 „ | 9 „ | 50 | „ | 5 „ | 5 „ | 50 | „ |
| 10 „ | 8 „ | 75 | „ | 4 „ | 4 „ | 75 | „ |
| 9 „ | 8 „ | — | „ | 3 „ | 3 „ | 50 | „ |
| 8 „ | 7 „ | 25 | „ | 2 „ | 2 „ | 75 | „ |
| 7 „ | 6 „ | 50 | „ | 1 „ | 1 „ | 50 | „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით და-ეთმობა 8 მანეთად.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოგვიგზავნოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გა-დავიდა, უნდა წარმოგვიგზავნოს ორი აბაზი.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქცია-ში, ნიკოლოზის ქუჩა № 21, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზედ ერთი-ჯერ სტრი-ქონი — 8 კაპ., პირველზედ — 16 კაპ.

ტელეფონი № 247.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

ქართველ დღიური გაზეთი

# „ცნობის ფურცელი“

გამოვა 1898 წელსაც ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც

## ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| ერთის წლით . . . . . 6 მან. | ერთის თვით . . . . . 1 მან. |
| ნახევარის წლით . . . 4 მან. | ცალკე ნომერი . . . . „ 3 კ. |

(სხვა ვადით გაწერილის დახარება არ შეიძლება)

**სოფლის მასწავლებლებს გაზეთს წლიურად 5 მანეთად.**

ვისაც ერთბაშად შემოტანა ეძნელება, რედაქცია აძლევს შეღავათს: ხელის-მოწერის დროს შეუძლიანთ შემოიტანონ 2 მანეთი, ხოლო დანარჩენი 4 მანეთი შემდეგ ორ-თვეში თვე და თვე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ქ. ზუბალაშვილთან, ბათუმში მ. ნიჟარაძესთან, ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძესთან, სოხუმში თედო სახოკიასთან, თელავში ილია იმერლიშვილთან, სიღნაღში დ. მაჩხანელთან (ნადირაძე), გორში არსენ ცალანდაძესთან, კავკავში ლუარსაბ ბოცვაძესთან.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზედ — ნახევარი.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію газеты „Цнобисъ-Пурцели“, Фрейлинская ул. д. Мирзоева.

რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნია.

# Открыта подписка на 1898 г.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧ. и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ЧЕТЫРНАДЦАТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Въ 1898 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

Въ истекающемъ году, въ газетѣ, кромѣ мѣстныхъ силъ, участвовали также *К. С. Баранцевичъ, В. В. Вересаевъ, В. К.* (петербург. корресп.), *Л—овичъ* (лондон. корресп.) *Д. М. Маминъ-Сибирякъ, М. А. Протопоповъ, акад. кн. Тархановъ, В. Е. Чешихинъ, А. С. Хах—овъ* и др.

**Условія подписки**: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к. За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., полгода—4 р.

**Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

**Подписка и объявленія принимаются ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты, Барятинская ул., № 8.**

*Иногородные адресуютъ свои требованія:* **въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Розничная продажа газ. „Новое Обозрѣніе“ *производится: въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ* Ледерле, Невскій просп., № 42, д. армянской церкви; въ *Москвѣ—въ книжномъ магазинѣ* Карбасникова, Моховая улица; въ книжныхъ шкапахъ станцій ростово-владикавк. жел. дороги: *Владикавказъ, Весланъ, Тихорѣцкая и Ростовъ.*

Лица, подписавшіяся на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1898 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

СКОРО ВЫЙДЕТЪ ИЗЪ ПЕЧАТИ

# „КАВКАЗСКАЯ ЖИЗНЬ",

**художественно-литературный иллюстрированный сборникъ, кн. II.**

Содержаніе: I. Военно-грузинская дорога, стихотвореніе *В. Лебедева*. II. Жинвани, древнѣйшій городъ Грузіи, неизданная статья историко-археолога *Платона Іосселіани*. III. Сельскія картинки, изъ Важа-Пшавела, съ грузинскаго, *А. Никитина*. IV. Мингрельскій языкъ (разговорный и литературный). V. Осенняя ночь, стихотвореніе *П. Опочинина*. VI. Невинная жертва, повѣсть *Раффи*, съ армянскаго. VII. Изъ кн. Ильи Чавчавадзе, стихотвореніе *В. Величко*. VIII. Верійское ущелье, этнографическій очеркъ *Ив. Ростомова*. IX. Кавказъ въ экспромтахъ поэтовъ: *А. Будищева*, *В. Мазуркевича*, *Ф. Соллогуба*, *В. Шуфа* и *А. Өедорова*. X. Нашествіе чалабовъ, сцены изъ армянской сельской жизни, *А. Мануэльянца*. XI. Грузинскіе католики, неизданная статья *Луки Исарлова*. XII. Изъ тифлисскихъ нравовъ, съ грузинскаго, №№. XIII. Изъ кн. Акакія Церетели, стихотвореніе *В. Лебедева*. XIV. Закавказская деревня (вмѣсто обзора), *Ш. Давидова*, и т. д.

Цѣна экземпляра, съ пересылкою и доставкою, 1 р. 20 к.; по выходѣ—2 руб. За коленкоровый переплетъ съ золотымъ тисненіемъ—1 руб.

Принимаются объявленія.

Требованія адресовать въ книжные магазины „Центральной книжной торговли" и грузинск. „Общества распространенія грамотности", или издателю Шіо Давидову, Тифлисъ.

**Открыта подписка на 1898 годъ на**

# „СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ".

ЖУРНАЛЪ ЛИТЕРАТУРНО-НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ

**Начиная съ майской книги съ 1897 г. „Сѣверный Вѣстникъ" издается**

**БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ.**

Съ облегченіемъ условій изданія, въ виду снятія съ журнала предварительной цензуры, редакція „Сѣвернаго Вѣстника" желаетъ расширить провинціальный отдѣлъ и проситъ лицъ, имѣющихъ къ тому возможность, доставлять матеріалы, пригодные для обработки въ областномъ отдѣлѣ, а также самостоятельныя замѣтки и корреспонденціи касательно явленій мѣстной жизни, текущихъ интересовъ мѣстнаго общества, народнаго образованія, дѣятельности губернскихъ и уѣздныхъ земствъ, всевозможныхъ общественныхъ начинаній и т. п.

**Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:**

П. Боборыкинъ, П. Гнѣдичъ, М. Горькій, В. Микуличъ, В. Каренинъ, Б. Корженевскій, Котъ-мурлыка, Я. Крюковскій, Е. Лѣткова, Вас. Немировичъ-Данченко, Вл. Немировичъ-Данченко, Л. Саломэ, С. Смирнова, Л. Н. Толстой, О. Шапиръ, I. Ясинскій, А. Эртель, К. Бальмонтъ, П. Вейнбергъ, М. Лохвицкая, К. Льдовъ, Д. Мережковскій, Н. Минскій, К. Фофановъ, О. Чюмина, Н. Арефьевъ, М. Венюковъ, А. Волынскій, прив.-доц. И. Гессенъ, Н. Гернштейнъ, д-ръ Д. Герценштейнъ, прив.-доц. В. Грибовскій, А. Каменскій, Н. Карабчевскій, проф. А. Кирпичниковъ, П. Каптеревъ, А. Коптяевъ, Е. Литвинова. д-ръ А. Лозинскій, проф. Д. Овсянико-Куликовскій, проф. И. Оршанскій, Л. Оршанскій, М. Петровъ, проф. В. Сергѣевичъ, А. Субботинъ, проф. А. Трачевскій, П. Тверской, В. Шеврокъ, проф. Л. Щепелевичъ, проф. Е. Шмурло, В. Чуйко и мн. др.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи. **Главная контора:** Спб., Б. Московская, д. 11, въ **Москвѣ**—въ конт. **Н. Печковской**, Петровскія линіи.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ**

| | Годъ. | Полгода. | Четверть года. | 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| Для иногороднихъ съ перес. | 12 р. | 6 р. — к. | 3 р. — к. | 1 р. |
| Въ Спб. съ дост. . . . | 11 „ | 5 „ 50 „ | 2 „ 75 „ | 1 „ |
| Для заграничныхъ . . . . . | 14 „ | 7 „ — „ | 4 „ — „ | — „ |

Для казенныхъ и общественныхъ учрежденій допускается подписка въ кредитъ.

Редакторъ-издательница **Л. Я. Гуревичъ.**

*Съ 1 Ноября 1897 года*

БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ Г. КІЕВѢ

*Еженедѣльная газета*

# РОССІЯ и АЗІЯ

Подписная цѣна въ годъ безъ доставки и пересылки 5 руб., съ доставкой и пересылкой 6 руб., заграницу 7 руб., на полгода безъ доставки 3 руб., съ доставкой 4 руб., заграницу 5 руб.

**Краткая программа изданія:** 1) Передовыя статьи, посвященныя Еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и русской политикѣ на Востокѣ. 2) Извѣстія съ Востока. 3) Русскіе инородцы (Евреи, инородцы Волги, Финляндіи и Крыма). 4) Недѣльная хроника русскихъ окраинъ. 5) Сношенія Россіи съ Востокомъ. 6) Научно-литературный отдѣлъ: повѣсти, романы, стихотворенія, драматическія произведенія оригинальныя и переводныя, популярныя изслѣдованія по Еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и Востоку, ихъ антропологія, переводы древне-восточныхъ произведеній, критика и библіографія и т. п.

---

Въ газетѣ принимаютъ участіе лучшіе спеціалисты и знатоки Азіи.

*Подписка принимается отъ иногороднихъ по адресу:*

**Кіевъ, Университетъ св. Владиміра, Алексѣю Николаевичу Грену.**

*Редакторъ-издатель: Приватъ-доцентъ* А. Н. ГРЕНЪ.

მავალთა სახლსა ჩვენისამან თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალ გვარად თავდადებით ნამსახურსა სადუნიშვილს პეტრეს შვილებსა გიორგის, სეხნიასა, გოდერძის და ბასილს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისასა, მოგეცით ენაგეთს შენს წილს გარეთ შენის განაყოფის აბრამის კერძი მამული ყმითა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გასავლითა, მისის სამართლიანის სამზღვრითა, ასე რომე ის აბრამ წაგვივიდა და ჩვენი ბატონ-ყმობა აღარ ინდომა, და მრავალი იმტყუვნა ჩვენზედა, და შენა სამსახურითა და ქრთამითა მრავალი გვემსახურე, რითაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა, ყოვლის კაცის უცილებლად, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შიგან, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა მამავალთა სახლისა ჩვენისაგან... არის ამისი მოწამე ასლან ხოსიტაშვილი და ბერძნისშვილი ოთარ და ჩვენი ოქროპირი და გამსახურდი, და ერთობით ჩვენი სრულ მსახურ აზნაურშვილნი, და მე ახალციხელს კოპინაანთ ოჰანას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქკს ტპდ, .

ქ. მე ამილღაბარ შეგიწყალე და ამაში რომ ვენახი სწერია, პეტრეს შვილო სეხნიავ, და მერდელო, ის ვენახი გიბოძე .

**365.** წიგნი შანავაზ მეფისა ახპატის მამულის სარგებლობის შესახებ. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1691**, ივნისს [illegible] უდიდებულესის კელმწიფის უზენაესისა ბძანებისა და ფარვანისა მებრ ლორის, ახპატის სოფელი თავისის სამძღვრებითა და ასევე ეკლესიითა, რომელიც არის იმ სოფელში, ბოძებია თავადს პაპუნა-ბეგს. ახპატის ეკლესიის წინამძღვარს თავისი რაც სახელმწიფო სათხოვარი და მალი იქნებოდეს, უნდა ყოველ წლივ პაპუნა-ბეგს მოსცეს და ყაბაზს გამოართმევდეს, და ლორეს მებატონეს ახპატთან საქმე არა აქვს, თუ შემდგომად უზენაესის კარიდამ ბძანება გამოვა, რომ ლორის მებატონისა იყოსო, ასე აღსრულდება, თუ არა ამ

ჟამად კი მაღალის ბძანებით გამოცხადებულ არს და ჩანს, რომ ის ეკკლესია პაპუნა-ბეგისა არის, და ლორეს მებატონეს იქ საქმე არა აქუს-რა. დაიწერა თვესა თათრულსა ობიულ ავალსა წელსა ჩშდ, ქართულად ივნისის ზ, ქკს ტოთ, | მეფე შანავაზ |.

---

**366.** განჩინება მეფის ნაზარალიხანისა ახპატის მამულის შესახებ, ამ განჩინებისა პირი გვაქვს მარტო ხელში.

**1693, ღვინობისთვის 1.** არღუთაშვილი ბაანდურ-ბეგ ედავებოდა პატივცემულს რევაზ-ბეგს ვარაშეტის სოფელსა და ახპატის ბაღების ნახევარსა, მოვიდნენ ჩვენთან და ჩიოდნენ, უწინდელი ყარაბაღის ბეგლა[რ]ბეგი აქ დაგვესწრა, ვალაპარაკეთ და გავშინჯეთ, რომელზედაც ჩიოდნენ რევაზ ბეგისა და ნისი მამისა ყოფილა, ასე რომ იმის წარჩინებამ ბორჩალოს მეპატრონემ თამაზ-ყული-ხანმა გამოაცხადა ჩვენთან, როდისაც იმასგან ჩამორთმევიათ, რევაზ-ბეგს და მის მამისათვის მიუციათ, ახპატის მამულად ყოფილა, და აწ რევაზ-ბეგის კელში არის, და ესეც გვიანბო და უმოწმა, რომ არას დროს არღუთაშვილებისა არ ყოფილიყოს ის მამული და არც სჯეროდესთ, რადგანაც ამისთვის ლორეს მეპატრონემ ასე იმოწმა, რომ რევაზ-ბეგისა ყოფილა და არღუთაშვილებსა და სხვათა იქ საქმე არა ჰქონიათ, დასტურბანდს ქვეით არღუთაშვილებს საქმე არა აქუსთ-რა, ამისთვის ზემორე გამოცხადებული სოფელი და მამული სამართლით დარჩა რევაზ-ბეგს და იმისი არის. თუ შემდგომად არღუთაშვილებმა ანუ სხვამ იდაონ, მათი სიტყვა ბათილი იქნება, დაიწერა თვესა თათრულსა რაჯიბისსა, წელსა ჩრგ, რიცხუსა ღვინობისთვის ა, ქკსა ტპა: | მეფე ნაზარალ ხან |.

---

**367.** მეფის თეიმურაზის წყალობის წიგნი, რომლითაც ის ახპატს უბოძებს ზურაბისშვილს ზურაბს. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს

**1752, გიორგობისთვის 25.** ქ: წყალობითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ აღმატებულმა, ღვთივ დამყარებულმა, ღთივ ცხე-

ბით გვირგვინოსანმა, იასიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატოვანმა, ქართლისა, ყაზახ-ბორჩალის მფლობელ-მპყრობელ-მქონებელმა, მეფეთ მეფემან, კელმწიფემან, პატრონმა თეიმურაზ, და თანა მემცხედრემან, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა ანახათუმ (sic), პირმშომა და სასურველმა ძის ძემან ჩვენმან ბატონიშვილმა ვახტანგ, ესე ამიერითგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდრო და საბოლოოდ გამოსადეგი მტკიცე და მოუშლელი ყმისა და მამულისა წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს დიდათ ერთგულსა და მრავალგვარად თავ დადებით ნამსახურსა ყმასა, ზურაბისშვილს, დედოფლის მორდალს და სუფრაჯს, ზურაბს და თქვენს ბიძაშვილს სვიმონს და დავითს, მას ჟამსა ოდეს მოგვიდექით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და პაპის თქვენის ზურაბ სარდლის ნაშოვნის **ახპატის** წყალობას დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ სოფელი ახპატი, როგორც რომ ქართველის ბატონებისა დროს თქვენს მამა-პაპათ ძველის წიგნებით ჰქონებოდეს, იმ რიგათ თქვენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია მისის მთითა, ბარითა, სახნავითა, სათიბითა, უთიბითა, წყალითა, წისქვილითა, საწყლის პიროთი და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, გქონდეს და გიბედნიეროსთ ღთნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შა, არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა მეპატრონეთაგან. გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, წყალობა და ფარვანი ესე თქვენც ესევე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით შეწევნისა და თანადგომასა კიდე. დაიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარის თუმანიშვილის გორჯასპისათა, გიორგობისთვის კე, ქკს უმ, [მეფე თეიმურაზ.] [დედოფალი ანახანუმ.] [ბატონისშვილი ვახტანგ.]

[ბატონისშვილი ლევან.]. ჩვენ მეფეთ მეფის თეიმურაზის ძე მეფე ირაკლი ვამტკიცებთ სიგელსა ამას, ქრისტისშობისთვის გ, ქკს უმ, [მეფე ირაკლი.]

ჩვენ ყოვლისა ზემოჲსა საქართველოს პატრიარხი მეფის ძე ან-

ტონი ვამტკიცებთ სიგელსა ამას დეკენბერს კდ, ჩღჲზ, ინდიქტიონი.
ჩვენ დედოფალი ქართლისა კახეთისა და დადიანის ასული დარეჯან ამ სიგელს ვამტკიცებთ დეკემბერს კგ, ქკს უნე. [დედოფალი დარეჯან]

ჩვენ მეფის ირაკლის ძე ბატონიშვილი გიორგი ამ ბატონების ბძანებას ვამტკიცებთ დეკენბერს კგ, ქკს უნე [გიორგი]

[მუხრანის ბატონი კონსტანტინე].

ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ ზურაბისშვილმა გიორგიმ, ბეჟან და შიოშ თქვენ ბიძაჩვენს რევაზს, ასრე და ამა პირსა ზედ, რომ მოხდა ჩვენს ძმობაში, ცოტა რამ ქარიშხლი ჩამოგვივარდა და ვილაპარაკეთ ბატონს სარდალს თამაზთან, და ჩვენი მოყვრები გვერდს იახლნენ და ამ პირობაზე შევგარიგეს, რომ საბარათოსშვილოში რაც მამული გვქონდეს მალიცა და ნარბევიცა, ჯურუმიცა, საქვრივოცა, რაც გამოვიდეს, ორი წილი თქვენ მოგართოთ და მესამედი ჩვენ სამთ ძმათ. რაც ვალს მორჩეს, პური და ღვინო თუ გარდაგვირჩეს, გავყიდოთ, ორი წილი თქვენ მოგართვა და მესამედი ჩვენ სამთ ძმასა, მამული და სახელოც რომელიც სამკვიდროდ გაიცეს, ერთი წილი თქვენ და ერთი წილი ჩვენ სამს ძმას, ვისიც გაკეთება მოინდომო, არ დაგიშალოთ, ვინც ჩვენს მამულში დააშაოს რამე, თქვენ დატუქსოთ, ახპატის მამულისაგან მესამედი ჩვენს სამს ძმას და ორი წილი თქვენ; მოსავალი გარდაგვრჩეს ან ვალს მოვარჩინოთ, ან პური და ღვინო გავყიდოთ, მესამედი ჩვენ და ორი წილი თქვენ, ახპატის მოურაობა დედა ჩვენს რომ სოფელი აქვს, ის მოუშლელად ჩვენ გვქონდეს. საყდრის მალეჯაათი თაფლი რაც გამოვიდეს, ორი წილი თქვენ და მესამედი ჩვენ, რაყამიც რომ მოგვივიდეს, მაინც ეს პირობა გაგვითავოთ, სხვას იქაურს საქმესთან და გამოსაღებთან კელი არ გვქონდეს. თუ ამაში გაგიმტყუნდეთ, ჯერ ვიყოთ ღვთის შემცოდე და მერე გიორგი მეფისა და სრულ იმის დარბაისლისა. ბატონის სარდლისა პირობით ამ რიგად გავრიგებულვართ. [გიორგი] † [სარდალი თამაზ].

**368.** მოხსენება სვიმონ ზურაბიშვილისა მეფის ძის გიორგისადმი თავის მამულების მიბარების შესახებ. ამ მოხსენებისა მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1792, იანვრის 25.** ჩემის მოწყალის საქართველოს უფლის წულს მეფის ძეს გიორგის ზურაბისშვილი სვიმონ მოვახსენებ ღთის წინაშე, რომელიც ჩვენი მამულია მისა ეს არის სრულად:

1 ქ. სოფელი ბალიჭი.

2 ქ. სოფელი კაზრეთი.

3 ქ. სოფელი მონასტრი.

1 ქ. სოფელი ისპიანი ერთი საკომლო ჩემი სამკვიდრო არის და სხვა სრულიად ჩვენი ნასყიდი.

2 ქ. სოფელი ბაბილაშენი.

3 ქ. სოფელი კვირაცხოველი და ჩვენი სასაფლავო.

11 ქ. სოფელი შამიანი.

ქ. სოფელი ვარდისწყარო.

ქ. სოფელი თავდიდიანი.

ქ. სოფელი ქარგარიანი.

ქ. სოფელი ვანეთი.

ქ. სოფელი ბერთა-ქარი, ერთი საკომლო მზექაბუკა მდივანბეგისა არის.

3 ქ. სოფელი გვიანა.

4 ქ. სოფელი კამარეთი ერთი საკომლო ჩიჩიბაშვილისაა და სხვა ჩვენი საკუთარი.

6 ქ. სოფელი რაფაქეთი.

8 ქ. სოფელი ლიყურეთი ორი საკომლო იარალიშვილისა და სხუა ჩვენი.

17 ქ. სოფელი იჩაგა, ერთი საკომლო ზურაბაშვილი იარალიშვილისა არის და სხუა ჩვენი.

11 ქ. ნობისა, ერთი საკომლო ჩვენი.

ქ. ახპატი სრულად ჩვენი. ორი საკომლო ვართაპეტისა და თვით ვართაპეტისაც ჩვენ გვემსახურებოდნენ.

ქ. ახპატის მაზრა სოფელი ბერდიკი.

ქ: სოფელი კარპეტის-ხევი.

ქ. სოფელი ნილოცი.

ქ. სოფელი კახმახუთი.

ქ. სოფელი აჯირი.

ქ. ახპატის სამძღვარი მთაში მირზა-ტაში, დაბლა ძო-ბაში, ქჳლაში ჯუარი, კლდეზე გამოსული სალახ-ხაჩი. ყოვლი-თურთ უბედურ ქმნილი ზურაბისშვილი სვიმონ ჩემს კელმწი-ფის ძეს უფლის წულს გიორგის ამას მოვახსენებ: რადგან ჩემს სასურველის შვილის ანდერძიც თქვენდა მიმართ იყო და თა-ვისი ობოლი ყმა და მამული თქვენთვის შემოვედრებითა, მეც მუხლ დადგმით გევედრები, ყოვლის ობლის და დავრდომილს მისამართო მოწყალევ, თქვენის ღთის მოყვარებისათვის მომიმა-რთავს, ჩემი ზაალ თავისის ყმითა და ზემო ნაწერის მამულითა თქვენთვის მომიბარებია: ობლებით არავინ დაჩაგროს და უპა-ტრონობით ყმა და მამული არავინ გაგლიჯოს, თქვენის უც-ხოს შვილების სადღეგრძელოდ თვალ ყური მიუგდევით და თქვენს საფარველს ქვეშ ამყოფოთ, და გააძლებინოთ; ჩემო მო-წყალევ კელმწიფევ. აღიწერა იანვრის კზ, ქკს უპ. | მონა ღთისა სვიმონ. |

მიკი სიმაღლის მეფის ძის გიორგის მოძღვარი, ხარების დე-კანოზი გიორგი ლარაძე, ამას ვწერ, სვიმონ ზურაბისშვილიც ჩემი მოწაფე არის და ამის შვილის ანდერძიც ასე იყო, როგორც თითონ დაამტკიცა და მეც ამის მოწამე ვარ | ლარაძე გიორგი. |

მის უწმინდესობის სალთხუცის ძმა მაღალაშვილი დავით ამ ზემო წერილის მოწამე ვარ სვიმონის სიტყვით | დავით; |.

ამას ქვემოთ მოყვანილია შთამომავლობა ახპატის მეპატრონეებისა.

ზურაბ სარდალს რომ უშოვნია ახპატი, ამისი შვილები არიან: შანშე და პაპუნა. პაპუნაშვილები: ასლან და რევაზ. ას-ლანიშვილი: ბეჟან, ბეჟანისშვილი სვიმონ, რევაზიშვილი პაპუ-ნა, ჩვენ ასე ძმანი ვიყავით, შანშაშვილი ზურაბ; ზურაბის შვილი ზაალ, ზაალისშვილი ზურაბ, ასე, სახლის კაცნი ცვოფილვართ;

მასუკან ჩვენს სახლს არ გამორთმევია სამამულეთ და არცარა-
ვინ წამოგვდავებია. [მეფე ი<br>რაკლი;].[1])

---

**369.** ნასყიდობის წიგნი მეფე[?] ნაზარალიხანისა და მის მიერ დად-გენილობა ალაპის შესახებ მის წინაპართათვის. ამ წიგნისა ჩვენ პი-რი გვაქვს ხელში, ბოლოს უწერია: ასლთან სწორ არის. სოვეტ-ნიკი რატიევი შესავალი გამოვტოვეთ.

**1701, იანვრის 1...** ესე ნასყიდობის წიგნი [გ]კადრეთ და მოგართვით ბედნიერს ხელმწიფეს მეფეს, პატრონს ნაზარალი-ხანს, და დედოფალთ დედოფალს, პატრონს ანნას, და ძეთა თქვენთა პატრონს იმანყულის, დემეტრეს, კოსტანდილეს და თეიმურაზს, ჩვენ თქვენმან ყმამან ბარათაშვილმან თაყამ, შვილ-მან ჩემმან გიორგიმ, ასლან, იასემ, და შვილისშვილმან ჩემ[მ]ან გულამ ამა პირსა ზედან, რომ მოვალისაგან შეწუხებულნი ვიყვენით დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდროს მამუ-ლისაგან ერთი საკომლო მამული ენაგეთს სურმაშვილის სახლ-კარი, კალო-საბძელი, მარანი, კარმიდამო, შესავალი, გასავა-ლი, ერთი გვერდი შიკაშვილის სამძღვრამდინ, მეორე როსტო-მაშვილის ბოსტანის სამძღვრამდინ, მესამე ხუცის ტერვართა-ნის სამძღვრამდინ, მეოთხე უკანა პაპანაშვილის სამძღვრამდინ, ვენახი მჭედლიშვილის ერთი გვერდი, ალნიაშვილის ვენახამ-დინ, მეორე გვერდი როსტომაშვილის ვენახამდინ, მესამე გვერ-დი ზედალაშვილის ბერუას სამძღვრამდინ, მეოთხე გარეთ მინ-დვრისაკენ ნიგოზი და საწნახელი მისის სამართლიანის მზღვრი-თა, მიწა ოც და თორმეტის დღისა: ორის დღისა თავწვერის გვერდში, ორის დღისა კაჭკაჭის ხევში, ორის დღისა კვესიას მიწასთან ძეძვნარში, ორი დღისა ახალშნურს მინდორში, შა-რაზედ საქცევში მისდევს, სამის დღისა არდასუბნური შარა

---

[1]) ზემო მოყვანილი ოთხი სიგელი შესახებ ახპატის მამულისა შეკრულია ერთ რვეულად, თითოეულს სიგელს ბოლოში უწერია: ამის კოპიოსთან თანასწორ შევამოწმე. რვეულის ბოლოს სწერია: ასლიდამ თანასწორებით გარდავიღე წერი-ლები ესე და კელს ვაწერ ტიტულიარნის სოვეტნიკი არტემ მოძღვაროვი.

რომ გაივლის, ორის დღისა კიდევ ახალშნურს მიწაში ნასოფლარში, ოთხის დღისა პაპისგორში გვერდში, ექვსი დღისა პაპუნაშვილის წისქვილის ზედათ მარილობის ხევის პირში, ოთხის დღისა დამპალაში კუნელს ზედათ ძეძვნარი და მიწა, ორის დღისა ბოჭოლაურში, სამის დღისა მოკლე მიწაში ჭაბუკაშვილის წისქვილის გზა რომ გაივლის ზედა საქცევში, ერთის დღის მიწა დამპალაში როსტომაშვილის მიწის მიდგმამდინ, ერთის დღისა ენაგურს ხევში გზა რომ ჩავა პირშელმა. ესე ყოველივე მოგართვით, მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, რათაც გეპრიანებოდეს მოიხმარეთ. არავინ არის, ვ[ი]სცა უბოძოთ, ამისი მცილე, თუ გამოჩნდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვ[ი]ყვნეთ. არის ამისი მოწამე სარდალი ლუარსაბ, სუფრაჯი ავთანდილ, გიორგიშვილი ვახტანგ, ნაზირი ოთარი, ნაზირი ედიშერ †, მდივანი შიოშ, მეღვინეთ-ხუცესი ბაირამ, მეგოდრეთ ხუცესი ბაირამ, შაიკაშვილი ფარემუზ. მე მდივანს გივს დამიწერია და ამ საქმის მოწამეცა ვარ. ქჳს ტჟთ, იანვრის ა. | ადგილი ბეჭდისა |

ჩვენ მეფეთ მეფემან და ხელმწიფემან, პატრონმან ნაზარალიხან, ესე მამულიც ჩვენ ვიყიდეთ და ერთი კომლი გლეხი ესყოინიძე ბეჟუაშვილი გურგენა, მისი ძმა ჯიმშიტა, მამუკა, მისი შვილი გიუნა, გოდერძა და ბერიძეც ჩვენ დავიხსენით და ამ ჩვენს ნასყიდს მამულზედ დავასახლეთ, და ალაპი დავდევით, ასრე უნდა დიდს ხორციელის შაბათ[ს] ერთს ცხვარს და ერთ თოხლს დაჰკლევდეს, ერთ საპალნე ღვინოს, ოთხს კოდის პურის ნამც[ხ]ვარს დახარჯევდეს, ნახევარს ჩარექს სანთელს, ერთს (ტილს საკმელს, ორ შაურს საწირავს მღვდელს მისცემდეს და სამს აწირვინებდეს, ალაპს გარდაიხდიდეს და კურთხეულს ხელმწიფე პაპაჩვენს თაიმურაზს, ბებიაჩვენს დედოფალს ხვარაშანს, მამაჩვენს პატრონს დავითს, და დედაჩვენს დედოფალს პატრონს ელენეს, ჩვენს ძმას ლუარსაბს შენდობით მოიხსენებდნენ, და ჩვენ და ძეთა ჩვენთა დღეგრძელობას გვეტყოდნენ. ეს კაცი ასე გვითარხნებია, რომე არაფერი საჩვენო სათხოვა-

რი და გამოსაღები არაფერი არ ეთხოებოდეს, არა კოდის პური, არა ღალა, არა საბალახე, არა პირის თავი, არა ნახირის თავი, არა შიშლიგი, არა სამეჯინიბო, არა ბეგარი და სამუშაო ერთის მსახურობის მეტი, არც საური არაფრისთანა არ ეთხოებოდეს. კარის ჩვენის გამრიგენო, ასრე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით. ვინცა და რამანც ეს ადამის მონათესავემ ეს მოუშალოს, ცოდვათა ჩვენთათვის იგინიმც დაისჯებიან დღესა მას განსჯისასა და მათ ზედამცა მრისხანე იქმნების ყოვლითა დამბადებელი დაუსრულებელი ღ̃თი. ამისი სახლის კაცი ჯილავის მეთოფედ არ გასწყდებოდეს; ვინც და რამანც ხე[ლ]მწიფემ ეს ალაპი მოაშლევინო[ს] და არ აქნევინოს, ჩვენთა ცოდვით[ა]მც იგინი განიკითხვიან.

| მეფე ნაზარ ალიხან |
|---|

---

**370.** წყალობის წიგნი მეფე ვახტანგ VI-ისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილილი, ნიშნებად იხმარება თითო წერტილი.

**1702, ქრისტეშობისთვის 11.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღ̃თისათა, წყალობითა დიდის ჴელმწიფისათა, ჩვენ პირველთაგანვე ზეცით მეფეთა განკვეთილისა, აწ სასუფეველთა ცათა შინა სულგრწყინვალეთ მნათობლისა, ვახტანგ ყოფილის შაჰნავაზ-ხანის ძისა, ქართველთ მეფისა და სრულად ერანის სპარსერელოს (cic) ყანდარისა, ქირმანისა ბეგლარბეგისა, გირიშკისა და ჰაილათისა ჰირნესა, გიორგი ყოფილისა, მეორე შაჰნავაზ-ხან ხმობილისა, პატრონის მაგიერეთ ყოფმა და ძემან ერანის დივანბეგის შაჰყულის-ხანისამან, საქართველოს ჯანიშინმან, ბატონიშვილმა, პატრონმა ვახტანგ, ესე ამიერით უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასაძლიერებელი წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქუენ, ჩვენსა ერთგულობით ნამსახურსა, ჩუენს აზნაურ ყორღანაშვილს აბდოლზანიშვილსა ასიტასა, მამავალ სახლისა შენსა, მაშინ ოდენ ერთი კომლის აკურის მელიაშვილი შიო და მის ბიძაშვილი ბერიკ-გერმანოზიშვილი გუგუნა და იასე შემოგცილებოდათ და ძალათ წაერთმევინათ დახიზებინათ, და მოხველ

მოგვახსენე, მოკითხული ვქენით და დავთრები ვანახვინე, სამკვიდრო შენი ყოფილიყო, ბატონს მამა ჩვენსაც წყალობა ექნა, ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენი სამკვიდრო გლეხი აკურის მედიაშვილი შიო, მის ბიძაშვილი ბერი მისი სამართლიანი მამულითა და მიწა-წყლითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, გქონდეს და ჩვენსა ერთგულთა სამსახურსა შინა აროდენს არ მოგეშალოსთ. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ბძანება ჩვენისა ეს ასრე დაუმტკიცეთ. დაიწერა ბძანება ესე ტჟ, ქრისტიშობის ია, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-წიგნობრის თუმანიშვილ გივისათა. ჩვენ მეფეთმეფემან და თვით ხემწიფემან, პატრონმან ვახტანგ ესე წყალობა ჩვენისა სიგელი მეორეთ განუახლეთ, როგორათაც ამაშიდა სწერია, ისრე გვიბოძებია □. რა რიგათაც ამა მამის ჩვენის სიგელში ეწერა, ჩვენც აგრეთვე დაგვიმტკიცებია □. ჩვენ მეფეთ მეფემან თვით ხემწიფემან, პატრონმან არჩილ, რა რიგათაც ბატონი ბიძის ჩვენის მეფის ვახტანგისაგან ამ სიგლით წყალობა სჭირვებია, ჩვენც ასე ვამტკიცებთ □, ქრისტიშობისთვის იზ, ქჳს შქდ.

ჩვენ ბატონიშვილ პატრონმა სვიმონ და თემურაზ ასე ვამტკიცებთ □ □. ჩვენი ბრძანება არის, იასაულო, მერმე აკურის მედიაშვილზე ხელი აუმართე და ასიტაშვილს ტარიელსა და ავთანდილ მოაბარე გერმანოზიშვილს რა ხელი აქვს □.

---

**371.** წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა, რომლითაც მას უწყალობებია ქალაქში სასახლე ადგილი პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1708, მაისის 7.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა და წყალობითა დიდისა ხვლმწიფისათა, ჩვენ პირველთაგანვე ზეცით საქართველოს მეფედ ცხებულისა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულ-ბრწყინვალედ მანათობელისა, პირველ ვახტანგ მეფობით ხმა-გასულისა და შემდგომად სპარსთა ენითა შანავაზხან წოდებულისა, ძისა მისისა ქართველთა მეფისა და სრუ-

ლიად ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირშაკისა და ჰაიალათის მჰირავისა, პირველ გიორგი მეფობით ხმა განფენილისა და შემდგომად ესეცა სპარსთა მიერ მეორე შანავაზ სახელდებულისა მაგიერად მყოფმან, ძმისწულმან მისმან და ძემან ერანის მდივანბეგის შაჰყული-ხანისამან, საქართველოს ჯანიშინმან, ბატონიშვილმან, პატრონმან, ვახტანგ, ესე ამიერით უკუნისამდინ ჟამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი მამულისა და ქალაქს სასახლის ადგილის წიგნი და წყალობის ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულთა და უცხოფერად და მრავალ სახედ თავდადებით ნამსახურთა და გარჯილთა, მრავალგზის ჩვენთვის წამებულთა, დაჩარჩულთა და ჭირ ნანახთა, ჩვენის მორჭმა-გამდიდრებისა და გაძლიერებისათვის მომჰირნეთა, და მრავალ გვართა სიდარიბეთა და ჭირთა შინა შესრულთა ყმათა, ბარათაშვილს გოსტაშაბისშვილს პაპუნას, შვილსა შენსა მანგლელს ნიკოლოოზს, თამაზს, და შვილის შვილსა შენსა ამილღაბარს და ბეჟანს, შვილსა შენსა ყაფარ-ბეგს, კიდევ შვილისშვილსა შენსა როსტომს, ქაიხოსროს, მაშინ ოდეს წყალობას გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ გარეთუბნის სასახლის ადგილი, რომე შენებით ახლა თქვენ ააშენეთ მისის სამართლიანის სამძღვრითა; ამასდა გარდაისად ენაგეთს თაყა საჩინოსშვილისათვის ერეკლე მეფეს ერთი კომლი გლეხი სურამაშვილი გამოერთმევინა, ეს გლეხიც თქვენ გიბოძეთ მისის მთელი საკომლოთი, სახლ-კარითა, მიწა-წყლითა, ვენახითა, წისქვილითა და მთითა, ბარითა, რისაც მქონებელი იყოს, ყოვლითურთ თქვენთვის გვიბოძებია ეს გლეხი მისის საკომლოთი, და გარეთუბანს ზარაფის ნაბაღვართან სასახლის ადგილი, ყოვლის კაცის უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენთა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ, კარისა ჩვენის ვექილ-ვეზირნო, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი ასრე დაუმტკიცეთ და ნურავინ შეეცილებით. დაიწერა ბძანე-

ბა ესე ჴელითა კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილის გივისათა, ქჱს ტჟვ, მაისის შვიდსა. [მეფე ვახტანგ].

**372.** წყალობის წიგნი ბატონიშვილის სვიმონისა. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ჴელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1713, გიორგობისთვის 15**. ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩვენ საქართველოს განმგებელმან, ბატონისშვილმან სვიმონ, ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ მდივანბეგის ერასტის ასულს, ჩვენს მამიდაშვილს გუქას, მაშინ ოდეს გოსტაშაბისშვილის პაპუნას შვილები თამაზ და მისი ძმისწული ამილღაბარ რომე გაიყარნენ, რაც ჩვენი სამართლით ასაღები გასამყრელო იქნებოდა, ავიღევით იმისგან, ზოგი თამაზს უბოძეთ და ზოგი თქვენის ნამზითვით ჩვენგან იქრთამეთ და გიბოძეთ **დოღლაურას** მატიაშვილი გიორგი კომლი ერთი, **ვაკეს** კვირიკაშვილი ამირანა ერთი, **დიდებას** რევანდაშვილი სეხნია ერთი და **აგუდანეთს** გულიტაშვილი სეხნია ერთი. ესენი თავეთის მამულით, ყოვლის სამართლიანის სამძღვრით, თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია, ამ წყ'ლობა რომე თუ შენი მაზლები ამ შენს მორთმეულს ფეშქაშში შემოგეწევნენ და მათი წილი ფეშქაში შემოგიბრუნონ, საერთოდ იყუნლიეთ და ეს გლეხები ბოლოსაც საძმოდ იყოს და წილი ყველამ დაიდვას, თუ არა და არ უნდოდეს და ფეშქაში არ გაღმოერივნენ, ეს გლეხები შენ გყვანდეს, ვერავინ გეცილებოდეს. აწე გიბძანებ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ბძანება ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. დაიწერა სიგელი ესე ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილის გიორგისათა, გიორგობის იე, ქკს უა. [მეფე სვიმონ].

**373.** ძმობის წიგნი დათუნა, პაატა და იესე ბარათაშვილებისა. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში სუდში დამტკიცებული.

**1717 ფებერვლის 7.** ნებითა და შეწევნითა ღთისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისათა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, მეოხებითა წმიდათა ზეცისა უსხეულოთა ძალთათა, წმიდისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესითა და ყოველთა წმიდათა მისთათა, ესე ძმობის წიგნი მოგართვით თქვენმა ძმისწულებმა დათუნამ და პაატამ თქვენ ბიძა ჩვენს იესეს, შვილსა თქვენსა ოთარსა და გერმანოზს, ასე და ამა პირსა ზედა: გაყრილნი ვიყავით და ისევ ერთმანერთის თავი მოვინდომეთ, და ისევ ძმათ შევიყარენით. ეს პირობა დავზდევით, რომ მამის მამული და ბიძის და ოთარისაც და რაც ჩვენი მამა-პაპათ მამული იყოს, ნასყიდიცა და უსყიდიცა, ყველა გავვიერთებია, რაც ერთობაში შევიმატოთ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს, ისიც საერთო იყოს, თუ ვინიცის ჩვენი შვილისშვილი გაიყაროს, ქართლში როგორც რიგი იყოს უფროს-უმცროსობისა, ისრე ვქნათ. სანამდის ცოცხალნი ვიყოთ, არც ჩვენ გავეყაროთ, როდესაც შვილიშვილნი გაიყარნენ, მე საუფროსო ავიღო და შენ საუმცროსო აიღო, სხვა შუა გავიყოთ. ვინც ამაში უმტყუნოს და ეს პირობა გატეხოს, თავად იყოს ღვთის შემცოდე და მერმე ქართველის ბატონისა, ახლა ჩვენ რომ ველი გუმართებს ოცი თუმანი, საერთოდ გარდავიხადოთ, და სხვა რაც დარჩეს, თავთავისთვის გარდავიხადოთ; თქვენდა უკითხავად არც მამული გავსცე, არც დავგირაო კაცი, არც გამოვიყვანო მსახური და მხლებელი, თუ პური და ღვინო გარდაგვურჩეს, საერთოთ მოვიხმაროთ, ან მამული ვიქრთამოთ ან ვიყიდოთ, ყველა საერთოთ იყოს. არის ამისი დამხდომნი თავად ღმერთი, კაცთაგან გოსტაშაბისშვილი ამილახორ, იარალისშვილი ვახტანგ, ოთამისშვილი ორბელი, ციციშვილი ნოდარ [ ], დოლენჯიშვილი ზაალ, ზაალიშვილი ერასტი, მე დეკანოზის შვილს იოსებს დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა ესე წიგნი თებერვლის შვიდსა, ქკს უე ამას

იქით რაც წიგნი გამოჩნდეს ან ბარათი, ან ხელმწიფის ნაწყალობევი, ამ წიგნმა გაამტყუვნოს. [ ], [ ], რადგან უფროსი ბრძანდებით, რაც პური და ღვინო გარდაგვრჩეს, ორი წილი შენა და მესამედი ჩვენა, თუ პური და ღვინო დაგვაკლდეს, საერთოთ აიღე და მამულიდამ მიეცი. [ ] [ ].

განის აშიაზე სწერია:

ბედნიერის ხელმწიფის შემცოდე ვიყვნეთ მე დათუნა, პაატა, რაც თქვენმა მოყვრებმა გაარიგოთ, თქვენს გარიგებაზედ... (ამ ადგილას არა სჩანს ცხოვლად ასოები[1]).

---

**374.** ბძანება მეფის ვახტანგ VI-ისა. ან ბძანებისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1711—1719.** ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო, მერმე ვაჟკეს ამოვარდნილის უსუფისშვილის პაატას ნაქონს ხუცისშვილზე თაკჯს ებალას და იმედაზე, იქივ გაკეს პატარას თაყას ნაქონს ანისშვილის ერთს საკვამლოს, ანისშვილის მამულზე ხელი უმართე, გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს მოაბარე, ამისთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. ვახტანგ [მეფე გაქარ].

---

**375.** ბძანება მეფის ბაქარისა. ეს ბძანება ლურჯ ქაღალდზედ არის დაწერილი, რომლის მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1716—1719.** ქ. ჩვენი ბძანება არის, იასაულო, მერმე, რაც ამ ჩვენის წიგნით გოსტაშაბისშვილის ამილღაბარისათვის გვებოძებინოს, ხელი აუმართე და ამილღაბარს მიაბარე. [მეფე ბაქარ].

---

**376.** წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა, ბოძებული ამილღაბარ გოშტაშაბიშვილისადმი. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1723, მკათათვის 22.** ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა ჩვენ მღთივ ალმატებულმა, მღთივ დამყარებულმა, მღთივ

---

[1]) ეს შენიშვნა დედნის არის.

ზეცით ცხებით გვირგვინოსანმა, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პაკრატოვანმა, მეფეთ მეფემა, თვით ხელმწიფემა, პატრონმა ვახტანგ, თანამეცხედრემან ჩვენმა, ჩერქეზის ბატონის ასულმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა რუსუდან, პირმშომა და სასურველმა, ღთივ აღმატებულმა, ღთივ დამყარებულმან ძემან, მეფემ პატრონმა ბაქარ და გიორგიმ [ესე წიგნი გიბოძეთ] თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ თავდადებით მრავალ გვარათ ნამსახურსა გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს, ძმასა შენსა გოსტაშაბს, შვილსა თქვენსა დავითს და ვახუშტის და მომავალთა სახლისა თქვენისათა, მასჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა წყალობისა ჩვენისათა და მამულისწყალობას დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, თქვენის მრავალ ნამსახურის მაგიერათ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ავთანდილ კორკოტის მამული **ზემოდისტანი**, **კანქს** ალიხანასშვილის ზაალის წილი მამული, ესენი თავეთის მიწა-წყლით, თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა ერთგულათ სამსახურსა შინა. აწე გიბძანებ, კარისა ჩვენისა ვექილვეზირნო, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, რა გვარათაც ამ ჩვენგან ნაწყალობევსა ფირმანსა შინა ეწეროს, ნუ ვინ შლად ხელჰყოფთ, თვინიერ თანა დგომისაგან კიდე. დაიწერა ბძანება ესე ხელმწიფეთა კათათვის **კბ**, **ქკს უია**, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარის შანშიან-მარტიროზაშვილის მდივანის ბეგთაბეგისათა. **ვახტანგ**.

---

**377.** წყალობის წიგნი მეფე ვახტანგ VI-ისა. ამ წიგნის მარტო პირი გვაქვს ჩვენ ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1723, მარიამობისთვის 3.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩვენ ღთივ აღმართებულმან, ღთივ დამყარებულმან, ღთივზეცით ცხებით გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პაკრატოვანმან, საქართველოს მეფემ, პატრონმან ვახტანგ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზის ბატონის ასულმან, დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სა-

სურვეელმან, მღთივ აღმატებულმან ძემან ჩვენმან, მეფემ, პატრონმა ბაქარ და გიორგიმ, ესე ამიერითგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდროთ და საბოლოოთ გამოსადეგი მამულის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ თავდადებით მრავალ გვარათ ნამსახურს გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს, ძმასა თქვენსა ბეჟანს, ვახუშტის და პაპუნას შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა ოდეს მოგვადეგით კარსა წყალობისა ჩვენისასა და **მონასტრის** იასე სოლოღაშვილის წილის მამულის წყალობას გვიაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვითაც მრავალს გვემსახურენით, მისდა მაგიერად ჩვენც ეს წყალობა მოგიბოძეთ, რაც იასეს წილი გლეხი იყოს და თავისის ძმიდამ ბარათით გამოჰყოლოდეს, თქვენთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია, მათის მთითა, ბარითა, ველითა და ვენახითა, წყალითა, წისქვილითა და სასაფლაოთა, სათიბითა და უთიბითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლისა მისის სამართლიანის სამძღვრითა, გქონდეს და გიბედნიეროს ღთმან ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა, არაოდეს არ მოგეშალოს არც ჩვენგან და არცა ჩამომავალთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ბძანება და ნიშანი ესე თქვენცა ასე დაუმტკიცეთ. რაგვარათაც ამ ჩვენგან ნაწყალობევს ფარმანსა შინა ეწეროს, ნუ ვინ შლად ხელ-ჰყოფთ, თვინიერ თანადგომისაგან კიდე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე მარიამობისთვის გ, ქკს უთა, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შანშიან მარტიროზასშვილის მდივნის ბეგთაბეგისათა. ვახტანგ (ხელ-ჩართულად).

ქ. ჩვენი ბძანება არის, იასაულო, მერმე რაც მონასტერს ისე სოლოღაშვილის წილი მამული დაუმტკიცებელი იყოს, ხელი აუმართე და ქაიხოსრო გოსტაშაბისშვილს მოაბარე, მისთვის წყალობა გვიქნია და უბოძებია. ვახტანგ (ჩართულად).

განის აშიაზე: ზურაბისშვილის პაპუნა-ბეგს და რევაზს მიუყიდნიათ ფანიასშვილისათვის ქვეშს სავენახე ამ წელს, ქკს ჟოვ-

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

**№ XII**

დეკემბერი, 1897

ტფილისი
სტამბა წიგ.გამ.ქართ.ამხანაგობისა Тип.Груз.Изд.Т—ва.
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 декабря 1897 г.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

I—ამირანის შვილნი.—ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება) . . . . . . 1

II—მზე და ვარსკვლავები.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი . 53

III—ირინეს ბედნიერება.—სურათი სოფლის ცხოვრებიდან, ორ მოქმედებად დავ. კლდიაშვილისა . . 58

IV—გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მესამე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. . . 101

V—*** (ვიქტორ ჰიუგოდან).—ლექსი, თარგმანი ლ—ი წ—ესი . . . . . . . . 138

VI—ანდრეი ნემოევსკიდან.—I შუღლი, II ფული.—თარგმანი ს. —მისა . . . . . . . 141

VII—არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ.—თარგმანი ი. მაჭავარიანისა . . . . . 1

VIII—გურია-აჭარა.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი . . . . . . . . 17

IX—ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით.—თარგმანი ინ-ანისა . . . . . . . 43

X—კათოლიკენი საქართველოში.—წერილი ლუკა ისარლოვისა . . . . . . . 61

XI—ბიბლიოგრაფია.—ბ-ნი მ. ი. სალარაძე „ჩვენი ახალი თაობა“. ქუთაისი 1897 წ. ვ. ჭ—იასი. . . 93

XII—შინაარსი 1897 წლის „მოამბის“ ნომრებისა . I

XIII—განცხადებანი.

დამატება:

XIV—საქართველოს სიძველენი . . . 449—464

# ამირანის შვილნი

### ისტორიული რომანი

## აფხაზეთის ცხოვრებიდან

### პირველი ნაწილი

### IX *)

არსლან-ბეის მოულოდნელ წინადადების აწონ-დაწონვაში რომ იყო, ორბელიანს მოაგონდა ის ქალი, რომელმაც თავზე-ხელაღებულ აფხაზს გულში გენია გაუჩინა. თვითონ თავის თვალით უნახავს ის ქალი. ელაპარაკებოდა რუსეთზე, პეტერბურგზე, — ამ ადგილებში მშვენივრად ატარებენ დროებასაო, — და ახალგაზდა ველურმა ქალმა თვითონ იმასაც აუტოკა გული, მოხიბლა. დანანდა კიდეცა, ეს ლამაზი არსება ნუ თუ ამ მტარვალსა და ბარბაროსს უნდა ხვდეს და თავისის სიცოცხლის დღენი სადმე აფხაზეთის მიუვალ მთებში უნდა განვლიოსო? ამ მშვენიერს ყვავილს შეუძლია მთლად გაიშალოს სხვა, უფრო ნაზ ატმოსფერაში, შეუძლია მეფურის დიდებით მორჭმულმა იცხოვროსო; და ამ დიდებისა სრულიად ღირსია ეს მომჯადოებელი შვილი აღმოსავლეთისაო!

მართალია, ეცოდებოდა ესმა-ხანუმი ორბელიანსა, მაგრამ ზოგი ის ვიკითხოთ, რამდენად მართალი იყო ორბელიანი, როცა ასე ჰფიქრობდა ამ ქალზე? ესმა წმინდა, უმანკო შვილი იყო ბუნებისა, წმინდა იყო ვით იელი მისის სამშობლო მთე-

*) იხ. „მოამბე“ XI 1897 წ.

ბისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიჰკარებია უწმინდური, გადამღები სუნთქვა დიდის ქალაქისა. ორბელიანი უხატავდა ქალს სხვა-და-სხვა სურათებს სატახტო ქალაქის გასართობთა, თეატრებს, კონცერტებს, სასახლეში გამართულ ბალების ამბავს ეუბნებოდა.—მართალია, ვეუბნებოდი, ყველა ეს კარგია-მეთქი,—ჰფიქრობდა ორბელიანი,—მაგრამ ესენი ხომ მოჰკლავენ უმანკოსა და წმინდა არსებას, ესენი ხომ წამწიკვლავენ ყოველსავე უმანკოსა და წმინდასა?—თამაშობა? ეს კიდევ უარესია. ყველა უღირსი თავისს უწმინდურს ხელებსა ჰკიდებს, დიაღ, უწმინდურსა და ჭუჭყიანს, თუმცა თეთრი და სუფთა ხელთათმანები აქვს გაკეთებული, დიაღ უწმინდურს ხელებსა ჰკიდებს მთის თოვლსავით წმინდა არსებას... არა ეს—მოკვლაა უმანკოებისა, და მკვლელები აქ ყველანი არიან, ყველანი, ვისაც კი ნება აქვს ვალსის სათამაშოდ გაიწვიოს ახალგაზდა, უმანკო არსება; ეს იმას ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე დროს სათითაოდ ყველას ეკუთვნოდე... სათუთი იელი, რომელსაც მხოლოდ მზე ელერსებოდა, რომელსაც ნელი მთის ნიავი ეუბნებოდა ნანასა, ერთბაშად მოსწყდება, ყველა დაეპატრონება, ყველა ყნოსვას დაუწყებს. უჰ, რა საზიზღრობაა... საწყალი ყვავილი!

აი ეს დაემართება ესმა-ხანუმს პეტერბურგშიო,—ჰფიქრობდა ორბელიანი.

მაგრამ აქ რაღა დაემართებაო? უნდა დაამწყვდიონ ბეხრეკა, მაჯლაჯუნა, ნათრევ შერიფ-ფაშის ჰარემში, უნდა მოსწყდეს მთელს ქვეყანას, სააქაო სიხარულს, უნდა აასრულოს მტარვალური სურვილი მსუნაგის ბარბაროსისა, მისი მონა უნდა გახდეს, ჰარემში მყოფმა ქალებმა სიცოცხლე უნდა მოუშხამონ თავისის ჭორიკანობითა; გაბოროტებული საჭურისი ისე მოექცევა, როგორც ნივთს, მისის ბატონის წამიერის სურვილის დამაკმაყოფილებელს არსებას?—ზოგი ის ვიკითხოთ,—განაგრძო ფიქრი ორბელიანმა,—არსლან-ბეის ხელში, ღარიბულს ქოხში, მარტოდ-მარტო, ტუსაღსავით დამწყვდეულს რა ხეირი დაეყრება?

— უკაცრავად, თავადო, მგონი უდროვოდ გეახელით?

ორბელიანი შეკრთა და მოტრიალდა. გენერალი სარკმელთან იდგა და ზღვას გასცქეროდა, ესმა-ხანუმის შესახებ ფიქრებში გართული. კაბინეტში შემოსული სეფერ-ბეი იყო.

— უკაცრავად, რაღასაც ფიქრობდით და მე დაგიშალეთ? —უთხრა სეფერ-ბეიმ.

— არა, თავადო: მე მომავალს ომზე ვფიქრობდი,—ერთბაშად გამოერკვა ორბელიანი.—თქვენი მილიცია ხომ მზადაა საომრად?

— სრულებით მზად გახლავსთ. აი ამ წუთას თავადმა დადიანმა, მამია გურიელმა და მე ჩვენი მეომრები დავათვალიერეთ და სულ ყველაფერი მარაგად გახლავსთ.

— გურულები რას ამბობენ? ხომ სანდონი არიან?

— მეტად სანდონი არიან:—ოსმალები სძულთ.

— დიაღ, ეს მართალია,—სთქვა ორბელიანმა,—მხოლოდ მათი მთავარი მამია, ცოტა არ იყოს, დაუდეგარია. ამაზე წინად მოლაპარაკება ჰქონდა უქვეშევრდომო მეფესთან.

— იმერეთის მეფე სოლომონთან?—ჰკითხა სეფერ-ალი-ბეიმ.

— დიაღ, ორსავე, სოლომონ მეფესა და მამია გურიელს, უნდოდათ, ახალციხის ფაშის დახმარებით, იმერეთი დაებრუნებინათ, ხოლო გურია ხვანთქრისთვის ჩაებარებინათ, დასაფარავად. მაგრამ საწადელს ვერ ეწივნენ და ახლა მამიასა სურს თავისი ორგულობა შეინანიოს.

— როდის-ღა გავდივართ საომრად, თავადო?—ჰკითხა სეფერ-ბეიმ.

— ხვალ, 12 აგვისტოს. მე თან მეყოლება ექვსი როტა ბელევსკის პოლკისა, ერთი როტა ეგერთა და ორმოც და ათი ყაზახრუსი, ხუთი ზარბაზანიც მექნება.

— ჩვენიც სამი მილიცია გახლავსთ.

— მართალია, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ, სანამ მე ფოთს გარშამო ჯარს შემოვარტყამდე, შერიფ-ფაშასთან საქმე თქვენ გექმნებათ.

მეორე დღეს, მართლაც, ჯარი დაიძრა საომრად.

ღამდებოდა. მზე, თითქო უშველებელი ბურთია სისხლისაო, ზღვაში ჩაესვენა, გაალისფებულ ცისაკენ ბრჭყვიალა სხივის კონა გამოსტყორცნა, მთის მწვერვალებს ოქროს ფერი სინათლე გადაეფინა. ჰაერში სხვა-და-სხვა მხარეს დანავარდობდნენ ორბები და ყორნები, ზოგი მთებისაკენ მიეშურებოდა ღამის გასათევად.

მართალია, ყულევიდან დიდი მანძილი არ გაუვლიათ. მაგრამ, რაკი ღამდებოდა, განკარგულება მოახდინა ორბელიანმა, ჯარი იმ ღამეს გაჩერებულიყო და მეორე დღეს, დასვენებული, თავს დასხმოდა ფოთს.

ჯარი გაჩერდა თუ არა, მოწინავე რაზმის ყაზახრუსებმა ორბელიანს ერთი საეჭვო სახის აფხაზი მოუყვანეს, ჯაშუში ეგონათ. დაჭერილი აფხაზი თუთშული კი აღმოჩნდა,—არსლან-ბეის გამოეგზავნა. აფხაზმა ორბელიანს ქაღალდის ნაგლეჯი გადასცა, რომელშიაც არსლან-ბეი სწერდა; „გზის მაჩვენებელს გიგზავნით. მისი რჩევა საქმეს მოგაგებინებსთ“.

— ამაღამ აქ დარჩი, თავადო,—უთხრა თუთშულმა,—ხვალ დილას კი წაგიყვან და რიონზე კარგ ფონს გასწავლი.

მაგრამ მთლად მაინც ვერ ენდო თუთშულს ორბელიანი და ბრძანა, აფხაზს ღამით თვალი კარგად ადევნეთო.

მეორე დილას თუთშული გაუძღვა და ერთი ნაწილი აფხაზთა და მეგრელთა მეომრებისა, სეფერ-ბეისა და ლევან დადიანის წინამძღოლობით, აგრეთვე სამი როტა ბელევსკის პოლკისა, ტყის ამოფარებით, რომელიც ფოთს სამივ კუთხივ ერტყა, მშვიდობიანად გავიდნენ რიონის მარცხენა ნაპირას და ციხიდან სამის ვერსის სიახლოვეს დაბანაკდნენ. საცა გავიდნენ, იმ ალაგას მაგარი ტივ-ბორანი იყო წყალზე. აი ეს ბორანი ეგულებოდა ომის საქმეში გამოცდილს თუთშულსაც, რომელმაც ისეთი კაცი გაზარდა, როგორიც იყო არსლან-ბეი. უამბორანოდ ზარბაზნებისა და ტყვია-წამალის გადატანა მეორე ნაპირას ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა. ამ ბორანზე დააწყეს ზარბაზნები, წამლის ყუთები, ზედ შეაყენეს ცხენები

და მეორე ნაპირას გაიტანეს. ხოლო დანარჩენი ჯარი ქვეით გაიყოლია, ტყეს ამოეფარა და ისე თითქმის ფოთის ციხესთან გავიდნენ. მარჯვენა ნაპირას ორბელიანმა ერთი ზარბაზანი დასტოვა, რომლიდანაც, საჭიროების დროს, შეიძლებოდა ციხისათვის ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთიდან ესროლათ. ამ პატარა გზის გავლით ჯარის-კაცნი არც კი დაღლილან, ისევ დასვენებულნი იყვნენ და ხელად მაგარი ბატარეია გაიკეთეს. ბატარეიას უფროსად იყო ინჟენერი-პოდპორუჩიკი ფრეიმანი.

ოსმალებმა, ციხის საფრებში ჩამალულებმა, ველარ გაუძლეს ფრეიმანის-მიერ ნიშანში ამოღებულ დ̃ ისე ნასროლ ზარბაზნის ყუმბარებს და არევით მიაშურეს ციხის მახლობლად მდგარ შენობებს თავის დასაფარავად.

ფოთი არც ისე ადვილი ასაღები იყო, როგორც შორიდან ეგონათ. ხუთი ზარბაზანი ზედი-ზედ იცლებოდა, მაგრამ ოსმალების პატარა ზარბაზნებს წარბიც ვერ შეახრევინეს. ამასობაში ორბელიანის ჯარს ყუმბარებიც შემოელია. თოფის წამალი კიდევ იყო, მაგრამ ყუმბარა ერთიც არა ჰქონდათ წამლადა.

— მე გიხსნით გაჭირვებისაგან, თავადო,—უთხრა ერთხელ ორბელიანს ლევან დადიანმა:—ფიქრი ნუ გაქვსთ, ყუმბარები გვექნება.

— საიდან ვიშოვით?—გაუკვირდა ორბელიანს.

— სამეგრელოს ციხეებში ბევრი ჰყრია უხმარი სპილენძის ზარბაზნები, ყველას ყუმბარებად გადავადნობთ. ეკკლესიებშიაც ბევრი გვაქვს დამტვრეული ზარები. დედას მივსწერავ და მაშინათვე გამოგვიგზავნის.

— ჩინებული აზრია!—გაუხარდა ორბელიანს. — ახლავე მისწერეთ.

რამდენისამე დღის შემდეგ სამეგრელოს დედოფალი თვითონ მობრძანდა ფოთში. თან მოიტანა რამდენიმე ურემი ძველი სპილენძის ზარბაზნები და ზარები. მოასხა აგრეთვე მეგრელებიცა. ხელად გააკეთეს ქურები და ყალიბები და მუშაობა გაჩაღდა. დედოფალი ნინო თვითონ ადევნებდა თვალ-ყურს ყუმბარების ჩამოდნობას და მუშებს ამხნევებდა, კარგი საფარები გააკეთეთო. ჯარის-კაცებს უკვირდათ მისი მამაცობა და უშიშრობა და მოწიწებით შესცქეროდნენ.

ციხიდან შეამჩნიეს, მტრის ბანაკში დედოფალი ნინო მისულაო, და გაცხარებით დაუწყეს სროლა იმ ბატარეიებსა, სადაც ხან-და-ხან გამოჩნდებოდა ხოლმე მამაცი დედოფალი სამეგრელოსი და თავისის თეთრის ჩადრით ოსმალებს აჯავრებდა. ამიტომ თავადი ორბელიანი სულ-მუდამ აფრთხილებდა, საშიშოა აქ ყოფნაო. მაგრამ დედოფალი წარბსაც არ იხრიდა, ისევ წინანდებურად იქცეოდა, იცოდა, რომ, როცა ამათთანა ვარ, უფრო მამაცად იქმნებიან არა მარტო ჩვენი ქვეშევრდომნი, არამედ რუსის ჯარის-კაცებიცაო.

ერთხელ, როცა ახალ გაკეთებულ ბატარეებიდან ახლად ჩამოსხმულ ყუმბარებს ისროდნენ და უმთავრესს ბატარეიაზე იდგნენ დედოფალი ნინო, მისი შვილი ლევან, თავადი ორბელიანი და სეფერ-ბეი, ამ დროს ციხის კედელზე ერთის ნიშის ახლო ქალი გამოჩნდა.

— უყურეთ, დედოფალო, ოსმალებს უნდათ თქვენ მოგბაძონ,— ღიმილითა სთქვა ორბელიანმა.— ხედავთ, კედელზე ქალია გადმომდგარი, ახალგაზდაცაა.— ეს უთხრა და ჭოგრი დედოფალს გადასცა.— ეტყობა, მამაცობა უნდა გამოიჩინოს:— ერთს ხელში ოსმალეთის დროშა უჭირავს ნახევარ-მთვარიანი, მეორე ხელში— სატევარი და გვემუქრება!..

— ვიცნობ იმ ქალს,— წარბშეკვრითა სთქვა სეფერ-ბეიმ, როცა ჭოგრს გახედა.— ავაზაკ არსლან-ბეის ძუძუდაა.

ამ დროს ბატარეიაზე ამოვიდა გურიის მთავარი მამია. ძალიან დაფიქრებული იყო.

—არსლან-ბეიმ მართალი სთქვა, —უპასუხა მამიამ აჩქარებულად:—ოსმალები უკვე ათელინებენ ჩემს მიწებს თავისს ცხენებს ფეხებითა... შერიფ-ფაშა ბათომიდან მოდის, ფოთს უნდა მიეშველოს და თავისი დანიშნულაც უნდა წაიყვანოს—ესმა-ხანუმი. ეს არის, ახლა მოვიდნენ ჩემნი მზვერავნი და მითხრეს, სერაქსირს ათი ათასზე მეტი ჯარი მოჰყავსო —ზოგი ხმელეთით და ზოგიც—ზღვითაო... მე ნებას არ მივცემ ჩემი სიმინდები სთელონ.

— მეც თქვენთან ერთად გიახლებით გურიის დასაფარავად,—უთხრა ორბელიანმა.

ზედ-დატანებაზე მზვერავებისაგან გაიგეს, რომ შერიფ-ფაშა ზღვის ნაპირ-ნაპირ წამოსულა და ფოთიდან ოცის ვერსის მანძილზე დაბანაკებულაო. სერაქსირს რაკი იმედი დაეკარგა გურულებისა, რომლებიც, როგორც იმერეთის მეფედ ნამყოფი სოლომონ II-ც არწმუნებდა, მეგობრებად მიაჩნდა და რაკი იმასაც მოელოდა, რომ შეიძლება რუსები თავს დაესხნენ ჩემს ჯარსაო, შეეშინდა და ფოთში არ წავიდა. იმის მაგივრად ორს მდინარეს შუა გამაგრდა—მალთაყვასა და გრიგოლეთს შორის. მარჯვნივ მალთაყვა ჩაუდიოდა მისს ბანაკს და მარცხნივ—გრიგოლეთი. ზურგს უკან ტყე და ჭაობები—სრულიად გაუვალი ადგილები ეკრა, ხოლო ზღვის მხრით რამდენიმე საფარი და ჯებირები გაიკეთეს. რაც შეიძლებოდა, კარგად გამაგრდნენ, მტერი ვერ უნდა მისდგომოდა. მაგრამ ბედმა ამ ხელად კი უმტყუნა ახალგაზდა ესმა-ხანუმის ბებერ საქმროს.

— მე გრიგოლეთის მხრიდან დავეცემი, იქიდან სრულიად არ ეშინიან მტრისა,—სთქვა მამია გურიელმა:—ჩემმა გურულებმა მშვენივრად იციან, სად და სად არის ფონი ამ მდინარეზე.

— მე კი მალთაყვიდან და ზურგს უკანიდან მივუსევ ჯარსა,—გადასწყვიტა ორბელიანმა.

მაშინათვე წინ, მალთაყვისაკენ, გაგზავნა სეფერ-ბეი და ლევან დადიანი, თან გააყოლა ერთი ნაწილი მათის მილიციისა, აგრეთვე ორი როტა ყაბარდოს პოლკისა ორის ზარბაზნით,

ამათ უფროსადც მისცა თავისი ნათესავი მაიორი თავადი ორბელიანი, რომელიც თავისის რაზმით მალთაყვაზე ექვსის ვერსის მოშორებით იდგა.

შერიფ-ფაშას თავზარი დაეცა, როცა დაინახა, რომ ზურგს უკანიდან გურულები მომდგომიანო. მამია გურიელმა ისე მარდად მიუსია თავისი მილიცია, რომ ოსმალებმა თავ-ტანი დაჰკარგეს; გურულებს რომ ვერ გაუძლეს, ოსმალებმა მალთაყვის მხარეს მიაშურეს, მაგრამ აქ წინ ორბელიანმა უყელა და ყუმბარები დაუშინა. ათობით და ოცობით იხოცებოდა ყუმბარებისაგან თავზარდაცემული ოსმალების ჯარის-კაცები. მეტი საშველი არ იყო, გასწიეს ზღვისაკენ. ამ დროს წყალში გამოცურდნენ აფხაზებისა და მეგრელების მარდი ჯიგითები სეფერ-ბეისა და ლევან დადიანის წინამძღოლობით, მოულოდნელად დაერივნენ და მარჯვნივ თუ მარცხნივ ხმლებით მუსრს ავლებდნენ ოსმალებსა. ორის მხრით რომ დამარცხდნენ, გადასწყვიტეს, ჯებირებსა და საფარებს მივაშუროთო. მაგრამ ვერც იქ გაექცნენ სიკვდილსა. სანამ აფხაზები, მეგრელები და გურულები ამარცხებდნენ და მისდევდნენ გაქცეულთ, თავადმა ორბელიანმა არტილერია და ქვეითი ჯარი ნავებით გაიყვანა მალთაყვაში. ამ ალაგას მტრის გამაგრებულს საფარს წააწყდა. ერთი-ღა დარჩენოდა: უნდა იერიშით აეღო მტრის ჯებირები და საფარები.

არ გასულა დიდი ხანი, დასცალეს ზარბაზანი. გაისმა ბრძანება: „იერიშით!"

მთელი ქვეითი ჯარი წინ გაქანდა შურდულივით.

თხრილებსა და სხვა გამაგრებულს ადგილებში ოსმალები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ არც მოწინაამდეგენი ჩამორჩნენ.

დიდ ხანს არ გაგრძელებულა ბრძოლა. მალე ორის დროში ქვეშ მდგარი ჯარის-კაცები ოსმალებისა დაიხოცნენ და შერიფ-ფაშის ჯარი ივლტო. ყველანი ზღვისაკენ გარბოდნენ გემებში ჩასასხდომად. ჰაერში წყევლისა და კრულვის ხმა ისმოდა. პირველად შერიფ-ფაშა გაიქცა.

მაგრამ არც ზღვამ დაინდო დამარცხებულნი. ვინც პირველად მოასწრო ნავებში ჩაჯდომა, გემზე მალე გადავიდნენ. ხოლო ვინც დაიგვიანა, ზღვაში ეარდებოდნენ, რომ ცურვით დასწევოდნენ ნავებსა. მაგრამ იქ თავისივე ძმები ხოცავდნენ. ესენი თავგანწირვით ებლაუჭებოდნენ ხოპებსა და ნავების კიდეებსა, ხოლო შიგ მჯდომთ ეშინოდათ, ჩვენც არ დაგვახრჩონო და შეუბრალებლად ხელებსა სჭრიდნენ, ან ხოპებს თავში არტყამდნენ,—თავიდან მოგვწყდით, არ დაგვახრჩოთო; უბედურნიც წყევლა-კრულვით წყალში იძირებოდნენ. წყალი კიდევ მათის სისხლით ილებებოდა.

ბრძოლის ველსა ჰფარავდა ათას ხუთას ოსმალთა გვამები. ახლა ის იკითხეთ, რამდენი დაიხრჩო ზღვაში ან გურიის ჭაობებში რამდენი ჩაიფლო! გამარჯვებულთ დარჩათ ოცი დროშა ოსმალებისა და მთელი ვრცელი ბანაკი სერაქსირისა.

აი, ამდენი ზარალი ნახა მოხუცმა შერიფ-ფაშამ ოქროს ქოჩრიან ესმა-ხანუმის გულისათვის, იმ ესმა-ხანუმის გულისათვის, რომელსაც, როგორც შეყვარებული არსლან-ბეი ამბობდა, „სამოთხის სარკმელების“ მსგავსი დიდრონი საუცხოვო თვალები ჰქონდა.

## XI

ესმა-ხანუმი, რომლის გულისათვის ამდენი სისხლი დაიღვარა, იმ დროს ნეტავ რას აკეთებდა?

უმანკო ქალმა არა იცოდა-რა და ვერც წარმოიდგენდა ამ სისხლის ღვრის ამბავს. გამომწყვდეული იყო მტრისაგან გარშემორტყმულ ციხეში. ბუნდად სდევდა ერთი დღე მეორესა და სანუგეშო ამბავი არაფერი მოდიოდა. ყოველ ცისმარა დღე დილიდან საღამომდე ესმას ესმოდა, როგორა სცლიდნენ ციხეში ზარბაზნებსა, ესმოდა საპასუხოდ მტრის ბანაკიდან დაცლილ ზარბაზნების ხმაცა. მამა მისის სახე დღით-დღე უფრო და უფრო იღრუბლებოდა. ციხეში ყოველ ცისმარა დღე ჰმარხავდნენ ვისმე ციხის დამცველთაგანს, დღე გამოერე-

ვოდა, ციხიდან ათობით გაჰქონდათ მკვდარი თუ დაჭრილი. მისის სამშობლო ქალაქის დამცველების რაზმი თანდათან თხელდებოდა. ზაფხული უკვე გასულიყო, დადგა წვიმებიანი და ნისლ-ჯანყ-ბურუსიანი შემოდგომა. წინედ ქალს უყვარდა ზღვაზე მისის მამის მორთულ, პეპელასავით აჭრელებულ ნავით სეირნობა, ან ცხენის ჭენება ფოთის გარშამო; ახლა კი ყველაფერი მორჩა: ყველანი დამწყვდეულნი ვართ ციხის კედლებში, როგორც საპატიმროშიო. ადრე თავისი მეგობარი დადაც გვერდითა ჰყავნდა და თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდა; მაგრამ მას შემდეგ, რაც ზღვის პირას ბაასობდნენ ერთად, დადა ეკალივით გულსა სხვლეტდა.

მაგრამ არც თუ სულ უნუგეშოდ იყო,—ჩემი არსლან-ბეი ხომ ციხეში არისო. რაც უფრო ბევრსა ჰფიქრობდა იმაზე, რაც უფრო ხშირადა ხვდებოდა, ახალგაზდა გულში უფრო მეტად და ძლიერად ებეჭდებოდა აფხაზეთის ახალგაზდა გმირის სახე; არსლან-ბეი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დადამ დაწვრილებით უამბო მისი თავგადასავალი, ესმა-ხანუმის თვალში რაღაც მიუწდომელ ადამიანად გადიქცა, ერთი ასად გაიზარდა, გადიდდა. ოღონდ კი დავუახლოვდე ამ მიუწდომელ ღვთაებას, მისი ყურადღება დავიმსახურო, და მერე... მერე, რაც უნდა... მარტოოდენ ფიქრი არსლენ-ბეიზე ესმას თავსბრუსა ჰხვევდა, გული ეწურებოდა ტკბილ და თან მტანჯველ მოლოდინში...

გამჭრიახსა და გამოცდილს დადას, როგორც ხუთის წლით უფროსს ესმაზე, არ გამოეპარა ქუჩუკ-ბეის ახალგაზდა ქალის წუხილი და სულიერი მდგომარეობა. მაშინათვე შეამჩნია ცვლილება; მაგრამ მიზეზი კი ვერ შეეტყო მისის გამოცვლისა. „გაიზარდა, პატარა აღარ არისო“,—ჰფიქრობდა დადა:—„თვითონაც ვერ ატყობს, რომ უკვე ქალი გახდა, ქალის მოთხოვნილება გაეღვიძა... მაგრამ როგორღაც გვიან კია... ესმა უკვე თოთხმეტის წლისაა, და მე კი ათის წლისამ ვიცოდი, დედაკაცი რა არის... მახსოვს გამოქვაბული... მახსოვს ღამღამობით რომ ველოდებოდი... მახსოვს მისის ხელის მოკარე-

ბა... სულ ვთახთახებდი... გაბადრული მთვარე თავს დაგვცქე-როდა... „დადა, დღეს შენ ათი წელიწადი შეგისრულდა“,—მითხრა არსლან-ბეიმ და ხელი მომკიდა... პირველად მაშინ ვიგრძენი ისეთი რამ, რაც ადრე არ მიგრძვნია, თუმცა ადრე მკოცნიდა კიდეცა... გამოქვაბულში კი მარტო ხელი მომკიდა... ესმა-ხანუმის გულიც ამასვე თხოულობს, მხოლოდ ჯერ თვითონაც არ იცის, რა უნდა, რა სწადია, გამორკვეული არა აქვს“...

არა, დადა სცდებოდა. ესმა-ხანუმმა ახლა შეიტყო, რა სწადდა. ადრე, როცა არსლან-ბეის მხოლოდ განაგონად იცნობდა, ამ ყმაწვილს აქებ-ადიდებდა ისე, როგორც „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირს ავთანდილს. მისს გულს მაშინაც სწყუროდა რაღაცა, უნდოდა რაღაცა. მაგრამ ახლა კი გაიგო, რა იყო საგანი ამ წყურვილისა. ახლა ყოველი შეხედვა არსლან-ბეისა ტანში სისხლს უღელვებდა. ახლა გაგებული ჰქონდა, რას ნიშნავდა, მისი შეხედვა, და თრთოდა, თახთახებდა ართუ შიშისა, ართუ ბედნიერებისაგან... დიახ, ბედნიერებისაგან, მხოლოდ ბედნიერებისაგან. ეშინოდა, აი, საცაა, მოვა ჩემთან, მომიტაცებს და წამიყვანსო... ეშინოდა, არ მომიტაცოსო, და იმავე დროს გული-გულში ამბობდა კიდეცა, ნეტავ კი მომიტაცოსო!

ნატვრა მალე აუსრულდა. ერთხელ არსლან-ბეი თვალყურს ადევნებდა, ციხიდან რუსებს როგორ ესვროდნენ ზარბაზნებსა. ამ დროს მტრის ტყვია ციხის ქვას მოხვდა და ქვის ანატკეცმა არსლან-ბეი, თუმცა სასიკვდილოდ არა, მაგრამ ისე მძიმედ დასჭრა, რომ გული შეუღონდა. მაშინათვე ქუჩუკ-ბეის სახლში წაიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს.

დადამ რომ დაინახა დაჭრილი არსლან-ბეი, გაფითრდა და, ის იყო, გული უნდა წასვლოდა, მაგრამ ღონე მოიკრიბა და ავადმყოფს მიეშველა. ესმა-ხანუმმა კი ვეღარ გაუძლო, საშინლად დაიკივლა და გულშეღონებული ძლივას მოაბრუნეს. დადა მთელი ღამე არ მოშორებია თავისის გაზდილის საწოლს. დილაზე იმის მაგივრად ესმა-ხანუმი მოუჯდა ავადმყოფს. არსლან-ბეის

ამ დროს ეძინა. ესმას ხელში ეჭირა ტკივილების დამაამებელი სასმელი წამალი, მოხუც მოსამსახურე დედაკაცის შემზადებული. დიდ ხანს, სულ დიდ ხანს უცქეროდა სიყვარულით სავსე თვალებით ესმა-ხანუმი მძინარე ახალგაზდა აფხაზს, რომელსაც სისხლის დენისაგან სახე ცოტათი გაჰფითრებოდა. რაღაც მშვიდი ფიქრი, რაღაც სინაზე გადაჰფენოდა ამ მამაცს სახეს. იმას რომ უყურებდა, ესმას არა სჯეროდა, რომ ამ მისთვის ძვირფასს კაცს თავისი მამა და ძმები მოეკლა... „არა იმათ ბეჟან შარვაშიძე მოჰკლავდაო"... ამ დროს ქალი დაიხარა და ნაზად ემბორა ძირს ჩამოშვებულს ხელს მძინარე ავადმყოფისას... არსლან-ბეის ქუთუთოები შეჰკრთა... და გაახილა თვალები, რომლებიც მყისვე გაშმაგებულის სიხარულით აღევსო... „ესმა, სამოთხის ქალწულო"!—წამოიძახა ავადმყოფმა. მერე წამოჯდა ქალის ტანს ხელები მოხვია. ესმა, აკანკალებული, გულში ჩაეკრო... „ჩემო სიცოცხლე, ჩემო სულის დგმავ! ესმა, ჩემო ესმა!"

ყოველივე ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ქალმა თითქო გონება დაჰკარგაო. ესმამ თავტანი დაჰკარგა, რაღაც შმაგმა გრძნობამ მთლად შეიპყრო, და უფრო და უფრო ეკვროდა ძვირფას არსებას. ამავე დროს ეგონა, თუ პირდაპირ შევხედე, სირცხვილისაგან დავიწვებიო. სული უგუბდებოდა. მაგრამ ამ ამბავმა რამდენსამე წამს გასტანა,—იელვა და გაჰქრა, ელვასავით. ესმა-ხანუმი გონს მოვიდა, როცა ყური მოჰკრა არსლან-ბეის სიტყვებს. ეს სიტყვები თითქო გაუგებარი იყო მისთვისაო.

— მოგიტაცებ, ჩემთან წაგიყვან აფხაზეთში, მთებში!—ჩემს გულში დაგმალავ, შენს თავს არ დავანებებ ჰარემისათვის.

მხოლოდ ახლა მიხვდა ცოტ-ცოტათი, რასაც ეუბნებოდნენ,—და შეეშინდა.

— ვის არ უნდა დაანებო ჩემი თავი?—ჰკითხა შეშინებულმა ესმამ.

— განა არ იცი, გენაცვა, რომ შენს თავს მამა-შენი შერიფ-ფაშას დაჰპირდა?—ჩუმისა, მაგრამ აღგზნებულის ჩურჩულითა ჰკითხა არსლან-ბეიმ.

— შერიფ-ფაშასაო? ღმერთო ჩემო! — ჩურჩულითვე უპასუხა შეშინებულმა ქალმა.

— ჰო, გენაცვა: სერაქსირი კიდეც ამიტომ მოდის ფოთში... საცაა, მოვა, — ჯაშუშებმა მითხრეს.

ესმა-ხანუმმა სასოწარკვეთილებით თავისსავე ხელებს მტვრევა დაუწყო.

— მაგრამ შენს თავს მე არავის დავანებებ, ჩემო სულისდგმავ! — ჩურჩულებდა არსლან-ბეი. — მოგიტაცებ... სოხუმში უნდა წაგიყვანო, აფხაზეთში... ჩემი ცოლი უნდა გახდე, ჩემი მბრძანებელი და თან აფხაზეთის მბრძანებელიცა... ოქროს თავზე სამეფო გვირგვინს დაგადგამ და მეფე გახდები აფხაზეთისა, შენის არსლან-ბეისა!

— დადა? — გაუბედავად ჰკითხა ქალმა; თანაცა გრძნობდა, სირცხვილისაგან ლოყები მიწითლდებაო.

— დადა — ჩემი ძუძუდაა, ჩემი მოახლე არის, შენ კი მეფე იქნები ჩემს სასახლეში.

ესმა-ხანუმი ჩუმად იყო. მეტის-მეტად აღელდა ამ რამდენსამე წუთში, აღელვა მოსალოდნელმა ბედნიერებამ, რომელმაც მეხ-ნაკრავივით დაუწვა გული, აღელვა იმ საშინელმა ამბავმა, რომ როგორც ნივთი, როგორც ცხვარი საზიზღარს სერაქსირს უნდა მიმცენო.

— უნდა წაგიყვანო, — განაგრძო არსლან-ბეიმ, — შენ ჩემი დანიშნული ხარ. ჩვენსა, აფხაზეთში, სირცხვილი არ არის დანიშნულის მოტაცება... უეჭველად უნდა მოგიტაცო...

ცხარმა და ახალგაზდა ქალმა მალე გადასწყვიტა თავისი ბედი. ცხელის სამხრეთის შვილი თავით კი არა ჰფიქრობდა, არამედ გულით. გული თავისს ბრძანებას ელვის სიმალეზე ატყობინებდა ოქროს-ქოჩრიან თავს. მარტოოდენ შერიფ-ფაშის სახელისა და მისის ჰარემის გაგონებაზე ქალს გული ეწურებოდა სიმწარისა, შიშისა და ზიზღისაგან. ხოლო არსლან-ბეის სიტყვები: „გენაცვა, ჩემო სულისდგმავ, ჩემო სულის კლიტევ“ — გულს ნეტარებით უტოკებდა. მამა როგორღა დავაგდოვო? ამბობდა გულში. მაგრამ როცა სერაქსირის ტყვე გავხდები,

ჩომ უნდა დავანებო თავი მამასა! დედა მე არა მყავს. დედა რომ მყავდეს, თავისდღეში არ დამიშლის, წინ არ გადამეღობება, რომ საყვარელ ადამიანს გავყვე. მართალია, მამა მყავს, მაგრამ რაღა მამაა? მე არც კი მითხრა რამე სერაქსირის შესახებ; ჩემ დაუკითხავად გაუყიდნივარ! უმალ პეტერბურგში წასვლას ვარჩევ და ტრაპიზონის ჰარემში კი არაო!

— კარგი, მაგრამ როგორღა წავიდეთ აქედან, როცა გარშემო მეგრელები და ოსმალები გვარტყია?—გაუბედავად ჰკითხა ესმამ.

— ამის დარდი ნუ გაქვს, ჩემო კარგო,—უპასუხა არსლან-ბეიმ.—მე დროითვე მოვამზადე ყოველივე... მაპატიეე, ჩემო მარგალიტო, დიდი ხანია, შენი მოტაცება გადაწყვეტილი მაქვს. მხოლოდ მე ის მინდა გავიგო, შენ თანახმა ხარ, თუ არა? მითხარი! მაჩვენე შენის ბროლის კბილების ელვარება! ჩემის სულის სიმებზე შენის სანეტარო ხმით დაუკარი.

ამ დროს ზარბაზნის ხმა გაისმა.

— გესმის, ჩემო კარგო?—ჰკითხა არსლან-ბეიმ.—თუ შერიფ-ფაშამ ფოთს დროით ვერ უშველა, რუსები ციხეს აიღებენ და შენ ან რომელისამე ყაზახ-რუსის ტყვე გახდები ან და შერიფ-ფაშისა, თუ იმან დაასწრო მოსვლა.

— არა, არა!—უთხრა შეშინებულმა ქალმა.—მაგრამ აქედან როგორ-ღა უნდა გავიდეთ?

— ყური დამიგდე,—აჩქარებით უთხრა არსლან-ბეიმ.—სანამ არავინ მოსულა, ყველაფერს გეტყვი. ციხიდან საიდუმლო გზით შეიძლება გასვლა. ამ გასავალ გზის ამბავი მარტო მე და მამა-შენმა ვიცით. მეჩითის უკანა კედელში, მინარეთის მარჯვნივ, საიდუმლო კარია; თუ ზედ იატაკთან ლურსმანი დააჭირა კაცმა, ეს კარი გაიღება. კარიდან მიწის ქვეშ ტალანი იწყება, იქიდან პირდაპირ ზღვასთან გამოვა კაცი. ტალანის ბოლოს დიდი ქვაა მიგორებული, რომელიც ერთის მანქანის წყალობით ადვილად აიწევა. ამ ქვას სქელი ბუჩქი ჰფარავს კუნელისა. ჩემი ერთგული თუთშუდი უკვე გავუგზავნე თავად ბეჟან შარვაშიძეს სოხუმში. ვსთხოვე, ხვალ შუაღამისას

ფოთის ციხის კედელთან მოაყენე ნავი და მენავენი-მეთქი. აი ამ ნავში ჩავსხდებით და წავალთ.

ესმა-ხანუმს არსლან-ბეის ყურის-გდებაში უარესად აუტყდა კანკალი.

— დადა ჩვენთან წამოვა?—ჰკითხა ქალმა ცოტა ფიქრის შემდეგ.

— წამოვა, თავის სოფელში უნდა დაბრუნდეს.

— კარგი, მაგრამ, ჯერ წამოსვლა სად შეგიძლია, დასუსტებული ხარ, ჭრილობას პირი არ შეუკვრია.

— არა, ჩემო ძვირფასო, მე დღესვე წამოვდგები.

ამ დროს ვილასიც ფეხის ხმა გაისმა. ორივე დაჩუმდა. ოთახში ფეხ-აკრებით ქუჩუკ-ბეი შემოვიდა, აღელვებული.

— ალაჰ-ქიარიმ!—სთქვა ქუჩუკ-ბეიმ.

— ალაჰ-აქბერ!—უპასუხა არსლან-ბეიმ.

— როგორა ხარ?

— მე დღესვე მინდა ავდგე... მაჰმადმა სამოთხიდან გურია გამომიგზავნა და იმან მომარჩინა,—ღიმილით უპასუხა არსლან-ბეიმ.

ესმა-ხანუმი გაწითლდა. მამა დაიხარა და ნაზად ხელი გადაუსვა მისს ოქროს ფერს თმას.

— დაუჯერებელი ამბავი გავიგე,—სთქვა ქუჩუკ-ბეიმ, ძალზე დაღონებულმა.—თავადმა ორბელიანმა შემატყობინა, რომ შერიფ-ფაშის ჯარი, ჩემს საშველად მომავალი, გრიგოლეთსა და მალთაყვას შუა დამარცხდა საბოლოოდაო. მაგრამ მე კი ყოველივე ეს სიცრუვე მგონია. რუსებს ჩემი მოტყუილება სწადიათ, რომ მე ციხე დავუთმო. მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან! ჯერ კიდევ საკმაო თოფ-იარაღი მაქვს, მანამდე შერიფ-ფაშაც მომეშველება. სერასქირი ისეთი კაცი არ არის, რომ ხელი აიღოს იმ ქალზე, რომელიც აქ უცდის.

ამის თქმაზე ქურდულად ქალს გადახედა. ესმა-ხანუმი საშინლად გაფითრდა.

— როგორც გატყობ, ძალიან დაღლილი უნდა იყვე, ჩემო ოქროს ბატკანო,—უთხრა ალერსით და ხელახლა გადუსვა

ხელი ქალს თავზე.—წადი, მოისვენე. მე და თავადიშვილი საქმის შესახებ მოვილაპარაკებთ. მგონი, ახლა კარგად არის, იმედია, დღესვე გადაუხდის ურუსებს სამაგიეროს.

ესმა-ხანუმმა ქურდულად თვალი მოჰკრა არსლან-ბეის და ოთახიდან გავიდა.

— მაშ ორბელიანმა შემოგითვალა, სერაქსირის ჯარი დაამარცხესო?—ჰკითხა არსლან-ბეიმ და ლოგინზე წამოჯდა.—ეგ რა დასაჯერებელია? ცხრა ათას კაცს როგორ დაამარცხებდნენ!

— მეც არა მჯერა,—დაფიქრებულად წარმოსთქვა ქუჩუკ-ბეიმ.—მაგრამ ამ ქალის ტანისამოსში გამოწყობილი ყაზახი, დედოფალი დადიანისა, ციხის პირდაპირ რაღაც მიწის კოშკის მსგავსს აკეთებს. ალბად უნდა იქიდან შიგ ციხეში გვესროლოს ზარბაზანი... ეგ შეჩვენებული დედოფალი, ეგა! იმას ზარები რომ არა ჰქონოდა, ძაღლ-ურუსებს სასროლი არაფერი ექნებოდათ,—არ ვიცი, ქვით თუ გასტენავდნენ ზარბაზნებს. ახლა კი ვხედავ, რომ ციხეზე ასასვლელ კიბეებსაც აკეთებს... რა საჭიროა, სადაც დედაკაცი გაერევა, იქ საქმე უეჭველად უნდა გაფუჭდეს! სეირი ის იქნება, თვითონ ამოვიდეს ამ კიბით!

— მე ჩემს ერთგულს თუთშულს მოველი.—უთხრა არსლან-ბეიმ,—გველად იქცევა და ციხეში მაინც შემოძვრება როგორმე და სერაქსირის ამბავს დანამდვილებით შეგვატყობინებს.

ამ დროს დადა შემოვიდა, და ამათაც ლაპარაკი შესწყვიტეს.

თუთშული იმავ ღამეს გაჩნდა და თავისს გაზრდილს შეატყობინა, სერაქსირი საბოლაოდ დაამარცხესო. არსლან-ბეის თვალები ბოროტის მხიარულებით გაუბრწყინდა.

— შენ ეს ამბავი ჯერ შენს გულში ღრმად ჩაიმარხე,—უთხრა არსლან-ბეიმ.—ქუჩუკ-ბეის ვუთხრათ, რომ რუსები ყველგან დამარცხებულან და სერაქსირი ფოთში მოდის-თქო. ამასობაში შენ ფოთიდან გასასვლელად მოემზადე. ბეჟანი,—შენ თვითონ იცი,—ხვალ შუაღამისას ნაპირთან უნდა გველოდოს.

— ოქროს-ქოჩრიანი ქალი?—ჰკითხა საიდუმლოდ თუთ-შულმა.

— ოქროს-ქოჩრიანი ქალი ჩვენთან იქმნება:—ყველაფერი იცის... სერაქსირისა ისე ეშინიან, როგორც მერცხალს ძერისა; მე კი საშინლად უყვარვარ, უჩემოდ სიცოცხლე არ უნდა.

## XII

რამდენიმე დღე გავიდა. ნოემბრის ერთს დილას რუსის ბანაკიდან, რომელიც ფოთის ციხის ძირას ეს მესამე თვე იდგა, გამოვიდა მცირედი რაზმი ცხენოსანთა და პირდაპირ ციხის მთავარ ალაყაფის კარებისაკენ გასწია. ალაყაფის კარების ზე-მოდან კოშკი იყო, რომლის სათოფურებიდან ზარბაზნები შავად მოსჩანდა. გუნდს წინ მიუძღოდა სეფერ-ალი-ბეი. ტანთ მდიდრუ-ლად ეცვა, მისის ბოხოხის ბრილიანტის ვარსკვლავი მზეზედ ათასფერად ბრჭყვიალებდა.

კარებს რომ მიუახლოვდნენ, სეფერ-ბეიმ ანიშნა და საყვირი დაუკრეს. ციხიდან საყვირითვე მისცეს პასუხი და უშველებე-ლის ხმაურობითა და ჯაჭვების ჩხარუნით კარები გაიღო. ცხე-ნოსანთა გუნდი ციხეში შევიდა, ხოლო კარები წინანდელის ხმაურობითა და ჩხარუნით მიიხურა. სეფერ-ბეი ცხენიდან ჩა-მოხტა თუ არა, მოწიწებით მიეგება ქუჩუკ-ბეის ადიუტანტი და პირდაპირ ციხის უფროსის ოთახში შეიყვანა. ქუჩუკ-ბეი ძალიან დაღონებული იჯდა.

— მშვიდობა შენს სახლსა! — უთხრა აფხაზეთის მთავარ-მა და ქუჩუკ-ბეის მიუახლოვდა.—უქეიფოდ ხომ არა ბრძანდე-ბით?

— დიდი უბედურება დამატყდა თავზე,—უპასუხა ქუჩუკ-ბეიმ.—ჩემი ქალი მომტაცეს; დამეკარგა ჩემი თვალის სინათლე, ჩემი ესმა.

— რასა ბრძანებთ! ესმა-ხანუმი?—გულმტკივნეულადა ჰკი-თხა სეფერ-ბეიმ.

— დიაღ, მგელმა მომტაცა ოქროს-მატყლიანი კრავი... არსლან-ბეი სახლში შემოვუშვი, და იმ წყეულმა ეგ საქმე კი მიყო!..

სეფერ-ბეის საშინლად ეწყინა ეს ამბავი.

— სხვა სიკეთეს რას უნდა მოელოდეს კაცი მამის-მკვლელისა და მეორე კაინისაგან!—აკანკალებულის ხმით უთხრა სეფერ-ბეიმ.—მხოლოდ ეს მაკვირვებს, გარშემორტყმულ ციხიდან როგორ გაიპარა ისე, რომ ვერავინ დაინახა!

— საიდუმლო გასასვლელი იცოდა... ზღვაში გადის. მე, როგორც მოკავშირეს, ეს საიდუმლოება გავანდე, და იმან კი ჩემი საუნჯე მომტაცა.

— დიდი ხანია, რაც ეგ მოხდა?

— რამდენიმე დღეა... იმ ავაზაკმა მომატყუა: მითხრა, სერაქსირმა რუსები დაამარცხაო, იმ დროს, როცა მალტაყვასთან შერიფ-ფაშაზე გაუმარჯვნია მტერსა... იმ ღამესვე მომტაცა ჩემის გულის მარგალიტი, ჩემის მოხუცებულობისა და მარტოობის ნუგეში და სიტკბოება... ღამე დარაჯებს უნახავსთ თურმე, ნაპირიდან ნავი გავიდა და ჩრდილოეთისაკენ დაიჭირა გზა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთო. ახლა ჩემთვის დედამიწაზე არც ბედნიერებაა, აღარც დიდება და სახელია... რაღად მინდა სახელი და დიდება უჩემმზეოდ? რაღად უნდა დავიცვა ფოთი? ვილასთვის? ჩემის ჯარის მამაცი მეომრები მტრებს რაღად უნდა შევაკლა?

ამის თქმაზე, მწუხარებისაგან გატეხილმა მოხუცმა ტირილი დაიწყო. სეფერ-ბეის მეტის-მეტად შეეცოდა ქუჩუკ-ბეი.

— აიღეთ ჩემი ციხე... დაეპატრონეთ... აქ ჩემის ცოლის საფლავის მეტი არაფერი დამრჩენია,—გულდამშვიდებით განაგრძო მოხუცმა.—აქ ჩემის ესმას პატარა ფეხების კვალი მაინც რომ დარჩენილიყო, ფოთს არავის დავანებებდი... მაგრამ აწ აღარ არის ამ პაწაწა ფეხების კვალი, ზღვის ქარმა წაშალა. ერთი-ღა დამრჩენია: შერცხვენილი სტამბოლში წავიდე და ველოდო ჩემის ფადიშაჰისაგან ღირსეულს ჯილდოს—წვრილს და მაგარს ბაწარს, რომელიც კისერში უნდა ჩამექრას და ბო-

ლო მოელოს ჩემს ფიქრს, წვალებას, მოგონებას... სად არის ახლა ჩემი პაწაწა ქალი? ნეტავი, ვაგონდები მაინცა? ოჰ, დაეპატრონეთ ჩემს ციხესა! ახლა რაღად მინდა?

— ჩვენ ისე ჩავიბარებთ, რომ თქვენი ღირსებაც არ შევლახოთ, — თავმდაბლად უთხრა სეფერ-ბეიმ. — თქვენ მამაცად იცავდით, ღირსეულ მოწინააღმდეგეს ჩვენც ვაფასებთ. თქვენა და თქვენი ჯარი ციხიდან პატივით გამოხვალთ—თოფები ხელში გექნებათ, არ წაგართმევთ. ფადიშაჰმა დეე გაიგოს, რომ ჩვენ მოწიწებით პატივსა ვსცემთ მტერს, რომელიც იძულებული იყო ღვთის განგებით თავისზე ძლიერს მტერს და მორჩილებოდა.

— გმადლობთ,—გულგრილად უთხრა ქუჩუკ-ბეიმ:—თოფი გვექნება, თუ არ გვექნება—ეს სულ ერთია!

— არა! მაგას რადა ბრძანებთ! ძველად, ჩვენის წინაპრების დროს, დედა რომ შვილს ომში გაისტუმრებდა, ხელში ლახვარსა და ფარს მისცემდა და ეტყოდა:—„ან ფარიანად, ან ფარზედაო“. ეს ნიშნავდა: „ჩემთან ან გამარჯვებული და ფარიანი დაბრუნდი, ან და ვაჟკაცურად მოკვდი შენს ფარზედაო“. ფოთის დამცველები ფადიშაჰთან ფარიანად დაბრუნდებიან,— ეუბნებოდა ნუგეშის-საცემლად სეფერ-ბეი დარდისაგან გატეხილს მოხუცს.

— ეს პირობა თავად ორბელიანისა არის?—ჰკითხა ქუჩუკ-ბეიმ.

— ჩემი პირობაც ასეთია,—უპასუხა სეფერ-ბეიმ.

— მე კიდევ ერთს პირობასაც დაგიდებთ, ეს პირობა არც შენ მოგგონებია და არც თავადს ორბელიანს,—ნაღვლიანის ღიმილით წარმოსთქვა ქუჩუკ-ბეიმ.

— რა პირობაა? თუ ჩვენის სამხედრო წესის წინააღმდეგი არ იქნება, ორივე დავთანხმდებით.

— სრულიად არა! მე გთხოვთ ნება მომცეთ წავიღო ჩემის პირადის იარაღის გარდა ჩემის საწყალ ქალის დარჩენილი ტანისამოსი, მისი ყველა ნივთები, სათამაშოები, თოჯინები.

— თავადო, ლამის არის, მეც ამატირო!—წამოიძახა სეფერ-ბეიმ და ატირებულს მოხუცს გადაეხვია.—წყეულიმც იყოს

მამის-მკვლელი და კაინი, ას გზის იყოს წყეული! მერწმუნე, კეთილშობილო თავადო, ვეცდები შენი ქალი შენვე ჩაგაბარო,—მისს მომტაცებელს ზღვის ფსკერშიაც ჩავყვები. მე და იმას ჯერ ანგარიშები არ გაგვისწორებია.

ქუჩუკ-ბეიმ ამის თქმა-ღა მოახერხა: „ჩემო ღუღუნა მტრედო“!

— ფოთის ჯარი აქედან სად უნდა წაიყვანო? — ჰკითხა სეფერ-ბეიმ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.—რომელ ციხეში აპირობთ წაყვანას: ანაფაში თუ ტრაპიზონში?

— მგონი, ტრაპიზონს, სერაქსირთან, — უთხრა გონებადაფანტულსავით ქუჩუკ-ბეიმ: — სერაქსირთან.... ის ჩემთან უნდა მოსულიყო, მაგრამ ვერ მოატანა, ახლა მე თვითონ მივდივარ იმასთან... მთასა ვსთხოვე მომეშველე-მეთქი, ჯერ არ მოდიოდა, მერე წამოვიდა—მაგრამ გზაში წაფორხილდა... მხოლოდ საქმე ის არის, გემები არ მაბადია, რომ აქედან ჩემი უანაწერო გარნიზონები წავასხა, ის გარნიზონი, რომელიც თქვენმა სპილენძის ყუმბარებმა და დედოფალმა დადიანმა თითქმის გამინახევრეს:—ჩემი მამაცი ამხანაგები შავს მიწაში განისვენებენ, 272 კაცი-ღა დამრჩა.

— აქედან მეგრელების ნავებით შეგიძლიათ წასვლა,— უთხრა სეფერ-ბეიმ. — ამის შესახებ მოლაპარაკება გვქონდა. დედოფალმა დადიანმა სთქვა, ათს მოზრდილ ნავს და ერთს ბარკასს ვათხოვებო. მხოლოდ მერე კი უნდა დააბრუნოთ ფოთში.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მათხოვარას ბერკეტს აძლევენ ხელში, და ისიც, რა თქმა უნდა, დააბრუნებს.,.

მეორე დღეს, 1809 წლის ნოემბრის 15, რკინის მძიმე კარები ფოთის ციხისა ჩხარუნით ნელა გააღეს და ქუჩუკ-ბეი და მისი მცირე ჯარი დროშებით გამოვიდა ციხიდან. ქუჩუკბეის გვერდით მოჰყვებოდა მისი ადიუტანტი. ვერცხლის ლანგარზე ოქროს გასაღები იდო. ოსმალეთი რუსეთს უთმობდა ფოთის პირველხარისხოვანს ციხე-სიმაგრეს. დამორჩილებული გარნიზონი ციხის კედელთან გამწკრივდა.

ამავე დროს რუსისა და მის მოკავშირეთა ბანაკიდან გამოვიდა ერთი გაბრწყინებული გუნდი მხედართა. ამ გუნდს შეადგენდნენ: გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი, სეფერ-ალიბეი, დედოფალი ნინო დადიანისა, მისი შვილი ლევანი, თავადი გურიელი, მაიორი თავადი ორბელიანი და რამდენიმე აფიცრები და თავადები აფხაზეთისა, სამეგრელოსი და გურიისა. იმათ უკან მისდევდა გაშლილის დროშებით ერთი ნაწილი რუსის ქვეითა ჯარისა და ერთი ნაწილიც აფხაზებისა, მეგრელებისა და გურულებისა.

გამარჯვებულები დამარცხებულთ მიუახლოვდნენ თუ არა, ამ უკანასკნელთ ქუჩუკ-ბეიმ ანიშნა, და, მორჩილების ნიშნად, ძირს დაუშვეს იარაღიცა და დროშებიცა:—ძლეული იარაღი თავს იდრეკდა გამარჯვებულის წინაშე.

ქუჩუკ-ბეიმ ადიუტანტს გამოართვა ლანგარი და ციხის გასაღები და თავადს ორბელიანს მიუახლოვდა.

— ყოვლად-შემძლებელის ღმერთის ნება ყოფილა გაემარჯვნათ რუსის ჯარსა და მისთა მოკავშირეთა,—აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა ფოთის ციხის უფროსმა:—და მეც ძლევამოსილს ვაძლევ ამ გასაღებს, რომელმაც, დამარცხება რა არის, ამის მეტად არ იცოდა: ეს გასაღები იმავ დროს შავის ზღვის გასაღებიც არის!

მერე უცბად მოტრიალდა ციხისაკენ და მწარედ წამოიძახა:

— მშვიდობით, ჩემო სიამაყევ! მშვიდობით, ჩემის დაკარგულის ქალის აკვანო!—ესა სთქვა მოხუცმა და ტირილი დაიწყო.

თავადმა ორბელიანმა გასაღები თავისს ადიუტანტს გადასცა და ქუჩუკ-ბეისა და მისის ციხის გარნიზონს შემდეგის სიტყვებით მიმართა:

— სახელოვანო ფოთის ციხის უფროსო და მისნო მამაცნო თანამეომარნო! თქვენ პირნათლად აასრულეთ თქვენი მოვალეობა თქვენის მბრძანებელისა და მამულის წინაშე. რაც ხანი თქვენის ციხის აღებასა ვცდილობდით, თქვენ ერთს წუთსაც

არ გაგიგდიათ ხელიდან იარაღი, და მეც არ გართმევთ ამ იარაღს: იმავ ღირსებით ატარეთ კვლავაც. მე ახლა ნებას გაძლევთ თქვენს სამშობლოში დაბრუნდეთ.

ქუჩუკ-ბეიმ ანიშნა და მედოლემ შესაფერ კილოზე დოლი დაუკრა. ფოთის გარნიზონი, თითქო სამგლოვიარო მარშის ხმაზე მიდისო, მწუხარედ გაემართა ზღვის ნაპირისაკენ ნავებში ჩასასხდომად.

დაუკრეს დოლი რუსის ჯარში. აფრიალებულ დროშებით რაზმები ყურამდე გაღებულ კარებში შევიდნენ და ციხემაც თავისი ახალი პატრონები შთანთქა.

## XIII

მხოლოდ 24 ნოემბერს დაბრუნდა ტორმასოვი ტფილისში. სპარსეთის სამზღვარზედ მდებარე ციხე-სიმაგრეების დასათვალიერებლად იყო წასული. ფოთის აღების ამბავი ჯერ არ იცოდა.

ის იყო, ტანისამოსი გამოიცვალა და თავისს კაბინეტში შევიდა. ამ დროს მოგილევსკიც შემოვიდა მასთან. ხელში ვერცხლის ლანგარი ეჭირა.

— ეს რა ლანგარია?—ჰკითხა ტორმასოვმა.

— გასაღები გახლავსთ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ,— მოწიწებითის ღიმილით უპასუხა კავკასიის მთავარმართებელს მისმა საქმის-მწარმოებელმა.

— რა გასაღები? რისა?

— შავის ზღვისა და... სტამბოლისა.

ტორმასოვი ისე გაოცდა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა.

— შავის ზღვისა? სტამბოლისა?

— სტამბოლისა... მერე იქნება; ჯერ მარტო შავის ზღვისაა: ფოთის ციხე ავიღეთ. აი მოხსენებაც.

— მადლობა ღმერთს, ძლივს!—წარმოსთქვა ტორმასოვმა და პირჯვარი გამოისახა.

— გამარჯვებაც ასეთი სახელოვანი უნდა, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ! — განაგრძო მოგილევსკიმ. — უფრო ის არის

სასიხარულო, რომ ციხის აღება არც კი დაგვჭირებია... ორბელიანის მოხსენებაში ბევრი საინტერესო ამბავია დაწვრილებით აღწერილი. ამ საქმეში რომანიც ურევია, ოქროს-ქოჩრიანი თავიცა, ქუჩუკ-ბეის მშვენიერ ქალის მოტაცებაცა. ციხეში 35 ზარბაზანი და დიდძალი ტყვია-წამალი დახვდა თურმე ჩვენს ჯარსა... ქუჩუკ-ბეი თავდარიგიანი კაცი იყო.

— თვითონ იმას რა უყვეს?—ჰკითხა ტორმასოვმა.

— დანარჩენი გარნიზონი გააყარეს და გაუშვეს.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ; ახლა ეს სასიხარულო ამბავი ხელმწიფე იმპერატორს უნდა შევატყობინოთ, შიკრიკის გაგზავნაა საჭირო.

— ხელმწიფესთან გასაგზავნი ქაღალდი მე დავამზადე კიდეცა, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.—და მოგილევსკიმ ლანგართან ერთად, რომელზედაც დიდი ოქროს გასაღები ელვარებდა, მაგიდაზე ქაღალდები დააწყო.

— დიდი გასაღებია!—ჩაილაპარაკა ტორმასოვმა და სიამოვნებით ათვალიერებდა გასაღებს.—ძველის ოქროსი უნდა იყოს.

— კოლხეთის ოქროსი გახლავსთ,—ღიმილით უპასუხა მოგილევსკიმ:—იმ ოქროს-მატყლოვან ვერძისაა, რომელსაც ფრიქსი და გელა მოასხდნენ და თავისს ღედინაცვალს გაექცნენ.

— რომელ ვერძისა?—ვერ მიხვდა გენერალი.

— აი, ისტორია რომ ამბობს: „ოქროს მატყლი", „არგონავთების გალაშქრება", იაზონ, მედეა...

— ვიცი... სწორედ ამბობ... ახლა კოლხეთი ჩვენია. იაზონმა რომ მედეა მოიტაცა, ის კოლხეთი...

— თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, ახლაც მოიტაცეს მედეა.

— ვინ მედეა?

— ქუჩუკ-ბეის ქალი, მშვენიერი ესმა-ხანუმი. ახალი იაზონი—არსლან-ბეი გახლავსთ.

ტორმასოვი ყურს არ უგდებდა: ხელმწიფესთან გასაგზავნ ქაღალდის კითხვაში იყო გართული.

— გმადლობთ, — სთქვა ბოლოს გენერალმა, როცა ქაღალდები წაიკითხა: — თქვენ ჩემთვის აზრი მოგიპარავსთ — თითქო ჩუმად ყური გიგდიათ ჩემთვისაო.... მოხსენებაში განსაკუთრებით ეს ადგილია კარგი: „ეს ციხე შესანიშნავია თავისის სიმაგრით და ადგილმდებარეობით, ის აერთებს სამეგრელოსა და ტავრიდას და აგრეთვე ხელს უშლის ოსმალებს, მათგან შევიწროებული ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელი ხალხი — მეგრელები მოიტაცონ და ტყვედა ჰყიდონ ხოლმე. აი ეს ციხე რუსეთის იმპერიისა სუკუნო ქვეშევრდომი ხდება“. ჩინებულია, მეტად მკაფიოდ არის დაწერილი!

— დიდად მოხარული გახლავართ, — თავმდაბლად უპასუხა მოგილევსკიმ.

— დედოფალს ნინო დადიანს ვერა ხედავთ! — სთქვა ტორმასოვმა: — ნამდვილი გმირია.

— თუ ძველს ისტორიკოსებს დავუჯერეთ, კოლხეთი და აწინდელი სამეგრელო ამორძლების სამეფო იყოვო. ისინი იყვნენ დედოფალ ნინოს წინაპრები. დედოფალსავით ცხენზე ჯდომას ვერც ერთი კავალერისტი ვერ მოახერხებს; მე თვითონ ჩემის თვალით დავინახე, — სთქვა მოგილევსკიმ. — სწორედ ამ ნაირადა აქვსთ აწერილი ამორძლები ძველს ისტორიკოსებსა. ლიზიუსი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე 400 წლით ადრე სცხოვრობდა, ამბობს, რომ ამორძლები — პირველები, რა თქმა უნდა, — ომის ღმერთის მარსის ქალები იყვნენო და ფაზისის ნაპირას სცხოვრობდნენო. იგივე ისტორიკოსი ამბობს, რომ მარტო ისინი ატარებდნენ რკინის იარაღს და პირველად იმათ დაიწყეს ცხენზე ჯდომაო. ცხენების შემწეობით ამორძლები ტყვედ წაასხამდნენ ხოლმე გაქცეულ მოწინააღმდეგეთ, რომელთაც ჯერ არ იცოდნენ ცხენოსნობაო. მამაცობით ამორძლები უფრო მამა-კაცებსა ჰგვანდნენო... აი დედოფალი ნინოც ასეთია.

— ჰო, დედოფლის შესახებაც უნდა მოვახსენოთ ხელმწიფეს, — სთქვა ტორმასოვმა. — მაგრამ ახლა რკინა, სანამ გახურებულია, უნდა გავჭედოთ, თუ გაცივდა, ვერაფერს ვუზამთ,

შავის ზღვის გასაღები ჩვენს ხელთ არის; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, მთელი ნაპირები როდია ჩვენი. სოხუმი ჩვენს თვალზე გადაკრული ლირბია. სანამ მანდ არსლან-ბეი ზის—აფხაზეთი ჩვენი არ არის. რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა სოხუმი ავილოთ. მისი აღება კი მარტო ზღვიდან შეიძლება. სანამ შერიფ-ფაშა, იმ დამარცხების შემდეგ, გონს არ მოსულა და ჯარი არ შეუკრებია, უნდა დავეშუროთ. სანამ პეტერბურგში მივიწერებოდეთ, ყირიმში გავგზავნი კაცსა. იქ ძლიერი ფლოტი გვაქვს. რამდენსამე გემს დავიბარებ და ზღვიდან სოხუმს ავანაცარტუტებთ. ხმელეთიდან მისი აღება ძნელია, გარნიზონი ძლიერი ჰყავს. მე ვამბობ არსლან-ბეიზე. მთელს აფხაზეთში არსლან-ბეის სეფერ-ბეიზე მეტი მომხრე ჰყავს. ხმელეთზე გაგვიჭირდება პასუხი გავსცეთ სოხუმის ციხის გარნიზონსა და გაბოროტებულს მცხოვრებლებსაც. აფხაზები თავზე ხელ-აღებული ხალხია: კარგად ვიცნობ. იმათი დამორჩილება ყველაზე მეტად გასაჭირია. ინგუშებს, ლეკებს და სხვა მთის ხალხს როდი ჰგვანან. ყველა ერთიანად თავზე ხელ-აღებულია. სანამ სტამბოლში ფოთის დაკარგვას მოინელებენ და არსლანისათვის ჯარებს შეაგროვებდნენ, ჩვენ დრო არ უნდა დავკარგოთ. ეს ბიჭი კი, უეჭველია, აქამდე გაუგზავნიდა ხვანთქარს კაცს და სთხოვდა შველასა. დავუმტკიცოთ, რომ სოხუმი უფრო ყირიმზეა ახლო, ვიდრე ბოსფორზე.

გაცხარებით, აჩქარებულად ლაპარაკობდა ტორმასოვი. მეტის-მეტად უხაროდა ასე ადვილად აღება ფოთისა; სხვა ადგილების დაპყრობის საღერღელი ეშლებოდა. უკვე გრძნობდა, გმირი ვარო. კავკასიის მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო თუ არა, სულთანის ნაზუქს საკმაო დიდი ნატეხი ჩამოაცალა. ხოლო იმერეთის მეფეს სოლომონს მთელი შამფური მწვადი წაართვა.

— მაშ, გეთაყვა, ახლავე მოამზადეთ საჭირო ქაღალდები,—უთხრა ტორმასოვმა მოგილევსკის, როცა გაუშვა.—მალე უნდა შევუდგეთ რკინის ჭედვასა.

მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს რკინა ძალიან ნელა იჭედებოდა. სანამ პეტერბურგსა და ტფილისს შუა მიწერ-მოწერა

იყო გამართული, სოხუმის ციხეში ახალ-ახალი ზარბაზნები მოიტანეს და ციხე ხმელეთიდან სრულებით მიუვალი გახდა. მაგრამ ზღვიდან?—ამაზე არსლან-ბეის არ უფიქრნია. არც ეცალა ამისთვის. ერთის მხრით ესმა-ხანუმის ალერსს უნდებოდა და მეორეს მხრით—პასუხი უნდა გაეცა ექვიანის დადასათვის, რომელმაც მოსისხლე მტერსავით შეიძულა თავისი ბედნიერი მეტოქე.

ასე მიდიოდა საქმე 1810 წლის 9 მკათათვემდე. ესმა-ხანუმს უკანასკნელ წლებში, რაც მამასთან სცხოვრობდა, ძალიან შეუყვარდა ზღვაზე სეირნობა იალქნიან ნავითა. სოხუმშიაც დადიოდა სასეირნოდ ნავით ხან არსლან-ბეისთან ერთად, ხანაც დადასთან.

9 მკათათვეს მშვენიერი დღე იდგა. ცოტათი ქარი ჰქროდა, ასე რომ ნავით სეირნობას დარი ხელს უწყობდა. დადამ ესმა-ხანუმს უთხრა, კარგი დარია და წავიდეთ სასეირნოდაო. ისიც სიამოვნებით დასთანხმდა.

ორმავე ქალმა ადრიანად ისაუზმეს. მერე გავიდნენ ნაპირად, სადაც ყაიულიება. მოხსნეს ნავი და შეცურდნენ ზღვაში. ჯერ ხოპებით მიჰყავდათ ნავი, რადგან ორმავე კარგად იცოდნენ ხოპების მოსმა. ხოლო ნავთსადგურიდან რომ გავიდნენ, გაშალეს იალქანი, რომელზედაც ოქრომკედით ნაკერი ნახევარი მთვარე ბრჭყვიალებდა. ორთაყვირი და იალქანი ხან დადას ეჭირა ხელში და ხანაც ესმა-ხანუმს.

— იცი, ხანუმ, სად უნდა წავიდეთ სტუმრად?—ჰკითხა დადამ.

— სადა? სადა და ფოთში, ჩემი თოჯინები უნდა წამოვიღო,—სიცილითვე უპასუხა ესმამ.

— არა, ტრაპიზონში, მამა-შენსა და შერიფ-ფაშას უნდა ვეწვიოთ.

— არა, დადა! სჯობს, სტამბოლში წავიდეთ, თვით ხვანთქართან.

— სტამბოლში? კარგი, სტამბოლში წავიდეთ,—როგორღაც დაუფიქრებლად წარმოსთქვა დადამ.

გულში გენია ენთებოდა დადას. დიდი ხანია, გადასწყვიტა ესმა-ხანუმის დალუპვა. აქამდე კიდეც აისრულებდა წადილს, მაგრამ როგორ? რომ ეჭვი აიღონ ჩემზე, თავი როგორ უნდა ვიმართლო, რაღა უნდა ვსთქვაო?... ზღვამ უნდა მიშველოს, იმან უნდა დამალოს ჩემი საიდუმლოერ... ვიტყვი: „დაიხრჩო, ნავიდან გადმოვარდა-მეთქი"... მაგრამ კარგი ცურვა რომ იცის?.. შენ რატომ არ მოეხმარეო, არ მეტყვიან? რატომ წყლიდან არ ამოიყვანეო?.. ქვა ხომ არ იყო, მაშინათვე ჩაძირულიყოვო? არსლან-ბეი უეჭველად მეტყვის ამას... და მაშინ რაღა პასუხი გავცე"?

ნაპირს უფრო და უფრო შორდებოდნენ. ტიფები შავბედითად დასჩხავოდნენ. ესმა-ხანუმს სიხარულისაგან ლოყები აუკვერდა დი დიდრონი ბავშვური თვალები უბრწყინავდა. მეტად მშვენიერი-რამ იყო. დადა ხედავდა მისს სილამაზეს, სხვისი ბედნიერება და სილამიზე ახრჩობდა და სულს უხუთავდა.

„ვიტყვი,—ამბობდა გულში ეს გაბოროტებული ქალი:—ტყვიასავით ჩავიდა წყალში... ვერცკი მოვასწარ მივშველებოდი... ანძა მოხვდა თავში... ქარი იალქნებსა ჰგლეჯდა... მერე ანძა და იალქანი მოგვტაცა... რომ ვიღებდი, ანძა ხანუმას თავში მოხვდა, გადავარდა და რკინასავით წავიდა ფსკერისაკენ... მინდოდა, მეც ჩავვარდნილიყავ ზღვაში და თავი დამეხრჩომეთქი. ასე ვეტყვი არსლან-ბეის: ანძამ მოჰკლა-მეთქი... დამიჯერებს... თუ არ დამიჯერა, მომკლავს, მომკლას-რა! სიკვდილი მირჩევნია, ოღონდ ესმა კი არ იყოს ცოცხალი...

— შეხე, შეხე, დადა!—ერთბაშად წამოიძახა ესმა-ხანუმმა, და ხელი წინ გაიშვირა:—გემები მოდის!

ცისკიდურზე, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს, მართლა მოსჩანდა უშველებელის ტანის გემები, რომელთაც იალქნები გაეშალათ და სოხუმისაკენ მოდიოდნენ.

— ურუსები არიან,—უთხრა დადამ, როცა კარგა დააკვირდა გემებს;—ურუსების გემებია. სანამ არ დაუნახვივართ, თავს უნდა ვუშველოთ... შენ სამართთან მიდი, მალე, მე ანძას დავიჭერ... მალე, მალე!

ესმა-ხანუმი ადგა და საჩქაროზედ სამართისაკენ გასწია. ის იყო, დადას დაუახლოვდა თუ არა, ამან, რაც ძალა ჰქონდა, ხელი ჰკრა და ნავიდან ზღვაში ჩააგდო. ნავი ცოტას გასწყდა, არ გადაბრუნდა და განზე გასცურდა. ესმა-ხანუმმა დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე ფსკერისკენ წავიდა. დადამ, გაფითრებულმა, კბილების ღრჭენით, ხოპი აიღო ხელში და იმას უცდიდა, როდის ამოაგდებს ზევით წყალიო.

ამ დროს ნავიდან ერთის მხარის მანძილზე წყალზე ქუჩუკ-ბეის ახალგაზდა ქალის ოქროს-ქოჩრიანი თავი გამოჩნდა.

— დადა, დადა!—დაიყვირა ქალმა წყლის ყლაპვით.

ბოროტმომქმედმა ხოპი მოუქნია და უნდოდა ესმასათვის თავში დაერტყა. მაგრამ ვერ მისწვდა და ღონივრად მოქნეული ხოპი ხელიდან გაუვარდა.

— დადა, დადა!—ეხვეწებოდა ესმა.

— ჰე!—ნიშნის მოგებით უთხრა ბოროტმოქმედმა:—წადი, გასცურდი ახლა მამასთან ან სტამბოლში... ან, უკეთესი იქნება,—შაითანთან.

საჩქაროზედ მომართა იალქანი და სამართი და შურდულივით სოხუმისაკენ გასწია.

## XIV

იმ დროს, როცა ესმა-ხანუმი და დადა, ლამაზ ნავში ჩასხდარნი, ზღვის პილაგონისაკენ მისცურავდნენ, მათ დაუპირდაპირდათ რუსის ესკადრა, სოხუმის აღებად სებასტოპოლიდან წამოსული. ესკადრის უფროსად იყო კაპიტან-ლეიტენანტი დოდტი.

იმ დღეს, 9 მკათათვეს, ცისკიდურზე უცნობი გემი დაინახეს. სთქვეს, ალბად ან ოსმალების გემი იქნება, ან მეკობრეთა, კონტრაბანდით დატვირთულიო, ან, შეიძლება, ლამაზი მთიული ქალები მიჰყავდესთ ფაშებისა და თვით ხონთქრის ჰარემებისათვისო, და, ამიტომ, უკან გამოუდგნენ. რომ დაუახლოვდნენ, იცნეს, კრეისერი ოსმალებისაო. იმანაც, რაკი დაინახა, მომ-

დევენო, იალქნები ყველა გაშალა და ტრაპიზონისაკენ გასწია. მაგრამ სწრაფლ-მავალ რუსის გემებს ვერ გაუსწრო. უკანიდან რამდენიმე ზარბაზანი დასცალეს. ერთმა ყუმბარამ სწორედ იმ ალაგას გაატანა გემს, სადაც წყლის ხაზი იყო გავლებული. ოსმალების კრეისერი დაჰნებდა რუსებისას. კრეისერის კაპიტანი და შიგ მჯდომი ეკიპაჟი დაატყვევეს და კაპიტანს რაც რამ ქაღალდები ჰქონდა, ყველა წაართვეს. მათს შორის ორმა ქაღალდმა მიიქცია მათი ყურადღება. ერთში იყო პირი ხვანთქრისგან ტრაპიზონის სერაქსირთან, შერიფ-ფაშასთან, გაგზავნილი ფირმანისა, მეორეში — შერიფ-ფაშას წერილი, ანაფის ციხის უფროსთან გაგზავნილი. კრეისერიც თურმე ანაფაში მიდენილა. კაპიტანმა დოდტმა მაშინათვე დაუძახა მიჩმანს თავადს იაშვილს, რომელმაც ოსმალური კარგად იცოდა, ეს ქაღალდები რუსულად გადათარგმნეო.

— აბა, თავადო, გადათარგმნეთ?—ჰკითხა დოდტმა იაშვილს, როცა ის კაიუტიდან გამოვიდა, სადაც ქაღალდებსა სთარგმნიდა.

— გადავთარგმნე,—უპასუხა იაშვილმა:—ბატონო კაპიტანო, საჭირო და თანაც სასაცილო საბუთებია.

— აბა მოიტა,—ხელი გაიწოდა ქაღალდების გამოსართმევად კაპიტანმა.

— არა, კაპიტანო,—უთხრა იაშვილმა:—თქვენ ვერ გაარჩევთ, ძალიანა ვჩქარობდი და ქათმის ფეხსავით დავბლაჯნე. მე თვითონ წაგიკითხავთ.

— კარგი,—დაეთანხმა დოდტი.

— აი ხვანთქრის ფირმანი, ტრაპიზონის სერაქსირთან გაგზავნილი,—უთხრა იაშვილმა.—შიგა სწერია: „ამ ჩვენის ბრძანების მიღებისათანავე შენ უნდა უწყოდე, რომ ჩვენ ძალიან განრისხებული ვართ. ალაჰისა და ჩვენის წმიდა წინასწარმეტყველის შეწევნითა და მოწყალებითა განგვიზრახავს ზღვითა და ხმელეთით ჯარები გავგზავნოთ ჩვენის რჯულის მტერთა— მოსკოველ გიაურებთა წინააღმდეგ, რომ ძარღვები ამოვაცალოთ„...

— ძარღვები ამოვაცალოთო?—გაიკვირვა დოდტმა,—ეს რაღასა ნიშნავს?

— დიაღ, კაპიტანო, სიტყვა-სიტყვით მოგახსენეთ, რაცა სწერია,—უპასუხა იაშვილმა:—„ძარღვები ამოვაცალოთო"...

— ვნახოთ!—გაიღიმა დოდტმა:—კიდევ რა უნდა ამოგვაცალონ?

— მარტო ძარღვები, კაპიტანო,—გაიღიმა იაშვილმა:— „და უკანვე დავიბრუნოთ მათგან წართმეული ადგილები. ახლა თუმცა, ბევრის ბრძოლის შემდეგ, ქუჩუკ-ბეი იძულებული იყო დამორჩილებოდა მოსკოველ ჯარებსა, მაგრამ იმ ადგილებში არც ისე ძლიერები არიან; იმათ იმედი აქვსთ ქართველებისა და მეგრელებისა, რომელნიც ადრე ჩვენის სასახლის მორჩილი და ქვეშევრდომნი იყვნენ. ხოლო რუსებმა ათასნაირის თვალთმაქცობით დაიპყრეს და საქართველოს, იმერეთსა და სამეგრელოს თავისს საკუთრებადა სთვლიან. ამიტომ, აფხაზეთსა და გურიაში რაც ადგილები გვქონდა, უნდა უკანვე დავიბრუნოთ, რისთვისაც შენ გამძაფრებულის გულით უნდა წახვიდე"...

— ვერ უყურებ! —გაიღიმა დოდტმა: — გამძაფრებულის გულითაო? მერე კიდევ რა სწერია?

— შემდეგა სწერს:—„უნდა გააძევო აქედან. ამნაირად ქართველები, იმერლები, მეგრელები, გურულები და აფხაზები ძველებურად ისევ ჩვენი მორჩილნი გახდებიან, ხოლო რუსებისა—მტრები; თუ ეს არა ქნეს, დაისჯებიან. შენ კი, სერასკსირო და ქაფუჩ-ბაშო, ეს ჩვენი ფირმანი რა წამს მიიღო, მისწერე აფხაზეთის დიდებულთა და კაცები გაუგზავნე, რომ რუსებს გადაუდგნენ და წინანდებურად ისევ ჩვენ გვემონონ".

— რა მკაცრადა სწერს, თქვენი ჭირიმეთ!—სთქვა დოტმა და მხრები შეიშმუშნა:—კიდევა სწერს რასმე?

— ფირმანში მეტი არაფერი სწერია, კაპიტანო. ახლა შერიფ-ფაშის წერილი მოისმინეთ, ანაფის ციხის უფროსთან მიწერილი:—„ჩვენის სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ უნდა ვიომოთ ზღვითა, თუ ხმელეთით, ამიტომ ოსმალეთის სახელმწი-

ფოს დიდებულებმა ყველა მხრიდან რაც შეიძლება თავი უნდა გამოიდიან ამ ბრძოლაში; რაც ჯარი მოიძებნება, სულ უნდა წაასხან გიაურების წინააღმდეგ, უნდა გასწყვიტონ და გაანადგურონ, რაც მუსულმანებს ციხე-სიმაგრენი და მიწები წაართვეს, უკანვე უნდა დავიბრუნოთ. საქართველოს, იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა და აფხაზეთის მცხოვრებნი უხსოერის დროიდან ხვანთქრის ქვეშევრდომად ითვლებოდნენ, ახლა კი გიაურები მათს ემირებს დასცინიან, დაიპყრეს მათი ქვეყნები, მათი მთავრები დაამცირეს, ამიტომ დღე დადგა სიხარულისა და ხვანთქრის ბრძანებით ყველა მხრიდან ჯარი უნდა წამოვიდეს გიაურების გასაწყვეტად:—ტფილისზე წავა ერზერუმის ვალი და აღმოსავლეთის სერაქსირი, უბედნიერესი ემინ-ფაშა; ახალციხეზე მიდის ჩლიდირის უფროსი, უბედნიერესი მამედ-ფაშა და თან დიდი ჯარიც ახლავს, ხოლო ჩვენ, შავის ზღვის სანაპიროს სერაქსირი, მმართველი შავის ზღვის ნაპირების სენჯაყებისა, ზღვიდან მივაწვებით. თან გვეყოლება დიდი ჯარი. ზარბაზნები და თოფაიარაღი გვექნება მრავალი. გავალთ ტრაპიზონიდან და მოკლე ხანში, ნებითა ალაჰისა და მისის წინასწარმეტყველისათა, ჩავალთ აფხაზეთში და იქიდან დავიძვრით, რომ, რაც ფოთსა და აფხაზეთში გიაურებია, სულ გავწყვიტოთ და შავი ზღვის პირი სულ გავწმინდოთ“.

— ვერაფერს ვერ იზამენ, ბაქიაობა-ღა შეუძლიანთ ოსმალებს,—სთქვა დოდტმა.

— ზღვაში კაცი იხრჩობა,—გადმოსძახა ვიღამაც ვახტიდან.

— რა მხარეს?—დაიყვირა დოდტმა.

— სამხრეთ დასავლეთით, თქვენო აღმატებულებავ! ემანდე!

— ვხედავ, ვხედავ!—დაიძახა კაპიტნის თანაშემწემ, როცა დურბინდს გაჰხედა.

— ნავი!—ბრძანა კაპიტანმა:—ჩქარა!

— არის,—გაისმა რამდენიმე ხმა ერთად.

— მარდად, მარდად!

— ამ შუა ზღვაში რა უნდოდა?—ჰკვირვებდნენ აფიცრები.

ნავი შურდულივით მიჰქროდა. შიგ იჯდა თავადი იაშვილიცა, რომელსაც საშართი ეჭირა ხელში.

— მაგრად მოუსვით ხოპებს, ბიჭებო! — ეუბნებოდა იაშვილი მატროსებს. — ვხედავ... ქალია, თითქმის ბავშვია. ხელს იშვერს მაღლა... არიქა, ჩქარა!

მატროსები, რაც კი შეეძლოთ, ხოპებს მაგრად უსვამდნენ ზღვასა.

— ერთი კიდევ მოუსვით, თორემ ეს არის, ჩაიძირა...

ნავმაც მიატანა. იაშვილმა საშართი ოსტატურად მოატრიალა, მატროსებმაც ხოპებით თვალის დახამხამებაში გააჩერეს ნავი წყალში ჩავარდნილის ქალის მახლობლად, რომელიც, ის-ის იყო, უნდა ჩაძირულიყო სრულიად, ამ დროს იაშვილი გადასწვდა ნავიდან, სწვდა იღლიაში, მარჯვედ ზევით ამოიყვანა და ესმა სიკვდილს გადაარჩინა. მაგრამ ამასობაში ღონემ უმტყუნა ქალს და უგრძნობლიდ თავისის მხსნელის ხელებზე დაესვენა.

— საწყალი გოგონა! — საცოდავად წარმოსთქვა იაშვილმა. — ნაბადში გაახვიეთ, მთლად გაშეშებულა.

მაშინათვე თბილად ნაბადში გაახვიეს. ქალს მარტო გაფითრებული სახე უჩანდა, თვალები დახუჭული ჰქონდა.

— ხოპი დაიჭირეთ, ბიჭებო, — დაიძახა ერთმა მატროსმა, — ხედავ ხოპი სჭერია ხელში, თორემ აქამდის დაიხრჩობოდა.

იაშვილი თავს დასტრიალებდა დამხვრჩვალსა. ფრთხილად თავი აუწია უფრო, ფრთხილადვე პირი დაუღო და მხარზე გადაკიდულ ბოთლიდან რომის რამდენიმე წვეთი ჩაასხა. ესმამ შეიფრთხიალა და თავისი მშვენიერი დიდრონი, შეშინებული თვალები გაახილა.

— ნუ გეშინიათ, ხანუმა, — ოსმალურად უთხრა იაშვილმა.

ტანისამოსზე, ძვირფას ნივთებზე და ნაზ, კეთილშობილურ სახის სილამაზეზე მიხვდა, ეს უბრალო ვისიმე ოსმალოს ქალი არ უნდა იყვეს, არამედ ვისიმე დიდის კაცის შვილიაო და ხანუმაც იმიტომ დაუძახა.

ესმამ ხელახლა დახუჭა თვალები. მაშინ იაშვილმა კიდევ ჩაასხა პირში რამდენიმე წვეთი რომისა. მაგარმა სასმელმა გასჭრა: ნაზი, უჩვევი სხეული გამოაფხიზლა. გაფითრებული ლოყები აუკვერდა, გრძელი, აბრეშუმის მსგავსი წამწამები შეუკრთა და ქალმა ხელახლად გაახილა თვალები, მაგრამ ახლა კი უფრო შეგნებულად იხედებოდა. მატროსები ყველანი მისის საცოდაობით იწვოდნენ.

— ცოტათი მოსულიერდა, — ჩურჩულით წარმოსთქვა ერთმა.

იაშვილი ხელახლა დაელაპარაკა.

— რამდენიმე წვეთი კიდევ დალიეთ, ხანუმ. წამალია, გაგათბობსთ და არ გაცივდებით.

ესმა დამორჩილდა, თუმცა ახლაც დაახველა. მერე ცოტა წამოიწია და კარგად გაეხვია ნაბადში.

— ვინა ბრძანდებით, ხანუმ? მითხარით, — სთხოვა იაშვილმა, როცა დაინახა, რომ ქალი გონს მოვიდა.

— ქუჩუკ-ბეის ქალი ვარ, — ნელა უთხრა ქალმა და ტირილი დაიწყო.

იაშვილი სახტად დარჩა. ასეთის დიდის კაცის ქალი იმ შუა ზღვაში რამ ჩააგდო, ფოთსა და თვით სოხუმს მოშორებითო?

— აქ, ამ ზღვაში, რა გინდოდათ? — ჰკითხა იაშვილმა.

— მე და დადა ვსეირნობდით, — უპასუხა ქალმა; მაგრამ ამის მეტი ვერაფერი უთხრა.

— დადასთან? დადა ვინღაა?

— არსლან-ბეის ძუძუდაა... ვსეირნობდით...

— არსლან-ბეი? — წამოიძახა გაოცებულმა იაშვილმა. — ის ხომ სოხუმშია!... მამა თქვენი სადღაა?

— არ ვიცი... ფოთში უნდა იყოს...

კაცს ეგონებოდა, თითქო უცნაურს პასუხს იძლევაო, უსაფუძვლოა მისი ნათქვამიო. ამბობდა, არ ვიცი, მამა-ჩემი სად არისო, იმ დროს როცა ყველამ იცოდა, რომ შარშანდლიდან ფოთი რუსეთს ეკუთვნოდა, ხოლო არსლან-ბეი სოხუმის ცი-

ხეში იყო გამაგრებული. ნუ თუ ქუჩუკ-ბეიც სოხუმშიაო? ჰფიქრობდა იაშვილი. მაგრამ მეტი ვერაფერი გამოკითხა, შერცხვა, ტყვე ხომ არ არის, რომ ყველაფერი გამოვკითხოვო. უმანკო ქალი სიკვდილს გადავარჩინეთ, სიკეთე ვუყავით, მაგრამ კითხვით კი ვერაფერსა ვკითხავთ, ამის ნება არა გვაქვსო.

— ვისთან წაგიყვანოთ, ხანუმა?—ჰკითხა იაშვილმა:—მამასთან?

— არა, სოხუმში,—დასუსტებულის ხმით უპასუხა ქალმა; ამ პასუხმა უფრო გააოცა იაშვილი.

„მამასთან არა, სოხუმში“,—ამბობდა გულში იაშვილი:—„ეტყობა, ქუჩუკ-ბეი სოხუმში არა ყოფილა“.

— კარგი, ხანუმ, დღესვე მიგიყვანთ სოხუმში, მხოლოდ ჯერ ტანისამოსი უნდა გაგიშროთ და ცოტათი მოგასულიეროთ, გემზე ჩვენ მკურნალიცა გვყავს. აბა, ბიჭებო, ხოპებს ხელი! უკან!—უბრძანა მატროსებს იაშვილმა.

## XV

— რა მშვენიერი ქალი ვიპოვეთ, ბატონებო!—იძახდა იაშვილი, როცა ნავი ესკარდის მოწინავე გემს მიუახლოვდა, რომლის ერდოზე აფიცრები გადმომდგარიყვნენ და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ ამ ამბავს.

— ვინ გადაარჩინეთ?—ჰკითხა დოდტმა.

— ტყის მეფე, კაპიტანო, ტყის მეფეთა მეფე, ოქროს ქოჩრიანი...

— გვითხარით, ვინ არის?—ეკითხებოდნენ გემიდან.

— ასე ამბობს, ქუჩუკ-ბეის ქალი ვარო... ზღვაზე ვსეირნობდიო... ის კი არ ვიცი, როგორ ჩავარდა. ხელში ხოპი ეჭირა, ვერ გავიგე, ვინ მისცა. კალმით დახატულია...

ნავი, ბოლოს, გემიდან ჩამოშვებულს კიბეს მიადგა. გაოცებული და შეშინებული უყურებდა თავისის დიდრონის თვალებით გემზე მის საყურებლად გადმომდგარ ცნობის-მოყვარეთ. რომის რამდენმამე ყლუპმა ისე მოალონიერა, რომ ფეხზე დგო-

მა შეეძლო. მაგრამ გრძელი ნაბადი ფეხებში ებანდებოდა და დაკიდულ კიბეზე სრულებით ვერ ავიდა.

— აკვანი ჩაუშვით!—უბრძანა კაპიტანმა.

„აკვანი“ მერხის მსგავსი რამე იყო, რომელსაც ჭოჭონაქით გემის კიდიდან უშვებდნენ ხოლმე, როგორც კალატოზები და სახლების გამგოზავები დაჰკიდებენ კედლებზე, როცა მაღალის სახლების შეღებვა უნდათ. აკვანი შიგ ნავში ჩაუშვეს. იაშვილმა ფრხილად დასვა თავისი „ტყის მეფე“, ნაბადში გახვეული, თვითონაც გვერდთ მოუჯდა და ხელი მოჰხვია, არ გადავარდესო.

— შეიძლება, თავბრუ დაგეხვესთ, ხანუმ და ამიტომ ნება მომეცით დაგიჭიროთ,—უთხრა ახალგაზდა მიჩმანმა ისე ზრდილობიანათ, თითქო ქალს მაზურკის სათამაშოდ იწვევსო.

— მზათ არის, ასწი!

„აკვანი“ ზევით ააქანეს. გემის ერდოზე ქუჩუქ-ბეის ქალს მეტის-მეტ თავაზიანად მიეგებნენ. მათის თავაზიანობის მიზეზი, სხვათა შორის, ქალის სილამაზეც იყო: ყველას საშინლად მოეწონათ. კაპიტან-ლეიტენანტმა დოდტმა და აფიცრებმა უმდაბლესი სალამი მისცეს, როცა ესმამ ფეხი დასდგა ერდოზე. მოხუცმა ექიმმა, უკბილომა და მელოტმა, მოწიწებით გაუსინჯა მაჯა და სთქვა, გოგონა ცოტათი გაუცივებია და სოველი ტანისამოსი ახლავე უნდა გამოვუცვალოთო.

— კარგი, მაგრამ ქალის ტანისამოსი სადღა ვიშოვოთ?— ჰკითხა კაპიტანმა.

— ამის ფიქრი ნუ გაქვსთ!—უპასუხა ექიმმა:—ბავშვს თქვენი პერანგი და ხალათი ჩავაცვათ, სანამ მისი ტანისამოსი გაშრებოდეს.

კაპიტანი თავისს კაიუტაში შეიჭრა, რომ მომაჯადოებელ სტუმრისათვის თვითონვე თავისის ხელით დაემზადებინა ლოგინიცა და საცვალიც.

— გამდელი რომ არა გვყავს? ვინ გახდის და ვინ ჩააცვამს გოგონას?—დაბალის ხმით იოხუნჯა ერთმა აფიცერმა.

ხეში იყო გამაგრებული. ნუ თუ ქუჩუკ-ბეიც სოხუმშიაო? ჰფიქრობდა იაშვილი. მაგრამ მეტი ვერაფერი გამოკითხა, შერცხვა, ტყვე ხომ არ არის, რომ ყველაფერი გამოვკითხოვო. უმანკო ქალი სიკვდილს გადავარჩინეთ, სიკეთე ვუყავით, მაგრამ კითხვით კი ვერაფერსა ვკითხავთ, ამის ნება არა გვაქვსო.

— ვისთან წაგიყვანოთ, ხანუმა?—ჰკითხა იაშვილმა:—მამასთან?

— არა, სოხუმში,—დასუსტებულის ხმით უპასუხა ქალმა; ამ პასუხმა უფრო გააოცა იაშვილი.

„მამასთან არა, სოხუმში",—ამბობდა გულში იაშვილი:—„ეტყობა, ქუჩუკ-ბეი სოხუმში არა ყოფილა".

— კარგი, ხანუმ, დღესვე მიგიყვანთ სოხუმში, მხოლოდ ჯერ ტანისამოსი უნდა გაგიშროთ და ცოტათი მოგასულიეროთ, გემზე ჩვენ მკურნალიცა გვყავს. აბა, ბიჭებო, ხოპებს ხელი! უკან!—უბრძანა მატროსებს იაშვილმა.

## XV

— რა მშვენიერი ქალი ვიპოვეთ, ბატონებო!—იძახდა იაშვილი, როცა ნავი ესკარდის მოწინავე გემს მიუახლოვდა, რომლის ერდოზე აფიცრები გადმომდგარიყვნენ და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ ამ ამბავს.

— ვინ გადაარჩინეთ?—ჰკითხა დოდტმა.

— ტყის მეფე, კაპიტანო, ტყის მეფეთა მეფე, ოქროს ქოჩრიანი...

— გვითხარით, ვინ არის?—ეკითხებოდნენ გემიდან.

— ასე ამბობს, ქუჩუკ-ბეის ქალი ვარო... ზღვაზე ვსეირნობდიო... ის კი არ ვიცი, როგორ ჩავარდა. ხელში ხოპი ეჭირა, ვერ გავიგე, ვინ მისცა. კალმით დახატულია...

ნავი, ბოლოს, გემიდან ჩამოშვებულს კიბეს მიადგა. გაოცებული და შეშინებული უყურებდა თავისის დიდრონის თვალებით გემზე მის საყურებლად გადმომდგარ ცნობის-მოყვარეთ. რომის რამდენმამე ყლუპმა ისე მოაღონიერა, რომ ფეხზე დგო-

მა შეეძლო. მაგრამ გრძელი ნაბადი ფეხებში ებანდებოდა და დაკიდულ კიბეზე სრულებით ვერ ავიდა.

— აკვანი ჩაუშვით!—უბრძანა კაპიტანმა.

„აკვანი“ მერხის მსგავსი რამე იყო, რომელსაც ჭოჭონაქით გემის კიდიდან უშვებდნენ ხოლმე, როგორც კალატოზები და სახლების გამგოზავები დაჰკიდებენ კედლებზე, როცა მაღალის სახლების შეღებვა უნდათ. აკვანი შიგ ნავში ჩაუშვეს. იაშვილმა ფრხილად დასვა თავისი „ტყის მეფე“, ნაბადში გახვეული, თვითონაც გვერდთ მოუჯდა და ხელი მოჰხვია, არ გადავარდესო.

— შეიძლება, თავბრუ დაგეხვესთ, ხანუმ და ამიტომ ნება მომეცით დაგიჭიროთ,—უთხრა ახალგაზდა მიჩმანმა ისე ზრდილობიანათ, თითქო ქალს მაზურკის სათამაშოდ იწვევსო.

— მზათ არის, ასწი!

„აკვანი“ ზევით აიტანეს. გემის ერდოზე ქუჩუქ-ბეის ქალს მეტის-მეტ თავაზიანად მიეგებნენ. მათის თავაზიანობის მიზეზი, სხვათა შორის, ქალის სილამაზეც იყო: ყველას საშინლად მოეწონათ. კაპიტან-ლეიტენანტმა დოდტმა და აფიცრებმა უმდაბლესი სალამი მისცეს, როცა ესმამ ფეხი დასდგა ერდოზე. მოხუცმა ექიმმა, უკბილომა და მელოტმა, მოწიწებით გაუსინჯა მაჯა და სთქვა, გოგონა ცოტათი გაუციეებია და სოველი ტანისამოსი ახლავე უნდა გამოვუცვალოთო.

— კარგი, მაგრამ ქალის ტანისამოსი სადღა ვიშოვოთ?— ჰკითხა კაპიტანმა.

— ამის ფიქრი ნუ გაქვსთ!—უპასუხა ექიმმა:—ბავშვს თქვენი პერანგი და ხალათი ჩავაცვათ, სანამ მისი ტანისამოსი გაშრებოდეს.

კაპიტანი თავისს კაიუტაში შეიჭრა, რომ მომაჯადოებელ სტუმრისათვის თვითონვე თავისის ხელით დაემზადებინა ლოგინიცა და საცვალიც.

— გამდელი რომ არა გვყავს? ვინ გახდის და ვინ ჩააცვამს გოგონას?—დაბალის ხმით იოხუნჯა ერთმა აფიცერმა.

— როგორც გატყობ, უარს არ იტყოდი მის გამდლობაზე,— დაცინვით და დაბალის ხმითვე შენიშნა თავადმა იაშვილმა.

— არ ვიტყოდი, მაშ!

ამ დროს კაიუტიდან კაპიტანი გამოიჭრა.

— ყველაფერი მზათაა,—აჩქარებულად წარმოსთქვა.—გეთაყვათ,—მიუბრუნდა კაპიტანი თავადს იაშვილს:—აუხსენით, რაც უნდა ჰქნას ჩვენმა სტუმარმა. ახლავე გაიხადოს სოველი ტანისამოსი... არ შეეშინდეს, ჩემს კაიუტაში არავინ შევა. ფანჯრები ჩამოვფარდე... მერე სოველი ყველაფერი კაიუტიდან გამოყაროს გასაშრობად.

ქალი დასაკეც სკამზედ იჯდა. ლოყები ენთებოდა აღელვებისა და სირცხვილისაგან, არც რომი დაელივნა თავის დღეში.

— ბავშვს რომი დაალევინეთ, თავადო?—ჰკითხა ექიმმა, როცა იაშვილის ბოთლს შეხედა.

— დავალევინე, ექიმო.

— Optime! Aqua vitae (ჩინებულია! სიცოცხლის წყალი) ყველაზედ უკეთესი თანაშემწეა ესკულაპისათვის წყალსა თუ ხმელეთზე. როცა გოგონა ტანისამოსს გამოიცვლის, წამალსაც დავალევინებ.

იაშვილმა დარიგება მისცა ქალს, ასე და ასე მოიქეცითო.

— ყველანი გეხვეწებით და გემონებით, ხანუმა, რაც პატივცემულმა ექიმმა ბრძანა, ყველაფერი აასრულოთ,—ეუბნებოდა თავადი.—თუ თქვენ ახლა ავად გახდით, სინიდისი დაგვტანჯავს. მაშინ თქვენს პატივცემულს მამას და თქვენს თანამემამულეთ საბუთი ექმნებათ, გაგვკიცხონ:—იტყვიან, რუსის აფიცრებმა არც კი იზრუნეს უპატრონო ქალისათვის, რომელსაც ისეთი უბედურება ეწვიაო. მთელი ჩვენი სიცოცხლე სინიდისი არ მოგვასვენებს. თქვენი ტანისამოსი გაშრება და ჩაიცვამთ თუ არა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დღესვე წაგიყვანთ—გნებავთ სოხუმში, ან საცა მიბრძანებთ. წაბრძანდით კაიუტაში, ნუ იგვიანებთ, ეს ბოთლიც წაიღეთ: ამ წამლის კიდევ მიირთვით რამდენიმე წვეთი და იმითვე მთელი ტანი დაიზილეთ მაგრად, განსაკუთრებით ფეხები.

ესმა-ხანუმი ხედავდა, ყველანი ალერსიანად ეპყრობოდნენ, ყველას ეცოდებოდა. ამან ხელახლა აატირა და მორჩილებით კაიუტაში შევიდა.

— რა მშვენიერი არსებაა!—თავ-დაჭერით სთქვა დოდტმა.

— თქვენ თვალები მრძანეთ! ანგელოზს მიუგავს!

— მაგრამ, ერთი ეს მიბრძანეთ, ზღვაში რამ ჩააგდო?—ჰკითხა ექიმმა.

— არაფერი მესმის,—უპასუხა იაშვილმა.—ეს-და ვიცი, რომ არსლან-ბეის რომელიღაც ძუძუდასთან ერთად ნავით სეირნობდა თურმე, ხოლო ზღვაში რამ ჩააგდო—ვერ გავიგე! შეიძლება, უცაბედად ჩავარდა ზღვაში, მაგრამ მე ეს მიკვირს, მეორემ რატომ არ ამოიყვანა წყლიდან?

— იქნება, ჩვენ დაგვინახეს, შეეშინდათ და თავის სამველოდ გაიქცნენ. შეიძლება, ამ დროს ნავიდან გადავარდა?—სთქვა დოდტმა.

— ვინ იცის, იქნებ ასეც იყო,—დაეთანხმნენ აფიცრები.

ამ ამბავში რომ იყვნენ, დოდტმა იალქნები სულ ჩამოაშვებინა მთელის ესკადრიდან და სოხუმის პირდაპირ გაჩერდნენ. ნაცრის ფერი კედლები ციხისა, მისი კოშკები და სათოფურები, სახლების პრტყელი სახურავები, მაღალი მინარეთები და მუქის ფერის, ნემსის მსგავსი კვიპაროზები მკაფიოდ მოსჩანდა ქალაქიდან. ქალაქს იქით კავკასიის ქედის უზარ-მაზარ მთების კალთები ჩამოკიდულიყო. ნავთსადგურიდან ოსმალების გემების ანძები მოსჩანდა, მაგრამ დიდი საომარი ხომალდები არ იდგა.

ესკადრა რომ გაჩერდა, სხვა გემების აფიცრები ლეიტენანტის ფრეგატზე გადმოვიდნენ ამბის შესატყობად. ყველაფერი აუხსნეს.

— მაშ ლამაზია ეს გურია მაჰმადისა?—იკითხა ახალგაზრდა გარდმარინმა.—ასეთი მომჯადოვებელი სამხედრო ნადავლი სიკეთის ნიშანია. ნეტავ, ცალის თვალით მაინც შემახედვინა... ნეტავი იაშვილს, ხელში სჭერია...

— შეხეთ, ბატონებო, კაიუტიდან რაღაც გამოაგდო.

— რა ხელი აქვს! დანახვა მოვასწარი.

ესმა-ხანუმმა გამოაგდო თავისი სოველი ტანსაცმელი. იაშვილმა და ექიმმა აიღეს და გასაშრობად მისცეს. ყველა მივარდა ლამაზ ქალის ტანსაცმელს და სინჯვა დაუწყეს.

— პერანგია! ერთი მაკოცნინეთ მაინც,—იძახდა ახალგაზდა გარდმარინი.

— დაიკარგე აქედან, შე ღლაპო!—შეუტია იაშვილმა.

— უმანკო ქალის საცვალი წმიდა ნივთია,—სთქვა მოხუცმა ექიმმა, რომელსაც ხელში ეჭირა გოგონას ტანსაცმელი.

დოდტმა ამასობაში მოსამსახურეს უბრძანა, სასტუმრო კაიუტაში სუფრა გაშალეთ და შამპანის ღვინოც მოიტანეთო. ყველა მხიარულად იყო, ასე იტყოდა კაცი, თითქო გაუმარჯვნიათო. გასაკვირველიც არ იყო:—სამხედრო ფრეგატაზედ, რომელსაც ზარბაზნები უნდა დაეშინათ ოსმალების ციხისათვის, ქალი იჯდა და მერე როგორი?—მომჯადოებელი არსება!

იაშვილი და ექიმი სამზარეულოში ფუსფუსებდნენ და ქალის ტანსაცმელს აშრობდნენ. ტანისამოსი ძალიან მალე გაშრა: რბილსა და ბეწვიანს ნაბადს წყალი თითქმის სულ შეესვა. მალე სუყველაფერი მზად იყო.

ესმა-ხანუმი ამასობაში კაიუტაში იჯდა. ტანთ გოლანდიურ წმინდა არმენაკის პერანგი ეცვა და ზევიდან კიდევ აბრეშუმის ხალათი კაპიტანისა. რამდენიმე ყლუპი რომი კიდევ ჩაყლაპა, წამალი ეგონა, და სულ ღაჟღაჟებდა. ფრთხილად ფარდას ასწია და ქურდულად დაუწყო თვალიერება ერდოზე თავმოყრილ აფიცრებს, რომლებიც ერთ ამბავში იყვნენ, ეს რა საკვირველება ვიპოვეთ შავს ზღვაშიო! ბუნდად-ღა იგონებდა ესმა იმ უბედურებას, რომელიც ზღვაში გადახდა. თავის თავი სიზმარში ეგონა, არა სჯეროდა, რაც დაემართა. ნუ თუ დადას ჩემი დახრჩობა, ჩემი სიკვდილი უნდოდაო? ჰო, უნდოდა, ნავიდან ზღვაში გადამაგდო და ვერ მომწვდა, თორემ ხოპსაც დამარტყამდა. დიდი ხანია, ეჭვიანობს არსლან-ბეისა, თუმცა უკანასკნელ ხანებში, ძალიან ცდილობდა თავისი სიძულვილი

და გრძნობა დაემალა; წინანდებურად მეალერსებოდა, თავს მევლებოდა. და აი, ბოლოს კი რა ჰქნა!... რა პირით უნდა შემხვდეს? რას იტყვის, რითი გაიმართლებს თავს მოღალატე მეგობარი? არსლან-ბეი რას ეტყვის? დამალვა კი მაინც არ შეიძლება ამ ამბისა...

„რა კეთილის გულისანი არიან, — თავის გულში ამბობდა ესმა, როცა ოფიცრებს უყურებდა. — ამათი არ მეშინიან, მაგრამ მრცხვენიან კი, ცუდად მაცვია!

სირცხვილის ალმული მოედვა მისს სათუთ ლოყებსა. მთელს ტანში სასიამოვნო სითბო იგრძნო, თუმცა ცოტათი თავბრუ ეხვევოდა. თითქო არც კი ახსოვდა ის საშინელი წამი, ზღვაში რომ გამოიარა. კარგი ცურვა რომ არა მცოდნოდა და ხელშიაც ხოპი რომ არა მჭეროდა, ახლა ზღვის ფსკერზე ვიქნებოდიო. ახლა კი არსლან-ბეის მალე დავინახავ, რა ბედნიერი ვარ!... რომმა ახალგაზდა თავი ცოტათი დაურეტიანა. ჰამაც მოუნდა.

მაგრამ მოხუცებულმა საჰურისმა, — ექიმი ესმამ იმ მოხუც საჰურისს დაამსგავსა, რომელიც ბათომის ფაშამ რიღასთვისაც ფოთში გამოგზავნა ერთხელ, — უშველებელს ლანგარზე რაღაც შემოუტანა. ეს იმისი ტანისამოსი იყო. მისი ოქროთნაკერი ჩადრი, წითელი წუღა-მესტები, მწვანე ძიქვა — ყველაფერი ლამაზად ელაგა. ქალს ხელახლად შერცხვა.

მოხუცი საჰურისიცა და ლამაზი „ქართველიცა“, რომელმაც წყლიდან ამოიყვანა, ორივე მოდიან ჩემს კაიუტაშიო. ვიღამაც კარი დააკაკუნა.

— ნუ გეშინიან, ხანუმ, — მოისმა ნაზი ხმა „ქართველისა“: — ექიმს თქვენი ტანისამოსი მოაქვს. კარი გაუღეთ.

კარი გაუღო და ექიმი ოთახში შევიდა.

— აი, ჩემო შვილო, შენი ტანისამოსი გამშრალია, — უთხრა ექიმმა რუსულად. თან ცდილობდა ისე ელაპარაკნა, თითქო ბავშვს ემუსაიფებაო. — ჩაიცვით, ჩემო პაწაწავ. თავი ხომ არა გტკივათ? — ექიმმა რკინასავით გახურებულ თავს ქალისას ხელი მოჰკიდა. — არაფერია, სითბო ზომიერი გაქვს... ცივებამ

გაგიარა. იახში, იახში! — უთხრა კბილებ-ჩაცვივნულმა ექიმმა ჩიფჩიფით: — optime, სულ იახშია.

ესმამ თავი ვერ შეიკავა ღიმილისაგან, მოხუც „საჭურისის“ კეთილ სახეს რომ უყურებდა: „პირწავარდნილი ზათომელი საჭურისიაო“! ხრც კი შერცხვა მისი. — „სწორედ ჩვენს მოხუც გადიასა ჰგავსო“.

ექიმმა ალერსიანად თავი დაუკრა და გავიდა.

XVI

მდიდრულად გაშალეს სუფრა სასტუმრო კაიუტაში. ბროლი და ვერცხლი ადამიანს თვალსა სჭრიდა. დიდს ლაკანში ყინული იდო და შიგ ეწყო თავმოკრული ბოთლები გასაცივებლად. დოდტმა თვითონ დაათვალიერა ყოველივე და მერე ისევ გამოვიდა ერდოზე.

— ჩვენმა ძვირფასმა სტუმარმა რა ჰქნა? — ჰკითხა კაპიტანმა თავადს იაშვილს.

— მე მგონი, ტანისამოსი გამოიცვალა კიდეცა.

— მაშ წავიდეთ და სასტუმრო კაიუტაში მოვიწვიოთ.

კაპიტანის კაიუტის კარები დააკაკუნეს.

— მე ვარ, ხანუმა. — უთხრა იაშვილმა: — შეიძლება შემოვიდეთ?

კარი გაიღო და ორივე კაიუტაში შევიდნენ. ესმას სახეზე გამჭვირვალე ჩადრი ჩამოეფარებინა და ისე იდგა.

— ნება გვიბოძეთ, გამოგეცნაუროთ, ხანუმ: — თავადი იაშვილი გახლავართ, — უთხრა ახალგაზდა მიჩმანმა და მორიდებულად თავი დაუკრა. — ესეც კაპიტან-ლეიტენანტი დოდტი გახლავსთ, რუსების ესკადრის უფროსი, — განაგრძო თავადმა და ახალგაზდა ქალს მოწიწებით წარუდგინა თავისი უფროსი.

დოდტმა ხმის ამოუღებლად თავი დაუკრა.

— ნება გვიბოძეთ, ხანუმ, ჩვენს საზოგადოებაში მიგიწვიოთ, — განაგრძო იაშვილმა. — თქვენ ჩვენი საპატიო სტუმა-

რი ბრძანდებით ამ ჟამად. კაპიტანი ბოდიშს იხდის კადნიერებისათვის, რომ სასტუმრო კაიუტაში გიწვევსთ.

ესმა-ხანუმი ხმის ამოუღებლად ყურს უგდებდა და ჩადრის ტოტებს აცოდვილებდა ხელში.

— თქვენში, ხანუმ, ახალგაზდა ქალი მამაკაცებთან ვერ გამოვა,—განაგრძო იაშვილმა.—მაგრამ ახლა თქვენ რუსების გემზედა ბრძანდებით და უმორჩილესადა გთხოვთ ამ ჟამად აქაურს ჩვეულებებს პატივი სცეთ. ამით დიდად ასიამოვნებთ ყველას.

ახალგაზდა მიჩმანი დიდს პირწყლიანობას იჩენდა და გატაცებით ლაპარაკობდა. ლამაზს ესმა - ხანუმს ეგონა, ჯერ ისევ სიზმარში ვარო. გაითვალისწინა ბოროტი დადა, უფსკრულში ჩავარდნა, შუა ზღვაში შიში რომ გამოსცადა, ცივი წყალი ზღვისა, ჯაჭვსავით რომ სხეული შეებორკა, საცოდავი ყივყივი ტიფებისა, თითქო ცივს სამარეში აცილებდნენ სამგლოვიარო სიმღერითაო, ლაჟვარდი და გულქვა ცა,—შემდეგ მიშველება ამ კეთილისა და ალერსიანის ბატონისა, რომელმაც სიკვდილს გამოსტაცა პირადან,—ეს ტკბილი ხმა, ეს ნაზი თვალები... სიზმარია, სიზმარი, მაგრამ ისეთი ტკბილი, საოცნებო, სასიხარულო სიზმარია, როგორიც სოფ. ჰიჭში გაუგონია პატარაობისას, ძიძის ზღაპრებში. ზღვის სულებმა მიხსნეს, რომ ისევ არსლან-ბეის დავუბრუნდეო... ახლაც იმათ მივყევარ, უნდა დავემორჩილო, უნდა წავყვე ზღაპრულს სამეფოშიო.

დოდტმა რომ დაინახა, ქალი ხმას არ იღებსო, მივიდა, ხელი ხელს გაუყარა და სუფრისაკენ წამოიყვანა დიდის მოწიწებით. ესმაც წამოჰყვა. გემის ერდოზე სასტუმრო კაიუტის წინ ესკადრის აფიცრები გამწკრივებულიყვნენ. ყველანი უმდაბლესს სალამს აძლევდნენ. ასეთი ამბავი აბა სად უნახავს ესმას?—ჰო, ეს სიზმარია, ზღაპრია, მოჯადოვებულს ქვეყანაში ვარო.

ასე შევიდნენ სასტუმრო კაიუტაში. დოდტმა თავისი მშვენიერი სტუმარი საპატიო ალაგას დასვა, ძვირფასად გაშლილ სუფრის თავში. მხოლოდ ყვავილების თაიგული არ იდგა მის წინ. ესეც იქმნებოდა, მაგრამ შუაგულ ზღვაში საიდან უნდა

მოეტანათ? მოკლე ხანში აფიცრები თავ-თავის ალაგას დასხდნენ, ხოლო დოდტი და თავადი იაშვილი ერთი მარჯვნივ მოუჯდა მშვენიერს სტუმარს, მეორე—მარცხნივ, და მოსამსახურეებმა საჭმელების შემოტანა დაიწყეს.

— ხანუმა, თუ შეიძლებოდეს, ჩადრი აიწიეთ, თორემ ისე საჭმლის მირთმევა გაგიჭირდებათ,—ზრდილობიანად უთხრა თავისს მეზობელს თავადმა იაშვილმა მოჯადოებულსავით მჯდარს ესმას. ქალმა ჩადრი აიხადა, და იქ მყოფთ ეგონათ, მზემ შემოგვაშუქაო: ისეთი მშვენიერი სახე და ანგელოზისებური თვალები ჰქონდა.

პირველში ყველანი ჩუმად იყვნენ. ხედავდნენ, რომ ესმახანუმს მოშივნია და საჭმელს კარგად მიირთმევსო. ყველაზე წინ ეს ექიმმა შეამჩნია.

— გოგონას კარგი მადა აქვს,—გაიფიქრა ექიმმა.—მაშასადამე, კარგად არის: homo talis est, quo modo est.

— უკაცრავად, მშვენიერო ხანუმ, – თამამად უთხრა ახალგაზდა მიჩმანმა:—თქვენ ჩვენი საპატიო სტუმარი ბრძანდებით და ჩვენ ჯერ თქვენი სახელიც არ ვიცით: გთხოვთ გვიბრძანოთ.

— ესმა... ესმა-ხანუმ,—ჩუმად უპასუხა ქალმა.

— რა საუცხოვო სახელია, ან რა მშვენიერი ხმაა!—წამოიძახა ერთმა ახალგაზდა გარდემარინმა.

ესმამ შეხედა ახალგაზდა კაცს და გაუღიმა: გულუბრყვილოდ ეჩვენა მისი წამოძახილი და მისი ალტაცებული სახე.

— რა მშვენიერებაა!—რა მომჯადოებელი არსებაა!—გაისმა ჩურჩული აფიცერთა შორის.

— გეთაყვა, თავადიშვილო, ერთი ჰკითხეთ, ზღვაში რამ ჩააგდო?—მიუბრუნდა დოდტი იაშვილს.—ან რატომ მამასთან არ არის, სოხუმში რას აკეთებს?

— მრცხვენიან, კაპიტანო.

— რატომ?—გაიკვირვა დოდტმა.

— გამოკითხვას, ჯაშუშობას დაემსგავსება ჩემი ქცევა, მეთაკილება; იმას მაინცა ვკითხავ, ზღვაში რამ ჩააგდო, ან დადამ, თუ ვიღაცაა, რატომ არ დაიხსნა?—და იაშვილმა ლაპარაკი დაუწყო ამის შესახებ.

— მე და დადა ჩვენის ნავით ვსეირნობდით,—გაუბედავად დაიწყო ესმამ.—მერე შორიდან თქვენი გემები დავინახეთ... და ძალიან შეგვეშინდა... დადამ მითხრა, სამართს მოჰკიდე ხელი და უკან მოაბრუნე ნავი, სოხუმისაკენაო. დადას გვერდით რომ გავუარე... ზღვაში ჩავვარდი... ხელი მკრა...

— ხელი გკრათ?—ჰკითხა იაშვილმა:—უცაბედად?

— არა... განგებ გადამაგდო...

— ახ, საზიზღარო!—წამოიძახა ახალგაზდა მიჩმანმა.—ხოპი?

— უნდოდა თავში დაერტყა ჩემთვის ხოპი და ხელიდან გაჰვარდა.

— ღმერთო, რა ავაზაკი ვინმე ყოფილა? მერე რისთვის, რა დაუშავე იმ ურჯულოს?

— არსლან-ბეის გულისათვის... იმისთვის, რომ... არსლან-ბეი კარგად მეპყრობა... უყვარვარ...

— მესმის! ალბად, მეტოქის მოშორება მოუნდომებია... წარმოიდგინეთ, ბატონებო,—მიუბრუნდა იაშვილი ამხანაგებს—თურმე არსლან-ბეის ძუძუდას მოუნდომებია ამ საცოდავ ქალის დახრჩობა, ეს ზღვაში გადაუგდია და თვითონ კი სოხუმში გაქცეულა ნავით.

— ოხ, შეჩვენებულო! მერე ასეთი მზეთუნახავი გაიმეტა დასახრჩობად?—ხელახლა წამოიძახა გარდმარინმა.—ერთი თუ მალე ავიღეთ სოხუმი, მე თვითონ ამოვხდი სულს იმ გველის წიწილს, იმ კუდიანს, იმას...

— მაშ, ძვირფასო ესმა-ხანუმ, თქვენ სოხუმში სცხოვრობთ?—ხელახლა ჰკითხა იაშვილმა.

— დიაღ, სოხუმში.

— მამა თქვენიც იქა სცხოვრობს?

— არა, მამა ტრაპიზონშია.

— არა, ბატონებო!—ხმამაღლა წამოიძახა იაშვილმა:—მეტს ვერაფერს ვკითხავ—ეს ჯაშუშობა იქნება, შეურაცხყოფას მივაყენებთ ამ მომხიბლეელს არსებას. მხოლოდ ის ვიცი, რომ თვითონ სოხუმში სცხოვრებს, ხოლო მამა მისი, ქუჩუკ-ბეი—

ტრაპიზონში. როგორც ეტყობა, არსლან-ბეის უნდა უყვარდეს ეს ქალი, ან და მისი ცოლია.

— ყოვლად შეუძლებელია!—ხელახლა წამოხტა გარდმარინი:—ესეთი ნაზი არსება და ის ქაჯი! ქაჯის ხელში ანგელოზს რა უნდა!

იმ დროს შამპანის ღვინო ჩამოატარეს. დოდტმა ხელში ჭიქა აიღო, წამოდგა და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ბატონებო, მე გიახლებით სადღეგრძელოს ჩვენის მშვენიერის სტუმრის, ჩვენის ნაპოვნის ქალისას, რომელმაც მოკლე ხნით მაინც გააბედნიერა ჩვენი ესკადრა:—ამ წუთიდან ის ჩვენს ქალად—„ესკადრის ქალად“ ითვლებოდეს. ღმერთმა გაუმარჯოს კეთილშობილს ესმა-ხანუმს, „ესკადრის ქალიშვილს“.

— ურაა!—წამოიძახეს ყველამ ერთხმად.

თავადმა იაშვილმა აუხსნა მეზობელს მნიშვნელობა სადღეგრძელოსი და საერთო „ურასი“.

ესმას უარესად შერცხვა, და თავისი ჭიქა დაიჭირა ხელში. ყველა მიუახლოვდა. მაგრამ ქალი დალევას ვერა ჰბედავდა. მერე ექიმი მივიდა ესმასთან.

— დალიეთ, ჩემო პაწაწავ,—უხრა ექიმმა მამობრივის კილოთი:—ძალა—vis vitalis—მოგემატებათ.

იაშვილმა გადაუთარგმნა ექიმის ნათქვამი. ესმამაც დაუჯერა და ღვინო ცოტათი მოსვა.

სუფრიდან ადგნენ თუ არა, ესმამა სთხოვა იაშვილს, სოხუმში წამიყვანეთო.

— მე თქვენ პატიოსანი სიტყვა მოგეცით, ძვირფასო ხანუმა, სადაც გვიბრძანებთ, იქ წაგიყვანთ-მეთქი, და უნდა ავასრულო კიდეცა ჩემი სიტყვა. თუმცა, უნდა მოგახსენოთ, ძალიან მწყინს იმისი ასრულება,—უთხრა იაშვილმა.—თქვენ მზესავით გაანათეთ ჩვენი ფრეგატი და ახლა ეს მზე თავს გვანებებს, იყავნ ნება ალლაჰისა!

იაშვილმა დოტსა სთხოვა, უბრძანეთ საუკეთესო ნავი მოამზადონო. აყაყანდნენ, თხოვნა დაუწყეს, ერთს საათს კიდევ დარჩეს ძვირფასი სტუმარი ჩვენთანაო; მაგრამ იაშვილმა მაინც

თავისი ქნა. რამდენისამე წუთს უკან ნავი ფრეგატას მოშორდა; სამართი იაშვილს ეჭირა, ხოლო ესმა ექიმის გვერდით იჯდა, სკამზე. თან წამოიღეს ის ხოპიცა, რომელმაც ესმა გადაარჩინა. ოფიცრები ცხვირსახოცებს უქნევდნენ წამსვლელთ და ესკადრის ქალს გზა დაულოცეს. ესმა მეგობრულად თავს უკრავდა და მხიარულად იღიმებოდა. ნავი ჩიტსავით მიფრინავდა, ექვსი კაცი ძალუმად უსვამდნენ ექვს წყვილ ხოპს.

სოხუმის ნავთსადგურსაც მიატანეს. გაუარეს გვერდით ოსმალთ ნავებს და მარდად ნაპირს მიადგნენ. ნავსა და ნაპირს შუა გადებულს ფიცარზე ესმა ჩიტსავით გადაფრინდა, მას მისდევდა იაშვილი და ექიმი. გარს შემოეხვივნენ ცნობის-მოყვარენი და ოსმალნი. მათ წინ შემოეგება ციხიდან გამოსული არსლან-ბეი ამალით. ესმა გულში ჩაეკრო. ხოლო იმან ბავშვსავით ხელში აიყვანა და კოცნა დაუწყო,— დაავიწყდათ, რომ აქ იმათ გარდა სხვანიც იყვნენ.

— აი ჩემი მხსნელი,—უთხრა ესმამ, როცა თავი გამოსტაცა და იაშვილი უჩვენა არსლან-ბეის;—აი, ეს კეთილი მოხუცი კი მწამლობდა.

არსლან-ბეიმ ხელი გაიწოდა და უნდოდა ახალგაზდა მიჩმანს გადახვეოდა; მაგრამ იაშვილმა უკან დაიხია.

— ამ ბავშს გაუფრთხილდით, დაიფარეთ, ჩვენის ზარბაზნების ყუმბარები არ მოხვდეს,—უთხრა მან ესმაზე:—ჩვენ ახლავე სროლას ავტეხავთ, თქვენი ციხე უნდა ავიღოთ.

— დიაღ, გაუფრთხილდი პაწიას, — წაილუღლუღა ექიმმა: —დიდი მწუხარება გამოიარა.

— მშვიდობით, ხანუმ! ალლაჰმა გაბედნიეროსთ და კეთილად გამყოფოსთ!—გულაჩუყებულის ხმით უთხრა იაშვილმა.— ჩემს სიცოცხლეში არ დაგივიწყებთ.

ამ დროს ხალხში ყვირილი ასტყდა: „ქალი, ქალი გადმოვარდა კედლიდან."

— ჩემი დადა! დადა! ჩემი ქალი!—გაისმა განწირული ხმა მამაკაცისა.

არსლან-ბეიმ იცნო ხმა:—დადას მამის ხმა იყო, მოხუცის თუთ მულისა. არსლან-ბეიმ და ესმა-ხანუმმა მსწრაფლად მიირ-

ბინეს თუთშუღთან, რომელიც სასოწარკვეთით თავს დასტიროდა მიწაზე გაშხლართულს გვამს,—ეს გვამი დადასი იყო. ციხის კედლიდან რომ დაინახა, ჩემი მოქიშპე და ჩემის ბოროტების მსხვერპლი ცოცხალიაო, გულში სატევარი ტარამდე დაიტაკა და კედლიდან ბრახვანი მოსძვრა.

— ოჰ, დადა! გეტყობა, ალლაჰის რისხვას ვერსად წაუხვედი,—ჩუმად წარმოსთქვა ესმა-ხანუმმა და თავზარდაცემული დააცქერდა თავისის მტრის გვამს.

## XVII

თავადი იაშვილი და ექიმი დაბრუნდნენ თუ არა, ესკადრა საომრად გამწკრივდა და სოხუმს მოახლოვდა. ნაშუადღევის სამს საათზედ ყველა გემებიდან ზარბაზნების ცლა დაიწყეს. მართალია, ციხიდან 60 ზარბაზნით აძლევდნენ პასუხს, მაგრამ რუსების ზარბაზნები ისე ღონივრად ხვდებოდა, რომ ასე იტყოდით, ციხის კედლები დნება და კანკალებსო. კვამლისაგან, მართალია, ესკადრიდან ვერაფერს არჩევდნენ, მაგრამ ქარისაგან როცა ცოტათი განიბნეოდა კვამლი, დურბინდითა ხედავდნენ, რომ სოხუმის ციხე მართლა დნებოდა: სათოფურები იქცევოდა, ზარბაზნების უმეტესობა დაზიანდა, ასე რომ ან სრულებით უხმარად იდგნენ, ან და, თუ სცლიდნენ, ყუმბარა მაღლა, ცისაკენ ვარდებოდა, ან კიდევ ისე უხერხულად მიდიოდა, რომ ნავსადგურში ოსმალებისავე გემებსა და ნავებს ეცემოდა და ამსხვრევდა. ციხის შენობას ცეცხლი წაეკიდა. რომ დაღამდა, გარშემო მთები და ზღვა სისხლის ფრად განათდა ცეცხლისაგან. რაღაც საშინელება ისმოდა ცეცხლის შეუწყვეტელ ტკაცატკუცსა და კვნესა-ზუზუნში.

— როგორ გაახირაღდნეს ქალაქი ესმას პატივსაცემლად!—აღტაცებით წამოიძახა ახალგაზდა გარდმარინმა.

— ნეტავ სად არის ახლა საცოდავი გოგონა?—სწუხდა ექიმი.—კი არ გააცივონ!

თან-და-თან სუსტად აძლევდნენ ციხიდან პასუხს. რუსის ესკადრა უფრო გაორკეცებულის ძალით მიაწვა. დოღტი და-

მშვიდებულის ხმით იძლეოდა ბრძანებას, სახმაუროთი ხან ერთს გემს ეტყოდა, ასე მოიქეციო, ხან მეორეს. ყველა გემები მწყობრად მოქმედობდნენ, თავისის მოქმედებით ჯოჯოხეთს მოაგონებდნენ ადამიანს. ღამის სიბნელეს მხოლოდ ცეცხლის სინათლე გადაჰფენოდა. ნავთსადგურიდან წყევლისა და ყვირილის ხმა მოისმოდა, მათს ხმას ზედ ერთვოდა ზარბაზნების ხმაცა: ღრიალებდნენ და იწყევლებოდნენ ოსმალები, რომელნიც თავიანთს გემებთან ერთად წყალში იღუპებოდნენ. ტიფები დაფრთხნენ, საზარლად ყივყივი მორთეს და ჰაერში დატრიალობდნენ ან და ცეცხლის სინათლეს ეტანებოდნენ და შიგ ვარდებოდნენ. ზარბაზნების ხმა მთელს ღამეს ისმოდა და, როცა ცეცხლის სინათლეს განთიადის სინათლეც ზედ დაერთო, ციხე მკვდარს დაემსგავსა: არც ერთი ზარბაზანი არ იცლებოდა ციხიდან და მის კედლებზედაც მეციხოვნე არა სჩანდა.

— აღსრულდა! — სთქვა ექიმმა, დამარცხებულს ქალაქს რომ უმზერდა და პირჯვარი გამოისახა. — ნეტავ საცოდავ ბავშვს რა მოუვიდა?

ზარბაზნების ხმა სულ შესწყდა. მოისმოდა მხოლოდ ცეცხლწაკიდებულ სახლების ტკაცა-ტკუცი და ესკადრაზე არევ-დარეული გუგუნი და ძახილი. მეომარნი პატარა გემებში სხდებოდნენ ნაპირად გასასვლელად. მზემ უკვე მთებიდან ამოჰყო თავი, როცა ზღვის მე-4 პოლკის ორი როტა ნაპირად გავიდა და გაშლილის დროშებითა და მუსიკით დაობლებულს ციხეში შევიდა. ყველაფერი გაოხრებული იყო: კედლებზე თავდაყირა ეყარა 60-მდე დაზიანებული ზარბაზნები; სახლები ნახევრად დანგრეულიყო ან დამწვარიყო; ყოველ ფეხის გადადგმაზე მკვდრები ეყარნენ, ვერ მოესწროთ წაღება და დასაფლავება. მეჩითის წინ ლამაზის ქალის გვამი ესვენა. დადასი იყო ეს გვამი. გულში სატევარი ერჭო. თავი მიუნებებიათ, დაე ყველამ აფურთხოს და დაჰგმოს მისის მუხთლობისათვისო. თავადმა იაშვილმა და ექიმმაც შეამჩნიეს.

— აი, საცოდავი მსხვერპლი ეჭვიანობისა, — ჩაიქნია თავი ექიმმა: — ჭეშმარიტად — homo homini lupus.

— ესეც ლამაზი ყოფილა,—შენიშნა იაშვილმა.

— ოჰ, რა ვუთხრა ამ სილამაზეს! — ამოიოხრა ექიმმა:— ბევრი უბედურება მისის წყალობითა ხდება ქვეყანაზე.

— თქვენ კი როდისმე ბრძანდებოდით შეყვარებული?—ჰკითხა ერთმა ხუმარამ ექიმს.

— Homo, hominis filius sum, (მეც ადამიანის შვილი ვარ) ყმაწვილო,—უპასუხა მოხუცმა და ამოიოხრა.

— ეს კარგი, მაგრამ საცოდავი ქალი მაინც უნდა დავმარხოთ, თუმცა ჩვენის ესმას დახრჩობა კი სდომებია. ნეტავ, სად არის ახლა ესმა?

— რა თქმა უნდა, მთებშია,—უპასუხა იაშვილმა,—მართლა, კაპიტანს უნდა მოვაგონოთ, რომ მკვდრები დაასაფლავებინოს. წავიდეთ, ბატონებო, ვუთხრათ.

მეომრები ქალაქის იმ ნაწილში წავიდნენ, მთებისაკენ, სადაც ზარბაზნები არ მოხვედრია. მეჩითს უკან, მოედანზე, საზარელი სურათი წარმოუდგათ თვალ-წინ. მსხვილს წიფლის ბოძზე პირქვე ხელ-ფეხით დაკრული იყო მთლად ტიტველი ახალგაზდა აფხაზი. გვერდთ მოხუცი უდგა. ყველაზე მეტად მოსულებს იმან შეჰზარათ გული, რომ დაკრულს ძაღლები დასეოდნენ და ჰლოკავდნენ—ულოკავდნენ გულს, მუცელს, ფეხებს, ის კი უღონოდ კბილებს აკრაჭუნებდა და იფურთხებოდა. რუსის აფიცრები რომ დაინახა, მოხუცმა ხელი გულსა და შუბლზე მიიდო და მიესალმა.

— ეს რა ამბავია, მოხუცო?—ჰკითხა იაშვილმა.

მოხუცს ყურთა ჰკლებოდა და კითხვა ისევ განუმეორა თავადმა.

— ეს კაცი, ბატონო, მოღალატეა. ჩვენმა ბატონმა, არსლან-ბეიმ, ბრძანა, საჯაროდ შეერცხვინათ და ძაღლები დაესიათ მის ტანისათვის სალოკავად. როცა მინარეთის ჩრდილი დაჰფარავს, მომიყვანე, უნდა დავსაჯოთო. არსლან-ბეი და მისნი მომხრენი ქალაქიდან გავიდნენ. ხოლო მინარეთის ჩრდილმა ჯერ ნახევრად დაჰფარა მოღალატე, ახლა იმას ვუცდი, ალლაჰი სულ დაჰფარავდეს თავისის ჩრდილითა, მაშინ ხელ-ფეხს ავუხსნი.

სანამ მოხუცი ლაპარაკობდა, აფიცრებმა ძაღლები მოაგერეს საცოდავს.

— ხედავ, ტანზე მაწონი დაუსხამთ!—სთქვა ერთმა.

— აფხაზებსა და სპარსელებს ასეთი ჩვეულება აქვსთ,— უთხრა იაშვილმა:—დამნაშავეს სახესა და წვერზე მაწონს დაასხამენ, უკუღმა შესვამენ სახედარსა ან ცხენზე და მთელს ქალაქს შემოატარებენ: ეს საჯარო შერცხვენაა. ხოლო როცა დამნაშავე ძალიან უნდათ შეარცხვინონ, მთლად გააშიშვლებენ, აი როგორც ამისათვის უქნიათ, ისე, მთელს ტანზე მაწონს დაასხამენ, დააკრავენ ბოძსა ან ფიცარზე და ძაღლებს მიუსევენ სალოკავად.

— რა საზიზღრობაა!—წამოიძახა ერთმა აფიცერმა.—მოხუცო, აუშვი, ჩქარა! ალაჰმა უკვე გადააფარა თავისი ჩრდილი.

მოხუცი დასცქეროდა საცოდავს დამნაშავეს. როცა მინარეთის ჩრდილმა სამხრეთისაკენ ცოტათი გადაიწია და მარჯვენა ხელს მიკრულისას და მარჯვენა მხარეს ჩრდილმა გადაურბინა,—საჩქაროზე შეხსნა თასმები, რომლებითაც დაკრული იყო ხელ-ფეხი დასჯილისა.

— რა დაუშავა არსლან-ბეის ამ უბედურმა?—ჰკითხა იაშვილმა.

— რა, ბატონო, და,—უპასუხა მოხუცმა:—გუშინ საღამოს საიდუმლოდ შეატყობინა არსლან-ბეის ძმას, სეფერ-ალიბეის, ურუსები ციხეს მოადგნენ ასაღებად და, უეჭველია, მალეც აიღებენო.

— ჰო, მაშ ჩვენი მომხრე ყოფილა ეს უბედური!—წამოიძახა ერთმა აფიცერმა აღტაცებით.—დასჯა კი არა, დაჯილდოვება უნდა ასეთს კაცს.

— მართალია, მართალი.—კვერი დაუკრა ექიმმა.—Sepheribeji amicus—noster amicus (სეფერ-ბეის მეგობარი—ჩვენი მეგობარიც არისო)! შენი რა არის, მოხუცო, ეს კაცი?

მოხუცი ხმას არ იღებდა, რადგან რუსული არ იცოდა. იაშვილმა გაუმეორა ექიმის კითხვა.

— ჩემი შვილი გახლავსთ, ბატონო!—უპასუხა მოხუცმა.

— მაშ, ორნივე ჩვენი მეგობრები და მოკავშირენი ყოფილხართ,—უთხრა იაშვილმა, და მოხუცს, რომელიც შვილს საჩქაროდ უხსნიდა ჩალურჯებულ ხელ-ფეხს, მხარზე ხელი დაუტატუნა.

მამა მიეშველა და საცოდავი ძლივას წამოჯდა ძელზე. ფეხზე ადგომა ჯერ არ შეეძლო.

— რატომ ადრევე არ გაუხსენი ხელ-ფეხი, მოხუცო, არსლან-ბეი ხომ აქ არ არის?—ჰკითხა იაშვილმა.

— რა მექნა, ბატონო, რჯული და ყორანი მიბრძანებს. მოლა გვეუბნება ხოლმე, დაბმული, დასჯილი, სანამ ალაჰის ჩრდილი არ დაჰფარავს. არავინ უნდა აუშვას, თორემ ვინც აუშვებს, ალაჰი მზის ისრით განგმირავსო.

ამ დროს საყვირის ხმა გაისმა—ჯარს ეძახდნენ, შეგროვდითო. თავადი იაშვილი და ორი გარდმარინი შესაგროვებელ ადგილისაკენ გაეშურნენ, ხოლო ექიმი ძელზე მჯდარ შიშველ აფხაზთან დარჩა, რომ მიშველებოდა და ეწამლნა. ორივე როტა, რომელთაც სოხუმი დაიპყრეს, ქალაქის მოედანზე უნდა გამწკრივებულიყო.

ესენი გამწკრივდნენ თუ არა, ქალაქში კოდორის მხრიდან მუსიკითა და დაფდაფის კვრით, ბელევსკის პოლკი შემოვიდა, რომელსაც თან მოჰქონდა ორი ზარბაზანი. წინ მოუძღოდნენ თავადი ორბელიანი და სეფერ-ალი-ბეი, ხოლო მის გვერდით პატარა თეთრ ცხენზე იჯდა მშვენიერი ბავშვი შვიდისა თუ რვა წლისა, ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი. თავზე თეთრი ბოხოხი ეხურა და ტანზე ყოველგვარი იარაღი ესხა. ეს იყო უფროსი ვაჟი სეფერ-ბეისა, დიმიტრი, მომავალი მთავარი აფხაზეთისა, ხოლო დღეს—მემკვიდრე მამისა. ყმაწვილს მეორე მხარეს უდგა ახალგაზდა ქალი, მთიელთა წესზე ძვირფასად მორთული, ბავშვს სიყვარულით სავსე თვალებს არ აშორებდა. ეს იყო დადიანის ასული თამარი, დედა მშვენიერის ვაჟისა და მეუღლე სეფერ-ბეისა. აქვე ახლოს მისდევდათ ამალა, აფხაზეთის წარჩინებულთაგან შემდგარი.

გუშინდელის ბრძოლის გმირები—ორი როტა ზღვის ჯარისა—მოედანზე გამწკრივდნენ დროშებითა. მათ შემოუერთ-

დათ ახლად მოსული თავადი ორბელიანი და სეფერ-ალი-ბეი თვისის ამალითა, აგრეთვე ბელევსკის როტა ორის ზარბაზნითა, ასიოდე კაცი აფხაზებისა და ორმოც და ათი ყაზახ-რუსი. იმავ წუთას ახლად მოსულებს სამხედრო სალამი მისცეს და ესენიც ცხენებიდან ჩამოხტნენ. თავადმა ორბელიანმა ბრძანა წრის შუა ორი დიდი ოსმალური დოლი ერთმანეთზე დაედგათ. მერე იმათს ზემოთ დააწყო უმაღლესი ღრამატა და პეტერბურღიდან გამოგზავნილი ნიშნები ინვესტიტურისა, აგრეთვე ლენტი და წმ. ანნას 1-ლი ხარისხის ჯვარი. ამავე დროს თავადის ამალიდან ერთი შემოსილი მოხუცებული მღვდელი გამოვიდა, ხელში სახარება და ჯვარი ეჭირა, რომელნიც უმაღლესს ღრამატასა და ორდენის ლენტს ზევით დასდვა.

ორბელიანმა ანიშნა და სეფერ-ბეი მივიდა ორის დოლისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ ანალოესთან და მარჯვენა ხელი, ჯვარის გამოსასახავად გაკეთებული, ზევით აღმართა.

— მე სეფერ-ალი-ბეი, მთავარი აფხაზეთისა, გიორგის სახელით მონათლული, თავადი შარვაშიძე, წინაშე ყოვლად-შემძლებელის ღმერთისა და მის წმიდა სახარებისა აღვთქვამ და ვფიცავ და სხვ.—მოხუცებულის ხმით ამბობდა მღვდელი, ხოლო მისს ნათქვამს ფიცის სიტყვებს იმეორებდა სეფერ-ბეი.

— ამის მოწმად ვეამბორები ჯვარსა და ჩემის მაცხოვრის წმიდა სახარებასა,—დაასრულა მთავარმა და ეამბორა ჯვარცმასა და გადაშლილ სახარებასა.

მაშინ თავადი ორბელიანი მივიდა ანალოესთან, გადმოიღო სახარება და ჯვარი და მღვდელს გადასცა, თვითონ კი გადაშალა უმაღლესი სიგელი, ხმა-მაღლა წაიკითხა და სეფერ-ბეის ჩააბარა. ისიც მოწიწებით ეამბორა ღრამატის იმ ადგილს, სადაც იმპერატორი ალექსანდრე პავლეს-ძეს საკუთარი ხელი ეწერა.

— მომილოცნია, თქვენო ბრწყინვალებავ თავადო გიორგი, მეფის წყალობა,—დიდის ამბით წარმოსთქვა თავადმა ორბელიანმა და რუსეთის ახალს ქვეშევრდომს წმიდა ანნას 1-ლ ხარისხის ჯვრის ლენტი გადაჰკიდა.—ამ წუთიდან—თქვენ სე-

ფერ-ალი-ბეი კი არა, უგანათლებულესი თავადი გიორგი შარვაშიძე ბრძანდებით.—და ერთმანერთს ამბორი უყვეს.

დღესასწაულის ნიშნად, ბელევსკის პოლკის ორი ზარბაზანი იმავ წუთას დასცალეს, ზარბაზნებითვე ბანი მისცეს ნავთსადგურში მდგარ ესკადრიდან.

თავადი ორბელიანი მივიდა პატარა დიმიტრისთან, რომელიც განცვიფრებულის თვალებით უყურებდა ამ ამბავს, და ხელი მოჰკიდა.

— ახლა, ჩემო კარგო,—უთხრა თავადმა,—მიდი მამასთან, მიულოცე ხელმწიფის წყალობა და გამოეთხოვე.

დიმიტრი მამასთან მივიდა. სეფერ-ალი-ბეიმ მხურვალედ გადაჰკოცნა, სამჯერ ჯვარი გადასწერა და დედას მიჰგვარა. თამარმა აღგზნებით ჩაიკრა გულში შვილი და ატირებულმა მხურვალედ კოცნა დაუწყო. ძლივას გამოჰგლიჯა თავადმა ორბელიანმა ბავშვი მწუხარებისაგან გადარეულს დედას.

დიმიტრი მაშინათვე წაიყვანეს პეტერბურგში გასამგზავრებლად,—ამანათი უნდა ყოფილიყო რუსეთის მიმართ მისის მამისა და მთელის აფხაზეთის ერთგულებისა.

(დასასრული პირველის ნაწილისა)

# მზე და ვარსკვლავები

## I

ერთხელ ვარსკვლავთა კრებული
უხვ-სხივიანი ცაზედა
ასტყდა, აბორგვნდა, ჩიოდა
უნდა იცოდეთ რაზედა?!
ყველა მზეს ემუქრებოდა,
მის დაბნელებას ნატრობდა:
როგორ თუ ყველა აქებსო,
ქვეყანა რადა ჰყვარობდა.
«მოდი შევიკრნეთ ფიცითა
არ ამოუშვათ ცაზედა,
თუ ამოჩნდება, ერთადა
ყველა დავესხათ თავზედა.
ხმლებით ვცათ, შუბებით ვჩხვლიტოთ,
ჩვენ რით გვაჯობებს ცდაზედა?
ათი-ათასი გუნდი ვართ,
გავაქრობთ იმავ წამზედა.
მერმე იდიდოს ზვიადი
ცისკნისი ქვეყანაზედა.
ჩვენ კაცნი არად გვაგდებენ
ზეცის გულ-მკერდის ღილებსა,
არც კი გვიცნობენ რანი ვართ
ურიცხვს ბუნების შვილებსა;
არცავინ გვიქებს წვერ-ულვაშს,
არცავინ გვიქებს პირებსა.

ვისგან რა მოსათმენია
არ გვიგონებდნენ გმირებსა?!.»

II

ცა კაშკაშებდა, ბნელოდა,
მთვარეს ზღვის მკერდზე ეძინა...
მხოლოდ მოწმენდილს ცაზედა
ვარსკვლავთა გუნდი ეფინა.
მთვარეს შიკრიკი აახლეს,
მაგრამ ძალიან ეწყინა
ვარსკვლავთა უჯიათობა,
მათი შური და ფლიდობა.
შემოუთვალა: «დაწყნარდით,
ეგ როდი არის ბიჭობა!
ყველა დავჯერდეთ თავის ბედს,
ღვთისგან ნაბოძარს სახელსა,
თორემ, რომ ყველა მზედ ვიქცეთ,
უკეთურს ვიზამთ საქნელსა;
ყველა მზედ ვიქცეთ — ხომ დავწვით
ცა და ხმელეთის არეთ, —
ტანჯვა-ვაებით შევმურეთ
ყოველი ქვეყნის მხარეთ.
ქებისა ნაცვლად მოგვიძღვნას
ხალხმა კრულვა და წყევათ.
მე არ გადგევართ, არც მომწონს
თქვენი უგვარო რჩევათ.»
ვარსკვლავთ თქვეს: «არც საჭიროა
მზის ქვეშევრდომის შველათ,
ნეტავ რა ძლიერ თავს იდებს,
რა მაგისაგან ცხელათ?!
ნათელსაც მზისგან სესხულობს,
ცეცხლ-ჩამქრალი აქვს კერათ.»

## III

ჯერ ისევ უკუნეთია,
ჯერ კიდევაცა ბნელოდა...
მზეს უპირობენ დაღუპვას,
მას აღარავინ ჰშველოდა.
მთას იქით მოფარებულსა
კბილებს უღრეჭდნენ ვარსკვლავნი:
«აღარ გაბედო ამოსვლა,
არ ვიყვნეთ შენი მნახავნი,
თორემ სულ მიწა-მტვრად გაქცევთ,
მზეო, იცოდე ჩვენგანა
შენის სწყლობის მნახველი
განცვიფრდეს მთელი ქვეყანა.»
მზე გულ-გულში იცინის,
მხარ-თეძოზედა მწოლარე,
ხმელეთის პირის ფარეში,
მთელის ბუნების მოლარე.
ვარსკვლავთ აბჯარი აისხეს,
ხელში აიღეს ხიშტები.
სულ კოხტა ვაჟკაცებია,
სულ თავ-მომწონე ბიჭები.
ზოგნი ზარბაზნებს მოუდგნენ
და მოუმზადეს ფალია.
აღმოსავლეთზე მიჯარდნენ,
იქით უჭირავთ თვალია.
რა წამს მზე ამოჩნდებოდა,
თავზე დაესხათ წყალია
და ჩამოეგდოთ მიწაზე
მზე სხივ-მიხდილი, მკვდარია.

## IV

ერთხელ იყივლა მამალმა,
დამე შეინძრა ცოტადა;

ახლა მეორედ იყივლა
განთიადისა მკობადა.
ვარსკვლავთა გუნდიც დაესხა
მზეს თავზე დასამხობადა...
გახშირდა მამლის ყივილი
დღე-ღამის გასაყოფადა...
რითაც გათავდა ეს ბრძოლა,
კარგად გავიგეთ ყველამა:
თავის ბუნაგი მოძებნა
გაწბილებულმა მელამა.

თენდება, მაინც თენდება:
აგერ ცისკარი დილისა;
მთის მწვერვალთ მიესალმა
პირველი სხივი იმისა.
ფრინველთ დაიწყეს გალობა,
ბალახმა შექმნა ბიბინი;
მზის მოსვლის შიკრიკი არის
დილის ნიავის სისინი.
გაწითლდა აღმოსავლეთი,
მოდის მზე, მოაქვს ნათელი.
პირველი სხივი დააკრა
იალბუზს როგორც სანთელი.
იღვიძებს მთელი ქვეყანა,
აღიძრა ყველა სულ-დგმული;
სიამოვნებით ივსება
დილის მნახველის სულ-გული;
აღარსად სჩანან ვარსკვლავნი
გამქრალან ცისა კიდითა;
სჩანს, რომ დამარცხდნენ, გაწბილდნენ,
ვეღარ ჩნდებიან შიშითა.
მას აქეთია მთიები

კრძალვა-სირცხვილით დნებიან,
დამ-დამ აბზენენ თვალებსა,
პატარძლებივით ჩნდებიან.
უცქერენ ციდან ქვეყანას,
მის სიტურფითა სტკბებიან.
ბოდიშს იხდიან თანაცა
მზესთან უსირცხვო ბრძოლაზე.
ზოგნი იმიტომ სირცხვილით
ჩამოცვივიან გორაზე.
მზე ისევ მზეობს დღესაცა,
ცხოველ-მცენარეთ ნუგეში;
თან დააქვს აურაცხველი
მადლი კალთა და უბეში.
ვარდს ის გაუხსნის გულ-მკერდსა,
ის ალამაზებს იასა;
ის აცმევს ძვირფას სამოსელს
მინდვრებს და ველებს ტყიანსა.
რით შაედრება უგუნი
დღეს მოვარვარეს, მზიანსა?!.

ვაჟა-ფშაველა

# ირინეს ბედნიერება

### სურათი სოფლის ცხოვრებიდან, 2 მოქმედებად

**მოქმედნი პირნი:**

სამსონ სალამთაძე, შეძლებული მემამულე.
ეკა, ცოლი ამისი.
აბესალო, შვილი ამათი 28 წ.
ფილიპე ბარბაქაძე.
ირინე, ამისი ქალიშვილი.
ვიქტორ, ყმაწვილი 28—30 წ.
პავლე როდამიშვილი, 25—28 წლ.
სოლომონ, ნათესავი ირინესი.
ნესტორი, სოგრატა — ამხანაგები აბესალოსი.
ნიკოია, ბიჭი.

სტუმრები: ყმაწვილი კაცები და ქალები.

## მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ბარბაქაძის ეზოს. მარჯვენით მოჩანს დაბალი ოდის ბალკონი, მარცხნით ნიგვზის ხის ქვეშ გაშლილია სუფრა, სადაც სხედან აბესალო, ვიქტორი, სოგრატა, ნესტორი და სხვა ყმაწვილები. ცეკვა-თამაშია. იქით ღობეა და მოჩანს მეზობლის სახლები. დღეობაა ბარბაქაძისას. მოისმის დაირა. ფარდა რომ აიხდება, სცენაზედ თამაშია—ლეკური გარმონიკასა და დაირაზედ. ხან სალამური. სტუმრები: ყმაწვილი კაცები და ქალიშვილები. ირინე თამაშობს. აბესალო ტაშს უკრავს და ალტაცებაშია. ირინე რომ თამაშს გაათავებს, ყველას თავს დაუკრავს და კოხტად გავარდება. საერთო „ბრავო“-ს ყვირილი. ყველანი სახლისკენ მიეშურებიან, საიდანაც სიმღერა ისმის. აბესალო ყვირის: „ბრავო, ბრავო!“

### გამოსვლა პირველი

**აბესალო.** ბატონო ირინე!.. ბატონო ირინე!.. მიგკატოვა?!.. სოგრატ! ნესტორ! ახლავე აქ მოიყვანეთ!.. ახლავე მოიყვა-

ნეთ აქ! (ყმაწვილები წამოვარდებიან და გავლენ) ურინეობა შეუძლებელია!... ბატონო ირინე!

**ვიქტორ.** კარგია, აბესალო, კმარა, ყმაწვილო!.. ნამეტანი არაფერი არ კარგა!...

**აბესალო.** ვიქტორ, ახლავე აქ მოიყვანე ირინე, აქვე დამისვინე ამ სუფრაზე, ჩემს გვერდით!.. ახლავე, ვიქტორ! გესმის!..

**ვიქტორ.** ყმაწვილო, ღმერთმანი, სხვანაირად მიიღებენ მაგ შენს საქციელს... მაგ შენს ხუმრობას რამე ცუდს გამოაბმენ და, ვიცი, უსიამოვნებით გათავდება, სხვა არაფერი იქნება!... ხომ იცი, სოფლის ამბავი!...

**აბესალო.** თუ ძმა ხარ, შენი დარიგება შენთვის შეინახე და ახლა ის ამისრულე, რასაც გთხოვ... ირინე მომიყვანე და გვერდით მომისვი!...

**ვიქტორ.** თუ ჩემი ძმობა გწამს, თავი დაანებე იმ ბავშს, აბესალომ!... თუ ჩემი ძმობა გწამს!... ხუმრობასაც თავისი საზღვარი აქვს!...

**აბესალო.** სიდღური ხუმრებაა?!.. კაცს გონება ეშლება, თვალები, ეს არის, წამომცვინდება მაგის მზერით და ეს ხუმრებაზედ მელაპარაკება!... ნუ ამაყენებ, ვიქტორ, მომიყვანე ირინე...

**ვიქტორ.** ხა, ხა, ხა! გასაკვირველია შენი დღევანდელი ამბავი!... კაცმა დაგიჯეროს, რომ მართლა ასე აგიტაცა ამ საწყალმა ირინემ?!..

**აბესალო.** უნდა დამიჯერო, რომ გეუბნები!

**ვიქტორ.** კარგია, თუ კაცი ხარ!

**აბესალო.** არ მოიყვან?...

**ვიქტორ.** თითქო პირველად გენახოს დღეს მაგი ქალი!..

**აბესალო.** არ დავკვირვებივარ დღემდინ და იმიტომ არაფრად მიმაჩნდა. დღეს ამეხილა თვალები და გეფიცები, ვიქტორ, უმაგისოთ ერთი წუთის გაძლება არ შემიძლია!.. მომაკვდავს, მომაკვდავს მაგ დაწყევლილმა!

**ვიქტორ.** მოგაკვდავს კი არა! გინდა თავის გასართობათ გაიხადო და იმას კი აღარ ატან თვალს, რა ბოლო შეიძლება

მოჭყვეს მაგ შენს გართობას!.. რითი უნდა მოგაჯადოვოს სოფლიკელამ, რომელმაც ხეირიანი ჩაცმა-დახურვაც არ იცის!..

აბესალო. გარწმუნებ, მე სრულიადაც არ ვხუმრობდე, და ისევ გთხოვ ირინე აქ მოიყვანო!..

ვიქტორ. გარწმუნებ, რომ თუ კიდევ შენ განაგრძე ირინესთან შენი საქციელი, აქ დღევანდელი დღე უსიამოვნებით გათავდება და ის იქნება!.. გინდა, მოწადინებული ხარ, ჩვეულებისამებრ, უსათუოდ შფოთი ატეხო, სხვა არაფერი!

აბესალო. მე მინდა ირინე აქ მომიყვანო, სხვა არაფერი!

ვიქტორ. უსათუოდ გინდა როდამიშვილი გაახელო და შფოთში ჩაითრიო რამე ფერად... უამისოთ მოწყენილი ხარ!..

აბესალო. როდამიშვილი ვინ ოხერია?!

ვიქტორ. ვინაა და, როგორც წეღან გითხარი, ირინეს საქმროა... ჯერ ოღონდ გამოუცხადებლად აქვთ პირობა მიცემული ერთმანეთისათვის...

აბესალო. ჩემი რა საქმეა... მე რას დავეძებ მერე? ასირებულია!

ვიქტორ. შენა საქმე ისაა, რომ ამის გამოისობით იმ ქალიშვილთან უფრო მეტად თავდაჭერილად უნდა იყვე!..

აბესალო. როდამიშვილის გულისათვის?

ვიქტორ. ჰო!

აბესალო. ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა! მაღიანია, შენ ნუ მომიკვდები, მაღიანია! ვიღაცა ჩანჩურა როდამიშვილის გულისათვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ! აბა კაცი მხოლოდ ის ყოფილა—ჩვენ არაფერი!

ვიქტორ. კაცკაცს არ შეშვენის, აბესალო, ამნაირი სიტყვა!

აბესალო. არც ის შეშვენის თავი მოიხაროს ყოველივე მაჩანჩალას წინაშე!.. როდამიშვილის გულის ამბავი რაში მეკითხება, როცა აქ გენია ტრიალობს და ჩაქრობას ითხოვს!.. როდამიშვილი რა ჩემი ფეხებია!.. მაშ არ გინდა თხოვნა ამისრულო—ირინე აქ მოიყვანო?!. შენ გგონია უშენოთაც არ მოხერხდება ეგ საქმე! (წასვლას აპირობს).

ვიქტორ. (დაიჭერს) აბესალო, თუ რაიმე პატივისცემა გაქვს ჩემი, თავი დაანებე ირინეს!.. თუ ძმა ხარ!

**აბესალომ** თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ვიქტორ!.. თუ ძმა ხარ!.. სად მიმემალა ჩემი მზე, ჩემი მთვარე!? უნდა მოვნახო ახლავე!.. შენი სულისა! (მიდის სახლისკენ).

## გამოსვლა მეორე

**ვიქტორი,** მერე **როდამიშვილი**

**ვიქტორ.** ეს შეჩვენებული მანამდი არ მოისვენებს, სანამ ერთ აყალ-მაყალს და დავიდარაბას არ ასტეხავს, ისეა ატეხილი! ნეტავი მაგ არ მოთრეულიყო დღეს აქ და არავერი მომ-დოდა!

**როდამიშვილი.** (აღელვებული) ვიქტორ!

**ვიქტორ.** რა იყო, პავლე?

**როდამიშვილი.** ვიქტორ, უთხარი, ემაწვილო, იმ შენს ნათლიის-შვილს, უთხარი ცოტათი მორიდება მაინც იქონიოს ვინმესი. . მართალია, ჩვენში ზედ უგვეთეს საზოგადოებაში ნამყოფია, მაგრამ არავერი საკადრისია ასეთი ყველასი ჩაუგდებლობა!.

**ვიქტორ.** რა იყო, რა ქნა ამისთანა, პავლე ჩემო?

**როდამიშვილი.** განა თავათ არ შეგიმჩნევია?!. ბატონო, რა არის ამ ყმაწვილ ქალს რომ ჩასციებია, მოსვენებას არ აძლევს, წამოავლებს ხელს და აჭირგალებს, თითქო სათამაშო იყოს მისი... უთხარი...

**ვიქტორ.** რა ვუთხრა, ემაწვილო, გალეშილია, აღარავერი ესმის ამ ქვეყნის!..

**როდამიშვილი.** შენც არ მომიკვდე, ის იმდენად მთვრალი არ იყვეს!.. და ამას კი გეტყვი, ვიქტორ, თუ მაგან ირინეს თავი არ დაანება, ღმერთმანი, მეტს აღარავინ მოუთმენს და ყველასათვის უსიამოვნებით გათავდება დღევანდელი დღესა-სწაული!.. ძმობას გვიცავარ, ვიქტორ!

**ვიქტორ.** შენგან არ მიკვირს, პავლე, ამნაირი სიტყვა რომ მე-სმის!..

**როდამიშვილი.** მაგი ვაჟბატონი იმ იმედით ბძანდება, რომ ვერა-ვინ გამიბედავს რამესო და ამიტომაც ასე თავისუფლად გრძნობს თავის თავს... როგორც სინიდისიერ ყმაწვილ კაცს გთხოვ, ვიქტორ, უსიამოვნებას აგვაშორო...

**ვიქტორ.** თუ ძმა ხარ, დაწყნარდი, ნუ მაიღებ საწყენად მაგის საქციელს. შე კაცო, რომ იცოდეს თქვენი ამბავი, ირინეს სულაც არ გასცემდა ხმას...

**როდამიშვილი.** დიახ!.. მაგისთანა ვაჟბატონის სწორედ!.. მაშინ ჯინაზედ უარეს ჩაიდენდა!.. ა! შეხედე, შეხედე, ვიქტორ! შეხედე, რაგა მოაპოწიალებს... შეხედე ერთი! და შენ მეუბნები—მოითმინეო?!..

## გამოსვლა მესამე

იგინივე, **აბესალომ, ირინე და სტუმრები**

**აბესალომ.** (შემოჰყავს ირინე მარჯვენა ხელი-ხელ-გაყრილი) არსად თქვენი წასვლა აწი აღარ შეიძლება, არსად!.. არასფრის გულისათვის!..

**ირინე.** ახლავე გიახლებით... მამას ვუხმივარ... ვნახავ და ისევ გიახლებით!..

**აბესალომ.** (სუფრასთან ჯდება) ყოვლად შეუძლებელია!.. ვეღარსად ვერ გაგიშვებთ! ვეღარსად!.. აბა სალამური!.. ტაში!.. ბატონო ირინე, უმორჩილესად გთხოვთ!.. ვასიკო! (ეს გამოვარდება და ლეკურის სათამაშოდ თავს დაუკრავს ირინეს)

**ირინე.** კატო ითამაშებს ჩემს მოსვლამდინ!.. კატო, შენი ჭირიმე!

**აბესალომ.** (გზას გადუღობავს) არ ვიცი მე არც კატო, არც ქეტო!.. ტაში ყმაწვილებო!..

**როდამიშვილი.** ყოჩაღ ბიჭოს!.. ზრდილობაც ამას ქვია!

**ვიქტორ.** ნუ ყმაწვილო!

**აბესალომ.** ტაში, ტაში! (ირინე თამაშობს) შენი გულისა! შენი!.. (ირინე თამაშს გაათავებს, თავს დაუკრავს, შემოტრიალდება და წასვლას დააპირებს, აბესალომ ხელს სტაცებს და შეაჩერებს), ასე მალე, ასე მალე, ბატონო ირინე!

**ირინე.** დავიღალე, ღმერთმანი!

**აბესალომ.** ასე ცოტათი გინდათ დაგვაჯეროთ?!. თქვენ არ მომიკვდეთ... ამას გასვლება ქვია, სხვა არაფერი!.. სწორე გასვლება!

**ირინე.** დავიღალე, ბატონო აბესალომ!.. მეტი აღარ შემიძლია!

**აბესალომ.** აბა, თუ დაიღალეთ, აგერ დაბძანდით და დაისვენეთ... აბა, ყმაწვილებო «სულიკო», ისე ტკბილად, ნაზად, ისე რომ ყველას გვიამოს!.. დასხედით! დასხესით!.. [illegible]ნსკენაა ლხინი წამოსული... (ყმაწვილები „სულიკოს“ ამბობენ)

**ირინე.** ბატონო აბესალომ! გთხოვ ნება მიბოძოთ...

**აბესალომ.** არ შეიძლება... თქვენთან ერთად ლხინიც გაგვშორდება!.

**ირინე.** რა ვქნა, ღმერთმანი!

**აბესალომ.** ვიქტორ!

**ვიქტორ.** რა გინდა?

**აბესალომ.** სთხოვე იმ ყმაწვილს, ასე მწუხარედ რომ გვიყურებს, შემოგვჩერებია, აგერ დაბრძანდეს სუფრის ბოლოში... ეგებ გული გაუკეთდეს... (ირინე უკმაყოფილებით გადახედავს აბესალომს).

**ვიქტორ.** ვერაფერი ოხუნჯობაა, შენ არ მომიკვდე!... უსათუოდ შფოთი გინდა ატეხო, ყმაწვილო?!..

**აბესალომ.** სთხოვე!... ნუ იბღვირება კი!

**ვიქტორ.** სუ, ყმაწვილო!

**როდამიშვილი.** გიჯობთ, თავი შეიკავოთ და წინდახედულად ილაპარაკოთ!

**აბესალომ.** ბიჭოს!... ხა, ხა, ხა!... ძალიან გულზედ არ ყოფილა! ერთი ახლოს დამანახვეთ, ვინ ბრძანდება ეს გულ-უშიშარი რაინდი! (დგება და როდამიშვილისაკენ მიდის. ვიქტორი არ უშვებს).

**ვიქტორ.** აბესალომ, რა არის ახლა ეს?... რა არის?...

**როდამიშვილი.** ტყვილა იქანცებით... თქვენი არავის არ ეშინია, ამაზედ მტკიცედ ბძანდებოდეთ!

**ვიქტორ.** პავლე, არ გრცხვენია! (ყველანი აირევიან) სირცხვილია, ყმაწვილებო, სირცხვილია, სხვა არაფერი!

**აბესალ.** (იწევს) ბატონო, შემახედვიეთ მხოლოდ... ახლოს შემახედვიეთ ამ უცნაური კაცისათვის... მეტს არაფერს გთხოვთ... კიცნო ერთი მაინც!

**როდამიშ.** შეკარცხვინე შენთან დამრიდებელი!...

**ვიქტორ.** (იქით მიექანება როდამიშვილს, აბესალომი სხვა ყმაწვილებშია. ყველანი შეწუხებულნი არიან) პავლე, ჭკუაზედ მოდი, ყმაწვილო! ამას მოველით შენგან! თავი დაანებე, გაფიცებ უორისფელს!

**როდამიშვილი.** შემაშინა მაგისმა შეხედვამ, თუ რა ჰგონია?! (ვიქტორს გაჰყავს).

**აბესალომ.** ძალიან არ იქანებოდა!... მიყვარს გულადი კაცი! სიცოცხლეა!

**ირინე.** არ გეკადრებათ, ბატონო აბესალო!... თქვენგან ამას არ მოველოდი!...

**აბესალომ.** (მოტრიალდება) უკაცრავად... თქვენთან უკაცრავად, ბატონო ირინე!... ღმერთო, მომკალი!... გაწყენინეთ განა!... ნიავს მივსცეთ, ქარს გავატანოთ ყოველივე უსიამოვნობა!.. ყმაწვილებო, აბა, ტაში, ტაში!... (თავად იწყებს თამაშს და იწვევს ირინეს სათამაშოდ; პირველ უარის შემდეგ ირინე გაჰყვება).

**ყმაწვილები.** ბრავო, ბრავო, აბესალომ! ბრავო, ბრავო!...

**ერთი ყმაწვილთაგანი მე-2-ს.** როდამიშვილის ჯინაზედ თამაშობს!

**მე-2 ყმაწვილი.** კი, ახელებს მას... შეატყო, რომ პავლეს სწყინსო, ირინესთან რომ შეხუმრებულია და განგებ ახელებს!...

**1 ყმაწვილი.** უნდა უსაიუოდ ხსუბში ჩაითრიოს!...

**აბესალომ.** (თამაშის გათავების შემდეგ ხელზედ აკოცებს ირინეს) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო ირინე! (სახლიდან მოისმის სიმღერა და დაირა. ყველანი იქით გაეშურებიან).

## გამოსვლა მეთოხე

### ირინე და აბესალომი

**აბესალომ.** (უკან მოსდევს ირინეს.) გინდოდათ გამქცევოდით!?... ხომ დაგიჭირეთ!... ხომ ვერ დამემალეთ!... სად უნდა დამე-

მალოთ?! სად უნდა წამისვიდეთ!... გარწმუნებთ, რომ ვერსად... ვერსად!

**ირინე.** რა გნებავთ, ყმაწვილო?

**აბესალომ.** ეგრე მწყრალად?!... ეგრე ჯიუტად?!... ნუ, ნუ, თუ ღმერთი გწამთ... თუ კაცის სიბრალული გაქვთ! მაგ კილოთი ყოველ გაბედულობას მიკარგავთ!... მხდალად მხდით!...

**ირინე.** (ვიქტორს დაინახავს). ვიქტორ... ვიქტორ!

**ვიქტორ.** ბატონო!

**აბესალომ.** ნეტავი შენ ყველგან მიმსწრები არ იყვე, ათასწილად აჯობებდა, ძმობას გფიცავარ!

**ვიქტორ.** უკაცრავად შენთან, მაგრამ ხომ გაიგონე, რომ მიხმეს...

**აბესალომ.** ა, ხომ ხედავ ყველანი მშვიდობითა ვართ და შენც შეგიძლია თავისუფლად განაგრძო შენი გზა...

**ვიქტორ.** თუ ირინე მიბრძანებს...

**ირინე.** არა, არა, მე გთხოვთ აქ იყვეთ...

**აბესალომ.** ღმერთო მომკალი! თუ არა და ამდენად გეშინიათ ჩემთან მარტოდ დარჩენისა!..

**ვიქტორ.** რაებს ლაპარაკობ, ყმაწვილო?

**აბესალომ.** შენ რომ აქ არ იყვე, სწორედ უფრო წესიერად ვილაპარაკებდი და იმას ვიტყოდი, რისი თქმაც მსურს!...

**ირინე.** ვიქტორთან მე საიდუმლო არაფერი მაქვს... შეგიძლიათ თქვენი სათქმელი მაგასთანაც თქვათ!...

**აბესალომ.** უშენოთ რომ არაფერი გაკეთდება, რომ არაფერი ითქმება... მესაიდუმლე რომ ხარ ყველასი!... გასაკვირველია!... ვიქტორ, თუ ძმა ხარ, ერთხელ მაინც დამთმე... გთხოვ ძმურად!

**ვიქტორ.** არ გესმის, ყმაწვილო, თუ დღეს დაყრუვდი... არ გესმის ამ ქალის ნათქვამი...

**აბესალომ.** შენ რომ გხედავ აქ, ყურთა სმენაც მაკლდება!...

**ვიქტორ.** როგორც გეტყობა შენ, ჩემო კეთილო, ძალზედ მოგრევია ღვინო და მოსვენება გჭირია, რომ გამოფხიზლდე!..

**აბესალომ.** ოჰ, ეგ კი მართალია... ეგ კი მართალია! და, თუ ძმა ხარ, მომასვენე!..

**ირინე.** უკაცრავად ვარ, ბატონო აბესალომ, ამდენ სტუმრებს სამსახური ეჭირვებათ... ჩემს მეტი კი არავინ არის...

**აბესალომ.** კისერი უტეხიათ ყველას!.. ვის რას დავეძებ! მათზედ ისიც ბევრია, რაც ემსახურეთ!.. ყველამ თავის თავს მოუარონ!.. თქვენი წასვლა აქედან ყოვლად შეუძლებელია!.. ვერსად ვერ გაგიშვებთ!..

**ირინე.** რა უნდა გავაკეთო აქ!

**ვიქტორ.** აბესალომ, ჭკუაზე მოდი... რავა გადარეულივით ლაპარაკობ!

**აბესალომ.** გადარეული ვარ, აბა, ვერ მატყობ?!. ვერ მატყობ, რომ გადარეული ვარ?!. და გეკედრები, შენ ნუ მრევ კიდევ, შენ ნუ მშლი უარესად... რა გინდა ჩემგან, კაცო!?. ბატონო ირინე, უმორჩილესად გთხოვთ, ორი წამი მითავაზოთ, მაგრამ ეგ თავლი-კაცი, ეგ ქვეყნის მესაიდუმლე, თავიდან მომაშორეთ...

**ირინე.** რა უნდა მითხრათ იმისთანა, რომ ვიქტორს არ გაეგონებოდეს? რა უნდა იყოს იმისთანა!?.

**აბესალომ.** გთხოვთ!

**ირინე.** გთხოვთ ამასთან მითხრათ...

**აბესალომ.** თქვენ რომ იცოდეთ ჩემი გულის ამბავი, ასე მკაცრად, ასე უნდობლად არ მომეპყრობოდით... არც მაძლევთ საშვალებას გამოვსთქვა ჩემი გულის ნადები და ამით მხოლოდ სულს მიხუთავთ, სიცოცხლეს მამწარებთ!..

**ირინე.** არ გეკადრებათ, ბატონო აბესალომ, მაგნაირი ლაპარაკი. .

**აბესალომ.** ვიყავ შეჩვენებული, თუ ჭეშმარიტებას არ მოგახსენებდეთ... თუ სრულს ჭეშმარიტებას არ მოგახსენებდეთ... და გთხოვთ,რომ თქვენის მხრითაც გავიგონო... (ირინე წასვლას აპირობს) სად მიხვალთ? თქვენ ვერსად ვერ წამისვალთ, სანამ არ მომცემთ პასუხს, სანამ სიტყვას არ მომცემთ...

**ირინე.** გთხოვთ გამანთავისუფლოთ, ბატონო აბესალომ!

**ვიქტორ.** აბესალომ, ყმაწვილო!

**აბესალომ.** პასუხი მინდა გავიგონო თქვენგან, თუ...

**ირინე.** მერე ვილაპარაკოთ, ბატონო, მერე... ახლა მე არ მცალია!..

**აბესალომ.** მერე როდისღა!?. როდისღა მერე!?. მე ახლავე მინდა

პასუხი!.. გადადება რაღა საჭიროა!.. ახლავე უნდა მი-
თხრათ...

**ირინე.** არა, არა! ახლა მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლია! (გაუ-
სხლტება და გაექცევა).

## გამოსვლა მეხუთე.

**აბესალომ და ვიქტორი**

**აბესალომ.** სად წამისვალ, სად?... სად წამისვალ?!..

**ვიქტორ.** რას სჩადიხარ, უმაწვილო?!.. რა ამბავში ხარ?!..

**აბესალომ.** გევედრები, თავი დამანებო!... ხომ მხედავ...

**ვიქტორ.** რომ შენ შენს ჭკუაზედ არა ხარ...

**აბესალომ.** ჰო, ჰო! სწორედ ჩემს ჭკუაზედ არა ვარ!.. და თავი და-
მანებე, თორემ მაწყენინებიებ შენოვის და დამემდურები!
ბრალი ჩემი აღარ იქნება!...

**ვიქტორ.** უმაწვილო, თავი როგორ დაგანებო, როცა ვხედავ, რომ
ირინესთან შენს საქციელს შეუძლია აქ ერთი აყალმაყალი
ატეხოს... გეუბნები, იმ ქალს ყავს ამორჩეული საქმრო
და ის კაცი თავს უფრო გამოიდებს კიდევ და...

**აბესალომ.** ჯანდაბას მისი თავი და ბოლო!... გთხოვ ჩემთან მას
ნუ ახსენებ... ირინესთან იმას ხელი აღარა აქვს დღეი-
დან, არა, ასე მოახსენე...

**ვიქტორ.** როგორ თუ ხელი აღარა აქვს?!. რა გინდა ამით თქვა?!.

**აბესალომ.** ის, რომ ირინეს საუკუნოდ გამოეთხოვოს...

**ვიქტორ.** აბესალომ!...

**აბესალომ.** ჰო, აბესალომ, აბა ვინა ვარ?

**ვიქტორ.** შენ რაღაცას უცნაურს აპირობ, აბესალომ...

**აბესალომ.** რასაც ვაპირობ, კიდევაც ავასრულებ...

**ვიქტორ.** აბესალომ, თუ შენ ფიქრობ როდამიშვილის და ირინეს
გაშორებას, ჯერეთ ეგ ვერაფერი ვაჟკაცური საქციელია,
და მერე ამასაც გეტყვი, რომ შენი მაცადინობა ტყვილა
ჩაივლის... არაფერი საკადრისია ამნაირი საქმე.

აბესალომ. მე შენ გთხოვ, ვიქტორ, იმ როდამიშვილს მოასხენო, ირინესი სახელიც კი დაივიწყოს სამიდლემჩიოთ!...

ვიქტორ. შენ ხუმრობ, თუ რა არი?...

აბესალომ. სულაც არა მეხუმრება!...

ვიქტორ. რა არისო ახლა ეგ?...

აბესალომ. ეს ის არის, რომ ირინე მე მინდა!... მე მინდა!

ვიქტორ. ა?

აბესალომ. მე მინდა-მეთქი და არავინ როდამიშვილი არ ვიცი მე!...

ვიქტორ. შენ გინდა?!..

აბესალომ. მე!

ვიქტორ. თუ მართლა გულში მაგისთანა რამ განიძრახე, გარწმუნებ, აბესალომ, როგორც გითხარი, შენი ყინი ასე იოლად არ აგისრულდება...

აბესალომ. რატომ?.. როდამიშვილი მჯობია? როდამიშვილს მარჩევენ?

ვიქტორ. არა, მაგრამ, გეიგონე კაცის, იმათ სიტყვა აქვთ ერთმანეთისთვის მიცემული...

აბესალომ. თუ გინდ ჯვარსაწერად წამდგარი იყვნენ... მე რომ ვთქვა, უარს მეტყვიან!..

ვიქტორ. უმაწვილო, ახლა რაღა დროსაა!

აბესალომ. დრო ყოველთვისაა.

ვიქტორ. გარწმუნებ, ქალი არასფრის გულისათვის არ გადათქვამს თვის სიტყვას!.. არასფრის გულისთვის!..

აბესალომ. არ გადათქვამს?

ვიქტორ. გარწმუნებ, რომ არა... აბა რისთვის გაგექცა—მიგისვდა რაზედაც გინდოდა ლაპარაკი ჩამოგეგდო და გაგშორდა...

აბესალომ. ეგ ტყუილია... ტყუილია, ჩემო ვიქტორ—ბატონო! და აგერ ახლავე დაგანახვებ ამას!.. და ესეც გახსოვდეს, ასე მითქვამს: შემირცხვეს ვაჟკაცობა, თუ მაგ ქალი მე ვისმეს დავუთმო!.. და ამისთვის კი მოგნახავ მე გზას!

ვიქტორ. აბესალომ, ძმობას გაფიცებ, წუთის გულის-თქმას ნუ აჰყვები, შენი ვაჟკაცობა ამაში უფრო გამოჩნდება!.. უკადრისი საქციელით ვაჟკაცობას ვერ დაამტკიცებ, ჩემო ძმაო!

**აბესალომ.** უკადრისობაზედ ლაპარაკი თქვენთვის მომინდვია. მე ჩემი სურვილი უნდა ავისრულო... თქვენს ტარტალს რას დავეძებ! (მიდის).

## გამოსვლა მეექვსე

### ვიქტორ და როდამიშვილი

**ვიქტორ.** (უკან მისდევს) აბესალომ, გაფიცებ დედ-მამას, უცნაურ საქმეს თავი დაანებო! აბესალომ! (შეჩერდება) აღარასფერი ესმის!.. რა თვალით შეხედა ამ წყეულმა ამ ქალიშვილს, რომ ასე უცნაურად გადირია!.. ფეხი მომტეხოდა და მასთან ერთად არ მოვსულიყავი დღეს აქ!.. რაცა დავიჯერო, მას მართლა უნდოდეს გულით ირინეს ცოლად შერთვა... წამოუარა ჟინმა, სხვა მეტი არაფერია... და უსათუოდ რაღაც უცნაურობას კი მოახდენს!.. სად წავიდა ახლა... საით წაეთრია ოხერი!..

**როდამიშვილი.** (შეხვდება მიმავალ ვიქტორს) ვიქტორ!.. შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს!.. ვიცი შენი კეთილი გული, უარს არ მეტყვი!..

**ვიქტორ.** თუ კი შემიძლია რამე, ბატონი ბრძანდები!.. რა იყო?

**როდამიშვილი.** ამ ოხერმა შენმა ნათლიისშვილმა მომკლა, უნდა გამოგიტყდე, ჩემო ძმაო, გამათავა კაცი!.. ისე ვარ, თითქო ირინეს ვინმე მართლა მართმევდეს და მე კი ძალაც არა მაქვს, ნებაც არა მაქვს დავიცვა და ჩემათ ვიგულვო!..

**ვიქტორ.** კარგი ერთი შენც!.. არ გრცხვენია მაგნაირ გულსუსტობის!?.

**როდამიშვილი.** რა ვქნა, ჩემო კეთილო!.. ასე კია და! და აი ამიტომ გადავსწყვიტე გთხოვო მიმეგზავნო ფილიპესთან და შენებურათ მოუყვე ჩემს გარემოებას!... მართალია ჯერ ისე მოწყობილი არა ვარ ჯვარი დავიწერო, მაგრამ მოსვენებულად მაინც ვიქნები, ჩემათ რომ ვიგულვებ ირინეს!... შენი ჭირიმე, გეისარჯე და დამავალე, ჩემო ვიქტორ!...

აბესალომ. მე შენ გთხოვ, ვიქტორ, იმ როდამიშვილს მოახსენო, ირინესი სახელიც კი დაივიწყოს სამიდღემჩიოთ!...

ვიქტორ. შენ სუმრობ, თუ რა არი?...

აბესალომ. სულაც არა მესუმრება!...

ვიქტორ. რა არისო ახლა ეგ?...

აბესალომ. ეს ის არის, რომ ირინე მე მინდა!... მე მინდა!

ვიქტორ. ა?

აბესალომ. მე მინდა-მეთქი და არავინ როდამიშვილი არ ვიცი მე!...

ვიქტორ. შენ გინდა?!..

აბესალომ. მე!

ვიქტორ. თუ მართლა გულში მაგისთანა რამ განიძრახე, გარწმუნებ, აბესალომ, როგორც გითხარი, შენი ყინი ასე იოლად არ აგისრულდება...

აბესალომ. რატომ?.. როდამიშვილი მჯობია? როდამიშვილს მარჩევენ?

ვიქტორ. არა, მაგრამ, გეიგონე კაცის, იმათ სიტყვა აქვთ ერთმანეთისთვის მიცემული...

აბესალომ. თუ გინდ ჯვარსაწერად წამდგარი იყვნენ... მე რომ ვთქვა, უარს მეტყვიან!..

ვიქტორ. უმაწვილო, ახლა რაღა დროსაა!

აბესალომ. დრო ყოველთვისაა.

ვიქტორ. გარწმუნებ, ქალი არასოვრის გულისათვის არ გადათქვამს თვის სიტყვას!.. არასოვრის გულისთვის!..

აბესალომ. არ გადათქვამს?

ვიქტორ. გარწმუნებ, რომ არა... აბა რისთვის გაგექცა — მიგისვდა რაზედაც გინდოდა ლაპარაკი ჩამოგეგდო და გაგშორდა...

აბესალომ. ეგ ტყვილია... ტყვილია, ჩემო ვიქტორ — ბატონო! და აგერ ახლავე დაგანახვებ ამას!.. და ესეც გახსოვდეს, ასე მითქვამს: შემირცხვეს ვაჟკაცობა, თუ მაგ ქალი მე ვისმეს დავუთმო!.. და ამისთვის კი მოვნახავ მე გზას!

ვიქტორ. აბესალომ, ძმობას გაფიცებ, წუთის გულის-თქმას ნუ აჰყვები, შენი ვაჟკაცობა ამაში უფრო გამოჩნდება!.. უკადრისი საქციელით ვაჟკაცობას ვერ დაამტკიცებ, ჩემო ძმაო!

**აბესალომ.** უკადრისობაზედ ლაპარაკი თქვენთვის მომინდვია. მე ჩემი სურვილი უნდა ავისრულო... თქვენს ტარტალს რას დავეძებ! (მიდის).

## გამოსვლა მეექვსე

### ვიქტორ და როდამიშვილი

**ვიქტორ.** (უკან მისდევს) აბესალომ, გაფიცებ დედ-მამას, უცნაურ საქმეს თავი დაანებო! აბესალომ! (შეჩერდება) აღარასფერი ესმის!.. რა თვალით შეხედა ამ წყეულმა ამ ქალიშვილს, რომ ასე უცნაურად გადირია!.. ფეხი მომტეხოდა და მასთან ერთად არ მოვსულიყავი დღეს აქ!.. რაგა დავიჯერო, მას მართლა უნდოდეს გულით ირინეს ცოლად შერთვა... წამოუარა ჟინმა, სხვა მეტი არაფერია... და უსათუოდ რაღაც უცნაურობას კი მოასწყენს!.. სად წავიდა ასლა... საით წავიდა ოსერი!..

**როდამიშვილი.** (შეხვდება მიმავალ ვიქტორს) ვიქტორ!.. შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს!.. ვიცი შენი კეთილი გული, უარს არ მეტყვი!..

**ვიქტორ.** თუ კი შემიძლია რამე, ბატონო ბრძანდები!.. რა იყო?

**როდამიშვილი.** ამ ოსერმა შენმა ნათლიისშვილმა მომკლა, უნდა გამოგიტყდე, ჩემო ძმაო, გამათავა კაცი!.. ისე კარ, თითქო ირინეს ვინმე მართლა მართმევდეს და მე კი ძალაც არა მაქვს, ნებაც არა მაქვს დავიცვა და ჩემათ ვიგულვო!..

**ვიქტორ.** კარგი ერთი შენც!.. არ გრცხვენია მაგნაირ გულსუსტობის!?.

**როდამიშვილი.** რა ვქნა, ჩემო კეთილო!.. ასე კია და! და აი ამიტომ გადავსწყვიტე გთხოვო მიმეგზავნო ფილიპესთან და შენებურათ მოუყვე ჩემს გარემოებას... მართალია ჯერ ისე მოწყობილი არა ვარ ჯვარი დავიწერო, მაგრამ მოსვენებულად მაინც ვიქნები, ჩემათ რომ ვიგულვებ ირინეს!... შენი ჭირიმე, გეისარჯე და დამავალე, ჩემო ვიქტორ!...

**ვიქტორ.** ბატონი ბრძანდები, დიდის სიამოვნებით! ამ წამსვე!

**როდამიშვილი.** შენი ჭირიმე!... უთხარი, რომ მართალია ღარიბი კაცის შვილია, მაგრამ შენს ქალიშვილს გვრიტივით შეინახავს-თქვა!...

**ვიქტორ.** კარგი, კარგი! (მიდის)

**როდამიშვილი.** შენს სულს დავენაცვლე! საუკუნო მოსამსახურედ გამიხადე!... დროს ნუღარ დაჰკარგავ, შენ დაგენაცვლე!...

**ვიქტორ.** ა, მივდივარ ეს არის!... ახლავე მოვრჩები და ახლავე ვე-ტყვი. (მარჯვნით გავლენ)

## გამოსვლა მეშვიდე

### ფილიბე და ირინე

**ფილიბე.** დღევანდელი დღე, შვილო, თურმე ორნაირად სასიხარულო ყოფილა ჩვენთვის!

**ირინე.** რავა, მამა?

**ფილიბე.** ამ კაი დღესთან იმისთანა კაი ამბავი უნდა გამოგიცხადო, რომ უკეთესი არ შეიძლება!...

**ირინე.** რა ამბავი, მამა?

**ფილიბე.** შენი გაბედნიერების ამბავი, შვილო! დიახ!... იმისთანა ჩინებული ყმაწვილი მთხოვს შენს თავს, რომ შენ ვერც კი წარმოიდგენ! აბა, აბა!

**ირინე.** (აღელვებული) ვინ, მამა... ვინ?...

**ფილიბე.** აბა თუ მიხვდები?... აბა თუ მიხვდები?... აბესალომ სალამთაძე!...

**ირინე.** აბესალომი?!...

**ფილიბე.** აბა, აბა! შენ ვინ გეგონა?!... აბა ტყვილად მეყავხარ კარგი გოგოსა, რომ უბრალო ვინმე გამიბედოს შენი თავის თხოვნა?!... კი შვილო! ეს არის თავათ მოვიდა ჩემთან, გამიხმო და ასე-ასეაო, იმედი მაქვს სიძეთ არ დამიწუნებო და შენი ქალიშვილის მთხოველი ვარ... მწარე გულითა ვარ მოწადინებულიო შვილად მიმიღოო ანა და

ჩემი თავი უნდა მოვიკლაო!... ასე თქვა, შენ ნუ მომიკვდები! ჩემი თავი უნდა მოვიკლაო! პასუხი მინდა ახლავეო!... აბა!

**ირინე.** (გაფითრებული ყურს უგდებდა, მერე აღელვებით) მერე... რა უთხარი შენ?...

**ფილიპე.** რას ვეტყოდი, შვილო... რა უნდა მეთქვა! ჩემის მხრით—კი ბატონო-თქვა ოღონდ, თუ უკადრავად არ ვიქნები-თქვა, პასუხს ახლავე მოგახსენებთ-თქვა... ჩემს შვილს გავაგებინებ და, რასაკვირველია, წინააღმდეგი არც ის იქნება-თქვა!...

**ირინე.** არა, მამა, არა!...

**ფილიპე.** რასაკვირველია, რასაკვირველია!.. ეგ მეც არ ვიცოდი, რომ აბესალომს შენ ვერ დაიწუნებდი!.. მე შენ გეტყვი, ვინმე აჯობებს...

**ირინე.** არა, მამა, აბესალომს მე ვერ წავყვები!...

**ფილიპე.** ა?!

**ირინე.** აბესალომს ვერ წავყვები, მამა!

**ფილიპე.** აბესალომს არ წაჰყვებიო?!!.. გადირიე, შვილო!

**ირინე.** ვერა!... ჩემო მამა, ჩემო!

**ფილიპე.** ღმერთო, ნუ შემშლი! რა მესმის ეს და ვისგან?!.. გესმის შენ შენი ნათქვამი?... გესმის, თუ არა?!..

**ირინე.** შენ გენაცვალე, ჩემო მამა, ჩემო კარგო მამა, შენს სულს გენაცვალე, მაგაზედ ნუღარაფერს მეტყვი!

**ფილიპე.** რა ამბავია ეს, რომ არ მესმის!... აბესალომის უნდომლობა?!.. ჰმ! რა ამბავია ეს, რა ამბავია?!.. აბა ვიღას უნდა წაყვე?!.. აბა ვიღა გინდა, ამისთანა კაჟკაც კაცს რომ არა ნდომულობ, რა ოჯახის შვილს, რა გვარის შვილს?!. წუნობ თუ?! აბა ვიღას უნდა წაყვე?!.. ვის?!..

**ირინე.** შენი ჭირიმე, შენი, ჩემო მამა, ჩემო!

**ფილიპე.** უარი ვუთხრა აბა?

**ირინე.** უარი, მამა!

**ფილიპე.** რა მიზეზიაო?!

**ირინე.** უთხარი... უთხარი, რომ...

ფილიპე. ჰო, ჰო... რა უთხარით? რა უთხარით, რომ სათქმელი არაფერია... რას გაჩუმებულხარ?... მასწავლე, რა ვუთხრა მიზეზად?...

ირინე. მამა, მე აზესალოს არ წავყვები... ვერ წავყვები!

ფილიპე. რა ამბავია შენს თავზედ, ირინე, დღეს?... სხომის როდის გილაპარაკნია ასე სულელურად? რამ წამოგიარა დღეს? ასეთი უცნაური გაჯიუტება!... ასეთი უცნაური საქციელი შენი!... მითხარი ერთი, რითი ავხსნა, რას მივაწერო?!.. ბედნიერება კარზედ მოგდგომოდეს კაცს და კაცი უარს ამბობდე?! ჰმ!.. ღმერთო, შენ დასწყევლე ყოველი მავნე და ბოროტი სული... რამ გადამირია ეს აქამდისინ უწყინარი და მორჩილი შვილი!... შვილო, ჭკუაზედ მოდი, ირინე! ის კაცი მოუთმენლად ელის პასუხს... სული უწუხს, სანამ გაიგონებს შენგან თანხმობის სიტყვას!...

ირინე. ჩემო მამა, ჩემო ძვირფასო მამავ, გევედრები, ნუღარ ჩამაცივდები...

ფილიპე. რატომ, შე შეჩვენებულო, რატომ?.. ერთი მიზეზი მაინც გამაგებინე! თელ ამ მხარეზედ ბადალი არავინ ყავს!... შემდარე არავინ ყავს!... თელათ ყმაწვილ კაცობის თვალად ითვლება!... შნოა თელათ ყმაწვილ კაცობის და შენ სდებ წუნს, შენ?! მითხარი ერთი... მითხარი, ბატონო, მითხარი ერთი! გამაგებინე!... მიზეზი გამაგებინე ერთი!... ჰო!

ირინე. არ მიყვარს...

ფილიპე. (მოკლე პაუზის შემდეგ) არ გიყვარს?!... სხვა არაფერი!... სხვა არაფერია?!..

ირინე. არ მიყვარს...

ფილიპე. ჩუ, აბა, ჩუ!... ხმა არ ამოიღო!... დიას, მანამდი ნუ გათხოვდები, სანამ ვინმე არ შეიყვარო ქალიშვილობაში და კისერზედ არ მოეხვიო ისე მაგრად, რომ ყელსად გაგწყდეს!... დიას! შენმა სიცოცხლემ! არ მიყვარსო?!.. არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება—მანამდი რომელი თავმო-

ყვარე ქალიშვილი დეიწყებს შენსავით ასე მოურიდებლად სიყვარულზედ ტარტალს!... ამას მოველოდი მე შენგან?!... ამის იმედი მქონდა მე შენი?!... მარა სულელი და უჭკუო მე ვარ, ამდენი ლაპარაკის ნებას რომ გაძლევ!... შენი უჭკუობისთვის ამნაირ ბედნიერებას რავა დაგაკარგვინებ?!... მერე მადლობასაც კი მეტყვი!

**ირინე.** მამა, მამა!... (ამ დროს სცენაზედ გამოიფინებიან ყმაწვილი ქალები და კაცები სალამურით, დაირით და ერთი ხმაურობით: „აგერ ყოფილა!“ მისცვივდებიან ირინეს).

## გამოსვლა მერვე

**ქალიშვილი 1.** ჩამორებული ლეკურია, ირინე... შენ დაგვრჩი მარტო!...

**ქალიშვილი 2.** შენ უნდა ჩამოიარო ერთი!... ვინც იცის და არ იცის, ყველამ ითამაშა!

**ირინე.** მეტისმეტად დაღალული ვარ. გენაცვალე, მერე ვითამაშებ...

**ქალიშვილები.** ახლა, ახლა უნდა ითამაშო...

**ირინე.** სხვა ათამაშეთ ჯერეთ...

**ქალიშვილები.** ყველამ ითამაშა, შენ დაგვრჩი მხოლოდ!... შენს გარდა ყველამ ვითამაშეთ!...

**ყმაწვილები.** თქვენ დაგვრჩით მხოლოდ... კავალერი თქვენ ამოირჩიეთ!...

**აბესალო.** (გამოხტება სათამაშოდ). აგერ გასლავართ! ტაში ყმაწვილებო! (ირინე გაკვირვებით ერთს გადახედავს და გაჰყვება თამაშში, ერთს შემოუვლის და გაჩერდება. საერთო ბრავო.

**როდამიშვილი.** (ვიქტორს). ვიქტორ, აგერ არის ფილიპე! ნუღარ გადადებ!

**ვიქტორ.** ახლავე, ა! (ხმაურობით ისევ გავლენ და ირინეს თან გაიყოლებენ.).

## გამოსვლა მეცხრე

### ფილიპე და ვიქტორი

ვიქტორ. (შეაჩერებს მიმავალ ფილიპეს). თქვენთან, ბატონო ფილიპე, ცოტა საქმე მაქვს!

ფილიპე. ოჰ, კაი დაგემართოს, მეც შენი ნახვა მინდოდა სწორედ!... ყმაწვილო, შენ რაღა დაგიმალო, შვილივით გიყურებ, შენთან რა მაქვს დასამალავი... შვილი გადამერია, საიმედო შვილი!... ჩემი ირინე!

ვიქტორ. ჰო!

ფილიპე. მომკლა კაცი, გამათავა!... ვიღაცამ შემიცთინა... ვიღაცამ გამისულელა! წარმოიდგინე, შენმა ნათლიისშვილმა, აბესალომმა იმისთანა პატივი დამსდვა, რომ ჩემი ღარიბი ოჯახიდან ჩემი შვილის ცოლად წაყვანა ისურვა, და ეს შეჩვენებული უარზედ მიდგება!... მერე თავათ მოვიდა და ისე მთხოვა ჩემი ირინე! ვინ გამიბრიყვა, ვინ გამისულელა!... არ მიყვარსო, დოუჯინია!... ჰმ, არ მიყვარსო! მოდი და ელაპარაკე ამ ქალბატონს!... აბა უნდა ვუყურო სანამ ვისმეს არ შეიყვარებს და სირცხვილს არ მაჭმევს?...

ვიქტორ. აბესალომი თვითონ მოვიდა შენთან და გთხოვა ირინე?

ფილიპე. აბა, აბა! ახლა პასუხს უცდის!

ვიქტორ. ჰმ!... რა პასუხი უნდა მისცეთ ახლა?

ფილიპე. უარის თქმა რავა შემიძლია!... უარი რავა მეთქმება, მარა ამ ბავშის საქმეც მაწუხებს და ამას გეხვეწები, ვიქტორ, ჩემი... შენ მამასავით გიყურებს და მიქენი სიკეთე, ჩააგონე, რომ იმ ყმაწვილს არ შეამჩნევინოს თავისი უჭკუობა და სისულელე... არ აწყენინოს! ხუმრობაა, თავად იცი, რა ოჯახის შვილია, რა გვარის შვილი!... ამნაირ ბედს ვინ არ ნატრულობს და მე უარი ვთქვა?!... იმე! შენ დაგენაცვლე, შენი ჭირი შემეყაროს, რას ემგვანება

ეს?! ჰმ!.. რას მივაწერო, რითი ავხსნა ამისთანა ახირე-ბა ამ ბავშის?!..

ვიქტორ. აბა მართალი მოგახსენოთ, ბატონო ფილიპე, თქვენი ქა-ლიშვილი მშვენიერად სჯის, თუ უარს ამბობს აბესალო-მის წაყოლაზედ!

ფილიპე. ა?... შენგან მესმის ეგ?!.. შენ მეუბნები ამას?!..

ვიქტორ. სწორედ! და დარწმუნებული ვარ, იმათ არ მიიღებ ამას, ვითომ და ირინეს უღირსად ვუყურებდე აბესალოს სა-ცოლოდ!... დამსწყევლოს მაშინ ღმერთმა!... არა, ბატო-ნო ფილიპე, აბესალო არაა ღირსი ირინესი და თუ თქვენ თქვენი ქალიშვილის ბედნიერება გსურსთ, თუ არ გინ-დათ სიცოცხლე გაუმწაროთ, მას, იმ ჩემს ნათლიის შვილს უსათუოდ უარი უნდა უთხრათ!

ფილიპე. რატომ, ვიქტორ, რატომ?... რომ არ მესმის მე ეგ ლა-პარაკი? რითია დასაწუნარი იმისთანა შესანიშნავი ახალ-გაზდა? შესედულობას დაუწუნებ კაცი, გვარიშვილობას, ოჯახს, ვაჟკაცობას თუ რას, მითხარით ერთი?

ვიქტორ. არც ერთს ამას, მაგრამ თავათ, პირადათ არ არის სა-ოჯახო კაცი... მაგას სრულიად არა აქვს იმისი თავი ოჯახს მოეკიდოს, არა თუ მოეკიდოს, მეტს გეტყვით, იგულოს ოჯახი! დღეს თუ ირინეს გთხოვთ და იმის-თვის ირევა, ეგ იმიტომ კი არა, მართლა მისი სიყვა-რული ჰქონდეს გულში, მართლა ცოლად ირჩევდეს მას... არა, მერწმუნეთ ამაში, ბატონო ფილიპე, არასოდეს, მაგ კაცი გატაცებულია ასე უცაბედათ აღძრული სურვი-ლით და არაფერს ერიდება რამე გზით კოხტა ქალი დეისაკუთროს და მერმისზედ ის სრულიათ არ ფიქ-რობს... მაგას გაღვიძებული გრძნობის ჩაქრობა სწადია და მერე რა იქნება, ამისი დარდი არაფრად აწუხებს, იმი-ტომ რომ ცოლსა და ოჯახს არასოდეს თავის თავს არ შეაწუხებინებს! აბესალომისთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოდ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებიან ოჯახს, იქ სიკეთე ჯერეთ არა-

ვის უნახავს!... საუბედუროთ, ამის მაგალითები საკმაოა ჩვენში!... თუ ვინმე გაძლებს მაგათთან, ისევ მაგ ხასიათის მაგვარი ქალი, თორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი ქმნილება მაგათ სიახლოვეს უკიდურესათ გაწვალებულია და წამებული! დამიჯერეთ, ფილიპე, რომ შენს ირინესაც ამგვარ მომავალს გაუმზადებ, თუ უარი არ მიუგე აბესალოს!

ფილიპე. აბა ვის უნდა მივცე, შვილო?

ვიქტორ. ცოტა არის იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ოჯახობას ეპირებიან, მართლა გულით წადიანთ ოჯახს მოეკიდონ და საიმედონი არიან, რომ მუყაითად გაუძღვებიან ოჯახს?!.

ფილიპე. და აბესალოს უთხრა ქალს ვერ მოგცემთ-თქვა?

ვიქტორ. უთხარი, სასიძო ამორჩეული მყავს-თქვა და, რომ ეგრე არ ყოფილიყო, ბედნიერი ვიქნებოდი-თქვა თქვენთან დამოყვრებითა...

ფილიპე. არ ჩამკითხავს მერე? მომასვენებს, სანამ არ გეიგებს ვინ არის...

ვიქტორ. უთხარით, უთხარით პირდაპირ!..

ფილიპე. ასე ტყვილად ვინ შეგასახელო... გამოძიებაში არ შევა შენ გგონია!

ვიქტორ. ტყვილა შესახელება რათ გინდათ!.. სწორედ იმისათვის გეძებდით ახლა, რომ შეგატყობინოთ თქვენი ქალიშვილის გულის ნადები და ერთი ჩინებული ყმაწვილი კაცის თხოვნა, და იმედია, რომ, როგორც შვილის მოსიყვარულე მამა, არც ერთის თქვენი წინააღმდეგობით არ დაურღვევთ მათ ბედნიერებას!.. სწორედ მაშველათ ვარ მოსული, ბატონო ფილიპე!

ფილიპე. ვისგან?

ვიქტორ. კი, მართალია, მდიდარი ოჯახის შვილი არაა, მარა ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ პავლე როდამიშვილი ჩინებული ახალგაზრდაა, მუყაითი, პატიოსანი...

ფილიპე. და იმას მივსცე ირინე!?.

ვიქტორ. სწორედ! მით უფრო რომ ქალსაც და კაცსაც ერთმანერთი უყვართ და მართლა ბედნიერნი იქნებიან!..

ფილიპე. ერთმანეთი უყვარით!?. ამისთვის დეეთრეოდა ის წუნწკლიანი ჩემს ოჯახში?!. ამისთვის დაძვრებოდა, რომ სიყვარულ-ზედ ქმართა მუსაიფი იმ უტიფართან! ღმერთო მომკალი!.. რა მესმის ეს! რას მოვესწარი — ქალიშვილი ასე ურ-ცხვად, ასე მოურიდებლად მელაპარაკება, ეს მიყვარს, ეს არ მიყვარს, ეს ასეთია, ეს ისეთია!.. და შენც, ვიქტორ, ძვერს უკრავ ამაზედ და მირჩევ ავყვე ბლარტს, რომ მერე სასაცილოთ გავიხადო ჩემი თავი! შენგან არ მიკვირს, ამის-თანა რჩევას რომ მაძლევ!.. მე სულ სხვა კაცად გიყუ-რებდი... სულ სხვა იმედით ვიყავი შენზედ!

ვიქტორ. ისე მე გიცოცხლო, თქვენ არ დაგიფიცავთ, რავარც მე წრფელის გულით გირჩევდეთ, რაც ახლა მოგახსენეთ!..

ფილიპე. აბესალომი უარით გავისტუმრო და როდამიშვილს ქალი მივსცე?

ვიქტორ. დიახ!.. თუ თქვენი შვილის გაბედნიერება გსურთ! — ასე უნდა ჰქნათ!

ფილიპე. უკაცრავად კარ... სწორედ უკაცრავად! და თქვენს რჩევას მე ვერასოფრის გზით ვერ მივიღებ!.. ჰმ! სალამთაძეს უარი ვტკიცო ვიღაცა როდამიშვილის გულისათვის!... კაი ამბავი თუ გინდათ, ეგ იქნება!... არა ჩემო ბიძია!... ღმერთის მადლენად ჩემთვის კიდევ ჭკუა არ წაურთმე-ვია, რომ საქმეს და მდგომარეობას ვერ მივხვდე!... ვი-ღაცა ბარბაქაძეს სალამთაძე ხელს გიწვდიდეს, შენთან დამოყვრებას ნატრულობდეს და უარს ეუბნებოდე! კაი შენი ჭირიმე! ქვეყანა არ მოკვდება სიცილით?!... სულე-ლად არ მიგიღებენ კაცსა?...

ვიქტორ. ბატონო ფილიპე!...

ფილიპე. კაი, კაი შენი ჭირიმე! კაი შენი ჭირიმე! უმორჩილესათ გთხოვ, ამაზედ ხმას ნუღარ ამოიღებ!...

ვიქტორ. ნუ ჩქარობთ, ბატონო ფილიპე... გამიგონეთ... ერთი სიტყვა მაინც მათქმევინეთ და...

ფილიპე. არც ნახევარი... არც ნახევარი! აბესალომის მხრით პატი-ვია ჩემს ოჯახზედ მისი სურვილი, სწორედ პატივია! და

ზანჯგვლიანი როდამიშვილისათვის ჩემს შვილს მე მის უჭკუობით ბედს ვერ დავაკარგვინებ! ვერა, ვერა!... თუ მარტო ამაში იყო საქმე, იმ პატიოსან ყმაწვილს, ღმერთო მომკალი, ამდენ ხანს რავა მოვკლავდი ლოდინით!.. (მიდის).

**ვიქტორ.** მოითმინეთ, ბატონო ფილიპე! მოითმინეთ ერთ მინუტას!

**ფილიპე.** მერე, მერე!... (მიმავალი იქით). გაეშმაკებულია ყოველი კაცი! უნდა აბესალომ დააშოროს ირინეს! კი მიგისვდით!

## გამოსვლა მეათე

**როდამიშვილი.** ვიქტორ... რაო?!...

**ვიქტორ.** მსეცია!... მსეცი, ჩემო ძმაო! ახლოსაც არ გეიკარა ჩემი სიტყვა! პატივისცემად მიაჩნია აბესალომისაგან... ირინეს რომ თხოვს... უარს ვერ გოუბედავო!

**ირინე.** ვიქტორ... მიშველე!... მიშველე, შენს ძმობას გაფიცებ!

**ვიქტორ.** რაღა გიშველო, საყვარელო დაო! რაღათი გიშველო!... ალბათ არ ყოფილხართ ერთმანეთის ბედი!

**ირინე.** თავს მოვიკლავ და აბესალომს კი არ წავყვები! თავს მოვიკლავ და არ წავყვები!

**ვიქტორ.** ჩუ! ნუ ტირი! აგერ მამა-შენი მოდის!... პავლე, მოშორდი, თუ ძმა ხარ!... აქ აღარაფერი გაგეწყობა, ტყვილი იქნება ყოველივე შეცადინობა!

## გამოსვლა მეთერთმეტე

**ფილიპე.** სად ხარ, ყმაწვილო, მე შენ დაგეძებ?!... ეს რაა?... ცრემლები?... რა გატირებს, რა ღმერთი გიწყრება? რა ეშმაკი გრევს? ახლავე თვალები ამოიწმინდე! ჩუ, ჩუ!

**ირინე.** მამა, ჩემო მამა... ჩემო კარგო მამა!..

**ფილიპე.** ნუ სულელობ გეუბნები!.. ნუ მჭრი თავს ქვეყანაში!.. ამას მოველოდი მე შენგან?! შე სულელო, შენ არცკი გესმის რა ბედნიერებას ეყრები!.. ჩუ, ხმა არ ამოიღო!

**ირინე.** მამა, შენს სულს დავენაცვლე! ჩემო მამა!...

**ფილიპე.** რაღა დროს ლაპარაკია... ის უმაყვილი გვიცდის... ახლავე უნდა გამოცხადდეს!... წამოდი, ბავშო! წამოდი თქვა! (მიჰყავს) ვიქტორ შენც!... და იმ საძაგელს უთხარი, ხმა არ ამოიღო, არსად სადმე დასცდეს... თორემ!

## გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე **აბესალომ** და **როდამიშვილი**

**აბესალომ.** რომ ვეღარ მოვესწარი!... რა იქნა, ფილიპე ჩემო!...

**ფილიპე.** აჰ, ბატონო ჩემო! ეს-ეს არის გიახლებოდით!

**ირინე.** ბატონო აბესალომ!

**აბესალომ.** თავად ბატონი და ხელმწიფავ!..

**ირინე.** წესან მე ვერ მოვასწარი პასუხი მომეხსენებია თქვენთვის.

**აბესალომ.** მოუთმენლად მოველი თქვენგანაც გავიგონო იგი... თქვენ-განაც!...

**ფილიპე.** კი ბატონო, კი ბატონო!

**ირინე.** დიდად მადლობელი ვარ თქვენი ჩემდამი გრძნობისათვის... მეც სიტყვას გაძლევთ მოგიგოთ ნამდვილი და-ძმური სიყვარულით!

**აბესალომ.** და-ძმური!?. არა, არა!... მე თქვენს თავს ვერავის წამარ-თმევს... ვერა, ვერა!

**ფილიპე.** ვინაა წამრთმევი, შენი ჭირიმე, ვინა!?. რას ბძანებთ!...

**აბესალომ.** და ჩემი ბედნიერება ახლავე თელ ქვეყანას უნდა გავა-გებიო! ახლავე!

**ფილიპე.** კი ბატონო, კი შენი ჭირიმე!... წამობძანდით... სახლში წამობძანდით! (მიჰყავს თავჩაკიდებული ირინე).

**აბესალომ.** ვიქტორ! ვიქტორ!... მოდი, კაცო! (სახლისკენ მიდიან)

**ფილიპე.** ვიქტორ, მობძანდი!

**ვიქტორ.** გიახლებით!... (როცა ყველანი გავლენ, მარცხნით გაიხედავს და როდამიშვილს იხმობს) პავლე! (შემოდის როდამიშვილი შეწუხებული) პავლე, გაფიცებ უმაწვილ-კაცობას შეიმაგრო

თავი, რომ არავის შეამჩნევინო შენი მწუხარება... ირინეს გულისათვის მოიქეცი აგრე!... რას იზამ, ძმაო, ჯერეთ კიდევ მხეცობაში გვიდგა ფეხი!... ისე შეახედვინე ყველას, თითქო თქვენს შორის ნამდვილ არაფერი ყოფილიყოს, თუ ძმა ხარ!... შენ მაინც შეიბრალე საწყალი ირინე! წამოდი! (რომ დააპირებენ სახლისკენ წასწვლას, ამ დროს მოისმის ურას ძახილი, ხმაურობა და მრავალ-ჟამიერ).

**როდამიშვილი.** გადაგიწყდა ყოველივე სიხარული, აბესალომ სალამთაძევ! გადაგიწყდა!

ფარდა

# მოქმედება მეორე

სალამთაძის სახლი

## გამოსვლა პირველი

**ეკა** (დედა აბესალომისი) და **ვიქტორი.**

**ეკა.** ისე შენს დამწყევარს მოაკლდა, შვილო, ყოველივე სიხარული, როგორადაც ნათლიიშენის გული მოკლებული შეიქმნა ყოველივე სიამოვნებას, ჩემს შვილებს რომ ამ ნაირად ვუმზერ! ისე ეიგორა გული, ისე უცნაურად გამოიცვალა მასთან ხასიათი ჩემმა აბესალომმა, რომ აღარავისათვის დამალული აღარაა მათი ამბავი!... რა მოუხდათ? რაზედ ჩამოუვარდათ ამნაირი ამბავი, ვერაფერი გავიგე, შენ დაგენაცვალე!... ემდურის რამეს. აწყენია იმ საცოდავმა რამე!... ვერაფერი გავიგე! აბესალომს, რა ვქნა, კითხვა ვერ გავუბედე, შვილო, და ის ქალია და ქე მეცოდება, გამოკითხვით ვაი თუ შევწუხთეს, რომ გეიგებს, ჩვენთვის დაფარული რომ აღარ არი მათი ამბავი!... ვარ ასე

და ვასკდები ჩემს გულს!... უნდა ვიმწუხრო... უნდა ვიჟივლო და ვიტირო ჩუმათ მაგათ შემხედვარემ!...

**ვიქტორი.** აბესალომ სად არის წასული, ნათლი!

**მაკა.** რა ვიცი, შვილო, წავა, გადიკარგება სადღაც... მოვა, ერთ-ორ დღეს გაათევებს სახლში... ისიც სულ იღრინება, გაბუტულია ხოლმე, მერე ადგება და ისევ წავა თავისთვის... კითხვას ვინ გაუბედავს, შენ დაგანაცვლე!... მამა მისია და ვეღარც ის უსწორებს ნებას და არის ისე!... ეს კია, როგორც მოვა თუ არა, იმ წამსვე იმის კითხვაშია თუ ან ვინ იყო მომსვლელი ან წამსვლელი!... სულ გამოიცვალა ვიქტორ ჩემო, სულ... ვეღარ იცნობ ჩემს აბესალომს!... სხვაგან არ ვიცი რავაა და სახლში რომ ვუყურებ, გული მიკვდება და უფრო ის მკლავს, რომ ვერაფრით დავხმარებივარ... ვერაფრით შევწევნივარ!...

**ვიქტორ.** ირინე როგორაა?

**მაკა.** როგორ იქნება, შვილო!... გულში რა ცეცხლი უტრიალებს, რა რიგად გაუგებ და ისე რომ უყურო, კითომ და არაფერიაო... კითომც ქმრის უსაქციელობას ვერ ამჩნევდეს!... არის ისე მორჩილებით მასთან, თვალებში უყურებს, რა უნდაო, რა იამებაო!... სიტყვას არ ამოიღებს მეტს იმასთან!... სხვა დროსაც არის მუდროდ, დაფუსფუსობს ოჯახში, არაფერ საქნარს არ შეიძლება რომ დაერიდოს... ძვირფასი სათაყვანო ქალია, ტყვილს ვერ ვიტყვი, შვილო!... ეს უფრო მიკლავს გულს და შხამს მიმატებს!... ამისთანა ქალზედ რატომ უნდა ეიგოროს გული ვაჟკაცმა კაცმა!?. ეგები ჩვენთან არ აჩენდეს თავის ხასიათს და არ ვიცოდეთ დაწვრილებით... რასაკვირველია, ქმარს უფრო ეცოდინება თავის ცოლის ამბავი!... შეიძლება რამე მიზეზიც ქე მიეცეს მაგ უბედურს ჩემი აბესალომსათვის... აბა ასე ტყვილა-უბრალოთ!

**ვიქტორ.** არა, ნათლია-ჩემო!... მართალი გითხრათ, ეგ რომ მაგრე იქნებოდა, მე თავიდანვე ვიცოდი და იმიტომაც მინდოდა

აბესალოსათვის ხელი შემეშალა, იმ დღეს ირინესათვის რომ გადირია, მაგრამ ვერასფერი გავაწყევე!...

**ეკა.** ნეტავი შენი კარგა ყოფნით აგეცილებია მაგისათვის მაშინ!

**ვიქტორ.** რამდენათაც მე გავიგე... და ეგ უსათუოდ აგრე იქნება... აბესალო იმ ყმაწვილთან ეჭვობს ირინეს, ქე რომ წაართვა... წართმევა იყო, აბა რა სახელი დევარქმევა!... იმასთან ეჭვობსო... ასე მითხრეს მე!...

**ეკა.** უი, უი!... არა შვილო! არა, არა, ცოდვაა, ცოდვა მაგ, რომ კაცმა მაგისთანა რამე დააბრალოს მაგ უბედურს, მაგ საწყალს...

**ვიქტორ.** ასე კი გავიგონე ერთს და ორ ადგილას კი არა!...

**ეკა.** ტყვილია, ტყვილია, შვილო! ამ დასამიწებელ თვალებს დღე და ღამ მას არ ვაშორებ... თავათ არის და ეს უკანასკნელი ხანია ეზოდან სხვაგან ფეხიც არ გადუდგამს!.. ნატვრითაც არ უნატრია სხვაგან წასვლა და რაღა ეჭვიანობა შეიძლება, ჩემო საყვარელო შვილო!.. აჰ, აჰ! ცოდვაა, ცოდვა მაგნაირი სიტყვა! შენ წარმოიდგინე, ალბათ მაგისგამო, აბა რა უნდა იქნას სხვა, იმათაც გაგონილი ექნებათ, თუ კი შენც გითხრეს... წარმოიდგინე, ამ ბოლო დროს თავისიანებმაც მოუკლეს მნახველების გამოგზავნა!.. აღარავინ მნახველი მოუდის!.. და რაღა დაეჭვება შეიძლება კიდეც!..

**ვიქტორ.** მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგათი უკმაყოფილების მიზეზი ეგ იქნება... ამას ლაპარაკი არ უნდა და თქვენ უნდა მიასკვდროთ აბესალო, რომ შემცთარია...

**ეკა.** რანაირათ, შვილო, რანაირათ!...

**ვიქტორ.** რომ საფუძველი არა აქვს!... ტყვილა კი თავის სახელსაც ირცხვენს და ცოლსაც თავს სჭრის ქვეყანაში!...

**ეკა.** აბა რა იქნება, შენ დაგენაცვლე!... აბა რა იქნება სხვა!...

**ვიქტორ.** რატომ უნდა ქნას ამისთანა საქმე, როცა არავითარი საფუძველი არა აქვს?!.. რატომ?!..

**ეკა.** კი, ჩემო სიცოცხლე, კი, ჩემო სინათლე, და გვიქენი იმდენი სიკეთე, შენ დაგენაცვლა შენი ნათლია, უთხარი ასე, მოე-

ლაპარაკე აბესალოს... ეგებ შენი გეგონოს, ეგებ ჩაუკვირდეს თავის საქმეს... და გონზედ მოვიდეს!.. რა ვქნათ, შვილო, ჩვენ, მოხუცებულებმა, რანაირად ვუთხრათ, რანაირად გოუბედოთ!... და შენ ძმასავით ურჩიე, ოუხსენი ყორიფელი!...

**ვიქტორ.** მეც სწორედ მაგისათვის მოვედი დღეს, გამოტეხილი უნდა გითხრათ! მინდოდა მენახა და მეთქვა ერთი-ორი სიტყვა, თორემ ნამეტანი მითქმა-მოთქმაა და უარესი ის არის, რომ აბესალოსაგან ელდევდ სალაპარაკო!... უნდა მოისპოს ეს უცნაური და უხეირო ლაპარაკი! აბესალო კია დანაშაული ყორისფელში...

**ეკა.** აბა, ჩემო ვიქტორ, შენ თუ რამეთი გამიხარებ ამ დათუთქულ და დამწუხებულ გულს... ღმერთი, შვილო, მაგიერს მოგიძღვნის...

## გამოსვლა მეორე

იგინივე და **ირინე**

**ირინე.** (თავსაფარ უკან წაკრული თავზედ) დედა, კიდევ ორი წიწილა არ დაკარგულა?!.. (ვიქტორს შენიშნავს) უი, ვიქტორი მოსულა?! კი ვერ შევხედე...

**ვიქტორ.** გეტყობა, ძალიან გწყენია წიწილების დაკარგვა!..

**ეკა.** რაცასა უბედურებაა, არ იქნება ისეთი დღე, თითო-ოროლა არ დეიკარგოს... რა ამბავია, ვერაფერი გავიგეთ!... გაგვიწყალა სული, რაც ინდოური გვყავდა!...

**ირინე.** სად დაგვეკარგე, ვიქტორ... რაცა ხანია თვალით არ გვენახე? დედა ძალიან გემდურის, იცოდე... წინედ ყოველ კვირა იცოდა მოსვლა.

**ვიქტორ.** რა ვქნა, შემხვდა ასე.

**ირინე.** თუ მე ცუდი ფეხით შემოვედი აქ და მას აქეთ აღარავინ ეკარებით აქაურობას?

**ეკა.** რატომ, შვილო, რატომ ამბობ მაგას?...

**ვიქტორ.** (სიცილით) შეიძლება, მაგრეთაც იყოს.

**ირინე.** არა თუ? (ფანჯრიდან დაინახავს) ოჰ, აბესალოც მოვიდა!

**ეკა.** (წამოვარდება და ფანჯარასთან მივა) აბესალო მოვიდა?...

**ვიქტორ.** კი, აბესალოა!

**ეკა.** ესენი ვინ არიან? ვეღარ ვიცანი...

**ვიქტორ.** ერთი სოკრატა ბურაშვილია და მეორე ნესტორა ტაბიძე.

**ეკა.** მართლა... მართლა! კი ვეღარ ვიცანი! სად შეხვდომიან ერთმანეთს?

**ვიქტორ.** მაგენი კი მოსმენნიან ყოველთვის ერთმანეთს!.. ნაქეიფარი მოდიან სადღაციდან ესათუოთ!

**ეკა.** (ირინეს) გადი, შვილო, გეგებება ქმარსაც და სტუმრებს... ზალოკონზედ შეეგებე!... მეც ახლავე გამოვალ!

**ირინე.** კი, ბატონო! (გავა)

**ეკა.** ე, თვალი მიაყოლე, ვიქტორ ჩემო, რა რიგათ სასე მოედუშება ჩემს აბესალოს... არ შეუძლია წარბი გახსნას ირინეს შემხედვარემ!.. რა ვქნა, რა ვუყო, მაგათ ამნაირ ამბავს რომ ვუყურებ... ნეტავი დროს მაინც გეეხლო, რაც მაგათ ჯვარი დაიწერეს!...

## გამოსვლა მესამე

იგინივე, **ირინე, აბესალო, ნესტორ** და **სოკრატა**

**აბესალო.** ოჰ, ვიქტორ?!. სად გადიკარგე, ყმაწვილო?..

**ვიქტორ.** სხვაგან ვიყავი—საქმე მქონდა!

**ეკა.** დაბძანდით, ბატონებო!

**ყმაწვილები.** გახლავართ!

**აბესალო.** ღვეურები აიძვრეთ... მამა შინ არის, დედა?

**ეკა.** სახლშია, შვილო!... ცოტა უქეიფოთაა და წამოწოლილია თავის ოთახში!...

**აბესალომ.** არაფერი... გვაცალე, ახლავე ფეხზედ წამოგაყენებთ!... ისევ ჯანზედ დავაყენებთ! შენ ოღონდ ხელათ ისეთი სადილი შეგვიმზადე, აი ჩვენისთანა ყმაწვილებს რომ შეჰკადრება!... დროზედ, თორემ ცდაც აღარ შეგვიძლია!

**ეკა.** ახლავე, შვილო! ირინე ჩემო! (ირინე გავა).

**სოგრატა.** ბატონო ეკა, თუ გებრალებით, ღვინოს ნუ დაგვანახვებთ!

**ნესტორ.** აბესალომ, თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს გამოიგონებ... არაფერი არაა საჭირო!... ჯერ რომ ბატონი სამსონი უქეიფოთ ბრძანებულა და მერე კიდევ, თქვენ ნუ მომიკვდებით, ბატონო ეკა, ეს მეოთხე დღეა სწორედ, რომ ღვინოში დავცურავართ!... რა იყო, რა იყო!? ჩემო ბატონო!—ცოცხლები რაობით გადავურჩით!...

**ვიქტორ.** თქვენ კი არაფერი გეტყობათ და!

**სოგრატა.** არ გვეტყობა კი არა...

**აბესალომ.** კარგი, კარგი!... მაგაზედ რაღა ლაპარაკია საჭირო! მოდით სამსონი ვნახოთ... ქეიფზე მოვიყვანოთ მოხუცებული... მოდი ნესტორ!... და დედა აბა შენ იცი!...

**ეკა.** კი შვილო, კი! ყორიფელი ახლავე იქნება! მიბძანდით! თქვენი ჭირიმე... მიბძანდით! (თავად გავა. უკან ჩამორჩებიან ვიქტორი და სოგრატა, რომელნიც წინად ერთად ისხდნენ და ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ ჩუმად).

## გამოსვლა მეოთხე

### ვიქტორი და სოგრატა

**სოგრატა.** ერთ ბეწვაზედ გადავრჩით საშინელ უბედურებას!... ჩააცივდა კოლა ბეყასნეიშვილს, ჩააცივდა, აღარ მისცა საშველი... არ მისცა საშველი... ამოიჩემა ასე ტყუილა-უბრალოდ! ბევრი უთმინა და რომ გამოვიდა მოთმინებიდან, ასე ამ ხალხში მიაძახა: ჩემზედ რომ ასე თვალი გიჭირავს, უკეთესი იქნებოდა ცოლისათვის გედევნა მაგრე მარჯვედ თვალიო!...

ვიქტორ. თუ ძმა ხარ!

სოკრატა. ძმობას გეფიცები! თელ ხალხში მიაძახა ასე! იმე, რა ნახეს, კაცო, ჩემმა თვალებმა, რა ნახეს?!.. ღომი რომ გინახავს გამძვინარებული, ერთი ისკუპა იმ ხელაზედ და დაახტა კოლას, გეგონა, გაათავა ეს არის-თქვა... მაგრამ იქით-აქეთ კეცით... ვიღა შეიკავა!... ძლივს დავაშორეთ ერთმანეთი!... კბილებს აკრაჭუნებდა, კაცო, ისე რომ იქ გეიგონებდი!

ვიქტორ. შეურცხვა მაგას ყმაწვილკაცობა, გამოაჭიანა ქალი ასე ტყვილა-უბრალოდ! ყველამ გაიგო, ყველა მიახვედრა, რომ ეწამება ცოლს... ნეტავი საწყალი რამეში დამნაშავე მაინც იყვეს!...

სოკრატა. ალბად არის, კაცო! აბა რატომ შეიძულა ასე უცნაურად და ისეთ გუნებაზეა, რომ მზათაა, მგონია, სიცოცხლეს გამოასალმოს!

ვიქტორ. იცის ღმერთმა, რომ ირინე არაფერ მაგისთანაში დანაშაული არ იყოს!... იცის ღმერთმა!

სოკრატა. ყველას კი ჯერა?

ვიქტორი. თავათ რომ არწმუნებს ყველას თავის საქციელით, აბა სხვა რა იქნება!

სოკრატა. პავლიკო ცისკარაშვილის პირით კი შეუთვალა როდამიშვილს, რომ ან აქედან სადღაც გინდა გადიკარგეო, ამ მხარიდან ეიყარეო, ანა და ამ მოკლე ხანში, სადაც მოგასწრებ, იქ აგკუწავ ნაჭერ-ნაჭერო! ასე შეუთვალა გუშინწინ. გუშინ ისეთი დათვრა სიპიტაძისას, ისე დათვრა, რომ ხომ ბევრ სმაში მინახავს მაგი, მაგრამ გუშინდელსავით გაგიჟებული კი ჩემს დღეში არა ჯერეთ!.. ახლა ჩაგვაცივდა, აღარ გაგვიშვა და, მე ვიცი, ჩაგვკლავს დღეს მაგ დალოცვილი!

ვიქტორ. ეჰ, კაი, თუ გიყვარდე!... მაგ ისეა, ეტყობა, შეწყობილი, რომ კაცი უნდა ერიდოს, თვარა ერთ უბედურებაში გაგხვევს!

## გამოსვლა მეხუთე

იგინივე და **აბესალომ**, მერე **ირინე**

**აბესალომ.** სამსონი გკითხულობსთ, ყმაწვილებო, რა მუსაიფში გაბმულხართ!

**ორივე.** ახლავე მივდივართ!

**სოკრატა.** სიტყვა მინდა დიდი ხნიდან ვიქტორთან... ძლივს ხელში ვიგდე.

**აბესალომ.** მიდით-მეთქი, მიდით! (ორივე სამსონის ოთახში შევლენ).

**ირინე.** დედამ რომელი ღვინო ამოვაღებინოთ?...

**აბესალომ.** ნაქანი! ანა და წყალ-მაჭარა!... მაგეც საკითხავია?!... (კარებში) ბიჭო ნიკოია, მაგ ცხენებს აწი უნაგრები მოხადე და თივა ბლომათ მიეცი!...

**ირინე.** რა პასუხია ეგ, ყმაწვილო?!... (აბესალო ეზოში იყურება). ადამიანმა ერთხელ მაინც წესიერად ნათქვამი სიტყვა ვერ გაიგონოს!... (უცბად მოტრიალდება და აჩქარებული ნაბიჯით გავა ოთახიდან). გაწირდა, ღმერთმანი, სიცოცხლე!...

**აბესალომ.** (კარებიდან გამობრუნდება). ჯერ სად ბრძანდები!, გაწირვებული სიცოცხლე რანაირი უნდა, აწი განახვებ, ქალბატონო! (ფანჯარაში იყურებოდა და უცბად მოშორდება, გაჯავრებით კარებში). ნიკოია, ნიკოია, ბიჭო!... არ გესმის!

**ნიკოია.** (შემოვარდება). რა გნებავთ, ბატონო?

**აბესალომ.** რომ დაგიძახებენ, მეორე დღეს უნდა გაიგონო, შენ ოხერიშვილო! გასწი ახლავე, ეგერ ცხენოსანი რომ ეზოში ჩამოვიდა, მიდი და უთხარი, არავის არ ღებულობენ-თქვა!... გასწი, რას დაგიღია პირი!

**ნიკოია.** დიდი ქალბატონი გეძებება, ბატონო...

**აბესალომ.** დიდი ქალბატონი!... პირი დაგითვრენია ვირიშვილს!... გაეთრიე, შე მუდრეგო! დამეკარგე იქით!!!. ამოვარდა თქვენი სახსენებელი!... (მეორე კარებისკენ მიმავალი).

ახლავე გავაბუზუნებ მაგ კაჟბატონს!... ა, თქვენი რჯული; თქვენი! თქვენი!

## გამოსვლა მეექვსე

აბესალომ და ეკა (რომელიც სამსონის ოთახიდან გამოვა) მერე **ვიქტორი**

**აბესალომ.** რა უყავი ის კაჟ-ბატონი?

**ეკა.** ვინა, შვილო?

**აბესალომ.** ახლა რომ მოეთრია?

**ეკა.** ჩემი ირინეს ბიძაშვილი, სოლომონი იყო, შვილო! სამსონთან შევიყვანე!

**აბესალომ.** ახლავე აქედან წაეთრიოს... ახლავე მოჰკურცხლოს თავისით, ჩემს თვალებს არ დაენახოს!... გესმის!

**ეკა.** შვილო, შვილო აბესალომ!... შენი ჭირი შეეყაროს დედა-შენს, მაგას რას ამბობ, შვილო!?... რას ამბობ, შვილო?!...

**აბესალომ.** ეგ მე ვიცი, რასაც გამბობ! მე ვიცი!... ბერიკაშვილი კი ახლავე მომაშორეთ, თუ არ გინდათ, რომ ბიჭებს გავაბუნძურებინო!... (გავა).

**ეკა.** (გაშტერებული) ღმერთო, რატომ არ მომკლავ!...რას მოვესწარი ამას! რას მოვესწარი!... (შემოსულ ვიქტორს). ვიქტორ! შვილო ვიქტორ! მიშველე რაცასა! უცნაურ ამბავს აპირობს ჩემი აბესალომ...

**ვიქტორ.** რა იყო?...

**ეკა.** ირევა ირინეს ბიძაშვილის მოსვლისათვის... სახლიდან ღვთისოვლეთო, თვარა ბიჭებს გავაგდებინებო!... მიშველე, შენ გენაცვალოს შენი ნათლია! ამაშორე სირცხვილსა და გამოჭიანებას!... შენს სულს გენაცვალე!... აგერ მოდის და შენი ჭირიმე... შენი! (საჩქაროდ გავა).

## გამოსვლა მეშვიდე

### ვიქტორი და აბესალომ

**აბესალომ.** დედა-ჩემი იყო აქ, ვიქტორ! სად წავიდა, თუ იცი?

**ვიქტორ.** ეს არის ახლა გავიდა, მკვდარია ქალი!... აბესალომ, გარგია, თუ ძმა ხარ! ამ შენ სახლში მაინც ნუ იზამ იმისთანა საქმეს, რომ შემდეგ ქვეყნის სალაპარაკო გახდეს! თუ კაცი ხარ, ქვეყანას ნუ ააყაყანებ!

**აბესალომ.** ქვეყანაში მე კარგა ხანია სახელიც გამიფუჭეს და კაცობაც შემირცხვინეს, რომ მორიდება მჭირდეს კიდევ! კმარა, რაც თავლაფი დამასხეს და აწი მე მიყურონ... მე, მე მიყურონ!...

**ვიქტორ.** მერე რაც გინდა ის ქენი და დღეს, თუ ძმა ხარ, ამ ბერიკაშვილს თავი დაანებე, ნურაფერს შეამთხვევ.. ეგა ჯავრით აღარ არის, მართლა გონია, გაგაგდებო გითქვამს... იკლავს თავს საწყალი...

**აბესალომ.** გაგაგდებ, მაშ არა!... ვხუმრობ თქვენ გგონიათ?!... თუ თავათ ახლავე აქედან არ წათრეულა, შერცხვენილი დამიძახეთ, თუ არ გავაბუნძურო!...

**ვიქტორ.** ყმაწვილო, რას ერჩით ამ ყმაწვილს, რა დაგიშავა, რა გიყო საიმისო?...

**აბესალომ.** ეგ მე ვიცი!

**ვიქტორ.** კაი დაგემართოს, შენ რომ იცი, მაგრამ ამ ოჯახში, შე კაცო, შენს გარდა დედაა, მამაა შენი!... სახელი მათი ქვია ჯერეთ ამ ოჯახს!... შენ არ მომიკვდე, არავინ არ მოგიწონოს ასეთი ახირება...

**აბესალომ.** ჰმ, ახირება!... ახირება!... დასანახავად შემძულდნენ მაგ ლაწირაკები... მაგ უწმინდურები!... ყორიფელი მაგათ გადამკიდეს, რაც დღეს დამემართა! განა არ ვიცი, რაზედ დაწანწალობს მაგ წრიფი, მაგ მათხოვარა!... მაგათ წყალობით მომეჭრა თავი და მაგათ უნდათ ტალახში ამო-

სცარონ ჩემი თავ-მოყვარეობა!... არ მოასწრებს მაგათ ღმერთი ამას!!!..

**ვიქტორ.** აბესალო, რას ამბობ, ყმაწვილო, დაუგდე შენს ლაპარაკს ყური, თუ ძმა ხარ!

**აბესალო.** ყორიფელი კარგათ მესმის! ყორიფელი!

**ვიქტორ.** მაგი შენ თავმოყვარეობას რა რიგად უნდა შეეხოს?!... რისთვის, რანაირათ?!... რას ამბობ, კაცო?!...

**აბესალო.** ვიქტორ, ძმობით გევედრებით ყველას, ნუ მიხვევთ თვალებს! თვალებს ნუ მიხვევთ!.. ვიცი ყორიფელი, ვიცი, ყორიფელს ვხედავ და ყველანი ნუ ცდილობთ ბრიყვად გამომიყვანოთ! კმარა, კმარა, რა ცეცხლშიც ვტრიალებ; თქვენ მაინც ნულარ მიხეთქავთ უფრო გულს!

**ვიქტორ.** რითი, ყმაწვილო? რითი, თუ ძმა ხარ?

**აბესალო.** მითი, რომ გინდათ იმაში გადამაჯეროთ, რასაც ამ ჩემი ოქალებით ვხედავ! მაგ წუწკლიანის შვილი, ნეხვიდან ამოვათრიე და დღეს ყოველნაირად გამაცადინებულია სირცხვილი მაჭამოს, თავს ლაფი დამასხას, სასაცილოდ გახადოს ჩემი სახელი?!

**ვიქტორ.** აბესალო, აბესალო! ირინეზედ ლაპარაკობ შენ მაგებს?! ჩუ, თუ ძმა ხარ, ჩუ! მტყუანი ხარ, შენ ნუ მომიკვდები!

**აბესალო.** ჰმ, მტყუანი ვარ! დიახ! დიახ!

**ვიქტორ.** შენს ძმობას ვფიცავარ! ირინე ანგელოზია...

**აბესალო.** შენ არ იცი მაგ ანგელოზის ამბავი, არა, არა! არ იცი!

**ვიქტორ.** ვიცი და იმიტომ გეუბნები ამას, ჩემო ძმაო!

**აბესალო.** მე ვაჩვენებ მაგ ანგელოზს, რისაც ღირსი ბრძანდება!...

**ვიქტორ.** რა დაგიშავა, ყმაწვილო, საამისო? ამას წინად თავს იკლავდი, სანამ ჯვარს დაიწერდი და ახლა კი!...

**აბესალო.** უწმინდურია! უწმინდურია ოხრის შვილი! წუპაკია!

**ვიქტორ.** მე მგონია, აბესალო, ამნაირი შენი სიტყვა და საქციელი შენვე გამტყუნებენ აჩქარებულობაში.

**აბესალო.** (მიაჩერდება და მერე უცბად) ეგრე იყოს! ეგრე იყოს, ოღონდ ბერიკაშვილი მომაშორეთ თავიდან! ახლავე მომაშორეთ!

ვიქტორ. აბესალო, ამით იმის მეტი არაფერი იქნება, რომ შეურაცხებას მიაყენებ შენს ოჯახსაც და შენს ცოლსაც განსაკუთრებით... სხვა არაფერი!

აბესალო. რას დავქქებ, მეც ეგ მინდა! მეც ეგ მინდა! აბა, არა?!

ვიქტორ. კარგია, თუ ღმერთი გწამს!

აბესალო. მე ნაკლებათ ვარ მაგისაგან შეურაცყოფილი? ნაკლებათ?! რაში მოკვერიდები!

ვიქტორ. რითი, ყმაწვილო, რითი?

აბესალო. ოხ, ღმერთო ჩემო, ოხ, ღმერთო ჩემო! თქვე ურჯულოებო, თქვე ღმერთ-გამწყრალებო! შეურაცხებაა აბა რა, როცა... ო, ღმერთო! აბა რაა, რომ ტალახში მისვრის კაცკაცობას, სიყმაწვილეს, სახელს!.. ვისი გულისათვის მერე?!. ვისი გულისათვის?... რას მალაპარაკებთ კიდევ, როცა ყველამ იცით!.. ყველამ რომ იცით, რას მალაპარაკებთ კიდევ!.. როცა ქვეყანამ იცის ეს!..

ვიქტორ. აბესალო, ვიყვე ღვთისაგან შეჩვენებული, თუ შენ ამაში არ ცთებოდე!... თუ შენ შემცთარი არ იყვე ამაში! რას ამბობ ამას, ყმაწვილო?!.

აბესალო. ნუ მიხვევთ თვალებს, ნუ მიხვევთ თვალებს-მეთქი! არ გესმისთ!

ვიქტორ. ახირებულია, შენ ნუ მომიკვდე, ასე ტყვილა-უბრალოთ ადამიანის გამტყუვნება!.. ბრალი მოდე ასე უსაბუთოთ!...

აბესალო. უსაბუთოთ!?

ვიქტორ. უსაბუთოთ, სწორეთ!... ყოველ ჩემს კეთილს შეახვედრა ღმერთმა მაგისთანა ოჯახის მოყვარული...

აბესალო. საბუთი არაა აბა რაღა ჯანდაბა გინდათ კიდევ... რა გინდათ კიდევ, მეტი, რა?!.. გულში, გულში ჩახედეთ მაგ თქვენ ოჯახის მოყვარულს... მის პილწ გულში ჩახედეთ და მერე ილაპარაკეთ!... კიულდე, ვემაგებოდე, ყორიფელი სისამაგლით აივსოს ჩემზედ გული, ოღონდ სხვას, სხვას ნუ ამჩნევინებს, სხვას ნუ ახვდერებს ამაში, თორემ მაგისი სიყვარული სრულიად არ მეჭირვება მე!... სრულიადაც არ მეჭირვება!.. რა ჯანდაბათ მინდა—ოღონდ

ქვეყანაში გაყ-გაცობის სახელს ნუ მისვრის ტალახში და სასაცილოთ ნუ მისდის!... ეს მიკლავს გულს, ეს მიხუთავს სულს!.. ამის მოთმენა არ შემიძლია!.. ამას ვერ შევაწევ, ვერა! ვერა!... ნუ მისვრის ტალახში ვიღაცა ლაწირაკისათვის!...

**ვიქტორ.** ეგ ტყვილი შეწამებაა, აბესალომ!.. ვითომ ირინეს როდამიშვილთან...

**აბესალომ.** ქვეყანამ იცის!.. ქვეყანამ იცის!..

**ვიქტორ.** ეგ შენი ბრალია, თუ გინდა მართალი გაიგო!..

**აბესალომ.** ჰმ, ჩემი ბრალია, ჩემი!

**ვიქტორ.** შენი ბრალია!... მე თავიდანვე ვიცოდი, რომ შენ მალე ეიგორებდი გულს მაგ უბედურზედ და როდამიშვილის მოგონება უკმაყოფილებას გამოიწვევდა შენის მხრით!... და კიდეც ამაშია თელი ამბავი! და ამ ცრუწარმოდგენას აყოლიხარ და შენც იმწარებ სიცოცხლეს და ყველა მახლობელსაც!.. შენ არ მომიკვდე, სხვა არაფერი იყვეს და ამაშია შენი გამტყუვნება... შენი უსაფუძლო ცოლის სიძულვილი!

**აბესალომ.** კარგი, კარგი! ეგრე იყვეს... ეგრე იყვეს, მაგრამ ბერიკაშვილი კი მაინც ახლავე თავიდან მომაშორეთ... ამ საათში, თორემ, თუ იმ შეჩვენებულთან დალაპარაკებული დავინახე, იქვე გავათავებ!

**ვიქტორ.** მოითმინე, უმაწვილო!

**აბესალომ.** რა მოვითმინო?!

## გამოსვლა მერვე

იგინივე და **ირინე**

**ირინე.** (აბესალოს) მამას ოთახში გავშალოთ სუფრა თუ ზალაში? (ხმას რომ არ გასცემს) აბესალომ!

**აბესალომ.** ჯერ ეგ შენი მოამბე რომ მოგიბრძანდა, უკან გაბრუნე... მერე იკითხე სადილის ამბავი.

**ვიქტორ.** აბესალომ, აბესალომ!

**ირინე** (გაშტერებული, მერე) რამ გიგზინა დღეს, უმაწვილო? რას ირევი დღევანდელი დღე!?

**აბესალომ.** გადარეული როგორიც უნდა, მე გასწავლებ შენ! თუ ახლავე ეგ ქალბატონი, შენი ზერიკაშვილია თუ ვირიშვილია, სახლიდან არ გაგიგდია!.. ახლავე თუ არ წათრეულა, საიდანაც მოეთრა!... მოგიტანა ამბავი?!. გაგიხარა ვითომ გული?!.. ახლავე წეეთრას, თორემ მოტანილ ამბებიანათ სულ ერთიანათ შიგნეულობას გარეთ გადმოვაყრევინებ! გესმის თუ არა!..

**ირინე.** მესმის, მესმის!

**ვიქტო.** აბესალომ! რას სჩადიხარ, უმაწვილო!?..

**ირინე.** ეს გაკლდა! (ცრემლებ-მორეული უცბათ გაბრუნდება და გავა)

**აბესალომ.** ახლავე, გესმის თუ არა!

**ვიქტორ.** ვიყვე შერცხვენილი, თუ ეს ამბავი რამეს გავდეს!.. შე დალოცვილო, სხვა არა იყოს-რა, შენი ცოლის სახელი მაინც ქვია მაგ ქალს!...

**აბესალომ.** ცოლის სახელი!... ცოლის სახელი!

**ვიქტორ.** ნეტავი ჩემთან არ გექნა ეგ ამბავი და არაფერი მინდოდა!..

**აბესალომ.** ჯერეთ სად ზიანდება!?. ამით გადამირჩება მაგი ქალბატონი!?.

## გამოსვლა მეცხრე

### აბესალომ, ვიქტორ და ეკა

**ეკა.** (გაფაციცებული) შვილო, აბესალომ!... აბესალომ, შენი ჭირი შეეყარა შენს დედას!... აბესალომ, შვილო, ამ უცხო პირებთან ნუ!.. ამათთან ნურაფერს იზამ, შენ დაგენაცვლე!.. შენი სულის ჭირიმე!.. შენი!..

**აბესალომ.** დედა, თავი დამანებე! დამანებე თავი!

**ვიქტორ.** აბესალომ, თუ ძმა ხარ, დაწყნარდი!.. თუ ძმა ხარ!

**აბესალომ.** მაშინ დავწყნარდები, როცა ეგ შიკრიკი წაეთრევა. გესმისთ თუ არა!.. თუ არ გესმისთ აბა, მე მიყურეთ!.. (აღელვებული მიდის მამის ოთახისკენ) მიყურეთ, თუ აქ გამიჩერდება!

**ეკა.** (წინ გადაეღობება, ვიქტორიც) შვილო, რას აპირობ!.. აბესალომ.

**აბესალომ.** მაცალეთ! მაცალეთ!.. გამიშვით!

**ვიქტორ.** აბესალომ, ეს მოხუცებული დედა შენი მაინც შეიბრალე... ეგ მაინც შეიბრალე!

**აბესალომ.** გამიშვით!

**ეკა.** ღმერთო, რა დღეს შევესწარი... ღმერთო, რა დღეს შევესწარი!.. აბესალომ, შვილო!..

## გამოსვლა მეათე

იგინივე, **სამსონი, სოკრატა, ნესტორი** და **სოლომონი**

**სამსონ.** (სამსონის დანახვაზე აბესალომ შესდგება, მაგრამ მხეცურად უყურებს სოლომონს, სამსონს ჯოხი აქვს ხელში ჩოხა გახსნილი და დაბალი ბოხოხი თავზე). სადილათ ცოტა დავიცადოთ, აბესალომ... შენს სიმაყრს მოსვლა უთქვამს—ეგებ ამ ცოტა ხანში კიდეც მოვიდეს!.. კარგა ხანია მე და ფილიპეს ერთმანეთის სადღეგრძელო არ დაგვილევია! მწვანილებს ასე არ შეშვენისთ... არა, სოლომონ ჩემო?

**სოლომონ.** მართალი ბრძანებაა, ბატონო!

**სამსონ.** ჰო და დღეს მაინც გავასწოროთ ეგ ჩვენი დანაკლისი!..

**სოკრატ.** გიახლათ კიდეც!..

**ნესტორ და სოლომონი.** (ფანჯარასთან) კი, ფიდლიპე!.., (ვიქტორი არ შორდება აბესალომს).

**სამსონი.** მართლა?!. ბრავო, ბრავო მწახალო! (მიდის ფანჯარასთან) ბრავო მწახალო!.. (სოლომონი გავა შესაგებებლად და ყმაწვილებიც) ეგ ყმაწვილი ვინ არის, ვერ ვიცანი! ა? ვიქტორ ჩემო!

**ვიქტორ.** რადამიშვილი გახლავსთ!
**სამსონ.** როდამიშვილი?
**ვიქტორ.** დიახ.
**აბესალომ.** (აცახცახებულია) მამა, გთხოვ ეგ ნება მომცე უმაწვილი სახლში არ შემოუშვა!...
**სამსონ.** რათა, შვილო?!.
**აბესალომ.** გთხოვ მამა!.. არ შემიძლია მაგას ფეხი აქ შემოვადგმევინო!..
**სამსონ.** შვილო, თუ რამ ანგარიში გაქვთ, სხომისათვის გადადევი!.. შენს სიმაურს დასდევი პატივი—განა ფილიპეს გალანძღვა არ იქნება მაგის დათხოვა? ანგარიშის გასწორება, შვილო, კაცურად ვიცოდით ჩვენს დროში!

## გამოსვლა მეათე

იგინივე, **ფილიპე** და დანარჩენი **უმაწვილები**

**სამსონ.** ბატონ ფილიპეს დღეგრძელობა და სიცოცხლე! ბატონ ფილიპეს! მხახალო, შეიძლება ასეთი დავიწყება?
**ფილიპე.** ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავიც, ბატონო სამსონ!.. რა ვქნათ... შეგვხვდა აგრე!..
**სამსონ.** დაბძანდით, დაბძანდით, უმაწვილებო! თქვენი მომყოლი უმაწვილი რა მიყავით, ბატონო ფილიპე?
**ფილიპე.** უკაცრავად ვარ თქვენთანაც, ბატონო სამსონ, და ჩემს სიმესთანაც მაგის მოყვანაზედ... მაგრამ, იმედი მაქვს, ერთი მინუტით მისცემთ ნებას ორიოდე სიტყვა მოგახსენოსთ... და მეც გამედრებით ორივე მამა-შვილს, იმდენი თავაზი გამიწიოთ...
**სამსონ.** თხოვეთ, თხოვეთ მობძანდეს! რა საჭიროა მაგდენი ლაპარაკი, ვიქტორ ჩემო, თხოვე!
**ვიქტორ.** კი, ბატონო!
**სამსონ.** სხვებო ხომ მშვიდობით, მხახალო ჩემო!

**ფილიპე.** რაღა საკითხავია ჩემი მშვიდობა, ჩემო ბატონო, რაღა საკითხავია! ღმერთმა ამ დღეს რატომ შემასწრო, თორემ ჩემს მშვიდობით ყოფნას თქვენი ჭირი წაუღია!

**სამსონ.** რაღაც უცნაური ამბავია, მზასალო ჩემო!

**ფილიპე.** არის... და არა, სამსონ ჩემო! იმან არ მომარბენია ასე გამწარებული?! (აბესალომ წასვლას დააპირებს) აბესალო ჩემო, მომითმინე... ერთ წამს მომითმინე და იმდენი სულგრძელობა ისმარე, ორიოდე სიტყვა გეიგონე ჩვენი! (შემოვა როდამიშვილი).

## გამოსვლა მეთერთმეტე

იგინივე, **როდამიშვილი** და **ვიქტორი**

**სამსონი.** (შეეგებება) სამსონ სალამთამე გასლავართ!

**როდამიშ.** როდამიშვილი! (საერთო თავის დაკვრა).

**სამსონ.** დაბძანდით...

**ფილიპე.** ბატონო სამსონ, თავათ იცით, მშობლის გულის ამბავი რანაირია, და თუ ამ წამად ასე ვლაპარაკობ, გამწარება მალაპარაკებს, ჩემო ბატონო სამსონ! ვის-ღა დავუმალოთ? ვის-ღა დავკერიდოთ, როცა, კაი ჩემს მოსწრებას, კაი, ჩემს სირცხვილს და ქვეყანაში გამოჭიანებას, ყველას სალაპარაკოთ გამხდარა, ყველას სატიტინოდ!... ეს ერთი ხანია მესმოდა ეგ უცნაური ამბავი, მაგრამ დღეს კი აღარ შემიძლიან მეტის მოთმენა! ღმერთმა რავა შემიძულა ისე, რომ თქვენი ოჯახიც ილანძღება და ჩემიც ჩემი შვილისაგან!.. რა ვქნა, ველარ გავჩუმებულვარ სწორედ მეტი!.. სწორედ უნდა გამოვთქვა ჩემი უკიდურესი მწუხარება თქვენთანაც, ამ ჩემს სიძესთანაც და ყველასთან, ყველასთან! ამ ჩემი სიძის გულითად მეგობრებთანაც!..

**სამსონ.** რა ამბავია, ფილიპე ჩემო?! რა ამბავია, ღვთის გულისათვის?! მე რატომ არაფერი ვიცი?

**ფილიპე.** (აბესალომს) აბესალომ, გაფიცებ ამ შენს მკერდს, პატიოსან მამას... გაფიცებ შენს საყვარელს დედ-მამას, მითხარ თუ მართლა ასე გაუწყრა ღმერთი იმ ჩემს შვილს, რომ სრულიად დაივიწყა პატიოსნებაც, თავმოყვარეობაც, ნამუსი, აღარ მოერიდა უწმინდურობას, დაჰკარგა ოჯახის პატივისცემა — ქმრის სიყვარული და შიში, რომ იძულებულს გხთის ათასი საწყენი და გულსაკლავი სიტყვა გაიგონოს ყოველმა თავხედმა და ლაწირაკმა!... მითხარი, შვილო, თუ მართლა თავის უნამუსობით გიხაგრავს შენს სასიქადულო ვაჟ-კაცობას!... მითხარი, ნუ მიმალავ!... მოკვდა გული გაგონილითა და უცნაური ამბებით!

**სამსონ.** ჩემს რძალს ედება მაგგვარი რამ ბრალი? ირინეს?!!...

**ფილიპე.** მოვკვდი კაცი, სამსონ ჩემო! მოვკვდი! მომეჭრა თავი და გამილახმდე ოჯახი, თუ ეს მართალია!... აბესალომ, შვილო?

**აბესალომ.** დამანებეთ თავი!... თავი დამანებეთ!... რა თქვენი საქმეა!... რა გინდათ? რას სულელობთ! ახლავე შესწყვიტეთ ეგ ლაპარაკი!

**სამსონ.** აბესალომ!

**ფილიპე.** რა გამაჩუმებს, ჩემო კეთილო?! რა რიგათ გავჩუმდე... სანამ შენგან არ გავიგებ ჭეშმარიტს!...

**როსტომიშვილი.** უკაცრავად ვარ, ბატონო სამსონ, და ვწუხვარ, რომ ამნაირ შემთხვევამ შემომადგმევია ფეხი თქვენს ოჯახში!... მაგრამ პატიოსნებამ და თქვენი ოჯახის პატივისცემამ გამაბედვინა ეგ და იმ გარემოებამაც, რომ სხვანაირი ჩემი მოქმედებით შესაძლებელია საუკუნოდ დაისაჯოს, სულ ტყვილა-უბრალოდ, უდანაშაულო ადამიანი — ისეა მოყვანილი საქმე; ჩემი აქ მოსვლა სრულიად შიშის ნიშანი არ არის თქვენი შვილის დამუქრების წინაშე, რომ ცოცხალს არ მაროჩიებს დედა-მიწაზედ!... ამისი შიში არ მამოქმედებს მე ამ წამში!... სინიდისი მეუბნება, და ამაში არ უნდა კიუვე შემცთარი, რომ ჩემი გაჩუმება, სხვანაირად მოქცევა, გარემოების წაყრუება შეფერებათ მიიღება

და ამით მე მართლა და საბუთს მივსცემ, დავაჯეშმარიტებ მასში, რაშიაც ბრალს მდებს თქვენი შვილი! ბატონო სამსონ, მითქვამს თქვენს წინაშე და ვალდა აქ მეფეთან, ვიყავ ღვთისაგან შეჩვენებული, ვიყავ წყეული, თელ ჩემს სიცოცხლეს გაუსარებელი დაწყევლილი უკვეთი ჩემი კეთილისაგან, მამა ზეციერმა ნუ შემასწროს ნურაფერ სიკეთეს, თუ მე რამე დანაშაულობა მიმიძღოდეს თქვენი შვილის, თქვენი ოჯახის წინაშე, იმნაირი რამე დანაშაულობა, რომელშიაც ბრალს მდებს თქვენი შვილი!...

**სამსონ.** რაები მესმის ეს!... რატომ მე არაფერი გამიგია დღემდის!...

**ფილიპე.** ა, შვილო, ა, შვილო, ხომ გეიგონე!... შემოგვიფიცათ და ტყვილა ბრალს რატომ... რატომ დებ!...

**აბესალო.** (რომელსაც არა ერთხელ უნდოდა წასვლა, მაგრამ მამის ნიშნებით რჩებოდა იქვე). შემოგვფიცათ!!!...

**ფილიპე.** მეტი რაღა გინდა, შვილო?!!...

**აბესალო.** თქვენს სისულელეს მეტი რა უნდა?!!...

**ფილიპე.** აბა ტყვილა-უბრალოთ...

**აბესალო.** (გაანჩხლებული) ტყვილა-უბრალოთ! ტყვილა-უბრალოთ! გულში ჩასედე იმ შენს წუპაკა ქალბატონს, გულში ჩასედე და მაშინ... მაშინ!.. თქვე... მაშინ!

## გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე, **ეკა** და **ირინე**, რომელიც შემოღებულ კარებიდან ყურს უგდებდა.

**ირინე.** თავათ ჩაისედე, ვაჟბატონო, შენს გულში, თავათ ჩაისედე! შე მართლა წუპაკო, მართლა წუპაკო! თუ არა და, მე გაღრისებდა, ვაჟბატონო?

**ფილიპე.** ირინე, შვილო!

**ეკა.** ირინე, დედაშვილობას, ნუ! დედაშვილობას!

**ირინე.** თუ არა და, სულ ქვეყანაში მოდევი ჩემი უნამუსობის ამბავი! მე გამოველ გარყვნილი და შენ კი პატიოსანი! შენ

კი პატიოსანი! შენი უწმინდურობა ჩემზედ გადმოიტანე, შე გლახა, გლახა!

**აბესალომ.** ხმა ჩაიწყვიტე ახლავე!

**ირინე.** მე მწამებ უპატიოსნებასა?! თავათ რა კაცი ბძანდები?

**ვიქტორ** და **ეკა.** ირინე, დაწყნარდი, ღვთის გულისათვის!

**ფილიპე.** ირინე, თავი შეიკავე, თავი შეიკავე!

**ირინე.** რაში დაგეტყო პატიოსნობა, კაცო-კაცო? ფუი შენს კაცობას! ფუი!

**აბესალომ.** გაჩუმდი, თვარა გაგათავებ ამ წამში! ხმა არ ამოიღო!

**სამსონ.** აბესალომ, შეჩერდი, მითქვამს შენთვის!

**ირინე.** უწმინდურო, ჩემს გულში რა უნდა ნახო შენ? შენსავით ბილწი გგონია ყველა?! პატიოსნობა თავათ რომ არ გაქვს, სხვაში რაიღა დაგანახებს შენი გაფუჭებულობა. შენი სიგლახე!..

**აბესალომ.** ხმა, თორემ მოგკალი ეს არი! (მიიწევს ირინესკენ, ყველანი შეაჩერებენ).

**ფილიპე.** ირინე, კარგი, შვილო!

**ირინე.** გლახაკი მეტს რას იზამს?! მეტი რა შეუძლია?! გლახავ, გლახავ!

**აბესალომ.** ოოჰ!.. შენი სული! შენი სული! შენი! (მივარდება და გაშმაგებული ჩაჰკრავს ხანჯალს. საერთო კივილი. ყველანი მისცვივდებიან ირინეს. აქეთ აბესალომს მოაშორებენ).

**სამსონ.** რა ქენი, შე შეჩვენებულო, რა ქენი ეს?! მოჰკალი განა ქალი?!..

**ეკა.** უიმე! უიმე! ირინე, შვილო! ირინე!

**ფილიპე.** მიშველეთ, მიშველეთ! მომიკლეს შვილი! ირინე, შვილო, შვილო!..

**ირინე.** ასე ჯობია!.. ასე ჯობია, მამა!..

**ფილიპე.** (ტირის) შემომხედე, ირინე, შვილო!.. ვაიმე, ვაიმე!

**ირინე.** ნუ ტირი, მამა, ნუ!... ასე ჯობია! მაინც ამით არ გათავდებოდა?.. აი ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ახლა ვარ მე ბედნიერი! ახლა, მამა!

**ფილიპე.** შვილო, ნუ გეშინია! ნუ გეშინია, შენი ჭირიმე!

**ირინე.** ახლა ვარ ბედნიერი!... შეჰხედეთ იმ ვაჟკაცისათვის, შეჰხედეთ ერთი!... ყოჩაღ! ყოჩაღ! ვიშ, რა ვაჟკაცობა გამოიჩინა, ვიშ!.. მამა!.. მამა!.. ოხ!.. მიშველეთ!.. მიშველეთ!.. სული ზარემაც მალე ამომხთეს!

დავ. კლდიაშვილი

# გლეხი-კაცის ისტორია

## წელიწადი პირველი რესპუბლიკისა

**1792**

## ნაწილი მესამე

### ერკმან-შატრიანისა

**I**

სადღაა ჩვენი სოფელი? შორს დარჩა და ახლა აღარც ჩვენებზედ მოგახსენებთ რასმე, აღარც ნათლია-ჩემის სამჭედლოზედ, აღარც მოხუცებულ მამა-ჩემზედ. აქედან იწყობა ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა.

სარბურგელები, ვინც ვიყავით ჩვენი ნებით გამოსულნი, მკათათვის დამლევამდე რულცჰეიმში დავრჩით; ზემო-მთიელთ იქ მიიღეს თოფი და ტყვია-წამალი, თორემ მანამ კომბლების და ცულების მეტი სხვა იარაღი არა ჰქონდათ-რა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ კიდევ არ მოგვმატებოდნენ ბიჭები. დილით-სალამომდე სამხედრო ვარჯიშობაში ვიყავით და ვისსემბურგის და ლანდაუს შუა ნაღარისა და საყვირის ხმის მეტი აღარა ისმოდა-რა. გეცოდინებათ, რომ ნაღარა ქვეითა ჯარების კუთვნილებაა და საყვირი ცხენოსნებისა.

ჩვენს უკან კელლერმანის და ბირონის ბანაკებს შუა სიმაგრეები იყო გავლებული ერთი საათის სავალ მანძილზედ მაინც მდ. ლოტერის პირას.

მაშინ რკინის გზისა არა ვიცოდით-რა და რადგან სურსათის მოსატანად გლეხი-კაცის საქონელი უნდა გაეყვანათ, საჭმელ-სასმელი ხშირად გვაკლდა ხოლმე.

---

*) „მოამბე", № I, 1897 წ.

მე, მარკოზ დივე და ჩვენი მენალარე ივანე ერთ ქვრივთან დაგვაყენეს, რომელიც დილით-საღამომდე ტიროდა. საწყალი დედა-კაცი! რაცა ჰქონდა, არა შურდა-რა ჩვენთვის, არც ქერის პური და არც ლობიო და კარტოფილი. მე და მარკოზი ძალიან კმაყოფილნი ვიყავით, მაგრამ ჩვენი მენალარე კი ცუდ გუნებაზედ იყო: ხორცი ნებავდა!

როცა სურსათი დროზედ არ მოგვივიდოდა, გავიდოდით და საცა რას მოვახელებდით, იმითი შევნაყრდებოდით. შიმშილით ხომ არ დავიხოცებოდით? ავიკელით აქაურობა. საწყალი ხალხისთვის ამაზედ უმეტესი უბედურება მგონი შეუძლებელი იყოს.

მაშინ ასსიგნაციებს ვხმარობდით და იმათაც გასავალი არა ჰქონდათ. ჩვენი ბანაკი სავსე იყო პატარ-პატარა გერმანულ გაზეთებით, რომელშიაც იწერებოდნენ „მეჯლანეების ჯარის" ათასგვარ ვაი-ვაგლახს, ამ ჯარის უმფროსების უვიცობას და სისულელეს. გახიზნულებს დაერწმუნებინათ—სულ თრთიან ჩვენი შიშით და თუ ერთი დავენახვეთ, მაშინვე გავაქცევთო... ჩვენც სწორედ ასე გვხატამდნენ: გაქცეულთ უკან მდევარი მოგედევდა—ერთი საშინელი, უზარმაზარი გერმანელი ჯარის-კაცი, ყურზედ სამკეცად შემოხვეული ულვაშით და ამოღებული ხმლით. საწყლები! ოცის წლის განმავლობაში მიუხედავად ყურზედ სამკეცად შემოხვეულ ულვაშისა ბევრჯერ ვანანეთ ეს მხატვრობა!

დიაღ, მეგაზეთეებიც კი შესყიდული ჰყავდათ, რომ იმათგან გაბრიყვებული ხალხი უფრო უკედ ეკრიჭათ და ეპარსათ. იმ გაზეთებისთვის რომ დაგვეჯერებინა, ჩვენი ჯარები შიმშილით იხოცებოდნენ და ჩვენი მტრებისა კი სულ ღვინოში ბანაობდნენ; ჩვენ არც იარაღი გვქონდა, არც ტანისამოსი, არც სურსათი; ისინი კი იარაღითაც მდიდარნი იყვნენ, სურსათითაც, ტანისამოსითაც. ქვეყანას ველარ დაეტია იმათი ზარბაზნები და მთელ რეინის პირას ხომ ისე ჰქონდათ ჩაყოლებული სურსათის საწყობი მაღაზიები, რომ თუნდა ერთ საუკუნეს ეყოფოდათ. ჩვენც ეგ გვინდოდა და სულ იმას ვნატრობდით: ნეტავი

ერთი რეინის პირას გავიდეთ, რომ ის მაღაზიები დავათვალიერეთო. კარგი ის იყო, რომ დარწმუნებული ვიყავით ამ მაღაზიებსაც ენახავთ და ვორმში და მაინცშიაც გავალთო.

საუბედუროდ, ისეთი სუსტი იყო რიცხვით ჩვენი ჯარი, რომ ამ ნატვრის განხორციელება სრულიად შეუძლებელი იყო. 21 ათასი კაცი ქვეითა ჯარში ირიცხებოდა, 17 ათასი მოსურნენი—ჩვენი ნებით გამოსულნი ვიყავით, 6 ათასი ცხენოსანი და 1700 კაციც არტილერიაში ირიცხებოდა; სულ 46 ათასი კაცი, რომელთაგან 24 ათასი ციხე-სიმაგრეებში იყო და მარტო დანარჩენი უნდა გასულიყო საბრძოლველად.

პრუსიელები და ავსტრიელები ერთად 200 ათას კაცზედ მეტნი იყვნენ. ჩვენი გახიზნულები სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ „მიდით! რაღას ელითო!?“ რადგან ბულიემ კარგადა, იცოდა რა საშინელ მდგომარეობაში იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა! მეფე ლუი XIV ეს მინისტრები, მანამ უჯობდათ, სულ იმას ბრძანებდნენ, საერო კრებაზედ, რომ ვენს სამხედრო სამზადისს მთელი ევროპაც ვერას დააკლებს; ჯარში თავის ნებით წამსვლელთ რომ ასე ურიგოდ არ ურიგებდნენ იარაღს, აქამდე მთელი ჯარი სრულიად შეიარაღებული გვეყოლებოდა; ჩვენი არსენალი იარაღით სავსეა და ჩვენს ჯარს არაფერი უშავს, თუნდა ათი წელიწადი გასტანოს ომმაო. მეფემ კარგად იცოდა, რომ მინისტრები სტყუოდნენ; კარგად იცოდა, რომ არც ხეირიანი წინამძღოლები ჰყავდა ჩვენს ჯარს და არც ინჟენერები, რადგან დიდი გვარიშვილები ყველანი გაიხიზნენ; მეფემ კარგად იცოდა, რომ ჩვენი არსენალი ცარიელი იყო და, როცა საჭირო იყო, ურმებს, საქონელს, ცხენებს და მიწის სათხრელ იარაღსაც კი გლეხკაცს ართმევდნენ. ისიც კარგად იცოდა მეფემ, რომ უმეტეს ნაწილს ჩვენგანს ერთი ხელი ტანასამოსის და ერთი დაჟანგებული თოფის მეტი არა ჰქონდა-რა და ისიც ათში ერთი თუ გავარდებოდა. მეფემ კარგად იცოდა, რომ გუდები რა არის, გუდებიც კი ვერ მოგვიხერხეს და ჩვენვე დაგვავალეს: გუდები უნდა იშოვოთ, საცა გენებოთ, და ჯარში ისე გამოხვიდეთო! მეფემ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, რადგან მინისტრები, სა-

სახლე და გახიზნულები ყოველთვის ერთად იყვნენ და ერთად მოქმედებდნენ.

ჩვენი ჯარის წინამძღოლი გენერალი კუსტენი ბრძანდებოდა. ტიონვილის და მეცის წინ მდებარე სიმაგრე ლანდაუ ისე მშვენივრად იყო გამაგრებული, რომ კუსტენი ცხენით შევიდა დანგრეულ ციხეში და თან რამდენიმე ცხენოსანი ახლდა. ლანდაუ რომ ისე იყო, სხვა, სამძღვარს მოშორებუბული, სიმაგრეები, რა ყოფაში იქნებოდნენ? რამდენჯერ მითქვამს ჩემს გულში:

— დაგვღუპეს, დაგვანელეს იმ მუხანათებმა! ერთად რომ შემოგვისიოს მტერმა ორასი ათასი კაცი, ერთ დღესაც ვერ გავუმაგრდებით. ისე ამოგვწყვეტენ, მგონი ერთიც არავინ გადარჩეს! ან ვილა ინდომებს გადარჩენას?... ხედავთ, როგორ გვიმუხთლეს! სამშობლო მტერს შეარცხვენინეს, რომ თავიანთი უპირატესობანი არ დაეკარგათ და ხალხი ძველებურად მონად ჰყოლოდათ! იუდასავით მოგვექცნენ მეფეც და იმისი მინსტრებიც, რომელნიც ნარბონის პირით საერო კრებას და მასთან ერთად მთელს საფრანგეთს ატყუებდნენ: „სამძღვრები დავიარე, ციხე-სიმაგრეები გავსინჯე და შიში არაფრისა გვაქვს, მთელი ევროპაც ვერას გვიზამსო“.

ჩვენდა საბედნიეროდ პრუსიელები და ავსტრიელები ჯერ წინსვლას არა ფიქრობდნენ; იმათ იმისთანა გამოჩენილი და ფთხილი გენერლები ჰყავდათ, რომ ასჯერ და ათასჯერ გაზომავდნენ, ვიდრე მოსჭრიდნენ; მეფეები, უბრწყინვალესი თავადები და მსწავლულნი ჯერ ისევ იმის სჯაში იყვნენ, საფრანგეთი როგორ გავინაწილოთო. იმათ რომ ჩვენი ჰოშის და კლებერისავით ხალხის შვილები ჰყოლოდათ წინამძღოლად, დავიღუპებოდით. ერთი სიტყვით, მთელი სამი კვირა იდგნენ სამძღვარზედ და ზანტი კამეჩივით იცოხნებოდნენ.

ბოლოს ჩვენმა ბატალიონმა, რომელსაც მთიელთა პირველი ბატალიონი ეწოდებოდა, ბრძანება მიიღო, აფიცრები აირჩიეთ, რადგან ლანდაუს უნდა წახვიდეთო.

იმავე დღეს, 1792 წ. კათათვის უკანასკნელ დღეს, ყველა თავის ნებით გამოსულმა რაზმებმა ამოირჩიეს თავიანთი

ოფიცრები, რომელთა წინამძღოლად არჩეულ იქმნა ივანე მენიე, ერთი ყმაწვილი ხუროთ-მოძღვარი, რომელიც თუნდა ასჯერ მაინც მენახა ჩვენს სოფელში, როდესაც ჩვენს მაზრაში ციხე-სიმაგრეებს აკეთებინებდა. ჩვენი ივანე თავისი ნალარით რაზმის თავში იდგა და ათის თავის ოდენ ჯამაგირს იღებდა.

მეორე დღეს ლანდაუს გზას გავუდექით. ტანისამოსი ჯერ ისევ საკუთარი გვეცვა და ისე იყო აჭრელებული ჩვენი რაზმი, რომ, თოფები რომ არა გვქონოდა, იტყოდით, ეს ჯარი კი არა, სოფლელები არიან და სამუშაოდ მიდიან სადმეო. მშვენიერი დღე იყო. ქვემო შარანტელების მეორე ბატალიონიც ჩვენს გზას ადგა. უმეტესი ნაწილი ფეხშიშველანი იყვნენ, მაგრამ იმისთანა მხიარულად მიდიოდნენ, თითქოს ქორწილში მიბრძანდებიანო. ახლა კი ყველამ ზეპირად ვიცოდით „მარსელური" და მთელი გზა იმასა ვმღეროდით. *)

ქვემო შარანტელები იმპფლინგენში გაჩერდნენ; ჩვენ კი ლინდაუში მივედით, სადილს უკან სამს საათზედ. ციხის კარში დარაჯად ბრეტანელი რაზმი იდგა თავისი თეთრი ტანისამოსით. ვინ არისო? დაგვიძახეს. მენიემ უპასუხა: მთიელთა პირველი ბატალიონი. ეს რომ გაიგეს, გამოგვეგებნენ და დიდი სიხარულით მიგვიღეს.

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს! შესძახეს ერთხმივ ბრეტანელებმა.

ამის პასუხად ჩვენ მარსელური დავძახეთ და ისე შევედით ქალაქში.

ლინდაუ ძალიან ჰგავს ფალსბურგს, მაგრამ უფრო გერმანული იერი აქვს, ვიდრე ფრანგული. ქალაქის სიმაგრეებს გარშემო მდ. კეიში უვლის. ქვემო ნაწილში კეიში დაგუბებულია და ჭაობში იკარგება. ქალაქში დღე და ღამ შეუწყვეტლივ საშინელი ბაყაყის ყიყინი გაისმის. ციხეები და გალავნები ნახევარზედ მეტი დანგრეული დაგვხვდა, მაგრამ ყველგან გარნიზონის ჯარის-კაცები იდგნენ და დანგრეულ კედლებს აშენებდნენ.

---

*) ამ სიმღერას შემდეგ №-ში მოვიყვანთ.

დიახ! აი რით იყო ძლიერი მეფე ლუი XVI. მამა-პაპათაგან აშენებული ციხე-სიმაგრეები ოხრად ეყარა და ინგრეოდა და ის კი სახელმწიფო შემოსავალს თავის ქეიფებზედ და დროს გატარებაზედ ხარჯავდა და დიდებულ კარის-კაცებს ურიგებდა. მეფეს ესიამოვნა, თორემ საფრანგეთი რა სახსენებელი იყო?

ლანდაუში გარნიზონად შვიდი ათას ექვსასი კაცი ვიდექით.

მივედით თუ არა, ჩვენც მაშინვე სამუშაოდ გაგვიყვანეს. მენიემ კარგად იცოდა, რომ დროს დაკარგვა ძვირად დაგვიჯდებოდა, და მაშინვე საქმეს შეუდგა. მთელი დღე ჩვენთან იყო და ყველაფერს თითონ გვაკეთებინებდა. უსაქმურად არავინ იყო: ყველა თავთავის ხელობაზედ მუშაობდა და მე და ექვსი კიდევ სხვა მჭედელი წამხდარი ცულების და ხელჩოების კეთებას ვუნდებოდით.

ბრაუნშვეიგის მანიფესტი საფრანგეთის ხალხისადმი ჩვენ ლანდაუში მივიღეთ და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღშფოთდა მთელი გარნიზონი. კუსტენის ბრძანებით, იმის მაგივრად, რომ დაემალათ, დილით, ვიდრე საქმეს შევუდგებოდით, ხმამაღლივ წაგვიკითხეს ამ ფელდმარშალის განცხადება, რომლითაც გვაცნობებდა: ევროპის ხელმწიფენი მობრძანდებიან, რომ ალზას-ლორენი ისევ გერმანელთ დაუბრუნონ; ევროპის ხელმწიფენი ხალხს არას ერჩიან, არც რასმე წაართმევენ, ოღონდ საფრანგეთის მეფეს დაეხმარებიან, რომ ძველებურად შეეძლოს თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობა და ბედნიერება იზრუნოს. არც ქალაქს და არც სოფელს არას ავნებენ, თუ იგინი თავის ნებით დამორჩილდნენ პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებს; მაგრამ სასტიკად დასჯიან ყველას, ვინც გაბედავს და მათ უმაღლესობის ჯარებს წინააღმდეგობას გაუწევს რასმე: სამხედრო კანონმდებლობის და კვალად დახვრეტილ იქნება ყველა, ვინც პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებზედ იარაღს იხმარს მინდორში იქნება თუ სოფელში, გარეთ თუ სახლში; საფრანგეთში ჯარებს ამით ვაფთხილებთ, რომ გონზედ მოვიდნენ და, მინამ დრო აქვთ, ისევ ძვე-

ლებური ერთგულება გამოუცხადონ მეფეს და დიდებულთ; მილიციელებს ვურჩევთ, ჩვენს მოსვლამდე სოფლები შეიმაგრონ და ჩვენი წინააღმდეგობა დაუშალონ; რაც შეეხება პარიზელებს, **მივალთ თუ არა, მაშინვე დაგვმორჩილდნენ და პარიზის კარი გაგვიღონ, თორემ ცოცხალი აღარავინ გადაგვრჩება!** თუ ჩვენს მოსვლამდე შეურაცყოფა მიუყენებიათ რამე მეფე ლუი XVI-სთვის, დედოფალ მარიამ-ანტუანეტასთვის ან მეფის ოჯახის სხვა წევრთათვის, ქალაქს ავიღებთ და ისე დავანგრევთ, რომ ნასახლარიც აღარსად ეტყობოდეს. მაგრამ თუ დაგვმორჩილდნენ და ქალაქი უომრად დაგვანებეს, ჩვენ, მეფე პრუსიისა და ხელმწიფე ავსტრიისა ამით ვპირდებით: მეფე ლუი XVI-სა ვთხოვთ, რომ აპატიოს პარიზელ ხალხს ცოდვანი თვისნი“.

მანიფესტის კითხვა ჯერ არც კი გაეთავებინათ, რომ იგრიალა იმოდენა ჯარმა და ერთხმივ შესძახა:—სიკვდილი სამშობლოს მტერსაო!

ჩვენ ყვირილზედ მილიციელები გამოცვივდნენ, მერე ლინდაუს მკვიდრნი და უცბად გაივსო ნოედანი. ყველანი აღშფოთებულნი იყვნენ ამ თავხედური მანიფესტით და სულ იმას იძახდნენ—გავწყდეთ და მტერს კი ნუ გავახარებთო! „მარსელიურსა“ და „წავას“—მღეროდნენ. იმისთანა ხმაურობა ატყდა მოედანზედ, რომ გენერალ კუსტენს აჯანყება ჰგონებოდა და ცხენით ჩამოიჭრა ჩვენს დასამშვიდებლად. ეხლაც თვალ წინ მიდგას კუსტენი თავისი ამალით. უნდოდა დაემშვიდებინა როგორმე ხალხი, მაგრამ იმისი ბრძანება არავის ესმოდა.

არც მე ვიყავ სხვაზედ ნაკლებ აღელვებული. ვიღაცა პრუსიელი თავადი ამისთანა შეურაცყოფას აყენებდა ჩემს სამშობლოს და არა მწყენოდა?!...

უცბად საყვირის ხმა გაისმა ციხიდან. ყველას გვეგონა, მტერი მოდისო, და თავთავის ალაგისკენ გავიქეცით. მაგრამ მტერი არსად იყო. თურმე გენერალს გაეცა ბრძანება: საყვირის ხმას რომ გაიგებენ, იქნება მაშინ მაინც დამშვიდდნენ და თავთავიანთ საქმეს შეუდგნენო.

სწორედ ასეც მოხდა. იმ დღიდან მოყოლებული უფრო და უფრო მატულობდა ხალხისა და ჯარის სიძულვილი მეფე ლუი XVI-სადმი და იმასთან ერთად პრუსიელების და ბრაუნშვეიგისადმი. ჯარის-კაცნი, მილიციელები და თავის ნებით გამოსულნი ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ლუდხანებში, საზოგადო საქმეებსა სჯიდნენ და ხშირად საერო კრებას თხოვნას უგზავნიდნენ, სამშობლოს მოღალატენი და გამყიდველნი დასაჯეთ და მეფე გადააყენეთო.

ცოტა ხანმა კიდევ გაიარა, გალავანი უკვე შევაკეთეთ, ზედ ზარბაზნები გავაწყეთ. ვისსემბურგის და ლინდაუს შუა ავსტრიელი რაზმები დანავარდობდნენ. პურსა და სხვა საგზალს ან იარაღს რომ გვიგზავნიდნენ, თან დიდ ჯარს გამოატანდნენ, მტერმა არ წაგვართვასო! უფრო კი დრაგონები მოსდევდნენ ხოლმე. იმპფლინგენის და ოფენბახის შუა ჩვენს დრაგონებს მტრის ჯართან პატარა შეტაკებაც ჰქონოდათ და ლინდაუშიც მალე მოველოდით მათს მოსვლას.

მაგრამ ვიდრე ისინი ჩვენამდე მოახწევდნენ, პარიზში დიდი ამბები მოხდა. რომ გაეგოთ პარიზელებს ბრაუნშვეიგის მანიფესტი, ჯავრი მეფეზედ ეყარათ: სასახლე აეღოთ, მეფის მცველი შვეიცარიელები დაეხოცათ და მეფე ლუი XVI, დედოფალი მარიამ-ანტუანეტა და მთელი სამეფო ოჯახი დაემწყვდიათ, ჯერ ლუქსემბერგში, შემდეგ ტამპლში.

ჩვენ ეს ამბები გაზეთში წავიკითხეთ 15 მარიამობისთვეს და იმისთანა იმედი მოგვეცა მთელს გარნიზონს, რომ ერთხელ ასიც რომ მოსულიყვნენ, ვერას დაგვაკლებდნენ. მეფის გადაყენებამ გაგვიორკეცა ვაჟკაცობა და ერთმანეთს ვულოცავდით მოღალატესაგან განთავისუფლებას.

თან ვიცინოდით და თან სიხარულის ცრემლი გვდიოდა. იმისთანა კმაყოფილნი ვიყავით, თითქო ამაზე ყოფილიყოს დამოკიდებული ჩვენი პირადი ბედნიერება.

აი როგორ აეღო ხალხს სასახლე. მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ისე მოგითხრობთ, როგორც მაშინდელ გაზეთებში ეწერა. ვერ წარმოიდგენთ, რა გასავალი ჰქონდათ მაშინ გაზეთებს.

ერთი კი დაიძახებდა ვინმე, ახალი გაზეთიო! და მაშინვე გარს შემოეხვევოდა ხალხი. ავიდოდა სტოლზედ და დაიწყებდა ხმამაღლივ კითხვას. გაზეთებს კი არა, პარიზიდან მიღებულ წერილსაც წაუკითხავდნენ ხოლმე ხალხს, როცა შიგ საზოგადო საქმეებისა ეწერა რამე ან იაკობელების კლუბის სხდომა და იქ წარმოთქმული სიტყვები იყო მოყვანილი. ერთი სიტყვით, უპურობა ისე ვერ შეაწუხებდა ქვეყანას, როგორც უგაზეთობა. მაშინ დამალული აღარა იყო-რა.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ თიბათვის 20-დან დაწყებული ძალიან უნდობლად შესცქეროდა ხალხი მეფეს, რადგან მეფე ეწინააღმდეგებოდა საერო კრების დადგენილებას მავნე მღვდლების განდევნის შესახებ. მეფისაგან არჩეულ მინისტრებს მას შემდეგ არაფერი უზრუნიათ, რომ მტრის დასახვედრად მოვემზადებინეთ; პირიქით, რომ წავიდნენ, ჯარისთვის პურის შესანახად აგებული მაღაზიები ცარიელი დაგვიტოვეს, და ციხე-სიმაგრენი დანგრეული; ახლად დანიშნულ აფიცრებს არ აცნობებდნენ მათს დანიშვნას, რომ დროზედ მისულიყვნენ თავთავიანთ ალაგებზედ და საერო კრებაზედ სამარცხვინოდა სტყუოდნენ, ყველაფერი მზადა გვაქვს, დეე მობრძანდნენო! იმდენი ხანი იძახეს, ყველაფერი მზადა გვაქვსო, ვიდრე მტერი კარს მოგვადგა და მაშინ კი სამსახურს თავი დაანებეს და საერო კრება იძულებული გახადეს გამოეცხადებინა, სამშობლო განსაცდელში არისო.

მიუხედავად ამისა ბევრს გულწრფელად სჯეროდა — ცილსა სწამებენ, „ჩვენი კეთილი მეფე“ სამშობლოს ვერ უღალატებსო! მაგრამ ბრაუნშვეიგის მანიფესტმა ამ ურწმუნოთაც თვალი აუხილა და დაარწმუნა, რომ მეფე გვღალატობდა. მანიფესტი პირდაპირ აცხადებდა, პრუსიელები და ავსტრიელები იმიტომ მოვდივართ, რომ მეფეს მეფობა და დიდებულთ ყოველი უპირატესობა დავუბრუნოთ და აჯანყებული ყმანი დავუმონავოთო. ამ სამარცხვინო, თავის თავხედობით საზარელმა, მანიფესტმა ცხადად დაუმტკიცა ყველას, რომ მეფენი და დიდებულნი ერთად იყვნენ განურჩევლად ეროვნების და სარწმუ-

ნოებისა და სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ხალხი დამონავებული ჰყოლოდათ. მაშინ კი თვალი გაახილა ყველამ და საერო კრებას ათასობით მისდიოდა თხოვნა, მეფე გადააყენეთო. საუკეთესო დეპუტატები იმ დროს აქეთ-იქით იყვნენ წასულნი, რომ ხალხისთვის ჭეშმარიტება ეცნობებინათ და ჯარში მოსურნენი გაეყვანათ; და ვინც პარიზში დარჩენილიყვნენ, ყურს არ უგდებდნენ ხალხის სამართლიან სურვილს; იმავე დროს,—ეს შემდეგში გავიგეთ,—ჟირონდელების მოთავეთ ჩუმად მოლაპარაკება ჰქონდათ მეფესთან, რომელიც მინისტრების ალაგს იმათ ჰპირდებოდა.

რაკი ნახეს პარიზელებმა, რომ ჩვენი დეპუტატები სამშობლოს სახსნელად არას ზრუნავდნენ, დაადგინეს: „ხუთშაბათამდე, აგვისტოს 9, საღამოს 11 საათამდე კიდევ მოვუთმენთ საერო კრებას, რომ მეფე გადააყენოს, მაგრამ თუ მანამდეც არ შეიწყნარა კრებამ ხალხის თხოვნა და მეფე არ გადააყენა, იმავ ღამეს, შუაღამისას აიშლება ხალხი და თავის წადილს თითონვე განახორციელებს“. მოკლედ და ვაჟკაცურად იყო გამოთქმული ხალხის მუქარა.

პასუხის მაგივრად საერო კრებამ ბრძანება მისცა სამხედრო მინისტრს, რაც კი პარიზში შეფიცულნი იმყოფებიან, ეხლავე სუასსონის ბანაკში გაისტუმრეთო. იმავე დღეს საერო კრებამ 406 ხმით 224 წინააღმდეგ დაადგინა, ლაფაიეტს იმისთანა არა დაუშავებია-რა, რომ სამართალში იქმნას მიცემულიო.

მაშინ დანტონმა, კამილ დემულენმა, მარსელელ შეფიცულთა წინამძღოლმა ბარბარუმ, პანიმ, სერჟანმა, ტიონვილელმა მერლენმა, სანტერმა, ვესტერმანმა და სხ. და სხ. პატრიოტებმა, რომელნიც სიცოცხლესაც არ დაზოგავდნენ თავისუფლებისათვის, აშალეს ხალხი. ღამე, 9 აგვისტოს შეიყარა ხალხი უბან-უბან და სამ-სამი კაცი ამოირჩია, **რომელნიც აღჭურვილნი იქმნენ ყოველი უფლებით „საზოგადო საქმის“, ესე იგი რესპუბლიკის დასაცველად.** შემდეგ ამისა დანტონმა აჯანყების ნიშნად ზარის რეკვა უბრძანა ყველა ეკლესიებში.

სასახლე სავსე იყო შვეიცარიელებით და დიდებულებით და ძნელი ასაღები იყო. მეფე ლუი XVI-მ კარგად იცოდა, რომ ხალხს ველარ გაუმაგრდებოდა, ისიც კარგად იცოდნენ, რომ რაკი სასახლეს აიღებდა, აღარავის დაინდობდა და სისხლს ეძიებდა. ამიტომ მეფე სასახლეში ერთ წამსაც აღარ დარჩენილა და დედოფლით და ბატონიშვილით საჩქაროდ საერო კრებისკენ გაეშურა და თანაც დაამუნათა: ჩემი მადლობელი უნდ იყვნეთ, რომ ხალხმა დღეს ღვთისაგან კურთხეულის სისხლშია ხელი არ გაისვარაო.

ჩვენ უბრალო მომაკვდავნი ჩვენს დღეში არ ვიკადრებდით, განსაცდელში თავი დაგვენებებინა ჩვენთვის თავ-განწირულებისთვის და სამარცხვინოდ გავპარულიყავით. მაგრამ რა! მეფე რის მეფეა, თუ კი ყველაფერი არ ეპატიევება?

ის იყო მეფე გავიდა სასახლიდან და ხალხიც მივიდა და გარს შემოეხვია. წინ ვესტერმანი მიუძღოდა. სასახლის ყოველ ფანჯარაში შვეიცარიელები იყვნენ ჩასაფრებულნი და თოფს ესროდნენ ხალხს. ხალხმა ჯერ უკან დაიწია, მაგრამ მერე უფრო გაშმაგებული წამოვიდა და ეზოში შვეიცარიელების ბინას ცეცხლი წაუკიდა. იქიდან სასახლეშიაც შეცვივდნენ და ცოცხალი არავინ გადარჩენიათ, საცა კი მოსამსახურე ან დიდებული შეხვდათ ვინმე. უბედურ შვეიცარიელებს ფანჯრებიდან ისროდნენ, იქვე ეზოში, ბაღში და ქუჩაში ხოცავდვენ. ორასი მარსელელი და ასი ბრეტანელი შეფიცული, ხუთასი შვეიცარიელი, ათასი მილიციელი და ბევრი დიდებული და ხალხის შვილი ეყარნენ მკვდრები გზებზედ, კიბეებზედ და თვით პალატებშიაც. მისი დიდებულება კი, იმის მაგივრად რომ თავის ერთგულ მოსამსახურეთ მიშველებოდა, იყო თავისთვის მიმალული საერო კრების დარბაზში! იმ დროინდელ გაზეთებში ეწერა, ძალიან მადიანად მიირთვა პურიო; მაგრამ არა მგონია, ეს მართალი იყოს: ნუ თუ შეიძლება, ჩვენისთანა ყოველი ღირსებით აღსავსე ერს, ამისთანა საზიზღარი მეფე ჰყავდეს?

მანამ სასახლეში ეს ამბები იყო, პატრიოტები საერო კრებაში მეფის გადაყენებას ითხოვდნენ. მაგრამ ჩვენს დეპუტატებს,

ვიდრე ამის პასუხს იტყოდნენ რასმე, ნებავდათ გაეგოთ, ვინ აჯობებდა: ხალხი თუ მილიციელები? ასე უფრო მშვიდობით გადარჩებოდნენ, რასაკვირველია.

ბოლოს შუადღის შემდეგ ხალხმა მიწასთან გაასწორა სასახლე და საერო კრებისკენ გაემართა. მაშინ კი დამორჩილდა ხალხის სურვილს საერო კრება და ჟირონდელმა ვერნიომ— თავმჯდომარემ კრებისამ, გამოაცხადა, მეფე დროებით გადაყენებული არის, ვიდრე ახალი საერო კრება—კონვენტი—შეიკრებაო. შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა,—ახალი ამორჩევები მოხდება მთელს საფრანგეთში, რომ 20 ენკენისთვეს პარიზში ახალი საერო კრება—კონვენტი—გაიხსნასო.

ხსენებაც აღარ იყო ხმოსანის და უხმო მამულიშვილისა: ყოველ ფრანგს უფლება ჰქონდა აერჩია და არჩეულ ყოფილიყო მიუხედავად შეძლებისა. შოველი ყველასაგან ცნობილი იყო როგორადაც თავგამოდებული მამულიშვილი და თავმჯდომარე ჩვენის კლუბისა. წავიკითხე თუ არა საერო კრების დადგენილება, მაშინვე ვიფიქრე, კონვენტის წევრად ჩვენებურები სწორედ შოველს აირჩევენ-მეთქი. მაგრამ მარიამობისთვის 10-დან ენკენისთვის 20-მდე მთელი ორმოცი დღე იყო და ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ყოველი მხრიდან მტერი გვემუქრებოდა, საფრანგეთის ბედ-იღბალი პარიზელი ხალხისაგან ამორჩეულ კამისართა ხელში იყო, რომელთაც „საზოგადო საქმისთვის“ პატრონობა უნდა გაეწიათ. სამშობლო საშინელ განსაცდელში იმყოფებოდა.

კიდევ კარგი, რომ შოველისაგან და მარგალიტასაგან ვიცოდი, რა კაცები იყვნენ რობესპიერი, ბაზირი, მერლენი, სერჟანი, სანტერი და სხვა სახელ-განთქმული პატრიოტები და რაკი გაზეთში ამათი სახელები წავიკითხე ხალხის წინამძღოლთა შორის, გული დავიმშვიდე, რადგან ვიცოდი, რომ იმათ ხელში არც სამშობლოს უშავდა რამე და არც თავისუფლებას. ვიცოდი, რომ ჯერ ისინი და იმათთან ერთად ჩვენ უნდა ამოვეხოცნეთ მტერს და მერე საფრანგეთისთვის დაეკლო რამე.

## II

ხალხის გამარჯვების შემდეგ საერო კრებამ, იმავე ხალხის სურვილისამებრ, უარ-ჰყო ბერ-მონოზანთა განსაკუთრებული ტანისამოსი; შემოიღო ცოლ-ქმართ გაყრა; ახალ წესზედ გააწყო ერის მცველი ჯარი და დაადგინა ყოველი ფრანგის სავალდებულო სამსახური მილიციაში; დაადგინა წვრილ-წვრილად, ფასის განაწილებით გაყიდვა საეკკლესიო მამულებთან ერთად გახიზნულების მამულებისა, რომ გლეხი-კაცისთვის გაეადვილებინა მათი ყიდვა და ფასის ნელ-ნელა გადახდა. სასტიკი ბრძანება მისცა კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებს და ბერებს: დღეიდან თხუტმეტი დღის განმავლობაში გადით საფრაგეთიდან, თორემ გვიანაში გაგისტუმრებთო. გარდა ამისა დაადგინა გახიზნულთა დედ-მამის მძევლად ყოლა ომის გათავებამდე და სამართალში მიცემა ყველასი, ვინც ხალხზედ იარაღი იხმარა ან იხმარებდა. წარმოიდგინეთ, როგორ გაახარებდნენ ეს კანონები პატრიოტებს. აღფრთოვანებული ვიყავით ახალ-ახალი იმედებით და მხიარულად გავიძახოდით: რევოლიუციამ გაიმარჯვა! აჯობა ქვეყნის მოღალატეებსაო!

იმავე დროს ხმა გავარდა, ლაფაიეტი, არდენში მყოფი ჯარების წინამძღოლი, უარ-ჰყოფს 10 მარიამობისთვეს საერო კრების დადგენილებასაო. ჩრდილოეთით უკვე შემოგვესია მტერი; ვანდელები, დიდებულთა და ბერების წინამძღოლობით, პრუსიელებს-ღა ელიან, რომ აჯანყდნენ და უკანიდან დაგვეცნენო... სიხარული და მწუხარება ხომ განუყრელნი ყოფილან ყოველთვის!

შემოდგომა ახლო იყო. რეინზედ საშინელი ბურუსი იდგა კეიშის ჭაობი ხომ სულ ღრუბლით იყო მოცული. ყოველ დღე პატარ-პატარა რაზმები გადიოდნენ მტრის დასაზვერად. გლეხი-კაცები ამბობდნენ ხოლმე ბაზრობა დღეს, პრუსიელები და ავსტრიელები ტონვილისკენ მიეშურებიან და ერთი რაზმი კი ქალაქს გარს უვლის, რომ ლორენში გადავიდესო, ისიც ვიცო-

დით, რომ საერო კრებისაგან გამოგზავნილი კაცები ათვალიერებდნენ ვისსემბურგის სიმაგრეებს და ერთი მათგანი ინჟენერი კარნო, ახალ ციხეებს აშენებინებდა.

ეს რომ გაიგეს, დარაჯიც მეტი გაიყვანეს. ზარბაზნები შეამზადეს. დღე და ღამ მტრის გზას გავცქეროდით, თუმცა ბურუსის გამო ბევრი არა ჩანდა-რა. ხანდახან მტრის ულანები გამოჩნდებოდნენ, შორს, შორს, თითქო ავსტრიელების ჯარების მოახლოვებას გვაცნობებენო: აი მოვდივართ! დღეს-ხვალ მანდ ვიქნებითო!

ჩვენც ველოდით.

ერთ დილას დარაჯად ვიყავი ციხის კართან. ის იყო დასაზვერად გასულმა რაზმმა საქონელი მორეკა და კარი ჯერ ღია გვქონდა. იმ ორი დღის წინად სამხედრო ტანისამოსი დაგვირიგეს. თუმცა თბილი ტანისამოსი გვეცვა, მაინც ძალიანა გვციოდა; ამხანაგები იქვე ცეცხლს შემოსხდომოდნენ და თბებოდნენ. ზოგი ჩიბუხის წევით ბოლთასა სცემდა რაღაცა ფიქრებით გატაცებული. ვისაც არ უნახავს, ვერც კი წარმოიდგენს, რა საშინელებაა გარნიზონად ყოფნა სადმე ციხეში, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ დიდი ხანი აღარ ვყოფილვართ ლინდაუში. ჩვენდა საბედნიეროდ, რადგან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ადამიანის ნასახიც აღარ შერჩება ხოლმე კაცს გარნიზონულ ცხოვრებისაგან.

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც იმპფლინგენის მხრივ უცბად ზარბაზნის ხმა გაისმა. ჯერ ერთი გავარდა, მერე მეორე და მიჰყვა ისე—დიდი ხანი აღარ შეწყვეტილა. ყველანი გარეთ გამოვარდნენ. სულ განაბულნი ვიყურებოდით სამძღვარისაკენ, გვეგონა საცაა მტერი გამოჩნდებაო,—მაგრამ ერთმა მოხუცებულმა, ჯარში დაბერებულმა და სამხედრო საქმეში გამოცდილმა ჯარის-კაცმა ივანე სომმა აგვიხსნა მტერი ნუ გგონიათ, ემაგრე ჩვენი ჯარები ისვრიან ზარბაზანს; ალბად მარშალი ან მეფის გვარისა მისულა ვინმე ჯარში და პატივისცემის ნიშნად ზარბაზნით დახვედრიანო. არცა სცდებოდა ჩვენი მოხუცებული ამხანაგი; ოღონდ ზარბაზნის სროლით, როგორც

ცოტა ხანს უკან გავიგეთ, ჩვენი ჯარი საერო კრებისაგან ჯარების დასათვალიერებლად გამოგზავნილ კამისრებს დაუხვდა, რომელთაც თან ახლდათ გენერალი კუსტენი.

შუადღისას ჩვენს ალაგას დარაჯად სხვა დააყენეს. ჩვენც სიხარულით გავეშურეთ ქალაქისაკენ, რომ კამისრები გვენახა. ჩვენ რომ მივედით, ისინი სამამასახლისოში იყვნენ და ჩვენი ჯარის ყველა უმფროსები მხედრულად მორთულ-მოკაზმულები იქ მისულიყვნენ მათ სანახავად.

ცუდი ამბები მოეტანა იმ დღეს დეპეშას: ლაფაიეტს უნდოდა პარიზზე წასულიყო, რომ იაკობელები ამოეჟლიტნა და მეფე ისევ თავის ტახტზედ ეზბრძანებინა; „მთიულთა“ წინადადებით გატაცებულს საერო კრებას დაედგინა—ლაფაიეტი სამშობლოს მოღალატეაო და ისიც ბელგიაში გაქცეულიყო. ჩრდილოეთის ჯარს იმის ალაგას დიუმურიე წინამძღოლობდა. მეორე ჯარის წინამძღოლობა კელლერმანს უნდა მიელო და შალონის ჯარისა—ლიუკნერს. მტერი უკვე დაძრულიყო და სამზღვარს გადმოსულიყო. სირკში ბევრი პატრიოტები დაეხვრიტა და ახლა ლონგვის მისდგომოდა; ვანდელები აჯანყებულიყვნენ... ერთის სიტყვით, სულ ყველას ჩვენზედ მოეცალა: გარედან მტერს და შინ ღალატს და მოქალაქებრივ ბრძოლას.

ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში ჩაგვაგდებდა ეს ამბები. როგორც ხედავთ, ტყუილად არ გვემუქრებოდნენ თავადი არტუა, გენერალი ბულიე და ეპისკოპოსები. ჩვენს დასაღუპავად აღარასა ზოგავდნენ და ჩვენც ერთი-ღა დაგვრჩენოდა: გამარჯვება ან სიკვდილი!

გული მაინც არ გაგვტეხია. მეტადრე კამისრებმა გაგვამხნევეს თავიანთი მიუდგომლობით. ყველა აფიცრები დააფიცეს და რადგან ორმა რაზმის უფროსმა—თავადმა ბროლიმ და ბატონმა ვერლანტრუამ ფიცი არ ინებეს, მაშინვე წაართვეს თანამდებობა და მათ მაგივრად ჰუშარი და კუსტარი ჩააყენეს; ამათ კი ყველა იცნობდა როგორადაც გულწრფელ პატრიოტებს და თავგანწირულ მამულიშვილებს. ეს ყველაფერი მთელი რაზმის თვალწინ მოხდა და ესეც კმაროდა, რომ

ყველას გვეგრძნო ძლიერება იმ ერისა, რომლის სახელით სამი კამისარი—სამივე უბრალო ხალხის შვილი, ასე სასტიკად სჯიდა თავის ორგულთ. უნდა გენახათ აფიცრების სახის გამომეტყველება, რომ დამშვიდებით ვეთქვათ: ახლა კი დარწმუნდნენ, რომ ძლიერება მარტო ხალხის ხელთ არის და ყველანი ალტაცებით შეჰფიცევენ ერთგულებასაო! აფიცრების შემდეგ ათისთავები და ჯარის-კაცები დაგვაფიცეს და ჩემი თქმა რა საჭიროა, თქვენ უკეთ იცით, რა სიხარულით დავიფიცავდით ყველანი.

ორ საათზედ მოედანზედ გაგვიყვანეს, რადგან კამისრებს ჯარების დათვალიერება უნდოდათ. იმისთანა სიხარულით ვიძახდით: თავისუფალ ერს გაუმარჯოს! კამისრებს გაუმარჯოთ! პარიზელ ხალხს გაუმარჯოს! რომ ჩვენს პატრონს სამშობლოს შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა.

ეხლაც თვალ-წინ მიდგას დიდი თვალ-გადაუწვდენელი მოედანი და ზედ ყველგან ჯარები და ჯარები. ზედ შუაზედ კარნო და პრიორი ინჟენერების აფიცრის ტანისამოსით და რიტტერი უშველებელი ხმლით და სამფერი სარტყელით—ხალხის შვილნი, ხალხისაგან არჩეულნი, რომელთაც რაზმის უმფროსნი და გენერლები ასეთი პატივისცემით ექცევოდნენ.

ისინი კი ყურადღებასაც არ აქცევდნენ ამ მოწიწებითი პატივისცემას. იმათ მარტო ის უნდოდათ გაეგოთ, უბრალო ჯარის-კაცს ხომ არა შიან, ხომ არა უჭირს-რაო? გულმოდგინედ უსმენდნენ ყოველ ჯარის-კაცს და ყველა საჩივარს წიგნში ინიშნავდნენ.

ყველაზედ ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზედ კარნომ მოახდინა, როდესაც ბატალიონის წინ შედგა და მაღალი ხმით დაგვიძახა:

— დაიფიცეთ, რომ ერთგულად ემსახურებით თავისუფლებას და თანასწორობას! დაიფიცეთ, რომ ერთიანად გაწყდებით და მტერს კი არ გაახარებთ!

— ვფიცავთ!—შევძახეთ ყველამ და ცრემლი წაგვსკდა. მომაკვდავიეით ფერი წაგვსვლოდა, ისე გვიცემდა გული.

ვიცოდით-და, რასაც ვიფიცავდით! ვიცოდით, რომ ჩვენი და ჩვენ მახლობელთა სიცოცხლე და ბედნიერება ჩვენს გამარჯვებაზედ იყო დამოკიდებული. ვიცოდით, რომ სამშობლოს თავისუფლება და დიდება ჩვენზედ იყო დამოკიდებული.

მაგრამ აქ უნდა ერთი რამ გიამბოთ, რომელიც მარტო მე შემეხება და რომელიც ცხადად დაგანახვებთ, რა განწყობილება იყო მაშინ ხალხისა და მის წარმომადგენელთა შორის.

რვა საათზედ გათავდა ჯარის სინჯვა და ბინისკენ გავემართენით; თან ვყვიროდით: თავისუფლებას გაუმარჯოს! შორს ჩვენგან, მოღალატე დიდებულნო! მთელი ქალაქი გარეთ იყო და ყველგან ამგვარი ყვირილი და სიმღერა ისმოდა. მივედით თუ არა ბინაზედ, შეჭამანდი გიახელით და იმ აფიცრებზედ გავაბით ლაპარაკი, რომელთაც ერისადმი ერთგულების ფიცი არ ინდომეს და ასე სამართლიანად დასჯილ იქმნენ კამისრებისაგან. იმ ლაპარაკში რომ ვიყავით, შემოვიდა ათისთავი და სთქვა, საერო კრების კამისარს მიხეილ ბასტიენის ნახვა უნდაო. მე, რასაკვირველია, ხუმრობად მივიღე; ამხანაგებს სიცილად არ ეყოთ ეს ამბავი. მაგრამ ათისთავი მაინც თავისას იძახდა და მარწმუნებდა, კამისრისაგან შენს წასაყვანად გამოგზავნილი ჰუსარი კარებში დგას და გელისო. რა გაეწყობოდა, ხმალი შემოვიკარ, ქუდი დავიხურე და გავწიე.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სცდებოდნენ და კამისარი სხვა ვისმე ბასტიენს იბარებდა. სად არ არიან ბასტიენები გაფანტულნი? მაგრამ გარეთ მართლა ჰუსარი დამხვდა ცხენით და ბრძანება მაჩვენა, რომელშიაც ჩემი თვალით წავიკითხე: მიხეილ ბასტიენი, თავის ნებით გასული, მთიელთა პირველი ბატალიონის ჯარის-კაციო. წავედით. ის ცხენით—ცალი თვალი ჩემკენა ჰქონდა, ალბად ეშინოდა—დააშავებდა რასმე და ვაი თუ გამეპაროსო. მე კიდევ ფეხით მივდევდი ჩქარი ნაბიჯით.

ჯერ გონებაზედ ვერ მოვსულიყავ. აგერ ეზოში შევედით, რომელიც სავსე იყო ჰუსარებით; აგერ სახლში შემიყვანეს, მშვენივრად გაჩაღებულ სახლში და მე კი ისევ გაშტერებული ვიყავი.

მორიგმა აფიცერმა წაიკითხა ბრძანება და მიბრძანა, პირველ სართულში ადიო. ერთ უშველებელ ტალანში შევედი, სადაც ბუზივით ირევოდნენ მოსამსახურენი პურით, ღვინით და ხორცით: გენერალ კუსტენს დაპატიჟებული ჰყავდა კამისრები და მათთან ერთად ყველა აფიცრებიც. ჩვენს ჯარში კუსტენისთანად არავის უყვარდა დროს გატარება: დიდი გვარიშვილი იყო და ძალიან იცოდა მოლხენა.

ერთმა მოსამსახურემ იუცხოვა ჩემი იქ ყოფნა და,—აქ რას აკეთებო?—მომვარდა. რომ ვუთხარი, კამისარმა დამიბარა-მეთქი, მხარ-მარცხნივ ერთი მშვენიერი ოთახის კარი გამიღო და მიმიპატიჟა:

— მიბრძანდით!

ერთ კარგად მოზრდილ ოთახში შევედი. შუა ოთახში გრგვალი სტოლი იდგა, ზედ ანთებული ლამპარი. მარჯვნივ კარი ღია იყო და მეორე ოთახიდან მხიარული ხმაურობა გამოდიოდა და დანა-ჩანგლის წკარუნი. არ გასულა ერთი წუთი, მეორე ოთახიდან გამოვიდა კამისარი კარნო თავისი სამფერი სარტყელით და ტკბილადა მკითხა:

— თქვენა ბრძანდებით მიხეილ ბასტიენი, შოველის სასიძო?

— დიაღ, ბატონო,—ვუპასუხე შემკრთალი ხმით.

— ნუ გაიკვირვებთ,—მითხრა კარნომ,—შოველი და მე მეგობრები ვართ. რამდენჯერ ვყოფილვარ იმასთან სადილად ბულუას ქუჩაში. თქვენს დანიშნულსაც კარგად ვიცნობ და კარგი ქალიც არის. აი ეს გამომატანა თქვენთან.

ჯიბიდან წერილი ამოიღო და მომცა. ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ მადლობაც კი ველარ გადავუხადე. ისიც გაჩუმებული მიყურებდა და მერე მკითხა:

— უბრალო ჯარის-კაცი ყოფილხართ. შოველმა კი დამარწმუნა, არც განათლება აკლია და არც ცოდნაო. რატომ ათისთავად არ დაგნიშნეს?

ცეცხლივით ავენთე და მოეახსენე:

— რომ მომენდომებინა, ჩვენებურები ათისთავად მე ამირჩევდნენ, მაგრამ ჩემზედ უმფროსნი—ძველი ჯარის-კაცნიც—ბევრნი გახლდნენ. ისინი უფრო გამოცდილები გახლავან და ბრძოლაში უფრო კარგად გაგვიძლვებიან, ვიდრე ჩემისთანა გამოუცდელი.

— მაშ უარი განაცხადეთ?

— დიაღ. მე ჯარში ყოფნას არ ვაპირობ და თუ ჯარში გახლავართ, მარტო იმიტომ რომ გაჭირებულ ქვეყანას დავეხმარებოდი. გათავდება თუ არა ომი, მეც შინ გიახლებით და ისევ ჩემს ხელობას დავიწყობ... მჭედელი გახლავართ.

დამაცქერდა და ღიმილით მითხრა:

— ყოჩაღ ბიჭო! შოველი ძალიან გაქებთ და არცა სცდება, როგორცა ვხედავ. აქედან ჩვენ ისევ ფალსბურგზედ უნდა გავიაროთ. მოვიკითხავ თქვენ მაგიერ და ჩვენ საუბარსაც ვუამბობ. მაგრამ, მგონი როგორ გეჩქარებათ თქვენი დანიშნულის წერილის წაკითხვა და მე კი ლაპარაკი გაგიბით! ნახვამდის!

ხელი ჩამომართვა და გავიდა. ჩემს სიხარულს, ჩემს აღტაცებას სამძღვარი აღარა ჰქონდა. მივდიოდი და ვფიქრობდი:

— ნეტავი კი შემთხვევა მომცეს ბედმა, რომ კარნოს სამსახური გავუწიო! თუნდა ტყვედ ჩავარდეს, მაგალითად, და მე კიდევ იმის დასახსნელად შევვარდე მტრის ბანაკში! მაინც გამოვიტაცებდი, თუნდა სულ ნაკუწ-ნაკუწად ვექციე!

ბევრი კიდევ სხვა ამისთანა სისულელე მიტრიალებდა თავში. ხომ მოგეხსენებათ, ყმაწვილის ქარები! ამ ოცნებით გართული ავედი ჩვენს ოთახში. ჩემს ამხანაგებს ყველას ეძინათ. თუმცა სანათის ანთება აკრძალული იყო, მაინც ავანთე სანთელი და ჩემი მარგალიტას წერილის კითხვა დავიწყე. ათისთავს ეძინ და მაშასადამე ვერავინ დამინახავდა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. ყმაწვილი ვიყავ, ძალღონით და სიყვარულით აღსავსე ვიყავ და ბავშვივით ავტირდი, როდესაც მარგალიტას წერილი წავიკითხე და გავიგე, როგორ აწუხებდა ჩვენი დაშორება. ეს 1792 წ. იყო, აგვისტოს დამლევს. და დღეს კი... დღესაც ხომ მიყვარს

ჩემი მარგალიტა, მაგრამ ის სიყვარული აღარ არის; თითქო სიზმარი იყოო, ისე გაჰქრა ის დალოცვილი, ალბად სიყმაწვილეს გაჰყვა თან. დიაღ, ხომ დიდი ხანია მას შემდეგ და თუ გნებავთ ზეპირად მოგახსენებთ იმ წერილს. ღმერთო, რამდენჯერ გადამიკითხავს ჩემს ჯარიანობაში! ბოლოს და ბოლოს ისე დაიგლიჯა, რომ ნაკუწ-ნაკუწად იქცა და მე კი მაინც გავშლიდი ხოლმე საცა კი მოვახელებდი, წყობისად დავალაგებდი და კითხვას დავიწყებდი. ზეპირად ვიცოდი, მაგრამ ისე როგორ წავიკითხავდი, რომ ახალი, ჯერეთ შეუმჩნეველი, სიტკბოება არა მეპოვა-რა.

მაგრამ სიყვარულის ალერსიანი სიტყვები იმისთანა რამ არის, რომ ყველა გულის გულში იმალავს, სხვამ არავინ გაიგონოსო... მამი-ჩემის ამბავსა მწერდა, ყოველ კვირა ჩვენსა არის სადილადაო და პატარა სტეფანესას იწერებოდა—წიგნის მაღაზიაში გვინდა მივცეთ შეგირდადო. სასოფლო და სამაზრო კრებები უკვე იყო და ჩვენს მაზრაში ყველაზედ მეტი ხმა შოველს მისცეს, ასე რომ კონვენტის წევრად უთუოდ შოველი იქნება და რადგან მე პარიზს აღარ გავყვები და ჩვენს საქმეს—წიგნის მაღაზიას და ბიბლიოთეკას—მარტოკა ვერ გავუძღვები, პატარა სტეფანე ძალიან გამომადგება, რადგან ძალიან კარგი ბიჭია, გონება გახსნილი, სწავლის მოსურნე და ამით ძალიან შემაყვარა თავიო,

შემდეგ იწერებოდა, რა კარგად მიიღეს ფალსბურგელებმა კამისრები. ჯარები რომ დაათვალიერეს, მერე ჩვენს კლუბში ბრძანდებოდნენ, რომ თავისუფლების და თანასწორობის მომხრენი გაეცნოთ. მთელი ქალაქი აღტაცებული იყო 10 მარიამობისთვის საქმით; ფალსბურგის სამამასახლისოდან 300 მანეთი ერთხელ გაუგზავნეს საერო კრებას ომის ხარჯად და 400 კიდევ მერე. კამისრებმა სახალხოდ მადლობა გამოუცხადეს შოველს კეთილი მიმართულებისთვის, რომელზედაც მან დაამყარა არა მარტო ჩვენი კლუბი, არამედ მთელი ჩვენი მაზრაც.

აი რაებს იწერებოდა ჩემი მარგალიტა. წერილის ბოლოში შოველს მოეწერა მოკითხვა და დარიგება: შენ შენი საქმე

და ვალდებულება კეთილსინიდისიერად აასრულე და დანარჩენისა... ღმერთი მოწყალეა, ეს ომი ბევრი-ბევრი ექვს თვეზედ გათავდება, რადგან მტერი ვერ გაგვიძლებს და შერცხვენილი გაემართება, საიდანაც მობრძანებულაო. ამასა მწერდა შოველი და ის კი ავიწყდებოდა, რომ კლუბში სულ სხვას გვიმტკიცებდა: ხანგრძლივი იქნება ეს ომი და რამდენიმე წელიწადი გასტანსო. არა, ავიწყდებოდა კი არა, ალბად იმიტომ მწერდა ამას, რომ გავემხნევებინე. მაგრამ მე გამხნევება არ მინდოდა: ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ომი მაშინ გათავდებოდა, როდესაც ან ერთი მხარის ჯარი ამოწყდებოდა, ან მეორისა.

მეორე დღეს დილით კამისრები ბელფორისკენ წაემგზავრნენ ელზასში.

ყველგან მტრის პატარპატარა რაზმები დადიოდნენ გზებისა და ჩვენი ჯარების დასაზვერად. დადიოდნენ და ისე იქცევოდნენ, თითქო ჯარი კი არა, ყაჩაღები არიანო: ვისაც მოერეოდნენ სძარცვავდნენ და ჰკლავდნენ, სოფლებს იკლებდნენ. ხანდახან ისე მოგვიახლოვდებოდნენ, რომ ადვილად ვარჩევდით იმათ წითელ წამოსასხამს და ტყავის ქუდს; მოგვიახლოვდებოდნენ, დამბაჩას დაგვახლიდნენ და საშინელი ყიჟინით უკანვე მიაქროლებდნენ ცხენებს.

ეს გახლდათ ავსტრიელი თითქმის ველური ჯარი, რომელთაც „მხეცები“ ვუწოდეთ; ჰუჰყიანები, ტურტლიანები, სისხლით გაუმაძღარნი! ოღონდ კი ხალხი ეხოცნათ, და იმათთვის სულ ერთი იყო, ქალი და კაცი, მოხუცი და უსუსური ბავშვი.

ლანდაუს გარეშემო იდგნენ „მხეცები“ და თვალ-ყურს გვადევნებდნენ. ხანდახან ზარბაზნის ხმა მოისმოდა, მაგრამ მტრის ჯარი კი არსადა ჩანდა.

მტრის უმთავრესი ჯარების გზა ძალიან შორს იყო ჩვენგან. ამბავი მოგვდიოდა, ლორენისკენ შეუწყვეტლივა დის მტრის ჯარი თავის ზარბაზნებით და სურსათითაო.

ჩვენ კი ვისხედით ჩვენს სიმაგრეებში და სევდით გვევსებოდა გული. რის მაქნისნი ვიყავით, თუ კი სადღაც მიყრუე-

ბულს ციხეში დაგვაბანდებდნენ და ბრძოლას არ გვაღირსებდნენ!

დარი მაინც ყოფილიყო, ცოტათი მოილხენდა გული. მოღრუბლული, მოქუფრუშებული იყო ცა და თავბედს გვაწყევლინებდა. წვიმდა და ჩვენს თავს ნუგეშსა ვცემდით, ჰაი თუ დასველდებიან პრუსიელებიო! ორჯერ თუ სამჯერ მოსალაპარაკებლად კაცი მოგვიგზავნეს—ერთი აფიცერი და ერთიც ჯარის-კაცი, რომელიც შორიდანვე საყვირით გვატყობინებდა, სამტროდ არ მოვდივართ. ჩვენებიც გაეგებებოდნენ, აფიცერს თვალებს აუხვევდნენ და ციხის უმფროსთან მიიყვანდნენ. ნეტავი, რა ჰქონდათ სათხოვარი, ან მოსალაპარაკებელი? ამისი ციხის უმფროსის და საბჭოს გარდა არავინ რა იცოდა.

ერთ დილას, ენკენისთვე იყო, ხმა გავარდა, ალბერტსვეილერის ციხესთან მიუჰქენებია ცხენი ერთ „მხეცს“ და დაუყვირნია:

— ლონგვი ავიღეთ!.. ვერდენი დაგვნებდა!.. მთელი გარნიზონი ამაზედ ლაპარაკობდა.

კუსტენმა ცოტა რამ ჰუსარები გაიყოლა და ციხიდან გავიდა, რომ ვისემბურგის სიმაგრეები დაეთვალიერებინა. ჰუსარები ისევ მალე დაბრუნდნენ და ამბავი მოიტანეს, რეა რაზმი გაისტუმრეს საჩქაროდ ქ. მეცისკენაო. საშინლად შევწუხდით ყველანი: ალბად ძალიან დავმარცხებულვართ, რომ გარნიზონიდან ჯარები გაჰყავთ და იმოდენა ქალაქს ღვთის ანაბარად სტოვებენო. მიუხედავად ამ გარემოებისა პატრიოტი მოქალაქენი ძალიან გულმაგრად იყვნენ, ალზასს შიში არაფრისა აქვს! ალზასი ისე არ წახდება, რომ ლოტერბურგის ხეობა ვერ გაამაგროსო... გერმანელებმა ან ფიშბახის და დაჰნის მინდორი უნდა გაიარონ, ან არა და ბინვალდის ტყეში შევიდნენ... ნეტავ არ იქნება გაბედონ და ტყეში შეერიონ! ისე ამოსწყვეტენ ჩვენი ჯარები, რომ ამბის წამღებიც არ გადარჩეთ! ალშტატის გზაზე წამოვლენ და იქ იმისთანა ციხე დახვდებათ, რომ 50 ათასიც რომ იყვნენ ვერას დააკლებენო!

აი რას ლაპარაკობდნენ ლინდაუს ლუდხანებში. ისე იყვნენ მოქალაქენი და ჯარის-კაცნი, როგორც ძმანი. მაგრამ რა!

თუმცა გულს ვიმაგრებდით, ჩვენი საფიქრებელი სულ ის იყო' ვაი თუ მტერმა პარიზისკენ გზა გაიგნოს და, ჩვენ ტყუილ-უბრალოდ ველოდნეთ ლინდაუში ღვთისა და ქვეყნის უსარგებლოდაო! ღმერთო, რა საშინელი სურათი წარმომიდგებოდა ხოლმე, როცა ეს ფიქრი გამიტაცებდა!

ჩვენს ოთახში მარტო ჩვენი მოხუცებული ამხანაგი იყო გულდამშვიდებული და ჩვენც სულ იმას ჩაგვჩიჩინებდა, ტყუილად სწუხართ, მტერი ვერას დაგვაკლებსო. ერთხელ ძალიან ჩაფიქრებული რომ ნახა ამხანაგები და ველარა გააწყო-რა, შეუტია:

— შემოვიდნენ, ვეჟო, თქვენ რა გაწუხებთ? ნეტავი ღმერთი გაუწყრეთ და სულ ერთიანად გადმოვიდნენ ჩვენს საზღვრებს. ნეტავი! უკანიდან დავეცნეთ და, ცალი ულვაში მამპარსეთ, თუ ერთად ერთიც არის გადაგვრჩეს ცოცხალი!

დიაღ, ვიყავით ისე და სულ იმასა ვნატრობდით, ნეტავი ბრძოლა გვაჩვენაო. ერთ დილას ხმა გავარდა, მტრის ჯარის სვლა შესწყდაო! საფრანგეთში უკვე 180 ათასი პრუსიელი და ავსტრიელი იყო. ჩვენს გარშემოც ალარავინა სჩანდა, თვით „მხეცებიც“ კი უმთავრესს ჯარს დასდევნებოდნენ. იმ დღეს დიდი ძალი გლეხ-კაცობა მოუახლოვდა სიმაგრეებს, კაცი თუ ქალი; ზოგს რა წამოეღო გასასყიდად და ზოგს რა. კარი გაუღეს და ქალაქში შემოიყვანეს. იმათ გვიამბეს, თავადი ჰოენლოე—კირშბერგში მამასახლისთან იდგა; თავისი ჯარები ეხლა ტიონვილს შემოარტყა და ზარბაზანი დაუშინა; ტიონვილელი გარნიზონი ხშირად გამოდის და ებრძვის ავსტრიელებს... აქ რომ იყვნენ, ავსტრიელებმა ძალად გაგვატანინეს ურმები და იმოდენი ჯარის ბარგი და სურსათი ტიონვალამდე გვაზიდვინე'. ეს ამბები იქ გავიგეთ და იმის იქით რა ხდება, რა მოგახსენოთო.

მაშ ლოდინი, ჯერ ისევ ლოდინი!

ვიყავით ისე გულხელ-დაკრეფილი და ჩვენს რიგს ველოდით, იქნება ღმერთმა მოგვხედოს და ჩვენც გაგვიყვანონ საბრძოლველადაო. 25 ენკენისთვეს სტრასბურგიდან და ნანსიდან ფოსტა მოვიდა და მთელი ქალაქი გაზეთებით და წერი-

ლებით გაივსო. მაშინ დაწვრილებით გავიგეთ, რაც კი იმ სამი კვირის განმავლობაში მომხდარიყო: ლონგვი ისე დაენებებინათ მტრისთვის მცხოვრებთ, რომ თოფიც არ დაეცალათ, თუმცა იქ მყოფ ჯარებს ძალიან თურმე უნდოდათ ბრძოლა; ვერდენიც მცხოვრებთა სურვილისამებრ დანებებოდა მტერს, რადგან ვერდენელი ქალ-რძალი თაიგულებით გაგებებოდა პრუსიის მეფეს; ვერდენელ ჯარის უმფროსს ბორეპერს თავი მოეკლა, რომ სამარცხვინო ოქმზედ ხელი არ მოეწერა; გაზეთებიდანვე გავიგეთ დიუმურიესაგან არგონის ხეობის გამაგრება და დაცვა; კელლერმანისაგან შალონისკენ წასვლა მტრის დასახვედრად; პარიზელი ხალხის აშლა, როდესაც გაეგოთ მოღალატეთაგან უბრძოლველად დანებება ქალაქებისა და ბრაუნ შვეიგის მუქარა: პატრიოტები უნდა ამოვწყვიტოვო. გაზეთებიდანვე გავიგეთ ციხეებში დიდებულების და კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების და ბერების ამოხოცვა; ვალმის ბრძოლა; პრუსიელების დამარცხება და კონვენტის პირველი კრება, რომელმაც საფრანგეთი ერთხმივ რესპუბლიკად აღიარა 21 ენკენისთვეს *).

---

*) 21 ენკენისთვეს 1792 წ. დაიწყო კონვენტმა მოქმედება და მესამე დღეს 23 ენკენისთვეს საფრანგეთი «ერთ და განუყოფელ რესპუბლიკად» გამოაცხადა. კონვენტის წევრნი პირველშივე სამ ნაწილად გაიყვნენ. მარჯვნივ გავიდნენ ჟირონდელები—ვერნიო, ფილოსოფოსი კონდორსე, გადე და სხვ. მარცხნივ მთიულნი—დანტონი, რობესპიერი, მარატი, კამილ დემულენი, ბაზირი, ლეჟანდრი, მერლენ ტიონვილელი, კარნო და სხვ. ამ ორ პარტიის შუა იმყოფებოდა „ვაკე“, რომელიც თავისთავად არას წარმოადგენდა და ორში იმას მიემხრობოდა, რომელიც მეტს ძალას გამოიჩენდა. როგორც ჟირონდელებს, ისე მთიულთ გაგიჟებით უყვარდათ სამშობლო და ერთად ერთი მათი წადილი, რომლისთვის სიცოცხლესაც კი არა ზოგავდნენ, სამშობლოს კეთილდღეობა იყო. მაგრამ სიძულვილით დაბრმავებულთ, ერთმანეთისა აღარა სწამდათ-რა და ყოველგვარს ცილსა სწამებდნენ. მთიულნი ჟირონდელებს ფედერალისტობას აბრალებდნენ: თქვენ გინდათ საფრანგეთი ოთხმოც და სამ პატარპატარა რესპუბლიკად გაჰყოთო. ჟირონდელები რობესპიერს, დანტონს და მარატს დიქტატირობის სურვილსა სწამებდნენ; თქვენ გინდათ მთელი საფრანგეთის ცხოვრებას თქვენ განაგებდეთ ეგ სამი კაციო. „მოვკვდები და საძრახისს კი არას ვიზამო“,—იძახდა ჟირონდელი ვერნიო;—„ყველას ვიზამ და სამშობლოს ვიხსნი... დიდი რამ მენაღვლება, თუ ქვეყნისაგან გმობილი იქნება ჩემი სახელიო!“—იძახდა დანტონი.

10 მარიამობისთვეს არჩეული პარიზელი ხალხის კამისრები, რომელთაც ცავალებული ჰქონდათ ყოველი ღონისძიება ეხმარათ „საზოგადო საქმის“, ესე იგი რესპუბლიკის დასაცველად ჯერ კიდევ არსებობდა (კომმუნა) და ხშირად მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე თვით კონვენტს. პარიზელი ხალხის არჩეულნი კომმუნის წევრნი ხშირად ერეოდნენ კონვენტის საქმეების სჯაში და თავისებურ მიმართულებას

დიდი ამბები ხდებოდა საფრანგეთში და ჩვენ კი ვისხედით სადღაც ლინდაუში და მტერი კი არსადა ჩანდა, რომ იმას მაინც შევბრძოლებოდით და ჯავრი ამოგვეყარა. ბრაზი გვერეოდა, უსაქმურობა გვკლავდა და ხმა-მაღლა ვჩიოდით:

— ნეტავი რისთვის ვყევართ აქ? იქნება უნდათ ხავსი მოგვკიდონ! ხომ დამარცხებულან პრუსიელები და რაღას უყურებენ? რატომ გზის შესაკრავად არ გაგვიყვანენ?

---

აძლევდნენ მის დადგენილებას. ჟირონდელები ჯერ კონვენტის გახსნამდე წინააღმდეგნი იყვნენ პარიზელი ხალხისა, რომელმაც თავის წარმომადგენლად სულ მთიულნი აირჩია—რობესპიერი, დანტონი, კამელ დემულენი, მარატი, რობესპიერი უნცროსი, სერჟანი, და სხვანი და არც ერთი ჟირონდელი. გარდა ამისა 10 აგვისტოს ხალხის აშლა, სასახლის აღება დს მეფის დაპატიმრება ჟირონდელების შეხედულობით მომაკვდინებელი ცოდვა იყო, რომლის სასჯელი ერთნაირად უნდა ეზიდნათ როგორც ხალხის მოთავეთ—დანტონს, მარატს და სხვათ, ისე თვით პარიზელ ხალხსაც, რომელსაც იმდენად უნდობლად უყურებდნენ ჟირონდელები, რომ საეროდ გამოაცხადეს: რადგან შეიძლება ერთ მშვენიერ დილას პარიზელმა ხალხმა სულ ერთიანად დაგვხოცოს ჟირონდელები და მართებლობა თვითონ დაინარჩუნოს, საჭიროა ეხლავე მოვიწვიოთ კონვენტის წევრთა კანდიდატები და ჩვენს სამაგიეროდ მზად ვიყოლიოთო. საფრანგეთის ყველა უბედურებას იგინი დანტონს, რობესპიერს და მარატს აბრალებდნენ და მათთან ერთად პარიზელ ხალხს.

დანტონი ბევრს ეცადა, ჟირონდელები და თავისი პარტია მოერიგებინა როგორმე, მაგრამ ცდამ ტყუილად ჩაუარა და კონვენტის გახსნა და ჟირონდელებისაგან მისი ლანძღვა ერთი იყო. დანტონმა ამის პასუხად სამშობლოს გაჭირვება და თანხმობა მოაგონა. რობესპიერმაც თავის მხრივ, როდესაც უსაყვედურეს 10 აგვისტოს სისხლის ღვრა შენი ბრალიაო, დაამტკიცა, რომ ეს უბედურება სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხის ბრალი იყო და არა კერძო პირისა. მაგრამ პარიზელი ხალხის წინამძღოლი და მის სულის ჩამდგმელი მარატი კონვენტშიც დაურიდებლივ ამბობდა თავისას: საფრანგეთს თუ იხსნის, დიქტატორი იხსნის, რომლის დანიშნულება მარტო ის იქნება, რომ თავები გააყრევინოს, ვისაც კი ეჭვის თვალით დაინახავსო! ჟირონდელები მთელს თავიანთ ძალღონეს მარატთან ბრძოლას ანდომებდნენ და მით უფრო აძლიერებდნენ მის სახელს ხალხში: ალბად ძლიერი და უძლეველი ყოფილა, რომ ერთს კაცს ნახევარ კონვენტი ვერას აკლებსო! დანტონი მაინც იმედს არა ჰკარგავდა და ცდილობდა თანხმობა ჩამოეგდო კონვენტში. მაგრამ პირადი სიძულვილით დაბრმავებულთ საზოგადო საქმე დავიწყებულივითა ჰქონდათ და ერთი ერთმანეთის განადგურებას-ღა უნდებოდნენ. დანტონს ქურდობაც კი დააბრალეს; მინისტრად რომ იყო, სახელმწიფო ფული მოიპარაო.*) თავის დაუცხრომელს მტერს, გადეს, ერთი ამგვარი ცილისწამების პასუხად დანტონმა შემდეგი უთხრა; „კაცი ის არის, ვინც პირადს სიძულვილს მსხვერპლად შესწირავს სამშობლოს; შენ, გადე, ეგ არ შეგძლებია და სწორედ ეგ დაგღუპავს შენ!“

---

*) ჟირონდელებისაგან წარმოთქმული დანტონის ქურდობა შემდეგში ლუი ბლანმაც განიმეორა, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში. მაგრამ ალფრედ ბუჟარმა და რობინემ დაამტკიცეს, რომ ეს უბრალო პარტიული ცილისწამება იყო.

ზოგნი კიდევ იმ აზრისანი იყვნენ, რომ მანამ დრო გვაქვს და რეინის პირას მტრის მაღაზიები—სურსათით და იარაღით სამსე მაღაზიები—უპატრონოდ არიან, ჩავიდეთ და ავიკლოთ, სულ 10—12 საათის სავალია აქედან! გავიმარჯვებთ კიდეც და არც ხელცარიელი დავბრუნდებითო!

ერთი სიტყვით, ყველა რაზმები სულ ამ უსაქმურობას ჩიოდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ წინამძღოლებს ღალატსა სწამებდნენ: ალბად გვღალატობენ, თორემ ამისთანა კარგი შემთხვევით არ უნდა ესარგებლათო? ცოტა კიდევ და აჯანყება მოხდებოდა ჯარისა, მაგრამ მოგვხედა ღმერთმა და 29 ენკენისთვეს საღამოს გენერალი კუსტენი დაბრუნდა თავისი ამალით. კოკისპირულადა წვიმდა, მაგრამ წვიმას ყური არ უგდო და ბრძანება გასცა, წასასვლელად მზად იყავითო. ერთს წამზედ შევმზადდით ყველანი და გავედით ლინდაუდან; ზოგნი მერმერჰეიმისკენ წაიყვანეს და ზოგნი ვეინგარტენისკენ. არც ახლა ხარ კმაყოფილი? ჩავძახოდი ჩემს თავს, და მივტოპავდი თავით ფეხამდე დასველებული. ვგრძნობდი, რომ ვისაც უნდა მტერს მოულოდნელად თავს დაეცეს, ამაზედ უკეთესს დროს ვერ შეარჩევდა. ჯაშუშები, თუ კი ლინდაუში ჯაშუშები იყვნენ, ვერც კი მოასწრებდნენ, ჩასულიყვნენ და შეეტყობინებინათ მტრისთვის, რომ მაღაზიები დაეცალათ ან გაემაგრებინათ; ვერ მოასწრებდნენ, რადგან ჩვენზედ ჩქარა ვერც ისინი ივლიდნენ.

დიაღ! ძალიან კარგად იყო ყველაფერი მოფიქრებული, საშინელი წვიმა რომ არა ყოფილიყო. დაგვირიგეს ტყვია-წამალი და გავწიეთ! მივდიოდით და ერთ ნახტომზედ ვერასა ვხედავდით, ისე ბნელოდა. მივდიოდით კი არა, ტლაპოში მივტოპავდით! მივდიოდით გაჩუმებულნი და ღამის წყვდიადში ჩვენვე გვესმოდა ჩვენი ფეხის ხმა, ცხენების ფრუტუნი და ზარბაზნების გრიალი. მივდიოდით შეცივნულნი, ცივი წვიმით დასველებულნი და ბევრად აღარ გვასიამოვნებდა პრუსიელების მაღაზიების აღება.

იმისთანა წვიმა და ქარიშხალი იყო, რომ ჩიბუხსაც კი ვერავინ მოუკიდა. წამოგვეწევოდა რომელიმე ცხენოსანი რაზმი და შემოგვძახებდა:

— აბა, ბიჭებო! აჩქარდით! გათენებამდე იქ უნდა ვიყვნეთ!

შუაღამეა! დაიძახებდა ვინმე ამხანაგი.

პირველი საათია!.. ორი საათია!... ლაპარაკიც კი გვეზარებოდა. ჩვენს მაგივრად მინდორში წვიმა ლაპარაკობდა გაბრაზებული.

სოფელში რომ შევიდოდით სადმე, ჯერ დაგვყეფდა მყეფარი, მაგრამ იმოდენ ხალხს რომ დაინახავდა, მიიმალებოდა და ისე გავივლიდით, თითქო ამომწყდარა აქაურობაო. ერთგან კი, მახსოვს, პურს აცხობდნენ; ფანჯრები ღია ჰქონდათ, და იმისთანა საამური სუნი გამოდიოდა, ცხელი პურის სუნი, რომ პირში ნერწყვი მოგვივიდა.

ნეტავი ერთი კუტი მაინც მოეწოდებინათ!

მომაგონდა ნათლიი-ჩემის სამჭედლო, დუქანი და სამზარეულო; მომაგონდა გაჩაღებული ბუხარი, ზედ ქოთნით შეჭამანდი და კაი გამოსული ლორი. ბევრი რამ მომაგონა ცხელმა პურმა! გაჭირებულ სამშობლოსთვის რა პასუხი მეთქვა, თორემ ღმერთი, რჯული ეხლა იქ უფრო მერჩივნა-მეთქი, ვფიქრობდი ჩემს გულში. ვიქნებოდი ჩემთვის ცეცხლა პირას წამოწოლილი და არც ფეხი მექნებოდა სველი და არც ტანი! შემდეგშიაც ხშირად მომსვლია ეს აზრები და დარწმუნებული ვარ, ჩემი ამხანაგებიც სწორედ ამნაირი ფიქრებით იქნებოდნენ იმ დროს გატაცებულნი. ან როგორ იქნება უამისობა: ტალახი, წვიმა, სიცივე, ბნელი ღამე და უძილობა!... მოდი და ნუ მოგაგონდება კარგი ვახშამი და თბილი ლოგინი!

კარგა ხანი ვიარეთ. ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ინათლა. ისე მოველოდით ამ წამს, როგორც სულის ცხონებას და ძალიანაც გაგვამხნევა. გვერდით მოხუცებული ივანე მყვანდა და ისე მიაბიჯებდა, მიუხედავად ჭალარა თმისა და ზორბად დატვირთული გუდისა, რომ ბევრ ყმაწვილ კაცსაც შეშურდებოდა. ცაზედ რომ სინათლე შენიშნა, იმედი მომცა:

— ძალიან ახლო ვართ, მიხო! კი არ გაგვიგონ, იმ საძაგლებმა, და არ დაცალონ მაღაზიები!

ინათლა. შორს, შორს, მინდვრის ბოლოში რეინი გამოჩნდა. ჯერ მზე არ ამოსულიყო, მაგრამ ახლა კი გარკვევით ვამჩნევდი თავით ფეხამდე დასველებულს და ლაფში ამოზინზლულ ჩემს ამხანაგებს, ჩვენს აფიცრებს თავიანთ ცხენებით, ჩვენს უკან ზარბაზნებს თავიანთ სათოფისწამლე ყუთები და დრაგონებს თეთრი წამოსასხამით. გაჩქარებული მივდიოდით რაც კი შეგვეძლო, მაგრამ ჯერ გასავლელიც კარგი გვქონდა. ექვსი ათას კაცამდე ვიქნებოდით და ისე ვჩანდით იმ ტრიალ მინდორზედ, თითქო ექვსასიც არ არისო.

შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც ერთ დიდ სოფელთან შევჩერდით პურის საჭმელად. გზაზედ მარტო ზარბაზნები და ბარგი დარჩა; სხვა ჯარები სოფელს შემოეხვივნენ.

დავლაგდით თუ არა, მე და ივანე სომი მაშინვე სოფლისკენ წავედით, რომ საჭმელი გვეშოვნა რამე. პირველად მაშინა ვნახე, რა არის ჯარისაგან სოფლელების შეწუხება; შეწუხება კი არა, აკლება საწყალი გლეხი-კაცისა! შეშა, პური, ხორცი, ღვინო და სხვ. და სხვ. ყველაფერი სოფლელებს წავართვით. პირველად იქა ვნახე, რა საცოდავია ჩვენი გლეხ-კაცი: ქვეყნად ყოვლად უმწეოს ზეცისკენლა აღუპყრია ხელები, როდესაც იმის ხარი ან ძროხა დასაკლავად გამოჰყავთ ჯარის-კაცებს. იქვე ეზოში წააქცევენ, ყელს გამოღადრიან, უცბად გაატყავებენ, ასო-ასო დასჭრიან და დაარიგებენ.. გამოვიყვანდით საქონელს, წავაქცევდით... ქრისტეს ტირილი ატყდა სოფელში. გარს შემოხვეოდნენ კუსტენს იმოდენი გლეხ-კაცობა და თვალცრემლიანნი უსაყვედურებდნენ.

— რა ვქნა, ხალხო, ომია, ომი! — იძახდა კუსტენი. — თქვენმა მეფემ და დიდებულებმა მოიყვანეს თქვენზედ მტერი და სამდურავიც იმათ უნდა უთხრათ, ჩვენ კი არა!

ერთ კარგ მსხვილ კეტზედ ჩამოვკიდეთ ხორცი, მხარზედ გავიდეთ მე და ივანემ და ჩვენი ბატალიონისკენ გავეშურენით.

ყველგან ცეცხლი ენთო; მხიარული ჟრიამული იდგა მთელს ბანაკში. არ გასულა ერთი საათი, ყველაფერი მოხარშული და უკვე შეჭმული გახლდათ. შევნაყრდით, წამოვიშალენით და ისევ გზას გავუდექით. გლეხ-კაცები კი დაღვრემილები შემოგვცქეროდნენ! ერთი ოცი წელიწადი მაინც მოუნდებათ საწყლებს, რომ იმავე დონეზედ დააყენონ თავიანთი ოჯახი, როგორც ჩვენს მისვლამდე ჰქონდათ. ხუმრობა კი არ არის ერთი სოფლისგან ექვსი ათასი კაცის და იმათი ცხენების დახვედრა.

ჩვენი გზის მარცხენა მხარეს ბუჩქნარი მთები ამართულიყო. ერთ მთაზედ ძველებური ციხე მოჩანდა და მარკოზ დიდემა სთქვა: ეგ ნეუშტატის ციხე არისო. მარკოზი და იმისი მამა სამძღვარ გარედან ჩუმად საქონელს ეზიდებოდნენ ხოლმე ფორბახის და მაინცის შუა და, რასაკვირველია, კარგად ეცოდინებოდა ეს მხარე.

შარაგზას გადავუხვიეთ და წვრილ ბილიკებს გავყევით. ცხენები რომ ველარ ერევოდნენ ზარბაზნებს, ჩვენ ჩავეშველებოდით ხოლმე, ისე უგზო-უკვლოდ ვიარეთ თერთმეტ საათამდე.

თერთმეტ საათზედ ჩვენს მარჯვნივ რეინზედ დიდი ჯარი გამოჩნდა; ცხენოსანი ჯარი უფრო მეტი იყო, ვიდრე ქვეითა. გვეგონა მტრის ჯარიაო, მაგრამ გავიგეთ, რომ ვეინგარტენელი და გერმელსჰეიმელი მილიციები ყოფილიყვნენ და ჩვენს დასახმარებლად წამოსულიყვნენ.

ჯერ ისევ ამ ჯარს ვსინჯავდით, რომ ჩემმა ამხანაგებმა შორს, რეინის პირას, სამრეკლოები და გუმბათები დაინახეს. დაინახეს თუ არა, შედგნენ და სიხარულით დაიძახეს:

— აგერა მაღაზიები, ბიჭებო! აგერა!

ვილას ახსოვდა მთელი ღამის უძილობა, ან წვიმა და დაღლილობა?! ისე შევისროლეთ ქუდები, თითქოს ქორწილში ვყოფილიყავით. მთელი ჯარი უცბად შეჯგუფდა; თვით ცხენებიც კი თითქო გრძნობდნენ, რომ საფრთხეს მიუახლოვდნენ, როგორღაც ჩვენკენ იწევდნენ, იქნება იმიტომ, რომ იმ დროს უფრო ცხარედა ხვდებოდათ მათრახი.

მეორე ჯარის წინამძღოლი ნეუვინგერი იყო; ნეუვინგერი უწინ აფიცერი ყოფილიყო და ახლა, სამშობლოს გაჭირების დროს, თავის ნებით ჩაწერილიყო ჯარში უბრალო ჯარის-კაცად, მაგრამ რესპუბლიკას იგი მაშინვე მარშლად დაენიშნა. დიდ გზაზედ, რომელიც ქ. სპირისკენ მიდის, თითქმის ერთად გავედით ორივე ჯარი. სულ ათას ორას ნაბიჯზედ-ღა იქნებოდა ჩვენგან პატარა სპირი, თავისი ეკლესიებით და მაღაზიებით.

რაკი ვნახეთ, რომ ასე ახლო ვიყავით, უცბად შევდექით ორივე ჯარი და „მარსელიური" დავძახეთ. ან ამაზედ უკეთესს ალაგს სად ვიტყოდით მარსელიურს? აქ პირველი იყო ჩვენგან ბრძოლის ველზე გასვლა და წინ იმისთანა გამოჩენილი კაცები მიგვიძღოდნენ, სულ ჩვენებურები და ყველასაგან ცნობილი კაცები, როგორც ნეუვინგერი, ჰუშარი და კუსტენი. ნუვინგერი ფალსბურგელი იყო და დაგვინახა თუ არა, მაშინვე ჩვენსკენ წამოვიდა, ხელი ჩამოართვა ივანე მენიეს, მერე წინ გაგვიარა თავისი კოხტა ცხენით და შემოგვძახა:

— აბა ფალსბურგელებო! ვინძლო, თავი ისახელოთ!

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! თავისუფლებას გაუმარჯოს! —შევძახეთ ერთხმივ. იმავ წამს ბრძანება მივიღეთ, გზიდან გადაუხვიეთ და პირდაპირ ქალაქზედ მიდიოთ. ქალაქის მარჯვნივ ბაღები იყო და და ღობეებს უკან მტრის ჯარი მოჩანდა თავისი თეთრი ტანისამოსით. მაშინ მკლავთან ერთად თვალიც კარგად მიჭრიდა და კარგად შევნიშნე, რომ ავსტრიელებს მიწა აეგროვებინათ და უკან ზარბაზნები დაემალათ. ქალაქის მისავალში, სწორედ იმ გზაზედ, რომელზედაც ჩვენ ვიდექით გამოსულიყვნენ ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი, მაგრამ ჩვენს დანახვაზედ დიდი ხანი აღარ გაჩერებულან და ისევ ქალაქში შეიმალნენ.

ორი საათი იქნებოდა. გამოიდარა, მზე ამოვიდა. საბრძოლველად დაწყობილნი მივიწევდით ქალაქისკენ. ყოველ ბატალიონს ორი ზარბაზანი მიუძღოდა წინ. შუაზედ ქვეითა ჯარი იყო, აქეთ იქით ცხენოსნები. რეინი ადიდებული იყო და ვენახებსა და ბაღებში გადმოვარდნილიყო. ჩქარი ნაბიჯით მი-

ვიწევდით წინ, თოფ გაშვერილნი და გაფაციცებით ვეძებდით მტერს. უცბად კომლი გამოვარდა საიდანღაც; იმავე დროს ყუმბარამ გადაგვიარა თავზედ საშინელის შრიალით და ორი წამის შემდეგ ხმაც გაისმა ზარბაზნისა. საზარელი იყო ეს ხმა! მე ჩემს დღეში არა გამიგონია-რა იმისთანა საშინელი.

აფიცრებმა გვერდი აგვიარეს და ბრძანება მოგვცეს, გაჩერდით, მოემზადენითო.

ერთი ქვეითა რაზმი და ერთიც დრაგონებისა მარჯვნივ წავიდნენ, რომ უკანიდან მოევლოთ მტრისთვის; იმ სიგანედ მიიკლაკნებოდა ამ მხარეს რეინი, რომ კაი ხანი მოუნდებოდნენ სიარულს.

ავსტრიელები ზარბაზანს გვესროდნენ. მინდოდა დამენახა, საიდან ისვრიან-მეთქი, წამოვიწიე... ზედ შუა გზაზედ კუსტენი იდგა თავის ამალით და განკარგულებას აძლევდა აფიცრებს, რომლებიც საჩქაროდ მიდიოდნენ თავიანთ რაზმებისკენ გენერლის ბრძანების ასასრულებლად.

— ზარბაზნები წამოაყენეთ წინ! — გაისმა ბრძანება.

უკანიდან მოსავლელად წასული ჯარი კარგად შორს წასულიყო.

თვალის დახამხამების უმალ დავალაგეთ ჩვენი პატარა ზარბაზნები ფერდობზედ და სროლა დავიწყეთ. მაგრამ არ გასულა ოცი წუთი ბრძანება მოგვცეს: იერიშით, ბიჭებო, იერიშითაო! და შეიძრა იქაურობა: დაჰკრეს ნაღარა, გაისმა საყვირის ხმა და ზედ იმოდენა ჯარმაც მარსელიური შემოსძახა. ცამდი აადწია ჩვენმა სიმღერამ...

მაგრამ ტყუილად ჩაგვიარა ამოდენა ცდამ: ჩვენ ქალაქისკენ მივიწევდით და მტერი კი გარბოდა; ჩვენ რომ ბორცვზედ ავედით, იქ მტრის ჯარისა აღარავინ დაგვხვდა და შორს ქალაქის შესავალში-და მოჩანდნენ გაქცეულნი. უკანიდან მოსავლელად წასულ ცხენოსან რაზმს ოთხასი ტყვე ეშოვნა.

გაქცეული მტრის ჯარი ქალაქში შეიმალა და ახლა ციხეებიდან დაგვიწყო სროლა.

აქნობამდე კარგად იყო ჩვენი საქმე, რადგან მტრის ყუმბარები თითქმის ვერაფერს აკლებდნენ ჩვენს ჯარს; საქმე ეხლა იწყებოდა, როდესაც თვით ქალაქზედ მივიდოდით.

ბრეტანელებისა და ჩვენი რაზმი პირდაპირ ვუდექით ციხეს. ციხის წინ კარგა განიერი თხრილი იყო ამოღებული, და ზედ ხიდი იყო გადმოგდებული. რაკი ნახეს, ციხისკენ მოდიანო, ავსტრიელები დაეჭიდნენ ჯაჭვებს, რომ ხიდი აეწივნათ როგორმე, მაგრამ ეტყობოდა ისე ჩაჟანგებულიყვნენ ჯაჭვები, რომ ძვრაც ვერ უყვეს. ისინი რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ხიდის აწევას ცდილობდნენ და ჩვენ პირდაპირ იმათ ვუმიზნებდით. მაშინ იმათაც დაგვიწყეს სროლა და რამდენიმე ბიჭი დაგვიჭრეს. ამ დროს წინ წამოგვიარა ნეუვინგერმა, ხმალი იშიშვლა და გიჟივით შემოგვყვირა:

— მომყევით, ჩემო მთიელნო! მომყევით!

მიაჭენებდა თავის ცხენს ნეუვინგერი და მივრბოდით მთიელნი! ხიდი უკვე დაეძრათ, მაგრამ ვერ აეწიათ და საშინელი ხრიალით ჩამოვარდა ძირს. ხიდის დაცემა და მთელი ჩვენი რაზმის ზედ აჭრა ერთი იყო. წინ ივანე მენიე მიგვიძღვოდა. ხიდს გავედით, მაგრამ ციხის კარს წავაწყდით, ძველებურ მუხის კარს, მსხვილი რკინის სალტებით მოჭედილს. ავსტრიელები ყოველი მხრიდან გვესროდნენ. წინ ჩვენ ვიყავით, ციხის ძირში და თითქმის ვერას გვავნებდნენ; მაგრამ ჩვენს უკან ბრეტანელებს ძალიან ხოცდნენ და ისინიც გვაწვებოდენ და დაჭრილი დათვივით დაგვღრიალებდნენ: მიდით, ეი! მიდით! რაღას უდგეხართ?! გვაწვებოდნენ და როგორ გვაწვებოდნენ! მეგონა, ეს არის ჩვენი აღსასრულის დღე-მეთქი. მით უფრო, რომ კარებში ნახვრეტები ყოფილიყო და ახლა იქიდანაც დაგვიწყეს სროლა.

საშინელი იყო ჩვენი მდგომარეობა: წინ აწოწილი ციხე; ზემოდან, გვერდებიდან და ციხის კარიდან ზუზუნით ტყვია; აქეთ იქით კვნესა და გულშესაზარი ძახილი დაჭრილთა, რომელთაც ულმერთოდა ვთელდით ფეხქვეშ, და თან ყვირილი:

— ზარბაზანი ციხეს, ზარბაზანი!..

ბოლოს ბრეტანელებმა ველარ გაუძლეს მტრის ტყვიას, იქვე დატოვეს თავიანთი დაჭრილები და დახოცილები და უკან გაბრუნდნენ.

დავრჩით ჩვენ. კიდეც რომ მოგვენდომებინა, უკან ვერ დავიწევდით, რადგან ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა მტრის ტყვიას.

— ახლა კი დავიღუპენით!—ვთქვი ჩემს გულში, მაგრამ სწორედ ამ დროს მოცვივდნენ ჩვენი ბრეტანელები. წინ ისევ ნეუვინგერი მოუძღოდათ. მოდიოდნენ და საშინელი ხმით გაიძახოდნენ:

— გზა!.. გზა!..

ბუზივით ირევოდა ტყვია.

ბრეტანელებს ცულები წამოეღოთ და უნდა გენახათ რა გაშმაგებულნი მისცვივდნენ კარებს. დაუშინეს ცული... ისე აირია იქაურობა, რომ აღარა ჩანდა-რა, აღარა ისმოდა-რა. ერთი გასისხლიანებული ცული მეც წავართვი დაჭრილს და დავკარ და დავკარ! დავკარ და დავიძახე:

— გამარჯვება ან სიკვდილი!

ვცემდით, რაც ძალი და ღონე გვქონდა. აქეთ-იქიდან კი ტყვია მოდიოდა და ხან ერთ ამხანაგს გვაკლებდა, ხან მეორეს. წაიქცევოდა ვინმე, და ჩვენ ფერ-მიხდილნი უფრო გაბრაზებულნი ვაწვებოდით კარებს. ღვთის წყალობა გაქვთ, ისა ჭრიალებდა! ამოდენა ხანსაც ვერ გაგვიძლებდა, რკინის სალტებით რომ არა ყოფილიყო შეჭედილი. ჭრიალებდა, მაგრამ ჯერ ისევ მაგრა იყო. ბოლოს სრულიად მოულოდნელად შეინტვრა კარი და რამდენიმე კაცი შევარდა ციხეში. შევიდნენ, მაგრამ ციხე ცარიელი დახვდათ. ავსტრიელები გაქცეულიყვნენ.

გვეგონა, რაკი ციხეში შევედით და კარი გავუღეთ ჩვენს ჯარებს, საქმე გათავებულიაო. მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც ას ნაბიჯზედ მეორე ციხე დავინახეთ, თავისი თხრილით და ხიდით. საქმე ის იყო, ახლა ეს მეორეც აგვეღო, თორემ პირველის აღებაც უნაყოფოდ ჩაგვივლიდა.

ყოველი მხრიდან სროლა დაგვიწყეს და ერთიანად ამოგვხოცდნენ ყველას, კუსტენი რომ არ მოგვშველებოდა ზარბაზნებით.

ხუთი წუთის შემდეგ მეორე ციხის კარიც შევანტვრიეთ და ჩვენი ბატალიონი პირველი შევიდა ქ. სპირში. შევიდა, მაგრამ ვაი იმ შესვლას! ყველა სახლში ავსტრიელები იყვნენ ჩასაფრებულნი და ფანჯრებიდან გვესროდნენ. ისეთი კომლი იდგა ფანჯრებში, რომ აღარა ჩანდა-რა. მაშინ მენიემ გვიბრძანა, გამორეკეთ სახლებიდანაო! და დავერიეთ! ყველა სახლში, ყველა ოთახში ხელდახელი ბრძოლა ატყდა და, ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ ისინი ვხოცეთ! ბალახანამდე ავყვებოდით ხოლმე ზოგ-ზოგს და ბევრიც რომ ეყვირა: ნუ მომკლამ, ადამიანი არა ხარო! ისე ვიყავით გამხეცებულნი, რომ დანდობა აღარავისი გვქონდა. ცალ-ცალკე ავიღეთ ყოველი სახლი და ისე შევატარეთ ჩვენი ჯარი დიდ ქუჩაზედ. წინ ზარბაზნები მოუძღოდა, უკან ჯარი მოსდევდა.

ცოტა ხანს უკან ქალაქი ჩვენს ხელთ იყო და ჩვენი ჯარით გაივსო. სამი ათას ხუთასი ავსტრიელი და იმათი წინამძღოლი ვინკელმანი ტყვედ დავიჭირეთ. ოთხასი კაცი რეინში დაიღუპა. მაღაზიები ჩვენს ხელთ იყო, რადგან მტერს ნაღდი ფულის მეტი ვერაფრის წაღება ვერ მოესწრო.

განა-და შეიძლება კაცმა სიტყვით გამოსთქვას პირველი გამარჯვების ნეტარება! განა-და შეიძლება კაცმა სიტყვით გამოსთქვას თავისი სიხარული, ბრძოლა მორჩა და მე კი ღმერთმა მიბრალა და ცოცხალი გადავრჩიო! ახლა მამი-ჩემისა და მარგალიტას სიხარული, ჩემი ამბავი რომ მიუვათ. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი იმ ბრძოლის შემდეგ!

დიდ მოედანზედ დაგვაყენეს იმოდენი ჯარი. ზედ შუაზედ იდგა კუსტენი და მაღალი ხმით აქებდა ჯარის მხნეობას და მამაცობას. მაგრამ შორს ვიდექით და ვერაფერი გავიგეთ, რადგან საშინელი ხმაურობა იყო ქალაქში. იმისი სიტყვა რაზმის წინამძღოლებმა გაგვიმეორეს და სხვათა შორის ისიც მოგვილოცეს, რომ, თუმცა ქალაქი ბრძოლით ავიღეთ, ჩვენგანს ერთსაც არავის-რა აუღია და დაუსაკუთრებიაო. ამ სიტყვამ,

ღვთის წინაშე ვნება უფრო მოგვიტანა, ვიდრე სარგებლობა, რადგან აქამდე ესეც არ ვიცოდით და ახლა კი გავიგეთ, რომ დარბევა შეიძლებოდა. შეიძლებოდაო? ბევრმა ინანა მაშინ, ნეტავი მომგონებოდა, რომ მეშოვნა რამეო.

ერთი სიტყვით, სპირის ბრძოლა პირველი იყო ჩვენთვის და იმიტომ აგიწერეთ ასე დაწვრილებით. ორმოც და ორი კაცი დააკლდა ჩვენს ბატალიონს. ახლა სხვა რამ მინდა მოგახსენოთ.

მართებლობა ეპისკოპოსებს და ერთობ სამღვდელო პირთ ართმევდა, რის წართმევაც კი შეიძლებოდა, რომ ხალხისთვის ომის ტვირთის ზიდვა შეემსუბუქებინა. ხალხი და მოქალაქენი ერთად იყვნენ და ძმურად ირჯებოდნენ ყველა საზოგადო საქმეში. სპირის აღების შემდეგ ხმა გავარდა ჩვენს ჯარში, ახლა თვით ვორმში ჩავიდეთ, იქ უფრო დიდრონ მალაზიებს დავისაკუთრებთო, მაგრამ ეს აღარ დაგვცალდა.

მეორე დღეს დილის ექვსს საათზედ, როდესაც ქალაქის დასათვალიერებლად დავდიოდი, უცბად ნაღარის ხმა შემომესმა. მაშინვე ის ვიფიქრე, მტერი დაბრუნებულა-მეთქი. გავიქეცი ჩვენი ბინისკენ, მაგრამ ჩვენი ბატალიონი უკვე აყრილიყო. საჩქაროდ ავიტაცე ჩემი გუდა და თოფი და უკან გამოვედევნე. მივრბოდი და ვხედავდი, რომ სახლებიდან და ეკლესიებიდან ჩვენი ჯარის-კაცები გამორბოდნენ ნაქურდალით და უკან სპირელები მოსძახოდნენ ყვირილით: ქურდო! ქურდოო!

ჩვენი ჯარი დიდ მოედანზედ შეყრილიყო და ნაღარასა და საყვირს უკრავდა. ერთ პატარა ქუჩაში დუქნის წინ ურემი იდგა. ურემში ერთი გამხდარი დედა-კაცი იდგა და გაჩქარებით ალაგებდა სხვა-და-სხვა საქონელს, რომელსაც დუქნიდან ერთი ჯარის-კაცი აწვდიდა. ისე ჩქარობდნენ ორივენი, რომ ერთი რომ შეგეხედნათ, მაშინვე იტყოდით, წმინდა წყლისანი არ უნდა იყვნენ, ვიღაცანი არიანო! იქვე შორიახლო დარაჯის ქოხი იყო, მაგრამ თვით დარაჯი არსად ჩანდა, ალბად ისიც საშოვრად იყო წასული.

სისხლი თავში ამივარდა ეს რომ დავინახე. ჩვენ იმოდენი სისხლი დავღვარეთ, ხელი არას ვახლებით და ვიღაც მაწანწალები კი უნდა სძარცვავდნენ ქალაქს? და ამათი საძაგლობა მერე ჩვენ უნდა დაგვბრალდეს?! მივარდი დედა-კაცს და... იცით ვინ ვიცანი? ჩემი და ლიზა! ჩემი და ლიზა, რომელიც 1785 წ. შემდეგ აღარ მენახა.

— შენ აქ რა გინდა?

გაწითლებული თვალები სიამოვნებით უბრწყინავდა. მობრუნდა და რომ მიცნა, შემომცინა:

— ბიჭო! შენა ხარ, მიხო? შენც ჯარშა ხარ, განა?

— დიაღ, ვარ. მაგრამ შენ აქ რა გინდა, შე უბედურო, შენა?

— არაფერი, რა უნდა მინდოდეს?

ამ დროს დუქნიდან ჯარის-კაციც გამოვიდა და კარი გამოიხურა.

ჩემი შეეშინდა და ვითომ აქ არაფერიაო, ლიზას უთხრა:

— კიდევ კარგი, რომ ეს მაინც გადავარჩინეთ, თორემ ერთიანად აიკლებდნენ. ეს მაინც წავიღოთ ბანაკში.

ეტყობოდა სამხრელი იყო: შავგვრემანი ბიჭი იყო, გიშერივით წვერ-ულვაში ჰქონდა და შავი თვალები. ლიზას სიცილი წასკდა და უთხრა:

— ჩემი ძმაა, კაცო, ჩემი ძმა.

— ჩემი ცოლის ძმა ხართ თქვენ?!—მომვარდა და გადამეხვია.—ხელი, ცოლის ძმავ, ხელი!

სიცილითა და ხარხარით წაიღეს ურემი და თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, არავინ მოგვასწროსო.

ლიზა საქონელს მიერეკებოდა. ჩემი სიძე-ბატონი კი გვერდით მისდევდა და თავისთვის გაიძახოდა:

— თუ კი გენერალი მოაგროვებს სოფელში ჯარისთვის სურსათს, რატომ მე კი არ უნდა მოვაგროვო?!

ძალიან მეწყინა ეს რომ ვნახე, მაგრამ რა მექნა? ბევრიც რომ მეთქვა, მე იმათ ვერას გავაგებინებდი, რადგან, ხომ მოგეხსენებათ, მგლის თავზე სახარებას არ წაიკითხავენ. მეც გავ-

ჩუმდი. ისინი რეინისკენ გაეშურნენ და რადგან ჩემი გზა სულ სხვა იყო, გამოვეთხოვე. ლიზამ დამიყვირა:

— რა კარგს იზამ, რომ გვნახო! პარიზელ შეთქმულთა მესამე ბატალიონის ბინაზედ გვიკითხე.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა ფიქრები ამეშლებოდა, როდესაც მოედანზედ მივედი და ჩვენი გენერალი დავინახე თავისი ამალით. გენერალი ისე იყო გაბრაზებული, რომ ცეცხლს აფრქვევდა. იმის ბრძანებით ერთი კაპიტანი, ორი ათისთავი და თორმეტი ჯარის-კაცი დაეჭირათ და ასამართლებდნენ.

დაჭერილები იქვე იყვნენ, ეპოლეტ-ჩამოგლეჯილები, ესე იგი ღირსება-აყრილები. ეკკლესიის კარებში შეყრილიყო სამხედრო სასამართლო და დამნაშავეთა ბედ-იღბალსა სჯიდა. გენერალი კი საშინლადა ბრაზობდა.

არ გასულა ათი წუთი, სასამართლომ თავისი გაათავა და გენერლისკენ წამოვიდა მსჯავრის გამოსაცხადებლად. გარდაწყვეტილება გამოუცხადეს, დამნაშავეებს დარაჯები შემოეხვივნენ და ქალაქ გარეთ წაიყვანეს. თვალი გავადევნეთ საბრალოებს და ერთოლამ აგვიტანა, რადგან ცხადი იყო, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ. ცოტა ხანს შემდეგ რამდენიმე თოფიც გავარდა იმ მხარეს.

— ჯარის-კაცმა თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს თავისი ღირსება,—სთქვა გენერალმა.

ჯარი ისევ თავთავის ბინაზედ გაისტუმრეს, მაგრამ მას შემდეგ ძარცვა აღარავის გაუბედნია.

მე კი ქვასავით მაწვა გულზედ ის ფიქრი, რომ ჩემი და სპირში იმყოფებოდა და იმისთანა საძაგელსა ჰყავდა ცოლად! მაგრამ რას ვიზამდი? ავი იყო თუ კარგი, ჩემი და იყო და იმ საღამოს მის სანახავად წავედი. აგერ შვიდი წელიწადი იყო მას შემდეგ, რაც პატარა ლიზა, თავისი პატარა ბოხჩით ვასსელონში წავიდა ტუსსენთან მოახლედ დასადგომად. ეხლა პატარა ლიზა კი არა, კარგი წარმოსადეგი, თუმცა გამხდარი, დედა-კაცი იყო, დედა-ჩემივით გამბედავი და მკვირცხლი თვალებით.

(შემდეგი იქნება)

*
* *

(ვიქტორ ჰიუგოდან)

ოდეს, ხანდახან, თვალებ-ბრწყინვალე,
ვით ნათელი დღე გაზაფხულისა,
ბავშვი ცქრიალა, ამოდ მღიმარე,
უმანკ-უზადო სულ და გულისა
გვეტიტინება — მყის გვავიწყდება
ყოველი დარდი და მწუხარება,
ნაოჭ-ნაღარი შუბლი გვეხსნება,
გვიქრება შიში და მღელვარება.

—

გაზაფხულობდეს თუნდა ბუნება,
გინდ შემოდგომის იდგეს ავდარი,
ჩვენს გულს არა რა ესალბუნება,
თუ ბავშვიც იმ დროს ჩვენთან არ არი.
მოვა და მყისვე მოგვფენს ყველასა
სიამ-სიტკბოსა და სიხარულსა;
გულს მოაშორებს ნაღველს, სევდასა,
განანათლებს რა ბნელით მოცულსა.

—

გაცხარებულნი ეგებ ვსაუბრობთ
თავისუფლების მნიშვნელობაზე,
ან ერთმანეთსა ამბავს მოვუთხრობთ
გმირობასა და ხელოვნობაზე —
მოვა ბავშვი და კამათი სწყდება,
აღარც კი გვახსოვს ვუბნობდით რაზე,

მაშინვე ჩვენი გრძნობა-გონება
გადადის ცელქის უზრუნველობაზე.

—

შუა-ღამე ჟამსა არე-მარეში
დაძრწიან უტყვნი მოჩვენებანი
და სევდით მოცულს იმ მიდამოში
იხილვებიან შავ-ბნელად ცანი;
მაგრამ რა წამსაც ცისკრის ნათელი
ცისა ციაგსა გააელვერებს,
ღელე, მინდორი, ტყე, მაღნარ, ველი
უცხოდ მოირთვის, გაიხმაურებს.

—

ღამე—ეს მე ვარ ბნელი, წყვდიადი:
შენ კი, პატარავ, ხარ განთიადი;
ეგ შენნი თვალნი ნათელ-ღიადნი,
ამო ღიმილი ალერსიანი
და ტიტინი ეგ უცხო სასმენლად
ჩემს მქრალ თვალებშიც აქრობენ ნაღველს.
შენს ახლო ყოფნა მხდის უდარდელად,
მაძლევს შვებას და რაღაც სიახლეს.

—

ეს იმიტომა, რომ სახე შენი
არის ალერსის უშრეტი წყარო
და შენნი ღაწვნი, ნეტარად მჩენნი—
სიცოცხლე-სიტურფით უსწორ-უდარო;
ფიქრ-აზრითაცა ნათელ ხარ შენა,
შუბლს არ გატყვია ჭმუნვა და წყენა.
თოვლივით თეთრი შენი მარჯვენა
არ წარტაცილა სიავისკენა.

—

ხოლო ეს მიტომ, რომ ღვთისა ნებით
ჯერ არ დადიხარ ჩვენთან ერთ გზაზე
და ბავშვურისა უმანკოებით
დამყარებულხარ სრულს ჩვენს ნდობაზე.

რაც კი ზეგარდმო მადლი ციური
სულსა და გულში ჩაგვშუქებია,
მთლად შეგრჩენია და ამ სოფლური
ზაკვა ჯერ შენ არ მოგკარებია.

—

ღმერთო ძლიერო! გთხოვ სასოებით,
რაც უნდა კაცი იყოს უგბილო,
ნუ განსცდი იმა საშინელებით,
რომ სცნას რაც არის ბაღი უჩრდილო,
ხე უნაყოფო, ყანა მომცდარი,
ველი უმწვანო და უყვავილო,
დღე მაისისა უმზეოდ მკვდარი,
ცა უვარსკვლავო, სახლი უშვილო.

დ—ი წ—ე

# ანდრეი ნემოევსკიდან *)

## I შუღლი

მატარებელი დაიძრა სადგურიდან. ღამე ბნელი და ქარიანი იყო. უზარმაზარი ორთქლ-მავალი შვარცკოფისა ზანზარით მიეზიდებოდა ერთი-ერთმანეთზე გადაბმულ ქვანახშირით დატვირთულ ურიცხვ ვაგონებს. მალე სადგურის ფარნების სინათლეც მიიმალა. მემანქანე და იმისი თანაშემწე გაფაციცებით გასცქეროდნენ მათ წინ მიმავალ გზას. ორთქმავალის ფარნები გზას უნათებდა მათ მხოლოდ რამდენსამე ნაბიჯზე და იქით კი... იქით მიდამო მოცული იყო უკუნეთით და ამ უკუნეთისაკენ მიაქროლებდა მათ ორთქმავალი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

თანაშემწემ ქვეშ-ქვეშ გამოხედა თავის ამხანაგს: დღეს რაღაცაზე შუღლი მოუვიდათ და ხმას აღარა სცემდნენ ერთმანეთს. მატარებელი კი მიჰქროდა და მიჰქროდა.

რკინის გზის ლიანდაგზე ყოველ დღე და ღამ ბლომად დადის მუშა ხალხი, რომელიც მიეშურება ახლო-მახლო მდებარე მაღნებში. მატარებელს აღმართი ჰქონდა ასავლელი. ორთქლ-მავალმა სიჩქარეს უკლო, მაგრამ სამაგიეროდ ვაგონები გრიალით უფრო-და-უფრო წინ მოისწრაფვოდნენ.

თანაშემწე ორთქლ-მავლის ფანჯარას თვალს არ აშორებდა და გასცქეროდა გზას. ლიანდაგზე უცბად მოელანდა რაღაცა შავი წერტილი. თვალები მოჭუტა,—მხედველობა არ მატყუებდესო,—მერე ისევ გაახილა და კვლავ დააკვირდა გზას. მაგრამ არა! წერტილი

*) ანდრეი ნემოევსკი—პოლონელი მწერალია.

უფრო დიდად ეჩვენა, თუმცა ჯერ კიდევ კარგა შორს იყო ფარნებისაგან განათებულ ადგილიდან.

— ნუ თუ მემანქანემ ვერ დაინახა? და თუ ვერ დაინახა, მოდი გავაფთხილებ.—გაიფიქრა თანაშემწემ და ისე გადაჰხედა მემანქანეს, რომ ცხადად ეტყობოდა, რაღასიც კითხვა უნდოდა. მაგრამ მემანქანე ისე დაღვრემილად და კუშტად გამოიყურებოდა, რომ ვეღარ გაბედა დაჰკითხებოდა.—ჯანაბას, რაც იქნება—იქნეს! თვითონაა პასუხის მგებელი, მე ხომ არა. ეროიც ვნახოთ მელანდება რამე? მაშინ ხომ მასხარად და უბად ასაღები გავხდი ყველასაგან.—თანაშემწემ ერთი კიდევ გაჰხედა გზას. საეჭვო წერტილი აღარ ჩანდა. უეჭველია მხედველობამ უმტყუნა, ან მართლა-და მოელანდა რამე. და გულში სიამოვნება იგრძნო, რომ არ აჰყვა პირველსავე გულის-თქმას და არ გამოელაპარაკა მემანქანეს.

მოიწმინდა თვალები და კვლავ გაჰხედა გზას. მაგრამ ეს რა არის? ნუ თუ დაბრმავდა დღეს მემანქანე? წერტილი გარკვევით მოჩანს! ეს ხომ აჩრდილია... აჩრდილია ადამიანისა. თანაშემწემ შეჰხედა მემანქანეს, მაგრამ ის ისე იდგა, ვითომც აქ არაფერიათ. ეტყობა, მართლაც-და დაბრმავებულა! აი იქ... ლიანდაგზე... ეხლა სულ გარკვევით მოჩანს... ვიღაც ბებერი დედაკაცი მიდის... ყრუსავით მიაბიჯებს... წელშია მოხრილი და ჯოხი უბჯენია.

— რა დროს ყრუმობაა!—გაიფიქრა თანაშემწემ და სისწრაფით სტაცა ხელი სანიშნეს ტარს; მოისმა ორთქ-მავალის კივილი და ამას მოჰყვა დაკავებული ვაგონების ჯახა-ჯუხი და ღრიჭინი. ახლა კი მემანქანემაც დაინახა ბედშავი დედა-კაცი; გაიხედა ფანჯარაში და შიშისაგან შეჰყვირა. ფარნების სინათლე მისწვდა ბებერს. მატარებელი კი ისევ მიგრიალებს და მიგრიალებს. განა ადამიანს ძალუძს ამ დევის შეჩერება თავის ნებაზე? მიჰქრის ეს უზარ-მაზარი რკინის დევი კივილითა და გრიალით, მანძილი მოკლდება და მატარებელიც უახლოვდება ბებერს. ახლა კი ამ საწყალმაც იგრძნო მომავალი უბედურება... მოტრიალდა... ხელები გაასავსავა... ჯოხი გაუვარდა... და ერთი წუთიც... ნახევარ წუთიც...—განზე გადახტით!—დაუყვირა მემანქანემ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ვის ყურს მისწვდება ამ ხმაურობაში კაცის ძახილი. აგერ ფარნებმაც უფრო მეტად გაა-

ნათეს, დევი მიჰქრის, უახლოვდება, ეხლა კი ბოლო მოეღო ყოველსავე!

თანაშემწემ თვალები დახუჭა, მატარებელმა კი გადალახა ბეძერი, ამოიხვნეშა, ამოუშვა გორგალივით ორთქლი და, ბოლოს, გაჩერდა.

ცივი ქარი ჰქროდა. მემანქანე ჩამოხტა ორთქლ-მავალიდან, იმას გადმოჰყვა თანაშემწეც, მაგრამ იმ წამსვე დაბრუნდა უკან, სული ეხუთებოდა. შემოუარა მხოლოდ მანქანას, გაჩერდა ფარნებთან და დაუწყო თვალიერება მანქანის წინა ნაწილს. უცბად შეაჟრჟოლა... დაინახა ახლად მოცხებული სისხლი.

ეტყობოდა, საწყალი ცდილა გადაესწრო როგორმე გზას იქით, მაგრამ ვეღარ მოუსწრია. მანქანა დაეჯახა, წააქცია და თვლებ ქვეშ მოჰყვა.

მემანქანეც მალე დაბრუნდა. ორთავემ დაღვრემით შეჰხედეს ერთმანეთს. მატარებელი კვლავ გზას გაუდგა, კვლავ გაისმა მისი გრიალი წყვდიადით მოცულ არე-მარეში და ასე ქშინვითა და გრიალით მიჰქროდა ერთი სადგურიდან მეორისაკენ; ორთქლითა სუნთქავდა, მიფრინავდა და მიფრინავდა.

გავიდა რამდენიმე კვირა ამ შემთხვევის შემდეგ და მემანქანე სხვაგან გადაიყვანეს. იმასა და მის თანაშემწეს ერთად აღარ უმსახურნიათ. დანარჩენი ყოველივე ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, მხოლოდ თანაშემწე გამოიცვალა, ცოტათი წელში მოიხარა, დაღვრემილი დადიოდა და ერიდებოდა თავის ძველ ნაცნობებს. ერთხელ გამოუტყდა ერთს იმათგანს, ძილი მაქვს გამფრთხალი, რადგანაც ხანდისხან მესიზმრება ხოლმე გაქანებული მატარებელი, მესიზმრება როგორა ვდგევარ ორთქლ-მავალზე, გავყურებ გზას და ვხედავ მატარებლის წინ მიმავალ ბებერს, მოკუნტულსა და ჯოხზე დაბჯენილსა; კარგად მოჩანს ფარნების შუქზე; და აი მატარებელიც მოეწია საწყალსა. ბებერი უკან იხედება, ასავსავებს ხელებს და გრიალსა და ზრიალში მეყურება იმისი მკვეთრი ხმა: «შენ მომკალი, შენა!» მაშინ მეღვიძება, ცივ ოფლს მასხამს და დაუძლურებულს გათენებამდე თვალებზე ძილი აღარ მეკარება.

—

## II ფული

მთვარე ბუნდად ანათებდა არე-მარეს, ისმოდა გუგუნი მანქანების და ქარხნების მაღალ ბუხრებიდან ამოსული ბოლი შავი გორგალებივით იფანტებოდა ჰაერში. მდინარის ნაპირად მიმავალ გზაზე მოჩანდა აუარებელი გროვა ხალხისა, რომელიც მოსახვევში ორად იყოფოდა: ზოგი შიეშურებოდა რკინეულობის ქარხანაში და ზოგიც— მაღნებში. აი მოისმა ყოველი მხრიდან სანიშნეს წივილი; მუშებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ რასაც ნიშნავდა ეს წივილი, თავ-თავის საქმეს მიაშურეს და ეზოებში მიიმალნენ. გზაზე აღარავინ ჩანდა; მანქანების გუგუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა; ყოველი მხრიდან ამოდიოდა ბოლოს შავი ზოლები და ცას ეფინებოდა.

გზაზე გამოჩნდა ეტლი, რომელსაც, რაც შეეძლოთ, მოაქროლებდნენ ცხენები. ეტლში იჯდა ოთხი კაცი და კოფოზე კი, მეეტლეს გვერდით—მეხუთე. ყველანი თვალ-ყურს ადევნებდნენ იქაურობას და თანაც ცდილობდნენ, თავი პირდაპირ დაეჭირათ. წინ ედგათ დიდი ყუთი და ფეხები კი მიებჯინათ ტყავის ტომრებისათვის. მოდიოდნენ ჩქარა და ხმის ამოუღებლად.

აი ეტლიც გაჩერდა ერთის დაბალის შენობის პირდაპირ, რომლიდანაც იმ წამსვე გამოვარდა რამდენიმე მოსამსახურე ფარნებით ხელში, გადმოიღეს ყუთი და ტომრები და დათვალეს; არაფერი აკლდა. მგზავრები გადმოვიდნენ ეტლიდან, გაიარეს ტალანი და შევიდნენ ერთ დიდ ოთახში, რომელიც გატიხრული იყო. იმათში ერია ერთი ჭაღარა შერთული, მაგრამ ჯერ ისევ ყოჩაღი მოხუცი. ის სხვებივით როდი ჩქარობდა, მშვიდად და დინჯად აძლევდა ბრძანებას. გამოაღო ოთახის კედლის რკინის კარები, უბრძანა, ყუთი და ტომრები შიგ შეაწყეთო, მერე ისევ მიკეტა, ჩამოჯდა სკამზე, მიაშტერდა რკინის კარებს და ღიმილით სთქვა:

— ძლივს! ხომ დავამწყვდიეთ ეს სატანა!

იქ მყოფთ ყველას გაეცინათ, ღამე მშვიდობისაო უთხრეს და გამოვიდნენ. მოხუცი ჩაფიქრდა, თავი ხელებზე დააყრდნო და წაიჩურჩულა:

— მშვიდობა მხოლოდ მაშინ არის, როცა ეს სატანა, ეს მაცდური ჩაკეტილშია, სანამ ხალხს არ დარევია.

დაამთქნარა, ადგა, ერთი კიდევ გასინჯა კარები — ხომ კარგად არის დაკეტილიო და ისიც გამოვიდა. თან მოსამსახურე მოსდევდა.

— გეყურება, რა მუშაობაა გაჩაღებული ქარხნებში? — მიუბრუნდა მოსამსახურეს.

— ძალიან, ბატონო ხაზინადარო, — მიუგო მოსამსახურემ ქუდის მოხდით.

— ახლა ხვალა ნახე რა იქნება.

— ოღონდაც! — ჩაიცინა მოსამსახურემ და ხელი ჩაიქნია.

მეორე დღეს მუშებისათვის ფული უნდა დაერიგებინათ. მოხუცი მთელი დღე ფულსა სთვლიდა. გარეშემო ხალხი ეხვია. მშვიდად, მაგრამ მარდად ურიგებდა ფულს და თანაც, თუმცა, მართალია, ეჭვი არაფრისა ჰქონდა, სათვალეებიდან გადმოხედავდა ხოლმე — ჰა, ხომ სწორეა ვართ ანგარიშშიო. მთელი დღე ფულის თვლაში იყო. დაბინდდა და ის მაინც ისევ სთვლიდა და სთვლიდა...

მანქანების გუგუნი ისევ-ისე ისმოდა გარედან. თან-და-თან ამ გუგუნს ემატებოდა სხვა რაღაც ხმაურობაც, რომელიც თითქო ხან სიმღერას ემსგავსებოდა, ხან ყვირილს და ხანაც ხალხის ყაყანს. იქვე ფანჯარასთან კი მაღალის, მაგრამ ჩახრინწიანებულის ხმით მღეროდა რამდენიმე კაცი.

დრო-გამოშვებით ისმოდა ვისიმე ყვირილი და ხვეწნა-მუდარა: — მიშველეთო! მაშინვე ყველანი გამოცვივდებოდნენ გარედ, რომ გაეგოთ, სად რა ხდებოდა. მაგრამ ქუჩები მიყრუებული იყო, ბნელოდა და არა ჩანდა-რა. ცოტა-ხანს უკან კვლავ მოისმოდა მთვრალი ხალხის ხმაურობა, სიმღერა და ხვეწნა-მუდარა: — მიშველეთო! ოთახში ხალხი თან-და-თან დაცოტავდა. ბოლოს, დარჩა მარტო ხაზინადარი თავის თანაშემწით. მოხუცის წინ სანთელი ენთო, უკან კი მოჩანდა დია რკინის კარები. ორივე ისე იყვნენ დაღლილნი, რომ ლაპარაკიც კი ეზარებოდათ, ისხდნენ ჩუმად და პაპიროზს აბოლებდნენ.

გარედ ყვირილმა და ყაყანმა უფრო იმატა.

— ეხლა კი დაერია ხალხს! ნახე რა ლხინი გამართა! — დაცინვით წაილაპარაკა მოხუცმა.

სთქვა თუ არა ეს, გარედან შემოესმათ ვიღასიც საზარელი ყვირილი. თანაშემწე მაშინვე ქუჩაზე გამოვარდა. დაბრუნდა და მოხუცს შეატყობინა—ვიღაც მკვდარი კაცი გდია ქუჩაზე, დანა აქვს ყელში ჩარჭობილიო.

მოხუცი დააფიქრა ამ შემთხვევამ, ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე მიუთითა ყუთზე, სადაც სანთელი ოდნავდა ბჟუტავდა და ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ წარმოსთქვა: — ეს არის ყველაფერში დამნაშავე... ეს... სატანა — ფული. ჩვენ კი გამოვუშვებთ ხოლმე ამ სატანას იმისთვის, რომ ქვეყანაზე სთესოს ბოროტება და ჯოჯოხეთი დაამყაროს. მაშ ჩვენ იმისი ყურ-მოჭრილი ყმები ვყოფილვართ.— შემდეგ ცოტა ხანს დაფიქრდა და დაუმატა:

— როგორა გგონიათ, ნუ თუ არა იქნება ისეთი დრო, რომ ქვეყნიერება სულ სხვანაირად იყოს მოწყობილი? — თანაშემწემ მხრები აიშმუშნა, არ იცოდა რა ეპასუხნა. მოხუცი გასწორდა, თავი მაღლა აიღო და მაღალის ხმით წარმოსთქვა:

— იქნება! უეჭველად უნდა იყოს! — ჩაიკრა რამდენჯერმე გულში ხელი და დაუმატა: — აი აქ რაღაც მეუბნება დარწმუნებით, — იქნებაო. მხოლოდ, ბატონო თანაშემწე, თავი დავანებოთ იმის ყმობას და ცეცხლს მივსცეთ ისიცა და ყოველივე მისი წეს-რიგიცა!

გარედ კი სიბნელეში ქარი ხან ღმუოდა და ხან ხითხითებდა, თითქო დასცინის ვისმეო. მოხუცი ადგა, ჩაიცვა პალტო, ქუდი დაიხურა და კარებში ერთხელ კიდევ წაილაპარაკა:

— ადამიანმა შექმნა ეს ჯოჯოხეთი და ამიტომ იმანვე უნდა მოუღოს ბოლო.

ს. — მ.

# არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორი-ული ცნობანი საქართველოს შესახებ.

თარგმანი მ. დეფრემერისა *)

## ცნობანი იბნ-ალათირისა

ვრცელი ისტორიული თხზულება კამილ-ეტევარიქად წოდებული, რომლის ავტორი არის აბულ-ჰასან-ალი, მოჰამედის შვილი იბნ-ალათირი, უძვირფასეს ნაშთს შეადგენს არაბთა ისტორიულ მწერლობისას. ამ ქრონოლოგიურად შედგენილ თხზულებაში [1]) მოთავსებულია მოსლიმანთა, რამდენადაც კი შეიძლება, სრული ისტორია. დეფრემერის თარგმანში მოყვანილია ცნობანი შესახებ 1120—1231 წ., როდესაც არზრუმელთ, აქლატელთ და აზარბეიჯანელ მოსლიმანთ და სელჯუკის გვა-

*) Journae Asiatiqul 1849 წლის თიბათვის წიგნში დაბეჭდილია დეფრემერის თარგმანი—არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი კავკასიის და სამხრეთ რუსეთის ძველ მკვიდრთა შესახებ. ამ ცნობათაგან ჩვენ მარტო ის ვთარგმნეთ, რაც საქართველოს შეეხებოდა.

აბუ-ობეიდ ალ-ბეკრის (გარდაიც. 487 წ. ჰეგირისას ესე იგი 1094 წ. ქ. შ.შ.) გეოგრაფიული აღწერილობა ჩვენ არა ვთარგმნეთ, რადგან იგი პეჩენეგებს და ხაზარებს ასწერს და ჩვენთვის საინტერესო მარტო შემდეგი ცნობაა: ...„მიხვალ ხაზართა ქვეყანაში... შემდეგ გაემართები თბილისის ქვეყნისაკენ, საიდამაც იწყობა სამძღვარი სომხითისა.“ და შემდეგ: „მაჯარები დგანან პეჩენეგთა და სეკელთა შორის... უფრო ქვევით ზღვის პირად სცხოვრობს ხალხი ოგუნა-დ წოდებული, რომელიც ქრისტიანებრივი სარწმუნოებისა არის და ემეზობლება თბილისის ქვეყნის ქვეშევრდომ მოსლიმანთა მხარეს. თბილისის ქვეყნის იქით სომხითი მდებარეობს“.

[1]) იხ. Fraelın—ბიბლიოგრაფიული ზანდუკი, მეორე გამოცემა. პეტერბურგი 1845 გვ. 1.

რის სულთანებს მთელი საუკუნის განმავლობაში ბრძოლა ჰქონდათ საქართველოს მეფეებთან; აქვე მოხსენებულია საქართველოში მონგოლების შემოსევა. იბნ-ალათარის ცნობებს დეფრემერი იბნ-ალ-ჯაუზის, იბნ-ქალდუნის და სხ. შენიშვნებით არკვევს, რომლების თარგმანი აქვე მოგვყავს.

## ქართველების (გურჯების) შემოსევა მოსლიმანთა ქვეყნებში და ტფილისის აღება [1]

ქართველნი, რომელნიც იგივე Djorz [2]) *) არიან, ამხედრდნენ მოსლიმანთა წინააღმდეგ. ძველადაც ხშირად აუკლიათ ეს მხარე, მაგრამ სულთან მელიქ-შაჰის დროს სულთან მოჰამმედის სიკვდილამდე დიდს წინააღმდეგობას უწევდნენ მათ და ხელს უშლიდნენ. ის წელიწადი რომ დადგა (514=1120—1121), კვლავ შემოესივნენ ყიფჩაყებით [3]) და სხვა მეზობელ ხალხებით. ემირებმა, რომელნიც იმათის ქვეყნის მეზობლად იყვნენ, ერთმანეთს მისწერეს, რომ ერთმანეთისთვის ეშველათ. რამდენიმე მათგანი შეერთდნენ, სახელდობრ: ემირ ილღაზი (მეფე მარდენისა) [4]); დობაისი, შვილი სადაკასი [5]), რომელიც იმ დროს ილღაზთან იმყოფებოდა; მელიქ თოგრილი, შვილი მოჰამმედისა [6]); მისი ათაბეგი, კენტოღდი [7]) (თოგრილს ეკუთვნოდა არრანი და ნაკჯევანი არასამდე). ეს მეფენი წავიდნენ ქართველთა წინააღმდეგ დიდი მხედრობით, რომლის რიცხვი 30 ათასი კაცი იყო. ტფილისს რომ მიუახლოვდნენ, მტერს შეხვდნენ; ორივე ჯარი საომრად მომზადდა. ყიფჩაყების რაზმიდან გამოვიდა ორასი კაცი. მოსლიმანთ ეგონათ, შებრალების სათხოვნელად მოვიდნენო და ნდობით მიიღეს იგინი. ყიფჩაყები შეერივნენ მათ ჯარს და შვილდისარის სროლა დაუწყეს. წინა რაზმები მოსლიმანთა ჯარებისა აირივნენ. უკან მდგომ რაზმებს ეგონათ, დავმარცხდითო, და გაიქცნენ. თავდავიწყებით გარბოდნენ მოსლიმანნი და ისე ეჩქარებოდათ გან-

*) სპარსელები ქართველებს უწოდებდნენ გურჯად (Gurgji) და საქართველოს—გურჯისტანად (Gurdjistan). არაბები კი ქართველებს ჯურზად (Djourz) და საქართველოს—ჯორზანად (Djourzon) (იხ. ბროსსე. საქართველოს ისტორია, შესავალი გვ. V)

საცდელიდან თავის დახწევა, რომ ერთმანეთზედ გადადიოდნენ და ბევრიც დაიხოცა. ურჯულონი ათი ფარასანგის მანძილზედ სდევდნენ და ხოცდნენ და ატყვევებდნენ. უმეტესი ნაწილი დახოცეს, ოთხი ათასი დაატყვევეს. მელიქ თოგრილმა, ილღაზმა და დობაისმა თავს უშველეს[8]). ქართველებმა თავი დაანებეს მათ დევნას. მოსლიმანების ქვეყნები აიკლეს და ალყა შემოარტყეს ქალაქ ტფილისს[9]). დიდი გაჭირება მიაყენეს ტფილელ მკვიდრთ და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს. ქალაქს გარს ერტყნენ 515 წლამდე (1121)[10]). მაშინ კი იერიშით მივიდნენ ქართველნი და აიღეს ქალაქი. რა ნახეს მკვიდრთ, რომ იღუპებოდნენ, ქალაქის ყადი და ქათიბი გაგზავნეს გამარჯვებულებთან — დაგმორჩილდებით, შეგვინდეთო; მაგრამ ქართველთ არც კი მოუსმინეს მათ და ცოცხალნი დასწვეს. გამარჯვებულნი ქალაქში შევიდნენ და აიკლეს იგი[11]). გაქცეულნი მივიდნენ ბაღდადს, რომ შეწევნა ეთხოვნათ 516 წ. (1122); იქ გაიგეს, რომ სულთან მაჰმუდი ჰამადანს იყო; მის სანახავად იქ წავიდნენ და შველა სთხოვეს. სულთანი აზერბეიჯანს მიბრძანდა, რამადანის თვე თავრიზში გაატარა და ლაშქარი გაგზავნა ქართველთა წინაალმდეგ.

[1]) იბნ-ქალდუნმა ეს ამბავი შემოკლებით მოიხსენა თავის სელჯუკიდების ისტორიაში. ქართველთაგან ტფილისის აღებას იბნ-ალათირი სხვაგანაც იხსენიებს, რომლის თარგმანი ქვემოდ არის მოყვანილი.

[2]) ამ სიტყვის წილ ხელნაწერში იმავე ხელით, რომლითაც მთელი წიგნია დაწერილი, მიწერილია გვერდით „ხაზარნი“. იბნ-ქალდუნი და არაბული მატიანე აბულ-ფარაჯისა, რომელსაც სენმარტენი და ოჰსონი იხსენიებენ „Mémoires sur L'Arménie“ ტ. II. გვ. 265; ოჰსონისა „voyage d' Abou-el-kassim“ გვ. 166) ამავე სიტყვას ხმარობენ. ადვილი მისახვედრია, რომ სიტყვა ჯორ წარმოადგენს დასაწყისს სიტყვისას ჯორზან, რომელიც ეწოდებოდა არაბელთა გეოგრაფიულ და ისტორიულ ნაწერებში სომხითის ერთს ნაწილს, რომლის დედა ქალაქი თბილისი იყო.*) ოჰსონის

*) ტფილისი არაოდეს არ ყოფილა სომხეთის მეფეების ხელში. ავტორის შეცდომა ამ შემთხვევაში შეიძლება ავხსნათ შემდეგის გარემოებით: ტფილისის სამხრეთით მდებარეობდა საქართველოს ერთი ნაწილი, რომელიც ხშირად გადადიოდა ხან სომხებისა და ხან ქართველების ხელში. ამ მხარეს სომხები საქართველოდ უწოდებდნენ და ქართველები კი — სომხეთად. ხოლო დავით აღმაშენებლის შემდეგ ეს მხარე აღარ მოსცილებია საქართველოს (იხ. Brosset Hist. de la Géorgie, Introduction, p. X).

რედ.

აზრით, სიტყვა ჯორზან, რომელსაც ბელადორი, მასუდი და სხ. ხმარობენ' სტრაბონის ქორძენა არის. ეს აზრი უფრო სამართლიანი უნდა იყოს, ვიდრე სენკრუასი, რომელიც ამბობს, ქორძენა ალაზნის გაღმა, კახეთში იყოვო. (Mémoires sur le Cours de L'Araxe et du Cyrus. გვ. 19) მე მგონია, რომ ალჯორს უნდა ვკითხულობდეთ, ალხაზარ-ის მაგივრად იბნ-ალათირის ერთ სხვა ცნობაში, რომლის თარგმანი აქვე მოგვყავს: „ამბავი ქურთის ფადლუნის ამხედრებისა ხაზარეთზედ და იმის თავგადასავალი. ამ ფადლუნს ქურთს ეკუთვნოდა ერთი ნაწილი აზერბეიჯანისა, რომელიც მას დაესაკუთრებინა. წ. 421 (1030) იგი ხაზართა წინააღმდეგ ამხედრდა. ბევრი დახოცა და დიდი დავლა იშოვნა. მაგრამ, როდესაც უკან მოდიოდა, აღარას ჩქარობდა, აღარას ფრთხილობდა, რადგან ეგონა მტერი დავიმორჩილე და ყოველი ღონისძიება მოვაკელ, რომ მაზიანოს რამეო. მაგრამ ხაზარნი საჩქაროდ უკან დაედევნენ, და ათი ათას კაცზედ მეტი მოუკლეს, როგორც ჯარის კაცნი, აგრეთვე ისინი, რომელნიც თავის ნებით მიმხრობოდნენ მას. რაც დავლა წამოეღო, წაართვეს, მოსლიმანთა ჯარების სარჩო მოიტაცეს და უკან დაბრუნდნენ".

ფადლუნი, რომელიც ამ მოთხრობაში იხსენიება, იგივე ფადლ-არის, შავირის მამა, უფრო ემირ აბულ-ასვარ არრევად-ად ცნობილი, მეფე განჯის და არანისა, რომელსაც ბიზანტიელი და სომხითის ისტორიკოსებიც მოიხსენიებენ და იბნ-ალათირი (სელჯუკიდების ისტორიაში) და იბნ-ქალდუნიც. ცნობილია, რომ დარუბანდის კარი, რომლის შესახებ ქვემოდ იქნება საუბარი, შავირის ბრძანებით იყო აგებული.

[3]) ეს ცნობა და აგრეთვე შემდეგი, რომელიც ცოტა ქვემოდ მოგვყავს (517 წ.), სრულიად ეთანხმება ქართველ მწერალთა ცნობებს, რომელთა სიტყვით დავით აღმაშენებელს ჯამაგირით ჰყავდა 40 ათასი ყიფჩაყი, რომელნიც თან ახლდნენ მრავალ ბრძოლაში და სასარგებლონიც იყვნენ. (იხ ბროსსე—Bulletin scientifique ს.-პეტერბურგის აკადემიისა ტ. VIII, 184, სვეტი 46. იქვე ისტორიულ-ფილოლოგიური ცნობანი—ტ. I გვ. 223. სენმარტენი ტ. II გვ. 89 და 99.

[4]) ვერ გამიგია, რით ხელმძღვანელობდა სენმარტენი, ჩვეულებრივად ისეთი შეუცდომელი, რომ ამბობდა, ელდაზი საქართველოს მეფის დავით II წინააღმდეგ იყო გამოგზავნილი სელჯუკიდის სულთან მელიქ-შაჰისაგანაო. (ცნობანი სომხითის შესახებ ტ. I გვ. 378). მელიქ-შაჰი 30 წლის წინად მოკვდა და დასავლეთ სპარსეთის ტახტზედ მის შვილიშვილი მაჰმუდი ბრძანდებოდა.

[5]) დობაისი ერთი არაბელ წინამძღოლთაგანი იყო, ქალაქ ჰილლეჰ-ის თავადი მდ. ეფრატზედ. ეს თავადი მაჰმუდს მიუდგა, როდესაც იგი თავის ძმას სულთან მაჰმუდს აუჯანყდა. სულთანმა დაამარცხა თავისი ძმა, ქ. ჰილლეჰ-ზედ წავიდა და თან 1000 ხომალდი ახლდა თვესა შევალსა 514 (დეკემბერი

1120, იანვარი 1121). რა გაიგო მის მოახლოვება, დობაისმა გასძარცვა თავისი ქალაქი და თითონ ილღაზთან გაიქცა (იბნ-ალათირი ტ. V., იბნ-ქალდუნი ტ. IV).

[6]) ათის წლის შემდეგ სულთანად გახდა.

[7]) ქესალდი იბნ-ქალდუნისა; კესაჶდი იბნ-ალათარის სხვა ხელნაწერში.

[8]) ამ ერთ ბრძოლას, სომხითის მეისტორიენი ორად მოგვითხრობენ, რომელთაც 1121 წ. მოიხსენიებენ: პირველს ილღაზის და მეფე დავითის შორის, და მეორეს მელიქის, ესე იგი თოგრილის და დავითის შორის (იხ. ცნობანი სენმარტენისა ტ. II გვ. 233)

[9]) პირველი არ იყო ქართველთაგან ქ. თბილისის აღება. აი რას ვკითხულობთ იბნ-ალათირის თხზულებაში 429 წ. (1037—1038).

## აბხაზთაგან ტფილისის გარს შემორტყმა და მათი უკან გაბრუნება

წელსა 429 მეფემ აბხაზთა ალყა შემოარტყა ტფილისს. მკვიდრნი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა და თანდათან უფრო მჭიდროდ და ვიწროდ ასვევდა ქალაქს თავის ჯარებს. ტფილისში საჭმელი აკლდათ, მაშინ ქალაქის მკვიდრთ აზერბეიჯანელ მოსლიმანებს ელჩი გაუგზავნეს და შეწევნა სთხოვეს. როდესაც ღოზები ესე იგი სელჯუკიდი თურქები შევიდნენ აზერბეიჯანში და აბხაზთა სცნეს მათი მოახლოვება და ის გაჭირება, რომელიც მათ სომხეთისათვის მიეყენებინათ, მათი შიშით საჩქაროდ დაუტოვეს ტფილისი. როდესაც ვაჰსუდანმა (შვილი მამლანის თუ მამლუნისა) მეფემ აზერბეიჯანისამ ისილა სახლი ღოცებისა და დარწმუნდა, რომ იმათ ვერ გაუმაგრდებოდა, პირმოთნეობით შეეპარა, ქორწინებით დაუკავშირდა და შეწევნა სთხოვა. (იბნ-ალათირი და იბნ-ქალდუნი)

[10]) იბნ-ალათირს ეწინაალმდეგება აბულ-ჶედას ცნობა, რომლითაც თბილისის აღება 514 (1120—1121) უნდა მომხდარიყო; მაგრამ იგი ეთანხმება აბულ-ჶარაჯისას, რომელსაც სენმარტენიც უფრო მართლადა სთვლის, და ერთ ცნობას აინისას, რომელიც დაბეჭდა ფრენმა Bulletin Scientifique ტ. IX სვეტი 216, შენიშვნა 4.

[11]) იბნ-ალათირის მოთხრობას ერთის მისებრვე ძველის და მისებრვე ცნობილი მწერლის ცნობა შევადაროთ. შემს-ედდინ-იუსეჶ, უფრო სიბტ-

იბნ-ალ-ჯაუზად ანუ იბნ-ალ-ჯაუზის შვილად ცნობილი ვრცლად აწერს 516 წ. ილღაზის დამარცხებას და ქართველთაგან თბილისის აღებას; მისი აღწერა ბევრით განსხვავდება ზემოდ მოყვანილისაგან. გარდა ამისა მის ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ერთ უძლიერეს და უბრწყინვალეს მეფის დავით II ბიოგრაფიისთვის, რომლის ქველობას და სარწმუნოებრივ მიუდგომლობას აგვიწერს იგი. აი სრული თარგმანი ამ ცნობისა.

...ერთის გვარს ქალაქ ტფილისის მკვიდრთაგანს ბენუ ჯაფერს დიდი ხნის წინად დაესაკუთრებინა ქალაქი და ორი საუკუნის განმავლობაში მფლობელობდა. ეს ხანი რომ გავიდა, უმფროსნი ამ გვარისანი დაისოცნენ და მათ ალაგას მხოლოდ ყმაწვილები-ღა დარჩნენ, რომელნიც რიგ-რიგით მეფობდნენ თითო ივე. ამ რიგად განვლო 40 წელმა. მაგრამ დაუდ მეფე აბხაზთა და ქართველთა, გარს შემოერტყა თბილისს. ქალაქის მეფეებმა შველა სთხოვეს თოგრილს, მოჭამედ შაჭის შვილს, რომელიც არანის მეფე იყო. იმან ერთი შიჭნექ (მოურავი) გამოუგზავნა, რომელიც სრულიად უსარგებლო იყო მათთვის. მაშინ თბილისის მეფეებმა ილღაზს მისწერეს; მან თავისი ჯარი წამოიყვანა და საშველად წამოვიდა; მასთან ერთად დობაისიც იყო. მე ეს ასე ვპოვე მეისტორიეთაგან თხრობილი, მაგრამ შესაძლებელია, რომ ბრძოლა 516 წ. დამდეგს მომხდარიყოს, ვიდრე დობაისი ბაღდადს დაბრუნდებოდა. ასეა თუ ისე, ილღაზი და დობაისი ამხედრდნენ. დობაისი უკვე სიძე იყო ალღაზისა რომლის ქალი ფექჭარ-სათუნი შეირთო. ილღაზიმ მისწერა წერილება სხვა-და-სხვა ქვეყნებში, მაგ. შემს-ედდულაჰ ტოგანს, არზენის და ბიდლისის მეფეს; სულთან თოგრილს და სხ. ყველა ესენი ტფილისის კარებში უნდა შეკრებილიყვნენ; მაგრამ დაკავშირებულთაგანი ყველანი არ მივიდნენ. ილღაზი მივიდა და ტფილისის ახლოს, ნახევარ დღის სავალზედ დაბანაკდა. მოსლიმანთა ჯარები ჯერ არ მისულიყვნენ.

მეფე დაუდი ჩამოვიდა თავის მთებიდან და წამოვიდა მტერზედ დიდის მხედრობით; დაამარცხა, გააქცია, მათი სიმდიდრე აიღო და დიდი დავლა წაიღო. ილღაზი და დობაისი გაიქცნენ.

ამ გამარჯვების შემდეგ დაუდი გარს შემოერტყა ტფილისს; აიღო, აიკლო და დასწვა, მაგრამ მერე კი ეცადა მკვიდრთა გული მოეგო. მკვიდრთ მათის თხოვნისამებრ სხვა-და-სხვა უპირატესობანი

უბოძა, რომელნიც დღესაც არსებობენ. სხვათა შორის მან დაადგინა შემდეგი კანონები: ტფილისში ღორს არავინ დაჰკლავს; დირჰემზედ და დინარზედ დაბეჭდილი იქნება ყოვლად ძლიერ ღვთის სახელი, მის წინასწარმეტყველისა ჹ ხალიფებისა; მოსლიმანნი პარასკეობით შეიყრებიან მეჩითში და იმასს და ხოტბას იზამენ; ქართველნი არ შევლენ საზოგადოაბანოში იმ დროს, როდესაც იქ მოსლიმანნი იქნებიან; ურჯულო არ შეურაცხჰყოფს მართლ-მორწმუნეს. დაუდმა დაუდგინა ქართველთ ეს კანონები; პარასკეობით თითონაც შედიოდა ჯამეში (უმთავრესი მეჩითი) თავისი შვილი დანკრით (დიმიტრი) და მოისმენდა ყორანის სიტყვას. დიდ მალ ოქროს ურიგებდა ქათიბთ (მოქადაგეთ) და ბუეზინებს. რიბათები (ქარვასლები) ააშენა მგზავრებისთვის, სასტუმროები—ქადაგთა, სუფი და პოეტთათვის, რომელთათვის ხშირად ლხანსა მართავდა. როდესაც ქალაქიდან წასვლას დააპირებდნენ, ნებას აძლევდა და დიდ ფულს სამგზავროდ. ერთი სიტყვით მოსლიმანთ ის უფრო პატივსა სცემდა, კიდრე თვით მოსლიმანთა მეფენი. (Mirat ezzenan არაბული ხელნაწერი).

ცოტა ქვევით იმავე ხელნაწერში კიდევ არის რამდენიმე სტრიქონი ამ საგნის შესახებ: წელსა 516, ამბობს სიბტ-იბნ-ალ-აუზი, ქალაქი ჯანზეჰ, აგრეთვე განჯაჰ-დ წოდებული, შერყეული იქმნა მიწის ძვრისაგან; კედლები დაინგრა და ქალაქის მთელი ნაწილი მიწამ შთანთქა. მეფე აბხაზთა და ქართველთა წამოვიდა განჯაჰისკენ, შიგ შევიდა და მკვიდრნი ტყვედ წაიყვანა ტფილისს. ქალნი და ბავშვნი ურმებით და კაცებს ისე მიერეკებოდნენ, როგორც საქონელს. ტფილისის მცხოვრებთ ბევრი ტყვე იყიდეს და გაანთავისუფლეს.

## ამბავი სულთან მაჰმუდის გამარჯვებისა ქართველებზედ

## (517=1123 წ.)

იმ წელს ქართველებმა ერთი-ორად მეტი ზიანი მიაყენეს მოსლიმანთა ქვეყანას და ეს შესაწუხარი იყო მცხოვრებთათვის და მეტადრე დარუბანდელებისათვის, შირვანში. მრავალნი მათ წინამძღოლთაგანნი ეახლნენ სულთანს, შესჩივლეს, რა გაჭირე-

ბა ადგათ ქართველთაგან და აცნობეს თავიანთი სისუსტე და შეუძლებლობა, რომ თავის დაცვა შესძლებოდათ. თვით სულთანი ამხედრდა მტერზედ. ქართველები უკვე შემახაში მისულიყვნენ და სულთანიც იქვე ბაღში დაბანაკდა. ქართველები წინ დაუხვდნენ. დიდი შიში მოერია მოსლიმანთა ლაშქარს. ვეზირმა შემს-ელ-მიულკ-ოთმანმა, შვილმა ნიზამ-ელ-მიულკისამ, ურჩია სულთანს—უკან დავიწიოთო. შირვანელებმა რომ ეს ამბავი გაიგეს, სულთანის სანახავად მივიდნენ და მოახსენეს: „ვიდრე ჩვენთან იქნები, ჩვენც ვიბრძვით; მაგრამ თუ მიგვატოვე, სიმხდალე მოერევა სულსა ჩვენსა და დავიღუპებით." სულთანმა შეიწყნარა მათი ვედრება დ̃ დარჩა თავის ბანაკში. ლაშქარმა დიდი შიშით გაატარა ღამე, თუმცა გადაწყვეტილი იყო, რომ უნდა შებრძოლებოდნენ ქართველებს. მაგრამ ღმერთმა დიდი სიხარული მიანიჭა: ქართველთა და ყიფჩაყთა შორის უთანხმოება და მტრობა ატეხა. იგინი ერთმანეთს შეებრძოლნენ იმ ღამეს და გაიქცნენ, ვითარცა დამარცხებულნი. ამგვარად ღმერთმა ბრძოლას გადაარჩინა მოსლიმანები [12]). სულთანმა რაოდენიმე ხანი დაჰყო შირვანში; შემდეგ ჰამადანის გზას გაუდგა და იქ მივიდა მეორე ჯომადის თვეში (აგვისტო 1123).

წ. 518 (1124) მიიცვალა დავით [13]) მეფე აბხაზთა [14]).

[12]) ეს ალაგი ამართლებს კლაპროტის აზრს, რომელსაც სენ-მარტენიც ეთანხმება (ტ. II გვ. 232). ქართველების ზეპირ სიტყვაობა ამტკიცებს, რომ მეფე დავით II, აღმაშენებლად წოდებულმა, ყ ა რ ა ბ ა ღ ი ს ქალაქები დაიპყრაო (უეჭველია, აქ განჯეჭზედ არის საუბარი, ყარაბაღის და არრანის დედა-ქალაქზედ) და აგრეთვე დარუბანდიო. მ. ბროსსე ამაზედ შენიშნავს: დავით აღმაშენებელის ხანგრძლივი ცხოვრების აღწერაში არსად არ არის ნათქვამი, რომ მას დარუბანდამდე მიეყვანოს თავისი ლაშქარი, არამც თუ აეღოს კიდეც იგი. (იხ. journal de S.-Petersbourg) 16/28 მარტისა 1847 წ. № 205). იმის შესახებ, თუ რა გაჭირება ადგათ დარუბანდელებს ქართველთაგან, შემდეგშიც იქნება მოყვანილი იბნ-ალათირის ცნობა.

იბნ-ალათირი სრულიად არ ეთანხმება ქართულ წყაროებს, რომელნიც განიხილა მ. ბროსსემ და რომელნიც ამტკიცებენ, დავითმა გააქცია სულთან-მელიქი, შვილი ტაფარისა, რომელმაც ვერ გაბედა შემახიის კედლებთან მოეცადნა და ბრძოლა აეტეხა დავით აღმაშენებელისთვისაო.

[13]) ეს ცნობა ემოწმება ანელი სამუელის სიტყვას, რომელიც ამბობს დავით II მიიცვალა 1124 წ.; ქართველთა სიტყვით, დავით აღმაშენებელი 1130 წ. მიიცვალა (სენ-მარტენი გვ. 232, 247; ბროსსე. Bulletiu Scientifique ტ. X სვეტი 317). სხვაგან ბროსსემ 1125 წ. დაადგინა (Bulletin Historico-philologique ტ. I 220, შენიშვნა 10). ერთი ქართული წარწერა, ბროსსესაგან მოყვანილი (journal Asiatique თებარვალი 1849, გვ. 184) დავით აღმაშენებელის მიცვალებას 1127 წ. მიაწერს.

[14] ქართველ მეფეთა ამ წოდების შესახებ იხ. კლაპროტი Magasin Asiatique ტ. I გვ. 296 შენიშვნა. მგზავრობა კავკასიაში ტ. I გვ. 202 სენ მარტენი—Mémoires გვ. 229 და 256.

წელსა 534 (1139—1140) განჟეჰეს ქვეყანა და სხვა მაზრები აზერბეიჯანისა და არანისა შერყეულ იქმნა მიწის-ძვრით; მაგრამ ყველაზედ მეტი საშინელება თვით განჟეჰს მოუვიდა; ერთი ნაწილი ქალაქისა დაინგრა და ურიცხვი ხალხი იმსხვერპლა. ამბობენ, მკვდართა რიცხვმა 230 ათასამდე მიატანაო, რომელთა შორის დაიღუპნენ იმ ქვეყნის მეფის კარაზონკორის ორი შვილი. მოჯაჰიდ-ედდინ-ბეჰრუზს (ტეკრიტის სიმაგრის მცველს მესაპოტამიაში) განჟეჰში სასახლე ჰქონდა, რომელიც დაინგრა და რომლის ნანგრევებში დაეღუპა ურიცხვი სიმდიდრე.

საჭიროა ამ ამბავს შევადაროთ სომხეთის ისტორიკოსთა კირაკოზის და ვარდანის ცნობანი, რომელნიც ბროსსემ დაბეჭდა (Journal de S.-Pétersbourg). ამ ავტორთა პირველის სიტყვით, საქართველოს მეფემ დიმიტრიმ აიღო მიწისძვრით დაზიანებული განჯეჰ და ქალაქის კარები წაიღო. ერთი ნახევარი ამ კარისა ეხლაც ინახება იმერეთში, გელათის მონასტერში; Fraeln-მა შეისწავლა ეს კარი და დაბეჭდა კიდევ თავისი შრომა, რომლის შინაარსი მოყვანილია Journal Asiatque III რიგში, ტ. II გვ. 177—180 (იხ. იქვე 1849 წ. თებერვლის წიგნში გვ. 184 წერილი ბროსსესი რეინოსადმი).

წელსა 548 (1153—1154) საშინელი ბრძოლა მოხდა სომხითში ქართველთა და არზენ-ერრუმის მეფის სალიკის შორის. სალიკი დამარცხებულ და დატყვევებულ იქმნა, მაგრამ ქართველებმა გაანთავისუფლეს იგი.

წელსა 550 (1155—1156) სომხითის მღვდლები დაეცნენ ანის ქალაქს, წაართვეს იგი ემირ შედდადს და მის ძმას ფადლუნს მისცეს.

წელსა 556 (1161) ბრძოლა მოხდა ქართველთა და არზენ-ერრუმის მეფის მელიქ-სალიკის შორის. სალიკი და იმის ლაშქარი დამარცხებულ იქმნენ და თვით სალიკი ტყვედ წაიყვანეს. მისი და შაჰ-ბანუ (ძველ ხელნაწერში შაჰ-ბანუან) შაჰ-არმენ-სოკმანს ჰყავდა, შვილს სოკმანის შვილის იბრაჰიმისას, ქელათის მეფეს. შაჰ-ბანუმ გაუგზავნა საქართველოს მეფეს ძვირფასი ძღვენი და სთხოვა, ჩემი ძმა გაანთავისუფლე და სამაგიეროდ მძევალი ინებეო. საქართველოს მეფემ გაანთავისუფლა სალიკი, რომელიც თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

ესევე ამბავი მოთხრობილია სპარსულ ისტორიულ თხზულებაში „შერეფ-ნამეჰ", ესე იგი ქურთების ისტორიაში შემდეგი განსხვავებით: წ. 556 (1161) „ერზრუმ"-ის მეფემ ემირ-სეიფ-ბენ-ალი-ბენ-კასსიმ ომი აუტეხა საქართველოს მეფეებს, დატყვევებულ იქმნა თითონაც და მისი ჯარის სხვა წარჩინებულნი პირნიც... და სხ.

თვესა შაბანისასა 556 (აგვისტო 1161) შეკრბნენ ქართველნი და თავიანთ მეფის წინამძღოლობით ქალაქ ანისკენ წამოვიდნენ, რომელიც არრანში მდებარეობს. ქალაქი აიღეს და ბევრი ხალხი დახოცეს. შაჰ-არმენს, სოკმანის შვილის იბრაჰამის შვილს, მოუწოდეს ქართველების საწინააღმდეგოდ და იმანაც შეაგროვა თავისი ჯარები, რომელთაც თავისი ნებითაც დიდი ძალი ხალხი მიემხრო და გაემართა ქართველებისკენ. ქართველები დაუხვდნენ და შეებრძოლნენ. მოსლიმანნი დამარცხდნენ, უმეტესი ნაწილი მათგანი დაიღუპა და ბევრი ტყვედ ჩავარდა. შაჰ-არმენი დამარცხებული დაბრუნდა. მასთან ერთად მხოლოდ 400 მხედარი გადარჩა ცოცხალი.

იბნ-ქალდუნი ორჯერ მოგვითხრობს ქართველთაგან ანის აღებას და სოკმან I-ის დამარცხებას: პირველად სელჯუკიდების ისტორიის ერთ მუხლში, რომელსაც ეწოდება: მხედრობა ილდეგიზისა ქართველებზედ; და მეორედ კელათელ მეფეების ისტორიაში. ეს ორი ცნობა იბნ-ალათირის მოთხრობას შესანიშნავს არას უმატებს (სენმარტენი II, გვ. 240—241).

### ამბავი ქართველთა და მოსლიმანთა ომისა

წელსა 557 (1162) თვესა შასანისასა (ივლისი-აგვისტო) შეკრბნენ მრავალნი ქართველნი (30 ათას კაცამდე მიაღწია

მათმა რიცხვმა), შემოვიდნენ მოსლიმანთა ქვეყანაში და წამოვიდნენ ქალაქ ტოვენისკენ, აზერბეიჯანში. ქალაქი აიკლეს, ათი ათასამდე მოქალაქე და ახლო-მახლო მცხოვრები მოკლეს, ქალები წარტყვევნეს; ბევრი ტყვე შეიპყრეს, კაცნი გაატიტვლეს[1]) და ტიტველნი და ფეხშიშველნი გაირეკეს. ჯამე და სხვა მეჩითები გადასწვეს. როდესაც ქართველნი თავიანთ ქვეყანაში მივიდნენ, ქალებმა უსაყვედურეს დამარცხებული ხალხის ქალებისადმი ასეთი საქციელი და უთხრეს: თქვენ აიძულეთ მოსლიმანნი ჩვენც ისევე მოგვექცნენ, როგორც თქვენ იმათ ქალებს მოექციოთო". ამის შემდეგ ქართველებმა ტანსაცმელი მისცეს თავიანთ ტყვეებს. როდესაც შემს-ედდინ ილდეგიზმა, მეფემ აზერბეიჯანისამ, ჯებელისამ და ისფაჰანისამ, ტოვენის*) აღება გაიგო, თავისი ჯარები შეაგროვა. შაჰ-არმენი, იბნ-სოკმან-ალკოთბი—მეფე ქელათისა, ასკონსორის შვილი-მეფე მერაღაჰისა და სხვა მეფენი მიემხრნენ მას. 50 ათას კაცამდე მოგროვდა მათ ლაშქარში. გაემართნენ ქართველთა ქვეყნისკენ თვესა სეფერისასა 558 (იანვარი-თებერვალი 1163), აიკლეს იგი და დაატყვევეს ქალი, კაცი, და ბავშვი. ქართველები მედგრად შეებრძოლნენ; საშინელი ომი აუტყდათ, რომელშიაც ორივე მხედრობამ დიდი მამაცობა გამოიჩინა. ომმა ერთ თვეზედ მეტი გასტანა. გამარჯვებულნი მოსლიმანები დარჩნენ; ქართველნი დაიღუპნენ ან ტყვედ იქმნენ წამოყვანილნი. მიზეზი იმათი დამარცხებისა ის იყო, რომ ერთი იმათგანი მივიდა ილდეღიზთან, ისლამი იწამა და უთხრა: „მომეცი ჯარი, რომ წინ წავუძღვე გზითა, რომელიც მე ვიცი და ქართველთ უკანიდან მოვუაროთ შეუმჩნევლადაო". ილდეღიზმა დააფიცა ეს კაცი, რომ ერთგული იქნება მისი, მის წინამძღოლობით ერთი რაზმი გაგზავნა და დღე დაუნიშნა, როდესაც იგი ქართველებს უნდა დასცემოდა. ის დღე რომ დადგა, მოსლიმანნი შეებრძოლნენ ქართველებს და იმ დროს, როდესაც ორივე ჯარი ცხარედ იბრძოდა, ის ახლად გამაჰმადიანებული ქართველი ჩაერია თავისი რაზმით. ალლაჰ-აკბარო! დაიძახა (ღმერთი დიდია) და

*) ზემოდ დოვენი იყო, როგორც მკითხველიც შენიშნავდა.

ქართველებს უკანიდან დაეტაკა. ქართველები აირივნენ; ბევრნი დაიხოცნენ და ბევრნი ტყვედ დარჩნენ. მოსლიმანთ აურიცხველი დავლა იშოვნეს.

რიცხვ-მრავალნი ქართველნი დარწმუნებული იყვნენ, გამარჯვება ჩვენი იქნებაო, მაგრამ ღმერთმა გაუცრუვა ეს იმედი. მოსლიმანნი დაედევნენ მათ და სამის დღის და სამის ღამის განმავლობაში ხოცეს და ატყვევეს; მერე გამარჯვებულნი დაბრუნდნენ.[2])

1) თუმცა ორივე ხელთნაწერში «კაცნი» სწერია, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ მიმდევარი სტრიქონებიდან ცხადად სჩანს, რომ აქ «ქალნი» უნდა იყოს: «ქალნი დაატიტვლეს» და სხ...

2) იბნ-ალათირი არ ეთანხმება კიიომდა ორბელიანთა მეისტორიეს სტეფანე ორბელიანს,*) (სენ მარტენი ტ. II გვ. 85) და აგრეთვე ჩამჩეანს. ამ მწერალთა სიტყვით, ილდეგიზი, რომელსაც ესენი ელდიგუზად იხსენიებენ, სამარცხვინოდ დამარცხებულ იქმნა ქართველთაგან «გაგა»-ს მინდორში კუკარის მხარეში. პირველი ამ ამბავს დაწვრილებით მოგვითხრობს. მაგრამ ქრონოგრაფი ანელი სამუელი, თანამედროვე ისტორიკოსი და ერთობ ნამდვილის კარგად მცოდნე, ეთანხმება იბნ-ალათირს. იმისი სიტყვით, სულთანმა ხორასანისამ,—ამ სახელით იხსენიებს იგი არსლანს, თოგრილის შვილს,— წამოიწია ანის კარებამდე, რომელსაც ოც და ათის დღის განმავლობაში გარს ერტყა; ქვეყანა აიკლო, დაამარცხა მეფე გიორგი და ნადავლით თავის ქვეყნისკენ დაბრუნდა. მირქონდიც ეთანხმება ანელ სამუელს, რომ მარტო არსლანს ეკუთვნის დიდება ქართველთა დამარცხებისა: «რაკი სულთანმა ორი აჯანყებული ემირი დაამარცხა, ჰმობს იგი, «აბხაზთა მეფემ, რომელიც ურწმუნო ხელმწიფეთა შორის ყველაზე უძლიერესი იყო, რა გაიგო ათაბეგის ილდეგიზის შორს ყოფნა (იგი სულთანმა ისპაჰანში დასტოვა), წამოვიდა, რათა მოსლიმანთა სისხლი დაეღვარა და მათ სარჩოს დაჰპატრონებოდა. მელიქ არსლანმა... შეკრიბა თავისი გაფანტული ჯარები და ურწმუნოთა ქვეყნისკენ გაემართა, რომ მოსლიმანთა სარწმუნოება დაეფარა. როდესაც მართლ-მორწმუნენი

*) ბროსსემ დაამტკიცა, რომ ეს თხზულება ნაწილია სიუნის მხარის ისტორიისა. Bulletin Scientifique, ტ. VIII სვეტი 181, ტ. IX. გვ. 253.

და კერპთ-თაყვანის მცემელნი ერთმანეთს შესკდნენ, იმისთანა სისხლის ღვრა მოხდა, რომ ფოლადის გულის პატრონმა ხმალმაც კი ცრემლი აფრქვია; იმოდენ სისხლის ღვრაზე დაბასრული შუბის წვეტი ენაზე უარესად გაწითლდა. ბოლოს ყოვლად ძლიერის ნებისამებრ მეფე აბხაზთა (ლექსად) «გაიქცა, ფერ-მიხდილი, ალმასის ხმლით შეშინებული, როგორც გაზაფხულის ფოთოლი თრთის შემოდგომის ქარის წინაშე». დიდი დავლა იშოვნეს ისლამის მფარველთ და ცოცხალნი და უვნებელნი დაბრუნდნენ ნადავლით დატვირთულნი». (ისტორია სელჯუკიდებისა გვ. 234) ეს ცნობა მოყვანილი ჰქონდა სენ მარტენსაც, მაგრამ სრული სისწორით კი არა. მისი აზრით, მირქონდი მოგვითხრობს შამს-ედდინ-ილდიგუზის ომს ქართველებთან და სომხური ავტორებივით ამბობს, რომ ამ მხედრობაში მას თან ახლდა სულთანი სელჯუკიდებისა არსლან-შაჰი, იმის გერი. მეფეს საქართველოსას, რომელსაც იგი შეება, უწოდებს აფხაზთა მეფედ. (Mémoires ტ. II გვ. 243). მირქონდი ცოტა ქვევით საქართველოს მეფის მეორე ამხედრებასაც აწერს მოსლიმანებზედ. «წ. 559 (1163—1164) ხმა გავარდა, რომ აბხაზთა მეფეს ხელ-ახლად შეუგროვებია თავისი ლაშქარი და მოსლიმანებზე მოდისო. სულთანი, ათაბეგი და ემირნი შეკრბნენ ნახჯევანში, რომ აბხაზთა წინააღმდეგ წასულიყვნენ. ამ ქალაქში ავად გახდა ქველი ხელმწიფე და განდემანში გადაიყვანეს. მაგრამ ემირნი და ძლიერნი სახელმწიფოსანი გაჩქარებით გაემართნენ მტრისკენ და მათთან ერთად ათაბაგი ილდეგიზი. რადგან აბხაზთა მეფეს საჭირო ძალი არა ჰქონდა, რომ მოსლიმანებს გამაგრებოდა, გაიქცა და მთებს შეეფარა. სულთანის ლაშქარმა ცეცხლს მისცა აფხაზთა ქვეყანა, მერე დაბრუნდა და არსლან შაჰის ბანაკს მიმართა.

ერთ სპარსელ მწერალს, რომელიც XIV საუკუნის პირველნახევარში სცხოვრებდა, შემდეგი ცნობა აქვს მოყვანილი იმ დროის ისტორიიდან, როდესაც პირველად ასტყდა მტრობა სულთან-არსლანის და ქართველთა შორის. «არრანის მხრით შემოესია აბხაზთა მეფე მოსლიმანთა ქვეყანას. სულთანი ალი-არსლანი და ათაბეგი ილდეგიზი გავიდნენ მის დასახვედრად. ბრძოლა აუტეხეს გაგის (გაგა) ციხის მიდამოში და გაიმარჯვეს. აბხაზნი დაბრუნდნენ თავიანთ»

ქვეყანაში. მოსლიმანთ მრავალი ტყვე იშოვნეს. იმ დრომდე მოსლიმანნი თავის დღეში არ შებრძოლებიან ისე მედგრად აფხაზებს და თავის დღეში არ უშოვნიათ იმოდენი ნადავლი. ამ გამარჯვების შედეგი ის იყო, რომ კაბანის მხარე მოსლიმანთა ხელში ჩავარდა. (სელჯუკიდების ისტორია, ამოკრეფილი Tarikhi—guzideh-დან გვ. 97).

ჯამდ-ალლაჰ-მუსტოფის მოთხრობას ემოწმებიან სომხითის მწერალნი, კაბანის მხარის დაჭერის შესახებ მაინც, სხვაში თუ არა. მართლაც და, სენ მარტენი სწერს: სიუნიქის ოლქის, (რომელიც არაქსის პირად მდებარეობდა), სამხრეთი ნაწილი იყო ჯაპან ანუ აბან; მასვე ეწოდებოდა მე-X და XI-ს. გაბან, სპარსულად კაბან; რასაც დღეს მდაბიურად ქაპანს ანუ ქაპანსდან-ს უწოდებენ. ამ მხარეს განაგებდნენ ჯაიგის გვარის მთამომავალნი მეფენი, რომელიც სომხითის პირველი მეფე იყო და ფარზისოსის მეფეებად იწოდებოდნენ—ერთი პატარა ქალაქის სახელით, რომელიც გაბანისა და ფალქის მხარეში მდებარეობდა. ეს პატარა სამეფო გაუქმებულ იქმნა მე-XII-ე საუკუნის დამლევს ადერბაიჯანის ათაბეგთაგან. (Mémoires ტ. I გვ. 144) სენ მარტენი სხვაგან კიდევ იხსენიებს ვინმე დავითს, რომელსაც ეკუთვნოდა 1251 წ. სიუნის სამეფო. ეს დავითი, ამბობს სენ მარტენი, მეფობდა გაბანის ან ქაბანის მთებში; იქნება ფასსიზოსის მეფეთა შთამომავალიც იყო, რომელნიც იმავე მხარეში მეფობდნენ და რომელთა მეფობა გაუქმებულ იქმნა აზერბეიჯანელ ათაბეგთა სულთანის ელდიგუზის ანუ ელდიღიზის მიერ. (იქვე გვ. 213.) ერთ ალაგას სენ-მარტენს ჩამჩეანის სიტყვით მოჰყავს ელეგია სომხითის უბედურებათა შესახებ, შედგენილი 1299 წ. სიონნის ეპისკოპოზისს სტეფანე ორბელიანის მიერ. ეს ლექსი შეეხება სიზვაგანის მეფეებს, ესე იგი სიუნის აღმოსავლეთ ნაწილს; ამ ლექსში მოთხრობილია, რომ ბუნებრივ სიმაგრეთა წყალობით ეს მხარე ასოცი წელიწადი კიდევ თავისუფლად იყო მას შემდეგ, რაც ბაგრატიდებმა მეფობა დაკარგეს; რომ უკანასკნელი ორი მეფე იყვნენ სენექერიმ და მისი შვილი გრიგოლ, რომელთა სამეფო აკლებულ იქმნა ელდიგუზის დროს და უცხო ხალხმა—სპარსელებმა—ცეცხლს მისცეს მათი ქვეყანა წელსა 615 (სომხითის წელთ-აღრიცხვისა) (1166 წ. Mémoires ტ. II გვ. 8—10).

შემჩველია ამავე, მირხონდის მიერ 559 წ. (1163—1164) აწერილ ქ. ანის აღებას მოგვითხრობენ სომხითის მეისტორიენი, ოღონდ 1163 წ. (სენ მარტენი ტ. I გვ. 113—114. იქვე გვ. 380 და 434)

ჰამდ-ალლაჰ-მიუსტოფი მოიხსენიებს აგრეთვე მესამე—მის აზრით მეორე—შესევას აბხაზთა მეფისას მოსლიმანთა ქვეყნებში არსლან-შაჰის ხელმწიფობის დროს. ეს მოხდა 569 წ. (1173—1174), ესე იგი იმ წელს, რომელიც მოჰყვა ილდეგიზის სიკვდილს. «მათთან საბრძოლველად გაემართა სულთანი და თან წაიყვანა თავისი დედითერთნი ძმანი—ათაბეგნი მოჰამმედი და კიზილ-არსლანი, შვილნი ილდეგიზისა; მაგრამ შეუძლოდ გახდა და დიდი ბრძოლა არსად აუტეხნია. ორი ჯარი განშორდნენ ერთმანეთს.

სომხითის და სირიის ისტორიკოსნი ამტკიცებენ წ. 1174 მეფე გიორგი III მოვიდა ანის ასაღებად, აიღო იგი და თავად ივანეს უბოძა, ორბელიანთა გვარისას. (სენ მარტენი იქვე ტ. II გვ. 234). ჰამდ-ალლაჰი (სელდჯუკიდების ისტორია გვ. 102) და მირხონდი (სელჯუკიდების ისტორია გვ. 243) მოგვითხრობენ თოგრილ III მეფობის დასაწყისში, ესე იგი 1176—1177 ხელახლად შესევას ქართველთა მეფისას აზერბეიჯანში და უმატებენ, რომ საქართველოს მეფე დამარცხებულ იქმნა მოჰამმედის და კიზილ-არსლანისგან, სულთანის ბიძათაგან.

წ. 561 (1165—1166) ქართველები დიდი ჯარით შემოვიდნენ არრანში და გენჯეჰ-მდის მიაღწიეს, ბევრი მოსლიმანი დახოცეს და მრავალი ქალი ტყვედ წაყვანეს.

## წ. 599 (1202—1203) ამბავი ქალაქ დოვენის აღებისა ქართველთაგან[1])

ქართველებმა აიღეს ქალაქი დოვენი აზერბეიჯანში, აიკლეს იგი და მრავალი ხალხი ამოჟლიტეს. ეს ქალაქი და აგრეთვე მთელი აზერბეიჯანი ეკუთვნოდა ემირ აბუ-ბეკრს, ალ-ბეჰლევანის შვილს. იგი სმას შეჩვეული იყო და დღე და ღამე სხვა საქმე არა ჰქონდა-რა; შეუწყვეტლივ სვამდა და ყოველთვის მთვრალი იყო. სამეფოს მართვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორადაც არავითარ ყურადღებას არ

აქცევდა თავის ქვეშევრდომთა ყოფა-ცხოვრებას და თავის საქონელს. ყოველი ზრუნვა განედევნა თავის გულიდან და იმათ გზას დასდგომოდა, რომელთაც სმის მეტი ალარაფერი არ ეხალისებათ. ქვეშევრდომთ ხშირად მიუმართავთ და შეუტყობინებიათ მეფისთვის — იმათ მიწა-წყალში ქართველთა ნავარდობა, რომელნიც ზედიზედ იკლებდნენ და აოხრებდნენ მათ. მაგრამ ის ისე იყო, თითქო კლდესა სთხოვენ შველასაო. იმ წელს (599) რომ ქართველები გარს შემოერტყნენ ქალაქ დოვენს, რაოდენიმე დოვენელი მკვიდრი წავიდა აბუ-ბეკრის სანახავად, რომ შველა ეთხოვნათ, მაგრამ არ შეიწყნარა. რამდენსამე მის ემირს უნდოდათ შეეშინებინათ იგი მის დაუდევრობის, დაყოვნების და უვარგისი ცხოვრების შედეგებით, მაგრამ ყურიც არ ათხოვა. დიდი ხნის შემდეგ, რაკი დოვენელებს მეტი გამაგრება აღარ შეეძლოთ [2]), ქართველებმა საშინლად ჟლიტეს და უკვე ნაამბობი საქმეები ჩაიდინეს. მაგრამ გამაგრდა თუ არა მათი მფლობელობა, კეთილად მოექცნენ იმ მცხოვრებთ, რომელნიც ცოცხალნი გადარჩენილიყვნენ. ყოვლად შემძლებელს ღმერთს თვალი ეჭირა მოსლიმანებზედ და დარაჯი და მფარველი გაუჩინა მათ სამძლვარზედ, რადგან უფრო ამ მაზრიდან იყვნენ იგინი აკლებული. ქართველებისაგან დოვენელების ხოცვის და ტყვედ-ქმნისა იმისთანა ამბები გავიგეთ, რომ გასაგონადაც შესაზარია. ღმერთმა უკეთ იცის, რაც იქ მოხდა.

[1]) ძველს ხელნაწერში ეს თავი არ არის. მაგრამ იგი მოიპოვება იბნ-ალათირის თხზულებიდან ამოკრებილს ჯვაროსანთა დროის შესახებ ხელნაწერში. იბნ-ალათირისაგან ესევე ცნობა შემოკლებით მოჰყავს აბულფედას (annales, ტ. IV, გვ. 206). იბნ-ქალდუნიც მოიხსენიებს ორი სტრიქონით დოვენის აღებას (ტ. V), მაგრამ სახელების შერევით, რომელიც მე უკვე განვმარტე. (Journal Asiatique 1847 თებერვლის წიგნი გვ. 158 შენიშვნა) უზბეგს მიაწერს იმას, რაც, იბნ-ალათირის სიტყვით, მის ძმის კუთვნილია. სომხითის მეისტორიე ვართანის სიტყვით (ბროსსე Bulletin Sciantifique, ტ. X, სვეტი 325, შენიშვნა 68), დოვენი აღებულ იქმნა 1203.

[2]) აქ რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს ხელნაწერს.

(შემდეგი იქნება)

# გურია-აჭარა

## მგზავრის წერილები

### III *)

ოზურგეთი.—მდებარეობა ოზურგეთისა.—საიდან დაერქვა ოზურგეთს თავისი სახელი?—ჰავა ოზურგეთისა.—სახლები.—ვაჭრობა და ვაჭრები.—ჩაცმულობა იქაურის ვაჭრისა.—„პარასკევობა“.—მეგრელი მწყემსები გურიაში. — ქალაქის ბაღი, მისი წარსული და აწმყო.—ოზურგეთი, როგორც სატახტო ქალაქი გურიელებისა.—სასახლის გალავანი.—უკანასკნელი მთავარი გურიისა და მისის ოჯახის თავგადასავალი.—გურიელთა ჩამომავალნი ოზურგეთში.—წინად სადა მდგარა მამია გურიელი?—სასახლე მისი ოზურგეთს.—მოგზაური დიუბუა დე მონპერო ოზურგეთში.—ბოტანისტი სოვიჩი.—აწინდელი სახე მთავრის სასახლისა.—ეკკლესიები.—გურული კილო გალობისა.—ღვაწლი ფილ. ქორიძისა.—სასტუმრო გურიის დედა-ქალაქისა.—მცხოვრებთა რიცხვი.—ვინაობა მცხოვრებთა.—ქართველი კათოლიკენი ოზურგეთში.—„დრუჟინა“.—მიცვალებულთა პარვა.

აჰა, ესეც კოპწია გურიის დედა-ქალაქიცა! ადამიანის ყურადღებას იპყრობს თავდაპირველად ის უხვი მწვანე სამოსელი, რომელშიაც გახვეულია ოზურგეთი. ასე ბრძანებთ, შეცდომით ტყეში შეველი, სადაც შეცდომითვე სახლებია აშენებულიო. საშუალო ტანის ქუჩებს აქეთ-იქით მხარეზე ჩარიგებული აქვს სხვა-და-სხვა სიდიდის ხეები, ზოგი—ადამიანის ხელით დარგული, ზოგიც თავისით ამოსული.

ხამი კაცი ვერ დაიჯერებს, თუ ეს ქალაქია და არა საავარაკო ადგილი. ყველა ხალვათადა სცხოვრობს. ყოველს მოქალაქეს ეზოდ შემოკავებული აქვს ერთიდან ორ დღიურამდე და

*) იხ. „მოამბე“ № XI.

ამ შემოკავებულ სამოსახლოში ყველაფერია: ხეხილიც, საჩრდილობელი ხეებიცა, ბოსტანიც, საბალახოცა, საქონლისა და ფრთოსანთათვის საკმაო ადგილიცა; თითქმის ყველგანაა: უზარმაზარი ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ბროწეული, ლეღვი, უშველებელი თხმელები, რომლებზედაც გაშვებულია ვაზები — ნაქებ ჩხავრისა არ გეგონოსთ, არა, „ადესისა“. ყვავილებში, არ ვიცით, რისთვის, ყველას Rosa Syrica-ს ბუჩქები სჭარბობს. აქა-იქ ხედავთ ბავშვებს, რომლებიც ხეების კენწეროს მოჰქცევიან და პეშვით იყრიან პირში მოკრეფილ ხილსა, — ნამდვილი სოფელი წარმოგიდგებათ! ხეების მწვანე სამოსლიდან, თითქმის ყოველ ეზოში, თითქო მოხუცის თეთრად გადაპენტილი წვერიაო, მკაფიოდ გამოსჩანს 1/4 გოჯის სიბრტყე და ორ-სამ ადლის სიგრძე ბურბუშელებიანი ერთ-ორ მხარის სიგრძე ჯოხები. ეს გახლავსთ „ჩიჩილაკი“, რომელსაც ყოველ ახალ წელიწადს აკეთებენ გურულის ოჯახში (როგორც სამეგრელოში); „კალანდას“ ამ ჩიჩილაკით უკვლევენ ოჯახს და მერე ხეზე გაიტანენ, სადაც მეორე კალანდამდე რჩება.

შორიდან სახურავებს, და ისიც მაღალ სახლებისას, თუ დაინახავს კაცი ამ ცამდე ამართულ ხეებს შორის! მშვენიერი წიწვიანი ხეები იყო თურმე ჩარიგებული აქაურ ორპირად ჩამწკრივებულ დუქნების წინ. ზამთარ-ზაფხულ ამწვანებული ყოფილა აქაურობა. მაგრამ ხორველობის დროს (1892 წ.) სულ ერთიანად აუჩეხნიათ, ხორველას გააჩენსო (?). ახლა აქა-იქ არის დარჩენილი ობლად, თითო-ოროლა დახაშლებული წყავი, ისიც სოფლიდან ჩამოსულების ცხენების მისაბმელად.

ერთი პატარა მდინარე, ბაზრის წყალად წოდებული, ქალაქს სიგრძე-სიგანეზედა რწყავს. ყველა დუქანს წინ წყალი ჩაუდის და თან მიაქვს ყოველგვარი უსუფთაობა ქალაქისა. მერე ჩაუვლის ქალაქის საყასბოს და უერთდება მდ. ბჟუჯს. ბაზრის-წყალის შემწეობით შესაძლებელია კაცმა იდეალური სისუფთავე დაიცვას. მართლაც და, ოზურგეთს თამამად შეუძლია სხვა ჩვენს პროვინციალურს დაბა-ქალაქებთან თავი მოიწონოს თვისის სისუფთავითა. ზაფხულობით აქაურს ქუჩებზე მტვერს ვერა ნახავთ, არც ავდარში იცის მაინცა და მაინც დიდი ტალახი.

ოზურგეთს მთა-გორიანი მდებარეობა აქვს. ერთს წერტილს ისეთს ვერა ნახავთ, რომ იქიდან შეიძლებოდეს მთელს ქალაქს მიმოავლოთ თვალი. სამხრეთ-დასავლეთით მოსჩანს აჭარა-გურიის მთა, მდიდარის ტყეებით შემოსილი, ჩრდილოეთით—კავკასიის ქედი. დასავლეთიდან აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ მთა-გორები იწყება ვიდრე აჭარის მთებამდე.

ამბობენ, ოსმალოს ჯარი ძველს დროში ოზურგეთამდე თუ მოატანდა, ამას იქით კი სიარული არ შეეძლო, რადგან გურულებს ამ ადგილას ზურგი ყოველთვის მაგრად ჰქონდათო, მტერი ვერას აკლებდათო. ამ ნაამბობის შემდეგ უფრო საფუძველი ეძლევა თვით მეგრულ სახელწოდებას ამ ქალაქისას. პრეფიქსი ო, რომელიც ემატება სიტყვას თავში, უდრის ქართულს სა-ს, მაგალითად მეგრული ო-სიმინდე—ქართული სასიმინდე, ო-შურეთი—სა-სულეთი (საიქიო) და სხვ. აგრეთვე ო-ზურგეთი იგივე სა-ზურგეთია. ამ აზრისაა ოზურგეთის სახელწოდების შესახებ ბ-ნი მ. ჯანაშვილიცა.

ჰავა აქ ნესტიანია. ხშირი წვიმაც იცის, თუ ერთი პირი მოიხსნა ცამ, მერე გადაღება არ მოაგონდება. სინესტის შიშით ქვითკირის სახლებს აქ იშვიათად აშენებენ. უფროსერთი აქაური სახლი ფიცრისაა. კედლებს გარშემოკრული აქვსთ სიმაღლეზედ თხელი ლამფები, ლურჯად შეღებილი, რაიცა თავისებურს ელფერს აძლევს აქაურს სახლებსა. იშვიათად შეხვდებით აგრეთვე ორ-სართულიანს სახლებსა,—თითქმის ყველას ერთსართულიანი ოდები უდგასთ, გადახურული კრამიტით, ან, როგორც აქ ეძახიან, „ქერაბინით“, რომელსაც გურიაშივე, სოფ. აკეთში, აკეთებენ. აქაურ სახლის საძირკველი ადლ-ნახევარის სიმაღლეზედა დგას, დედამიწიდან აშორებული.

ამ გვარად ნიადაგს აშორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ენახება. ზამთარში ცივა ასეთს სახლებში, ქარს შემოსვლა არ უჭირდება. ბუხარი მარტო იმის ახლო მიმჯდარს თუ გაუთბობს წინა ტანს, ზურგი კი ისევ ყინულივითა რჩება.

დუქნები აქაური ორ რიგად არის ჩამწკრივებული, ქალაქის შუა ალაგას, ეგრედ წოდებულის ბაზრის-წყალის მარჯვენა

მხარეს. შენობები დუქნებისა სულ ქვიტკირისაა. ამ ჩვიდმეტის წლის წინად კი სულ ხის დუქნები ყოფილა აქა. ერთს მშვენიერს დღეს ოზურგეთს ცეცხლი გასჩენია და ერთს ღამეში თავიდან ბოლომდე გადაბუგულა აქაური დუქნები. მას აქედ ხალხი დაშინებულა და ხის დუქანი აქ არავის დაუდგამს.

ვაჭრობა სულ გურულების ხელშია. მათს შორის ორი ლაზიც ურევია. მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი მოგვითხრობს თავისს „საქართველოს ღეოღრაფიაში", ოზურგეთში ურია-სომხებიც ყოფილან ვაჭრებად. პლატონ იოსელიანიც ამბობს „საქართველოს ქალაქების აღწერაში", რომ ოზურგეთის მკვიდრთა უმეტესობას ურიები და სომხები შეადგენენო*). არ ვიცით, ამ საუკუნის დასაწყისში იყვნენ თუ არა ოზურგეთში სომხები და ურიები, მაგრამ 1850 წელს კი, როცა პატივცემულმა ისტორიკოსმა შეადგინა თავისი წიგნი („საქართველოს ქალაქების აღწერა"), ოზურგეთში რომ არც სომეხი იყო და აღარც ურია—ეს ეჭვს გარეშეა. ამას მოწმობენ თვით დროული კაცები, ოზურგეთის მკვიდრნი. სხვა არა იყოს-რა, 1850 წელს ოზურგეთში მართლა ურიები და სომხები რომ ყოფილიყვნენ ყველაზე მეტნი, ამ ორმოცის წლის განმავლობაში ისე როგორ გაიფანტნენ, რომ ერთიც არ დარჩა მათგანი? ასეა თუ ისე, ამ ორის ეროვნებისა არც ვაჭარია ვინმე და არც მოსახლე ოზურგეთში; ორისავ ერის წარმომადგენელთ, თუ კი როდისმე იყვნენ ოზურგეთში, ახლა კვალ-წმინდად ამოუკვეთნიათ ფეხი აქედან. უცხო თესლის ვაჭარს გურულები თავიანთს შორის არ აბოგინებენ. ამ შემთხვევაში ძალიანა ჰგვანან გურულები მეგრელებსა და იმერლებსა. ხელობაც ყოველგვარი სულ გურულების ხელშია. ზეინკალი, მეწაღე, მეთუნუქე, მეშუშე, კალატოზი, დურგალი, ხურო, ხარაზი, მჭედელი, მღებარი, ყასაბიც კი,—სულ გურულები არიან.

დიდი ხანი კი არ არის, რაც გურულებს ვაჭრობისათვის ხელი მოუკიდნიათ. ამ ოც და ათ, ორმოცის წლის წინად ერთს

*) იხ. პლატონ იოსელიანის შედგენილი წიგნი, რუსულად გამოცემული: „წინანდელი და აწინდელი ქალაქები საქართველოსი", გ.გ. 58 და 50.

გურულსაც ვერა ნახავდით თურმე ვაჭარს ოზურგეთში. მთელი ვაჭრობა ხელში ჰქონიათ ლაზებს. იმდროინდელი კომერსანტები ყოფილან ქართველი-კათოლიკე თუმანიშვილებიცა, რომლებიც დღესაც სცხოვრობენ ოზურგეთში, მხოლოდ არა ვაჭრობენ, არამედ მოქალაქეებად ირიცხებიან. მაშინ გურულებს სირცხვილად მიაჩნდათ ვაჭრობა. არც გული მიუწევდათ, ამიტომ რომ კანონი არ არსებობდა მშვიდობიანის ცხოვრების მფარველი, ძალ-მომრეობა იყო გამეფებული. ბატონს შეეძლო თვის ყმა-ვაჭრისათვის ყველაფერი წაერთმია. თუ ერთი-ორი ვინმე გულს არ იტეხდა და მაინც ვაჭრობდა, უეჭველად თოფ-იარაღში უნდა მჯდარიყო. კბილით ეჭირა ვაჭარს საქონელიცა და სიცოცხლეცა. გარეშე მტერიცა და შინაური უსაქმური მებატონეც ვაჭარსა და ფულიანს ემტერებოდა, ასე რომ ათასგვარ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული ვაჭრის ბედი. როგორც მოგეხსენებათ, ასეთს პირობებში ვაჭრობა ველარა ბოგინობს, უფრთხის ასეთს პირობებსა. ხოლო როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, რაკი პატივი დაედო სხვის საკუთრებას, ძველებური, ბატონ-ყმური შეხედულება მოისპო, გურულმა არამც თუ მსწრაფლად შეითვისა საიდუმლოება ვაჭრობისა, არამედ ისეთი უნარი და შნო გამოიჩინა, რომ სხვას, მაზე ადრე სავაჭრო სარბიელზე გამოსულს, გადააჭარბა, წინ გაუსწრო და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ თავისი მეტოქე იძულებულჰყო აბარგებულიყო, გასცლოდა. ახლა გურულს ვაჭარს არამარტო ოზურგეთში შეხვდებით, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში და თვით რუსეთშიაც. თან, წინდახედულისა, ანგარიშიანისა და გაბედულის ვაჭრის სახელიცა აქვს განთქმული.

აქაური ვაჭრები ქართულად არიან ჩაცმულნი, ათასში ერთი თუ ატარებს ევროპულს ტანისამოსს. მაგრამ ისე კი აცვიათ, რომ მაშინადვე შეატყობთ, რომელ კლასს ეკუთვნიან მოქალაქეთა. აი ჩაცმულობაც დარბაისელ ვაჭრისა: შალის ან მაუდის ჩოხა კოჭებზედა სცემს, ვერცხლის ქამარი არტყია უსატევროდ, ვერცხლისავე საათი ჰკიდია გრძელ ძეწკვიანი, შარვლის ტოტები წაღებზე გადმოშვებული აქვს, თავთ ხურავს, თუ

ზაფხულია, ჭილოფის ქუდი და, დასასრულ, ხელთ უჭირავს ქარვისა ან გიშრის კრიალოსანი. აი გარეგანი სახე აქაურის ვაჭრისა. ზამთარში ამ ტანისამოსს უმატებს პალტოს, რომლის ქვეშიდან ჩოხის ტოტები ურცხვად გამოიყურება, და მხრებზედ წამოსხმული აქვს პლედი. გურულ ვაჭარს ჩაცმულობაში ძალიანა ჰგვანან მისი ძმები — მეგრელები და იმერლები.

პარასკევობით ბაზრობა ანუ, როგორც აქ ეძახიან, „პარასკეობა“ იციან. გარშემო სოფლებიდან შემოაქვსთ გასასყიდად ყოველგვარი ნაწარმოები სოფლისა: ხილი, მწვანილი, ფრთოსანი, ოთხფეხი სხვა-და-სხვა ნაქსოვები როგორც აბრეშუმისა, ისე მატყლისა, თიხის ჭურჭელი, ქვევრები, კოკები, დოქები, მჭადის საცხობი კეცები. ბაზარშივე გამოაქვსთ გათლილი ფიცრები. სხვათა შორის, დიდძალი შემოაქვთ ურთხლის ფიცრები, თითო კარგა შორდილი ფიცარი ექვს აბაზად იყიდება ხოლმე. აბა კარგი საყურებელი მაშინაა, როცა მილეთის ხალხი ბუზივით ირევა! სხაპა-სხუპით ლაპარაკი, მარდი მიხვრა-მოხვრა — სიცოცხლე სდუღს და გადმოდის!.... თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ასეთს ხალხში მძიმე, კამეჩივანი, მხარ-ბეჭიანი ჯვარელი*) შემხვდა!... ჭუჭყიანი იყო, სპეციფიკური სუნი ასდიოდა ბოსლისა. წინ ედგა სულგუნებით**) სავსე გურული გორიცა.

საკვირველი კონტრასტი იყო ამ მთის შვილსა და გურიის მკვიდრთა შორის! რამდენად მეორენი სწრაფნი იყვნენ როგორც ქცევასა, ისე ლაპარაკში, იმდენად აუჩქარებელი იყო პირველი. ასე ბრძანებდით, სადმე ცეცხლი უკიდია და იქ მიეშურებიანო; ბუზივით ეხვევიან, ევაჭრებიან, სეტყვასავით აყრიან სიტყვებსა, ის კი ქანდაკებასავითა დგას, გორიცასთვის ხელი დაუვლია და გაიძახის:

— ორი — სამი შაური, პარტენი.

ვკითხე მისებურად სადაურობა, გვარი, სადმყოფობა.

---

*) ჯვარი — სოფელია ზუგდიდის მაზრაში. ამ სოფლის მცხოვრებნი მწყემსები არიან. ტუტუცის ხალხის სახელიცა აქვსთ.

**) სულგუნი — მეგრული ყველია, მრგვლად და პრტყლად გადაზელილი.

პირველად თითქო გაუკვირდა მეგრულის გაგონება, მაგრამ მერე თამამად მიპასუხა:

— კვარცხელია ვორექ, ჯვარული (კვარცხელია ვარ, ჯვარელი).

— ამ სიშორეზე რად გადმოხვეწილხარ?

— რად, ბატონო, და ჯოგი გვყავს გურიაში, — მიპასუხა ზლაზვნით მთის შვილმა, — ჩვენით უდგათ სული გურულებს: ჩვენ რომ არ მოვდიოდეთ სამეგრელოდან, მთელი გურია უყველოდ დარჩებოდა. ჩვენს მეტს აქ არავის ჰყავს საქონელი. მთებში ზაფხულობით სულ ჩვენი, მეგრელების, საქონელი ბალახობს. აქაურს კაცს სირცხვილად მიაჩნია მწყემსობა; თუ ჯოგს გაჰყვა, მისის აზრით, თავი მოეჭრება. იმასა რჩეობენ, ყველი იყიდონ ჩვენგან, ვინემ თვითონ გაიჩინონ საქონელი. თაკილობენ, მეჯოგე როგორ უნდა გავხდეთ ერთ სულუგუნიზათ?! შენ ვიღა ხარ? — ფამილიარულადა მკითხა ბოლოს მწყემსმა.

როგორც შევიძელ, დავუკმაყოფილე ცნობისმოყვარეობა.

ბაღი იმ აზრით, რა აზრითაც სხვაგანა აქვსთ წარმოდგენილი, ოზურგეთში არ არის. თუმცა აქაური ნიადაგი და ჰაერი ხელს უწყობს ყოველგვარს უმაღლესს კულტურას. ყველას საკუთარი ეზო აქვს, იქა აქვს გაშენებული ხეხილი, უბრალო ხეებიც უდგას, როგორც მაგალითად თხმელა ან ხურმა და მორჩა! ისეთი ბაღი კი, რომელსაც მართლა კულტურა ეტყობა, ერთია ოზურგეთში. ეს გახლავსთ აქაურის მკვიდრის ი. თუმანიშვილისა. ამ ბაღის ხეხილებსაც, მოსართავ მცენარესაც მოსიყვარულე და მცოდნე პატრონის ხელი ატყვია.

არის ოზურგეთში ეგრედ-წოდებული ქალაქის ბაღი, როგორც ამბობენ, კავკასიის მთავარმართებელის თ. ვორონცოვის დროს 1845—1847 წლებში გაშენებული. ადრე ეს ბაღი მდიდარი ყოფილა სხვა-და-სხვა ძვირფას მცენარეებით. შესანიშნავია ეს ბაღი იმითაც, რომ აქ პირველად დაარგვევინა თ. ვორონცოვმა ქ. ადესიდან გამოწერილი ვაზი „იზაბელის“ ჯიშისა, რომელსაც მერე „ადესა“ დაერქვა, ალბად იმიტომ, რომ ქ. ადესიდან

მოუტანიათ. მერე მთელს გურიაში გავრცელებულა ეს ვაზი. გარნა დღეს კი ძველის დიდების მოსაგონებლად ამ ბაღში სამიოდ ჭადარი დგას, ერთი ფიჭვი და სამიც Cunninghamia lanceolata (ურთხელის მსგავსი ხეა) და სხვა უბრალო ხეები და მსხალი. ამ ხეებს შემთხვევითი ხასიათი აქვს დღეს, კაცი ძნელად წარმოიდგენს, რომ ოდესმე აქაურობა უკეთესს დღეში იყოვო. რუს-ოსმალოს ომის დროს შიგა მდგარა ჯარი და ხეები უწყალოდ უჩეხნიათ. მერე უპატრონოდ დარჩენილ ქალაქის პატრონთ (დეპუტატებს) თვითონ ბაღის ადგილის გაყიდვისათვის მიუყვიათ ხელი. კვადრატული მხარი ხუთ შაურად თურმე იყიდებოდა. ახლაც გიჩვენებენ აქაურნი ძველის ბაღის ჭადრებს კერძო მეპატრონეთა ეზოებში, აწინდელის ბაღის სამხრეთ მხარეს. იმ ბაღისაგან, რომელსაც ადრე ½ ოთხკუთხი ვერსი ჰქონია სივრცე, ახლა 5—6 დღიური თუ-დაა დარჩენილი.

ამ ბაღში ორი შენობაა ხისა. ერთს მათგანში ზაფხულობით ქალაქის კლუბი გადმოაქვსთ. ბაღის ადგილზევეა ოზურგეთის საქალებო სასწავლებელი. თვითმმართველობა ქალაქისა ცდილობს, რამდენადაც შეძლება ნებას აძლევს, ამ ბაღს ცოტა რიგიანი სახე მისცეს და მართლა ბაღს დაამსგავსოს, რომ ერთს დროს მაინც ოზურგელებს ერთი საზოგადო თავშესაფარებელი ადგილი ჰქონდესთ ზაფხულობით.

ოზურგეთი გურიის მთავართა ანუ გურიელების სატახტო ქალაქი ყოფილა. იხსენიებს ოზურგეთს ბატონიშვილი ვახუშტი: „ოზურგეთი არის სასახლე დიდშენი, და კეთილ-პალატოვანი გურიელისა“ *). ბატონიშვილ ვახუშტამდე ერთის საუკუნით ადრე ოზურგეთი მოხსენებულია აგრეთვე გურიელის ქაიხოსრო I სიგელში, აჭის წმ. გიორგის ეკკლესიისდა მიცემულში: „მას ჟამსა, ოდეს თქვენს (აჭის მთავარმოწამის წმ. გიორგის) საყდარს სიმაგრეშიდ ვიყავით, გამოგვიზახა დადიანმან ვამეხმა, თავს დასასხმელი დიდი ლაშქარი იმერელნი, ოდიშარნი, შარვაშიძე, ჩვენი საპატიო კაცებიც თან ახლდნენ. მო-

*) ბატონიშვილი ვახუშტი: „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა“, გვ. 416.

გვიხდნენ და შუა გურია დაარბიეს და შენს მეტი ღონე ალარა მქონდა და შიგ თქვენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ, მოვედით **ოზურგეთს**, სასახლეში გამაგრდნენ ისინი“*). ეს ქალაქი ძველის-ძველი არ უნდა იყოს, ყოველსავე შემთხვევაში, ოზურგეთის სიძველეს დღეს არაფერი ჰმოწმობს. ერთად-ერთი ქვითკირის გალავანი ღაა დარჩენილი, ქალაქის ბაღის გვერდით, ისიც სანახევროდ დანგრეული. შიგ მოთავსებულია სამ-სართულიანი ქვითკირის შენობა—ადგილობრივის „დრუჟინის“ ბინა. ეს გალავანიც გურიის უკანასკნელის მთავრის მამია V-ის დროს არის ნაშენები, 1812—1814 წლებში. შემდეგი ამბავი გადმომცეს ამ გალავნის შესახებ: მის ასაშენებლად გურიელს მოუწვევია ერთი კალატოზი ბერძენი, უბრძანებია, ჩემს სასახლეს გალავანი შემოავლე და თუთხმეტს თუმანს მოგცემო. რა თქმა უნდა, ეს სასყიდელი ჩვენ ძალიან მცირედ გვეჩვენება, რადგან თუთხმეტ თუმნად ერთ-თვალიანს ქოხსაც ვერ გააშენებს კაცი ახლანდელს დროში. მაგრამ ფული მაშინ ძვირი ყოფილა და ბერძენიც დათანხმებულა. როცა გალავანი მოუსრულებია, გურიელს მოურავისათვის უბრძანებია, მიეცი თუთხმეტი თუმანიო. ხარბს მოურავს, არც უციებია, არც უცხელებია, წაუყვანია კალატოზი ბერძენი ტყეში და დაუხრჩვია, რა არის, მისი მისაცემი ფული მე დამრჩესო. რა თქმა უნდა, მთავრისათვის მოუხსენებია, ფული სრულად გადავეცი ბერძენს თქვენის ბრძანების თანახმად და გავისტუმრეო.

გურიის უკანასკნელი მთავარი იყო გურიელი მამია V, რომელიც სცხოვრობდა ოზურგეთში. 1810 წელს მამიამ აღიარა რუსეთის სუზერენიტეტი. 1826 წელს 20 ნოემბერს მამია გარდაიცვალა და დარჩა მცირე-წლოვანი ქალი ეკა, (ეკატერინე) 12 წლისა, შემდეგ ლევან ჩიჩუას მეუღლე და ვაჟი—დავითი, 6 წლისა. რუსის მთავრობამ რეგენტობა ჩააბარა მამია გურიელის ქვრივს მეუღლეს სოფიოს. დედოფალი კმაყოფილი არ იყო რუსეთისა:—რა უნდა, რომ ჩემის ქვეყნის საქმეებში

*) იხ. დ. ბაქრაძის შრომა, რუსულს ენაზე დაბეჭდილი: «არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში», გვ. 192.

ერევაო? გადასწყვიტა მომხრე ეშოვნა და რუსეთის ბატონობისათვის თავი დაეღწია. ამ აზრით 1828 წელს დედოფალი სოფიო ივლტო ოსმალეთში, თან წაიყვანა თავისი შვილებიცა და მრავალნი დიდებულნი და ერთგულნი. მაგრამ გულისნადები ვერ აუსრულდა. 1829 წელს დედოფალი ანატოლიაში გარდაიცვალა. ბოლოს, 1833 წელს, სამშობლოში დაბრუნდნენ მთავრის შვილები. დავითი ჯერ პეტერბურგში სწავლობდა საპაჟო კორპუსში და მერე დაღისტანში ერთის ომის დროს მოკლულ იქმნა.

ამ ჟამად ოზურგეთში მხოლოდ სამი ოჯახობა-ღაა გურიელების გვაროვნობისა: 1) ქაიხოსრო მალაქიას ძის გურიელის მემკვიდრენი ეკატერინე დ მარიამ, (თ. დ. გუგუნავაზე გათხოვილი); 2) კონსტანტინე (კოწია) მალაქიას ძე გურიელი და მისი ორი ასული ელენე და ნინო და 3) იესე გიორგის ძე გურიელის ძენი ლევანი, გიორგი და ვლადიმერ (ტუტულია). აქ მოხსენებული ქაიხოსრო, კონსტანტინე და იესე გურიელები გურიის უკანასკნელს მთავარს ბიძაშვილის შვილებადა ხვდებიან.

სწორედ იმ გალავანში, სადაც ახლა „დრუჟინა“ დგას, მამია გურიელს თავისს სიცოცხლეში მშვენიერი სასახლე აუშენებია. უწინ კი სოფ. უჩხუბს (დუაბზუის საზოგადოებაში) სცხოვრობდა თურმე. ის ადგილი, სადაც პირველი სასახლე მდგარა, ახლა შეძენილი აქვს გლეხს ჰანუკვაძეს. როცა რუსეთი საბოლოოდ დაჰპატრონებია გურიასა, ეს სასახლე საშინლად გაოხრებული ყოფილა, დიდი შეკეთება სდომებია. დიუბუა დე მონპეროსაც უნახავს ეს სასახლე თვისის მოგზაურობის დროს. „დღეს აქა-იქა აქვს სახურავი, — ამბობს ფრანგების მოგზაური ამ სასახლის შესახებ, — ჰერ-იატაკი დალპობია; ყველაფერი გაოხრდა. გვერდით რუსის მოხელეთ საცოდავი ქოხები გაუკეთებიათ, ხოლო ამ საუცხოვო შენობისა აჩრდილი-ღა დარჩა. გალავანი, აბანო, ფანჩატურები, სასახლეს რომ ერტყა, — უკეთეს მდგომარეობაში არ არის*).

*) იხ. Dubois de Montpereux „Voyage autour du Caucase“, tome III, p.p. 98—99.

ოზურგეთში დიუბუა დე მონპერო იმ ოთახში მდგარა, სადაც დაუღალავი ბოტანისტი, გულმოდგინე მშრომელი მეცნიერებისა—სოვიჩი ავადმყოფი წოლილა. გურიის ფლორის მკვლევარი აჭარის მთებზე მუშაობდა თურმე, 8 დღის განმავლობაში მარტო პური, ყველი და ჩაი ჰქონია საზრდოდ. თან, წვიმიანი დარიც შესწრობია. ზარად უკვე გაციებული ჩამოსულა. ოზურგეთში რომ მოსულა, დამშეული, ხარბად სძგერებია საჭმელსა ამდენის მარხულობის შემდეგ. ნასადილევს გაუფენია ნაპოვნი მცენარეები მთავრის სასახლის უშველებელს დარბაზში, რომელიც მისთვის დაუთმიათ. ამასობაში ავადმყოფობაც მოერია და გარინდებული, მძინარესავით დაეცა თურმე მცენარეებს. ავადმყოფობა სახადად გადაექცა. მაიორს ჰილაშვილს (ჩვენის ნეტარხსენებულის მიმულიშვილის დიმიტრი ყიფიანის სიმამრს), რომელიც მაშინ ოზურგეთში იყო რუსის მთავრობისაგან გამოგზავნილი მთავრის ქონებისა, მისის და მისთა მოხელეთა შემოსავლის აღსანუსხველად, და რომელთანაც იდგა ბოტანისტი სოვიჩი, ამ უკანასკნელისათვის სასაქმებელი წამალი დაულევინებია. მერე ქუთაისში წამოუყვანიათ, სადაც კიდეც გარდაცვლილა. განსვენებულს სოვიჩს დიდძალი იშვიათი და ახალი მცენარენი აღმოუჩენია გურიაში; უფრო დიდს სამსახურს გაუწევდა გურიას, რომ ისე არ მოსწრაფებოდა სიცოცხლეო, ამბობს დიუბუა.

დღეს ამ სასახლისა არაფერია დარჩენილი. გალავანი ნახევრად დანგრეულია, მთავრის აბანო „დრუჟინას“ ზოგი საკუჰნაოდ და ზოგიც შეშის საწყობად აქვს გადაქცეული.

მარმარილოს სვეტები სასახლისა ყირიმის ომის წინ 1849—1850 წლებში, სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს უთხოვნია მთავრობისათვის, ნება მომეცით ჩემის სასახლისათვის წავიღო სამეგრელოშიო. ნება დაურთავთ. წაუღებინებია კიდეცა. მაგრამ სიკვდილს მოუსწრია და ის სვეტები ანაკლიაში ჩარჩენილა წაუღებლად.

შესანიშნავია აგრეთვე ოზურგეთში 1873 წელს აშენებული სახლი დიმიტრი ქაიხოსროს ძის გურიელის, გურიის უკა-

ნასკნელის მთავრის, მამიას, ბიძაშვილისა, სადაც ამ ჟამად „დრუჟინის“ საავადმყოფოა მოთავსებული.

ეკლესია ორია ოზურგეთში,—ორივე ხისაა და საკმაოდ ძველი. ერთს რუსის ეკკლესიას ეძახიან და შიგ დადიან სამხედრონი, ხოლო მეორე ქართველებისაა. ორსავე ეკლესიას წინ უდევსთ კოხტა მინდორი, გარშამო ხეებ-შემორიგებული. ეკკლესია თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღე სავსეა ხოლმე მლოცველებითა. საინტერესო წესია დაცული წირვა-ლოცვის დროს: ქალები უეჭველად მარცხენა მხარეს დგანან, განცალკევებულნი და მამა-კაცნი—მარჯვენა მხარეს. ღვთის-მსახურების დროს გესმისთ მშვენიერი გალობა გურული, ეგრედ წოდებულ დუმბაძის კილოზე. თავ-და-თავ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ ეს სასოების აღმძვრელი ღიღინი, რომ ხალხი ასე გულმოდგინედ ეტანება ღვთის ტაძარს. აქაურებს ამ მხრივ დიდი ამაგი დასდო პატივცებულმა ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ, გურიის შვილმა, იმით, რომ გურული კილო საეკკლესიო გალობისა, დარჩენილი მარტოოდენ დუმბაძეთა გვარში, სრულებით დავიწყებას არ მისცა და, მრავალის ღვაწლის შემდეგ, შთამომავლობას ნოტებზე გადაღებული გადასცა. შემოიღეთ ეს გალობა სხვაგან, და დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მლოცველთა რიცხვი ერთიათად და ერთი ოცად იმატებს ჩვენს ტაძრებში.

ოზურგეთში ერთი სასტუმროც არის, სადაც მგზავრს შეუძლია მანეთად იშოვოს საკმაოდ მოწყობილი ნომერი. საზოგადოდ კი ეტყობა, რომ მუშტარი ხშირად არა ჰყავს.

მცხოვრებნი ორისავ სქესისა ოზურგეთში 4,703 სულს არ აღემატებიან, მათს შორის მამრი 3,015-ია და მდედრი—1,688. რამდენისამე მოხელის გარდა, მკვიდრნი სულ ქართველები არიან. ასეთი წმინდა ქართული ქალაქი საქართველოში სხვაგან არსად შეგვხვედრია. ქუჩასა, ეკკლესიასა, დუქანში, ყველა საზოგადო შესაკრებელ ადგილას, შინა თუ გარედ—ქართული ლაპარაკი-ღა გესმისთ. ათასში ერთხელ რომელიმე მეტიჩარა, ვითომ-ინტილიგენტი თუ აჯახირებს ქართულს ენასა და ის თუ დაარღვევს ამ საერთო გარმონიას და გურიის დედა-ქალა-

ქის ნიშანდობლივს ელფერს. აქაურები არამც თუ სხვას გადაუზირებია, არამედ თვითონ გამოუჩენია იმდენი მდგნეობა და სიმტკიცე ხასიათისა, რომ სხვა გადმოურჯულებია თავისებურად, თავისს გემოსა და ჭკუაზე. გურულმა ამ შემთხვევაშიაც გამოიჩინა თავისი ძალა.

3—4 მოსახლე ქართველი-კათოლიკებიც არიან აქა, გვარად თუმანიშვილები. ესენი პირველად ექვსნი ძმანი ყოფილან, როცა ახალციხიდან წამოსულან ბედის საძებნელად. პირველად მოსულან ქუთაისში, იქიდან ოზურგეთში გადმოსულან. აქ ვაჭრობისთვის მოუკიდნიათ ხელი, გურიელებიც მფარველობას თურმე უწევდნენ და ერთს დროს შეძლებულის ვაჭრების სახელიცა ჰქონიათ. ესენი მაშინ ვაჭრობდნენ ოზურგეთში, 1860 წლებში, როცა გურულებს ვაჭრობა, ალაბის დაჭერა და დახლს უკან დგომა სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდათ.

ოზურგეთის ცხოვრებაში საკმაო სიცხოველე შეაქვს და ვაჭრობას სულს უდგამს აქ დაბანაკებული ჯარი ანუ „დრუჟინა“, რომელიც უმეტესად შესდგება გურიისა და სამეგრელოს სოფლებიდან გაწვეულ ახალგაზდა კაცთაგან. მათი ბინა მოთავსებულია სამ სართულიან ქვიტკირის სახლში, რომელიც აშენებულია, როგორც ზევითაცა ვსთქვით, სწორედ იმ ადგილას, სადაც გურიის უკანასკნელ მთავრის სასახლე ყოფილა.

საინტერესო რამ მიამბეს ამ დრუჟინის შესახებ. ავადმყოფობა ჯარის-კაცთა შორის, განსაკუთრებით სტომაქისა, ხშირია. ღომს და საზოგადოდ მსუბუქს საჭმელს დაჩვეული კუჭი, რა თქმა უნდა, ერთბაშად შავს პურს ველარ იტანს და ჯარის-კაცი ხშირად მსხვერპლი ხდება ამ შეუჩვევარის საჭმლისა. მიცვალებულთ აქავე, ოზურგეთშივე, მარხავენ. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მეგრელ მიცვალებულთ საფლავში არ აყენებენ... საქმე ის გახლავსთ, რომ მეგრელი თუ უცხო მხარეში მოკვდა, ჭირისუფლები ცდილობენ უეჭველად წამოასვენონ თავისს სოფელში და მშობელ მიწას მიაბარონ მიცვალებულის გვამი, თორემ

სული მისი ვეღარ მოისვენებს, მთელი თავისი დღენი დაუსრულებელს ტანჯვა-წვალებაში იქნებაო. ამიტომ, დიდ ცოდვად მიაჩნიათ მეგრელ ქრისტიანებს მიცვალებულის დამარხვა უცხო მხარეს. რა თქმა უნდა, სადაც ასეთი რწმენაა მიცვალებულის სულის შესახებ, იქ მეგრელი ყოველს ღონესა ჰლონობს მიცვალებული წინაპართა შორის დაასაფლავოს. ჯერ, რა თქმა უნდა, ურჩევნია კანონიერის გზით გავიდეს ფონსა, და, თუ კანონი მისს სურვილს გადაეღობა, მეტი რა გზაა, კანონს უნდა გადავიდეს.

ოზურგეთში მოკვდება თუ არა რომელიმე ჯარის-კაცი, სამეგრელოდან წამოყვანილი, ამხანაგები მშობლებს აცნობებენ, არიქათ, მოეპატრონეთ მიცვალებულსაო. ისინიც აიპარებიან დაუყონებლივ. თუ გადამდების სენითაა ჯარის-კაცი მომკვდარი, იციან, რომ არ დაგვანებებენო და, ამიტომ, საფლავიდან ამოაქვსთ ქურდულად და ისე მიაქვსთ თავიანთი მიცვალებული. როგორც მითხრეს, ოზურგეთში საგანგებო ოსტატებიც არიან თურმე სამარიდან მიცვალებულის ამოღებისა. ოღონდ კი ანიშნონ, აქა მარხიაო, თვალის დახამხამებაში მიცვალებული ზევით ამოაქვს, ხოლო მის მაგიერ ცარიელი კუბო-და რჩება. მერე მიაქვს იქავ, წყლის პირას, გამოშიგნავს, გარეცხავს, დასჭრის ასო-ასო და ხურჯინებში ჩააწყობს. შემოაკრავს ცხენს და ქრისტიანს გზას დაულოცავს. რა თქმა უნდა, „ოსტატსა და მაინძელს“ ღირსეული „გასამრჯელო“ ეძლევა.

თუ ქრისტიანმა „ეს საქონელი“ მდ. რიონზე გაიტანა როგორმე, მერმე შიში არავისი აქვს. თავისუფლად შეუძლიან „ტირილი“ გამართოს და ისე გაპატიოსნებული მიაბაროს მიწას თავისი მიცვალებული.

## IV

ოზურგეთის სულიერი ცხოვრება.—სწავლა-განათლება.—ქართული სტამბა.——წიგნის მაღაზია.—„მეეტლეთა ამხანაგობა“ ანუ „კამპანია“.—გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“ და მისი მოღვაწეობა.—„შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“.—ქალაქის უფასო წიგნთ-საცავი და ოზურგეთის ქალები.—ჟურნალ-გაზეთების რიცხვი.—ცენტრალური საწყობი წიგნებისა და საკანცელიარიო ნივთებისა. — ქალაქის თვითმმართველობა.—ოზურგეთის მოქალაქის ოჯახი.—გაევროპიელებაა?

ამის შემდეგ საინტერესოდ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ გურიის დედა-ქალაქის შინაგანი, სულიერი ცხოვრება, მით უფრო, რომ ოზურგეთი ცენტრია, შუაგულია, რომლის გარშემო შეჯგუფულნი არიან დაბა-სოფელნი გურიისა; ეს ქალაქი ასე თუ ისე ტონს აძლევს თვისის პატარა მოძმეების ცხოვრებას.

ამიტომ, ჩვენ ჩამოვთვლით ყველა იმ დაწესებულებათა, რომელნიც დაარსდნენ ადგილობრივის საზოგადოების მოწინავე, შეგნებულ ნაწილის მეცადინეობით საკეთილდღეოდ, წარსამატებლად საზოგადო ცხოვრებისა.

ჩვენს გაზეთებში ხშირად იბეჭდება ხოლმე წერილები საზოგადოდ გურიისა და კერძოდ ოზურგეთის შესახებ. თანახმად ამ ნაწერებისა, ეს კუთხე და ეს ქალაქი დიდად დაწინაურებულადა გვაქვს წარმოდგენილი. ჩვენ ვეცდებით დავხატოთ სურათი ოზურგეთისა, რაც შეიძლება, მიუკერძველი, რეალური, რომ მკითხველს წარმოუდგეს ოზურგეთი ისეთი, როგორიც ეს ქალაქი არის ნამდვილად. ოპტიმისტებს ნუ დავუჯერებთ და ნუ ვიტყვით, ოზურგეთი ჩვენის ქალაქების იდეალიაო. იდეალზედ ჯერ შორს არის ეს ქალაქი, მხოლოდ ეს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თავისს ტოლ ქალაქებს ძალიან გაუსწრო წინ, მისნი მკვიდრნი დიდს შნოსა და უნარს იჩენენ მოქალაქებრივის ცხოვრების გაუმჯობესობაში.

დავიწყოთ სწავლა-განათლებიდან.

ოთხი სასწავლებელი ემსახურება ამ ჟამად სწავლა-განათლების საქმეს ოზურგეთში: სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავ-

ლებელი, სამოქალაქო სასწავლებელი, საქალებო სკოლა და სამრევლო სასწავლებელი. ყველაზე ხნიერი ამ სასწავლებლებში—სასულიერო სასწავლებელია, სადაც, გარდა სასულიერო წოდების ბავშვებისა, საერო წოდებისანიც იზრდებიან. ეს სასწავლებელი დაარსდა 1846 წელს. აქედან გამოსულა თითქმის უმეტესობა გურიის მოწინავე მოღვაწეთა. 1896 წლის 1 იანვრისათვის შიგ ითვლებოდა 208 ყმაწვილი, ყველანი ოზურგეთის მაზრისა. მის შესანახავად გურიის სამღვდელოებას ყოველწლიურად ეხარჯება 11,120 მანეთი*).

მეორე ალაგი უჭირავს სამოქალაქო სასწავლებელს, 1874 წელს დაარსებულს, რომელშიაც 303 მოსწავლე ითვლება და რომელზედაც წლიურად იხარჯება 8,205 მანეთი. ეს სასწავლებელი მოსწავლეთა რიცხვით მთელის კავკასიის სამოსწავლო ოლქის 37 სამოქალაქო სასწავლებლებში **მეხუთეა** (1—ეკატერინოდარისა (541 მოსწავლე), 2—ქუთაისისა (316), 3—სტავროპოლისა (316), 4—ზუგდიდისა (309) და 5—ოზურგეთისა (303). სამოქალაქო სასწავლებელთან დაარსებულია სამეურნეო განყოფილებაცა, რომელიც ჯერ ხანად მეტად უწყუგეშო მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქალაქმა, ისე ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობამ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინეს, როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი.

შემდეგ მისდევს საქალებო ერთ-კლასიანი სკოლა, 1879 წელს დაარსებული: შიგა სწავლობს 112 ქალი, უმეტესად ოზურგეთის მკვიდრთა. ამ სკოლას ინახავს ამისათვის მკვიდრთაგან ამორჩეული მზრუნველი კომიტეტი. წელიწადში ეხარჯებათ 1,400 მანეთი. სკოლას ვერ ემადლიერებიან, და დღე ყოველ იმასა სთხოვენ, ჩვენს ენაზედაც გვინდა ჩვენმა ქალებმა ისწავლონ რამეო.

დაგვრჩა სამრევლო სკოლა, 1893 წელს დაარსებული; შიგა სწავლობს 58 ბავშვი.

*) სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლების შესახებ ამ წერილისათვის გამოკრებილი გვაქვს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის 1895 წლის ანგარიშიდან.

ამ ციფრებიდანა სჩანს, რომ ოზურგეთში 681 მოსწავლე სწავლობს, რომლებზედაც წელიწადში ეხარჯებათ 20,745 მანეთი.

მაგრამ ეს სკოლები ყველა მცხოვნელებს ვერ აკმაყოფილებს, ამ უკანასკნელ წლებში მაინც. ხშირია, რომ სასწავლებლიდან უკან დაებრუნებინოსთ შიგ შესვლის მსურველი. ახლა გადაწყვეტილია სამრევლო საქალებო სკოლაც მოუმატონ ხსენებულს რიცხვს სკოლებისას. გარდა ამისა, ოზურგეთის თვითმართველობაცა სცდილობს ოზურგეთში პროგიმნაზია გაახსნევინოს როგორმე მთავრობას.

ამ ექვსის წლის წინად საქართველოში ქართული სტამბა მხოლოდ სამგან იყო: ტფილისსა, ქუთაისსა და ბათომში. ამ დროს, 1890 წელს, ოზურგეთის მკვიდრი, ბ-ნი კ. ფავართქილაძე, დ. კილაძის ამხანაგობით, ოზურგეთში სტამბასა ხსნის, რომელშიაც ჯერ უბრალო ბლანკები და ქორწილ-ტირილში მოპატიჟების წერილები იბეჭდება, მერე აქ დაბეჭდილი წიგნებიც დაინახა საზოგადოებამ. აქ დაიბეჭდა, სხვათა შორის, ორჯერ უკვდავ შოთას პოემა. ოზურგეთის ისტორიაში საპატიო ალაგი ექმნება დათმობილი სტამბის დაარსების ამბავს.

სტამბას მოჰყვა წიგნის მაღაზია, საიდანაც თავის დროზე შეეძლო საზოგადოებას ახლად გამოსულ ქართულ წიგნის ყიდვა. ესეც დიდი ნიშანი იყო წინსვლა-წარმატებისა. შეუწყვეტელი კავშირი გაიმართა ოზურგეთსა და საქართველოს ცენტრსა—ტფილისს შუა; ინტერესი აღიძრა საზოგადო საქმის შესახებ ლაპარაკისა, სჯა-ბაასისა.

1890 წელს ტფილისში დაარსდა პირველი „ამხანაგობა“ წიგნების გამოცემისა. ამ ამხანაგობას ბანი მისცა ყველაზედ წინ ოზურგეთმა. ამ ხანებში, სხვათა შორის, საჭირ-ბოროტოდ გახდომოდა ოზურგეთს ნატანებსა და ოზურგეთს შუა მგზავრთა გაჭირვება. მეეტლეთა თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა: უნდოდა—არ წაიყვანდა მოგზაურს, უნდოდა 17 ვერსის მანძილზე თუმანს გადაახდევინებდა, დამშლელი არავინა ჰყავან-

და. ასეთი უწესოება განსაკუთრებით საგრძნობელი იყო ოზურგეთის ვაჭრებისათვის, რომელთაც, საქმეების გამო, ხშირადა სჭირდებოდათ ხოლმე ნატანებს ჩასვლა.

ფიალა მოთმინებისა პირთამდე რომ მოიყარა, ზოგიერთებმა სთქვეს, მოდი, ამხანაგობა დავაარსოთ და კერძო მეეტლეთა ფარფაშს ბოლო მოვუღოთო. თქმა და ასრულება ერთი იყო: შეადგინეს ეგრედ-წოდებული „მეეტლეთა ამხანაგობა", წილის ფული თვითოეულის წევრისათვის 20 მანეთი დანიშნეს და დაიწყეს კიდეც მოქმედება. კაცის თავზე ოზურგეთიდან ნატანებში და იქიდან უკან ამოყვანაზედ ეტლით ათი შაური დააწესეს, ხოლო დილიჟნით—ექვსი შაური. გაიძახოდნენ, „ამხანაგობა" წააგებსო, მაგრამ ზარალის მაგიერ ორნაირად მოიგო: ჯერ ერთი, ახეირა პაის პატრონები, რომელთა რიცხვს დღით-დღე ემატებოდა, და მეორედ—მგზავრს მეტისმეტად გაუადვილა და გაუეფა მისვლა-მოსვლა. ამხანაგობას ამ ჟამად 250 წევრი ჰყავს. შეძენილი აქვს შიგ ქალაქში 1,000 კვად.-საჟ. მიწა, აიგო შენობები, გაიკეთა ეტლების საკეთებელი ქარხანა, დაიქირავა ოსტატები, რომლებიც ადგილობრივვე აკეთებენ ეტლებს, მარხილებს და სხვ.

ეს პირველი „ამხანაგობა" იყო გურიაში. პირველმავე ნაბიჯმა ნათლად დაარწმუნა ყველანი, რომ საერთო ღონით ყოველთვის მეტი გაკეთდებაო, ვიდრე ცალ-ცალკე დაყოფილის ძალითაო.

ნავსი გატყდა. პირველს ნაბიჯს მეორე მოჰყვა.

თუ საზოგადოდ საქართველოს შესახებ ითქმის—მეურნეობის დედაო, ამ სახელის ღირსია კერძოდ მისი ერთი საუკეთესო ნაწილი—გურია. ყველაფრით არის შემკული ეს მხარე: ნაყოფიერის ნიადაგით, უხვის მცენარეულობით, ზომიერის ჰავით. ყველა ეს ისეთი პირობებია, რომ მეურნე თავისის შრომისათვის ერთი-ასად ჯილდოვდება. მხოლოდ ეს ბუნებრივი სიმდიდრე შემმუშავებელს მოელის, მოელის შეგნებულს მუშას, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ბუნებისაგან მუქთად მოწვდილს სიუხვეს. მეურნეობა კი ამ სა-

მეურნეო მხარეში ჯერ ისევ პირველყოფილ მდგომარეობაშია. იქ, სადაც ყოველ უმაღლესს კულტურას, ჩაის მცენარისა და ფორთოხალ-ლიმონ-ზეთისხილიდან მოკიდებული, შეიძლება მოჰკიდოს კაცმა ხელი, მთელი მეურნეობა მარტოოდენ სიმინდის თესვით განისაზღვრება; იქ, სადაც საუკეთესო ჯიშის ვაზის მოშენება და შამპანისებურის ღვინის დაყენება შეიძლება, მწკლარტე „ადესის“ ღვინის კეთებასა სჯერდებიან; იქ, სადაც ბუნება ხელს უწყობს მეოჯახეს აბრეშუმის ჭია წელიწადში ორჯელ გაიჩინოს და საუკეთესო აბრეშუმეულობით უცხო ქვეყნებს კონკურენცია გაუწიოს, სწორედ ამ უცხო ქვეყნიდან შემოტანილ აბრეშუმეულსა აქვს ბაზარი.

სხვათა შორის, როგორც ზევითაცა ვსთქვით, გურიაში აბრეშუმის ჭია ხეირობს შესანიშნავად. მართალია, აქ დიდ-ძალის აბრეშუმის მოწევა შეიძლება, მაგრამ, სავალალოდ, გურია დღემდე სხვის მუშად ითვლება. იმის მაგივრად, რომ თვითონა ნახოს რამე ხეირი, მისის ნაოფლარითა სხვა, მუქთახორა, უშრომლადა სარგებლობს. რაკი გურიაში ნაქსოვი აბრეშუმეულობა ადგილობრივს ბაზარს არა სცილდებოდა და არც აქაურების-მიერ ტლანქად ამოღებულს ძაფსა ჰქონდა გასავალი, ჩარჩებმა გურულებისაგან მარტო აბრეშუმის ჭიის პარკის ყიდვა დაიწყეს. ფუთს პარკში 4—5 მანეთს აძლევდნენ ეს ჩარჩები და მერე იმავე ფუთს პარკს ხუთ თუმნადა ჰყიდდნენ, ესე იგი, მწარმოებელი სჯერდებოდა იმის მეათედს, რასაც ჩარჩი მზამზარეულს საქონელში იღებდა. მოდი და ნუ დასჯერდები, როცა თავზევით ძალა არა გაქვს! გურული სწყევლიდა ჩარჩს, „ულვთო“-ს, „იუდის კერძს“ ეძახდა, მაგრამ ბოლოს მაინც იმავე „ულვთოს“ უნდა დაღრეჯოდა: „შენი ჭირიმე, წაიღე, გამისაღეო“. მერე, ადგილობრივნი მკეიდრნი მაინც ყოფილიყვნენ ეს ჩარჩები, მაშინ ვინ ინაღვლიდა! მაგრამ საქმეც ის გახლავსთ, რომ ესენი ან ურიები იყვნენ, ან სომეხნი და ან კიდევ ბერძენნი, რომელთაც სხვაგან, გურიას გარედ, გაჰქონდათ სიმდიდრე.

ძალზე გამწვავდა საქმე. შეგნებულმა ნაწილმა ადგილობრივის საზოგადოებისამ გადასწყვიტა მიჰშველებოდა მწარმოებელს, ეხსნა ჩარჩის ხელიდან, შუამავლად გაჰხდომოდა მწარ-

მოებელსა და მომხმარებელს და ამით მათი ცხოვრებაც გაეუმჯობესებინა და წარმოებაც გაეძლიერებინა.

უნდა დაეარსებინათ ამხანაგობა. ამ ამხანაგობას აზრად უნდა ჰქონოდა: გაევრცელებინა გურიაში მეაბრეშუმეობა; საქმე ისე დაეყენებინა, რომ გურიიდან შეუმუშავებელი მასალა კი არ გაეზიდნათ, არამედ შემუშავებული, და ფული, შრომის ფასი ერთი ოცად დატრიალებულიყო გურიაშივე. რა თქმა უნდა, არც თავისი თავი უნდა დაჰვიწყებოდა ამ მომავალს ამხანაგობას. დროც ხელს უწყობდა: ჩვენის ქვეყნის სხვა კუთხეებში მარტოოდენ „ამხანაგობის“ დაარსების შესახებ ლაპარაკობდნენ, ხალხი თანაგრძნობით ეკიდებოდა ამხანაგობის დაარსების აზრს.

ბოლოს, 1896 წელს, დაარსდა ეგრედ-წოდებული „შუამავალი“, ანუ გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელშიაც ყველას შეუძლია ჩაეწეროს, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, თუ კი საწევრო ფულს ერთს თუმანს წარმოადგენს. საუკეთესო ნაწილი ოზურგეთისა და კერძოდ გურიის მკვიდრთა დიდის აღტაცებით მიეგებნენ ამ ახალს ამხანაგობას, რომელსაც შეეძლო შეეცვალა მათი მდგომარეობა, შველა, დახმარება მიეცა.

პირველში „შუამავალს“ 500 მანეთი-ღა შეუგროვდა საწევრო ფული. რა თქმა უნდა, ამ თანხით შორ მანძილის გავლა არ შეიძლებოდა. რადგან საქმის დაწყება ეჩქარებოდათ, ხოლო ფული არა ჰქონდათ, 8,000 მანეთი ისესხეს. მოქმედების რაიონად პირველად აირჩიეს დ. ლანჩხუთი. აქ იყრიდნენ თავს აბრეშუმის პარკის მყიდველები. რა თქმა უნდა, ამათ არ ეჭაშნიკათ მეტოქის ნახვა და ისიც შინაურისა.

პირველ წელიწადსვე „შუამავალმა“ აბრეშუმის პარკის ფასი ერთი-ორად ასწია: 4—5 მანეთის მაგივრად ერთ ფუთ პარკში 10 მანეთს აძლევდა. უცხოელები იძულებული გახდნენ ამ ფასად ეყიდნათ პარკი. ამ მეტოქობით სარგებლობდა გლეხი, მწარმოებელი. გლეხმაც მოიგო იმ წელიწადს და „შუამავალსაც“ 1,300 მანეთი წმინდა მოგება დარჩა. ლანჩხუთშივე

გახსნა „შუამავალმა“ სახელოსნო, აბრეშუმის ძაფის ამოსართავად, გამოიწერა მანქანები ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისაგან და სოფლის ქალებს მშვენიერის, წმინდა ძაფის ამოღება შეასწავლა.

ამავე დროს „შუამავალმა“ გახსნა განყოფილებები საჯევახოსა და სოფ. დუაბზუში (ოზურგეთის ახლო). შეიძინა მიწა, ზოგიც უსასყიდლოდ შესწირეს მემამულეებმა (მამულაიშვილებმა დუაბზუში). მეორე წლისათვის „შუამავალმა“ 4,000 მანეთის საღი თესლი ნისიად დაურიგა ხელმოკლე სოფლელთ. ამით დიდი თანაგრძნობა და პატივისცემა დაიმსახურა ნორჩმა ამხანაგობამ საზოგადოებისა და წევრთა რიცხვი თან-და-თან ემატებოდა.

თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც მოწინააღმდეგეთ ეძინათ, განსაკუთრებით ვაჭრებს. ესენი ჰფიქრობდნენ და დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ „შუამავალის“ გაძლიერება, კერძო, სათითაო ვაჭრებს, თუ ბოლოს არ მოუღებს, არც ხეირს დააყრისო; თუ გაძლიერდა ეს ამხანაგობა, ხელში ჩაიგდებს მთელს აღებ-მიცემობას და ჩვენ დუქანს აგვალაგებინებსო. აი, სწორედ ამ მოსალოდნელმა კონცენტრაციამ ვაჭრობისამ ერთის ხელში დაუფრთხო ძილი ვაჭრებს და გადასწყვიტეს ხელი შეეშალათ „შუამავალის“ მოქმედებისათვის, ფრთის გაშლის ნება არ მიეცათ. ამ გაზაფხულზედ ოზურგეთში ისეთს ვაჭრებს დაუწყიათ თურმე აბრეშუმის ჭიის პარკის ყიდვა, რომელთაც თავის დღეში არ უყიდნიათ პარკი, და აბაშასა და ლანჩხუთში ჩამოსულ ჩარჩებისათვის მიუწოდებიათ. მიუხედავად ამისა, „შუამავალი“ უფრო გაორკეცებულის მხნეობით მოქმედობდა. წლეულ 16,000 მანეთის პარკი უყიდნია, გაუხმია თავისს ფარდულებში და ასე მომზადებული პარკი ფუთი 43 მანეთად გაუყიდნია. ყოველსავე ხარჯს გარდა „შუამავალის“ წევრებს, 4,000 მანეთი წმინდა მოგება დარჩენიათ.

როგორც ვსთქვით, ნდობა დიდი დაიმსახურა „შუამავალმა“. დიაღაც ექმნება ნდობა ისეთს დაწესებულებას, რომელიც წონაში არავის ატყუებს, ფულს ნაღდად აძლევს და, ამასთან,

სხვაზე მეტს თუ არა, ყოველსავე შემთხვევაში, ნაკლებს მაინც არ აძლევს საქონლის პატრონს.

„შუამავალმა“, გარდა აბრეშუმისა, მიმდინარე წელს ბაზარი გაუჩინა გურიის სოფლების ხილსაც. გურიაში ხილი აუარებელი მოდის და, ამასთან, კარგის ღირსებისაც, მაგრამ პატრონი კი ხეირს ვერასა ჰხედავს: ან შენახვა არ იცის, ან ვერ გაუგზავნია სადმე სხვაგან და რიგიან ფასებში ვერ გაუსაღებია. თუ გაიტანა, ოზურგეთს ვერ გასცდება. დღეს კი ალებმიცემის საგანი გახდა: თაფლი, თაფლის სამთელი, თხილი, ვაშლი და სხვ. ყველაფერში ერთი-ორად ასწია ფასები „შუამავალმა“. თხილი წინა-წლებში ექვს აბაზს ზევით არ გაყიდულა ფუთი, წლეულ კი „შუამავალი“ ცამეტ აბაზადაც ჰყიდულობდა ფუთს. თაფლის სამთელის ფასი 16—18 მანეთი იყო ფუთზე. წლეულ 22 მანეთს იღებდნენ სოფლელნი იმავ საქონელში. ბაზარი გაუჩინა აგრეთვე ვაშლს, მსხალს, ბროწეულს. მარტო თხილი 2,200 მანეთისა იყიდა „შუამავალმა“, ვაშლი, მსხალი და ბროწეული—2,400 მანეთისა, სამთელი—1,200 მ., თაფლი—1,600 მანეთისა. ყოველივე ეს მიდის რუსეთის ქალაქებში და კარგი მოგებაცა რჩება ამხანაგობას.

ამავე დროს მოქმედობს ქ. ოზურგეთში „შემნახველი-გამსესხებელი“ ამხანაგობა, ოზურგეთის მკვიდრთაგანვე შემდგარი. 20 წელიწადი მეტია, რაც ეს ამხანაგობა ოზურგეთში არსებობს. ოპერაცია მისი, ცოტა არ იყოს, შეფერხებული იყო აქამდის, რადგან საქმის მმართველებმა ცოტა ახირებულად შეხედეს ამ საქმეს. მთელი ამხანაგობა რამდენსამე კაცს ჩაუვარდა ხელში, ისინი იყვნენ სარევიზიო კომისიის წევრებიცა და გამგეობისაცა. ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ უფროსერთმა მკვიდრთაგანმა არც კი იცოდა, თუ არსებობდა ოზურგეთში მაგის გვარი-რამ საკრედიტო დაწესებულება. ამ ზაფხულში ინტელიგენცია ჩაერია საქმეში, ახალი წევრები აარჩია როგორც გამგეობისა, ისე სარევიზიო კომისიისა, ასე რომ, იმედია, ეს დაწესებულება ჯეროვანს სამსახურს გაუწევს ოზურგეთის ხელმოკლე მკვიდრთა.

ახლა შევიხედოთ აქაურს საქალაქო წიგნთ-საცავში, რომელიც ქალაქის თვითმართველობის მეთაურობით დაარსდა ამ ზაფხულს. ოზურგეთმა ამ მხრივ, ტფილისის და ქუთაისის შემდეგ, ყველა ჩვენს დაბა-ქალაქებს გაუსწრო, თვით ბათომსა და ფოთსაც კი, რომელთაც ოზურგეთი ქონებრივად ვერც კი შეედრება. წიგნთ-საცავს ერთი კარგი მოზრდილი ოთახი აქვს დათმობილი ადგილობრივს კლუბში. რუსულს განყოფილებას ამშვენებს ნაწერები რუსეთის საუკეთესო მწერალთა: ნეკრასოვისა, გოგოლისა, ლერმონტოვისა, შჩედრინისა, ტურგენევისა, ლ. ტოლსტოისა და სხ. რამდენიმე სამეცნიერო წიგნებიც ურევია რუსულს ენაზედვე. ქართულს განყოფილებაში შეხვდებით, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენის საუკეთესო მწერლების ნაწერებს და სხვა გამოცემათა: ყველა წიგნები დაკაზმულია სადად და მაგრად და მოთავსებულია ორს განჯინაში. მათი რიცხვი 600-ს გასცდება. წიგნთ-საცავი ახალ-ახალ წიგნებსაც იძენს შეძლებისა და კვალად და აზრად აქვს ისეთ ნაირად მოეწყოს, რომ შიგ ინტელიგენტს კაცს ყოველ გვარის წიგნის მოპოება შეეძლოს. კავკასიის დრო-გამოშვებითი გამოცემანი ყველა მოსდის წიგნთ-საცავს. რუსეთიდან რამდენიმე საუკეთესო თვიური ჟურნალი და გაზეთიც აქვს გამოწერილი.

ყველას შეუძლია წიგნთ-საცავში შესვლა და უსასყიდლოდ ჟურნალ-გაზეთ-წიგნების კითხვა. ხოლო ვინც შინ წაიღებს, მცირედს ფასს იხდის. მკითხველები წიგნთ-საცავს არ აკლია, მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს. უეჭველია, თავის დროზე ეს ნორჩი დაწესებულება დიდს სამსახურს გაუწევს აქაურებს, განსაკუთრებით აქაურის ვაჭრების ნოქრებს, რომელთაც აქამდე არ იცოდნენ, თავისუფალი დრო რისთვის მოეხმარებინათ. წიგნთ-საცავს გავლენა ექნება აგრეთვე ყომარბაზობისა, სამიკიტნოებში ფუჭად დროების ტარების და ათასგვარ უწესოების შემცირებაზე.

წიგნთ-საცავს უვლიან აქაური ქალები. შვიდს ქალს აქვსთ ნაკისრი კვირაში ერთხელ მორიგად იყვნენ ხოლმე. საუცხოვო წესიერებაა წიგნების კითხვის დროს წიგნთ-საცავში.

წიგნთ-საცავი ქველმოქმედთა ფულით არის დაარსებული, ხანაც წარმოდგენები და სალიტერატურო საღამოები გაუმართავსთ მისს სასარგებლოდ. დღესაც მისდის წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა კუთხიდან შემოწირულება თუ ფულით, თუ წიგნებით.

ამავე წიგნთ-საცავში ყოველკვირობით შეკრებილს საზოგადოებას უკითხავენ ხოლმე სხვა-და-სხვა ლიტერატურულს ნაწარმოებს, და ეს საქმე ჩაბარებული აქვსთ აქაურს ქალებს. სხვა ქალაქებში მკვიდრთათვის ასეთი საქმე უცხოა. სწორედ სანუგეშო საყურებელი გახლავსთ, როცა კვირაობით წირვიდან გამოსული ხალხი, ათასფრად მორთულ-მოკაზმული, ქალი თუ კაცი, სამკითხველოსაკენ მიეშურება, წიგნი უნდა წაიკითხონო.

საინტერესოა აქვე ჩავურთოთ სია კავკასიის იმ ჟურნალ-გაზეთებისა, რომლებიც ოზურგეთის მკვიდრთ მისდისთ: „ივერია“,—28, „მეურნე“—28, „ცნობის-ფურცელი“—26, „კვალი“—22, „მოამბე“—8, „ჯეჯილი“—8, „მწყემსი“—7, აკაკის „კრებული“—14, „ახალი მიმოხილვა“—18, „კავკაზი“—8, და „ტფილისის ფურცელი“—1.

ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათ ოზურგეთის ინტელიგენციამ მხარში ამოუყენა ახალი ამხანაგობაც,—მე მოგახსენებთ ცენტრალურ წიგნის მაღაზიის დაარსების შესახებ, რომელიც იმავე სამხანაგო წესით იხსნება, როგორითაც გაიხსნა აქ არა-ერთი და ორი დაწესებულება. ყოველი წევრი იხდის თითო თუმანს. ამხანაგობის ინტერესი მოითხოვს—მისს წევრებად მომეტებულად მასწავლებელნი იყვნენ. აზრადა აქვს: მთელის გურიის სკოლებს, წიგნთ-საცავებს, სასოფლო კანცელარიებს მიაწოდოს ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები, საკანცელიარიო ნივთები და სხვ. ერთის მხრით უნდა გაადვილოს დასახელებულ ნივთების შეძენა, და მეორედ—შედარებით, იაფად მიაწოდოს მუშტარს. აქამდე ამ მხრივ გურია დიდს გაჭირვებაში იყო: რვეული, რომელიც ტფილისში 2 კაპეიკად იყიდება, ოზურგეთში ან სხვაგან მედუქნემ შეგირდს უეჭველად შაურად ან მეტად უნდა მიჰყიდოს. ამნაირადვე იყო-

დება წიგნებიცა. გარდა ამისა, უბრალო წიგნის შეძენა რომ უნდოდეს კაცს, უნდა უეჭველად ტფილისიდან გამოიწეროს. ფოსტის ხარჯს თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავსთ, რომ სანამ რომელსამე მიყრუებულ სოფლამდე გამოწერილი წიგნი მოაღწევდეს, ერთი თვე მეტი მაინც გაივლის. ხსენებულს ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს პირდაპირ ტფილისთან და რუსეთის მექარხნეებთან დაიჭიროს საქმე და იქიდან დაიბაროს ყოველივე მასალა უშუამავლოდ, რომ თვითონაც იაფად დაუჯდეს და მუშტარსაც მცირედი გასამრჯელო გამოართვას. ერთიც იქნება მოგებული და მეორეცა. მოგების გარდა მუშტარი მადლობელიც დარჩება.

საზოგადოდ, მთელს ქალაქსა და კერძოდ ამ „ამხანაგობაბათა“ და დაწესებულებათ დარაჯად უდგა ქალაქის თვითმართველობა, შემოღებული 1896 წელს. ქალაქის თავად მოწვეული ჰყავსთ ახალგაზდა უნივერსტანტი, ოზურგეთის მაზრისავე მკვიდრი. რაც აქამდე დააკლდა ქალაქს უპატრონობითა და მოუვლელობით, ახლა სცდილობს თვითმართველობა შეივსოს. მართალია, მთელი წლიური ბიუჯეტი ქალაქისა სამას-ოთხასს თუმანს არ აღემატება, მაგრამ ამით გულს არ იტეხს თვითმართველობა, გაორკეცებულის მხნეობით ეკიდება ყოველსავე დაბრკოლებასა. ბევრი კითხვები აღძრა თვითმართველობამ, რომელთაც სამთელმაზრო მნიშვნელობაცა აქვსთ. თვითმართველობამ შეაფასებინა ქალაქის უძრავი ქონება შემოსავლის კვალობაზედ, თვითმართველობა სცდილობს ოზურგეთში სავაჟო პროგიმნაზია დააარსოს, თვითმართველობამ გაუხსნა მკვიდრთ საჯარო წიგნთ-საცავი, თვითმართველობავე სცდილობს სამუდამო თეატრი შეაძენინოს ოზურგეთსა, ბოლოს, თვითმმართველობავე ჰთავობს ოზურგეთში საექიმო თავშესაფარის დაარსებას და ექიმის მოწვევასა და მ. სხ.

სანუგეშო ის არის, რომ იმ დროს, როცა ჩვენის სამშობლოს სხვა ქალაქებსა, იმათაც კი, სადაც თვითმართველობა არის შემოღებული, სალათას ძილითა სძინავთ, ოზურგეთი, ეს პატარა და ღარიბი ქალაქი, წელებზე ფეხს იდგამს, აწუხებს

ცასა და ქვეყანას: ეს გვინდა, ეს გვესაჭიროება, ეს დაგვიარსეთო!...აქაც ყველაზე მეტად აშკარადა სჩანს გურულის ცოცხალი ბუნება: ათასნაირ გზას ეძებს — გასაჭირს მოუაროს, ოღონდ კი ფონს გავიდეს სადმე. გულს იმედი გესახებათ, როცა იმათ უყურებთ, ამბობთ....

დასასრულ, შევიხედოთ აქაურს ოჯახშიაც. ყველაფერს, ცხადი ნიშანი ეტყობა გაევროპიელებისა, ან სურვილი მაინც ამისი. მთელს ოზურგეთში ოთხი მანდილოსანი დავინახე ქართულად თავდახურული: ორი მათგანი, ხანში შესულები, გურიელების ოჯახს ეკუთვნოდა და ორიც მღვდლებისა იყო. შიდჭრელი ლაპარაკი აქაც იკიდებს ფეხსა, განსაკუთრებით ეგრედწოდებულის ინტელიგენტურს ოჯახებში. გურული კილოც სიმღერისა თანდათან ადგილს უთმობს ევროპულს მოტივებსა. ყოველს ოჯახში ნახავთ გიტარასა, ამასთან, ყველა გასათხოვარს სირცხვილად მიაჩნია, ზედ დაკვრა არ იცოდეს. ჩვენი ხმა-ტკბილი ჩონგური ყველას დაუვიწყნია, აბუჩად აუგდია. მთელი ოზურგეთი რომ შემოიაროთ, გაგიჭირდებათ მისი ნახვა. ჩონგურზე დაკვრა თუ იციან, ისევ ძველებმა. ვერც დაირასა ნახავთ სადმე. ერთი საიდუმლო ენაც იციან ზოგიერთს ოჯახში. ამ ენაზე ისე მარდად და ადვილად ლაპარაკობენ, როგორც ქართულად. სეკრეტი ამ ენისა ის არის, რომ მთელს სიტყვას უკუღმა ამბობენ.

ახლა გადავიდეთ აქაურს სოფლებში.

**თ. სახოკია**

# ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით

## VI*)

### გენიოსობა, თანაგრძნობისა და ურთიერთშორის დაახლოვების ძალა.

ჩვენის აზრით, მხატვრობრივი და პოეტური გენიოსობა თანაგრძნობისა და ურთიერთშორის დაახლოვების ინტენსიური ფორმაა, მხოლოდ გარდამეტებული, რომლის დაკმაყოფილებაც ახალის ქვეყნიერობის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ცოცხალ არსებათა ქვეყნიერობის შექმნით შეიძლება. გენიოსი იგივ ძალაა სიყვარულისა, რომელიც ყოველ ჭეშმარიტ სიყვარულისებრ ცხოვრების შექმნასა და ნაყოფიერებას ენერგიულად ესწრაფვის. გენიოსს ყოველივე გატაცებით უნდა უყვარდეს, თუ ჰსურს ყოველივეს თავისი აზრი გაუგოს. თვით მეცნიერებაშიაც კი, თუ რომ ჭეშმარიტებასა ჰპოვებენ ხოლმე იმისთვის, რომ „მუდამ ამ ჭეშმარიტების შესახებ ჰფიქრობენ“, ჰფიქრობენ იმიტომ, რომ იგი უყვართ. დარვინი ამბობს: „რამდენადაც მე მგონია, ჩემი გამარჯვება, როგორც მეცნიერისა, სხვა-და-სხვა გვართულ სულიერ თვისებათა და პირობებზედ იყო დამოკიდებული. ამათ შორის უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია აი რა: მეცნიერებისადმი სიყვარული, განუსაზღვრელი მოთმინება რომელისამე საგნის შესახებ ფიქრის დროს, გამჭრიახობა გონებისა, როდესაც სხვა-და-სხვა ფიქრებს თავი უნდა მოვუყაროთ და შევკრათ, ან დაკვირვებით გავიცნოთ, ნიჭი გამოგონებისა და

*) იხ. „მოამბე“ № IX. 1897 წ.

სადის გონებისა“. ამ თვისებათ ერთი კიდევ სხვა უნდა მიემატოს, რომელსაც თითონ დარვინი არ ასახელებს, მაგრამ მისნი ცხოვრების აღმწერნი აღნიშნავენ: ეს არის ნიჭი გატაცებით აღტაცებისა, რომელიც აყვარებდა ყოველივეს, რასაც კი იგი აკვირდებოდა: მცენარეს, მწერს; უსაზღვროდ აყვარებდა მისს პაწია ფეხებს, ფრ იებს და ამ რიგად სულ პაწაწკინტელა ქმნილება და მისი დაწვრილებითი აგებულობა თავისის განცვიფრებით სულ მაღალ ხარისხამდე აჰყავდა, იმ ხარისხამდე, სადაც თავისს გონებისათვის საზრდოსაც ჰპოულობდა. „მეცნიერებისადმი სიყვარული“, რომელსაც დარვინი ასახელებს, თვით მეცნიერების საგანთა სიყვარულია, სიყვარული ცოცხალ არსებათა, მთელის ქვეყნიერობის სიყვარული და თანაგრძნობა, სხვა არაფერი.

ხშირად ხმარობენ ხოლმე ლაპარაკში: „აბა ჩემს ადგილას თქვენი თავი წარმოიდგინეთო“ ანუ „შედი იმისს მდგომარეობაშიო“; და მართ.ლაც არავისთვის გასაჭირი არ არის, ოცნებით თავისი თავი სხვისა ვისიმე მდგობარეობაში წარმოიდგინოს. მაგრამ მხატვრობრივ ანუ პოეტურ გენიოსთა განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს ის, რომ მათ სულ ადვილად შეუძლიანთ გაუდგნენ არა მარტო იმ გარეგან პირბათ, რომელნიც გარს გვახვევიან, არამედ შინაგანი პირობანიც უარ-ჰყონ, მაგ. დაბადებიდანა და ზნეობრივ გავლენისაგან შეთვისებულნი, თვით სქესებრივი პირობანი და უკვე შეძენილი ღირსებანი და ნაკლიც კი. ეს არის ნიჭიერება თვისის საკუთარ პირადობის აღზრდისა (depersonnaliser), ე. ი. გამოცნობა და გაგება სიცოცხლისა და ნების იმ პირველ ნაპერწკლისა, რომელიც სხვა მრავალ მცირედ მნიშვნელოვან მოვლენებით იყო და არის დაფარული. როდესაც თავისის თავის ამ გვარად გაუბრალოვება უკვე შესრულებულია, მხატვარს ეს თავისი სიცოცხლე გადააქვს არა მარტო სხვის მოძრაობის ჩარჩოში, ანუ მის ორგანიზმის რომელსამე ნაწილში, არამედ პირდაპირ მისს გულში შეაქვს იგი. აქედან წარმოსდგება ის მოთხოვნილება, რომ მხატვარი ანუ პოეტი მათ მიერ დახატულ ადამიანების სიცო-

ცხლით **სცხოვრობდნენ**; ამასთან სცხოვრობდნენ არა მარტო გარეგნობით, არამედ იქამდის ღრმად, რომ მათი პირადობა და აღნიშნულ ადამიანებისა ნამდვილად ერთურთთან შერეულად მოსჩანდეს. მეორე მხრივ, შეუძლებელია ადამიანმა ვისიმე **ცხოვრება** დაჰხატოს, თუ თავისს საკუთარ სალაროდან არას ისარგებლებს; მძლავრის ოცნების პატრონს მხატვარს, მაშასადამე, სიცოცხლის ძალაც მდიდარი უნდა ჰქონდეს, რომ ყველა თავისს მიერ შექმნილს ტიპს რიგ-რიგად სული ჩაუდგას და არც ერთი მათგანი მის საკუთარ არსების უბრალო სურათს ანუ პირს არ წარმოადგენდეს. თვითეულის შემოქმედის აზრი ის არის, რომ თავისს პირად ცხოვრების საშუალებით სხვა, **თავისებური** ცხოვრება შეჰქმნას.

დაკვირვება და ცდაზედ დამყარებული მეცნიერება მთლიანად სინამდვილის ანალიზია (გარჩევა-გაჩხრეკა), რომელიც სხვა-და-სხვა მოვლენათა და ფაქტების თანდათანობას თვალს ადევნებს, რომ ამათგან შემდეგ განყენებული კანონები დაადგინოს. ამ რიგად მეცნიერება წვრიმალ ფაქტებს ნელ-ნელა თავს უყრის და უსასყიდლო ჩუმ მშრომელთა ნაღვაწით ამდიდრებს; იგი თავისს სიმდიდრეს დროისა, სამეცნიერო ასპარეზზედ მოღვაწეთა რიცხვისა და მათის მოთმინების წყალობით ნელ-ნელა ჰზრდის. მეცნიერება ამ შემთხვევაში იმ პაწია ქალს მაგონებს, რომელსაც ერთხელ წვიმიან დღეში თავისს სათითეს ჩალით დახურულ ჩარდახიდან ჩამონადენ წვიმის ცვარებით უპირებდა გავსებას; წვიმის ცვარები ქარს შორს, შორს მიჰქონდა და ათამაშებდა, პატარა ქალი კი მოთმინებით აშვერდა სათითეს ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს, მაგრამ სათითე მაინც არ ივსებოდა. ხელოვნებას ეს მოთმინება სრულიად არა აქვს: იგი უცბად ჰქმნის, ნამდვილს წინ უსწრობს; იგი **სინტეზია** (ნიჭიერება, რომელიც სხვა-და-სხვა საგნებს გონებით შეაერთებს ხოლმე), რომლის საშუალებითაც, რაკი ერთხელ არსებობს, ან მოსაზრულია ნამდვილის კანონები, — ცდილობენ ხოლმე რომელიმე სინამდვილე, ანუ ქვეყნიერობის ნაწილი გადააკეთონ გონებისათვის. ხელოვნების აზრი ის არის, რომ სინტე-

ზი შეჰქმნას; ამ რიგად როდესაც მეცნიერებაში ესეთი შემქმნელი გენიოსი იჩენს თავს, იგიც ხელოვნებას უერთდება; დამატებით მეხანიკის გამოგონებანი, ქიმიური სინტეზი, ეს ყველა ხელოვნებაა. თუ რომ ოდესმე სწავლულს შეუძლიან ამ ხილულს, გარეგანს ქვეყანაში **ნივთიერი** რამ შეჰქმნას ახალი, მაშინ როდესაც ნამდვილი მხატვრობრივი გენიოსი მხოლოდ თავისს საკუთარ ან ჩვენის **აზრისათვის** ჰქმნის ხოლმე ასეთსავე ახალს რამეს, აქ მხოლოდ ზეზეური განსხვავებაა და სხვა არაფერი: სწავლულიც და მხატვარიც (ანუ ხელოვანი), ორივე იმას ცდილობენ, რომ ნამდვილი რამ შეჰქმნან, თუნდაც თვითონ ცხოვრება. მაგალითად, როდესაც სხვა-და-სხვა გვარ ხასიათს ჰხატავს ხელოვნება, იგი ნამდვილიდან ამოჰკრებს ხოლმე საჭირო ელემენტებს და შეაკავშირებს, ისრევე როგორც რომელისამე ნივთიერების სინტეზის დროს ქიმიკოსი იქცევა ხოლმე. ამ გვარის შეკავშირებითა და შეერთებით, რასაკვირველია, იგი ხშირად თითონ ბუნების ტიპებს აღადგენს ხოლმე; ხან-და-ხან კი თავისს საქმეს საკმაოდ ყურადღებით არ ეპყრობა და გონჯს, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარს ტიპებს შეჰქმნის ხოლმე, მაგრამ ეს არაფერია. სამაგიეროდ სხვა დროს იგი ისეთს ცოცხალს, არსებობისა და მოქმედებისათვის ენერგიით სავსე ტიპებს შეჰქმნის ხოლმე, რომლებიც თავის მხრივ სხვა ახალ ტიპების წარმომშობელად გარდიქმნებიან, თუმცა შესაძლებელია ასეთი ტიპები არასოდეს არც ყოფილიყვნენ და არც მომავალში დაიბადნენ. აი, სწორედ ის არის ჭეშმარიტი გენიოსი, ვინც ესეთს ცოცხალს ტიპს შეჰქმნის და ასეთს იმედს ჩაჰბერავს. ასეთს ტიპს ადამიანის ოცნება ჰქმნის და იგივ უფლება აქვთ მათ, როგორც რომელსამე, ბუნებაში არ არსებულს ნივთიერებას, რომელიც თანამედროვე ქიმიას ცალკ-ცალკედ არსებულ სხვა-და-სხვა ელემენტებისაგან შეუზავებია; ამ შემთხვევაში მეცნიერება მხოლოდ მათს შემადგენლობასა სცვლის.

შემოქმედ-გენიოსისათვის ეს ნამდვილი ცხოვრება, რომელშიაც იგი ჰმოქმედებს, მხოლოდ კერძო შემთხვევაა, ანუ **შესამლებელ ცხოვრების** ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც იგი ში-

ნაგანის მხედველობითა სცნობს. ამავე რიგად მათემატიკოსისათვისაც ეს ჩვენი ქვეყანა ხაზებისა და რიცხვთა ურთიერთშორის შეთანხმებით მეტად ღარიბია და არსებული ზომვა სივრცისა დაუსრულებელ შესაძლებელ ზომვის *) ერთ-ერთ კერძო შემთხვევად ეჩვენება. ქიმიკოსისათვისაც ასევეა: სხვა-და-სხვა ქიმიურ ნივთიერებათა ის რაოდენობანი, რომლითაც უბრალო, მარტივი ნივთნი ბუნებაში ერთმანეთს შეერთვიან, საგანთა ელემენტების ერთურთშორის შეთანხმების კერძო შემთხვევას წარმოადგენენ. ნამდვილის პოეტისათვისაც ის ხასიათი, რომელიც ცხოვრებაში შეუნიშნავს, ანუ ის ინდივიდიუმი, რომელსაც იგი დაჰკვირვებია, მთელს არას წარმოადგენენ. იგინი მხოლოდ საშუალებად გამოადგებიან, რომ ჯერ გაურკვეველს თანხმობას, რომლისადმიც ბუნება მიისწრაფვის, მიაგნოს, გამოიცნოს იგი. გენიოსის ყურადღებას ნამდვილზედ მეტად **შესაძლებელი** იზიდავს. ჩვენის ნამდვილ ქვეყნიერობის შეზღუდულს ჩარჩოებში იგი სწორედ იმ არსებას მაგონებს, რომელსაც წინად ოთხ გვარ ზომის მქონე სივრცეში გაუტარებია სიცოცხლე და მერე ამ ჩვენს ქვეყანაში გადმოვარდნილა, სადაც მხოლოდ სამ გვარი ზომაა ცნობილი. ამ რიგად, თუ გენიოსი მუდამ ჟამს იმასა ცდილობს, რომ ნამდვილ ცხოვრების საზღვრებს გასცილდეს, ჩვენ ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ გვრჩება სანანურად; ამ შემთხვევაში იდეალიზმი ბოროტება კი არა, ერთი უმთავრესი პირობათაგანია გენიოსისათვის; საჭიროა მხოლოდ, რომ, თუ გენიოსის მიერ დახატული იდეალი ჩვენს ყოველდღიურს ნამდვილს ცხოვრებას არ ეკუთვნის, **შესაძლებელს** მაინც არ ეწინააღმდეგებოდეს, სხვა არაფერი. ნამდვილი გენიოსი იმითი იცნობება, რომ იგი ნამდვილ ცხოვრების გარეშე ჰქმნის იდეალს და ამ იდეალს **შესაძლებელს** უთან-

---

*) აქ გიუიოს ეგრედ წოდებული ახალი გეომეტრია აქვს სახეში, რომელიც სამ გვარ ზომას (სიგრძისა, სიგანისა და სიმაღლე-სიღრმისას), ადამიანისათვის ადვილად საცდელს, არა სჯერდება, არამედ მათ და მათს თეორემებს ჰიპოტეტიურსა და შესაძლებელს ზომვასაც უერთებს. აქედან წარმოსდგა მე-4 ზომვის ახალი თეორემები, ანუ ფორმები n ხარისხის ზომვისა, რომლის აზრითაც ჩვენი ნამდვილი ზომვა მხოლოდ კერძო შემთხვევაა, სხვა არაფერი.

ხმებს. ყველა ამაში მას, რასაკვირველია, მძლავრი ლოღიკა ხელს უწყობს.

მერე, შესაძლებელსა და შეუძლებელს რა ჰყოფს განა ერთი მეორისაგან? ხელოვნებაში ამას სავსებით ვერავინ განსაზღვრავს. ის არავინ არ იცის, თუ ბუნების მოქმედებას რა ძალა აქვს, სად უძევს საზღვარი, არც ის, თუ ხელოვანის წარმოდგენას რაოდენ დიდი ძალა აქვს. იმას წინადვე ვერავინ მიჰხვდება, ბავშვი რამდენად ბევრს იცოცხლებს, ვერც იმას იტყვის, რამდენად ცოცხალს ტიპს, ე. ი. **მხატვრობრივს არსებას** შეჰქმნის პოეტისა ანუ რომანების მწერლის ტვინი; რამდენად დიდი ძალა ექმნება ამ ტიპს, რომ თავისად, დამოუკიდებლად იცოცხლოს. პოეზია ასე შეიძლება დასურათდეს: იგი უდიდესი, უაღრესი ფანტაზიაა, მაგრამ ისეთი კი არა, როგორსაც სალი გონება წარმოიდგენს ხოლმე, არა, რადგანაც სალი გონება მას წარყვნილად სცნობს ხოლმე, არამედ ფანტაზია, რომელსაც სიმართლე და საზოგადო მზგავსება (универсальная аналогія) სცნობენ.

## VII

### რა არის სიმპატია (თანაგრძნობა) კრიტიკაში.

ნამდვილ კრიტიკოსთა პირველს თვისებას სიმპატია და საზოგადოებრივი გრძნობა შეადგენს; შემდეგ თუ განვითარდებიან იგინი და ზედ შემოქმედების ნიჭიც წაემატებათ, ხომ გენიოსობას წარმოშობენ. მხატვრობრივის ნაწარმოების ზედმიწევნითა და ნათლად გასაგებად უთუოდ საჭიროა იქამდის ღრმად გაიმსჭვალოს ადამიანი მასში გატრებულ უმთავრეს იდეით, რომ თითქმის სულში ჩაუძვრეს, ანუ იგივე ერთობრივი სული ჩაუდგას. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს იგი ნამდვილს ინდივიდუალურს ხასიათს და ჩვენს გვერდით სხვა სულს დაჰბადებს. აი, ამას ჰქვიან მხატვრობრივ ნაწარმოების **შინაგანი სიცოცხლე**, რომლის შექმნაც ზეზეურად დამკვირვებელთათვის

შეუძლებელია. აი, როგორა ხდება ეს: მხატვრობრივი ნაწარმოები კრიტიკოსს მთლად შთაჰნთქავს ხოლმე, მთელს მისს ყურადღებას იქამდის ღრმად მიიქცევს, რომ დროებით მისი გონება სხვას აღარას ჰხედავს, ყველაფერს სდევნის. განცვიფრებაც სიყვარულივით იმას თხოულობს, რომ საყვარელ საგანთან ერთად განცალკევებულ იქმნას, tête-à-tête გადგნენ; იგი, როგორც სიყვარულიც, მთლიანად ჩვენს გულს ვერ დადაატყვევებს, თუ ზოგიერთს კერძო ნაკლსა და ხინჯს თვალს არ ავარიდებთ; თავის განწირვაც ხომ ერთგვარი კერძო პატიებაა. ხშირად რომელსამე მშვენიერს ქანდაკებას, სურათს, ან სცენას უფრო უკეთესად წარმოვიდგენთ ხოლმე, თუ თვალს დავხუჭავთ და მისს შინაგან სახეს დავაკვირდებით, მხოლოდ მას მივაქცევთ ჩვენს ყურადღებას; ამიტომაც უდიდეს ხელოვნურ ნაწარმოებთა დასაფასებლად ეს უკანასკნელი საშუალება უკეთესია. განცვიფრება და აღტაცება სხვა უბრალო, წმინდა გრძნობებივით უმოძრავონი და უმოქმედონი როდი არიან. მხატვრობრივი ნაწარმოები იმდენად მეტად აღგვიტაცებს და განგვაცვიფრებს, რამდენადაც იგი ძლიერად აღადგენს ჩვენს სულში პირად იდეებსა და სულის მოძრაობას გაგვიღვიძებს, ესე იგი რამდენადაც მეტს **შთაგონებას** (Suggestive) იქონიებს. უდიდეს ნაწარმოებად ის ჩაითვლება, რომელიც გადმონაცემს უმთავრესს წარმოდგენას მრავალს სხვა დამატებითს წარმოდგენასაც ჩააქსოვს ანუ ძირითადს კილოს მრავალის სხვა ჰარმონიულის ჰანგით შეამკობს. მაგრამ ყველას სული კი ვერ შესძლებს, რომ მხატვრობრივ ნაწარმოების სიმშვენივრეს სავსებით დაეწაფოს, ყოველივე ის სულის მოძრაობა გამოსცადოს, რომელსაც იგი იძლევა; აი, აქედან შეიძლება განვმარტოთ, თუ კრიტიკოსის მოვალეობას რა შეადგენს: კრიტიკოსის მოვალეობაა აღნიშნულს ნაწარმოებში ჩაქსოვილი ჰანგები გააძლიეროს, დამატებითი ელფერი გამოარკვიოს, მეტი ნათელი მოჰფინოს, რომ მათი დანახვა ყველას შეეძლოს. იდეალური კრიტიკოსი იგია, ვისაც მხატვრობრივი ნაწარმოები მეტს იდეებსა და სულის მოძრაობას აღუძრავს და ვინც შემ-

დეგ ამ იდეებსა და სულის მოძრაობას სხვას გადასცემს. იგი ხელოვნურს ნაწარმოებში ძლიერი მომქმედი პირია და სხვაზედ ნათლად ჰხედავს, თუ რაოდენ მდიდარი შინაარსი აქვს ამ ნაწარმოებს. სხვაფრივ რომ ვსთქვათ, კრიტიკოსობა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მხატვრობრივს, ანუ ხელოვნურს ნაწარმოებში ჩაქსოვილ მშვენიერობის წინაშე სხვაზედ მეტად განცვიფრდება და სხვებზედ უკეთესად შესძლებს ამ განცვიფრების გადაცემას *).

რომელისამე კარგ ნაწარმოების გაცნობაში სამი ხანა შეიძლება აღინიშნოს: ერთი ის, როდესაც წიგნს ჯერ არავინ არ იცნობს, ე. ი. ჯერ კითხულობენ, სთარგმნიან, ან-და საზოგადოდ მისს გაცნობას შესდგომიან: ეს არის ხანა ენტუზიაზმისა; მეორე ხანად ის დრო უნდა ჩაითვალოს, როდესაც წიგნი წაიკითხეს და თითქმის გადაიკითხეს: ეს არის ხანა დაღლილობისა; მესამე—როდესაც სავსებით გაიცნეს და მათი გული ყოველსავე მუნ მოთხრობილს ჰგრძნობდა და თანაგრძნობას უწილადებდა: ეს არის ხანა მეგობრობისა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წიგნის შესახებ მართალი მსჯელობა იქონიოს ადამიანმა. ვიქტორ ჰიუგო ამბობს: ყოველივე საგნის მიმართ დაახლოვება და **გულის შეგარდნა** იმავე დროს რწმენაა და ნდობაო, მაგრამ ისეთი რწმენა, რომელსაც სახეში ცოცხალი არსება ჰყავსო; ამასთანავე იგი სხვაზედ ადვილად ვითარდება ჩვენს არსებაშიო. პირიქით თვითეული რწმენაც იგივე გულშევარდნაა, რადგანაც **მანდობა** სიყვარულსა ნიშნავსო.

თვითეულს ესტეტიურს ემოციაში არსებობს ეგრედ წოდებული **სიმპატია** და **ანტიპატია** (მიუზიდველობა, სიძულვილი). ანტიპატია იმ უკმაყოფილობისა და უგემურობის გრძნობას ეწოდება, რომელიც ზოგიერთ ხელოვნურ ნაწარმოების

---

*) არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ რასაც აქ გიუიო ამბობს, ეს მხოლოდ ერთი ღირსებათაგანია საუკეთესო კრიტიკისა; ამათ გარდა ბევრი სხვაც არის, მაგ. ის, რომ კრიტიკოსმა ხელოვნურ ნაწარმოების ნაკლიც დაასახელოს და დაამტკიცოს, რომ იგი ნაწარმოებს ამცირებს და ამავე დროს ხალხის ტყუილი განცვიფრება განაბნიოს, მაგრამ ამის შესახებ გიუიოს თავისი საკუთარი აზრი აქვს, რასაც ქვეით ვნახავთ.

წაკითხვას მოჰყვება ხოლმე. ამის გამო ზოგიერთი ადამიანი ამა თუ იმ ნაწარმოების აზრს სრულიად ვერ მიუხვდება ხოლმე, თუნდაც იგი ხელოვნურად იყოს დაწერილი. ზოგიერთ წრეს გადასულ **კრიტიკოსთა** ტვინში ხან-და-ხან იმ გვარი მიუკარებლობა იჩენს ხოლმე თავს, რომ ჩვენ უნებურად მათს მსჯელობას უნდობლად ვეპყრობით, სწორედ იმავე რიგად, როგორც თითონ იგინი ეპყრობიან ხოლმე სხვებს. რად მოხდება ხოლმე, რომ ხშირად ბრბოს აზრი რომელისამე ხელოვნურ ნაწარმოების შესახებ უფრო მართალია, ვიდრე ხელობით კრიტიკოსთა განმარტება და აზრი? რად და იმად, რომ ბრბოს არა აქვს „პირადობა“, რომელიც ხელოვანს ეწინააღმდეგებოდეს. ბრბო თავისს შთაბეჭდილებას გულუბრყვილოდა და ბრმად ეძლევაო, იტყვიან ხოლმე, მაგრამ განა ეს დიდი უბედურებაა: აი, სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი, რომ მისს აღტაცებას ესდენ დიდი ფასი აქვს; უაფარული აზრი, დაფარული ნიადაგი უმკვეხ სულიერ მდგომარეობისა და გონებრივის თვითმოყვარეობისათვის (ე. ი. მძლავრი გონებრივი „მე“) ბრბოს არა აქვს; არა აქვს ის წინადვე შედგენილი მსჯელობითი რწმენანი, რომლებიც სხვებზედ მეტად საშიშნი არიან. პროფესიონალურმა კრიტიკოსმა რომ თავისს არსებობის უფლება დაამტკიცოს, ამისათვის უპირველეს ყოვლისა ჯერ იმას ცდილობს, რომ **თავისი** შეხედულება და საზოგადოდ თავისი თავი ავტორის წინააღმდეგად დაჰსახოს, ე. ი. **კრიტიკა უყოს**, ჯერ ავტორის ნაკლი და შეცდომანი დაინახოს. ეს კი, ყოველს შემთხვევაში, სანდობი არაფრით არის და იმგვარს დაღმართს ემზგავსება, რომელზედაც ადამიანი ფეხს ძნელად იკიდებს. ერთი ისტორიაში ცნობილი ადამიანი თავისს მახლობელს კაცს მუდამ ამას ეუბნებოდა: „თუ ხათრი გაქვს, ზოგიერთჯერ მაინც წინააღმდეგი იყავ, რომ ორად მოვჩანდეთო.“ კრიტიკოსს არასოდეს არა ჰსურს, რომ სხვაზედ დაბალი გამოჩნდეს და რაც შეიძლება იმასა ცდილობს, პირნათლად, ბრწყინვალე ადამიანად სცნობდნენ; ამის გამო ხშირად გული ავტორებისა და ხელოვანთა კიცხვა-ლანძღვისათვის ერჯება და ამ რიგად მათ შო-

რის რაღაც გაუგებარი მტრობა მყარდება. სხვის დამცირებით იგინი იმავ დროს თავისს თავს იმაღლებენ; დაბლა უფრო საზიზღარი ძალადობის ხმა გაისმის; მასწავლებლის ჯოხქვეშ რომ მოსწავლის ტანჯვა თავს იჩენს ხოლმე, მასწავლებელი იმ დროს მედიდურად თავს მაღლა იწევს. ამგვარი კრიტიკა პირადის თვითმოყვარეობის გაზვიადებაა, რომელიც იმასა ცდილობს, რომ პირადობას პირადობა გაუბატონოს. „სასიამოვნო არ არის გაჩა, რომ ადამიანი ყველას ჰკრიტიკოსობდეს და ნაკლსა ჰხედავდეს იქ, სადაც სხვისი ოცნება მშვენიერობასა ჰხედავსო“,— ამბობს კანდიდა? აი, ვოლტერი ამის შესახებ რა პასუხს აძლევს: „რასაკვირველია, დიდი სიამოვნებაა ადამიანს სასიამოვნო არა მოეძებნებოდეს-რაო.“ ჩვენ, თანამედროვე კრიტიკოსთ, კარგად ვიცით, თუ რა არის ის წვრიმალი სიამოვნება, რომ ღაღადვყოთ: ამა და ამ ნაწარმოებმა ჩემზედ არავითარი „გავლენა არ იქონია“, ჩემს პირადობას იგი სრულიად არ შეეხოვო. რომელსამე ნაწარმოებში ჩვენ მიერ ნაჩვენები ნაკლი ხშირად კიდეც გვახარებს, თითქოს იგი თითონ მშვენიერება იყოს; მაგრამ სხვა არის ეს სიხარული: გვიხარიან მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენ ამ ნაკლს პირველად დავასახელებთ და გვასარგებლებს. ერთის იეზუიტის მიერ შედგენილ წიგნის წაკითხვის შემდეგ აი რა სთქვა პასკალმა: „ო, რამდენი კარგი რამ არის **ჩვენთვის** ამ წიგნშიო!“ უბედურობა ის არის, რომ ცუდის მძებნელი ცუდს მუდამ იპოვნის, მაგრამ სამაგიეროდ მოაკლდება იმ სიამოვნებას, რომ ნაწარმოებმა „აღიტაცოს“; მაშასადამე გამოეთხოვება აღტაცებას, რომელიც, ლა-ბრიუერის სიტყვით, პირველ სიამოვნებაზედ ბევრად უმჯობესია. ბედნიერები არიან ის კრიტიკოსნი, რომლებიც თავისს ავტორებს „ამ კარგს რამეს“ ბლომად ვერ მოუძებნიან.

ერთი თანამედროვე ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ ფილოსოფიის ისტორიკოსის უმთავრესი აზრი ის კი არ არის, რომ სხვა-და-სხვა ფილოსოფიური სისტემა უარ-ჰყოსო, არამედ ის, რომ იგინი ერთმანეთს შეუთანხმოსო: შეცდომათა კრიტიკა ყველაზედ უკეთური და უსარგებლო საქმეა და უთუოდ

საჭიროა იგი შეძლებისამებრ შემცირებულ იქმნასო. თვითეულს გულწრფელსა და თანდათანობის მქონე მოაზრეს ფილოსოფოსი უნივერსალურს (საზოგადო, საყოველთაო) სიმპატიას უნდა უწილადებდეს, რომელიც იჭვნეულს გაურჩევლობასა და გულცივობას სრულიად ეწინაღმდეგება; ამა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემის დაფასების დროს ფილოსოფოსს „ეს ორი ზნეობრივი ჭეშმარიტება: სამართლიანობა და ძმობა“ — განუყრელად თან უნდა ახლდეს, გზას მათით იკვლევდეს. თუ რომ ეს ორი თვისება ფილოსოფიისათვის არის საჭირო, კრიტიკოსისათვის ხომ აუცილებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ლიტერატურაში გრძნობას მეტი ადგილი უჭირავს. თუ რომ რომელისამე ფილოსოფოსის გარჩევის დროს **მხოლოდ სურვილი** საკმაო არ არის, რომ საბუთები ჰქონდეს და მით გამრჩეველი საფუძვლიანს ნიადაგზედ იდგეს, ხელოვნებაში ხშირად მარტო სურვილიც — **არ იქმნას იგი აღტაცებული** — საკმაო არის, რომ ხელოვნურმა ნაწარმოებმა ჯეროვანი შთაბეჭდილება არ მოახდინოს; ჩვენ მუდამ თავისუფლად შეგვიძლიან, ეს შთაბეჭდილება უკუ ვაქციოთ, ჩვენსავ საკუთარს, მტრულად განწყობილს „მე“-ში მოვექცეთ და თითქმის შთავანთქმევინოთ ჩვენი თავი. ამიტომ ლიტერატორთ და ფილოსოფოსთ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ერთმანერთი უნდა უყვარდეთ. დასასრულ, თუ ადამიანის მიმართ კეთილისყოფა სავალდებულოა, მის ნაწარმოებთა შესახებ კი რატომ აღარ უნდა იყოს იგი სავალდებულო, რაშიაც, მისის აზრით, რაც კი რამ კარგი ჰქონია, მთლად შეუტანია? ეს ნაწარმოებნი პირდაპირ ამტკიცებენ, რომ ავტორი არსებობისათვის ბრძოლაში მონაწილეობას იღებს და რაც კი რამ შეუძლიან, არ იშურებს, ოღონდ ამ აზრს მიაღწიოს.

რაც უნდა ნაკლი ჰქონდეს, დაწერილი წიგნი მაინც უმაღლესი გამომეტყველია იმისა, რომ ადამიანს „ცხოვრების სამარადისო სურვილი“ აქვს და ამისათვის იგი მუდამ პატივისცემას თხოულობს. აღნიშნულ დროისათვის ამ წიგნს ის გაურკვეველი, ღრმა აზრი და თავისებური **კილო** (პირადობისა) აქვს,

რომელიც მოსიყვარულე ადამიანის გულში გზას უკეთესად გაიგნებს ხოლმე.

აბა, თქვენ გვერდით გამვლელს, უცნობს ადამიანს ჩააკვირდით თვალებში; თუნდაც იგინი ლაჟვარდივით ნათლად მოსჩანდნენ, მაინც ბევრს ვერას გაუგებთ, ან არა და სრულიად ვერას გაუგებთ. სულ სხვა არის ნაცნობი ადამიანი. აბა, ჩაჰხედეთ თვალებში. სულ უბრალო შეხედვაც კი საკმაო არის, რომ საყვარელ არსების გულის სიღრმე, მისთა გრძნობათა მღელვარება დღის ნათელივით თვალ-წინ დაგეხატოთ.

კრიტიკაშიაც იგივე მოხდება ხოლმე.

ვინც რომ წიგნის შესახებ ისრევე სჯის, როგორც გზად მიმავალ უცნობ ადამიანის შესახებ, ე. ი. გულცივად ეპყრობა, ადრევე წარმოუდგენია, რომ კარგს ვერას ჰნახავს ამ წიგნში, ეჭვი არ არის, იგი ამ წიგნისას ვერას გაიგებს; ვერ გაიგებს იმისთვის, რომ ადამიანის აზრის გასაგებად ჯერ მისი სიყვარულია საჭირო, საჭიროა დამფასებელი ამ წიგნს პატივის ცემითა და სიყვარულით ეპყრობოდეს.

პირიქით, აიღეთ რომელიმე საყვარელი წიგნი, რომელთანაც ბაასი ცოცხალ ადამიანივით შეგყვარებიათ და თქვენ უთუოდ ჰნახავთ, რომ აზრები ერთმანეთთან ჰარმონიულად შეთანხმებულნი არიან, თვითეული აზრი უკვე გამოთქმულის შემავსებელი, განმმარტებელია, აქ ყოველს სტრიქონს თავისი ღრმა აზრი აქვს და ყველა ეს კი იმიტომ გეჩვენებათ, რომ თქვენ იგი გიყვართ.

საყვარელი წიგნი ეს ის მუდამ ჟამს ღია თვალია, რომელსაც სიკვდილიც კი ვერ მოჰხუჭავს და რომელშიაც ნათლის სხივით გაშუქებული ადამიანის არსებობის ღრმა აზრი მუდამ გამოსჭვრეტს.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ hominem unius libri (ერთის წიგნის კაცი) რომელიმე ავტორი არასოდეს წრეს გადასულად არ უნდა გვძულდეს.

კრიტიკოსს თავისი ავტორი უყვარს და, მაშასდამე, საყვარელს ავტორს გულის ნადებს უკეთესად გაუგებს, შეითვისებს ყოველივეს, რაც კი რომ მას უკეთესი მოეძებნება.

კრიტიკოსის ნაკლს მომეტებულ ნაწილად ის შეადგენს, რომ იგი „მწიგნობარია"; მართლაც და, რამდენად დიდი სიმპატია უნდა ჰქონდეს შეძენილი, რომ ყოველმა აზრმა, რომელსაც კი აღმოიკითხავს, ან გაიგონებს, გულწრფელი თანაგრძნობის ღელვა გამოიწვიოს მისს სულში!

ასეთი სიმპატია შეიძლება მეტის-მეტად გასაზოგადოვრდეს და ვეღარავის ვერ შეეხოს. ესეთი თანაგრძნობა იმ გრძნობასა ჰგავს, რომელსაც ჩვენ შორეულ უცხო ტომის, მაგ. ჩინელისა და სპარსელის მიმართა ვგრძნობთ ხოლმე.

ასეთი გრძნობა ნამდვილის კრიტიკისათვის მეტად სუსტია და მცირე; კრიტიკოსი, რომელსაც ასე მცირე გრძნობა აქვს, ხშირად მეტად ცუდი მსაჯულია ხოლმე. ამ გვარი კრიტიკოსი ხშირად იმ „ფილანტროპს" ემზგავსება, რომელსაც არც ერთი მეგობარი არა ჰყავს, იმ „კაცობრიობის მაღმერთებელს" წარმოადგენს, რომელსაც სამშობლო არა აქვს.

## VIII

### ხელოვნების პრინციპი არც მოგონილს ამბავშია და არც თავგასართობში.

I. ხელოვნება მარტო ვნება, ან უაღრესი დახელოვნება კი არაა, იგი მოქმედებაცაა, რეალური მოთხოვნილებაა. ამისათვის ხელოვნება მუდამ იმასა ცდილობს ცხოვრებაშიაც ისეთივე მოქმედებანი გამოიწვიოს, როგორსაც თითონა ჰხატავს.

ცოტად თუ ბევრად ცოცხალი ესტეტიური ემოცია მცირეოდენ ზედ დამატებულის ნაღვლიანობით მაშინ შევხვდება ხოლმე, როდესაც იგი მოქმედებით აღიბეჭდება; მაშინ ემოცია თავისითვე კმაყოფილდება. ტირტეოსის ლექსთა სილამაზეს სპარტაელნი უფრო ძლიერად ჰგრძნობდნენ, ხოლო გერმანელნი კერნერისა და ულარდის ლექსთა სილამაზეს, როდესაც ეს ლექსები მათ საბრძოლად იწვევდა; ეჭვი არ არის, რევოლიუციის თავისუფალნი მებრძოლნიც მარსელიეზის (ბრძოლად გამ-

წვევი საერო საგალობელი) ხმით იმ დღეს უფრო მეტად იყვნენ აღტაცებულნი და გამხნევებულნი, როდესაც ჟემაპპას მთებს საერთო სულით ძლიერით შეუდგნენ.

ჟოზეფ ვერნეს მაგალითიც უკვე მოძულებული და გაცვეთილია, რომელმაც თავისი თავი იალქნების ბოძზედ მიაბმევინა, რომ ზღვის ქარიშხალის მზერით დამტკბარიყო.

შეიძლება განა ითქვას, რომ ვერნე ოკეანეს სიდიადეს უფრო ნაკლებად ჰგრძნობდა მხოლოდ იმის გამო, რომ ერთსა და იმავე დროს მაყურებელიც იყო და აქტორიცაო?

ახლა ქვეით დავყვეთ; ვერნეს რომ შესძლებოდა თითონვე შეჰბრძოლებოდა ოკეანეს, მარტოს წაეყვანა გემი ამ მშფოთვარე ზღვის კარგა დიდს მანძილზედ, ეჭვი არ არის, ამითი მისი ესტეტიური ემოცია სრულიადაც არ შემცირდებოდა და უფრო უკეთესად შეიგნებდა, თუ ადამიანსა და ბუნებას შუა რა გარჩევაა, შეიგნებდა იმ წინაალმდეგობას, რომელზედაც, კანტის აზრით, უმაღლესი გრძნობაა დამყარებული.

რაც შემეხება კერძოდ მე, უნდა ვსთქვა, რომ ისე ნათლად არსად მიგრძვნია სიდიადე ზეცისა, როგორც მაშინ, როდესაც მაღალ მთაზედ რის წვალებით ავფოფხებულვარ; იმ დროს ისე მგონებია, ვითომ ზეცაში ავდივარ-მეთქი; თვითეული წინ წადგმული ნაბიჯი თვით ზეცის ძლევად მიმიჩნევია და წარმომიდგენია, რომ ეს სურვილი უსაზღვრო სიმაღლის მიღწევისა მუდამ შემისრულდება-მეთქი.

**მოქმედებას**, რომელსაც მშვენივრობის გრძნობა იქონიებს ხოლმე, ერთი შედეგი აქვს, რომელიც უთუოდ საჭიროა აღვნიშნოთ; სახელდობრ ის, რომ შეთხზული და გამოგონილი ამბავი მშვენივრობისათვის სრულიადაც არ არის აუცილებელი.

შილლერი და მისნი მიმდევარნი ხელოვნებას მხოლოდ შეთხზულსა და გამოგონილს ამბავზედ ამყარებდნენ და ამ ნაკლს ხელოვნებისას მის უმთავრეს ღირსებად აღიარებდნენ, რაიცა ხელოვნებას ნებას არ აძლევდა ნამდვილი მოქმედება გამოეწვია, ცხოვრება დაესურათებინა.

მოვიყვანოთ წარსულ დროის მაგალითები: წარმოიდგინეთ, რომ ევრიპიდისა და კორნელის დიდებული სცენები მარტო სცენაზედ კი არა, ცხოვრებაშიაცა გხვდებათ; წარმოიდგინეთ, რომ ავგუსტოს შესანიშნავს მოწყალებას, ნიკომედის გმირულს უკან დაბრუნებას თვალითა ჰხედავთ, პოლიქსენოსის დიდებული სიტყვები გესმით; განა ყველა ეს თავისს სილამაზესა და სიდიადეს დაჰკარგავს მხოლოდ მისთვის, რომ აქ, თქვენ თვალწინ, ცოცხალნი, მოქმედნი პირნი არიან? მაშ, თუ ასრეა, იმასაც ვიტყვით, რომ მირაბოსა და დანტონის-მიერ ტრაღიკულს წამებში წარმოთქმულს სიტყვებს ახლა უფრო მეტი ესტეტიური მოქმედება და შთაბეჭდილება აქვთ, ვიდრე მაშინ, როდესაც იგინი იქმნენ სულ პირველად წარმოთქმულნიო! სრულიად არა.

აწ იქნება დემოსთენის თარგმანის კითხვით ჩვენ უფრო მეტადა ვსტკბებით, ვიდრე თითონ ათინელნი, რომელნიც პირდაპირ დემოსთენს ისმენდნენ? თურმე ნუ წარმოიდგენთ, მილოსელი ვენერაც იმიტომ ყოფილა ისე მშვენიერი, რომ უძრავია და მარმარილოსაგან გაკეთებული (გამოქანდაკებული); მაგრამ იმავ ვენერას ქანდაკებას რომ თვალში სინათლე ჩაუდგეს და დავინახოთ, რომ გვიახლოვდება,—ისე აღარ მოგვეწონებოდა, აღარ ავვიტაცებდა!

თურმე ნუ იტყვით, ლეონარდის Mona Lisa, ანუ პალმა ლე-ვიეს წმიდა ბარბარეს რომ გაცოცხლება შეეძლოთ, უარესები თურმე შეიქმნებოდნენ! თითქოს ხელოვანის უმაღლესი მისწრაფება, მისი უდიდესი იდეალი ის არ იყოს, რომ თავისს ნაწარმოებს სიცოცხლე ჩაჰბეროს, შეჰქმნას, შემოქმედების ძალა გამოიჩინოს და მხოლოდ იმასა ცდილობდეს, რომ გაალამაზოს, გააშალაშინოს.

თუ რომ ზოგჯერ ხელოვანსაც დასჭირდება ხოლმე მოგონილი რამ მოიხმაროს შემოქმედების დროს, ეს მხოლოდ უნებლიედ მოსდის და იმ მექანიკოსს მიემგზავსება, რომელიც ცოცხალ არსებათა ნაცვლად უნებურად მანქანებს აკეთებს.

ხელოვნებაში მოგონილი არამც თუ აუცილებელია, პირიქით მშვენივრებასა ჰსაზღვრავს, ამკრთალებს. ხელოვნების

ჭეშმარიტი აზრი ცხოვრება და სინამდვილეა და თუ დღემდის ამ ჭეშმარიტ აზრის შესრულება ვერ მოუხერხებიათ, ეს გარემოება მხოლოდ უდღეოდ ნაშობს მოგვაგონებს.

ტიციანოს და მიქელ ანჯელო დაუმთავრებელი ღმერთები არიან: მიქელ ანჯელოს „ღამე“ განა სიცოცხლისათვის არ არის შექმნილი? ერთს ვიღაცა პოეტს ამ სურათისათვის ქვეშ შემდეგი მოუწერია: „სძინავსო“. და მერე, განა მართალი არ არის? თუმცა, ვინ იცის, თითონ არც კი ფიქრობდა, თუ ამ სიტყვით, რა ღრმა და მართალი აზრი გამოსთქვა. ხელოვნება მართლაც-და ადამიანის იდეალის ძილსა ჰგავს, რომელიც მაგარს ქვასა ან ტილოზეა მიჭედილი და რომელსაც არ შეუძლიან ადგეს, წავიდეს. მიბაძვა'ს საზოგადოდ ის სურვილი აქვს, რომ შემოქმედებად გარდიქმნეს, გამოგონება კი ცხოვრებაში ნელ-ნელა ჰქრება.

ამ ნაირად ის დამასკვნელი აზრი გამოდის, რომ ხელოვნების აზრი ცხოვრებაა; გამოგონებას იმიტომ მიჰმართავს ხოლმე ხელოვანი, რომ დაგვარწმუნოს, მე არაფერს არა ვთხზავ, არც „ვიგონებო“.

II. მშვენივრება მოძრაობასა, შეხებასა და გრძნობაში იჩენს ხოლმე თავს.

მოძრაობაში პირველი დამახასიათებელი ძალაა: ჩვენ უსათუოდ ესტეტიურს კმაყოფილებასა ვგრძნობთ, როდესაც ჯანსაღად ვართ, ჩვენს ძალას ვამოქმედებთ, ან-და ვხედავთ, სხვები როგორ ამოქმედებენ ამ ძალას.

**მოძრაობის სილამაზის** მეორე დამახასიათებელი ჰარმონია, წეს-რიგი და კეთილ-ხმოვანებაა, ესე იგი ის, რომ თავისს გარემოებასა და აზრს შეუთანხმდეს იგი.

მაშ თუ მოძრაობის ესტეტიური თვისება ეს არის, შეიძლება კიდევაც იფიქროს ვინმემ, რომ იგი თვისება მხოლოდ **საცეკვაო მოძრაობათ** აღინიშნება. და არა იმ მოძრაობით, რომელსაც შრომა და მუშაობა თხოულობსო. ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში გარჩევა სრულიად შეუძლებელია და ესტეტიური თვისება ორსავ მდგომარეობაში—ცეკვასა და შრომაში, ერთ

ნაირად იჩენს ხოლმე თავს. წარმოიდგინეთ, რომ კიბის ასწვრივ, საფეხურებზედ, მთელი გუნდი მუშებისა სდგას და ერთმანეთს ქვას აწვდიან: ქვა ნელ-ნელა ზევით და ზევით ადის და ხან ერთის მუშის ხელშია, ხან მეორისაში.

ნუ თუ ამ სურათში ჭეშმარიტი სილამაზე არ იხატება, სილამაზე, რომელიც აღნიშნულ აზრთანა და შრომასთან შეთანხმებულია? მშვენივრები არიან აგრეთვე ის მუშები, რომელნიც მძიმ-მძიმედ თოკის წევით უშველებელს მუხის ფიცარს ეზიდებიან მაღლა; ესრევე ლამაზი სანახავები არიან ნიჩბის მომსმელნი, მხერხავები, და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ძალას დიდს ხმარობენ და ოფლში იწურებიან. მარდსა და ყოჩაღს ცელის მომსმელსაც შეიძლება ისეთივე ცოცხალი და ფაქიზი მოქმედება და მოძრაობა ჰქონდეს, როგორც კარგს მოცეკვავეს და ისიც შეიძლება, რომ ხელოვანმა ამ უკანასკნელს პირველი ამჯობინოს, იგი დაჰხატოს. როდესაც გლეხი ტყეში შეშასა სჭრის და უზარმაზარს მუხას ძლიერის მარჯვენით მიწაზედ წამოაქცევს, ეჭვი არ არის, ესეც დიდებულს გრძნობას იწვევს ხოლმე ჩვენში.

ამ ყველა ზემოდ აღნიშნულს შემთხვევაში არც ერთგან არ არის იმისი ხსენება, რომ მოძრაობა ცეკვას ეხებოდეს,—ყველგან მუშაობა და შრომაა, თვითეული მათგანი თავისს გარკვეულს აზრს ესწრაფვის. მწყობრობა თვითეულის აქ დასახელებულის მოძრაობისა იმითი აიხსნება, რომ ყოველს მათგანს განსაკუთრებული აზრი აქვს და მთელს თავისს ძალას მისდა მისაღწევადა ხმარობს. ამის გამო მათი ესტეტიური ხასიათი სრულიადაც არა სუსტდება და არა მცირდება; პირიქით იგი მაღლა-მაღლა იწევს, ვითარდება. ამ რიგად, აღნიშნულ საგნის (მოძრაობათა) შესახებ ჩვენ სრულიად სხვა დამასკვნელ აზრს ვადგევართ, ვიდრე სპენსერი; სახელდობრ: თუ რომ ცეკვაობა (სხვა-და-სხვა ორგანოთა უსარგებლოდ ვარჯიშობა) ესტეტიურია, მაშინ შრომაც (სასარგებლოდ მიმართული ვარჯიშობა) ესტეტიურია დ უფრო მეტად, ვიდრე პირველი. თუ რომ ზოგჯერ შრომას უფრო ნაკლები სიფაქიზე ეტყობა, სამაგიეროდ იგი მომეტებულად ლამაზი და დიდებულია. დასასრულ, ისიც არ უნდა

დავივიწყოთ, რომ ადამიანის უპირატესობას ცხოველებთან შედარებით შრომა შეადგენს და განათლებულს, კულტუროსანს ადამიანს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე ველურსა.

ბერძნების მექანდაკეების მიერ შექმნილი მარათონელი მახარობელი მტვრით იყო დაფარული და ოფლში სცურავდა; მისს მახეს დაღლილობა და ტანჯვა ზედ აღბეჭდვოდა, მაგრამ ამავ დროს ხელში დაფნის შტო ეჭირა და შუბლს იგრილებდა, რომ ამითი ძალა შემოეკრიბა და უფრო დიდებული შექმნილიყო; ეს ტანჯული, მაგრამ გამარჯვებული ადამიანი კაცობრიობის შრომისა და იმ უმაღლესის სიმშვენიერის სიმბოლოა, რომელიც უხვობითა და ძალით იხატება და არა ძალის გამოზოგვითა და სიმარდით, სიმბოლოა შრომისა, რომლის მოძრაობაც მარტო დახარჯულ ძალის ზომა და გამომხატველი კი არა, მისის ნებისა და სულიერ ენერგიის, ძალის მაჩვენებელიცაა.

**ინ-ანი**

(შემდეგი იქნება)

# ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

წერილი

**ლუკა ისარლოვისა** *)

ამ რამდენისამე წლის წინად სომხურ გაზეთებში ბევრი წერილები იბეჭდებოდა საქართველოს კათოლიკეთა და იმათ ეკკლესიათა შესახებ. გაზეთები ამ წერილების შემწეობით ცრუ და სიმართლეს მოკლებულს ამბებს ავრცელებდნენ ხალხში. საქართველოს კათოლიკენი კი, რადგანაც სომხური ენა არ იცოდნენ, არა კითხულობდენენ სომხურ გაზეთებს, არც ტფილისის მკვიდრნი და არც გორისა, ქუთაისისა და ოსმალეთის საქართველოს მცხოვრებნი და, მაშასადამე, მათ არ შეეძლოთ უარ-ეყოთ გაზეთების-მიერ გავრცელებული ცრუ ამბები. უმთავრესი მიზანი გაზეთებისა ის იყო, რომ ყველა ქართველი კათოლიკენი სომხებად გარდაექმნათ. ისინი არწმუნებდნენ ყველას, რომ რომის-კათოლიკეთა ან სომხის-კათოლიკეთა სარწმუნოების ქართველები არასოდეს არა ყოფილან არც ქართლ-კახეთსა და არც ოსმალეთის საქართველოში, რომ ყველა ესრედ წოდებული ქართველი-კათოლიკენი სომხები არიანო და სხვა.

სომხებს რომ თავი გავანებოთ, იმ სომხებს, რომელნიც სომხურ ენაზე ლაპარაკობენ და სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ და რომელნიც ოსმალეთიდან იქმნენ გადმოსახლებულნი და ტფილისისა და ერევნის გუბერნიების ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, გუმბრის და ბაიაზეთის მაზრებში დასახლებულნი, ჩვენ დავინახავთ, რომ ტფილისსა, გორსა, ქუთაისსა, ახალციხესა, ახალქალაქის მაზრებსა და ბათუმის ოლქში (ოსმალეთის საქართველოში) უძველესს დროიდან სცხოვრობდნენ კარგა ბლომად ქართველთა ტომის ადგილობრივი მკვიდრნი—კათოლიკენი, რომელთა ერთი ნაწილი აღიარებდა და აღიარებს რომის-კათოლიკეთა სარწმუნოებას და

*) ეს წერილი რუსული დედნიდან არის გადმოთარგმნილი.
რედ.

ასრულებს იმის წესებს, ხოლო მეორე ნაწილი—სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას. პირველნი ძველადგანვე სცხოვრობენ ტფილისსა, გორსა, ქუთაისსა და რამოდენიმეც ქალაქ ახალციხის ძველს ნაწილში, ხოლო მეორენი—ოსმალეთის საქართველოს ქართველნი—ახალციხეშივე და შემდეგს სოფლებში: არალწდესა, ვალესა, ხიზაბავრასა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების და ართვინის ოლქის სხვა სოფლებში. ისინი ლაპარაკობენ თავიანთ მშობლიურ ქართულ ენაზე ისე, როგორც ლაპარაკობენ მათი მეზობელნი, იმავე სოფელში მცხოვრები, ქართველი-მაჰმადიანები. სომეხთა ეროვნების სომეხ-კათოლიკეთა მცირედი ნაწილი გადმოსახლებულია ოსმალეთიდან 1807 წელს, ხოლო მომეტებული ნაწილი—ოსმალეთის ომის შემდეგ, 1828—1829 წლებში. მათ შორის მრავალი ქალ. ახალციხის ახალ ნაწილში სცხოვრობს. ამ უკანასკნელთ არავითარი ერთობა არა ჰქონიათ ქართველი ტომის ადგილობრივ მცხოვრებლებთან, თუმცა ორივენი ერთნაირ საეკკლესიო წესებს ასრულებენ.

სომხური გაზეთები, რომელთაც გრიგორიანნი ჰბეჭდავენ და რომელთაც არ იციან არც მდებარეობა იმ ადგილებისა, სადაც რომის თუ სომხის სარწმუნოების კათოლიკენი სცხოვრობენ და არც მათი ისტორია, ამახინჯებენ ისტორიულ ფაქტებს და ამტკიცებენ, რომ ტფილისში სომეხ-კათოლიკეთა და ქალდეველ-კათოლიკეთა გარდა სხვა კათოლიკენი არ არიანო. ამიტომ, მათის აზრით, ტფილისის ყველა კათოლიკეთ, რომელნიც დაბადებით ქართველნი არიან, სომეხთა წესები უნდა მიიღონ და ამიტომვე თვით წირვა-ლოცვაც სომხურ ენაზე უნდა იყოსო. ისინი ამტკიცებენ, რომ ტფილისის რომის-კათოლიკეთა ძველი მიძინების ეკკლესია ოსმალეთიდან გადმოსახლებულის სომხებისაგან არის აშენებული 1804 წელს, მაშინ როდესაც მათი ხსენება არც კი იყო ტფილისში და რომ შემდეგ ეკკლესია ლათინთა პატრებმა მიითვისესო. ყველაზე საკვირველი აქ ის არის, რომ სომხური გაზეთები არამც თუ ისტორიის წინაშე სცოდავენ, არამედ ლოღიკასაც კი ჰღალატობენ. თუ, როგორც გაზეთები ამბობენ, ზემოხსენებული ეკკლესია პატრებმა მიითვისეს, მაშინ, საკვირველია, საიდან გაჩნდნენ 1804 წელს ეს პატრები ტფილისში, ხოლო თუ ისინი წინადვე ტფილისში იყვნენ,

მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მათ თავიანთი ეკკლესია ექმნებოდათ და ამ ეკკლესიას მრევლიც ეყოლებოდა; სხვაფრივ წარმოუდგენელია. სომხურ გაზეთებს, რომ ცოტაოდენი შრომა გაეწიათ და გაეცნოთ ტფილისისა და საერთოდ საქართველოს ისტორია, დაინახავდნენ, რომ კათოლიკეთა პატრები საქართველოში ჯერ ისევ IX საუკუნეზე ადრე იყვნენ, რომ მათ საკუთარი ეკკლესიები ჰქონდათ როგორც თავიანთთვის, აგრეთვე მრევლისათვის—მაშინდელ კათოლიკეთათვის და რომ ეს ეკკლესიები მაჰმადიანთა შემოსევის და ტფილისისა და საქართველოს აოხრების დროს განადგურებულ იქმნა. ამას მოწმობდნენ საქართველოსა და ტფილისში მრავლად დარჩენილი ნანგრევები, რომელნიც ბლომად მოიპოვებოდნენ რუსეთის მთავრობის დროსაც კი ამ საუკუნის ნახევარში. აოხრების შემდეგ პატრების-მიერ ახლად აგებული ტფილისის ეკკლესია და მონასტერი არსებობდნენ ჯერ ისევ მე-XVII საუკუნეში, სპარსეთის მეფის შაჰ-აბაზის შემოსევამდე. ამ დროს პატრებთან სტუმრად იყო შესანიშნავი მოგზაური შარდენი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა პატრების მდგომარეობა ქართლსა, იმერეთსა და სამეგრელოში და მათი და საქართველოს მეფის ურთ-ერთ შორის დამოკიდებულება. რომის-კათოლიკეთა ხარების ეკკლესია, რომლის კედლებმაც დღემდე მოაღწიეს და რომელშიაც რუსეთის მთავრობის დროს ჯერ სახელმწიფო სურსათის და შემდეგ მარილს ინახავდნენ, არსებობდა საქართველოს მეფის თეიმურაზის დროს 1755 წელს. იგი წარსული საუკუნის დასასრულს განადგურებულ იქმნა სპარსელების მიერ. კათოლიკეთა პატრები ტფილისში საქართველოს უკანასკნელ მეფეების თეიმურაზის შვილის ირაკლის და ამის შვილის გიორგის დროსაც სცხოვრობდნენ. როგორც ირაკლი, აგრეთვე გიორგი კარგის თვალით უყურებდნენ მათ და ბევრს საქმეში დახმარებასაც უწევდნენ. რადგანაც 1795 წელს, სპარსეთის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს ტფილისთან ერთად კათოლიკეთა ძველი ეკკლესია მიწსთან იქმნა გასწორებული, პატრებმა ახალი ეკკლესია გამართეს კერძო სახლში და იქ დაიწყეს წირვა-ლოცვის შესრულება მკვიდრ ქართველ-კათოლიკეთათვის.

როგორც ძველი თქმულება მოგვითხრობს, პატრებმა თავიანთის რჩევითა და დარიგებით ბევრი დახმარება გაუწიეს ქართლ-კახეთისა და იმერეთის რუსების ხელში გადაცემის საქმეს. მათ აზრად სპარსელებისა და ოსმალებისაგან ქრისტიანობის გადარჩენა ჰქონდათ.

რუსეთის მთავრობის საქართველოში დამკვიდრების და ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ, 1803 წელს, პატრებმა, საქართველოს მთავარ მართებლის თავადის ციციშვილის ნება-დართვით და მრევლისა და იმ დროის გამოჩენილის ქართველ და სომეხ თავად-აზნაურთა დახმარებით, ააგეს ზემოდ დასახელებული რომის-კათოლიკეთა აწინდელი მიძინების ეკლესია, რომელიც სომხურ გაზეთებს ეგრე გულითა და სულით უნდათ აწერონ ვითომდა ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებს. ნამდვილად კი არც 1803 და 1804 წლებში და არც წინად, საქართველოს მეფეების დროს, არავითარი გადმოსახლება სომხებისა ოსმალეთიდან ტფილისში არ მომხდარა. სომეხთა გადმოსახლება და მათი ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში დამკვიდრება მოხდა, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, პირველად ოსმალეთის ომის შემდეგ, 1807 წელს, მთავარ-მართებლის გუდოვიჩის დროს, ხოლო მეორედ — 1828 — 1829 წლების და საქართველოს მაშინდელის მთავარ-მართებლის და მთავარ-სარდლის გრაფის პასკევიჩის სპარსეთსა და ოსმალეთში გამარჯვების შემდეგ. პირველნი დასახლებულ იქმნენ სოლოლაკის ხეობაში, ხოლო მეორენი, გრაფის პასკევიჩის ბრძანებით — მთა-წმიდაში, ცარიელს ადგილზე, სადაც ეხლა ქუჩები და ქვიტკირის სახლებია. ამ უკანასკნელთ უწოდებდნენ მაშინ «ყარსელებს», ესე იგი ყარსიდან გადმოსახლებულებს. ყველა ეს გადმოსული სომხები დადიოდნენ ტფილისის ერთად-ერთს ზემოდ დასახელებულს რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, სადაც წირვა-ლოცვა სრულდებოდა ქართველ-კათოლიკეთათვის პატრების-მიერ ლათინურს ენაზე, სომეხ-კათოლიკეთათვის სომეხ-კათოლიკეთა მღვდლების-მიერ სომხურ ენაზე და ოსმალელ დ სპარსელ-ქალდეველთათვის ქალდეველის მღვდლების-მიერ — ქალდეველთა ენაზე. სამსახურში ყველა ეს მღვდლები ემორჩილებოდნენ უფროს პატრის პრეფექტს. ამ წირვა-ლოცვებს ესწრებოდნენ ყველანი განურჩევლად, მით უმეტეს, რომ გადმოსახლებულ სომეხ-კათოლიკეთ

თითქმის დაივიწყეს სომხური ენა და ეხლა რუსულსა და ქართულს ენებზე ლაპარაკობდნენ.

სომხური გაზეთები იმდენად ამახინჯებენ ფაქტებს, რომ იმათ კადნიერებას საზღვარი არა აქვს. ქართველ-კათოლიკეთა შესაცდენად და გადასაბირებლად ისინი ყოველს საშუალებასა ხმარობენ. კარგა ხანია ეს გაზეთები ისტორიას ყურადღებას აღარ აქცევენ და თავაღებული გაიძახიან, რომ ქართველები მუდამ მართ-მადიდებელნი ყოფილან და მათ შორის კათოლიკენი, რომის ან სომხის წესისა, არ მოიპოვებიანო. ისტორიას რომ თავი გავანებოთ, ამ აზრის სისულელეს ის გარემოებაც აშკარად ამტკიცებს, რომ წმინდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა ნახევარი დღეს მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებს. ვითომ რატომ არ შეიძლება ამის შემდეგ, რომ ქართველები, როგორც წინად ვიზანტიის, აგრეთვე შემდეგ ოსმალების ბატონობის დროს, როდესაც ყველას თავისუფლად შეეძლო კათოლიკეთა წესზე წირვა-ლოცვის შესრულება, კათოლიკეთა სარწმუნოების მიმდევარნიც ყოფილიყვნენ?

ქართულის გაზეთის «ივერიის» (1891 წ. № 266) სიტყვით, ახალციხის დასავლეთი მხარე, რომელიც აჭარის მთების აღმოსავლეთით კობლიანის ხეობაში მდებარეობს, შესდგება ორის სოფლის საზოგადოებისაგან: ადიგენისა და უდესაგან. ეს საზოგადოებანი დასახლებულნი არიან წმინდა ქართველებით; მათ შორის ადიგენის მცხოვრებნი ყველანი მაჰმადიანები არიან, ხოლო უდისა — ნახევარი მაჰმადიანნი, ნახევარი — ქართველი-კათოლიკენი; ქართველი მაჰმადიანნი სცხოვრობენ აგრეთვე ზაქათალის ოლქში და «ინგილოებად» იწოდებიან. — თუ შესაძლებელია, რომ ბერძნები, ჩეხები, კროატები, ხორვატები, ჩერნოგორელები და ბოლკანეთის კუნძულის სხვა სლოვიანები კათოლიკები იყვნენ, განსაკუთრებით, ბერძნები, რომელნიც ძველადვე მართ-მადიდებლობას მისდევდნენ, თუ სასულიერო წიგნები ბერძენთა, სლოვიანთა ანუ გერმანელ და ინგლისელ კათოლიკეთა ბავშთათვის შედგენილი და ბერძნულ, სლოვიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე დაწერილი არ ავიწყებს მათ მართ-მადიდებლობას ან ლუტერანობას და არა ჰქმნის კათოლიკებად და თუ ასევე შესაძლებელი იყო, რომ ქალდეველები, მარონიტები და არა-

ზები კათოლიკები ყოფილიყვნენ და მაჰმადიანთა სახელმწიფოებში შეემლოთ მათ ქალდეველთა და არაბთა ენებზე, რომელზედაც «ყორანი» და მაჰმადიანთა სხვა სასულიერო წიგნებია დაწერილი, თავისუფლად წირვა-ლოცვის შესრულება და თუ ამ ქვეყნებში კათოლიკთა საეკკლესიო წიგნები მაჰმადიანებს კათოლიკებად არა ჰქმნიდა,—მაშინ, რასაკვირველია, არც სასულიერო წიგნები მე-XVII და მე-XVIII საუკუნოებში ქართულ ენაზე დაბეჭდილი ქართველ-კათოლიკეთათვის მართლ-მადიდებელ ქართველებს არ გადიბირებდა და კათოლიკობას არ მიაღებინებდა. ეს არ მომხდარა საქართველოში არც საქართველოს მეფეების და არც რუსეთის მთავრობის დროს, მით უმეტეს არ მოხდებოდა იგი ოსმალეთის საქართველოში, როდესაც ეს უკანასკნელი ოსმალეთმა დაიპყრო და როდესაც იქ ისლამი იქმნა გაბატონებული.

სომხურს ენაზე როგორც სასულიერო აგრეთვე საერო შინაარსის წიგნებს, წიგნებს, რომელნიც სომხურს ლიტერატურაში საუკეთესოდ ითვლებიან, წინადაც და ეხლაც სომეხ-კათოლიკენი ადგენენ და ჰბეჭდავენ ვენეციასა, ვენასა და პარიზში. ამ წიგნებს ყველა სომეხ-გრიგორიანნი, არამც თუ დიდის ყურადღებით და მოწიწებით, კითხულობენ არამედ სასწავლებლებში სახელმძღვანელოებადაც ხმარობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ძველ სარწმუნოებაზე ხელი არ აიღეს და კათოლიკობა არ იწამეს.

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ქართველებმა კათოლიკობა—რომის ან სომხის წესისა—როგორ ან როდის მიიღეს, ამის ახსნა ისტორიაში უნდა ვეძებოთ.

ისტორიიდან ვიცით, რომ პომპეის შემდეგ იბერია (საქართველო), სამცხე, კოლხიდა, ლაზისტანი, აფხაზეთი და სომხეთი რომის იმპერიის პროვინციებად ითვლებოდნენ, თუმცა მათ საკუთარი ადგილობრივი მეფეები ჰყავნდათ. მაშინდელს სამაგრებში: სამცხესა (ახალციხესა), ართვინსა, ართანუჯსა, რუხსა (სამეგრელოში), სკანდარსა, შორაპანსა და სურამში, რომაელთა ლეგიონები იდგნენ, რომელნიც იცავდნენ ამ ადგილებს სპარსელებისა და სხვა ხალხისაგან. დიდი ქვა, მცხეთის ესრედ წოდებულ კავკასიის კარის ნანგრევებში ნაპოვნი, აშკარად ჰმოწმობს, რომ რომის იმპერატორები მაშინდელს

საქართველოზე ზრუნავდნენ. ამ ქვაზე ამოჭრილ ზედ-წარწერიდანა ჩანს, რომ ხსენებული კავკასიის კარი აგებულ იქმნა საქართველოს მეფისათვის რომის იმპერატორის ვესპასიანის-მიერ. ამ ჟამად ეს ქვა ტფილისის მუზეუმში ინახება. ქართველების თხოვნით რომაელთ დასვეს საქართველოს მეფედ რევი, რომელიც რომში აღიზარდა და რომელსაც ცოლად წარჩინებულის რომაელის სოფელიის ქალი ჰყვანდა. მეფე რევს და იმის ცოლს გაეგონათ ცოტა რამ ქრისტიანობის შესახებ და დედოფლის მეცადინეობით მოისპო საქართველოში ცოცხალი ადამიანების მსხვერპლად შეწირვა. («საქართველოს ისტორია», მღვ. გვარამაძისა. 1882 წ. გვ. 232, 233, 238).

რომის იმპერატორთ დიოკლიტიანეს და მაქსიმილიანეს-მიერ ქრისტიანეთა დევნის დროს, 286 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ, რომაიდან საქართველოში გამოიქცნენ ქრისტიანენი ორენტი და იმისი ექვსი ძმა: ერემია, ფარნალა, პირმო, პირმინო, კვირიკოსი და ლონგინოზი. წმ. ორენტის კისერზე ქვა შეაბეს და ირჭის ნაპირიდან წყალში გადააგდეს, მაგრამ ის მაინც სასწაულით გადარჩა; წმ. ფარნალა აფხაზეთში კოდორის მახლობლად გარდაიცვალა; პირმო და პირმინო—ათსერონში; კვირიკოსი—ოსეთში, ხოლო ლონგინოზი დასაფლავებულ იქმნა აფხაზეთში პიტიუსის (პიწუნდაში). (იქვე, გვ. 241, 242).

წმ. ნინო რომის მონასტერში წმ. გაიანესთან სცხოვრობდა. იქვე სცხოვრობდა წმ. რიფსიმე სხვა ქალწულებთან ერთად. როდესაც დიოკლიტიანემ ქრისტიანეთ დევნა დაუწყო, ისინი ჯერ ეგვიპტეში, შემდეგ სომხეთში გაიქცნენ, ხოლო წმ. ნინო ბოლოს საქართველოშიაც მოვიდა. («ქართლის ცხოვრება», ბატონიშვილის ვახუშტისა, ტფილისი, 1885 წ. გვ. 58 და «საქართველოს ისტორია» ბაქრაძისა, შენიშვნა მე-147 გვერდზე).

წმ. ნინომ ქრისტეს სწავლის გავრცელება საქართველოში დაიწყო მეფე მირიანის დროს, რომელიც ამ ხანებში რომის იმპერატორის ბრძანებით სასტიკად სდევნიდა ყველა ქრისტიანებს. მეფე წმ. ნინოს რომაელს უწოდებდა, ხოლო იმის მიერ გავრცელებულ სწავლას—რომულს. როდესაც მეფემ გაიგო, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა მიიღო, იმის გულის მოსაგებად, თვი-

თონაც მოინათლა წმ. ნინოსგან, მთელის საქართველოს ხალხით. შემდეგ მან კაცები გაგზავნა და შეატყობინა კონსტანტინეს, რომ ქრისტიანობა მივიღეო. ამასთანავე სთხოვა იმპერატორს სასულიერო კაცები გამოგზავნე ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს სწავლის დასამკვიდრებლადაო. მაშინ ქალაქი კონსტანტინეპოლი ჯერ არ არსებობდა. ეს ქალაქი დაარსებულ იქმნა 324—330 წლებში, ნიკეის მსოფლიო საბოროს შემდეგ, რომელიც 325 წელს მოხდა და რომელზედაც ქრისტიანობის სარწმუნოების მრწამსი იქმნა დამტკიცებული. იმპერატორმა გამოუგზავნა მირიანს გოტფელი ეპისკოპოსი იოანე, მღვდლები და მთავრები, ხოლო რომის პაპამ სილვესტრმა—ლოცვა-კურთხევა როგორც თვით მეფეს და საქართველოს ხალხს, აგრეთვე წმ. ნინოს («საქართველოს ისტორია», ბატონიშვილის ვახუშტისა, გამოცემული 1885 წელს, გვ. 65, 67, 68 და 72).

ქრისტიანობა მაშინ ჯერ არ იყო გავრცელებული საბერძნეთში, მით უმეტეს არ იქნებოდა იგი გავრცელებული კონსტანტინეპოლში, რომელიც, როგორც მოვიხსენიეთ, აგებულ იქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო.

ქრისტიანები საქართველოში პირველ საუკუნიდანვე იყვნენ. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანე იყო სამცხეში, ესე იგი მაშინდელს ზემო საქართველოში, სადაც ქრისტეს სწავლას ავრცელებდნენ მოციქულნი ანდრია პირველ-წოდებული და სვიმონ კანანელი და სადაც მათ მრავალი პალესტინიდან გადმოსახლებული და იმერეთისა, აფხაზეთისა, და ქართლში დასახლებული ებრაელი მონათლეს. მაშინდელი მეფეები, რომის ზედ-გავლენით, სდევნიდნენ, როგორც ქრისტიანებს, აგრეთვე ებრაელებს და სწორედ ამიტომ მეფე მირიანამდე საქართველოში ქრისტიანობა ვერ დამკვიდრდა, თუმცა ნელ-ნელა და აქა-იქ მაინც ვრცელდებოდა. მრავალ ებრაელთა, განსაკუთრებით პონტოს ნაპირებში მოსახლე ებრაელთა, შთამომავალნი თვით იყვნენ მოწმენი ქრისტეს ჯვარცმისა და სულის-წმიდის მოფენისა. ამის შესახებ თქმულებაც კი იყო ხალხში. სხვა მოციქულები რომ არ მოვიხსენოთ, თვით მოციქული პეტრე ორჯელ იყო პონტოის სამეფოს მაშინდელს უმთავრესს ქალაქ დიოსკურიაში, ესე იგი ეხლანდელს სოხუმში. ეპისტოლე მოციქულისა დაწერილია იმ რომაელთა მიმართ, რომელნიც

სცხოვრობდნენ პონტიის პროვინციაში, სადაც მათ კარგად მოწყობილი ახალშენები ჰქონდათ და სადაც მათი კოგორტი იდგა, რომელიც კავკასიელ მთიულთა შორის ქრისტიანობასავრცელებდა. აქ ჰგზავნიდნენ საცხოვრებლად რომის იმპერატორები სარწმუნოების გამო დასჯილ ქრისტიანებს. («ქუთაისის უწყებანი», 1889 წ. № 21) საქართველოში ქრისტიანობის სწრაფად გავრცელება აიხსნება პირველი—რომის იმპერატორის კონსტანტინეს გავლენით, ხოლო მეორე იმით, რომ როგორც წმ. გიორგი, აგრეთვე იმის ნათესავი წმ. ნინო კაპადოკიელნი იყვნენ, სადაც სტრაბონის მოწმობით, ჯერ ისევ ქრისტეს დაბადებამდე ქართულს ენაზე ლაპარაკობდნენ. ხოლო რადგან წმ. ნინომ ქართული ენა კარგად იცოდა, ადვილად და გასაგებად შეეძლო აეხსნა მას ქართველთათვის ქრისტეს მოძღვრება და სარწმუნოების საიდუმლონი.

შემდეგ, როდესაც იმპერიის სატახტო ქალაქად კონსტანტინეპოლი იქმნა დამტკიცებული, იმპერატორმა კონსტანტინემ გამოუგზავნა მირიანს ანტიოქიის ეპისკოპოსი მღვდლებითურთ. თვით საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება კონსტანტინემ დაუქვემდებარა ანტიოქიის პატრიარქს, რომელიც დღემდის იწოდება, სხვათა შორის, ივერიის პატრიარქადაც. («ისტორიული მიმოხილვა საქართველოსი»—გოლოვინისა, 1864 წ. გვ. 24, 25, 26 და მურავიოვის მოგზაურობანი, ნაწილი მეორე, გვ. 199).

410 წლამდე, როგორც ქართველთა, აგრეთვე სომეხთა ეკლესიებში საეკლესიო წიგნებს ბერძნულ ენაზე კითხულობდნენ. («ისტორიული მიმოხილვა საქართველოსი»—გოლოვინისა, გვ. 29. მოსე ხორენელი, წიგნი მესამე, გვ. 55).

მეხუთე საუკუნეში, საქართველოს მეფის ვახტანგ გორგასლანის დროს, როდესაც საქართველოს პირველ პატრიარქად ამორჩეულ იქმნა მცხეთისა და იბერიის კათოლიკოზის ტიტულით არქიეპისკოპოსი პეტრე და როდესაც საქართველოს ეკლესია განთავისუფლდა ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან, გადმოთარგმნილ იქმნა ბერძნულ ენიდან ქართულზე საეკლესიო წიგნები. («ისტორიული მიმოხილვა საქართველოში»—გოლოვინისა, გვ. 33).

მეექვსე საუკუნეში, საქართველოს მეფის სპარსეთის სამეფო გვარეულობის ხოსროიდების შთამომავლის ფარსმანის დროს,

იმპერატორმა იუსტინიანმა გაავრცელა და დაამკვიდრა ქრისტიანობა ლაზისტანში და მთიულთა შორის. იუსტინიანმა დაუნიშნა მათ ცალკე ეპისკოპოსი, რომელიც ნიკოპსიაში სცხოვრობდა და სამწყსოს 536 წლიდან განაგებდა. ეს საეპისკოპოსო კათედრა გადატანილ იქმნა თამარის კუნძულზე (იქვე გვ. 38), რომელიც შემდეგ გენუე-ლებს ეპყრათ.

გადმოხვეწილმა სომხებმა, იმპერატორის მავრიკის მფარვე-ლობით წაქეზებულთ, მოიწადინეს ამ დროს მონოფიზიტების სწა-ვლის გავრცელება საქართველოში, მაგრამ საქართველოს კათოლი-კოსმა კირიონმა მოსპო მათთან ყოველგვარი ერთობა და ამით დაიცვა სარწმუნოების სიწმინდე და სიმართლე.

იმავე კათოლიკოსს კირიონს, 60 წლის, რომის პაპი წმ. გრიგორიმ გამოუგზავნა ეპისტოლე, რომელსაც აწერია: qurico et ceteris episcopis in Hiberia catolicis. ეს ეპისტოლე გამოიწვია სომეხთა ეპისკოპოსების და კირიონის შორის ატეხილმა დავა-კამათმა მართლ-მადიდებლობისა და ქალკედის სობორის დოგმების შესახებ. ეპისტოლეში გრიგორი სხვათა შორის, ურჩევს კირიონს, რომ ნესტორიანნი ხელმეორედ არ მონათლოს სოლმე, რადესაც ისი-ნი მართ-მადიდებლობას მიიღებენო. («ტფილისის სიძველეთა აღწე-რა»—მღ. იოსელიანისა, გვ. 170 დ გაზ. «ივერია», 1892 წ. № 71).

მე-VII საუკუნეში იგივე პაპი გრიგორი თავისის ეპისტოლეში სწერს იმპერატორს ლეონ ხატმებრძოლს, რომ წმ. მამანი მაქსიმე და ანასტასიოს იმპერატორის ბრძანებით გაგზავნილ იქმნენ დასა-სჯელად ლაზისტანშიო, სადაც ისინი სცხოვრობდნენ მდ. ცხენის-წყლის მახლობლად სოფ. მურში, ეხლანდელს ქათაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში. Gregorius dialogi ad Jeonem de sacris imagini-bus. მე-XVII საუკუნიდან იქ მონასტერი იყო. ეხლა იმ ადგილას ეკკლესიაა აგებული მაქსიმესა დ ანასტასიას სახელობაზე. ამ ეკკლესიას მეგრელები დღესაც დიდად თაყვანს სცემენ. ვიქტორ აკვიტანელმა შეადგინა წელთა მრიცხველობა, რომელიც შემდეგ წმ. აღდგომის გამოსაანგარიშებლად შესწორებულ იქმნა უმცროსის დიონისის-მიერ. ეს წელთა მრიცხველობა იხმარებოდა, როგორც აღმოსავლეთის, აგრეთვე დასავლეთის ეკკლესიებში და 780 წელს სირიის სამღვდელოების

მეცადინეობით შემოღებულ იქმნა იგი საქართველოშიაც. («ისტორიული მიმოხილვა საქართველოისა»—გოლოვინისა, გვ. 49, 50).

დაახლოვებით 547 წელს, ჯერ ისევ ეკკლესიათა ერთობის დროს, საქართველოში ცამეტი სირიელი მამა მოვიდა ქრისტიანობის გასავრცელებლად და დასამყარებლად.

ადარნასეს შვილი, მეფე სტეფანოზ II, რომელიც ძალიან ზრუნავდა სამშობლოს კეთილდღეობისა და ეკკლესიის წარმატებისათვის, კვირაში ერთხელ იწვევდა ეპისკოპოსთა კრებას წმ. ჯვარის ეკკლესიასა, სიონის ტაძარსა და მცხეთაში. ამ კრებებს აზრადა ჰქონდათ ბრძოლა გაეწიათ აღბანელთა, მონისელთა და სირიის სხვა მწვალებელთა ცრუ-სწავლის წინააღმდეგ, რომელნიც 650 წელს გავრცელდნენ საქართველოში. («ისტორიული მიმოხილვა საქართველოსა»—გოლოვინისა, გვ. 44, 46 და «საქართველოს ეკკლესიის ისტორია»—პლ. იოსელიანისა).

ყველა ეს ხდებოდა ეკკლესიათა ერთობის დროს, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ქრისტიანები ერთს, ნიკეის მსოფლიო სობოროს მიერ დამტკიცებულს, სარწმუნოებას აღიარებდნენ. ასეთმა დამოკიდებულებამ გასტანა 869 წლამდე, როდესაც პატრიარქი ფოტი დასჯილ და გადაყენებულ იქმნა ტახტიდან და როდესაც სათავე დაედო ეკკლესიის განაწილებას.

ყველასათვის აშკარაა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანეთა და მათ სამღვდელოთა შორის სარწმუნოებრივი განხეთქილება და გაყოფა ერთბაშად არ მომხდარა. განსაკუთრებით არა უწყოდნენ-რა ამის შესახებ შორს, გადაკარგულ პროვინციებში მცხოვრებთ, რომელნიც უწინდელებურ ერთს სარწმუნოებას აღიარებდნენ და რომელთა ეპისკოპოსები და საერთოდ სამღვდელოება სულაც არ ესწრებოდა ხოლმე კრებებს, სადაც ეკკლესიათა განხეთქილება ჩამოვარდა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ განხეთქილების შემდეგაც კონსტანტინეპოლის პატრიარქები, რომის პაპები და იმპერატორები: ვასილი, კონსტანტინე, მონომახი ძალიან ბევრისა ცდილობდნენ ეკკლესიათა შეერთებას და კვლავინდელ მშვიდობიანობის აღდგენას. ეს მეცადინეობა არ მოისპობოდა მეთერთმეტე საუკუნემდე, ხოლო ამ საუკუნეს, 1053 წელს, კონსტანტინე-

პოლის სოფიის სობორში კრების დროს მომხდარმა კამათმა და შეტაკებამ სამუდამოდ განაშორა ერთი მეორისაგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკკლესია და ამიერიდან მათი ერთობა შეუძლებელად ჰყო.

თუმცა ამის შემდეგ დასავლეთ ევროპაში რამდენჯერმე კიდევ მოხდა კრება, როგორც, მაგალითად, ლატერანის (რომში)—1139 წ., ლიონსა—1274 წ., ფლორენციასა—1439 წ., რომელთაც აშკარად საბერძნეთისა და რომის ეკკლესიათა შეერთება ჰქონდათ და თუმცა ფლორენციის კრებას საბერძნეთის იმპერატორი იოანე პალეოლოგი, ბერძენთა მამანი და რუსეთის მიტროპოლიტი ისიდორე დაესწრნენ, მაგრამ მათ მოსალოდნელი ნაყოფი ვერ მოიტანეს და ეკკლესიათა შეერთება ვერ მოახერხეს. («ისტორიული სურათი ახალი აღთქმის სარწმუნოებისა—ნიკ. გრაბოვსკის, 1834 წ. გვ. 135, 136, 141, 142, 143; რომის-კათოლიკეთა ვრცელი კატეხიზმო, რომელიც რუსეთის ყველა სასწავლებლებშია მიღებული სახელმძღვანელოდ, გამოცემული პეტერბ. 1865 წ. გვ. 15, 16).

სამღვდელოთა განხეთქილება არც სომხებს ასცდათ. სომხობის ერთი ნაწილი განშორდა სხვებს და ცალკე გრიგორიანთა ეკკლესია შეადგინა, ხოლო მეორე — ისევ ძველს სარწმუნოებას დაადგა და თავის უფროსად რომის პაპი აღიარა. ეს უკანასკნელნი მაშინვე რომის-კათოლიკებად იწოდებოდნენ. კათოლიკებადვე დარჩნენ სომხეთის მეფენი, რომელთა შორის უკანასკნელი — ლეონი, აღმოსავლეთის მეომართაგან სომხების სამეფოს გაუქმების შემდეგ, რომში გაიქცა და პარიზში გარდაიცვალა.

თუმცა იმ დროს საქართველო რომის აღმოსავლეთ იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ საქართველოს ეკკლესია უკვე განთავისუფლებულ იყო და კონსტანტინეპოლის და ანტიოქიის პატრიარქს აღარ ემორჩილებოდა. ქართველებმა ამ დროს საკუთარი პატრიარქი აირჩიეს, რომელიც კათოლიკოსად იწოდებოდა და, ბერძნულის ნაცვლად, წირვა-ლოცვის შესრულება ქართულ ენაზე დაიწყეს. ამის მიუხედავად ქართველებს, განსაკუთრებით ზემო ქართლის (ოსმალეთის საქართველოს) მცხოვრებელთ, შემდეგშიაც არ მოუსპიათ რომთან კავშირი, იმ ხანებში რომაელების მოადგილეთ შავი-ზღვის

ნაპირებისა, კოლხიდასა, ლაზისტანსა, იმავე სამცხე-საათაბაგოსა და საერთოდ საქართველოში ვენეციელები და გენუელები იყვნენ, რომელთაც არამც თუ მარტო ამ ადგილების, არამედ მთლად აღმოსავლეთის ვაჭრობა-მრეწველობა ხელთ ეკავათ. სპარსეთთან ისინი ვაჭრობდნენ ერთად-ერთის გზის საშუალებით, რომელზედაც უწინ რომაელთა ლეგიონები დადიოდნენ ხოლმე. ეს გზა იწყებოდა შავს ზღვასთან და მიდიოდა დიოსკურიისა (სოხუმი), ფაზისისა (რიონი), ქუთაისისა, სვანდასა, შორაპანისა, სურამისა, ახალციხესა, ართვინისა და სხვა ქალაქებისა და სოფლებზე კიდრე სპარსეთამდე. ამ ზემო დასახელებულ ადგილებში უწინ რომაელთა მეციხოვნენი იდგნენ, რომელთა მთამომავალნი ესლა უკვე ქრისტიანობას აღიარებდნენ. შემდეგ აქ გენუელებს თავიანთი კაცები, აგენტები, ფაქტორები და მღვდლები ჰყვანდათ, რომელნიც წირვა-ლოცვას ლათინურს ენაზე ასრულებდნენ. ძველად ეს ხდებოდა ჯერ ისევ ეკლესიათა ერთობის დროს. იტალიელები მაშინ ჰბატონობდნენ არამც თუ მარტო ვიზანტიის იმპერიას და თვით კონსტანტინეპოლს, რომელიც მთელი ქვეყნის ვაჭრობის საშუალო ბაზრად გახდეს, არამედ სპარსეთისა და მთლად აღმოსავლეთისაც. («ცნობანი კავკასიის შესახებ»—ბრონევსკისა, მოსკოვი 1823 წ. ნაწილი I, გვ. 243, 248).

აი სწორედ ამ იტალიელების გავლენით, ქართველების ერთმა ნაწილმა თუმცა ძველ სარწმუნოებას არ უღალატა, მაგრამ ეკლესიის უმფროსად და მოთავედ როგორც მეფე მირიანის დროს რომის პაპი აღიარა. «ქართლის-ცხოვრების» მოწმობით, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, მეფე მირიანი და მაშინდელი ქართველები, ქრისტიანობას რომის სარწმუნოებად სთვლიდნენ, ხოლო წმ. ნინოს—რომაელად. მაშინაც კი, როდესაც ეკლესია სამუდამოდ იქმნა გაყოფილი, ქრისტიანობას საქართველოში რომის სარწმუნოებად უწოდებდნენ, ისე როგორც მას პონტიის ნაპირებზე მდებარე რომის პროვინციებში ეძახდნენ. სწორედ ასევე სომეხნიც, ეკლესიათა განაწილების შემდეგ, ორად გაიყვნენ: სომეხ-კათოლიკებად და სომეხ-გრიგორიანებად. მაგრამ ეს გაყოფა არავის გავლენით და ქადაგებით არ მომხდარა: სომეხთ თავის-თავად მოიწადინეს კათოლიკებად დარჩენილიყვნენ და თავის ნებით აღიარეს რომის პაპი უფროსად, ისე როგორც

ზოგიერთი ბერძენთა, სლავიანთა, მარონიტთა, არაბთა, ქალდეველთა, გერმანელთა და ინგლისელთა.

თუმცა ჯერ ისევ ეკკლესიათა ერთობის დროს არაბთა და ოსმალთა ხშირმა შემოსევამ განსაცდელში ჩააგდო არა მარტო ქრისტიანობა, არამედ თვით საქართველოს ბედ-იღბალიც და თუმცა ამის გამო სომხებსა და ქართველებს რომის პაპთან მისვლა-მოსვლა და საქმის დაჭერა ძალიან ეძნელებოდათ, მაგრამ მათ მაინც არ უღალატეს თავიანთ სარწმუნოებას და რომის პაპს თავი არ მიანებეს. ამ საქმეში დიდს დახმარებას უწევდნენ ქართველებსა და სომხებს გენუელები, რომელთაც უწინდელებრ აღმოსავლეთის ვაჭრობა ხელში ეჭირათ.

არც საქართველოს მეფეთ შესწყვიტეს რომთან კავშირი. თამარისა და რუსუდანის დროს საპასუხო წერილებს ჰგზავნიდნენ საქართველოში რომის პაპები: ჰონორი—1227 წ. გრიგორი—1241 წ., ნიკოლოზ IV—1293 წ., იოანე XXII—1334 წელს. ამავე პაპმა იოანემ 1339 წელს გამოგზავნა ტფილისში ეპისკოპოსი და პატრები მაშინდელ ქართველ-კათოლიკეთათვის. სხვათა შორის ეს მტკიცდება პაპ პავლესთან მეფე სიმონის მიერ გაგზავნილ წერილიდან, აგრეთვე მეფე თეიმურაზის ამავე პაპთან გაგზავნილის წერილიდან და პაპის კლიმენტის საპასუხო წერილიდან. 1628 წელს საქართველოში იყვნენ დომინიკის და ავგუსტინის ორდენის პატრები, ხოლო შემდეგ, 1661 წლიდან 1845 წლამდე, კაპუცინები (გაზ. «კავკასი» 1867 წ. № 54, წერილი მე-IV «იტალიელები კავკასიის შესახებ» და გაზ. «ივერია» 1887 წ. № 183).

ბერი-პატრი რუბრუკვისი, რომელმაც 1253 წელს კავკასიაში იმოგზაურა, მოგზაურობის აღწერაში ამბობს, რომ სომხეთში ბევრი კათოლიკეთა პატრები ვნახეო; ეს პატრები სრულიად უშიშრად სცხოვრობენ და ხშირად სომეხთა ეკკლესიებში წირვა-ლოცვასაც იხდიანო. თვით რუბრუკვისმა ნახიჩევნის ერთის ეკკლესიაში წირვა კათოლიკეთა წესით გადაიხადა. სომხებს იქ, განაგრძობს იგივე პატრი, ყველანი რომის ეკკლესიის შვილებს უწოდებენო. კანტარინს მთელი სოფლები უნახავს სომეხ-კათოლიკეთაგან დასახლებული. 1475 წელს დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის

დროს კონტარინი კათოლიკეთა ცხრა სოფელში იყო და მათ ეპისკოპოსთან ჩამოხდა, სადაც კათოლიკეთა წირვა მოისმინა (გაზ. «კავკასია» 1867 წ. № 54, «იტალიელები კავკასიის შესახებ»).

განჯაში, სადაც მრავალი სომეხ-გრიგორიანი სცხოვრობს, არის დღემდე ერთი ქუჩა, რომელსაც, როგორც ადრე, სპარსელთა მფლობელის დროს, აგრეთვე ამ რამდენისამე ხნის წინად, «პატრის-ქუჩა»-ს ეძახდნენ, თუმც იქ ადგილობრივი მცხოვრებელი კათოლიკე კარგა ხანია აღარ არის, განჯის მცხოვრებელნი კი, რუსეთის მმართველობამდე, მუდამ შიშში იყვნენ მპარსელებისაგან.

ქართულის სასულიერო ჟურნალის «მწყემსის» (30 მაისი 1890 წ. № 10, გვ. 11 და 12) სიტყვით 1099 წლიდან (ესე იგი ეკკლესიის განაწილების ორმოცდაათი წლის შემდეგ) 1187 წლამდე, იერუსალიმი ჯვაროსანთ ეპყრათ და ამ ხნის განმავლობაში ქართველები იქ თავისუფლად სცხოვრობდნენ. ქართველებს საკუთარი წმ. ჯვრის და დედათა მონასტრები ჰქონდათ, რომლებზედაც ბევრს ზრუნავდა საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი. ქართველებმა მიულოცეს კიდეც ჯვაროსანთ სარაცინებზე გამარჯვება და 1219 წელს დამასკოს აღება. ეს უკანასკნელი გარემოება თვით ჯვაროსანთ აუწყეს ქართველებს, როგორც მოკავშირეებს, რომლებიც დაჰპირდნენ ჩვენის ჯარით დაგეხმარებით დამასკოს აღების დროსაო.

1221 წელს საქართველოს მეფე ლაშა გიორგი, მრავალ თავად-აზნაურებთან ერთად, ემზადებოდა იქ წასასვლელად, სარაცინების წინააღმდეგ, მაგრამ სიკვდილმა ამ გულითადის სურვილის სისრულეში მოყვანის ნება აღარ მისცა. ჩვენამდი მოაღწია, სწერს შემდეგ ჟურნალი «მწყემსი», პაპ ჰონორი მე-III-თან გაგზავნილმა ორმა წერილმა, რომელთა შორის ერთი დედოფალს რუსუდანს ეკუთვნის, ხოლო მეორე—იმის სპასალარს იოანეს. ამ წერილებში რუსუდანი და იოანე ატყობინებენ პაპს, რომ ჯერ ისევ ლაშა გიორგის უნდოდა დაჰხმარებოდა ჯვაროსანთ და თავისის ჯარით მიშველებოდა მათ, მაგრამ სიკვდილმა დაუშალაო. გარდა ამისა ამ დროს საქართველოში მონგოლები შემოვიდნენ, ქართველებმა მათ ხელი არ ახლეს, რადგან ჯვაროსანნი ეგონათ, ხოლო როდესაც შეიტყეს, რომ ისინი ქრისტიანები არ იყვნენ, დაესხით თავს, 25,000 კაცზე მეტი ამო-

გწყვიტეთ, ბევრი ტყვედ წამოვიყვანეთ და დანარჩენნი საქართველოდან გავრეკეთო. აი სწორედ ამ გარემოებამ დაგვაბრკოლა, სწერს ბოლოს დედოფალი, რომ დახმარება ვერ აღმოვუჩინეთ ჯვაროსანთ დამიეტის აღების დროსაო.

«1224 წელს პაპა ჰონორი სწერს რუსუდანსავე, რომ იმპერატორი ფრიდრიხი საომრად ემზადება ურწმუნოთა წინააღმდეგ და იმათთან ერთად თქვენ ქართველებმაც მიიღეთ მონაწილეობაო. ამასთანავე ყველას ვინც ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს ან თავისს მაგიერ სხვას გაგზავნის, ის ინდულგენციასა ჰპირდება»—«1240 წ. დედოფალი რუსუდანივე სწერს პაპ გრიგორი IX-ს, რომ ჯვაროსანნი ქართველებთან, ერთად განდევნიან ურწმუნო მუსულმანთ, როგორც საქართველოდან აგრეთვე აღმოსავლეთის ქრისტიანეთა სხვა ადგილებიდანაო. ამის პასუხად რომის პაპი ატყობინებს დედოფალს, რომ ჯვაროსანთ საქართველოში მოსვლა არ შეუძლიანთ, რადგანაც წმიდა ადგილების გარეშემო არაბები დაბანაკებულან და ჯერ იქ უნდა წავიდნენო. დასასრულს პაპმა რვა ბერი გამოგზავნა საქართველოში. როდესაც მე-XV საუკუნეში, მაჰმად II-მ დაიპყრო კონსტანტინეპოლი, პაპი ნიკოლოზი და სხვები ბევრს ცდილობდნენ, რომ ქრისტიანეთ ომი დაეწყოთ ოსმალების წინააღმდეგ და გაენთავისუფლებინათ, როგორც წმიდა ადგილები, აგრეთვე კონსტანტინეპოლი. 1440 წელს, 22 აპრილს, ტრაპიზონის იმპერატორი დავითი სწერდა პაპს, რომ მე და ჩემი მოკავშირეები, საქართველოს მეფეები, მზადა ვართ ომი განვუცხადოთ ოსმალებს და განვდევნოთ ისინი წმიდა ადგილებიდან და კონსტანტინეპოლიდანაო. ამ წერილის გარდა ჩვენამდე მოაღწია სხვა წერილებმაც, როგორც იმპერატორის დავითისა, აგრეთვე საქართველოს მეფის გიორგისა და ყვარყვარე ათაბაგისა. დავითი სწერს რომის პაპს, რომ ჩემი მოკავშირენი იქმნებიან: საქართველოს მეფე გიორგი 60,000 ჯარით, სამცხეს ათაბაგი (ზემო ქართლის, შემდეგ ოსმალეთის საქართველოს მთავარი) ყვარყვარე—20,000 კაცით, ბედიანი (დადიანი) შვილით 60,000 კაცით და აფხაზეთის მთავარი თავისის ძმებითა და სხვა მთავრებითურთ 30,000 კაცითაო».

1459 წელს, 5 ნოემბერს, მეფე გიორგი სწერს რომის პაპს, რომ ოსმალების წინააღმდეგ შემიძლიან 40,000 კაცი გამოვიყვანოო. როგორც სჩანს, მეფე გიორგი უკვე გამგზავრებულიყო თავის ჯარით შავის ზღვის ნაპირისაკენ. იმავე წელს აფხაზეთის მთავარმა ასეთივე შინაარსის წერილი გაგზავნა რომში. მთავარი ატყობინებს პაპს, რომ მე საქართველოს მეფეებსა და მთავრებთან ერთად ვემზადები საომრადაო და თუ რომაელები საბერძნეთის მხრიდან დაეცემიან ოსმალებს, ერთის ზაფხულს უეჭველად გავათავებთ ბრძოლას, ოსმალებს გავნდევნით და ანტიოხიასა და კონსტანტინეპოლს უკანვე დავიბრუნებთო. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეფემ გიორგი მე-VIII-მ, იმისმა შვილმა ალექსანდრე I-მა, იმერეთის მეფემ ბაგრატ მესამემ, ათაბაგმა ყვარყვარე მესამემ, დადიანმა, აფხაზეთის მთავარმა და გურიის მთავარმა გურიელმა (1458—1462) («მწყემსი», 30 მაისი 1890 წ. № 10. ჟურნალი ქართველ მართმადიდებელ სამღვდელოებისათვის).

ფრანცისკის ორდენის ბერი ოდორიკა მატიუში, დაბადებით ჩეხელი, თავის მგზავრობის აღწერილობაში სწერს, რომ მე და ფრანცისკის ორდენის ოთხი კიდევ სხვა ბერი, რომის პაპის ნებადართვითა და ლოცვა-კურთხევით, გავემგზავრეთ ჩინეთს, მანჯურიაში სახარების გასავრცელებლადაო. მაგრამ 1321 წლის გაზაფხულს, როდესაც ბომბეის სამფლობელოში შევედით, დელში ჩვენ ოთხივენი და ჩვენთან ერთად თათრული ენის მცოდნე, ქართველი დიმიტრი ტფილისელი, დაგვიჭირეს და გაგვწვალესო; ხელ-ფეხი გაგვიკრეს, მაგრამ შემდეგ განვთავისუფლდითო. (გაზ. «კავკასი» 1895 წ. № 268).

საქართველოს მეფის გიორგი მეორის ძმის-წული ქაიხოსრო, ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის მოწმობით, კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებდა და კათოლიკედ გარდაიცვალა, თუმცა სპარსეთში იგი მაჰმადიანად ითვლებოდა და სახელადაც ხოსრო-ხანი ერქვა. ეს ქაიხოსრო სპარსეთის შაჰმა, მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ, 1709 წელს, 21 აპრილს, საქართველოს მეფედ დანიშნა, ხოლო ჯერ ავღანისტანში გაგზავნა აჯანყებულ ავღანელთა დასამორჩილებლად. (გაზ. «ივერია», 20 აპრილი 1890 წ. № 154, წერილი «საქართველოს მეფე გიორგი XI ავღანისტანში» —1 შენიშვნა).

პაპუნა ორბელიანი სწერს, რომ მეფე თეიმურაზ მეორის საქართველოს ტახტზე ასვლის დროს, 1744 წელს, როდესაც ის სამეფო გვირგვინის საკურთხევლად მცხეთის სობორში შეიყვანეს, ეკკლესია სავსე იყო ქართველი ეპისკოპოსებითა და მღვდლებითა. იქვე იდგნენ და გულ-მოდგინეთ ყურს უგდებდნენ სრულ შესამოსში გამოწყობილი სომეხთა და კათოლიკეთა ეპისკოპოსებიო. (გაზ. «ივერია» 31 მაისი 1890 წ. № 112).

1881 წელს, ისტორიკოსმა ბაქრაძემ ყარსის ოლქის ჩალდინის საბოქაულოს სოფელ გელში ნახა სუმბათის დროის ერთი ძველი ეკკლესია და იქვე ოთხ-კუთხი ქვის ბოძი, ქართულის ზედ-წარწერებით. ეს წარწერები ეკუთვნოდა 954, 968 და შემდეგ წლებს. სხვათა შორის აქ ბაქრაძემ აღმოიკითხა: «პატრი პოლიკარპო მონთოელი» «პატრი ბასილიოს» (იხ. «საქართველოს ისტორია» — ბაქრაძისა, 1889 წ. ტფილისი, გვ. 235).

საქართველოს უკანასკნელის მეფის გიორგი მე-XIII-ის ყველაზე დაახლოვებულ პირად იყო ტფილისის კათოლიკეთა პატრი ნიკოლა, რომელსაც ჯერ ისევ მამის, მეფე ირაკლის, სიცოცხლის დროს, თავის საუკეთესო მეგობრად სთვლიდა. მეფე გიორგის მემკვიდრე, ბატონი-შვილი დავითიც ძალიან დაახლოვებული იყო და დიდად პატივსა სცემდა იმავე პატრ ნიკოლას. რუსეთში მყოფობის დროს ბატონი-შვილს დავითს წაეკითხა ვოლტერისა და ენციკლოპედისტთა წიგნები და გარყვნილიყო იმათის აზრით; ამიტომ როდესაც სამშობლოში დაბრუნდა უგულოდ ეკიდებოდა სარწმუნოებას და ხშირად ცუდად იხსენიებდა საეკკლესიო წესებს, მარხვებს, ხატებს და სხვ. დავითის მამა მეფე გიორგი მეტად მორწმუნე და ქრისტიანე კაცი იყო და როდესაც შვილის ასეთი საქციელი გაიგო, საშინლად აღელდა. მეფე ხშირად არიგებდა ბატონი-შვილს, უჯავრდებოდა კიდეც, მაგრამ ის აინუნშიაც არ იგდებდა მამის სიტყვებს და თავისას არ იშლიდა. ბატონი-შვილის საქციელით აღელვებულმა და გამწარებულმა მეფე გიორგიმ თავის მეგობარს პატრ ნიკოლას მიჰმართა და იმას სთხოვა დახმარება. მეფე სულ წყევა-კრულვით და ცუდის სიტყვებით იხსენიებდა წმ. ჯვარისა და მაცხოვრის სახარების შემგინებელ საფრანგეთის ფილოსოფოსებს. თვით პატრი

ნიკოლა საშინლად ჰკიცხავდა იმ ფილოსოფოსებს, რომელთაც რევოლიუცია მოახდინეს და ეკლესიები მიანგრ-მოანგრიეს. ბოლოს მეფემ თვალები ზე აღაპყრა და სთქვა: «ღმერთო, დიდებულო! აპატიე ჩემ შვილს შეცოდებანი, დააყენე კეთილს გზაზე და დაამკვიდრე შენდამი სიყვარულისა ზედა; ამინ, ამინ... როგორადა მეფე იქმნება ქრისტე მაცხოვრის ჯარის მყოფელი ჩემი შვილი, რომელსაც არც დედა ღვთის-მშობელი და არც წმინდანები არა სწამს? ვაი მეფე გიორგისა» შეჰყვირა მეფემ. «თუ ღმერთი გწამს, ნიკოლა, გთხოვ, მიჰხედე ჩემს შვილს, შეაყვარე იესო მაცხოვარი, გამოიყვანე ცოდვისაგან, დაარიგე; შენ გაგიგონებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იმეფებს, დაჰკარგავს სამეფოს—ღვთის-მშობლის წილად ხვედრილ ქვეყანას. მეგობარო, ნიკოლა, შენ ვალდებული ხარ დაიცვა მაცხოვრის სწავლა, დაუბრუნე ჩემი შვილი ქრისტეს სამწყსოს!» ბატონიშვილი დავითიც პატივსა სცემდა ნიკოლას და ხშირად სიამოვნებით ისმენდა იმისს სიტყვებს და დარიგება-სწავლას. (იხ. «გიორგი მეფის ცხოვრება» თხ. პლატონ იოსელიანისა, 1867 წ. დაბეჭდილია ტფილისში, ცალკე წიგნად ჟურნალ «ივერიასთან» გვ. 85, 86).

ამ დროს ტფილისში ჩამოვიდა პატრი დამიან ანკონელი და პაპი პიი მე-VI-გან მეფე გიორგის წერილი მოუტანა. წერილში პაპი პიი VI ლოცვა-კურთხევას უგზავნის მეფე გიორგის და მადლობას უცხადებს იმ შემწეობისა და მფარველობისათვის, რომელსაც მეფე გიორგი და იმისი განსვენებული მამა მეფე ირაკლი საქართველოს კათოლიკეთ, იმათ ეკლესიებს და მონასტრებს უწევდნენ. პაპის წერილი ანუ ბულლა ლათინურიდან ქართულს ენაზედ გადმოსთარგმა აზნაურმა სტეფანე შარიმანაშვილმა. შარიმანიშვილი სარწმუნოებით კათოლიკე იყო და მეფე გიორგის ემსახურებოდა. სწავლა-განათლება იმან რომში მიიღო. მეფე გიორგის მეტად ესიამოვნა პაპისაგან წერილის მიღება. «მე ძალიანა მსურს, უთხრა მეფემ სხვათა შორის პატრს, პაპისაგან ჯვარი მივიღო, რადგან მეც ქრისტიანეთა მეფე ვარო». («ცხოვრება მეფე გიორგისა» გვ. 238, 239).

ქუთაისის მახლობლად არის ორი სოფელი: გეგუთი და პატრიკეთი. ამ სოფლებში იმერელი გლეხი-კაცები სცხოვრობენ. იმერეთის მეფეებმა ამ სოფლის რამდენიმე გლეხ-კაცი აჩუქეს ქუთაისის

მაშინდელ პატრებს, რომელთაც ისინი ემსახურებოდნენ და გადასახადს აძლევდნენ. ისინი განთავისუფლებულ იქმნენ მხოლოდ რუსეთის მთავრობის დროს, როდესაც პატრებს ხაზინიდან პენსია დაენიშნათ.

არტვინის მახლობლად, მდ. ჭოროხის ნაპირზედ, სოფელ კარზულში არის კათოლიკეთა ერთი ქვითკირის ღვთის-მშობლის ძველი ეკლესია. ამ ეკლესიის მღვდელს აქვს ქართულ ენაზე დაწერილი პერგამენტი, რომელიც ასე იწყება: «ათას ხუთას პირველ წელს, იანვრის პირველ დღეს დაწერილ არს კაფზულის ეკლესიის კონდაკი ესე». ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია პაპის სექსტის შემდეგ წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიისათვის ვის რა შეუწირავს: «ჩემის ნებით და პეტრე ხუციშვილის თანადასწრებით, მე ნიკოლოზ ხანავამ შევწირე ეკლესიასა და წმ. ღვთის-მშობლის (მიწა) ეკლესიის გარშემო წყლისაკენ, სადაც არის ბაღი, რომელსაც სასანლავო ეწოდება, კიდევ სინძეთი, ადგილი ნოკანორა, მდინარის ზემოდ; ამის გარდა კიდევ წყალთან ქვას ზემოდ ადგილი და კიდევ ქვას ქვემოთ. ქვეით არის წითელის ქვისაგან გაკეთებული ღარი, რომელზედაც წყალი მიდის, ეს წყალი შიკინოეს ხევიდან გამოდის. ამის გარდა ეკლესიის გარეშემო არის მილები წყლის გასაშვებად, ეს მილები ღვთის-მშობლის ეკლესიას ეკუთვნიან. კიდევ მე გიორგი დადიავამ შევწირე ჭოროხის ზემოდ ხინძო თავისის ბაღით, რომელიც გარეშემო აკრავს. ამის მოწმებად იყვნენ: მოწმე ვარ გიორგი არნელი, მოწმე ვარ მოურავი ციციანი, მოწმე ვარ ივანე ჭელიძე (†)». ბოლოში ჯვარია დასმული.

ამ საბუთის ქაღალდში დასახელებული ყველა გვარი და სახელი ქართულია. ეხლაც ხშირად შეხვდებით ამ გვარებს გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის. რამდენიმე დადიავა-მაჰმადიანი ქობულეთში ცხოვრობს და ქართულ ენაზედ ლაპარაკობს. (იხ. «ივერია» 1891 წ. № 156, წერილი ქობულეთიდან).

ამავე სოფელ კარზულში ცხოვრობს 85 კომლი მაჰმადიანი და ქართველ-კათოლიკეთა შთამომავალი. კარზულში ცხოვრობენ აგრეთვე იქაური ბეგები, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელ მთავართა შთამომავალნი. ეს ბეგები, თუმცა მაჰმადიანი არიან, მაგრამ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ.

მე-IX, X, XI, XII საუკუნოებში ყირიმის ნაპირები და შავს ზღვასთან მდებარე პონტიის პროვინციები გენუელების ხელში იყო. იმათვე ეპყრათ ჩერქეზთა მიწები, რომელნიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯიქეთად იყოფებოდნენ. თუმცა, თათართა და მონგოლთა ხშირი შემოსევების წყალობით, იქ 1221 წელს მაჰმადიანობა დამკვიდრდა, მაგრამ ქრისტიანობა მაინც სულ არ აღმოიფხვრა და ჯერ კიდევ ბევრი მისდევდა ამ სარწმუნოებას. მათ შორის ზოგი მართლ-მადიდებლობას, ხოლო ზოგი კათოლიკობას აღიარებდა. კათოლიკეებს ფრანგი-პატრებიც კი ჰყვანდათ. 1433 წელს ჯიქთა ერთი მთავარი კათოლიკე იყო. 1439 წელს ჯიქებს უკვე ჰყვანდათ ერთი მთავარ-ეპისკოპოსი, რომელიც თამანში (მატრიხში) სცხოვრობდა და ორი ეპისკოპოსი—საბასა და ლუკუკში. თუმცა 1395 წელს თამერლანმა საშინლად ააოხრა და აიკლო ჩერქეზთა მიწა-წყალი, ჩერქეზები მაინც მტკიცედ იცავდნენ როგორც თავიანთ სამშობლოს, აგრეთვე სარწმუნოებას. მხოლოდ 1485 წელს, გენუელების დაცემის და ოსმალების მიერ ყირიმის დაპყრობის შემდეგ, მაჰმადიანებმა აღმოფხვრეს ჩერქეზეთში ქრისტიანობა და იმის ნაცვლად ისლამი დაამყარეს.—ბეშტაუს მთებში იპოვნეს ერთი ძველი ნაშთი, რომელსაც ყაბარდოელნი დუკი-ბეგს უწოდებდნენ. ეს ნაშთი წარმოადგენს ქვისაგან გამოჭრილ კაცის ქანდაკებას, სიმაღლით 8 ფუტს. ყაბარდოელნი ამბობენ, რომ ეს ქანდაკები ქრისტიანეთა რაინდი იყოო. მაგრამ სახელწოდება «დუკი-ბეგ» აშკარად გვიხსნის იმის მნიშვნელობას. დუკი იტალიანურად ჰერცოგსა ჰნიშნავს; ყოველს ეჭვს გარეშე, რომ ეს დუკი ანუ ჰერცოგი გენუელთა ბატონობის დროს პროვინციის მმართველი ანუ ჯარის უფროსი იქმნებოდა; ხოლო სიტყვა «ბეგ»ს (თავადი) შემდეგ თათრები მიუმატებდნენ («კავკასიის შესახებ ცნობანი»—ბრონევსკისა, ნაწ. მე-2, მოსკოვი, 1823 წ. გვ. 49, 50, 51, 54).

ვ. ს. კრივენკო, თავის წერილ «სამხრეთ რუსეთის მოგზაურობა»-ში, რომელშიაც 1888 წელს კავკასიაში ხელმწიფის მობრძანებას აღწერს, სხვათა შორის, ამბობს, რომ «კავკავში, წითელ მოედანზედ, შეიკრიბა სხვა-და-სხვა ტომის ხალხი. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა მტრულის თვალით გვიყურებდა? თუმცა

ცოტა ხანია, მაგრამ ჩვენ მაინც დავამხეთ მაჰმადიანთა ბრბონი და იმ ადგილას, სად ოდესღაც **ვიზანტიისა და იტალიის მისიონერთა ქადაგება გაისმოდა**, ხელახლად გაბრწყინდა ოქროს ჯვარი. მართალია, ქრისტიანობას მაშინ ფესვები მაგრა არ ჰქონდა გადგმული, მაგრამ მცხოვრის სწავლის დასამყარებლად ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. იტალიის და ვიზანტიის რესპუბლიკათა დამხობის შემდეგ აღარავის იყო ისეთი, რომელსაც შესძლებოდა მცხოვრებლებისთვის მხარი დაეჭირა და უკვე შერყეული მათი სარწმუნოება ხელახლად განემტკიცებინა. მაჰმადიანობამ შთანთქა კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი და ყირიმის ნახევარ-კუნძულია-ო («ისტორიული მოამბე», იანვარი, 1891 წ. გვ. 153, 154).

ქრისტიანობა გავრცელებული იყო აგრეთვე ყაბარდოშიაც ჩერქეზთა შორის. ჩერქეზებს ჰქონდათ საკუთარი ეკკლესიები, რომელთა ნანგრევებმა დღემდის მოაღწიეს. ყაბარდოში ბევრი ეპისკოპოსი და მღვდელი მოდიოდა იტალიიდან. ამ მღვდლების შთამომავალნი შემდეგ თავადები და აზნაურები გახდნენ. თავად-აზნაურთაგანი ბევრი მაგენ გირგის ან მაგენ რუმის, ესე იგი ბერძენთა ან რომაელთა შთამომავლობისა იყო (იხ. ოდისეთის ხალხის ისტორია, შედგენილი შორასნაგმოვისაგან, ბერჟეს შენიშვნებით, ტფილისი, 1866 წ. გვ. 45).

იტალიელები, რომელთაც შავი ზღვის ნაპირები ეპყრათ, ვაჭრობის გარდა მადნების შემუშავებას და წარმოებასაც მისდევდნენ. ამ აზრით მათ მთა-ადგილებში ახალშენებიც კი ააშენეს. განსაკუთრებით ბევრი იტალიელი ქუთაისში იყო. მთელს კავკასიაში ლათინებსა და ფრანგებს, კონსტანტინეპოლის დაპყრობის და იტალიელების ვაჭრობის დამხობის შემდეგაც კი, დიდი სახელი ჰქონდათ გავარდნილი. თათრები მათ პატივსა სცემდნენ და ნდობით ეკიდებოდნენ. მცხოვრებლები მერეც ამბებსა და გადმოცემებში ხშირად იგონებდნენ ხოლმე იტალიელებს. ასევე იყვნენ მიღებულნი კავკასიაში ფრანგებიც. მათ კავკასიაში იმდენად სცემდნენ პატივს, რომ შემდეგი დროის მოგზაურები (Ferrand, la mot. ray, St Bell, lapinsky) განგებ ამბობდნენ ფრანგები ვართო, რომ დაუბრკოლებრივ ემოგზაურათ ჩერქეზეთში (გაზ. «კავკასია» 1867 წ. № 54 «იტალიელები კავკასიის შესახებ»).

ცნობილი მოგზაური შარდენი, მე-XVIII საუკუნეს, კავკასია-
ში მოგზაურობის დროს, სხვათა შორის, იყო სამეგრელოში, სა-
დაც ამ დროს კათოლიკეთა პატრები სცხოვრობდნენ. პატრებს იქ
საკუთარი მონასტერი ჰქონდათ. მათ პატივსა სცემდა არა მარტო
უბრალო ხალხი, არამედ თავად-აზნაურობა და სამეგრელოს მთავა-
რიც კი. შარდენმა იქ პატრების გარდა ნახა ოსმალები, რომელნიც
სამეგრელოს შეჰსყიდნენ და ტყვე მეგრელებს კონსტანტინეპოლში
ჰგზავნიდნენ. ანაკლიაში კათოლიკეთა ეკკლესია არსებობდა. ეს ეკ-
კლესია შემდეგ ოსმალებმა გაანადგურეს. ამ რამდენისამე წლის წი-
ნად მდ. ინგურის ქვიშაში ამ ეკკლესიის ზარი იპოვნეს. ზარს ლა-
თინურ ენაზედ მე-XII საუკუნის წარწერა ჰქონდა.

შარდენმა სამეგრელოს გარდა მოიარა ქუთაისი, გორი და ტფი-
ლისი; ტფილისში კათოლიკეთა პატრებმა დიდის დიდებით მიიღეს
და თავიანთ მონასტერში დაბინავეს. შემდეგ შარდენმა საქართვე-
ლოს მეფეც ინახულა. შარდენი დაწვრილებით აღწერს მეფის სა-
სახლეს მდ. მტკვრის ნაპირას და მეფის ნადიმს, რომელსაც თვით
დაესწრო კათოლიკეთა პატრ-პრეფექტთან ერთად. ეს პატრი-პრეფექტი,
სახელად რაფაელი, ქალაქ პირმიდან იყო, ისპანიის ქვეშევრდომი.
ნადიმის დროს მეფემ, როდესაც ისპანიის კოროლის სადღეგრძე-
ლო დალია, ჰკითხა შარდენს: «როგორა სცხოვრობს ისპანიის მე-
ფე, ჩემი ნათესავიო?» შარდენი ძალიან გააკვირვა ამ სიტყვებმა: ის-
პანიისა და საქართველოს მეფეები საიდან იქმნებიან ნათესავებიო?
იქ დამსწრეთ მიუგეს, რომ პაპი კლიმენტ იმე-VIII წერილში, რო-
მელიც მეფე თეიმურაზს გამოუგზავნა, ამბობს, რომ თეიმურაზი და
ისპანიის მეფე ფილიპე მეორე ნათესავები არიან, ხოლო ქართვე-
ლები და ისპანიელები—ძმები, რადგანაც, როგორც ქართველები, ისე
ისპანიელები იბერიებად იწოდებიანო. ამ წერილის შემდეგ თეიმუ-
რაზის მემკვიდრეები ძალიან ამაყობდნენ ისპანიის მეფის ნათე-
საობასაო (იხ. «ქრისტიანობა კავკასიაში», წერილი მე-V, «მოსკო-
ვის უწყებანი» 1885 წ. № 63 და «ტფილისის სიძველეთა აღწე-
რა», თხზ. პლ. იოსელიანისა, 1864 წ. გვ. 243, 244, 245).

დაღესტანში, ლეკთა შორის, იქ, სადაც წინად უსმეი ყარაჩაი-
ტახის სამფლობელო იყო, სცხოვრობს ერთი ტომი, სახელად ყა-

ბაჩაი. ზემოსენებულ პატრს რუბრიკის დაღესტანში გაუგონია, რომ ეს ყაბაჩები დასავლეთიდან აღმოსავლეთში არიან გადმოსახლებულნიო. მოგზაური ბერბერი სწერს, რომ ყაბაჩები თავიანთ თავს ფრანგებს ევროპიელებს ეძახიან. ჩვენი წინაპარნი,—ამბობენ ისინი,—ათასი წლის წინად დასახლდნენ იმ ადგილებზედ, სადაც ეხლა ჩვენა ვცხოვრობთო. აკადემიკოსი გილდენშტედტი, რომელიც მე-XVIII საუკუნეს (1770—1773) წლებში მოგზაურობდა კავკასიაში, ამბობს, რომ ყაბაჩები გენუელების-მიერ არიან დასახლებულნი, იმათი წინაპარნი ფრანგები ქრისტიანები იყვნენ და კაეებში სცხოვრობდნენ; მაგრამ ჩინგისხანის შემოსევის დროს მთებში გაიქცნენ და აწინდელს ადგილებზედ დასახლდნენ. აქ მათ თათრებმა დაუწყეს დევნა და თუმცა დიდ ხანს იმაგრეს თავი და ქრისტიანობაზედ ხელი არ აიღეს, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ მაჰმადიანობა მიეღოთო. 1781 წელს იქ სამი ეკკლესიის ნაშთიც გაიპოვნეს (გეოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა საქართველოსი და კავკასიისა, აკადემიკოსის გილდენშტედტისა, 1770, 1771, 1772 და 1773 წლებში, რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობის დროს, გერმანულიდან თარგმნილი გერმონის-მიერ. პეტერბურგი, 1809 წ. და «კავკასიის შესახებ ცნობანი», ბრონევსკისა, ნაწ. მე-II, მოსკოვი, 1823 წ. გვ. 314, 318, 319, 323).

გაზ. «მოსკოვის უწყებანი»-ში ვიდაც ს. რ., რომელიც 1884 წელს დაღესტანში ყოფილა, სწერს, რომ ყაბაჩელები, ადგილობრივ ზეპირ-გადმოცემის მოწმობით, რუმიდან (რომიდან) გადმოსული მეთოფეები არიანო. ამ ზეპირ-გადმოცემის სიტყვით, კასპიის მხრის დაღესტნის და შირვანის სამხრეთ ნაწილის ერთს მთავარს გამოუწერია რუმიდან (რომიდან) მეთოფეები და დერბენდში დაუსახლებია. შემდეგ მეთოფეებს, მტერთა შემოსევის გამო, დასახელებული ადგილებისთვის მიუნებებიათ თავი, ყაიათარის თავისუფალ მთებში წასულან და იქ ყაბაჩი გაუშენებიათ. დღესაც იქ რამდენიმე სოფელია, ამ ყაბაჩელებით დასახლებული; ისინი ევროპიელთა შთამომავლობად სთვლიან თავიანთ თავსა, ხოლო მეზობელი ლეკები მათ ფრანგებს ეძახიანო. («მოსკოვის უწყებანი» 1885 წ. № 64)

ამ საუკუნის მეოცდა-ათე წლებში საქართველოს მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის ბარონ როზენის დროს, ყაბაჩელები მალ-მალ ჩამოდიოდნენ ტფილისში, კათოლიკეთა პატრ-პრეფექტ ფილიპსა და საფრანგეთის მღვდლებთან დადიოდნენ და ეუბნებოდნენ მათ, რომ ჩვენ ფრანგების შთამომავალნი ვართო. ტფილისში და საერთოდ საქართველოში ადგილობრივ კათოლიკეებს ყველანი ფრანგებს ეძახიან. ტფილისში ყაბაჩელებს თარჯიმნობას უწევდა საქართველოს მთავარ-მართებლის ბარონ როზენის თარჯიმანი ლეკი სოსია. ყაბაჩელებმა აჩვენეს პატრს ფილიპეს ძველი ხელთნაწერები და თანაც დაუმატეს, რომ ეს ხელნაწერები დაგვრჩა ჩვენის წინაპრების ფრანგებისაგანაო, რომელნიც იმ ხალხის სარწმუნოებას ეღიარებდნენ, რა ხალხის ენაზედაც ეს ხელნაწერები არის დაწერილიო. ხელნაწერები ლათინურს ენაზედ იყო დაწერილი. ყაბაჩელები იმის მიუხედავად, რომ მაჰმადიანები იყვნენ, ისე ინახავდნენ ამ ხელნაწერებს, როგორც წმინდა რასმეს. ისინი ხშირად მთავარ-მართებელ ბარონ როზენთანაც დადიოდნენ, რომელიც ძალიან კარგის თვალით უყურებდა მათ და მუდამ დაწვრილებით გამოჰკითხავდა ხოლმე ყველაფერს. ბარონ როზენს აზრადა ჰქონდა ყაბაჩელთა შორის ქრისტიანობის გავრცელება. ამის შესახებ მას მოლაპარაკებაცა ჰქონდა ზემოხსენებულ პატრ ფილიპესთან, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ამ სურვილის განხორციელება აღარ მოხერხდა. ბარონ როზენზედ გაცილებით ადრე, 1804 წელს, საქართველოს მაშინდელმა მთავარ-მართებელმა თავ. ციციშვილმა განიძრახა კავკასიის მთებში პატრების გაგზავნა და იქ ქრისტიანობის გავრცელება. მოხუცებულების სიტყვით, მან კიდეცა სთხოვა პატრებს ცხინვალში მონასტერი აეგეთო; ამასთან დახმარებასაც დაჰპირდა, მაგრამ, თავ. ციციშვილის სიკვდილის გამო, ეს აზრიც არ განხორციელდა.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ ყაბაჩელების წინაპრებს - ფრანგებს კათოლიკეებს თავიანთი მღვდლებიც ჰყოლებოდათ. ეს მღვდლები წირვა-ლოცვას უთუოდ იმ ეკკლესიებში ასრულებდნენ, რომელთა ნანგრევები ეხლაც ბლომად მოიპოვება დაღესტანში. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც მაშინ ეკკლესიათა ერთობა იყო და ევროპას აღმოსავლეთზედ დიდი გავლენა ჰქონდა.

ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი ფურცელაძე, გაწირეთის სამების მონასტრის აღწერაში, ამბობს, რომ იყალთოს ღვთის-მშობლის ეკკლესიის შენობას ვიზანტიის ხუროთ-მოძღვრების გავლენის გარდა საკუთარი ქართული გემოვნების ბეჭედიც აზისო. ასეთი შენობანი საქართველოსთვის კი არა, ევროპისთვისაც სასახელო იქმნებოდაო. არამც თუ მარტო ხუროთ-მოძღვრება, არამედ ქანდაკებაც შესამჩნევად იყო განვითარებული მაშინ საქართველოში. მათი ნიმუშები კიდეც წარუდგინეს საარქეოლოგო კრებას, რომელიც 1881 წელს ტფილისში მოხდა. საუბედუროდ მვირფასი ქანდაკებით შემკული და ხელოვნებით აგებული მრავალი ეკკლესია განადგურებულ და მიწასთან გასწორებულ იქმნა მე-XIV საუკუნის დასასრულს თამერლანის შემოსევის დროს.— ქართველების არქიტექტურულ ხელოვნების შეცვლა-გადასხვაფერებას ბევრად ხელი შეუწყო ევროპამ, რომელსაც გენუელების შემწეობით, მალიან დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზედ. განსაკუთრებით ბევრი ნაშთი სამეგრელოსა და სვანეთში გადარჩა. მე-XVI, XVII და შემდეგ საუკუნოებში აგებულ ტაძართა შენობების დაწვრილებით გაცნობა და შესწავლა აშკარად არწმუნებს ყველას, რომ გენუელთა ხელოსანთ ბევრი ისეთი ტეხნიკური თვისება და ზოგიერთი სხვა წვრილმანი რამ შესძინეს ქართველების სახუროთ-მოძღვრო ხელოვნებას, რომელიც იტალიელთა ხუროთ-მოძღვრების საკუთრებას და თვისებას შეადგენს. ასეთი ნიშნები ეტყობა, მაგალითად, ტფილისის ანჩისხატის ეკკლესიას, ურბნისის ეკკლესიას (გორის მაზრა), წმ. ნინოს ბოდბის დედათა მონასტერს (სიღნაღის მაზრა), გაწირეთის სამების მონასტერს (ხაშმის მახლობლად) და მრავალ სხვას. გენუელ-ხელოსანთ ქართველ ხუროთ-მოძღვრებას მარტო ტეხნიკის მხრით არ გაუწიეს სამსახური. მათ მთელი ხუროთ-მოძღვრება კარგს გვალსა და ნიადაგზედ დააყენეს. გენუელებმა გაავრცელეს საქართველოში ისეთი საშენებელი მასალა, რომელსაც ქართველები არ ხმარობდნენ და რომელსაც ევროპაში დიდი სახელი და გასავალი ჰქონდა, როგორც, მაგალითად, რიყის ქვა და აგური; განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომლის სიკეთეც ქართველებმა მალიან მალე შეიგნეს. აგურის წყალობით მე-XV, XVI და XVII საუკუნოებში ქარ-

თველთა ხუროთ-მოძღვრებამ უმაღლესს წერტილამდის მიაღწია. ამ ახალმა მასალამ განდევნა ძვირად საშოვნი და ძნელად საკეთებელი თლილი ქვა, რომელსაც წინად ქართველები ხმარობდნენ.

იტალიელთა ხელოსანთაგანვე ქართველებმა ისწავლეს კირის საუკეთესოდ დაწვა და მომზადება. შედარება იმ მასალის და კედლებისა, რომლითაც არიან აგებულნი თეოდოსიისა და შავის ზღვის ნაპირებზედ მდებარე სხვა ქალაქებსა და სოფლებში დარჩენილი ციხეები და სხვა შენობანი და ზემოდ დასახელებული ეკკლესიები, აშკარად არწმუნებენ ყველას, რომ ამ უკანასკნელებზედ ევროპას დიდი გავლენა ჰქონია. ხოლო ყველაზედ ძალიან ეს გავლენა გაწარეთის სამების ეკკლესიას ეტყობა.

საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპას, გენუელთა ახალშენების წყალობით, მეტად დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოსა და იმის ისტორიაზე. სამწუხაროდ ეს საგანი სავსებით ჯერ არავისგან არ არის განხილული და შესწავლილი. ფრიად კარგი და სასარგებლო იქმნებოდა, ამბობს ზემოხსენებულის წერილის ავტორი, რომ ჩვენმა საარქეოლოგო საზოგადოებებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონო. (იხ. «ახ. მიმოხილვა», 1891 წ. № 2473, წერილი დიმ. ფურცელაძისა: «გაწარეთის სამების მონასტერი»).

კავშირი იტალიის რესპუბლიკათა და ბიზანტიის იმპერიის შორის დიდს ხნობამდის არ მოსპობილა. ვენეციელებსა და გენუელებს იმდენად უყვარდათ ბიზანტია, რომ იმპერიის გაჭირვების დღეს, 1453 წელს, 29 მაისს, გამოგზავნეს თავიანთი ჯარი გენუელის ჯოვანი ჯუსტინიანის მეთაურობით. ჯუსტინიანმა თავისის ჯარით რამდენჯერმე განდევნა ოსმალები ყველა გამაგრებულის ადგილიდან, მაგრამ ბოლოს მაინც ველარ გაუძლო ოსმალეთის ურიცხვ ჯარს და იძულებული გახდა უკან დაწეულიყო. ჯუსტინიანი მარტოდ-მარტო დარჩა, რადგანაც საბერძნეთის ჯარის უფროსმა ნოტარასმა, იმპერატორის ბრძანების და ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მხარი არ დაუჭირა მას და ამით ხელი მოუმართა კონსტანტინეპოლის დამხობას და მთლად ბიზანტიის იმპერიის გაუქმებას.

ამ რიგად კავშირი და მეგობრობა ბიზანტიასა და იტალიელთა შორის მუდამ სუფევდა. ისინი არ ერიდებოდნენ ერთმანეთს და

მუდამ მეგობრულ განწობილებაში იყვნენ. თუმცა ოსმალები, საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, მეტად გაძლიერდნენ და აღმოსავლეთის ევროპასა და ქრისტიანობას მოსვენებას არ აძლევდნენ, იტალიის რესპუბლიკებმა მაინც ხელი არ აიღეს აღმოსავლეთზედ და იქ ვაჭრობა-მრეწველობას თავი არ გაანებეს. პირიქით, დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ, მათ ოსმალეთთან ხელ-შეკრულებაც კი დასდეს, რომლის ძალით ოსმალები ვალდებულნი იყვნენ პატივით მოჰქცეოდნენ ლავანტსა და შავის ზღვის ნაპირებზე მდებარე იტალიელთა ახალშენებს. იტალიელები უწინდელებრ ვაჭრობდნენ აღმოსავლეთში და ამასთან ერთად უწინდელებრ უწევდნენ მფარველობასა და დახმარებას აღმოსავლეთის კათოლიკეებს და საზოგადოდ ქრისტიანებს.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ, როგორც რომის იმპერიის დროს, პონტის პროვინციებში დაყენებულ ჯარს, აგრეთვე შემდეგ, ოსმალების დროს, ამავე პროვინციებსა და საქართველოში მცხოვრებ იტალიელებს, საკუთარი მღვდლები ანუ პატრები ეყოლებოდათ და თავიანთი ეკკლესიები ექმნებოდათ. იმ მორწმუნეობის დროს უამისობა შეუძლებელი იყო. ყოველს ეჭვს გარეშეა აგრეთვე ის, რომ მრავალი ამ რომაელთა და იტალიელთაგანი თავისს სამშობლოში აღარ დაბრუნდებოდა და აქ ჩვენს ქვეყანაში დარჩებოდა საუდამოდ. მით უფრო შესაძლებელი და ჭკვაზე ახლოა ეს, რომ საქართველოს მეფეები დიდს შემწეობასა და მფარველობას უწევდნენ, როგორც პატრებს, აგრეთვე მკვიდრ კათოლიკეებს.

ართვინსა, აწინდელს ბათუმის ოლქში (ოსმალეთის საქართველოში), კათოლიკეთა ეპისკოპოსი სცხოვრობდა. კათოლიკეთა მთავარ-ეპისკოპოსი და ეპისკოპოსები იყვნენ აგრეთვე, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩერქეზეთშიაც. უკანასკნელ დრომდის კათოლიკეთა პატრები სწორედ იმ ადგილებში დარჩნენ, სადაც მათ მონასტრებში და ეკკლესიები ჰქონდათ მკვიდრ კათოლიკეთათვის. როდესაც მე-XV და მე-XVI საუკუნოების დასასრულს გაძლიერდა ოსმალოთა შემოსევა და საქართველოს აოხრება და, როდესაც შემდეგ ოსმალებმა სამუდამოდ დაიპყრეს ზემო ქართლი ანუ სამცხე-საათაბაგო, მაჰმადიანთ იქ მღვდლები ერთიანად ამოწყვიტეს და ცეცხლითა და მახვილით იქაურ მართ-მადიდებელთა შორის მაჰმადიანობა გაა-

ვრცელდეს. ოსმალების მალადობასა და მტარვალობას მხოლოდ ქართველი-კათოლიკენი გადაურჩნენ. ეს უკანასკნელნი ეხლაც ოსმალეთის ქართველ-მაჰმადიანთა მეზობლად, იმავე სოფლებსა და ქალაქებში სცხოვრობენ, რომლებშიაც წინად, ოსმალეთის შემოსევამდე, სცხოვრობდნენ. ამ კათოლიკებს, როგორც ზემოხსენებულის ხელთნაწერიდან სჩანს, ჯერ ისევ რომის პაპის სიქსტის დროსვე ჰყვანდათ თავიანთი პატრები, რომელნიც წირვა-ლოცვას რომის კათოლიკეთა წესზე ასრულებდნენ. მაგრამ ოსმალთა გაძლიერების და იტალიელთა გავლენის დასუსტების შემდეგ, როდესაც ევროპასთან კავშირი და მიმოსვლა შეუძლებელი გახდა, ეპისკოპოსები და პატრები ველარ ახერხებდნენ იტალიიდან ოსმალეთის საქართველოში გადასვლას და იქ სამწყსოს საქმეთა მართვა-გამგეობას. ამიტომ მე-XVI საუკუნის დასასრულიდან, პაპის ნება-დართვით, ოსმალეთის საქართველოს კათოლიკებს ართვინის ეპისკოპოსს უნიშნავდა არზრუმის სომეხ-კათოლიკეთა მთავარ-ეპისკოპოსი, რომელიც სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა იყო და რომელიც კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქს ემორჩილებოდა. ამ რიგად, ოსმალეთის საქართველოში რომის-კათოლიკეთა წესის მაგიერ შემოღებულ იქმნა სომეხ-კათოლიკეთა წესის წირვა-ლოცვა, ის წირვა-ლოცვა, რომელსაც ოსმალეთის და სპარსეთის სომეხ-კათოლიკენი ასრულებდნენ და კიდევ ასრულებენ დღემდის. ესე რომ არ მომხდარიყო და ქართველ-კათოლიკებს სომეხ-კათოლიკეთა წესები არ მიეღოთ, ოსმალეთის საქართველოში ისევე გაჰქრებოდა ქრისტიანობა, როგორც იგი აჭარასა, შავშეთსა, იმერხევსა, ლაზისტანსა და სხვა ადგილებში გაჰქრა.

სამეგრელოსა, აფხაზეთსა და გურიაში დღესაც ბევრი იტალიურ გვარს ატარებს. აქამომდე სცხოვრობენ იქ იტალიელთა შთამომავალნი აზნაურნი: ჟორდანია, ჯაკობია, ჟღენტი, ღლონტი, ბარკალაია და სხვ., რომელთაც გვარის გარდა ტიპიური სილამაზეც კი შერჩათ.

როდესაც ოსმალეთის საქართველო ანუ ბათუმის ოლქი რუსეთს შეუერთდა, ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულობის ძალით ართვინის სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსი ზაქარიანი და იმის სა-

ეპისკოპოსის კათოლიკენი რუსეთის ქვეშევრდომებად გახდნენ და ამიერიდან სარწმუნოების მხრით აღარ ემორჩილებიან არზრუმის სომეხ-კათოლიკეთა მთავარ-ეპისკოპოსს.

რაც შეეხება ქალაქებს: ტფილისსა, გორსა და ქუთაისს, კათოლიკეთა პატრები უწინდელებრ მოდიოდნენ აქ და უწინდელებრ სარწმუნოების საქმეში ხელმძღვანელობას უწევდნენ ადგილობრივ კათოლიკეებს. ეს კავშირი და დამოკიდებულება პატრებსა და მკვიდრ კათოლიკეთა შორის ბოლოს დრომდე არ მოისპობილა.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი თავის-მიერ შედგენილ სამღვთო სჯულის და საეკკლესიო ისტორიის სახელმძღვანელოში (შედგენილია უწმ. სინოდის პროგრამის მიხედვით მართლ-მადიდებელ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისათვის. 1889 წ. გვ. 190) სწერს: «როდესაც მე-IX საუკუნიდან დაწყებული დასავლეთის ეკკლესია თანდათან შორდებოდა აღმოსავლეთის ეკკლესიას და 1054 წელს სამუდამოდ განშორდა კიდეც, დასავლეთის ეკკლესია საქართველოში ჰგზავნიდა მქადაგებლებს, რომელთა წყალობით ქართველობის რამდენიმე ნაწილი უკვე იმათი სწავლის მიმდევარი გახდა. ესლაც ბლომად მოიპოვებიან ისეთი ქართველები, რომელნიც დასავლეთის ეკკლესიის სარწმუნოებას აღიარებენ. მათ ჩვენ ფრანგებს ვუწოდებთ.»

ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეები, როგორც ზევითაც არა ერთხელ და ორჯელ მოვიხსენიეთ, მუდამ ჰმფარველობდნენ და დახმარებას უწევდნენ ტფილისის, გორის, ქუთაისის და სამეგრელოს კათოლიკეთ და ეკკლესიებს, აგრეთვე პატრებს, რომელნიც მრევლისათვის საუკუნეების განმავლობაში წირვა-ლოცვას კათოლიკეთა წესზედ ასრულებდნენ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც კი, 1845 წლიდან, ტფილისის, გორის, ქუთაისის და ახალციხის პატრებს ისეთივე უფლებები ჰქონდათ, როგორიც წინად, საქართველოს მეფეების დროს. მხოლოდ 1845 წელს მთავრობამ სთხოვა პატრებს საზღვარგარედ წასულიყვნენ. ამის გამო, 1846 წელს, 12 მარტს, შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა რომის-კათოლიკეთა კოლლეგს უმაღლესი ბრძანება გორსა, ქუთაისსა და ტფილისში მღვდლების გამწესების შესახებ. ბრძანების ძალით მღვდლე-

ბი ვალდებულნი იყვნენ ქართული ენა შეესწავლათ. ამ დღიდან რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიის მღვდლებად ჰნიშნავდნენ პოლონელ პატრებს, რომელნიც წირვა-ლოცვას რომის-კათოლიკეთა სარწმუნოების წესით ასრულებდნენ ხოლმე. აშკარაა აქედან, რომ საქართველოში ყოფილან ქართველ-კათოლიკენი, წინააღმდეგ შემთხვევაში არც პოლონელ პატრებს გამოგზავნიდნენ და არც უბრძანებდნენ მათ, ქართული ენა შეისწავლეთო.

ზემოდ მოყვანილი ყველა ისტორიული ფაქტები უარს-ჰყოფენ სომხებისა და იმათ გაზეთების-მიერ გავრცელებულ ამბავს, ვითომ ქართველები მუდამ მართლმადიდებლობას მისდევდნენ და მათ შორის კათოლიკე არ მოიპოვებოდა. ასეთი აზრი ყოველ სიმართლესა და ჭეშმარიტებას არის მოკლებული. თუ კი ქართველების ერთმა მესამედმა ოსმალეთის საქართველოსა და კახეთში მაჰმადიანობა მიიღო და დღესაც ამ სარწმუნოებას აღიარებს, ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, რომ სხვა ქართველებს კიდევ კათოლიკობა მიეღოთ და იმისი წესები ესრულებინათ?

მით უფრო შესაძლებელი იყო ეს, რომ კათოლიკებს არამც თუ არავინ სდევნიდა და ავიწროებდა, არამედ, პირიქით, მეფეები და ხალხი პატივის-ცემით და სიყვარულით ეპყრობოდნენ. წარსულ საუკუნეში მეფე ვახტანგი ხშირად მიიწვევდა ხოლმე პატრებს და რაიმე საქმის შესახებ რჩევას ჰკითხავდა. პატრებმა ძალიან ბევრი დახმარება გაუწიეს მეფე ვახტანგს კანონების შედგენის და ქართული დაბადების განსილვა-შედარების დროს. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფენი, ირაკლი და გიორგი, როგორც უკვე ვსთქვით, ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე პატრებს რჩევისათვის. იმერეთის მეფე სოლომონ, მგზავრობის დროს, არასოდეს არ იძინებდა, თუ თავით თავისი ნაზირი ნანია დათიაშვილი არ ეჯდა. დათიაშვილი სარწმუნოებით რომის-კათოლიკე იყო, ხოლო ეროვნებით—ქართველი. იმის შთამომავალნი დღეს ქუთაისში სცხოვრობენ. საქართველოს უკანასკნელ მეფეებს, დედოფლებს და ბატონიშვილებს მოსამსახურეებად უმეტეს ნაწილად ქართველი-კათოლიკენი ჰყავდათ. რუსეთში გადასახლების დროს ბევრი ამ მოსამსახურეთაგანი თან გაჰყვა ბატონიშვილებს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების წლიდან დღემდე ის თავად-აზნაურნი, რომელნიც კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებდნენ, სხვა თავად-აზნაურებთან ერთად, ერთგულად ემსახურებოდნენ და ემსახურებიან რუსეთის იმპერატორს და საერთოდ რუსეთის სახელმწიფო საქმეს. ბევრს მათგანს დიდი და საპატიო თანამდებობა ეკავა, როგორც სამხედრო, აგრეთვე სამოქალაქო დაწესებულებებში. რაც შეეხება ოსმალეთის საქართველოს ქართველ-კათოლიკეთ, მათ, ჯერ ისევ ოსმალების ბატონობის დროს, დაუმტკიცეს რუსეთს ერთგულება და სიყვარული. 1828 წელს, ოსმალეთის ციხე-სიმაგრის—ახალციხის აღების დროს, მთავარ-სარდლის გრაფ პასკევიჩის და იმის ჯარის გზის მაჩვენებელი იქაური ქართველი-კათოლიკენი პავლე და გრიგოლ მეფისაშვილები იყვნენ. ყირიმის ომის დროს, 1853 წელს, როდესაც ოსმალეთის ჯარი ბორჯომამდის მივიდა და ახალციხეს შემოერტყა, იმავე ახალციხის ქართველ-კათოლიკეთ დიდი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს რუსეთის ჯარის უფროსს თავად ანდრონიკაშვილს. მათივე წყალობით დამარცხებულ იქმნა სუფლისთან ოსმალეთის ჯარი. 1877 წლის ომის დროს ახალციხისავე კათოლიკებმა მიხეილ, პავლე, სტეფანე და დიმიტრი მეფისაშვილებმა განუსაზღვრელი ერთგულება და სამსახური გაუწიეს რუსეთის მთავრობას. იმათ-მიერ შეკრებილი ცნობების და ამბების წყალობით რუსეთის ჯარმა აიღო მაგარი ციხე არდაგანი და აჭარა, არდანუჯსა და ჭოროხთან დაამარცხა ოსმალეთის ურიცხვი ჯარი.

ყველა ზემოდ ნათქვამის შემდეგ მეტად შეუფერებლად და უცნაურად უნდა ჩავთვალოთ იმ სომხებისა და ჟურნალ-გაზეთების საქციელი, რომელნიც თავგამოდებით გაიძახიან, რომ ქართველი-კათოლიკენი არსად არ არიან და საქართველოს ყველა კათოლიკენი სომხები არიანო. მით უფრო უცნაური და გაუგებარია სომხების ასეთი საქციელი, რომ ქართველ-კათოლიკებს სომხებთან საერთო არა აქვთრა და პირველნი მეორეებს სრულებით არაფრით არა ჰგვანან: არც ენით, არც ზნე-ჩვეულებებით, არც სახით და არც სხვა რითმე.

# ბიბლიოგრაფია

ბ-ნი მ. ი. სალარაძე—„ჩვენი ახალი თაობა“. ქუთაისი 1897 წ.

## I

ამ მიწურულ 1897 წლის განმავლობაში გამოსულ წიგნებში, უეჭველია, საყურადღებოა წიგნი ბ-ნი სალარაძისა, რომლის სათაური ზევით მოვიყვანეთ.

ამ წიგნში ავტორი ბევრ რამეებზე ლაპარაკობს: ჩვენს ეხლანდელს ბელლეტრისტიკა-პოეზიაზე, პუბლიცისტიკასა და კრიტიკაზე, „მესამე დასის“ მიმართულებასა და ეკონომიურ მატერიალიზმზე.

პოეზიას და საზოგადოდ ხელოვნებას, ავტორის აზრით, „მდაბალი ხარისხის ადგილი უჭირავს აზრის საზოგადო მიმდინარეობაში“. ამ აზრს რომ უფრო შუქი მოჰფინოს, მოჰყავს ავტორს თავისი წიგნიდან—„უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“ შემდეგი მსჯელობა: „კაცობრიობის პირველ ნაწარმოებს შეადგენს ხელოვნური ქმნილება, და რამდენადაც კაცის აზრი მაგრდება და ძლიერდება, იმდენად ხელოვნება სუსტდება და კარგავს თავის მნიშვნელობას“. ასეთი შეხედულობა ხელოვნებაზე მარტო ავტორს არ ეკუთვნის. ჩვენს დროს ბევრნი მოაზრენი ამცირებენ ხელოვნების როლს კაცობრიობის გონებრულად განვითარების წინმსვლელობის საქმეში. აი, მაგალითად, მაქს ნორდაუ, ავტორი გადაგვარებისა (Entartung) რასა სწერს:

„დაშორებულ (მომავალ) საუკუნეთა გონებრივს ცხოვრებაში ხელოვნება და პოეზია დაიჭერენ ძალიან მცირე ადგილს.

პსიხოლოგია იმას გვასწავლის, რომ განვითარება მიდის ინსტიქტიდან (ალღოდან) ცნობისაკენ, ემოციიდან მსჯელობისაკენ, ფანტასტიურისაგან განწესრიგებულ იდეათა ასსოციაციისაკენ... მაშასადამე, დაკვირვებას უფრო და უფრო უპირატესობა ექმნება გამოხატულობაზე და ხელოვნური სიმბოლიზმი, ესე იგი ახსნა გარეგან მოვლენათა შემცდარი პიროვნული ჩაბეჭდილებებით თანდათან ამოძევებული იქმნება ბუნების კანონთა შეგნებით. მეორეს მხრით თვით ის გზა, რომლითაც აქამომდე უვლია ცივილიზაციის განვითარებას, გვაძლევს ჩვენ წარმოდგენას იმ ბედზე, რომელიც მოელის დაშორებულ მომავალში პოეზიასა და ხელოვნებას. ის, რაიცა ითვლებოდა თავდაპირველად (პირველში) მეტად არსებით საქმედ მაღალგანვითარებულ გონებათათვის, დიდად მომწიფებულ, მართებულ (სათნოიან) და გონიერ საზოგადოების წევრთათვის ნელ-ნელა გახდა მეორე-ხარისხოვან დროს გასატარებლად და ბოლოს საბავშვო სათამაშოდაც. ცეკვა (თამაშობა) ოდესღაც სერიოზული საქმე იყო, იმას ასრულებდნენ სადღესასწაულო შემთხვევებში, როგორც პირველ ხარისხოვან სახელმწიფო აქტს, სახელოვანნი მხედარნი, მდიდრული ცერემონიებით, მსხვერპლის შეწირვისა და ღმერთთა მოწოდების შემდეგ. ახლა კი ცეკვა გამხდარა წუთიერი შესაქცევარ-გამამხიარულებელი ქალებისა და ახალგაზრდობისა, ხოლო შემდეგში კი იგი შეიქმნება მხოლოდ უბრალო გასართობი ბავშვებისა, როგორც მოგონება წარსულისა, როგორც გამოჩენა ატავიზმისა. იგავ-არაკნი და ზღაპრები იყვნენ უწინ უმაღლესნი ქმნილებანი ადამიანის ჭკუაგონებისა... ახლა ეს სპეციალური გვარია ლიტერატურისა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის გამოსადეგი. ლექსი... პირველში იყო ერთად-ერთი ფორმა სიტყვიერებისა, ახლა კი იგი იხმარება მხოლოდ წმინდა ემოციონალურ აწერილობათათვის, ხოლო სხვა მიზნისთვის მისი ალაგი დაიკავა პროზამ და თვითონ კი თითქმის შეიქმნა ატავისტურ სახედ გამოხატვისა. ჩვენს თვალ-წინ ეცემა რომანი: სერიოზულნი და მაღალ-განვითარებულნი პირნი არც კი აღირსებენ იმას თავისს ყურადღებასა,

და მას კითხულობენ განსაკუთრებით ქალები და ჭაბუკნი. ყოველ ამ მაგალითებიდან შეიძლება, რასაკვირველია, ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ხელოვნება და პოეზია გახდება წმინდა ატავიზმი და მას ფასი ექმნება მხოლოდ კაცობრიობის მეტად მგრძნობიარე ნაწილში—ქალებში, ახალგაზდობაში და, შესაძლოა, ბავშვებშიაც".

ნუ ვიწინასწარმეტყველებთ იმაზე, რაც მოხდება დაშორებულ მომავალში, და რომ **ჯერ** პოეზიასა და საზოგადოდ ხელოვნებას დიდი, ფრიად დიდი ზე-გავლენა აქვს ადამიანის გონება-გრძნობის მიმართულებაზე, ამას ყველა კარგად ხედავს.

მართლაც, სანამ ადამიანის სულს შერჩებ დღევანდელი თვისება, პოეზია-ხელოვნება არაოდეს არ დაჰკარგავს თავისს დიდს ძალასა და მნიშვნელობას კაცობრიობისათვის. იგი, ესე იგი **ჭეშმარიტი** ხელოვნება ალამაღლებს გონებას, ასპეტაკებს გრძნობას, უნერგავს ადამიანს ლტოლვილებას კეთილისადმი და ზიზღსა და სიძულვილს ბოროტებისადმი. ხელოვნება გამხეცებულ ბუნებას ადამიანისას აკეთილშობილებს და უახლოვებს ზეცას. ამიტომ მთლად მნიშვნელობას მოკლებული არ არის ბერძნების მიფი ორფეიზე, რომელიც თავის სიმღერით მხეცებს აწყნარებდა, კლდესაც ანძრევდაო. საამო და გამშვენებელი სიტყვის ძლიერებას ჩვენი ქართული ანდაზაც გვაგონებს—გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა **ტკბილად მოუბარიო.** რუსთველის აზრით, როგორც ვიცით, „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი".

ყოველი ჭეშმარიტება, ყოველი ახალი აზრი ხელოვნების შეოხებით უფრო ადვილად ვრცელდება და ეფინება ხალხში. ი. ტენი სწერს:

„სანამ ადამიანი ფიქრობს მხოლოდ თავის თავის და თავის მაგვართა მატერიალურად უზრუნველყოფისთვის, არც კი არის იგი ნამდვილი ადამიანიო. იგი შედის ნამდვილ მაღალ ცხოვრებაში, „როცა მისს ინტერესს მიიზიდავენ საუკუნო, დასაბამნი მიზეზნი, რომელზედაც დამოკიდებულია მისი და მისთა მზგავსთა ცხოვრება, როცა მას აინტერესებენ უმთავრესნი, არ-

სებითნი ხასიათნი, მმართველნი თვითეული ნივთთა შეერთებისა... იმათ მისაღწევად ჩვენ გვაქვს ორი გზა: პირველი—გზა მეცნიერებისა, რომლის მეოხებით აღმოვაჩენთ ამ მიზეზებს და ამ ძირეულ კანონებს და გამოვხატავთ იმათ სწორე და ნამდვილი ფორმულებითა და აბსტრაქტული ტერმინებით; მეორე—გზა ხელოვნებისა, რომლის შემწეობით ადამიანი გამოხატავს ამ მიზეზებს და ამ ძირეულ კანონებს ხმელი, უმრავლესობისთვის გაუგებარი და მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტებისთვის მისაწდომი განმარტებებით კი არა, არამედ ადვილ გასაგები (=საგრძნობი) ფორმით, მიმართავს რა არა მარტო გონებას, არამედ გრძნობას, გულს სულ უბრალო ადამიანისასაც. ხელოვნებას ის თავისებურობა აქვს, რომ იგი თან მაღალიც არის და თან საყოველთაოც, იგი გამოხატავს, რაც კი რამ არის უუმაღლესი, მაგრამ გამოხატავს ამას ყველასათვის".

ამავე აზრს იმეორებს ჩვენი ავტორიც, როცა ამბობს: „ამ შემთხვევაში ცხოვრების რომელიმე მოვლენის გასაგებად მეტი დრო და შრომა მოუნდება, მაშინ როდესაც იგივე მოვლენა ხელოვნურათ წარმოთქმული უმრავლესობისთვის უფრო ადვილ საგრძნობელია".

მართალია, უნდა ვსთქვათ, რომ ზემოდ აღნიშნული შეხედულობა ხელოვნებაზე უფრო კლასსიკური შეხედულობაა ხელოვნებაზე, ვინემ ჩვენ დროინდელი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ხელოვნება ჯერ დიდი ძალაა და მისი მნიშვნელობის დამცირება უდროოდ უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით ჩვენთვის.

იქნება ვინმეს სურდეს ეს ასე არ იყოს, რომ ხელოვნება მთლად განდევნილი იყოს და მარტოდ-მარტო მეცნიერებას დარჩეს ბურთი და მოედანი. შეიძლება დღითი-დღე წარმატებაში შემავალი მეცნიერების მეოხებით ერთ დროს (როდის? ეს ალაჰმა უწყის) ფსიხიური ბუნება ადამიანისა მართლაც ისე გამოიცვალოს, რომ ყოველმა გაფერადებულმა აზრმა და სიტყვამ დაჰკარგოს მის თვალში დიდი მნიშვნელობა და მხოლოდ პირდაპირ და სწორედ გამოთქმულმა ჭეშმარიტებამ მიიზიდოს

იგა. მაგრამ ადამიანის ბუნება მაგრე მალე ცვალებადი რომ არ ყოფილა, ამის საბუთად ისიც კმარა, რომ, თუმცა მეცნიერებამ თავის გაჩენის დღიდან დიდი მანძილი გაიარა წინ, მაგრამ მაინც ადამიანს, როგორც პლატონისა და არისტოტელის დროს, დღესაც შერჩა, ჩვეულებრივი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ესთეტიური მოთხოვნილება: მას მოსწონს სილამაზე და სიმშვენიერე ცხოვრებაში და ბუნებაში. მეტს სიამოვნებასა და სიტკბოებას ჰგვრის ლამაზი სიტყვა, ათასობით ხარჯავს შესანიშნავს არტისტსა და მომღერალს გაუგონოს, პირველ ხარისხოვანს მხატვართა ნაწარმოებნი შეიძინოს და სხ.

სწორედ ადამიანის სულის ამ თვისებაშია დამარხული პოეზიისა და ხელოვნების ძალაც. ხელოვნური ნაწარმოები გამოხატავს რა რამე აზრს, იძლევა ამასთანავე თავის ფორმით კმაყოფილებასაც, სიამოვნებასაც, დატკბობასაც, აღძრავს ჩვენში ემოციას,სულიერ მღელვარებას. თუ რა საშუალებით ატკბობს ხელოვნური ნაწარმოები, როგორ ჰხიბლავს იგი ჩვენს გრძნობას,—ამისი განმარტება არც ისე ადვილია და შორსაც წაგვიყვანდა... უმთავრეს საშუალებად ამისთვის უნდა ჩაითვალოს იდეალიზაცია ცხოვრებისა და ბუნებისა ნაწარმოების მშვენიერ გარეგან ფორმასთან შეერთებული.

ჩვენთვის ახლა უფრო საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: გარეგანი ლამაზი ფორმა ხელოვნურის ნაწარმოებისა თავისთავადაც იძლევა სიამთენებას, კმაყოფლებას. (თუმცა, უნდა ვთქვათ, ეს სიამოვნება, ეს დატკბობა ზეზეურია, მალე წარმავალი და ჩვენის სულის სიღრმემდე არა სწვდება). ამიტომ ყალბი აზრი, აღებული საგნად ხელოვნურის ნაწარმოებისა და მშვენიერის ფორმით გამოთქმული, ატკბობს მრავალთა გრძნობას. მაშასადამე ხელოვნურ ნაწარმოებს მხოლოდ მაშინ აქვს განმაკეთილშობილებელი მნიშვნელობა, როცა იგი შეიცავს ჭეშმარიტებას და ემსახურება მაღალს რასმე. ხოლო, როდესაც იგი ყალბს იდეაზეა აშენებული, მაშინ იგი პირიქით ჰხრწნის საზოგადოების მორალს. ლ. ობოლენსკი ამბობს: „ხელოვნება დიდი ძალაა, მაგრამ, როგორც ყოველი ძალა, ეს ძალაც ბრმაა... ემსა-

ხურება ხელოვნება კარგსა თუ ავს, ეგ დამოკიდებული იმ მხატვარ (ხელოვან) კაცზე, რომელიც ბედმა დაასაჩუქრა ამ ნიჭით. თოფ-წამალი ანუ დინამიტიც ძალაა, მაგრამ თუ საით იქნება მიმართული ეს ძალა, კეთილისკენ თუ ბოროტისაკენ, ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინც მას ხმარობს".

ბ-ნი სალარაძეც გამოთქვამს, თუმცა სხვა სიტყვებით, ამავე აზრს: „რომ ხელოვნურმა ნაწარმოებმა მიიღოს ისტორიული მნიშვნელობა საზოგადო წარმატებისათვის, აუცილებელია, რომ მისს შინაარსს შეადგენდნენ თანამედროვე ცხოვრების საუკეთესო მისწრაფებანი და მოწინავე აზრები". მართლაც, აქ საქმე ამ **საუკეთესოშია,** თორემ თანამედროვე ცხოვრების აზრები და მისწრაფებანი რომ არ გამოხატოს თავის ნაწერებში, ისე **საზოგადოდ** არც კი შეუძლია წერა მწერალსა, რადგან ხელოვნების მსახური სხვებზე ნაკლებ არ ემორჩილება დრო და გარემოების ზეგავლენას.

ისტორიული მნიშვნელობაო რომ ლაპარაკობს ავტორი, იგი აქ უნდა გულისხმობდეს მნიშვნელობას ხელოვნური ნაწარმოებისას იმ ისტორიული ხანისთვის, რომელსაც იგი ხელოვნური ნაწარმოები ეკუთვნის, როდესაც იგი დაწერილია (ხოლო დრო-ჟამის განუსაზღვრელ მნიშვნელობაზე თუ ამბობს, ამ მხრივ **ასე თუ ისე** არც ერთი **რიგიანი** ნაწარმოები არ იქნება მთლად მნიშვნელობას მოკლებული). ავტორთან კამათობის გულისთვის კი არა, სისრულისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ **არა უოდეს** ხელოვნურს ნაწარმოებს მოეთხოვება, ვგონებთ, ასე ვიწროდ გაგებული **ისტორიული** მნიშვნელობა, ესე იგი მაინც და მაინც **თანამედროვე** საუკეთესო მისწრაფებათა და აზრთა გამოხატვა, თუ იგი ნაწარმოები ხელოვნურობას არ არის მოკლებული.

ორას წელიწადზე მეტია, რაც შექსპირი გარდაიცვალა, მაგრამ მის დრამებს ჩვენს დროსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვსთ. ეს იქიდანა სჩანს, თუ რა ალტაცებით ესწრობა განათლებული ევროპა თეატრებს, როცა სდგამენ შექსპირის დრამებს. ამისი მიზეზი ის კი არ არის, რომ შექსპირის მიერ გა-

მოყვანილნი პირნი, თუ ვერწმუნეთ შექსპირის კომენტატორებს, წარმოადგენენ თითქმის ნამდვილს სურათებს დედოფალი ელისაბედის დროის კარის კაცთა. თუ შექსპირის ტიპებს განცვიფრებაში შევყევართ ახლაც თავისი სიღრმითა,—ეს უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ შექსპირი მაღლა ასულა თავის თანამედროვე ცხოვრებაზე, თავისი გენიალური შემოქმედებითი და დაკვირვებითი ნიჭის წყალობით აღმოუჩენია „ხოლმე ისეთი საკაცობრიო საყოველთაო ხასიათი, რომელსაც თვითეული ჩვენგანი ჰპოებს თავისში“. დღესაც დიდნი მწერალნი ამისთანა ხასიათს „აღმოაჩენენ ხოლმე ყოველს კაცში, **ვინც უნდა იყოს იგი და რომელ ქვეყანასა და ეპოქასაც უნდა ეკუთვნოდეს**". (ად. გაცფელდტი, თარგ. ინ-ანისა, „მოამბე“ 1897 წ. მარტ. განყ. მე-2 გვ. 22).

ავიღოთ მაგალითად ლექსი ლერმონტოვისა — „წინასწარმეტყველი“. დედა აზრი ამ ლექსისა ერთგვარად შეეფერება როგორც პოეტის დროს, ისე ჩვენს დროს, ორი ათასის წლის უკანდელს წინასწარმეტყველების დროსაც; ანუ—ლექსი გრ. ორბელიანისა „კავკასიონის მთები“. მაგრამ ვინ უარჰყოფს ამების და ათას ამათ გვარ ნაწარმოებთა ხელოვნურს მნიშვნელობასა. რამდენად ხელოვნურ ნაწარმოებში მეტი სიმშვენიერეა, მეტი ხელოვნური სიმართლეა, მეტი სულის სიმაღლეა, მეტი კაცურკაცობაა, იმდენად მეტი მნიშვნელობაც ექმნება იმასა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრზე, ვითომ ხელოვნებამ განსაკუთრებითი ყურადღება არ უნდა მიაქციოს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებასათ. სხვა ნაირად არც კი შესაძლოა მოხდეს. ხელოვნება, ტარდის სიტყვით, საშუალებაა მიზნის მისაღწევად, რომელიც (მიზანი) ცვალებადია. მხატვარს, როგორც უფრო მგრძნობიარე ბუნების პატრონს, სხვებზე უმალ აუტოკდება გული თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საგნების შესახებ. თვით პსიხიური ბუნება თავისი ნებას არ მისცემს დაუჩუმდეს თანამედროვე ცხოვრების ასეთს თუ ისეთს მოვლენას.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ხელოვნებამ თავის მიზნის მისაღწევად ხანდახან თანამედროვე ცხოვრების **პირდაპირს** ინტე-

რესებს გვერდი აუქციოს, გადავიდეს ეგრედ წოდებულ „წმინდა ხელოვნების" სამფლობელოში (ესეც იგივე ადამიანის აზრთა და მისწრაფებათა სამფლობელოა, რომელიც შეიცავს მხოლოდ უფრო ფართე კატეგორიას სივრცისას და დრო-ჟამისას) და უფრო საყოველთაო და სამუდამო საგნები მშვენიერებისა, მორალისა და სიყვარულისა თავის ნაწარმოების შინაარსად გაიხადოს,—ეს მას დიდ ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოს. აიღეთ, მაგალ., ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი".

წაიმძღვარა რა წინ, როგორც კრიტერიუმი, თავისი, ზემოთ მოკლედ აღნიშნული, შეხედულება ხელოვნებაზე. ბ. საღარაძე გადადის თვით ხელოვნების სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა დაფასებაზე. მაგრამ სანამ ამას დაიწყებდეს, მას საჭიროდ მიაჩნია გამოარკვიოს, „თუ რა მდგომარეობაშია ეხლა ჩვენი ხალხი, ჩვენი ცხოვრება, რაში გამოიხატებიან ამ ცხოვრების ნაკლულევანებანი და იმისი უმთავრესნი მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი". (გვ. 31).

თუმცა ამ გამორკვევიდან მკითხველი ძალიან მკრთალად თუ დაინახავს, რა მდგომარეობაშია ახლა ჩვენი ხალხი და ჩვენი ცხოვრება, კიდევ უფრო ნაკლებ ხედავს, თუ რა შეადგენს ამ ცხოვრების ნაკლულევანებას და მისს უმთავრესს მოთხოვნილებასა და მისწრაფებას.

ახალ ბელლეტრისტებში ავტორს ყურადღების ღირსად უცვნია ე. ნინოშვილი და დ. მეგრელი. დ. მეგრელში ავტორი ვერ ჰხედავს ვერც პოეტურ ნიჭს და ვერც შემოქმედებითს ძალას და როგორც მისი ლექსები, ისე ბელლეტრისტული ნაწერებიც ძალიან სუსტად მიაჩნია. დ. მეგრელი (ესეც შეგვიძლია თამამად დავასკვნათ ავტორის მსჯელობიდან დ. მეგრელზე) გამოუყვანია სამწერლო ასპარეზზე არა ბუნებითს ხელოვნურს ნიჭს, არა საზოგადოების სამსახურს, არამედ პატივ მოყვარეობისა და განდიდების ძიების სურვილსა. რამდენად მართალია ასეთი შეხედულობა ავტორისა დ. მეგრელზე, ამის გარჩევა მკითხველისთვის მიგვინდვია.

ე. ნინოშვილი, ავტორის აზრით, „ბევრად მაღლა სდგას დ. მეგრელზე, როგორც შემოქმედებითი ძალით, ეგრეთვე უმე-

ტესად თავისი ნაწარმოების შინაარსით და უმთავრესი მიმართულებით (79 გ.). რას ეძახის აქ ავტორი **უმთავრეს მიმართულებას**,—არ ვიცით. ბ. სალარაძე, ლაპარაკობს რა ახლანდელ ბელლეტრისტებზე, ხმას არ იღებს შ. არაგვისპირელზე, და გვიკვირს, რად არ იცნო ეგ მწერალი ღირსად თავის ყურადღებისა. მით უფრო, რომ ბ. სალარაძე ხელოვნურ ნაწარმოების გარეგნულ სიმშვენიერეს, გარეგან ფორმას დიდს მნიშვნელობას აძლევს და ამ მხრივ ბ. შ. არაგვისპირელი ხომ არ ჩამოუვარდება ზემო დასახელებულ მწერლებს.

II

ავტორი ბოლოს გადადის ეკონომიურ ან დიალექტიურ მატერიალიზმზე. იგი სამართლიანად ეთანხმება ბბ. ნ. ჟორდანიას, სილ. ჯიბლაძეს და სხვებს, მის მიერ „მესამე დასის“ მწერლებად წოდებულებს, რომ ჩვენშიაც კაპიტალისტური წეს-წყობილება უსათუოდ უნდა დამყარდეს. ხოლო იმ აზრში კი ვერ ეთანხმება ეკონომიურ მატერიალისტებს, ვითომ ეკონომიური მხარე იყოს მთავარი მხარე ცხოვრებისა, რომელზედაც, როგორც საძირკველზე, დამყარებული იყოს: პოლიტიკური, გონებრივი, რელიგიური და სხვა მხარეები ცხოვრებისა. ავტორის აზრით, გონებრივი და მატერიალური მხარეები ერთსა და იმავე დროს მოქმედობენ და იმათი განცალკევება შეუძლებელია (114 გვ.). „**უმთავრესი შინაარსი მსოფლიო ისტორიისა მდგომარეობს ადამიანთა გონებრივ და მატერიალურ მოთხოვნილებებში, რომელთა დაკმაყოფილება და განვითარება წითელი ძაფივით მიჰყვება მთელს კაცობრიობის არსებობას** (115 გვ. ხაზ. გასმული ავტორისაა). „ყოველი დროის ადამიანის ცხოვრება და არსებობა დამყარებულია ამ ორ მოთხოვნილებებზე, რომელნიც ყოველთვის ერთს და იმავე დროს მოქმედობენ. ეგ არის, ჩვენის აზრით, შეურყეველი ჭეშმარიტება, რომელიც მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზედ არის დაფუძნებული“ (გვ. 116).

რომ ადამიანის ცხოვრებას აქვს არა მარტო მატერიალური მოთხოვნილება, არამედ პოლიტიკური, გონებრივი, სქესებრივი და სხ. ამას, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არ უარჰყოფს არც ერთი ეკონომიური მატერიალისტი. საქმე იმაშია, ეკონომიური მიზეზი ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, ესა და ეს მდგომარეობა საწარმოო ძალთა და წარმოების ურთიერთობა აძლევს **საზოგადოდ** ამა თუ იმ მიმართულებასა და ფერს გონებრივსა და სხვა მხარეებს ადამიანის ცხოვრებისას, თუ პირიქით ასეთი თუ ისეთი გონებრივი მდგომარეობა გამოიწვევს ამა თუ იმ ფორმას ეკონომიური ურთიერთობისას. სხვა სიტყვებითა: ისტორიულ პროცესში უმთავრეს ფაქტორად საბოლოვო რიგზედ ეკონომიური ფაქტორი უნდა ჩაითვალოს, თუ გონებრივი? ავტორი გვეუბნება, ორივე ერთსა და იმავე დროს მოქმედობენო, და ამგვარად ამ საკითხს განზე სდებს და აუხსნელს სტოვებს *).

ასეა თუ ისე, როგორც დავინახეთ, ავტორი აძლევს გონებას, ინტელლექტს ეკონომიურ მხარესთან თანაბარ მნიშვნელობას. რაკი გონებას შერჩა როლი ისტორიულ პროცესში, ახლა მით უფრო თამამად შეგვიძლია ვიკითხოთ: რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი დროის მოღვაწეობა?

„უმთავრესი ყურადღება ყოველი მოღვაწისა უნდა იყოს მიქცეული სულიერ და ეკონომიურ მოთხოვნილებებზე, რომელნიც შეადგენენ ქვა-კუთხედს მთელი კაცობრიობის განვითარებისას (118 გვ.). ვსთქვათ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეგ ხომ ზოგადი და გამოურკვეველი აზრია. უფრო საყურადღებოა ამ მოყვანილი ადგილის ზემო სტრიქონები:

„ადამიანმა მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს, გაადვილოს და მოაახლოვოს ის მდგომარეობა, რომელიც თავის დროზე მაინც კი უნდა დამკვიდრდეს.“ ეს ზოგადი აზრიც უფრო გარკვევით გამოთქმული ემჯობინებოდა. ახლა კი ამ აზრს მხოლოდ ზოგიერთის განსაზღვრით თუ შეიძლება დავეთანხმოთ.

---

*) ლაკომბი გონებრივს ფაქტორს სულ მცირე როლს აძლევს ისტორიულ პროცესში (ნახე მისი შეხედულება ამ საგანზედ „Русск. Мысль“ 1895 წ. ივნისის წიგნში, სტატია—ისტორია, როგორც მეცნიერება, ი. ქ.

სახელოვანი ლინგვისტი სეისი ამბობს: „ჩვენ შეგვიძლიან საზოგადო კანონად მივიღოთ, რომ, როცა ორი ერი ცივილიზაციის ერთსა და იმავე ხარისხზედ მდგომნი, ერთმანერთს დაუახლოვდებიან, მოერევა ენა იმ ერისა, რომელიც უფრო მრავალ-რიცხოვანია...“

როგორ უნდა მოიქცეს საზოგადო მოღვაწე უფრო ნაკლებ-რიცხოვანის ერისა, იმ შემთხვევაში, თუ ზემო მოყვანილი ტირადა სრულს და შეურყეველს ჭეშმარიტებას შეიცავს?

ავტორის რჩევა-დარიგებას თუ გავყევით, მოღვაწემ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს, გაადვილოს და მოაახლოვოს ის მდგომარეობა, რომელიც **თავის დროზე** მაინც ქე უნდა დამკვიდრდეს, ესე იგი, რაც შეიძლება, მალე აღიგავოს დედა-მიწის ზურგიდან ენა უფრო ნაკლებ-რიცხოვანის ერისა. ჩვენის აზრით კი სრულიად წინააღმდეგ უნდა მოიქცეს იგი. ამაზედ ჩვენ აქ სიტყვას არ გავაბამთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ, სხვა არა იყოს-რა, ისტორია მატარებელი ხომ არ არის, რომ რაც უმალ ჩაბრძანდებით ბოლო სტანციამდის — ის სჯობდეს. ცხოვრება თვით ამ ბრძოლა-თანხლებულ მსვლელობაში მდგომარეობს.

ავტორს სოციალურ-ეკონომიური საგანი აქვს სახეში, და სხვა სფერიდან მაგალითის მოყვანა აქ რა მოსატანიაო, — გვეტყვიან. საქმეც იმაშია, რომ მას, როგორც ზევით დავინახეთ, საზოგადო ფორმით აქვს გამოთქმული თავისი აზრი. მაგრამ გადავიდეთ იმ საგანზე, რომელიც ახლა უფრო აინტერესებს ავტორს, ე. ი. კაპიტალიზმზე.

კაპიტალისტური წეს-წყობილება ჩვენშიაც უსათუოდ უნდა დამყარდეს. მაშასადამე საზოგადო მოღვაწე ხელს უნდა უწყობდეს კაპიტალიზმის განვითარებას, რადგან იგი თავის დროზე „ქე უნდა დამკვიდრდესო“, გვეუბნებიან. მართლაც, რაკი კაპიტალიზმი ამზადებს ეკონომიურს და კულტურულს ნიადაგს, რომელზედაც უნდა დამყარდეს შემდეგი უმაღლესი სტადია კაცობრიობის განვითარებისა, საზოგადო მოღვაწე, — გამოდის, — ხელს უნდა უწყობდეს კაპიტალიზმის განვითარებას თავისს ქვეყანაში, უნდა ცდილობდეს „მოაახლოვოს“ იგი. არა? ამ კი-

თხვაზე, ვგონებთ, ჰოც ითქმის და არაც; უნდა ცდილობდეს, და არც უნდა ცდილობდეს. დავანებოთ თავი იმასაც, რომ დაახლოვება თუ დაშორება რომელისამე ეკონომიურის მოვლენისა მოღვაწეებზე იმდენად არა ჰკიდია. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ კაპიტალიზმის განვითარებას ბევრ სიკეთესთან (სხვათა შორის მეცნიერება და, განსაკუთრებით, ტეხნიკა ვერ აღვიდოდნენ თავისს ეხლანდელ დონემდე) თავისი ცუდი მხარეებიცა აქვს. ნუ თუ საზოგადო მოღვაწე ამ ცუდი მხარეების განვითარებასაც **შირდაპირ** და კერძო შემთხვევებში ხელს უნდა უწყობდეს? იგი, ჩვენის აზრით, ეცდება (ნაყოფიერად თუ უნაყოფოდ,—ეგ აქ სულ ერთია ჩვენთვის) კაპიტალიზმის კარგი მხარეების განვითარებას, ცუდი მხარეების აცილებას.

წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტურის წარმოების განვითარებისთვის საჭიროა ჩვენი ხალხი ჯერ ისე დანაწილდეს, როგორც ეს არის უმაღლესს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამისთვის ერთი წილი ქართველობისა უნდა დარჩეს უმამულ-დედულოდ, მან უნდა დაჰკარგოს საკუთარი მიწა-წყალი, სახლ-კარი, უნდა მოსწყდეს საკუთარს კერას და ქალაქებად და ფაბრიკებსა და ქარხნდებში უნდი გადვიდეს მუშებად, იმისი ადგილ-მამული მსხვილ მესაკუთრეთა ხელში გადავიდეს, მოკლედ, უნდა მოხდეს ექსპროპრიაცია წვრილ-წვრილ მემამულეთა. რა უნდა გააკეთოს აქ საზოგადო მოღვაწემ? ხომ უნდა იდგეს იგი სოფლის ღარიბ-ღატაკთა მხარეზე და იცავდეს იმის ინტერესებს? ხომ უნდა ცდილობდეს იგი, რომ ისინი არ დარჩნენ უმიწაწყლოდ? და თუ მაინც და მაინც ეს აუცილებელია, ხომ უნდა ცდილობდეს,—რომ ეს მათთვის უფრო ადვილ ასატანი იქმნას, რომ ეს მათთვის უფრო გამოსადეგ პირობებში მოხდეს? (ნახ. ბელტოვი 260—261).

მართალია, შეიძლება ყოველმა ასეთმა მოღვაწეობამ, თუ ბელტოვს ვერწმუნეთ, კიდევ უფრო დააჩქაროს კაპიტალიზმის განვითარება[1]). თუნდ ეს ასეც იყოს, მაინც ასეთს მოქმედებას

---

*) თუმცა ცხადად ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ დააჩქარებს, მაგალითად, წვრილ-წვრილ (სოფლის) მრეწველობათა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს ის გარემოება. რომ, მაგალითად რუსეთში მთავრობა ეხმარება წვრილ მრეწველებას, იკვეთავს ბლოგად მათს ნაწარმოებებს და სხ.

ცნობიერად კაპიტალიზმის **ყველა ელემენტების** განვითარებისადმი მიმართული მოღვაწეობა არ დაერქმის

ასე თუ ისე, ბ. სადარიძის წიგნში სრულიად არ არის გამორკვეული, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი დროის მოღვაწეობა. იგი იმისთანა ზოგად აზრებს იმეორებს, რომლებიც სრულიად არ ეხმარებიან **ჩვენი ქვეყნის ადამიანის მოღვაწეობის წესისამებრ მიმართვას** (113).

მაინც ეკონომიურ მოვლენათა ცვლილების საქმეში, მოღვაწეებს **მარტო** ბევრი არა შეუძლიანთ რა გააკეთონ **მიდამარ** დაჩაგრულის კლასის სასარგებლოდ, რასაც ეგ უკანასკნელი თვითონ თავისთვის არ გაიკეთებს. იმათ (მოღვაწეთ) შეუძლიანთ დაჩაგრულ კლასში, მაგალითად პროლეტარიატში, თვით ცნობიერების, თვით შეგნების გავრცელება-განვითარება. ამ უკანასკნელ გარემოებაზე ჩვენს მწერლობაში ყველაზე უწინ მიგვითითა, როგორც გვახსოვს, ბ-ნმა ხომლელმა. მადლობა ღმერთს, აქაც ბევრი საქმე დარჩენია ინტელიგენციას და, ვისაც საზოგადო სამსახურის სურვილი გულში უღვივის, ტყუილად ნუ მიეცემა ქვიეტიზმსა, ვითომ აქ არა დამრჩენია-რა მე გასაკეთებელიო.

კაპიტალიზმი უნდა დამყარდეს, იგი ფეხმარდად იზრდება და სხვ. ამისთანების ძახილი ხომ ბევრს არას მოასწავებს. იგი ჩვენდა დაუკითხავად შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენ ვერ გავაგდებთ იმას, სანამ მეორე კარში არ გაბრძანდება.

საზოგადოდ ხომ ყოველი მოღვაწე დრო და ადგილის გარემოებათა მიხედვით ანუ იმ ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, რომელშიაც იმყოფება ესა და ეს ერი, უნდა მოქმედებდეს. არა თუ კერძო მოქმედებას, თვით ადმინისტრაციამთავრობის მოღვაწეობასაც მხოლოდ მაშინ შეუძლია ხელი შეუწყოს რომლისამე სასურველი ეკონომიურის მოვლენის განვითარებას, როცა ამ მოქმედებით იხატება „თვით ცხოვრების

განვითარებისგან გამოწვეული (უახლოესი) საზოგადოებრივი მოთხოვნილება". თუ გერმანიაში დღეს ცდილობენ ორგანიზაციასა და განწესრიგებისათვის მუშათა დაზღვევისა (ავადმყოფობისა, მოხუცებულობისა, უსაქმობისა და სხვ. შემთხვევათათვის), ჩვენში ხომ ასეთი მოქმედება **დღეს** ჩვენის ქვეყნის მუშა ხალხის მდგომარეობისათვის ცოტა ნაადრევ და შეუფერებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენში ეხლა ეკონომიურის მხრით ერთს საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს შემდეგი გარემოება: ახლა აქ მიწა ერთთა ხელიდან მეორეთა ხელში გადადის (რასაც ბ-ნი სალარაძეც იხსენიებს, გვ. 47), უმიწა-წყლო გლეხები წვრილ-წვრილად ყიდულობენ მიწებს თავად-აზნაურობისაგან. ესენი საკუთარის ხელით ამუშავებენ მიწას. სხვა ნაწილი მამულებისა გადადის უფრო შეძლებულ „ფულიან" პირთა ხელში. ესენი „თავის ხელით" კი არ მუშაობენ, არამედ ნაქირავების ხელით მისდევენ მეურნეობას, ან იჯარით აძლევენ სხვებს, ან და მეტ ფასად ჰყიდიან ისევ გლეხობაზე. თუ ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის საჭიროა, რომ სოფლის მუშა მოკლებული არ იყოს უმთავრესს სახსარს შრომისას, სამართლიანობა მოითხოვს, რომ გასაყიდი მიწები პირდაპირ მშრომელთა ხელში გადადიოდეს, და არა ჩარჩებისაში, რომლებიც აჩერებენ მიწებს, რათა მარჯვე დროს ორ წილ მეტ ფასად გაჰყიდონ იმავე მშრომლებზე. ჩვენში ხომ არ არსებობს ისეთი რამ დაწესებულება, რომლის შუამავლობით ის მსხვილი მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობით იყიდება, ნაჭრებად გლეხ-კაცთა ხელში გადადიოდეს, დაწესებულება, რომლის საჭიროებაზე ამ რამდენისამე წლის წინად მიგვითითა ბ-ნმა ნიკოლაძემ. ერობა რომ ყოფილიყო ჩვენში შემოღებული, ამ მხრივაც ცოტა რამეს კი გააკეთებდა იგი. მიწათ-მფლობელობის განწეს-რიგებას იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ ჯერ დიდ ხანს საერთაშორისო ეკონომიურ ბრძოლაში თავი მეურნეობით უნდა გაიტანოს.

გარდა ამისა თუ მშრომელთა ხელს ასცდა გასაყიდი მამულები, ვინ გვითავდებებს, რომ იგინი ჩვენსავე ქვეყნის კაპი-

ტალისტების ხელში მოექცევიან, და არა სომხები და სხვ. თეს-ლის ფულიანები დაესაკუთრებიან. ეს მით უფრო საფიქრებე-ლია, რომ როგორც ვიცით, ფული ეროვნობას არ არჩევს. როცა უცხო თესლთა კაპიტალისტები დაიჭერენ ჩვენის ქვეყ-ნის მრავალ ადგილებს, საფიქრებელია (ასეთი დასკვნის საბუთს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის საქმეებიც გვაძლევს და ჩვენის ქვეყნის დასავლეთის ნაწილიც), თავიანთისავე ნაციის წარმომადგენლები დაამკვიდრონ იმეებზე, რასაც ბევრი შედეგი მოჰყვება...

როცა ქართველობა დაჰკარგავს ისედაც მცირე მამა-პაპეუ-ლი ტერრიტორიის დიდ ნაწილს, როცა მას ოდნადაც გამო-ეცლება ფეხქვეშიდან საქართველოს მიწა-წყალი და ნიადაგი, მაშინ მისი, როგორც ეროვნების, არსებობა შეუძლებელად მი-გვაჩნია.

განა ასეთმა შიშმა არ შეაერთა პოლონელები, როცა ბის-მარკმა მოიწადინა პოლონეთის მსხვილ მემამულეთა მიწების სა-ხელმწიფო ხარჯზედ ყიდვა და მუნ გერმანელების დასახლება პოლონელთა გასაგერმანელებლად? განა ასეთმა გარემოებამ არ გამოიწვია — „პოლონეთი პოლონელთათვის?" მაშასადამე, რო-ცა **ქართველობას** ვამბობთ, უნდა ვგულისხმობდეთ საქართვე-ლოს მიწა-წყალს ქართველების ხელში.

ბ-ნი სადარაძე თავის წიგნის ბოლოში აღნიშნავს, რომ ბ-ნ ჟორდანიას (ავტორი, „მესამე დასის" მწერლებიო, ამბობს, მაგრამ, როგორც ვიცით, ეროვნულ პრინციპს მარტო ბ-ნი ჟორდანია შეეხო) ნაწერებში ეროვნული პრინციპი საკმაოდ ვერ არის გამორკვეულიო.

## III

რაც შეეხება ენას ავტორისას, უნდა მოგახსენოთ, რომ ავტორი ცდილა ადვილ-გასაგები, წმინდა ლიტერატურული ენით დაეწერა თავისი თხზულება. სიმართლე მოითხოვს ესთქვათ, რომ მას ზოგადში თავის სურვილი კიდეც განუხორციელებია,

თუმცა ორიოდე ძნელ გასაგებს და არა-სწორე ფრაზებს წავაწყდით ბროშურაში. მაგალითად, ავტორი ამბობს: „ამათი (მწერლების) აზრით, სრულიად საკმაო არის ცხოვრების მდგომარეობაზე ბაასი და მოლაპარაკება იმგვარს მოვლენაზე, რომელიც ეხლანდელი ცხოვრების სინამდვილეს შეადგენს“ (გვ. 72).

აქა-იქ ავტორს პროვინციალიზმიც ვერ აუცილებია. იგი სწერს: „სანამ ადამიანი თავის მზგავსთ დაუახლოვდებოდა და შეუერთდებოდა, მან (თუ ის? იგი?) უთუოდ გამოცდილებით დარწმუნდა...“ (გვ. 113, სტრ. მე-4 ზევიდან). კიდევ: „მან დარწმუნდა, რომ კაპიტალისტ. წეს-წყობილება ბადებს...“ (გვ. 109, სტრ. 15 ზევიდან).

ავტორი თავის წიგნის მე-44-ე გვერდზე ამბობს:

„ისტორიაში არ შეიძლება იმგვარი კანონები იყოს გამორკვეული, როგორიც შესაძლებელია ბუნების მეტყველებაში, ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენათა ახსნაში. კანონი მათემატიკისა, ანუ სხვა ბუნების-მეტყველებისა იმგვარი თვისებისაა ყოველთვის, რომ . . . . . . არაოდეს არ განმეორდებიან (გვ. 44—45). მეორე ალაგას, ამბობს რა „ჩვენ ზევით ერთ ალაგას მოხსენებული გვქონდაო, რომ ისტორიაში არ შეიძლება . . . . და სხვ. მოჰყავს სიტყვა-სიტყვით ცამეტივე სტრიქონი (იხ. გვ. 99—100).

ჩვენის აზრით, ამისთანა პატარა წიგნისათვის ასეთი ტავტოლოგია, ამოდენი სტრიქონების სიტყვა-სიტყვით განმეორება სრულიად საჭირო აღარ არის.

ბ-ნი სალარაძე ყოველი წერტილის შემდეგ ხმარობს ასომთავრულს, დიდ ასოს (ანბანს). დიდივე ასოთი სწერს ადამიანთა სახელებსაც. არც „ივერია“, არც „კვალი“ და არც „მოამბე“ ამ შემთხვევაში დიდ ასოს არა სწერენ. მხოლოდ საყმაწვილო წიგნებში ხმარობს დიდ ასოებს ბ-ნი გოგებაშვილი, თუმცა, ჩვენის აზრით, ეგ არც იქ გახლავს საჭირო. ყოველ შემთხვევაში ეგ საგანი ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეული უნდა იყოს. რაკი რუსულში აგრეა, ჩვენც ეს შემოვიღოთო,

—ეს საკმაო საბუთი როდია. ყველაფერში წაბაძვაც არ ვარგა. ამ მიბაძვას თუ მივყევით, გერმანულში ხომ თვითეული სახელი არსებითი იწერება დიდი ასოთი. ნუ თუ ეს ჩვენც უნდა შემოვიღოთ?

ბ. სალარაძის წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს ორი აბაზი.

პ. ჭ—ია

## რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1. **დიდ-მოურავიანი ანუ გიორგი სააკაძის ცხოვრება,**— ისტორიული პოემა ავტორის მოკლე ბიოგრაფიით და წინასიტყვაობით,— თხზულება იოსებ თბილელისა. გამოცემა ამხ. ი. იმედაშვილისა და ს. ჭყონიძისა, № 6. ტფილისი, 1897 წ. ფასი 30 კაპ.

2. **თვით-მასწავლებელი ფრანგული ენისა,** — გამოცემა გ. ი. მაქანდაროვისა და გ. ს. მერაბაძისა. ბათომი, 1897 წელს, ფასი 75 კაპ.

3. **ქებახან,**—პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან,—თხზულება თ. კოწია დადიანისა. ქუთაისი, 1897 წ. ფასი ორი შაური.

4. **ჩვენი ძველი გმირები,** — თხზულება გ. წერეთლისა.— «კვალის» პრემია. ტფილისი, 1898 წ.

5. **ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე,**— კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა. გამოცემა ამხ. ს. ჭყონიძისა და ი. იმედაშვილისა, № 7. ტფილისი, 1897 წ. ფასი ერთი აბაზი.

რედაქტორი
**ალექსანდრე ჭყონია.**

გამომცემელი
**ალექსანდრე ჯაბადარი.**

## შინაარსი 1897 წლის «მოამბის» ნომრებისა


**აბაშიძე გრ.**—მგოსნის ჩანგი—ლექსი (I).
— ეჭვი განდგომილისა—ლექსი (III).
**აბაშიძე კიტა**—ცხოვრება და ხელოვნება.—ჩვენი ახალგაზრდობა (VII, X).
**ამირანის შვილნი.**—ისტორიული რომანი, თარგმანი. (XI, XII).
**არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ.**—თარგმანი (XII).
**არაგვისპირელი შ.**—«ღირსი ვარ ამისი, ღირსი!..»—ეტიუდი (III).
— იუდა—სააღდგომო ეტიუდი (V).
— «...სულ ერთია!..»—ეტიუდი VI.
**ბარნაბოვი მღ, დავით**—ცნობა ხალხის გამრავლების შესახებ გავთისხევის სამრევლოში (XI).
**ბიორნსონი**—ერთი შეშლილობის ამბავი—თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა (IV).
**ბოლქვაძე შ.**—პესსიმიზმი ქართულ ლიტერატურაში. დ. გურამიშვილი (X).
**ბოცვაძე ლ.**—პედაგოგიური განყოფილება სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიჟნი ნოვგოროდში (I, II).
**ბრჭყალები**—დრამა სამ მოქმედებად, თარგმანი ი. მ—ანისა (II, III).
**ბუქურაული ივ.**—ტბათანიდან წოვათამდე—მგზავრის წერილები (VIII, IX).
**გაცფელდტი ადოლფ**—ძირითადი კანონები სალიტერატურო კრიტიკისა—თარგმანი ინ-ანისა (III, IV).
**გესვილლერი**—ოქროს წარწერა—ამბავი ელზასელთა ცხოვრებიდან, თარგმანი ს.—ძისა (VIII).

**გვათუა აქსენტი** — წერილი სტამბოლიდან — საკომერციო სასწავლებელი (XI).
**გიუ-დე-მოპასანი** — სარდლის აზრები — ფრანგულით S-ასი (I)
— მარტოობა — ამბავი, თარგმანი ილ. გ—ძისა (V).
— მაწანწალა — თარგმანი თ. სახოკიასი (VII),
**გიუოს აზრები შესახებ ზნეობისა და აღზრდისა** — თარგმანი ბეს. სა—ლისა. (V).
**გოგებაშვილი ი.** — ჩვენის თავად-აზნაურობის განათლების შესახებ (VIII).
**დუტუ-მეგრელი** — თ-დ ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანი — ნეკროლოგი (I).
**ევრიპიდე** — მედეა — ტრაგედია, თარგმანი (VII, VIII).
**ეკალაძე ია.** — დაუდეგარი — წერილი მეგობართან (X).
**ელიოზიშვილი კ.** — შავი-ჭირი (ყამი) და მის წინააღმდეგ საბრძოლი საშუალებანი (IX).
**ერისთავი ან.** — მოლიპულ გზაზე — მოთხრობა (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და IX).
**ერკმან-შატრიანი** — გლეხი-კაცის ისტორია — თარგმანი ი. მაჭავარიანისა, ნაწილი პირველი, (I, II, III, IV, V), ნაწილი მეორე (VI, VII, IX, X, XI, XII).
**ეყული შ.** — რა არის ომი? (I).
**ესხილე** — მიჯაჭვული პრომეთე — დრამა (V, VI).
**ვაჟა-ფშაველა** — «მთათ მიისრეს...» — ლექსი (VI).
— ცრემლები — ლექსი (VII).
— სიმღერა — ლექსი (X).
— მზე და ვარსკვლავები — ლექსი (XII).
**ვაშაკიძე ე.** — დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე (XI).
**ზოლა ემილ** — ...გამარჯვება ჩვენია! — მოთხრობა, თარგმანი X-სა (VI).
— სისხლი — ნინონასთვის ნათქვამ ზღაპრებიდან, თარგმანი თ. სახოკიასი (V).
**ზურაბიშვილი ივ.** — ესკიზი (VIII).
**ისარლოვი ლუკა** — კათოლიკენი საქართველოში (XII).
**კლდიაშვილი დავ.** — სამანიშვილის დედინაცვალი — მოთხრობა (I, II).
— ირინეს ბედნიერება — სურათი სოფლის ცხოვრებიდან ორს მოქმედებად (XII).

**კატულ მენდესი** — დამარცხებული სიბნელე — თარგმანი (XI).

**კოტ-მურლიკა** — შემდეგ რა იქნება? — ამბავი, თარგმანი ე. მ—შვილისა (X).

**მაიაშვილი გ.** — ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი და მისი მოქმედება (I, II, IV)

**მ—ანი ი.** — უცნაური საწამლავი (I).

**მ—ია ი.** — პოეზია, როგორც ხელოვნება — ნაწყვეტი ერთის თხზულებიდან (I).

**მღვიმელი შ.** — «როდესაც სევდა წამიღებს» — ლექსი (II).

— სამი ფერია — ლექსი (VIII).

— მეინვარს — ლექსი (IX).

— *** — ლექსი (X).

**ნიკოლაძე ნ.** — ერობის მნიშვნელობა ჩვენთვის — თ. გ. თუმანშვილის წინადადება. — მისი სასხვიმინდლოდ გადადება. — ჩვენში ერობაზე წერა და საუბარი 1871-ში. — „არ გვინდა არაო!“ — დაგვბეგრეს თუ არა? — პოლიცია, მისი ყოვლის შემძლებლობა და ყოვლის შეუძლებლობა. — რუსეთის ერობა. — მისი თავდაპირველი შეცდომა. — შემდეგი მისი ღვაწლი და სიკეთე ერის განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ზარალის ზღვევაში, მიწა-წყლის შეძენაში, მეურნეობის დახმარებაში და სხვ. და სხვ. — რუსეთის ერობამ რა გაარიგა? — უზენაესი ჩვენი საქმე და საჭიროება. (VI).

**ნემოევსკი ანდრეი** — I შუღლი, II ფული — თარგმანი ს. —ძისა (XII).

**ნიკოლაიშვილი იასონ** — ჰაიდა აქედან! — ეტიუდი (IX).

**პოტაპენკო ი. ნ.** — ექვსნი — ამბავი, თარგმანი ე. ედილაშვილისა (VIII).

**პოტტო ვ.** — თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სახსოვრად (X).

— გენერალი კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო (XI).

**რამას განდევნა** — პოემიდან «რამაიანი», თარგმანი გერმანულიდან ალ. ს—შვილისა (II, III, IV).

**რისტომაშვილი დ.** — თუშური ლექსები — შეკრებილი ((I, II, III, IV).

**საყაფულაო** — თარგმანი კიტა აბაშიძისა (XI).

**სახოკია თ.** ახალი წელიწადი (კალანდობა) სამეგრელოში—ეტნოგრაფიული სურათი (I).
— სამურზაყანო—მგზავრის წერილები (I, VI).
— მეგრული ანდაზები—(X).
— გურია-აჭარა—მგზავრის წერილები (XI, XII).
— გურული «ქალ-ვაჟიანი»—გაგონილი და ჩაწერილი (IV).
— ხალხ-ური ლექსები—ჩაწერილი (VIII).
**სილვა კარმენ**—დედის სიყვარული—მოთხრობა, თარგმანი X-სა (III).
**სონღულაშვილი მღ. ვ.**—ხალხური ლექსები—ჩაწერილი (IX).
**ს—შვილი ალ.**—«ვეფხის-ტყაოსნის» ყალბი ადგილები (II, IV, V, VII, IX, X, XI).
**ფრონელი ალ.**—საქმე ნადელების შესყიდვისა (V).
**ფხა**—ცხოვრება და მწერლობა (III, IV)
**შანტებლერი**—ლაზარე—თარგმანი კიტა აბაშიძისა (VII).
**წერეთელი ნ.** მეაბრეშუმეთა პარკელი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში (X).
**ჭალადიდელი გ.**—მშვიდობიანობა თუ ომი?—წერილი რედაქციის მიმართ (III).
**ხახანაშვილი ალ.**—საქართველოს სამეფოს მოხელენი. (III).
**ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით.**—თარგმანი ინ-ანისა (VIII IX, XII).
**ჯანაშია ნიკო**—აფხაზები—ეტნოგრაფიული მასალები (II, V; XI).
**ჯიაკომეტი**—ივდითი—ტრაგედი ხუთ მოქმედებად (X),
**ჰარაკური ედმონ**—ლექსი თარგმანი ს. იორდანეშვილისა (XI).
**ჰეინე**—«დავდივარ ტყეში და ვტირი»...—ლექსი, თარგმანი შიო მღვიმელისა (VI).
**ჰიუგო ვიქტორ**—ჩემს ასულს—ლექსი, თარგმანი ლ—ი წ—ესი (V)
— * * *—ლექსი, თარგმანი ლ—ი წ—ესი (XII).

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

Левонъ З. Мсеріанцъ. Къ интерпретаціи ванскихъ надписей. (Отдѣлный оттискъ изъ юбилейна-

го сборника въ честь проф. О. Е. Корша. Москва 1896 г. (V).

1) ბრჭყალები—პოლ ერვიესი. კ. ა.; 2) ქართლის ცხოვრება. დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი: საქართველოს დასაწყისიდან ვახტანგ გორგასლანამდე. მეორე გამოცემე ზ. ჭიჭინაძისა. თბილისი 1897 წ. ფასი 40 კ. ი. მ—ანი.; 3) „ბავშვების მოკეთე“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი. შედგენილი ალ. ნათაძის-მიერ. ფასი 30 კაპ. S-სა (X).

ბ-ნი მ. ი.სალარაძე: „ჩვენი ახალი თაობა“. ქუთაისი 1897 წელს.—პ. ჭ—იასი. (XII.).

## პროვინციის ცხოვრება

გურია — სამღვდელოების კრება ქ. ოზურგეთში.— თ. სახოკიასი (IV).

## შინაური მიმოხილვა

პროფესორი კრასნოვი და მისი პარალელი ინგლის-ინდოეთისა და რუსეთ-კავკასიის შორის.—Черноморскій Вѣстникъ-ი.—„კავკაზის“ ახალი რედაქციის ახსარება.—ბ-ნი კონის რეფრატი კავკასიაში მართლ-მსაჯულების წარმოების შესახებ.—ბ-ნი მიხეილ გეგიძის აზრი ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ.—მიწად-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი ბათომის ოლქში მიწა-ადგილის მფლობელობის განკარგებისათვის. (III).

ჩვენის არჩევნების დრო დადგა.—ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის პირველი ანგარიში.—თავად-აზნაურების კრებები და ჩვენი მარშლები.—ტფილისის ქალაქის გამგეობა და სომხობა. (IV).

## ჩვენსა და სხვაგან

ჩვენი თეატრი.—ვინ განაგებს ჩვენს საქმეებს.—გამგეთა მოუცლელობა და სეზონის სისუსტე.—ბალი და კონცე-

რტი.—კრიტელების აჯანყება და მისი სასურველი დაბოლოვება.—შავი ჭირი და ჭირის აცრა. (III).

თ. ნიკოლოზ ზურაბის-ძე ჭავჭავაძე.—კოოპერაცია—რამ დაღუპა უწინდელი კოოპერაციები ჩვენში.—გაჭირება და როჩდელელი ფეიქრების მაგალითი —ჩარჩები და კეთილსინდისიერი შუამავალი.—აფრიკელი ქართველები.—დ-რი ელისეევი.—დ-რი მოსტოვიჩი.—ბ. განი.—პროფესორი სეიესი—ბ. მსერიანცი.—საბერძნეთი და ევროპა, გერმანია, ავსტრია, ინგლისი, საფრანგეთი.—მუშაკნი ბერძნების ეროვნული თვით-შეგნებისა. (IV).

თავად-აზნაურთა გაჭირვებული მდგომარეობა და მმართველობის დახმარება.—ქალაქის არჩევნები.—სომხების შეცდომა და შედეგი ამ შეცდომისა.—საბერძნეთის და ოსმალეთის ბრძოლა (V).

I. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება. II. რა იხსნის თავად-აზნაურობას დაღუპვისაგან. (VI).

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

საქართველოს სიძველენი—(III, IV, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII).

# „ივერია“

## გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

**ფასი გაზეთისა:**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — | კ. | 6 თვით | 6 მ. | — | კ. |
| 11 „ | 9 „ | 50 | „ | 5 „ | 5 „ | 50 | „ |
| 10 „ | 8 „ | 75 | „ | 4 „ | 4 „ | 75 | „ |
| 9 „ | 8 „ | — | „ | 3 „ | 3 „ | 50 | „ |
| 8 „ | 7 „ | 25 | „ | 2 „ | 2 „ | 75 | „ |
| 7 „ | 6 „ | 50 | „ | 1 „ | 1 „ | 50 | „ |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობა 8 მანეთად.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

**ფასი განცხადებისა:** მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

**ტელეფონი № 227.**

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

# საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

**გამოვა 1898 წელს**

ყოველს კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

„კვალის“ ხელმძღვანელობას და რედაქციის მართვა-გამგეობას 1-ლ იანვრიდან 1898 წელს იკისრებს

**ბ-ნი ნოე ჟორდანია**

## გაზეთის ფასი

| გაგზავნით: | მან. კაპ. | გაუგზავნელად: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| ერთის წლით | 8 „ | ერთის წლით | 7 „ |
| ნახევარის წლით | 4 „ | ნახევარის წლით | 3—50 |
| სამის თვით | 2—50 | სამის თვით | 2 „ |

**თითო ნომერი სამი შაური**

ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში—არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ Кадетскаго корпуса).

ამ წლის გასულს დაურიგდებათ პრემია „ჩვენი ძველი გმირები“ 1896 წლის იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც წლის ფული სრულად აქვთ შემოტანილი.

პოსტის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „КВАЛИ“.**

ყოველ დღიური გაზეთი

# „ცნობის ფურცელი“

გამოვა **1898** წელს

ვრცელის შინაარსით და მრავალის ცნობებით

ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთი ღირს ყველა ნობათებით**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით . . . . | 6 მან. | ერთის თვით . . . . . | 60 კაპ. |
| ნახევარის წლით . . . | 4 მან. | ცალკე ნომერი . . . | 3 კაპ. |

სოფლის მასწვლებელთ გაზეთი დაეთმობათ 5 მანეთად

**წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ**

ვინც გაზეთს წლიურად დაიკვეთავს, იმას უსასყიდლოდ გაეგზავნება

**კედლის კალენდარი 1898 წლისათვის**

სურათებიანი და მშვენიერს ქაღალდზე დაბეჭდილი სხვა-და-სხვა ფერადებით.

სამაგალითო და ძვირფასი ნობათი

„ცნობის ფურცლის“ რედაქციამ შეიძინა უფლება და დამდეგს 1898 წელს გამოსცემს

**ჩვენის ახალგაზდა ნიჭიერის მწერლის**

**შიო არაგვისპირელის**

# სრულს თხზულებას

**ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და ბ-ნ ტასიაშვილის კრიტიკულის განხილვით**

წიგნში მოთავსებული იქნება ოცზე მეტი სხვა-და-სხვა საუკეთესო მოთხრობები, დაწერილი 1898 წლამდე. წიგნი იქნება მშვენიერს ქაღალდზე დასტამბული, დიდის ზომისა და 300 გვერდზე მეტი.

**შეღავათიან ხელის-მომწერთათვის**

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის-მოწერის დროს 2 მან. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვედათვე თითო მანათი, ვიდრე წლის ფასს შეასრულებდნენ.

პირველ იანვრიდან გაზეთი მხოლოდ იმას მიუვა, ვინც დეკემბერშივე გამოაცხადებს თავის სურვილს გაზეთის გამოწერაზე.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію газеты „Цнобисъ-Пурцели“, Фрейлинская ул. д. Мирзоева.**

რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნია.

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# ჯეჯილი

### წელიწადი მეცხრე

გამოვა 1898 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

1898 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ ნახატებიანი წიგნი „ალბომი“ ცხოველთა ცხოვრებიდან.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—4 მ. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

### ხელის-მოწერა მიიღება

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ Кадет. корпуса).

2) ქუთაისში—ვ. ბექანეიშვილთან.
3) გორში—არ. კალანდაძესთან.
4) ჭიათურაში—მ. ოთხმეზურთან.
5) სიღნაღში—ივ. ქიტიაშვილთან.
6) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.
7) ელისავეტოპოლში—ა. მიქაბერიძესთან.
8) თიონეთში—ივ. ჩიბალაიშვილთან.
9) ონში—დარია ივ. ქავთარაძისასთან.
10) ფოთში—ი. ძოხრეიძესთან.
11) ხაშურში—ვენ. მესხისთან.

პოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თ.-წერეთლისა**

# გამოვა 1898 წელსაც

ქართული გაზეთი

# „მ წ ყ ე მ ს ი"

და რუსული

# „ПАСТЫРЬ"

გამოვა ყოველ თვის 15 და 30 რიცხვებში

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი" | 3 მ. | 6 თვით „მწყემსი" | 2 მ. |
| — „ რუსული | 3 მ. | — „ რუსული | 2 მ. |
| — „ ორივე გამოცემა | 5 „ | — „ ორივე გამოცემა | 3 მ. |

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **ს ა მ  მ ა ნ ე თ ა დ.**

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში,** აგრეთვე **ქუთაისშიაც** და **ტფილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან; **ფოთში**—დეკანოზ შ. გრიგოლ მაჭაროვთან; **საჩხერეში**—მ. ყარამან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მატარაძესთან.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и „ПАСТЫРЬ".

მომავალ წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად წიგნი «საქართველოს ძველ დროის თავ-გადასავალი» ლექსად დაბეჭდილი უცნობი ავტორისა, რომელსაც ხელის-მომწერნი მიიღებენ 1898 წ. დეკემბრის თვეში.

რედაქტორი და გამომცემელი **დეკ. დ. ღამბაშიძე**

Открыта подписка на 1898 годъ

НА ГАЗЕТУ

# „КАВКАЗЪ."

(пятьдесятъ-третій годъ изданія)

Съ 1-го января 1897 года газета „Кавказъ" издается подъ редакціей

**В. Л. ВЕЛИЧКО.**

Въ 1898 году газета будетъ издаваться по той-же программѣ, какъ и въ прошломъ году.

**Подписная цѣна остается безъ измѣненія, а именно:**

| Съ доставкою въ Тифлисѣ: Мѣс. | р. к. | Съ пересылкою иногороднымъ: мѣс. | р. к. | По почтовому союзу: Мѣс. | р. к. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 11 50 | 12 | 13 — | 12 | 18 40 |
| 6 | 6 — | 6 | 7 — | 6 | 10 — |
| 3 | 3 50 | 3 | 4 — | 3 | 6 — |
| 1 | 1 50 | 1 | 1 75 | 1 | 2 — |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей, причемъ иногородными вносится по 3 руб.: при подпискѣ, 1-го марта и 1-го мая и по 2 руб.—1-го іюля и 1-го сентября; городскими въ тѣ-же сроки: 3 р., 3 р., 2 р., 2., и 1 р. 50 к.

Контора „Кавказъ", во избѣжаніе недоразумѣній, проситъ г.г. иногородныхъ подписчиковъ точно опредѣлить, въ случаяхъ высылки денегъ менѣе 13 рублей (цѣна годовой подписки), желаютъ-ли они получать газету въ разсрочку, или на сроки, соотвѣствующіе присылаемымъ суммамъ.

NB. Подписка и объявленія принимаются по нижеслѣдующему **АДРЕСУ: Г. Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Харазовой.**

Тамъ же принимается подписка на телеграммы „Россійскаго телеграфнаго агентства".

**Плата за объявленія** (со строки петита или занимаемаго ею мѣста) на послѣднихъ страницахъ: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—8 к., съ прочихъ—10 к., за каждый разъ. На первыхъ страницахъ вдвое. За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 10 рублей, съ тысячи.

Частныя объявленія изъ С.-Петербурга, Москвы, Царства Польскаго, Прибалтійскаго края и за границы принимаются исключительно въ Центральной Конторѣ объявленій торговаго дома Л. и Э. Метцль и К° въ Москвѣ (Мясницкая, домъ Сытова) и въ его отдѣленіи въ С.-Петербургѣ, (Большая Морская, № 11).

# Открыта подписка на 1898 г.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧ. и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ЧЕТЫРНАДЦАТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Въ 1898 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

Въ истекающемъ году, въ газетѣ, кромѣ мѣстныхъ силъ, участвовали также *К. С. Баранцевичъ, В. В. Вересаевъ, В. К.* (петербург. корресп.), *Л—овичъ* (лондон. корресп.) *Д. М. Маминъ-Сибирякъ, М. А. Протопоповъ, акад. кн. Тархановъ, В. Е. Чешихань, А. С. Хах—овъ* и др.

**Условія подписки**: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ— 1 р. 50 к. За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., полгода—4 р.

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ**: въ **конторѣ газеты**, Барятинская ул.. № 8.

*Иногородные адресуютъ свои требованія:* **въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Розничная продажа газ. „Новое Обозрѣніе“ *производится: въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ* Ледерле, Невскій просп., № 42, д. армянской церкви; въ *Москвѣ—въ книжномъ магазинѣ* Карбасникова, Моховая улица; въ книжныхъ шкапахъ станцій ростово-владикавк. жел. дороги: *Владикавказъ, Бесланъ, Тихорѣцкая и Ростовъ.*

Лица, подписавшіяся на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1898 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

**Открыта подписка на 1898 г.**

НА ГАЗЕТУ

# „Тифлисскій Листокъ"

**(XXI ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

**ГАЗЕТА ЕЖЕДНЕВНАЯ, ЛИТЕРАТУРНАЯ, ОБЩЕСТВЕННАЯ И ПОЛИТИЧЕСКАЯ**

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Городская: | | | Иногородная: | | |
|---|---|---|---|---|---|
| Мѣс. | р. | к. | Мѣс. | р. | к. |
| 12 | 5 | — | 12 | 7 | — |
| 6 | 3 | — | 6 | 3 | 50 |
| 3 | 1 | 75 | 3 | 2 | — |
| 1 | — | 75 | 1 | 1 | — |

**Подписка принимается исключительно:**

*Тифлисъ, Головинскій проспектъ, № 3.*

**ОБЪЯВЛЕНІЯ:**

Для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: на первой страницѣ 10 к.; на послѣднихъ—5 к.; за объявленія внѣ предѣловъ Закавказья: на первой страницѣ 16 к; на послѣднихъ—8 коп.

## Открыта подписка на 1898 годъ на

# „СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ“.

ЖУРНАЛЪ ЛИТЕРАТУРНО-НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ

**Начиная съ майской книги съ 1897 г. „Сѣверный Вѣстникъ“ издается**

**БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛНОЙ ЦЕНЗУРЫ.**

Съ облегченіемъ условій изданія, въ виду снятія съ журнала предварительной цензуры, редакція „Сѣвернаго Вѣстника“ желаетъ расширить провинціальный отдѣлъ и проситъ лицъ, имѣющихъ къ тому возможность, доставлять матеріалы, пригодные для обработки въ областномъ отдѣлѣ, а также самостоятельныя замѣтки и корреспонденціи касательно явленій мѣстной жизни, текущихъ интересовъ мѣстнаго общества, народнаго образованія, дѣятельности губернскихъ и уѣздныхъ земствъ, всевозможныхъ общественныхъ начинаній и т. п.

**Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:**

П. Боборыкинъ, П. Гнѣдичъ, М. Горькій, В. Микуличъ, В. Каренинъ Б. Корженевскій, Котъ-мурлыка, Я. Крюковскій, Е. Лѣткова, Вас. Немировичъ-Данченко, Вл. Немировичъ-Данченко, Л. Саломэ, С. Смирнова, Л. Н. Толстой. О. Шапиръ, І. Ясинскій, А. Эртель, К. Бальмонтъ, П. Вейнбергъ, М. Лохвицкая, К. Льдовъ, Д. Мережковскій, Н. Минскій, К. Фофановъ, О. Чюмина, Н. Арефьевъ, М. Венюковъ, А. Волынскій. прив.-доц. И. Гессенъ, Н. Геренштейнъ, д-ръ Д. Герценштейнъ, прив.-доц. В. Грибовскій, А. Каменскій, Н. Карабчевскій, проф. А. Кирпичниковъ, П. Каптеревъ, А. Контяевъ, Е. Литвинова. д-ръ А. Лозинскій, проф. Д. Овсянико-Куликовскій, проф. И. Оршанскій, Л. Оршанскій, М. Петровъ, проф. В. Сергѣевичъ, А. Субботинъ, проф. А. Трачевскій, П. Тверской, В. Шенрокъ, проф. Л. Шепелевичъ, проф. Е. Шмурло, В. Чуйко и мн. др.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи. **Главная контора:** Спб., **Б. Московская,** д. 11, въ **Москвѣ**—въ конт. **Н. Печковской,** Петровскія линіи.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ**

| | Годъ. | Полгода. | Четверть года. | 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| Для иногороднихъ съ перес. . | 12 р. | 6 р. — к. | 3 р. — к. | 1 р. |
| Въ Спб. съ дост. . . . . . . | 11 „ | 5 „ 50 „ | 2 „ 75 „ | 1 „ |
| Для заграничныхъ . . . . . | 14 „ | 7 „ — „ | 4 „ — „ | — „ |

Для казенныхъ и общественныхъ учрежденій допускается подписка въ кредитъ.

Редакторъ-издательница **Л. Я. Гуревичъ.**

„МАЛО СЛОВЪ, НО МНОГО МЫСЛИ“—девизъ изданія.

Роскошное изданіе съ дост. и перес. **10** руб. за годъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1898 г.

Дешевое изданіе безъ доставки за годъ **5** руб.

на

# „Журналъ Журналовъ

и

# ЕНЦИКЛОПЕДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Новое иллюстрированное ежемѣсячное изданіе **безъ предварительной цензуры**, составленное отчасти по образцу иностранныхъ журналовъ Review of Reviews (англійскаго и американскаго), Revue des Revues и др.

Кромѣ оригинальныхъ статей, написанныхъ спеціально для журнала выдающимися учеными и мыслителями, какъ русскими, такъ иностранными, журналъ помѣщаетъ извлеченія или екстракты изъ статей извѣстнѣйшихъ авторовъ и замѣчательнѣйшихъ статей, появляющихся въ русской или иностранной печати.

Въ программу журнала входятъ: науки естественныя, медицинскія, физико-математическія, исторія и общественныя науки, философія, метафизика и психологія, искусства и критика, обозрѣніе журналовъ, смѣсь и проч,

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ будетъ выходить при ближайшемъ сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ Академика Князя И. Р. ТАРХАНОВА.

Отдѣлъ исторіи и общественныхъ наукъ—при сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ В. Ф. ГОЛОВАЧОВА.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| | | |
|---|---|---|
| на роскошное изданіе за годъ съ доставкою и пересылкою | 10 | руб. |
| „ дешевое „ „ „ „ „ „ | 6 | „ |
| „ „ „ „ „ безъ доставки . . . . | 5 | „ |

**(Разсрочка на дешевое изданіе съ пересылкою и доставкою допускается при ежемѣсячныхъ взносахъ по 2 рубля въ теченіе 3-хъ мѣсяцевъ).**

*Издатель-Редакторъ* **И. П. КОНДЫРЕВЪ.**

КОНТОРА и РЕДАКЦІЯ

**въ С.-Петербургѣ, Гороховая 13** (уг. Б. Морской)

СКОРО ВЫЙДЕТЪ ИЗЪ ПЕЧАТИ

# „КАВКАЗСКАЯ ЖИЗНЬ“

**художественно-литературный иллюстрированный сборникъ, кн. II.**

Содержаніе: 1. Военно-грузинская дорога, стихотвореніе *В. Лебедева.* II. Живвани, древнѣйшій городъ Грузіи, неизданная статья историко-археолога *Платона Іосселіани.* III. Сельскія картинки, изъ Важа-Пшавела, съ грузинскаго, *А. Никитина.* IV. Мингрельскій языкъ (разговорный и литературный). V. Осенная ночь, стихотвореніе *П. Опочинина.* VI. Невинная жертва, повѣсть *Раффи,* съ армянскаго. VII. Изъ кн. Ильи Чавчавадзе, стихотвореніе *В. Величко.* VIII. Верійское ущелье, этнографическій очеркъ *Ив. Ростомова.* IX. Кавказъ, въ экспромтахъ поэтовъ: *А. Будищева, В. Мазуркевича, Ф. Соллогуба, В. Шуфа* и *А. Өедорова.* X. Нашествіе чалабовъ, сцены изъ армянской сельской жизни, *А. Мануэльянца.* XI. Грузинскіе католики, неизданная статья *Луки Исарлова.* XII. Изъ тифлисскихъ нравовъ, съ грузинскаго, №№. XIII. Изъ кн. Акакія Церетели, стихотвореніе *В. Лебедева.* XIV. Закавказская деревня (вмѣсто обзора), *Ш. Давидова,* и т. д.

Цѣна экземпляра, съ пересылкою и доставкою, 1 р. 20 к.; по выходѣ—2 руб. За коленкоровый переплетъ съ золотымъ тисненіемъ—1 руб.

Принимаются объявленія.

Требованія адресовать въ книжные магазины: „Центральной книжной торговли“ и грузинск. „Общества распространенія грамотности“, или издателю Шіо Давидову, Тифлисъ.

*Съ 1 Ноября 1897 года*

**ВЫХОДИТЪ ВЪ Г. КІЕВѢ**

***Еженедѣльная газета***

# РОССІЯ и АЗІЯ

Подписная цѣна въ годъ безъ доставки и пересылки 5 руб., съ доставкой и пересылкой 6 руб., заграницу 7 руб., на полгода безъ доставки 3 руб., съ доставкой 4 руб., заграницу 5 руб.

---

**Краткая программа изданія:** 1) Передовыя статьи, посвященныя Еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и русской политикѣ на Востокѣ. 2) Извѣстія съ Востока. 3) Русскіе инородцы (Евреи, инородцы Волги, Финляндіи и Крыма). 4) Недѣльная хроника русскихъ окраинъ. 5) Сношенія Россіи съ Востокомъ. 6) Научно-литературный отдѣлъ: повѣсти, романы, стихотворенія, драматическія произведенія оригинальныя и переводныя, популярныя изслѣдованія по Еврейству, Кавказу. Сибири, Туркестану и Востоку, ихъ антропологія, переводы древне-восточныхъ произведеній, критика и библіографія и т. п.

---

Въ газетѣ принимаютъ участіе лучшіе спеціалисты и знатоки Азіи.

*Подписка принимается отъ иногороднихъ по адресу:*

**Кіевъ, Университетъ св. Владиміра, Алексѣю Николаевичу Грену.**

*Редакторъ-издатель: Приватъ-доцентъ* **А. Н. ГРЕНЪ.**

**378.** ბძანება საქართველოს გამგებლის სვიმონისა. ამ ბძანებისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1712—1714.** ქ. ჩვენი ბძანება არის. საგინაშვილის ბესპაზისაგან ამილღაბარს რომ ქალაზედ რომე მიწა უყიდნია, დასტური მოგვიცემია, და ჩვენც წყალობა გვიქნია. თუ ბესპაზთან ზურაბ ბუშს ქართული ქონდეს, სხვის სანაცვლოდ ბესპააზ ზურაბ შეიჯერიოს

| გამგებლის სვიმონ |
|---|

**379.** ბძანება საქართველოს გამგებლის სვიმონისა. ამ ბძანებისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1712—1714.** ქ. ჩვენი ბძანება არის, ინდო საგინაშვილო, შერმე შენ რომე ამილღაბარს ქალაზედ ვენახსა და მიწას ავაჭრიდი, დასტური მოგვიცემია, იჭყიდე, და ჩვენც წყალობა გვიქნია და სყიდვის დასტური მოგვიცემია

| მეფე სვიმო |
|---|

**380.** განჩინება მეფის იესესი. ამ განჩინებისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1714—1730.** ქ. ინდო საგინაშვილს გოსტაშაბისშვილის ამილღაბარისთვის ვენახი და ადგილი მიეყიდნა. ახლა ფარემუზისშვილი ბეჟან წაქდავა: ჩემს განაყოფის ინდოს იმ გასყიდულს ალაგში ჩემი მიწა და ალაგიც მიგიყიდიაო. მივიდეს მოსაქმემ, ნახოს, რასაც ბეჟან ინდოს ესარჩლებოდეს, იმისის სამართლით ინდოს ფიცი დაადვას, და რაც მართებული იყოს, ის მოფიცარი ღადეს. თუ ინდომ ასე იფიცოს: ბეჟან შენ ამაში ხელი არა გაქვსო, ჩემი წილი არისო, თავისი გაუყიდია და ბეჟანს ხელი არა აქვს. და თუ ვერ იფიცოს, რასაც ბეჟან ეცილება, იმისი პასუხი ინდომ მისცეს.

| მეფე იესე |
|---|

**381.** ნასყიდობის წიგნი მდივანბეგის ქალის გუქასი. ამ წიგნისა მხოლოდ პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი სიგელის მიხედვით ესეც 1714—1730 წლებს უნდა ეკუთვნოდეს.

**1714—1730.** ქ: ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე **საგინაშვილმა ინდომა**, ძმამან ჩემმან **ერასტიმ** და მომავალთა სახლისა ჩემისაგან თქვენს მდივანბეგის ქალს **ბატონს გუქას**, შვილსა თქვენსა დავითს, ასე რომე დაგვჭირდა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო და ფიცით გამოტანილი მამული, **ჭალაზედ ზვარი** თავისის სამძღვრითა, ზევით თავისის ტყითა და ველითა; კიდევ იქავ ჩემი მამისა და პაპის სამკვიდრო სუთთაშვილის ნაქონი მიწა თვისის წყაროთი და საწყლისპიროთი და საწისქვილოთი, თავისის ტყითა და შესავლითა და გასავლითა, რაც მე იმ ალაგას ან ნაფიცი, ან სამკვიდრო მამული მქონდეს, ქვეით და ზეით თავისის სამძღვრებითა და თავის სამართლითა, რაც ამაში დამიწერია, ესები ყველა უკლებლივ მოგყიდეთ და ავიღევით ფასი სრული, რასაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ, აღარც ერთი იოტის ფასი ჩვენი თქვენზე აღარა დარჩენილა რა, რაც კაცი ამას გეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, და კაცთაგან მდივანი გივი, ნაზირი ედიშერ, ბაზიერთ უხუცესი პაპუნა, ქავთარასშვილი მანუჩარ, გერმანოზისშვილი დათუნა, ხამანგლელავისშვილი როსტომ †, საამისშვილი ქაიხოსრო, აფულთათისშვილი ბეჟან, თამაზისშვილი ავთანდილ †, ზაზუნაშვილი ზაალ †, მე ინდო საგინასშვილს დამიწერია და ყაბულიცა ვარ ამისი. [ინდო.] †.

---

**382.** ნასყიდობის წიგნი მარიამ ბარათაშვილისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს. შესავალი გამოვტოვეთ.

**1728, იანვრის [illegible].** ...ესე წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ თაყაშვილმა ქაიხოსრომ და ძმამან ჩვენმან იესემ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა და ყოველთა მომავალთა

თქვენ ყაფლანისშვილის რევაზის ასულს ბატონს მარიამს, შვილსა თქვენსა თამაზს და როსტომს, ასე რომე დამეჭირა და ჩემის დიდის დაჭირებისათვის მოგყიდეთ ბუჟდუღეთს ჩვენი წილი ზვარი, დემეტრეს ნახევარი, იქით დემეტრეს წილის ვენაკის სამძღვრამდის, აქეთ ედიშერასშვილმა ზაალისაგან რომ ვენახი იყიდა იქამდის, ქვეით ბოლოს ზაალიაანთ წისქვილის რუმდის, ზეით სატბისოს რუმდის, თავისის წილის საწნახლითა და თავისის შესავლითა და გასავლითა, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ, როგორათაც სხვას ალალს მონასყიდეს, არის ამისი მოწამე პირველად ღთი და ყოველნი მისნი წმიდანი და კაცთაგან გერმანოზისშვილი დათუნა, პაატა და კაცია □, ნამანგლელავიშვილი როსტომ □ და გუგუნა, საამისშვილი საამ □ და ედიშერ □, ბექანისშვილი ბექან □, ქუთაძისშვილი გიორგი □, სულხან □ ზაზა † და იოანათამ †, ზაზუნაშვილი ზაალი †, იორამ † და გურიელ ყოფილი ალექსანდრე, საგინაშვილი ბექან და დათუნა, და მე შერმაზან ყოფილს შიოს დამიწერია და მოწამეცა ვარ □. დაიწერა იანვარს დამდეგს, ქკ~ს უიგ. ქრისტეს აქეთ ჩღკჱ. †.

აშიაზედ:

არის ამისი მოწამე ყაფლანისშვილი ბატონი ქაიხოსრო □. არის ამისი მოწამე სარდლიშვილი ბატონი იოანე □. ქ მე ტფილისელი ეფთვიმე მოწამე □, ყაფლანისშვილი ბარძიმ □, მე გიორგი ქავთარისშვილი მოწამე და გამრიგებელი, თუ ამას წამოგედავოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. †.

---

**383.** ნასყიდობის წიგნი იესე გოსტაშაბიშვილისა. ამ წიგნისა ჩვენ ორი პირი გვაქვს ხელში. შესავალი და ბოლოს წყევლა გამოვტოვეთ.

**1728, მკათათვის 25.** .. ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ისპაშვილმა მაჰმად-ალამ თქვენ გოსტაშაბიშვილს იესესა და მომავალსა სახლისა შენისასა, ძმასა ქაიხოსროს, შვილსა ფარემუზას, ასე და ამა პირსა ზედან, რომე

თაყაშვილის დემეტრესაგან მოსყიდული მისი სასახლე პატივანშიდ თავისის შესავალ-გასავლითა, ტყითა და მთითა, წყლითა, საწისქვილოთა, სახნავ-სათესითა, მთითა და ბარითა, სანადიროთა და საბუდრითა, მისის ყოვლის სამძღვრის სამძღვრამდინ, ორი წილი პატივანშიდ დემეტრეს ნაქონი და მოსყიდული, როგორათაც მის მოცემულს სიგელშიდ სწერია, იმ გარიგებით მოგყიდე ყოვლის კაცის უცილებელი, და მოგეც მისი მოცემული სიგლით და ყადის ჰუჯადით, ბედნიერის ვეზირის შეირუთით ნასყიდი, მოგეცი დემეტრესაგან მოცემული სიგელიც, ავიღე მთლივ და უნაკლულო ფასი... ამისი მოწამე თავათ ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, და კაცთაგან ყაფლანიშვილი ტფილელი, მისი ბიძაშვილი ქაიხოსრო, გოსტაშაბიშვილი ქაიხოსრო □, გერმანოსიშვილი პაატა □, ქავთარიშვილი გიორგი, ნამანგლელევიშვილი როსტომ, აფულფაჭოშვილი ბეჟან, თაყაშვილი ფარსადან და თაყაშვილი ქაიხოსრო, ყორღანაშვილი შაველა, ყიფიანი ამირან, ბერძნიშვილი ბეჟან. მე მაჰმად-ალას დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამ სიგლისა. დაიწერა მკათათვის კე-სა, ქკს ჩიგ □. არის ამისი მოწამე გერმანოზიშვილი ლუარსაბ □, არის ამის მოწამე სამიშვილი ედიშერ □, არის ამის მოწამე აბაშიშვილი იესე □, ყარბუდხასშვილი გიორგი მოწამე □, ბეჟან გოსტაშაბისშვილი—მოწამე ამისა □, მე მანუჩარ ციციშვილი მოწამე □, მე მდივანი ამისი მოწამე ვარ □, მე თარხანი მოწამე ვარ ამისი □, მე ყაფლანიშვილი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვარ □, მე ყაფლანისშვილი დემეტრე ამისი მოწამე ვარ □, მე ზურაბაშვილი პაპუნა ამის მოწამე ვარ □, მე გერმანოზისშვილი ამის მოწამე □, მე ამისი მოწამე ქავთარიშვილი სულხან □, მე ყორღანისშვილი ზაალ ამის მოწამე □, ამის მოწამე ბექირ აფენდისშვილი ხალინი □, ამის მოწამე გერმანოზისშვილი ოთარი □, მე ხ[ა]ლილ ამისი დამსწრები და მოწამეცა ვარ ამისი □.

**384.** ნასყიდობის წიგნი გოსტაშაბიშვილის ქაიხოსროსი, რომლის მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. შესავალი და წყევლა გამოვტოვეთ.

**1733, მარტის 8.** ...ესე უცილებელი და ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ გერმანოზისშვილმა ლუარსაბ, შვილმა ჩემმან გიორგიმ და მომავალთა სახლისა ჩემისათა თქვენ გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა თამაზს, როსტომს, ნიკოლაოს და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ დამეჭირა და ჩემის ნება-წადილითა მოველ თქვენთან და თეთრი გამოგართვი და მოგყიდეთ აბელიას ძაბანაშვილი ძაბა და დათუა თავისის მამულითა, დედულითა, მიწით და წყლითა, წისქვილითა, ვენახითა, მარნითა, საწნახლითა, მთითა, ბარითა, სარწყავითა, ურწყავითა, ნასყიდითა, უსყიდითა, დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ, თქვენთვის მოგვიყიდნია, ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა... არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, და კაცთაგან ჩემი განაყოფი [პატა], ოთარ, გერმანოზ, ოსმანა, პაპუა, ქაიხოსრო, კაცია; ნამანგლელავისშვილი როსტომ, გუგუნა, ქავთარიშვილი [სულხან], გიორგი, იონათამ, სამისშვილი [ედიშერ], აფურფუთიასშვილი [ლუარსაბ], სოლოღაშვილი ქაიხოსრო, მე მღუდელს შიოს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტის ჱ, ქკს უკა [შიო].

აშიაზედ:

ქ ჩვენ ქაიხოსრო ორბელიანი ამისი მოწამე ვარ [ქაიხოსრო].

მე ტფილელი ეფთვიმი მოწამე [ეფთვიმი].

---

**385.** ნასყიდობის წიგნი ყაფლანიშვილის რევაზის ასულის მარიამისა, რომლის მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. შესავალი და წყევლა გამოვტოვეთ.

**1735, ენკენისთვის 19.** ...ესე უცილებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ გერმანოზისშვილმან იასეს შვილმან გერმანოზ, შვილმან ჩემმან მერაბ, მამა-

ვალთა სახლისა ჩემისათა, თქვენ ყაფლანისშვილის რევაზის ქალს მარიამს, შვილსა თქვენსა თამაზს, როსტომს და ნიკოლოზს, მამავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომე დამეჭირა და ჩემის ნება-წადილით მოველ თქვენთან და ფეთრი გამოგართვი, და მოგყიდეთ აბელიას ჩემი ბარათში გამოყოლილი ზაზაშვილი გრიქოლა თავისის მამულით, დედულით, მიწითა და წყლითა, წისქვილითა, ვენახითა და მარნითა, საწნახლითა, მთითა, ბაღითა, სარწყავითა, ურწყავითა, ნასყიდითა, უსყიდითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, თქვენთვის მოგვიყიდნია, ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, არა დარჩა-რა ჩვენი თქვენზედა არც ერთი იოტის ფასი.... არის ამისი მოწამე თავად ღთი და ყოველნი მისი წმინდანი და კაცთაგან ჩემი ბიძაშვილი პატა, ჩემი ძმა ოთარი, ვარაზაშვილი ლუარსაბა, ქავთარისშვილი სულხან და გიორგი, სამისშვილი |ედიშერ|, აფულფათისშვილი ლუარსაბ, მე იასე ქავთარისშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ენკენისთვეს ცხრამეტს, ქკს უკბ |იასე|.

ამიაზედ:

მე ედისშერ სამისშვილი ამისი მოწამე ვარ |ედიშერ|.

მე გოსტაშაბისშვილი ბეჟან ამისი მოწამე ვარ |ბეჟან|.

---

**386.** ნასყიდობის წიგნი გოსტაშაბისშვილის ამილღაბარისა. ამ წიგნისა მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. ნიშნებათ წერტილებია ნახმარი.

**1736, მაისის 23.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, სულისა წმიდისათა, ესე ნასყიდობისა წიგნი მოგეც მე გერმანოზისაშვილმა ლუარსაბა თქვენ გოსტაშაბისშვილსა ამილღამბარსა, შვილსა თქვენსა დავითს და ვახუშტისა, და სახლისა თქვენისა მომავალსა, ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩემის ყმის გელიტაშვილისა ნასყიდი მიწა, აბრამეთის ბოლოს, ალგეთის პირს, გზას ქვეით, დიდი მიწა, გზას ზევით გრძელი მიწა თავისის სამძღერით, საწყლისპიროთი, საწისქვილოთი,

ღ̃მა მოგცეს და გიბედნიეროს, ვისეც ერთს მონასყიდეს მოხმარებია, ისე. თუ ამას წამოგედაოს ვინმე, პირისა და პასუხის მიმცემი მე ვიყო. ერთი საკომლო მარაბდას მოგცე, თუ ეს დამიჩხუბდეს. არის მისი მოწამე თავად ღ̃თი, მერმე მისნი ყოველნი წმინდანი, კაცთაგან ქავთარისშვილი გიორგი †, ფარსადანისშვილი როსტომ †, საამისშვილი ედიშერ † და საამა. დაიწერა მაის ოც და სამს გასულს, ქორონიკონს უკდ.

---

**387.** ნასყიდობის წიგნი გოსტაშაბისშვილის ქაიხოსროსი. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. შესავალი გამოვტოვეთ.

**1738, იანვრის 1.** ...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეც მე გერმანოზისშვილმა ოთარ, შვილმა ჩემმა იესემ და ნიკოლოზ, თქვენ გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს, შვილსა შენსა თამაზს, როსტომს, ნიკოლოზს და რევაზს, ასე რომე დამეჭირა და ჩემის დაჭირებისათვის მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ბარათის ყმა აბულიას დარბაისელი ერაპეტასშვილი, იქივ პიხუასშვილის მამული, ესენი თავისის ნასყიდითა, უსყიდითა, მთითა, ბარითა და თავისის ყოვლის სამართლიანის სამძღვრით, გქონდეს და გიბედნიეროს ღ̃თნ, როგორათაც სხვას ალალს მონასყიდეს, თუ ვინმე ამაში წამოგედაოს, პირისა და პასუხისა გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე პირველად ღ̃თი და ყოველნი მისნი წმინდანი და კაცთაგან: ჩემი ბიძაშვილი პაატა [პატა], ჩემი ძმა გერმანოზ, ნამანგლელავისშვილი გუგუნა [გუგუნა], ქავთარისშვილი სულხან, საძისშვილი ხუბამ და ედიშერ [ედისშერ], აფურფათისშვილი ლუარსაბ, და მე დეკანოზისშვილს ნიკოლაოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვრის დამდეგს, ქკს უკგ. მე კაცია ამისი მოწამე ვარ. †

მე გუგუნა გერმანოზისშვილი ამისი მოწამე ვარ.

მე პაპუა გერმანოზისშვილი ამისი მოწამე ვარ [პაპუა].

მე მუშრიბი ყორღანაშვილი ამისი მოწამე ვარ [გიორგი].

მე როსტომ საგინაშვილი ამისი მოწამე ვარ [როსტომ].

მე ტფილელი ეფთვიმე მოწამე |ეფთვიმე|.
ქ. მე იოთამისშვილი ერასტი ამისი მოწამე |ერასტი|.
ქ. მე იარალა იარალაშვილი ამისი მოწამე. †
ქ. მე კორკოტისშვილი ლუარსაბ ამისი მოწამე ვარ. †

**388.** ბძანება მდივანბეგის ქაიხოსროსი. ამ ბძანების მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

**1740.** ქ. ბატონის მეფის ვახტანგისა, ბაქარისა და აბდულაბეგის წიგნებით ჰქონდა დავით გოსტაშაბისშვილსა, თვითონ უსუფ-ბეგის შვილის წიგნიცა ჰქონდა, ასლამაზ-ხანც რაყამი უბოძა, **გაკე** და **თაკვი** დავითსვე მისცეს, რადგან ეს ძველი წიგნები ქონდა, და ხანმაც რაყამი უბოძა, ჩვენ მდივანბეგმა ქაიხოსრომაც ეს წიგნი მივეცით, რომ უსუფ ბეგისშვილს ამ სოფლებში საქმე არა აქვს-რა, უწინაც დავითისა ყოფილა და ახლაც ამასვე უნდა ჰქონდეს. იასაულო, როგორც ხანის ბძანება გაქვს, ხელი აუმართე და ეს კაცნი დავითს გაბარე. ქკს უკჱ. |ქაიხოსრო|.

**389.** ნასყიდობის წიგნი გოსტაშაბისშვილის იესესი. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი. შესავალი და წყევლა გამოვტოვეთ.

**1740, გიორგობისთვის 21.** ქ: ...ესე ამიერით უკუნისამდინ ჟამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე აბულფათისშვილი ლუარსაბმან, შვილმა ჩემმა ბეჟან, სახლისა მამავალისა ჩემისა, თქვენ გოსტაშაბს ასლანისშვილს იესეს, ძმასა შენსა იოვანეს, შვილსა შენსა ფარემუსსა, ასე რომ ჩემი სამკვიდრო ბარა[თ]ში გამოყოლილი მამული მეჭირებოდა და მოგყიდე ჩემი **ცხვრისი** ირინაშვილი ივანა და სეთიაშვილები მამულით, მთით და ბარითა, წყლითა, წისქვილითა, შესავლითა და გასავლითა, მძებრითა და უძებრითა, ყოვლით მისი სამართლისა საქმითა, ავიღე ფასი

სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეგჯერდება, არა დარჩა ჩემი შენზედ არც ერთი იოტის ფასი. არის ამის მოწამე თავათ თვით ღი, მერმე მისი წმინდანი, კაცთაგან ნამანგლელავისშვილი გუგუნა [ ], ბექან გოსტაშაბისშვილი [ ], ედიშერ საგინასშვილი, ნიკოლოზ სულხანისშვილი, ედიშერ ქავთარიშვილი, ვახუშტი და პაპუნა, ფარსადანიშვილი ზაალ, მერაბაშვილი დათუნა, შანთიძე შიო, მე ალექსი თორქოშინს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა ქარტა ესე კა გიორგობის გასულს, ქკს უკზ.

ქ. მე ლუარსაბ ყაბული მაქვს ამ სიგლისა [ ].

აშიაზედ:

ქ მე გუგუნა გერმანოზისშვილი მოწამე ვარ ამისი [გუგუნა].

---

**390.** პირობის წიგნი ზაზა გოსტაშაბისშვილის და მისი დედიდაშვილების ყაფლან და ზაალ ყაფლანიშვილებისა. ამ წიგნისა პირი გვაქვს ხელში.

**1746, ქრისტიშობისთვის 15.** ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ შენმა დედიდაშვილებმა ყაფლან და ზაალ შენ ჩვენ დედიდაშვილს ზაზას, ასე რომე **დოლოგნა** შენი განაყოფების წილი მე ვიყიდე და შენი არ მიყიდია, სიგელი კი გამოგართვი, ამისთვს რომ შენი განაყოფები ამბობდნენ, თუ შენ არ გაყიდი, არც ჩვენ გავყიდითო, თუ გამოიმეტებ და გაყიდი, ფას[ს] მოგცემთ, თუ არა და, შენი მამული ღთნ შენ მოგახმაროს, იქიური მოურავობაც შენთვის მოგვიცია. არის ამის მოწამე ბიძა ჩვენი [საამ], მე ედიშერს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ქრისტიშობის ბ[?]ა, ქკს ულდ. [ზაალ]

---

**391.** წყალობის წიგნი მეფე არჩილისა. ამ წიგნისა მართლ პირი გვაქვს ხელში, თარიღი არა აქვს, მაგრამ ვინაიდგან არჩილ მესამედ მეფობის ხარისხი მიიღო 1736 წ., შემდეგ ჩამოერთვა მეფობა და ხელმეორეთ 1747 წელს იქმნა დანიშნული ქართლის გამგებელად, ამიტომ ეს სიგელი უნდა ეკუთვნოდეს 1736—1747 წ.

**1736—1747, მარტის 25.** ქ ნებითა ღ შეწევნითა ღთისათა ჩვენ ღთივ ზეცით გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემა და თვით ხელმწიფემა, პატრონმა არჩილ, ესე წყალობის წიგნი გიბოძე თქვენ, ჩვენსა

ერთგულსა და წესისამებრ ნამსახურსა ყმასა, გოსტაშაბისშვილს ამილახორს და შვილსა შენსა დავითს, ასე რომე **თავს ებალასშვილი** ბატონის ბიძის ჩვენის მეფის ვახტანგისაგან ნაწყალობევად გეჭირა, და ბატონის ბიძის ჩვენისაგან ნაწყალობევი წიგნებიც გქონდა, გავასინჯეთ და რადგან ამათგან წყალობა გჭირვებოდათ, ალარცა ჩვენ მოგიშალეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღთან ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა, აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეფეთა მეჳ პატრონეთაგან. დაიწერა ნიშანი ესე მარტის **კე**, კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის გორჯასპისათა. [მეფე არჩილ]

---

**392.** განჩინებრი წიგნი მეფე არჩილისა ანუ აბდულბეგისა. ამ წიგნის მარტო პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1747, გიორგობისთვის 20.** ქ. ჩვენ მეფე არჩილთან გოსტაშაბისშვილმა დავით და ბეჟან **ერწოს** ამრუმელიშვილებზე ილაპარაკეს. დავით ამას ანბობდა: მამა ჩემა საუფროსოდ აიღოვო. ბეჟან ამას ანბობდა: ამილახბარ რომ საუფროსოდ აიღო, იმისი განაყოფი იყო. თუ ამ ამრუმლისშვილმა სამებისამ ბეჟანს შეფიცოს, რომ ამრუმლიშვილის მამული ამილახბარს საუფროსოდ აეღოს, ბეჟანს ხელი აღარა ჰქონდეს, დავითს დარჩეს. თუ სამებისამ ვერ შეფიცოს, ეს ორი ყმა თავის მამულით სამთავ გასაყოფი იყოს, დავითისა, ბეჟანისა და ზაზასი, გიორგობისთვის **კ**, **ქჳს ულე**. [მეფე არ ჩილ]

ქ. ამ განაჩენით დავით ამილახბარის შვილმა ამრუმელაშვილი სამებისა მოფიცრათ მოიყვანა სამჯერ ბეჟანთან და ბეჟან აღარ დაფიცა. რახან ბეჟან აღარ დაფიცა, მამულიცა და კაციც ორსივე დავითს ამილახბარის შვილს დარჩა, გიორგობის **კა**, **ქჳს ულე** [მეფე არჩილ].

---

**393.** ბრძანების წიგნი მეფე თეიმურაზ მეორისა, 23×16 სანტ. დაწერილია ქაღალდზე მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ყველა სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი.

**1750. ქრისტეშობისთვის 3.** ქ. ჩვენი ბრძანება არის, მერმე ხევისთავი გერმანოზისშვილი ოთარ და ჩვენი მუშრიბი ოთარა გამოგვიგზავნია, და როგორც ამას წინათ ბატონის მამის ჩვენისა და სხვას ბატონების დროს ხევისთავი ყოფილიყოს და ესამართლებინოსთ, ახლაც ყოველს ადგილს საბარათისშვილოში მოვიდნენ და სამართალი ქნან, და რაც ნაზღაური იყოს ჩვენს სარქარში, მოაბარონ, რომელიც თარხანი იყოს, ხევისთავის თარხანი არავინ იქნება. რასაც სოფელში არ ასაქმებთ, იმ სოფელს სოფლობრივ გარდავახდევინებთ. ქრისტიშობის გე ქქს ულ. (ქკს უღ).

უჲ მრ მფლც ხბლი თეიმრზ ის დმტკიტბლი

---

**394.** განჩინების წიგნი ზაზა გოსტაშაბისშვილის ღოღოვნის ნაწილზე. ამ განჩინებისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1779, აპრილის 20.** ქ. გოსტაშაბისშვილი ზაზა ჩიოდა: ჩემი წილი ქვემო ღოღოვნა ყაფლანისშვილს ზაალს ნასყიდობით უწერია, მე თეთრი არ ამიღია, ჩემი სახელი სიგელში დაწერეს, მაგრამ მე ზაალმა და ყაფლან სხვა წიგნი მომცეს, შენს წილთან კელი არა გაქვსო, და ახლა არც იმ ჩემს წილს მანებებსო. მისის სიმაღლის მეფისათვის მოეხსენებინა და მათს სიმაღლეს საქართველოს მსაჯულთათვის ებრძანათ ამათი სამართალი. ჩვენ მსაჯულთ ვილაპარაკეთ, ზაალს ნასყიდობის სიგელი მოვატანინეთ. ზაზა გოსტაშაბისშვილი გამსყიდველათ ეწერა, მაგრამ ზაზას ერთი სხვა წიგნი ჰქონდა ყაფლანისა და ზაალისაგან მიცემული, ასრე ეწერა: „ესე წიგნი ყაფლან და ზაალმა შენ ჩვენს დედის დის შვილს გოსტაშაბისშვილს ზაზას მოგეცით, ასე რომე ღოღოვნა შენის განაყოფების წილი მე ვიყიდე და შენი არ მიყიდია, სიგელი გამოგართვი, ამისთვის რომ შენი განაყოფები ამბობდნენ, თუ შენ არ გაჰყიდი, არც

ჩვენ გავყრდითო, თუ გამოიმეტებ და ჩაჰყიდი, ფასს მოგცემთ, თუ არა და ღთნ შენი მამული შენ მოგახმაროსო, იქიური მოურავობაც შენთვის მოგვიციაო, არის ამისი მოწამე ბიძა ჩვენი საამ, და ბეჭედი ეჯდა. მე ედიშერს დამიწერია და მოწამეცა ვარო. ქ[რისტ]ეს შობის იე-ს, ქჳს ჳლდ. ქ. და ბოლოს სწორედ ზაალის ბეჭედი იჯდა, რომ კარგად წაიკითხებოდა“. ზაალს ვკითხეთ ამ წიგნისა და ბეჭდისა, ზაალ ამბობდა: ეს წიგნი არ მახსოვსო და ბეჭედი ბევრჯელ დავკარგეო, ეგების იპოვეს და დასვესო. ჩვენ საქართველოს მსაჯულთ ესე სამართალი მივეცით: რადგანც საამ და ედიშერ როგორც ყაფლანისა და ზაალის ნათესავნი არიან, იმავ ნათესაობით ზაზასნი არიან, ედიშერ სწერს და საამ ბეჭდავს, ისინი რად გაერეოდნენ ამისთანა სიცრუეში და ან ედიშერ თავის სულსა და შვილს რად უზამდა ამისთანას უსამართლოსა, სამართლის ძალით ზაზას თავისი წილი **ქვემო ღოღოვნა** დარჩა, რაც თავისის მამის წილია და ვერავინ მიედავება. აპრილის კ-სა, ქჳს **უოზ.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვერ გაირჩევა | ქაიხოსრო | | მდივანბეგი თეიმურაზ | მსაჯულმან სწორი ესე ყო: ეს ძეს | სულხან |

ქ. ჩვენ მეფე სრულიად საქართველოჲსა მეორე ირაკლი ვამტკიცებთ განჩინებასა ამას, აპრილის **კდ**-ს, ქჳს **უოზ** [ერეკლე].

ქ. მე გოგიამ თუხარელმა იასაული ვიყავ ამ საქმისა მის სიმაღლისა მეფის ბრძანებით და ამ მსაჯულთ ბრძანებით, ზაზას გოსტაშაბიშვილს თავისი წილი მამული დარჩა ღოლოვნას, კელი ავმართე და მივაბარე, მკათათვს **ით**-ს, ქჳს **უოთ.** [გოგია].

---

**395.** განჩინების წიგნი ზემო წერაქვის შესახებ. ამ წიგნისა ჩვენ პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი.

**1784, იანვრის 8.** ქ:. მათს უმაღლესობას ბედნიერს ხელმწიფესთან გოსტაშაბისშვილს ერასტის, უსბაშს ზურაბს და მისს სახლის კაცებს ზემო **წერაქვის საფშლოზედ** ეჩივლათ ციცისშვილის თეიმურაზ მდივანბეგისთვის და ზაზა უზბაშისათვის. ბედნიერს ხელმწიფეს პატრონს მამას ჩვენს ამათი სამართლის გან-

სჯა მათის ძის გიორგისათვის და საქართველოს მსაჯულთ შეკრებილებისთვის ებძანა. ჩვენ ბატონიშვილმა უფლის წულმან გიორგიმ საქართველოს მსაჯულნი ჩვენთან დავისწარით, და ესენი ვალაპარაკეთ. გოსტაშაბიანი ამას ჩივოდნენ: **ზემო წერაქვი** ჩვენი სამკვიდრო მამული არისო, არც გასყიდვით არც შეპატრონის წყრომით არ გამოგვრთმევიაო, და ნადირშას დროს მდივანბეგის თეიმურაზის და[1]) სპასალარს რომ ქალი მიგვარეს, მაშინ ციცისშვილმა ქაიხოსრომ ერთი ბატონის სახასო თეთრი სოფელი, ერთი ეს ჩვენი სოფელი წერაქვი და ერთი როჭიკაშვილის სოფელი დიაღარა მაშინ სპარსარალისაგან იშოვნაო, მერმე თეთრს სოფელზედაც ხელი აიღოო, როჭიკაშვილმაც თავისი სოფელი გამოართვაო, ჩვენც სანატრელს მეფეს თეიმურაზთან ფარსადან მდივანბეგს უჩივლეთო, იმან გვიბოძაო სამართლითაო, მაგრამ წერაქვის გლეხები დაეყიდნაო, სოფელზე კი ხელი აიღოო და გასყიდული გლეხები სადაო დარჩაო, და განაჩენი იმიტომ ვერ ავიღევითო. ავის დროს მიზეზით ის წერაქვის სოფელი ხარაბა იყოო და ეს საქმეც ასე დარჩაო. ჩვენ ამის განაჩენი ან ოქმი გოსტაშაბისშვილებს მოვთხოვეთ, მაგრამ ამის პასუხს ასე ამბობდენ: ბეჟან იმ ხანად მიიცვალაო, ჩვენ დავიფანტენითო, და საქმე ასე დაგვრჩაო, და ლაპარაკი კი არ გაგვიწყვეტიაო, და ამის მოწამეცა ჰყავნდა და წამოაყენა ერასტიმ გოსტაშაბისშვილმა, რომ თეიმურაზ დივანბეგს თავისის ნებით შეეძლია და თეთრი ეთხოვნა ფეშქაშსავითა საიდუმლოთ, ვერ შერიგებულიყვნენ. ეს კიდევ უფრო დიდი საბუთია, ახლა მდივანბეგს თეიმურაზს და ზაზას ვთხოვეთ საბუთი, რომ რის გზით გიჭირავსთ ის მამული. ამათ ვერც წიგნი მოიტანეს და ვერც საბუთი ამოიღეს, სიტყვით ასე ამბობდენ, ჩემს ძმებს ეჭირაო და მეც მიჭირავსო. ამასაც ამბობდა თეიმურაზ მდივანბეგი: ბაადურის შვილებს რომ ჩვენი სახლის კაცი ამოუწყვეტიათ, რომ გოსტაშაბისშვილები მიჰყოლიანო და იმის სისხლში მოგვცემიაო, მაგრამ წიგნი არც ამისი ჩნდა, და ეს სიტყვა მეფის ერეკლეს წიგნმა გაამტყუნა, რომ იმის ბო-

[1]) დედანში სწერია; დაა, ალბად ნამდვილში ეწერებოდა: დაჲ.

ძებულს წიგნში ასე სწერია: თქვენი სამკვიდრო ზემო წერაქვი
გოსტაშაბისშვილებო ამ წიგნით გაგვიახლებიაო. მეორე სა-
ბუთი მოიტანეს, სვიმონ ბატონიშვილის ჯანიშინობაში ერთი
რიგობა სახლის კაცები რომ გაჰყროდნენ, იმათი ბარათები და-
ვთარი ხელთ ეჭირათ, რომ წერაქველი გლეხები გაეყოთ, მერ-
მე განაჩენი მოიტანეს მეფის ვახტანგის დროს, იესე მეფის მდი-
ვანბეგობაში, ეს გოსტაშაბისშვილები კიდევ ერთი მეორეს
რომ გაჰყრიან, მაშინ წერაქვიც გაუყვიათ, ბარათებიც ხელთ
ჰქონდათ, გაყრის დავთარიცა, და პირველ ყიზილბაშობას მა-
ლუჯათი ეძლიათ, ამისი ბარათებიც ხელთ ეჭირათ, და სრუ-
ლათ ბარათიანთგანაც მუჯალამაც მოიტანეს, რომ ზემო წე-
რაქვი გოსტაშაბისშვილებისა არისო, და სხვისა არავისიაო. ჩვენ
სამართალში რაც ამათი წიგნები გავსინჯეთ ეს ზემო წერაქვი
სამართლით ამ გოსტაშაბისშვილებს არ გამოერთმევა, ამის-
თვის რომ ამათი მრავალი წიგნები ჩნდა მეფისაგან ბოძებული,
დავთრები, ბარათები და მოწმები, და იმათ სრულობით არა
უჩნდა-რა ამის მეტი: დღეისამდი გვჭერია და გვიჭირავსო. დღე-
სამდე ჭერისა თვითონ ესენივე არიან მოწამენი, მძლავრებით სჭე-
რია, დღეს რომ სამართალს ითხოვენ, სამართლით გოსტაშა-
ბიანთ დარჩა ზემო წერაქვი მისის გლეხითა. დიდ ხანს იყო ეს
ლაპარაკი, პირითაც მრავალჯერ უთხარით და მოციქულითაც
მრავალჯერ ვთხოვეთ საბუთები, მაგრამ ვერა მოიტანეს რა,
არა გვაქვსრაო, და ეს პაემანიც მივეცით ამ წლის ნავროზამდინ,
თუ რომე თეიმურაზ მდივანბეგმა და ან ზაზამ ასეთი წერილით
საბუთი მოიტანა რამე, რომ სამართალი შეიწყნარებდეს, სამართა-
ლი მიეცემა, თუ ამ პაემნამდინ სარწმუნო საბუთი ვერა მოიტანა-
რა, ამ წერაქვის სოფელთან და იმ სოფლის გლეხთან საქმე აღარ
აქვსთ-რა, სამართალი ასე გადასწყდა, ეშიკაღაბაშო თამაზ ორბე-
ლიანო, ხელი აუმართე და ამ გოსტაშაბისშვილებს მოაბარე. ჩვენ
ასე განვსაჯეთ, და ნება მისის სიმაღლისა არის. იანვრის ლ, ქჳს
ჟობ. [მეფის ძე გიორგი] [მდივანბეგი ნიკოლოზ] [მზეჭაბუკ.] [მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს] [სულხან]

თავზედ:

ქ. ჩვენ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ამ განჩინებას ვამტკიცებთ იანვრის **იბ**, ქკს **უობ.** თამაზ ორბელიანო ეშიკაღათბაშო, ეს ასრე გარიგებინე. [მეფე ირაკლი]

აშიაზედ:

ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა დედოფალი დადიანის ასული დარეჯან ვამტკიცებთ ფებერვლის **ჱ**, ქკს **უობ.** [დედოფალი დარეჯან]

ქ. ჩვენ ბატონიშვილი იულონ ამ განაჩენს ვამტკიცებთ იანვრის **კბ**, **უობ.** [იულონ].

ქ. ჩვენ ბატონიშვილი ვახტანგ ამ განაჩენს ვამტკიცებთ იანვრის **კჱ**, ქკს **უობ.** [ბატონიშვილი ვახტანგ]

ქ. ჩვენ ბატონიშვილი მირიან ამ განჩინებას ვამტკიცებთ ფებერვლის **იგ**, ქკს **უობ.** [ბატონიშვი ლი მირიან]

---

**396.** ნასყიდობის წიგნი ერასტი გოსტაშაბისშვილისა, რომლის პირი გვაქვს ხელში ლურჯ ქაღალდზე დაწერილი; ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი. შესავალი გამოვტოვეთ.

**1785, აგვისტოს 7.** ქ. ...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე ზაზუნასშვილმა ბარათამ და შვილმა ჩემმა იორამმა თქვენ გოსტაშაბისშვილს უზბაშს ერასტის და შვილთა შენთა დავითს და ამილღაბარს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთა, ასე რომ დამექირა, მოველ და ჩემის ნებამყოფლობით მოგყიდე ჩემი მკვიდრი და ბარათში გამოყოფილი ელფეის ორი საკომლო მატიასშვილის ყაზარას მამული, და საკომლო მეორე იაკულასშვილის საკომლო და მამული, რომლისაც ესენი მქონებელნი ყოფილიყვნენ, ანუ ქონდესთ, თავისის სამართლიანის საქმით, მთით, გინა ბარით, წყლით, წისქვილით, ქალით, ვენახით გინა ბაღით ანუ ბოსტნით, სათიბით გინა უთიბით, ხოდაბუნით გინა კარის მიწით,

რომელიც მამული ჰქონებოდესთ, ყუელა ხელშეუალად თქვენ მოგყიდეთ, ასე რომე ელფიას სამი საკომლო მქონდა: ერთი საკომლო ნამანგლელაისშვილს მივყიდე და ორი საკომლო ეს იყო, რომელი შენ მოგყიდე, და გამოგართვი ფასი სრული და უნაკლულო, რომლითაც ჩემი გული შეგჯერდათ, და ჩემი გასამყრელო ბარათიც შენ მოგეც, არა დარჩა-რა ჩემი შენზედა, არც ერთი იოტის ფასი სადაო და სალაპარაკო, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ვითაც სხვათ ალალს მონასყიდეთ მოხმაროდესთ, ღმერთმან ისე თქვენ მოგახმაროსთ, არავინ იყოს მცილე და მოდავე, არა ბატონი, არა ყმა, არა ჩემი მონათესავე, თუ ამაზედ გედაოს ვინმე ან გელაპარაკოს, პირისა და პასუხისა გამცემი ჩვენ ბარათა და ჩემი შვილი იორამ ვიყოთ. არის ამისი მოწამე პირველი ღმერთი, კაცთაგან საამისშვილი ყორისაულ-ბაში ზაალ, აბაშისშვილი ქეშიკჩი, შამის ნაიბი დავით [დავით], ქავთარისშვილი უზბაში ნიკოლოზ [ნიკოლოზ], ნამანგლელავისშვილი ყლიჯიყორჩი სესია [სესია], იოთამისშვილი გოგია, გერმანოზისშვილი მემანდარბაში გოგია [გიორგი], საგინაშვილი ბოქოულთ-უხუცესი პაპუა [პაპუა], გაბაშვილი ზაზა [ზაზა]. მე მიქელ დეკანოზს დამიწერია ბარათას ყაბულობით და მოწამეცა ვარ. დაიწერა აგვისტოს **ზ**, ქჳს **უოგ**.

ქ. მე ბარათას ამ სიგელის ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელია და ბეჭედია [ბარათა].

პირველი გვერდის აშიაზე:

ქ. ჩუენ სამღვდელო მანგლელი ნიკოლოზ ამ წერილის მოწამე ვარ ბარათას სიტყვითა [ნიკოლოზ].

---

**397.** ბძანება მეფე ერეკლე მეორისა ზაზა გოსტაშაბისშვილის წილის დოლოვნის გასყიდვის შესახებ. ამ ბძანებისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში.

**1787, აპრილის 14.** ქ. ჩვენი ბრძანება არის, მერე **დოლოვნაში** რაც ზაზა გოსტაშაბისშვილს წილი მისცემია სამართლით, რომ ამათი განჩინება ჩვენც გავშინჯეთ, რომ გარდაწყვეტილი ყოფილა, თუ ამან ამ თავის მამულის გასყიდვა მო-